ნანა ფოცხიშვილი

ულამაზესი ეპიზოდები

გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1967

(Арм) 1
891.54 — 3
Б 28

*

წელს სრულდება ასი წლისთავი მოძმე სომეხი ხალხის გამოჩენილი მწერლის ნარ-დოსის დაბადებიდან.

მწერალი საქართველოში ცხოვრობდა, თბილისში მიიღო სწავლა-განათლება და აქვე მოღვაწეობდა.

დემოკრატი შემოქმედის ჰუმანიზმით შთაგონებულ ნაწარმოებებს დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვთ რევოლუციამდელი მძიმე წარსულის გასაცნობად.

*

7 — 3 — 3
194—67 ადგ.



ნარ-დოსი

(მიქაელ ოვანესიანი)

„ნამდვილად ბედნიერი რომ ყოო, არ
კმარა მხოლოდ ფლობდე ბედნიერებას,
საჭიროა იგი დაიმსახურო კიდეც“.

ვ. ჰ ი უ გ ო.

„არიან მწერლები, რომლებიც ყიჟინითა და ღრიანცელით ისწრაფვიან უკვდავებისაკენ, დაშნითა და ხმლით მიიწევენ დიდების მწვერვალისაკენ, ნაღარას სცემენ, ცოტა უკლიათ ლამის სიცოცხლეშივე დაიდგან უკვდავების ძეგლი მომავალი თაობების ხსოვნაში, მაგრამ დიდება მათ გაურბის, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, მათთან ერთად ჩადის საფლავში“, — ამ სიტყვებით იწყებს თანამედროვე გამორჩენილი სომეხი მწერალი სტეფანე ზორიანი თავის მოგონებას ნარ-დოსზე და ამ უკანასკნელს მიაკუთვნებს ნამდვილ, დინჯ, ჩუმ, უჩინრად მოღვაწე მწერლებს, რომლებიც სულაც არ ფიქრობენ დიდებაზე, მაგრამ დიდება აჩრდილივით დასდევს უკან, ხოლო სიკვდილის შემდეგ ხელთუქმნელ ძეგლს უდგამს მათ.

როგორც მწერლის სხვა თანამედროვენი იგონებენ, თანამოკალმეებთან შედარებით მართლაც საოცრად უბრალო, უაღრესად მოკრძალებული, სიტყვაძუნწი, თავმდაბალი, ძალზე გულჩათხრობილი ყოფილა დიდი სომეხი ბელეტრისტი ნარ-დოსი; არასოდეს არ ჰყვარებია თავის თავზე საუბარი, არც ერთხელ არ გაგრძნობინებდათ, რომ მწერალი იყო, ან ლიტერატურული მოღვაწე; თუ თვითონ არ ჩამოუგდებდით სიტყვას, კრინტსაც არ დასძრავდა მწერლობაზე, განსაკუთრებით თავის საქმიანობაზე.

ამბობენ: ისე მორცხვი და თავმდაბალი იყო, რომ ახალი ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ჩაცმასაც კი თავს არიდებდა, ჯერ ძმას, ან ძმისწულს მისცემდა სახმარებლად და როცა ელვარებას და პეწს დაკარგავდა, მერე თვითონ იცვამდა.

„თუ ნაწერს შეუქებდნენ, — იგონებს ს. ზორიანი, — დაირცხვენდა, სიტყვას ვერ მონახავდა რაიმეს სათქმელად. იმდენად მოკრძალებული იყო, ვერ ირწმუნებდით, რომ ეს კაცი თბილისელი მოსწრებულ სიტყვა-პასუხიანი ლოთი-ფოთებისა და გულმხიარული

მოქალაქეების თანამემამულე გახლდათ, უფრო განათლების ცენტრში მოხვედრილი სოფლის მოკრძალებული მასწავლებელი გეგონებოდათ".

იმასაც ამბობენ, ნარ-დოსი მტრულად იყო განწყობილი გაპრანჭული მეტყველებისადმი, მარტივი და გასაგები საუბარი და წერა ჰყვარებია. ყოველ სიტყვას უნდა მოეძებნოს თავისი საკუთარი კუთხე-კუნჭული, მაშინ, რაგინდ უბრალო იყოს იგი, მთელი თავისი ელვარებით გამოჩნდებაო.

იგონებენ, რომ მწერლის შრომას ნარ-დოსი მძიმე, მოწამეობრივ შრომად თვლიდა. იგი იზიარებდა იმ აზრს, რომ მწერალმა ბევრი უნდა იკითხოს, იმუშაოს, ნაწერი გულდაგულ დახვეწოს, გაასწოროს, შეავსოს. ამ მხრივ იგი ეხმაურებოდა თავის დიდ თანამედროვეს, ლ. ტოლსტოის, რომელიც წერდა: „მწერალი ყოველდღე უნდა მუშაობდეს... უნდა მუშაობდეს დღედაღამ, ტყავიდან ძვრებოდეს. რომანს უფრო დინჯი მუშაობა, მეტი მყუდროება, მეტი სიწყნარე და დიდი, მეტად დიდი ჯაფა უნდა. ამ მძიმე კატორღულ შრომას გაახალისებს და გააადვილებს ხოლმე სიტყვასთან თამაში. ესაა უდიდესი სიამოვნება, რომელიც დაღლასაც კი გავიწყებს. სიტყვები მზამზარეულად კი არ მოდიან, ისინი ნაპერწკლებივით არიან, ტალზე კვესის ჩამოკვრისას რომ იელვებენ. მოათავსე სიტყვა იქ, სადაც საჭიროა და მაშინვე გაცოცხლდება, სუნთქვას დაიწყებს".

სამწუხაროდ ყოველდღიური არსებობისათვის ზრუნვასა და მატერიალურ ხელმოკლეობას ნარ-დოსისათვის სამუალება არ მიუცია მთელი არსებით მისცემოდა მწერლობას, დილიდან საღამომდე გაზეთების რედაქციებში ნაჯაფ მწერალს მხოლოდ ღამ-ღამობით ჰქონდა საშუალება თავისი პატარა ოთახიდან იმდროინდელ სინამდვილეს მსჯავრის გამოტანისა; მიუხედავად ამისა, მწერლის დიდი ნიჭისა და შრომისმოყვარეობის შუქს მაინც გაურღვევია უძილოდ გატარებული ღამეების წყვდიადი და ნარ-დოსი ერთ-ერთ ბრწყინვალე ვარსკვლავად აღმობრწყინებულა მრავალსაუკუნოვანი სომხური ლიტერატურის ცის თავანზე.

* * *

ნარ-დოსს თავისავით უბრალო ბიოგრაფია აქვს. დაიბადა 1867 წელს თბილისში. მატყლით მოვაჭრის ოჯახში. მშობლები ნახევრად უსწავლელი და საკმაოდ ჩამორჩენილნი ყოფილან და ბავშვის აღზრდისათვის დიდად არ შეუწუხებიათ თავი. მიქაელს დაწყებითი განათლება ჯერ ავლაბრის სამრევლო სკოლაში მიუღია, შემდეგ რუსულ სამოქალაქო სკოლაში, ბოლოს კი ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიაში, მაგრამ რაკი სწავლის ქირას ვეღარ იხდიდა, თავი დაუნებებია. მომავალ მწერალს მოსვენებას მაინც არ აძლევდა სწავლის წყურვილი. უცდია კიდეც რკინიგზის სასწავლებელში მოწყობა, მაგრამ მატერიალური ხელმოკლეობის გამო ვერ მოუხერხებია. ერთადერთი ადგილი, სადაც შეეძლო იმ დროს უფასოდ სწავლა, სახელოსნო სკოლა ყოფილა. ნარ-დოსს ერთი წელი დაუყვია ამ სასწავლებელში. მალე სკოლისათვის თავი მიუნებებია და მთელი ენერგიით მისცემია საგაზეთო და ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ამ დროიდან დაიწყო სწორედ თავაუღებელი მუშაობის ხანგრძლივი ხანა. ათეული წლების მანძილზე ნარ-დოსი მდივნად, სტილისტად, კორექტორად მუშაობდა „ნორდარის" (ახალი საუკუნე) „აღბიურის" (წყარო) „ტარაზის" (ფორმა), „სურანდაკის" (შიკრიკი) რედაქციებში. მოთხრობებში „ერთ-ერთი სევდიანი დღე" და „რედაქტორი" ნარდოსს რეალისტური ფერებით აქვს აღწერილი სომეხ ლიტერატორთა მძიმე ცხოვრება.

უკიდურესი მატერიალური ხელმოკლეობა ყოფილა გაზეთების თანამშრომელთა ხვედრი. ასეთ პირობებში უცხოვრია ნარ-დოსსაც, რომელიც ეკუთვნოდა იმ მოღვაწეთა ჯგუფს, რომლებიც გმირულად იტანდნენ ყოველგვარ გასაჭირს და მთელი არსებით მზად იყვნენ მსხვერპლად შეწიროდნენ მშობლიური ლიტერატურისა და კულტურის განვითარების საქმეს.

ნარ-დოსს მხატვრული ნაწარმოებების შეთხზვა ჯერ კიდევ სახელოსნო სკოლაში სწავლის დროს დაუწყია. წერდა ლექსებს, პიესებს, მოთხრობებს. თითქმის ყმაწვილს დაუწერია თბილისური დიალექტით „მაინეს ჩივილი", რომელსაც გ. სუნდუკიანის „პეპოს" გავლენა ატყვია. მაგრამ მალე ხელს იღებს დრამატურგიაზე და პროზაზე გადადის. 1886 წელს იბეჭდება მოთხრობა „ჭეშმარიტი მეგობარი", შემდეგ მცირე ზომის რომანი „ნუნე", „ანა სარიანით" კი ფსიქოლოგიური კონფლიქტების აღმწერელ საკუთარი სტილის მწერლად იქნა აღიარებული.

80-იან წლებში ქვეყნდება ნარ-დოსის ნოველები, რომლებსაც შემდგომ ავტორმა „ჩვენი უბანი" უწოდა. ამ ნოველებმა სახელი გაუთქვა მწერალს. ამას მოჰყვა რომანი „მოკლული მტრედი", მოთხრობები: „სახლის პატრონის ქალიშვილი", „ერთ-ერთი სევდიანი დღე", 1911 წელს — რომანი „ბრძოლა", 1912 წელს კი რომანი „სიკვდილი".

ნარ-დოსი მიეკუთვნება იმ სომეხ დემოკრატ-მწერალთა რიცხვს, რომლებიც აღტაცებით შეხვდნენ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებას და აქტიურად ემსახურებოდნენ სოციალისტური კულტურისა და ხელოვნების აყვავებას. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ნარ-დოსი დაუღალავად მუშაობდა ახალ ნაწარმოებებზე, ცდილობდა ეჩვენებინა რევოლუციური გარდაქმნების გაკლენა საზოგადოების სხვადასხვა ფენების სულიერ სამყაროზე. 1920 წელს გამოქვეყნდა „უკვალოდ დაკარგული", ხოლო 1930 წელს — „უკანასკნელი მოჰიკანები". გარდაცვალებამდე წერდა რომან „ახალ ადამიანებს", რომელშიც ჩაფიქრებული ჰქონია ახალ შეხედულებათა ფონზე რევოლუციის წინადროინდელი ყოფა-ცხოვრების რეალისტური სურათის დახატვა და ნაკაცრების ფსიქოლოგიური სამყაროს ჩვენება. მაგრამ ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანა აღარ დასცალდა—1933 წელს ნარ-დოსი გარდაიცვალა. იგი დაკრძალულია ქ. თბილისში, ყოფ. ხოჯევანქის სომეხ მწერალთა პანთეონში.

* * *

ნარ-დოსი რეალისტი მწერლების, კერძოდ, კრიტიკულად მოაზროვნე მწერლების ჯერეადას ეკუთვნის. მისი აზრით, მწერლის ადგილი საზოგადოებაში არის ადგილი მოწმისა, რომელიც იძლევა ჩვენებებს ადამიანის შინაგან არსზე და მის გარემომცველ სამყაროზე. გარდა ამისა, ნარ-დოსი იქვე დასძენდა, მწერალი მარტო მოწმე როდია, ამავე დროს, ბედნიერებისადმი მისწრაფების, მისი მიღწევის სურვილით შთაგონებული შემოქმედიცაა.

ლიტერატურა, — ამბობდა ნარ-დოსი, — ცხოვრების სარკე უნდა იყოს, მან ტიპიური სახეებით უნდა გამოხატოს ცხოვრება ისე, როგორც არის, მაგრამ მწერალი ამაზე არ უნდა გაჩერდესო. ნარ-დოსი უფრო ფართო ამოცანებს აკისრებდა ლიტერატურას. „ლიტერატურა, — წერდა იგი, — ცხოვრების სარკეა, მაგრამ ამასთან ცხოვრების სკოლაცაა. მან მარტო ის კი არ უნდა აჩვენოს ადამიანებს, რომ შუბლზე მური სცხიათ, არამედ ისიც ასწავლოს, თუ როგორ ჩამოიწმინდონ ეს მური. ლიტერატურამ არა კმარა გვიჩვენოს

მხოლოდ ის, რაც არის ცხოვრებაში, საჭიროა იმაზედაც მიგვანიშნოს, რაც არ არის და სასურველია იყოს".

ნარ-დოსი მტკიცედ უჭერდა მხარს რეალისტურ ნაწარმოებებში ყოველი მხატვრული სახის, ყოველი სიუჟეტური მოტივის ღრმად შემზადების, მოტივირებისა და დასაბუთების პრინციპს, მას სწამდა, რომ სადაც ცხოვრებისეული სიმართლე საეჭვო ხდება, იქ იკარგება მხატვრული სიმართლეც. მაგრამ ამასთან წინააღმდეგი იყო მკითხველისათვის ყველაფერი მზამზარეულად მიეწოდებინა. მხატვრულმა ნაწარმოებმა უნდა დააფიქროს მკითხველი ცხოვრების ავკარგზე, რომ დასკვნები თავად გამოიტანოსო. მოთხრობა „ანა საროიანის" გამო ატეხილ კამათში ცნობილ ისტორიკოსსა და კრიტიკოს ლეონისათვის გაცემულ პასუხში ნარ-დოსი წერდა: „ანა საროიანის თემა ავიღე 80-იანი წლების სომეხი ბურჟუაზიული ოჯახური ცხოვრებიდან. მინდოდა მეჩვენებინა მატერიალურად უზრუნველყოფილი ოჯახის დაღუპვა და ამ ოჯახში აღზრდილი ქალიშვილის ტრაგედია, როცა ოჯახს გამოეცლება მატერიალური ბაზა. ბურჟუაზიულ აღზრდას ანასათვის არ მიუცია ცხოვრების ბედუკუღმართობასთან ბრძოლის რეალური იარაღი, და როგორც კი ეს ბედუკუღმართობა გადაეღობება გზაზე, ქალიშვილს თავბრუ ეხვევა, სული ეხუთება წყლიდან გამორიყული თევზივით. ლეონი მართალს ამბობს, რომ მე დავკმაყოფილებულვარ მხოლოდ მდგომარეობის აღწერით. მაგრამ თუ მას მიაჩნია — ავტორი არაფერს ამბობს მიზეზებზე, მოთხრობის არსში და პერსონაჟის ფსიქოლოგიურ სამყაროში არ იჭრებაო, ამაზედ შემდეგს მოვახსენებ: მაშინ მე დავემსგავსებოდი იმ მხატვარს, რომელმაც მამალი დახატა და ქვეშ მიაწერა: „ეს მამალიაო".

ნარ-დოსი მტრულად იყო განწყობილი ნატურალიზმისადმი. ნატურალისტ-მწერლებს უსაყვედურებდა მათთვის დამახასიათებელ თავისებურ ობიექტივიზმს. ნატურალისტები მხოლოდ აჩვენებენ შუბლზე მოცხებულ მურს, მაგრამ არაფერს ეუბნებიან ადამიანებს როგორ ჩამოიწმინდონ ეს მური. ეს კი ნარ-დოსს ლიტერატურის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად მიაჩნია.

ნარ-დოსი ნამდვილ მწერლად იმას თვლიდა, ვინც არ გაურბოდა ცხოვრების დამახასიათებელ წინააღმდეგობებს, ვის წიგნებშიც სრულად იყო ნაჩვენები სინამდვილე მთელი სიმართლით, ვინც ტრაგიკულ მდგომარეობას არ ალამაზებდა მინდვრის ყვავილებით და მკითხველს ზრდიდა ცხოვრების სიმახინჯეთა წინააღმდეგ ბრძოლისა და ხალხისათვის თავგანწირვის შეგნებით.

ნარ-დოსს თავის ღირსებად და მოვალეობად მიაჩნდა გარკვეულიყო სოციალურ უსამართლობასა და საზოგადოებრივი საკითხების სწორად გადაჭრაში, მაგრამ, სამწუხაროდ, დადებით გმირებზე მსჯელობისას ვერ ამაღლდა ისტორიული მოვლენების მარქსისტულ გაგებამდე, ამიტომ მწერლებს ურჩევდა მარკიზ პოზას მსგავსი სახეების შექმნას. მას მარკიზ პოზასნაირი ინდივიდები მიაჩნდა საზოგადოებაში ფეხმოკიდებული ბოროტების მოსპობის მთავარ ძალად. მართალი იყო ნარ-დოსი, როცა ადამიანში კაცურკაცობის გამოხატულებად ხალხის სიკეთისათვის თავის განწირვას აღიარებდა, მაგრამ ცდებოდა, ასეთი თვისებებით დაჯილდოებული გმირები საზოგადოების ძირფესვიანი გარდაქმნის ერთადერთ ძალად რომ მიაჩნდა.

ნარ-დოსი მრავალსაუკუნოვანი მშობლიური ლიტერატურის ტრადიციებზე აღიზარდა. იგი მოწიწებით ქედს იხრიდა წინამორბედ მწერლების წინაშე, ბევრი რამ უსწავლია

სუნდუკიანის, რაფის შემოქმედებიდან. „კითხვის სიყვარულმა ჩემში ადრე გაიღვიძა. „ხენთი“ და „დავით-ბეგი“ ჯერ კიდევ მაშინ წავიკითხე, როცა „შმაკში“ იბეჭდებოდა. ძალიან მიყვარდა რაფის ნაწარმოებები...“ — იგონებს ნარ-დოსი. მიუხედავად ამისა, ცნობილია, რომ მწერალი ამასთან ერთად კრიტიკულად იყო განწყობილი რაფის შემოქმედებისადმი, არ მოსწონდა რაფის „შმაგი რომანტიზმი“. წარსულის კულტურული მემკვიდრეობის მექანიკური დაცვა, ტრადიციების წინაშე ბრმა ქედის მოხრა უცხო იყო ნარ-დოსისათვის, იგი წინ იხედებოდა და, რამდენადაც ძალა შესწევდა, ახლის, ჯანსაღის, სიცოცხლისუნარიანის გამარჯვებისათვის იღწვოდა.

ნარ-დოსი ასევე დიდად იყო დავალებული დიდი რუსი მწერლებისაგან. მას არა ერთხელ აქვს ხაზგასმით აღნიშნული, რომ „მასზედ ყველაზე ძლიერი გავლენა მოუხდენიათ რუს პროზაიკოსებს“, რომელთაც მსოფლიო ლიტერატურის მშვენებად თვლიდა. განსაკუთრებით აღტაცებული ყოფილა ი. ტურგენევით, ი. გონჩაროვით, ლ. ტოლსტოითა და ა. ჩეხოვით. ამათგან ბევრი რამ ვისწავლე პერსონაჟების ფსიქოლოგიური დახასიათებისათვისო.

ნარ-დოსი თავისი ლიტერატურული შესედულებებით საერთოდ ახლოს დგას მისი დროის პოლიტიკურ და სოციალურ იდეალებთან. იგი დემოკრატი ნწერალი იყო და ღრმად სწამდა მშობლიური ხალხის ძალა, უფლებააყრილი და დამონებული სამშობლოს პოლიტიკური და სოციალური აღორძინება.

* * *

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ნარ-დოსი სამწერლო ასპარეზზე გასული საუკუნის 80-იან წლებში გამოვიდა. ეს ის ხანა იყო, როცა სწრაფად ვითარდებოდა სამრეწველო კაპიტალიზმი და დღითი დღე უარესდებოდა მშრომელი ხალხის მდგომარეობა. ბურჟუაზიულ ურთიერთობას ღრმა ცვლილებები შეჰქონდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ზნე-ჩვეულებებში, ადამიანების შეგნებაში. სოციალური საკითხები მთავარ პრობლემებად იქცეოდნენ, რასაც, რასაკვირველია, გვერდს ვერ აუვლიდნენ მხატვრული სიტყვის ოსტატები საერთოდ და რეალისტი მწერლები კერძოდ.

თავის შესანიშნავი ოსტატობით შესრულებულ ნაწარმოებებში ნარ-დოსი რეალისტისათვის დამახასიათებელი სიმახვილით, მკაფიო ფერებით იძლევა თავისი დროის სოციალური გარემოცვის დამახასიათებელ სურათებს. მან ერთ-ერთმა პირველმა გამოხატა სომხურ ლიტერატურაში, სავაჭრო-სამრეწველო კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების პროცესების ფონზე, ახალ ვითარებაში აღმოცენებულ სოციალური ფენების დამახასიათებელი ტიპები.

ნარ-დოსის შემოქმედების პირველი ყვავილებია „ჭეშმარიტი მეგობარი“, „ნუნე“, „ნაზი სიმები“. ამ ნაწარმოებებში უკვე იგრძნობა ფსიქოლოგიურ სიტუაციებში გარკვეული მწერლის ხელწერა, რამაც უფრო ძალუმად თავი იჩინა მომდევნო მოთხრობაში — „ანა საროიანი“. ბურჟუაზიული ყოფა-ცხოვრების ასახვის თვალსაზრისით „ანა საროიანი“ განსაკუთრებით იპყრობს მკითხველის ყურადღებას. მატერიალურად ღატაკდება მდიდარი ოჯახი, ფუფუნებას მიჩვეული საროიანები ვერ უძლებენ კარზე მომდგარ გაჭირვებას, ძალა არ შესწევთ საკუთარი შრომით გაართვან თავი სიძნელეებს, შეინარჩუნონ ადამიანური ღირსებები. ვაჭარი მამა ბანქოს თამაშში აგებს მთელ ქონებას, სიღატაკის მოახლოება

თავზარს სცემს ოჯახის წევრებს. იხოცებიან ანას მამა და ერთი ძმა, მეორე ძმა გალოთდება, მესამეს სიზარმაცისათვის სამუშაოზე არსად ღებულობენ...

მოთხრობა წერილების სახით არის დაწერილი. ანა თავის სულიერ მდგომარეობას ამ წერილებში აქსოვს. ქალიშვილი გულწრფელად მოწადინებულია მშობლიურ ოჯახს ეს მძიმე ხვედრი შეუმსუბუქოს, მზად არის დაეხმაროს მკერავ დედას, მაგრამ ამაოდ იღწვის — არაფრის უნარი არ შესწევს. ავადმყოფური თავმოყვარეობის ქალიშვილი ვერ უძლებს ცხოვრების სულ პატარა დარტყმებსაც კი, იგი უმოწყალოდ იტანჯება, როცა მეგობარი ქალი მატერიალურ დახმარებას შესთავაზებს, ამ ტანჯვას ვეღარ იტანს და საკუთარ სიცოცხლეს ხელჰყოფს. ანა თავისი მშობლიური გარემოს — ბურჟუაზიული ცხოვრების ერთ-ერთი მსხვერპლია.

ბურჟუაზიული საზოგადოების ასეთივე უდანაშაულო მსხვერპლნი არიან ხელოსნები, მრეცხავი ქალები, დაბალი ფენების სხვა წარმომადგენლები. ნარ-დოსის ბრწყინვალე მხატვრული ნიჭი სწორედ ამ ფენების ტრაგიკული ცხოვრების აღწერაში გამოვლინდა მთელი სიმძაფრით. სომხურ ლიტერატურაში ნარ-დოსმა კაპიტალიზმის ფესვით გათელილი უბრალო მშრომელი ადამიანების ბედუკუღმართი ყოფის მხატვრული ასახვით დაიმკვიდრა კლასიკოსი მწერლის უკვდავი სახელი. ამ მხრივ მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნოველების ციკლს — „ჩვენი უბანი“.

ბურჟუაზიული საზოგადოების გერი შვილები — ათასობით უმუშევარი ლოთობაში ჰკლავს გულის ვარამს. ერთ-ერთი იმათგანია ცხოვრების ასპარეზიდან გარიყული მღებავი დავითი. მძიმე ცხოვრებას მასში ჩაუკლავს ადამიანობის ნიშნები, უხეში და ტლანქი გაუხდია. გარეთ გამწარებული დავითი უდანაშაულო ბავშვზე და ცოლზე იყრის ჯავრს, სიცოცხლეს უმწარებს მათ („სულზე მიასწრო“). გალოთებული მედროგე იაგორა აუტანელად აწამებს და საიქიოს გზას გაუყენებს საბრალო, შრომისმოყვარე მეუღლეს („რა მოხდა მას შემდეგ, როცა საშაქრეს ორი ნატეხი შაქარი დააკლდა“). ქურდბაცაცა არტემი საწყალ დედამისს ერთადერთ მარჩენალს — ქათმებს ჰპარავს და ჰყიდის („შავი ფულების სარგებელი“). დურგალ საქულას ოჯახი ცრუმორწმუნეობის ჭაობში ჩაფლულა და ნელ-ნელა ნადგურდება („საქულა სალოცავად წავიდა“) და სხვ.

ამ ციკლის ნოველებში რეალისტ-მწერალს სრული სიმართლით აქვს დახატული თვალშეუდგამი წყვდიადისა და ძალბომოეობის სამყარო, სადაც ადამიანი ფიზიკურად და მორალურად იღუპება. ძალადობისა, სიყალბისა, გაუტანლობისა და უგუნური ადათწესებისაგან ადამიანი სულს ვერ ითქვამს, თავის ადამიანურ ღირსებებს ვერ იცავს. ეს არის ამ ნოველების იდეური ჩანაფიქრი.

ნარ-დოსი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით გვიხატავს პერსონაჟებს. მკითხველი ნათლად ხედავს უბრალო ადამიანთა სულიერ ტრაგედიას, მის შინაგან ხიშნებს და მიზეზებს, აგრეთვე გარე სამყაროს. იმ ნივთიერ და მატერიალურ პირობებს, რომელთაც წარუხოცელი გავლენა მოუხდენიათ უბრალო ადამიანების სიცოცხლეზე. ეს ნარ-დოსის რეალიზმის მთავარი თავისებურებაა.

ჰუმანისტი ხელოვანი გულწრფელად თანაუგრძნობს ბურჟუაზიული საზოგადოების მსხვერპლთ, რომელთაც ძალა არ შესწევთ თავიანთი უფლებების დაცვისა და სიძულვილს აღვივებს მკითხველებში დაბეჩავებულ ადამიანთა მიმართ მტრულად განწყობილ სამყაროსადმი.

ნარ-დოსის ერთ-ერთი უმშვენიერესი ნაწარმოები და მხატვრული სიტყვის დიდოსტატის ხელით შექმნილი შედევრია — „მე და ის". მოთხრობა დაწერილია დაპირისპირების მეთოდით. ერთმანეთს უპირისპირდება ორი ახალგაზრდა თავიანთი ბედ-იღბლით, ტრაგიკული სიყვარულით, მორალურ-ადამიანური ღირსებებით. ისინი სხვადასხვა სოციალურ ფენას ეკუთვნიან — ერთი ბურჟუაზიული წრიდან გამოსული ჭაბუკია, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი, მეორე უბრალო, ხალხის კალთაში გამოზრდილი მოხეტიალე მუსიკოსი. ამ ორი ჭაბუკის გამოსაცდელი ქვა — სიყვარულია. პირველი მარცხდება, მეორე იმარჯვებს.

ნარ-დოსმა ამ მოთხრობით დიდების დაუვიწყარი ჰიმნი უმღერა უბრალო ხალხს, მის წიაღში დაბადებულ ადამიანებს, მათ ნებისყოფას, პატიოსნებას, შრომისმოყვარეობას, კაცურკაცობას, დიდსულოვნებას. მწერლის აზრით, ნამდვილ გმირებს შობს თავით ხალხი, მის კალთაში იზრდებიან დიადი სულის ადამიანები, ფუფუნება და უბრუნველი ცხოვრება კი სულმოკლე, სუსტხერხემლიან ნაშიერებს ჰბადებს.

რომანებში „მოკლული მტრედი", „ბრძოლა", „სიკვდილი", ნარ-დოსი ფართოდ ხატავს სომხური ინტელიგენციის ყოფა-ცხოვრებას, მის ზნეობრივ-მორალურ სახეს, ქვეის დასამახსოვრებელ ტიპებს. რუბენ თუსიანი ზნედაცემული ბურჟუაზიული ინტელიგენციის ტიპიური სახეა („მოკლული მტრედი"). იგი საშინელი ცინიკოსია, არაადამიანური თვისებების მატარებელი. მისთვის აღარაფერია წმინდა, ძმაღლებული. მას არ გააჩნია რაიმე იდეური მრწამსი, არც მორალურ-ზნეობრივი იდეალი. მხოლოდ პირუტყვული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე ზრუნავს, არავისთვის სიკეთე არ მოუტანს, ნიადაგ იმაზე ფიქრობს, ვის რა წაგლიჯოს, ვინ გააუბედუროს, გათელოს, დაამციროს — ფუქსავატურ ცხოვრებას აყოლილი საკუთარი სიამოვნებისათვის მზად არის ხარბად შთანთქას სხვათა გრძნობები, სიყვარული, ბედნიერება.

რომანებში „ბრძოლა" და „სიკვდილი" ნარ-დოსი აკრიტიკებს ლიბერალებსა და კონსერვატორებს, მათ უთანხმოებას, ყოფა-ცხოვრებას.

ამ რომანებში მკვეთრად იგრძნობა მწერლის კრიტიკული დამოკიდებულება ბურჟუაზიის წრიდან გამოსულ კულტურულ მოღვაწეთა მიმართ. ნარ-დოსის აზრით, უნებისყოფო, სუსტი, ავადმყოფური თავმოყვარეობის მოღვაწენი საზოგადოებისათვის უვარგისი, ზედმეტი ადამიანები არიან, ისინი სიკეთეს ვერ მოუტანენ საზოგადოებას.

რევოლუციის შემდეგ ნარ-დოსმა, როგორც ძველი ინტელიგენციის ერთ-ერთმა მოწინავე წარმომადგენელმა, გულწრფელად და გაბედულად სცადა თავისი ნიჭი და უნარი გამარჯვებული ხალხის სამსახურში დაეყენებინა.

მოთხრობა „უკანასკნელ მოჰიკანებში" მწერალმა წარსულის მიერ დაბეჩავებული პატრიკიანის აღორძინებული ცხოვრების ფონზე გულწრფელად დახატა ბურჟუაზიული სამყაროს აღსასრული, მის უკანასკნელ მოჰიკანთა დაღუპვა. ნაწარმოებში ძლიერი საღებავებით არის ნაჩვენები გაიძვერა დავით ფომიჩ აღამირიანის ოჯახის თავგადასავალი. რევოლუციის ქარიშხალმა აღამირიანებს წაართვა სიმდიდრე და ხალხს გადასცა. დიდ სახლში, სადაც ადრე ფუფუნებაში ნებივრობდნენ აღამირიანები, დავითის ყოფილი მსახურნი ჩასახლდნენ. ახალი წესრიგის წინააღმდეგ პირუტყვული სიძულვილით გამსჭვალულ მოხუცს ყოველ მხრივ გადაჭრილი აქვს გზები და პირქუში წარსულის ამ უკანასკნელი მოჰიკანის მზე საბოლოოდ ჩაესვენება.

* * *

სომხურ ლიტერატურაში ნარ-დოსი ფსიქოლოგიური რომანის ერთ-ერთი დამამკვიდრებელია. მის ნაწარმოებებში პერსონაჟების ღრმა სოციალურ ქვეტექსტით გაპირობებულ სულიერი ცხოვრების გამოსახვას დიდი ყურადღება ეთმობა. ნარ-დოსის გმირებთან გაცნობისას მკითხველი უთუოდ შენიშნავს მოქმედ პირთა შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე მღელვარე ოცნებებს, მისწრაფებებს, განცდებს. აღწერილი ცხოვრების დროის მონაკვეთში მომხდარ დრამატიულ სიტუაციებსა და პერსონაჟთა არსებობის ტრაგიკულ ფინალს ნარ-დოსი სწორედ ადამიანთა სულიერ სამყაროში ჩაწვდომით ანიჭებს ჭეშმარიტ დამაჯერებლობას.

გმირის ღრმა ფსიქოლოგიური დახასიათებით ნარ-დოსის შემოქმედებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „ანა საროიანი". ამ ნაწარმოებში ნათლად ჩანს ნარ-დოსის მწერლური განჭვრეტის ძალა და სიმახვილე — მხატვარი თანდათან გადაგვიშლის ანას სულიერი მოძრაობის ისეთ შტრიხებს, რომლებსაც მკითხველი მიჰყავთ გაუბედურებული ანას ტრაგიკულ დასასრულამდე. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ თავისი შემოქმედებიდან ავტორს ყველაზე მეტად სწორედ ეს ნაწარმოები ჰყვარებია.

„— ეს ჩემი პირმშო რომანია. ოცდაერთი წლისამ ერთი ამოსუნთქვით დავწერე, რამდენიმე დღეში, და როცა დავამთავრე, ცრემლებს ვერ ვიკავებდი, საათობით ვტიროდი... მეგონა, მოწამლული ანა ჩემს წინ ეგდო... იმდენად დამსუსტებოდა ნერვები..."

ფსიქოლოგიური ანალიზით ნარ-დოსი უკეთ ჰფენს შუქს თავის პერსონაჟებს, და ისე თვალნათლივ გამოაჩენს მათი საზოგადოებრივი ავ-კარგის ყველა დეტალს, რომ ისინი ფართოდ განზოგადოებულ სახეებად წარმოუდგებიან მკითხველს; და არა თუ მხოლოდ წარმოუდგებიან, არამედ აღავსებენ მას ადამიანისადმი უღრმესი სიყვარულის უშრეტი გრძნობით, ჰუმანიზმის დიდი შინაარსით და სიცოცხლისათვის თავდადების შინაგანად შეფარებული თუ აშკარად გამოვლენილი უკვდავი პათოსით.

მოქმედების შინაგან ფსიქოლოგიურ მოტივიზაციას და გმირთა დაძაბულ შინაგანი ცხოვრების ასახვას, რასაკვირველია, უდიდესი მნიშვნელობა აქვს თემის სწორი გაშუქებისათვის. ეს მოითხოვს მწერლისაგან დიდ სიმართლეს, ცხოვრებისეული მასალის ღრმა ცოდნას, მხატვრის განსაკუთრებულ გრძნობას. და აი, ნარ-დოსიც გულმოდგინედ სწავლობდა თავის თანამედროვე სინამდვილეს, უშუალოდ ეცნობოდა ხალხის ავ-კარგს, ცხოვრების გულში ტრიალებდა, იქიდან ჰკრეფდა მასალას თავისი ნაწარმოებებისათვის და აინუნში არ იღებდა იმ მეგობარი კალმოსნების საყვედურებს, რომლებიც ხშირად კიცხავდნენ — საზოგადოებრივ შეკრებულებებს არ ესწრები, მწერალთა კრებებზე არ დადიხარ, ცხოვრებას საიდან გაეცნობიო. ამგვარ საყვედურებს მწერალი გულგრილად ისმენდა თურმე, მაგრამ ერთხელ თავი იმდენად მოუბეზრებიათ, რომ უაღრესად თავშეკავებულ ნარ-დოსს ბოლოს მოთმინების ფიალა ავსებია და პირდაპირ მიუხლია:

— მე ქუჩაში დავდივარ, იქ კი იმდენი მასალაა ცხოვრების გასაცნობად, რამდენსაც ადამიანის გული ინატრებს.

დიახ, ნარ-დოსი ქუჩაში სწავლობდა ცხოვრებას, იქ ეძებდა და კიდევაც პოულობდა თავის გმირებს, მისი მადლიანი კალმით ისინი ახალ ცხოვრებას იწყებდნენ სიტყვაკაზმული ლიტერატურის ფურცლებზე, — იტანჯებოდნენ და ხარობდნენ ძველი თბილისის ლაბირინთებში მოხეტიალე მათი ორეულებივით და ცხოვრებისეული სიმართლის შუქი შეჰქონდათ უკვდავი მწერლის შემოქმედებაში.

* * *

ნარ-დოსის ნაწარმოებები თარგმნილია რუსულ და უცხო ენებზე. ქართულ ენაზე სხვადასხვა დროს ითარგმნა „ჰოპოპი“, „ციური ზარი“, „რა მოხდა მას შემდეგ, როცა საშაქრეს ორი ნატეხი შაქარი დააკლდა“, აგრეთვე „შავი ფულების სარგებელი“. პიესად გადაკეთებული „მოკლული მტრედი“, რომელიც ქართულად თარგმნა არტ. დავითიანმა, არა ერთხელ დაიდგა ქართულ სცენაზე.

1931 წელს თბილისში. რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში გამართულა ნარ-დოსის ორმოცი წლის სამწერლო მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. დიდძალ საზოგადოებას მოუყრია თავი. აქ ყოფილან ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები. როგორც კი ნარ-დოსი მწერლების თანხლებით დარბაზში გამოჩენილა, ყველანი ფეხზე წამომდგარან და ხანგრძლივი ტაშით მისალმებიან იუბილარს. მრავალი გულთბილი სიტყვა თქმულა. საბჭოთა მთავრობას მაღალი შეფასება მიუცია ნარ-დოსის მოღვაწეობისათვის და რესპუბლიკის სახალხო მწერლის საპატიო წოდება მიუნიჭებია. ამ საზეიმო დღეს ნარ-დოსს რევოლუციამდელ დემოკრატ-მოაზროვნეთა და სომეხ მწერალთა დრამა ასე დაუხასიათებია: „... მწერალს კალამი არსებობის არავითარ წყაროს არ აძლევდა, ამიტომ იგი იძულებული იყო მწერლობა გვერდზე გადაედო, და მუდმივი საარსებო წყარო რამ გაეჩინა; ხშირად ისეთი საქმისათვის მოუკიდია ხელი, რასაც ლიტერატურასთან სულ არაფერი ჰქონდა საერთო. ამრიგად, სომეხი მწერალი ჩემ დროს უფრო მასწავლებელი იყო, მოანგარიშე, ნოქარი, მოსამსახურე, მერე კი, სხვათა შორის, ნწერალი... მეც, როგორც ერთ-ერთი ამათგანი, რასაკვირველია, გვერდს ვერ ავუვლიდი ამ საერთო კანონს. შემიძლია ვთქვა, რომ ჭაბუკობის ყველაზე საუკეთესო წლები, დღის ყველაზე საუკეთესო საათები, სხვადასხვა შაკ სამუშაოებზე, ამა თუ იმ რედაქციებში, ამა თუ იმ სტამბაში გამიტარებია და თუ მერე დამრჩენია დრო, უკვე ფიზიკურად და გონებრივად დაღლილი, მივჯდომივარ მაგიდას რაიმის დასაწერად“.

საზეიმო საღამოს შემდეგ ქართველ და სომეხ მწერლებს და ხელოვნების მუშაკებს ნარ-დოსი საზეიმო ვახშამზე მიუწვევიათ. ვახშამი თავისი ტკბილი ხმით დაუმშვენებია მომღერალ დ. ანდღულაძეს. საღამო იმდენად გულთბილად ჩატარებულა, რომ მუდამ ჩუმ, მოკრძალებულ იუბილარსაც ამოუდგამს ენა, ვრცელი და მხურვალე სამადლობელი სიტყვა წარმოუთქვამს.

* * *

„ლიტერატურა, — წერდა გამოჩენილი რევოლუციონერი და ცნობილი მარქსისტი, სტ. შაუმიანი, — ეს არის ტაძარი, სადაც შეიძლება ფეხი შევდგათ მხოლოდ წმინდა სინდისითა და წმინდა ზრახვებით. როცა ადამიანები ამ ტაძართან წვრილმანი, პატივმოყვარული მისწრაფებებით, ანგარების მიზნით და ქვენა განზრახვებით მიდიან, ეს ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დიდი დანაშაულია“.

გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ ლიტერატურის ტაძართან ნარ-დოსი წმინდა სინდისითა და წმინდა ზრახვებით მივიდა. მისი დროის აწეწილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში მწერალს არავისთვის მიუყიდია თავისი კალამი, მთელი არსებით გა-

მოეთიშა რა თავის მშობლიურ ჯაჭრულ-ოჯახურ გარემოს, ორმოცი წელი ალალი შრომით ირჩენდა თავს და ჰუმანიზმისა და პროგრესის მაღალი პოზიციებიდან, საკუთარი სინ-დისის კარნახით, ფარდას ხდიდა პირქუშ თანამედროვეობას.

მე-19 საუკუნის დამლევი და მე-20 საუკუნის გარიჟრაჟი ხვავიანი ხანა იყო სომხური სიტყვაკაზმული მწერლობისა. ამ დროისათვის ახალ სომხურ ლიტერატურას ამშვენებდნენ ისეთი ბრწყინვალე სახელები, როგორიც არის ა. აბოვიანი, გ. სუნდუკიანი, ჰ. პარონიანი და რაფი. თავისი შემოქმედების მწვერვალზე იდგნენ მხატვრული სიტყვის დიდოსტატები მურაცანი და ა. შირვანზადე, პ. პროშიანი და რ. პატკანიანი, გ. ზოჰრაბი და ო. თუმანი-ანი, ა. ისააკიანი და ვ. ტერიანი, დ. დემირჭიანი და ღ. აღაიანი..: სომხური ლიტერატუ-რის ამ თავკაცების გვერდში ამოდგომა და მათთან ერთად მხარდამხარ სიარული მხოლოდ ჭეშმარიტ მწერალს, გულმართალ მოქალაქეს და თავისი ხალხის უანგარო მოღვაწეს შეეძ-ლო. ასეთი იყო ნარ-დოსი, სწორედ ამიტომაც დარჩა მისი სახელი უკვდავი მშობლიური ხალხის ხსოვნასა და ახალი სომხური ლიტერატურის ისტორიაში.

არჩილ დავითიანი

Jabzetyle

ჰეშმარიტი მეგობარი

(სომეხთა ცხოვრებიდან)

I

ოთახი, სადაც უნდა წაგიყვანო, მკითხველო, კარგად მოზრდილი და ევროპული, მაღალი გემოვნებითაა მორთული. ამ ოთახის დაწვრილებით აღწერა ზედმეტად მიმაჩნია, არა მგონია, მისი მორთულ-მოკაზმულობა არ გენახოთ. თუ არ გინახიათ, მაშინ წარმოიდგინეთ თბილისის ერთ-ერთი მთავარი ქუჩა, ამ ქუჩაზე ჩუქურთმებით მოხატული შენობები, მდიდრულად გაწყობილი ოთახები, რომელთა ელვარება თვალს ჰოსჭრის ყოველ ღარიბს. ადვილად შესაძლებელია, ერთ-ერთ ასეთ ოთახში კითხულობდეთ კიდეც ამ სტრიქონებს.

დილაა, ათი საათი.

ოთახის ფანჯრები მთლად გაღებულია. მაისის მზის ცხოველმყოფელი სხივები უხვად შეჭრილან ოთახში და ფაქიზად შეღებილ იატაკზე სარკმლებზე ჩამოფარებულ ფარდებზე ამოქარგული ყვავილების ათინათი გამოუსახავთ. სარკმლების წინ, ძირს, ეზოში ათასფეროვან ახლად გაშლილ ყვავილებითა და ვარდებით მწვანედ გადაშლილი ბაღი მრავალფეროვანებით დიდებულ სურათს წარმოადგენდა, ჰაერი ერთგვარი დამატკბობელი სურნელებით აევსო და მზის ოქროსფერ სხივებზე თითქოს იცინოდა, ხოლო ფრინველების მხიარული ჭიკჭიკი იმის მაჩვენებელი იყო, რაოდენ უყვარდათ მათ მაისის ასეთი დღეები და თავისუფალი ბუნება.

ერთადერთ სარკმელთან, რბილ სავარძელში ახალგაზრდა ქალი იჯდა. დაახლოებით ოცდახუთი წლისა იქნებოდა, ნატიფი მიმზიდველი

სახე ჰქონდა, ცოტა გამხდარი და ფერწასული ჩანდა. საშინაო თეთრი ტანსაცმელი და კოხტად დავარცხნილი, წითელი ბაფთით შეკრული ზურგზე გადაყრილი შავი თმა — უფრო მეტ სიკეკლუცეს აძლევდა მის ფერმკრთალ სახეს. ამ ქალის პირველ დანახვისთანავე იტყოდით: ლამაზი, თავაზიანი და გულკეთილი მანდილოსანიო.

თავი ხელებში ჩაერგო, დაღვრემილი გასცქეროდა ბაღს და ისე გატაცებით უგდებდა ყურს ხეებზე უდარდელად მონავარდე ფრინველების ჭიკჭიკს, თითქოს ამქვეყნად სხვა არაფერი აწუხებსო. ქალი გარინდებული იჯდა. მკერდი აუდ-ჩაუდიოდა, ეს რომ არა, იფიქრებდით, წარქართული ქალღმერთის დიდებული ძეგლიაო.

კარგა ხანმა გაიარა, იგი კვლავ გაუნძრევლად იჯდა. მხოლოდ ერთხელ აღმოხდა ისეთი ოხვრა გულის სიღრმიდან, უნებლიეთ რომ აღმოხდებათ ხოლმე იმ უბედურ ადამიანებს, ვინც დღენიადაგ ებრძვის ძალუმად მოძალებულ გულის ამაფორიაქებელ გრძნობებს. მაგრამ ასეთი გრძნობები რად უნდა აკვიატებოდა იმ ახალგაზრდა არსებას? რა ხელი ჰქონდა დარდსა და მწუხარებას იმ ახალგაზრდა ქალთან, ვინც ბუნების ხელთუქმნელ ფუნჯს ისე დაეხატა, რომ მისი ხვედრი მხოლოდ ბედნიერი ცხოვრება, სიცილ-კისკისი და მხიარულება იყო?.. მის თვალწინ მოცქრიალე ფრინველები თავისი ადრინდელ უდარდელად გაფლანგული ცხოვრების ხანას ხომ არ აგონებდნენ—სიყმაწვილეს, ანდა, იქნებ გულს უკუმშავდა ის სევდა, რითაც მოწამლული იყო მისი გარემოცველი ატმოსფერო. — ძნელი იყო გამოცნობა.

უეცრად კარი გაიღო და ოთახში შუახნის კაცი შემოვიდა. ნაყვავილარი სახე ულიმოდა, რაც მის შინაგან გულკეთილობისა და გულუბრყვილობის უტყუარი ნიშანი იყო. ეტყობოდა, მეტ ყურადღებას მარცხნიდან მარჯვნივ ფაქიზად გაყოფილ თმას უფრო აქცევდა, ვიდრე ტანსაცმელს, ესოდენ ხალვათად რომ ედგა, თითქოს ნათხოვარიაო. ძიუხედავად იმისა, რომ სომხურ დიდ ცხვირზე სათვალე ეკეთა, ბაინც ზემოდან იყურებოდა, ამიტომ ხშირად თავს აკანტურებდა. ტანსაცმელის ფორმა და სამხრეები ამტკიცებდნენ, სახელმწიფო სამსახურის კაცი იყო. მაგრამ წლოვანების დაახლოებით დადგენა მაინც ჭირდა, რადგან ერთი შეხედვით ხანდაზმული გეგონებოდათ, ხოლო როცა გულდასმით დააკვირდებოდით, თანდათან თითქოს ჯეელდებოდა.

ახალგაზრდა ქალი თავის ფიქრებით იყო გართული. სულ ვერ გაიგო ოთახში მამაკაცის შემოსვლა. გარასიმ ზაქარიანი (ეს იყო იმ კაცის სა-

ხელი და გვარი) მიუახლოვდა, შორიახლო გაუჩერდა და ზურგზე ხელებდაწყობილი, ღიმილით მიაჩერდა ქალს, რომელიც თავის ფიქრებს მისცემოდა და მას ვერ ამჩნევდა.

— ლიზა! — ბოლოს წარმოთქვა სახეგაღიმებულმა კაცმა ერთგვარი გაკვირვებით, თან მის ხმაში კითხვა გაისმა, — უფრო ახლოს მივიდა, რომ სათვალის ზემოდან კარგად შეეხედა ცოლისთვის.

— ოჰ, თქვენა ხართ?.. — თითქმის მხიარულად წამოიძახა ახალგაზრდა ქალმა, წამით სახე გაებადრა და წამოხტა, მაგრამ გარასიმი რომ დაინახა, ჯერ შეცბუნდა, მერე აღელდა, გაწითლდა და ისევ ადგილზე დაჯდა. მისმა სახემ უწინდელი გამომეტყველება მიიღო და სუსტი ხმით დაუმატა:

— შენა ხარ, გარასიმ?..

— ჩემს გარდა, სხვა ვინ იქნება, ჩემო სულიკო? — მიუგო გარასიმ ზაქარიანმა და იოტისოდენად ეჭვი არ შეჰპარვია ცოლის (ახალგაზრდა ქალი მისი ცოლი იყო) უჩვეულო მღელვარებაზე. — შენ ვინ გეგონა?

— მე?.. ვინ უნდა მგონებოდა?.. ფიქრებში ვიყავი წასული.

— სად გაგონილა მაისის ამ მშვენიერ დღეს ადამიანი იჯდეს და ფიქრებს ეძლეოდეს, ჩემო გიჟო, — უთხრა გ. ზაქარიანმა ოდნავ საყვედურის, ოდნავ ხუმრობის კილოზე და ცოლს ლოყაზე მოუთათუნა, რაც სულ არ ესიამოვნა ქალს. — ასეთ დღეებში ან სასეირნოდ მიდიან, ანდა მიუჯდებიან როიალს, უკრავენ და მღერიან.

ახალგაზრდა ქალი, ეტყობა, ყურადღებას არ აქცევდა, იგი კვლავ გარეთ იყურებოდა.

— მაგრამ, ლიზა, ეგრე მოწყენილი რადა ხარ? — უეცრად სერიოზულად შეეკითხა გარასიმი.

— რა გინდა, გარასიმ? — თავის მხრივ შეეკითხა ახალგაზრდა ქალი. ისე, რომ ზედაც არ შეუხედავს.

— გეკითხები, დღეს აგრე მოწყენილი რადა ხარ-მეთქი?

— მე?.. თავი მტკივა.

— თავი ტკივა?.. მაგრამ ასე პირველად არ გხედავ. ამ უკანასკნელ კვირას მოწყენილი ხარ და სულ რაღაცაზე ფიქრობ.—მოუსვენრად შეეკითხა გარასიმი. და კიდევ უფრო დაიხარა მისკენ, — ჩემო სულიკო, იქნებ რაიმე დარდი გაწუხებს და მიმალავ, ჰა?.. — დაუმატა გარასიმმა და ხელი მოკიდა ცოლს.

— არა, არა, ჩემო ამხანაგო, გითხარი, თავი მტკივა-მეთქი, — მიუგო

ახალგაზრდა ქალმა და ხელები უკან გასწია. — სად გაგონილა ასეთ უბრალო რამეზე იშფოთო, გარასიმ? — დასძინა ამან და შეეცადა გაღიმებას. — თავის ტკივილი გამივლის.

— ახ, ჩემო სულიკო, ვერ წარმოიდგენ გული როგორ მიწუხს, როცა ასე მოწყენილს გხედავ... ლიზა, ჩემო ძვირფასო, გემუდარები, ბევრს ნუ ფიქრობ!.. ან რა გაქვს ამდენი საფიქრალი!.. მე პირდაპირ ბიკვირს... ეთამაშე ტიგრანიკს, თუ სასეირნოდ წასვლა არა გსურს... მე ახლა სამსახურში წავალ და მალე დავბრუნდები. ნახვამდის, ჩემო სულიკო, მხიარულად იყავი.

და გარასიმ ზაქარიანი შუბლზე ეამბორა ცოლს, შემდეგ კარისკენ გასწია, მაგრამ სანამ იქამდე მივიდოდა, უკან გამობრუნდა და დაუმატა:

— ჰო, ლიზა, დღეს მარტო არ იქნები. შინ რომ ვბრუნდებოდი, ქუჩაში ბატონ სურენ არეველიანს შევხვდი (ამ სახელის გაგონებაზე ახალგაზრდა ქალმა მაშინვე სახე იბრუნა მისკენ), სადღაც მიეჩქარებოდა, ამიტომ დრო ვერ მოვიხელთე მესაუბრა, მინდოდა გამეგო მთელი კვირის განმავლობაში რატომ არ შემოგვიარა. მხოლოდ იმის თქმა მოასწრო, რომ დღეს თერთმეტ საათზე ჩვენსა მოვა.

— მართლა? — შეეკითხა ახალგაზრდა ქალი, სწრაფად და რაღაცნაირი მხიარული ტონით, რაც შეუმჩნეველი დარჩა გარასიმ ზაქარიანს და ოდნავ შეირხა.

— ჰო, დღეს ჩვენთან ისადილებს.

ახალგაზრდა ქალს სახე გაუბრწყინდა, მაგრამ მეუღლეს რომ არ შეემჩნია ასეთი უეცარი ცვლილება, პირი იბრუნა, ისევ გარეთ დაიწყო ცქერა.

— იმედია, კარგად მიიღებ, ლიზა, — დაუმატა ზაქარიანმა და წასასვლელად მოემზადა.

— მივდივარ. ჩემს დაბრუნებამდე ბანქო ითამაშეთ, როიალი დაუკარი, იმღერე და თავის ტკივილიც დაგავიწყდება. სრულ პირველ საათზე დავბრუნდები. ნახვამდის, სულიკო, მხიარულად იყავი.

გ. ზაქარიანი წავიდა.

როგორც კი კარი მოიხურა, ახალგაზრდა ქალი მაშინვე გიჟივით წამოხტა, ხელები მაღლა ასწია და სულშეგუბებულმა წამოიძახა:

— ო, დღეს ვნახავ... ვნახავ...

ეს უსაზღვრო სიხარული, მის მშვენიერ სახეზე რომ აღბეჭდილიყო,

ცოტა ხნის წინათ მნახველს უთუოდ გააკვირვებდა. დიდრონ თვალებში რაღაც მოუთმენლობის ნაპერწკალი უელვარებდა. ფერმკრთალი სახე გაღაჟღაჟებოდა, ხოლო გული ისე ძალუმად უცემდა, თითქოს აგერ-აგერ გაუსკდებაო.

იმავე წუთს ბავშვის სირბილის ხმა მოისმა, კარი გაიღო და ოთახში ოთხი წლის წითელლოყება ბავშვი ქაქანით შემოიჭრა.

— დედიკო, დედიკო! — წრიპინა, ბავშვური ხმით წამოიძახა და მუხლებზე შემოეხვია.

— ჩემო ტიგრანიკ... — წამოიძახა დედამ, ორივე ხელი მოკიდა ბავშვს თავზე და აწითლებულ ლოყებზე კოცნა დაუწყო. — სად დარბოდი, რომ ეგრე აწითლებულხარ?

— ჩვენს ბაღში ვიყავი, დედიკო, პეპლებს დავდევდი, მაგრამ ვერ დავიჭირე... იმდენი ვდიე, იმდენი, დედიკო, რომ დავიღალე... პეპლები, დედიკო, ძალიან ანცები არიან, ძალიან ანცები, არ სურთ დამეჭერინონ, რომ მათთან ვითამაშო, ალბათ ჰგონიათ, მოვკლავ, არა, დედიკო?

— აბა იმათ რა ესმით, რომ შენ სხვებსავით ცელქი არა ხარ?

— ახ, დედიკო, ნეტა ესმოდეთ... მე ძალიან, ძალიან მინდა ვეთამაშო... დედიკო, დამიჭერ პეპელას?

— კი, ტიგრანიკ, კი...

— ახ, რა კარგი ხარ, დედიკო, რა კარგი, როგორ მიყვარხარ! — წამოიძახა ბავშვმა და უფრო მოეხვია მუხლებზე. — მე მამიკოც ძალიან მიყვარს, ისიც დამიჭერს პეპელას... მაგრამ, დედიკო, ეხლა იცი შენთან რად მოვირბინე? — ბავშვმა სერიოზული სახე მიიღო და ცოტა ვანზე გადგა.

— რადა, შვილიკო? — ღიმილით შეეკითხა დედა.

— მამიკომ წასვლისას დამიბარა, დღეს დედა დაღონებულია, მიდი, გაამხიარულეო, — უთხრა ბავშვმა და თვალებში ისე მიაჩერდა დედას, თითქოს მამის ნათქვამს ამოწმებსო. — მაგრამ შენ დაღონებული არა ხარ, აი იღიმები კიდეც...

— არა, ჩემო ტიგრანიკ, არა, ეხლა მოწყენილი აღარა ვარ, რადგან... — ქალი ისე უცბად გაჩუმდა და ბავშვს თვალებში ჩახედა. თითქოს სიტყვებმა, რომლებიც უნდა წარმოეთქვა, ბაგე დაუწვეს. ქალი შებრუნდა და სახეზე ხელები მიიფარა.

დედის ასეთი ანაზდეული შეცვლით ბავშვი სახტად დარჩა, მიირბინა მასთან და შეშინებულმა შესძახა:

— დედიკო, დედიკო!..

პასუხად დედა შემობრუნდა ბავშვისკენ და გულიდან მწარე ქვითინი აღმოხდა...

II

ჩვენს მიერ აღწერილ შემთხვევამდე ერთი თვით ადრე, კვირას, შუადღისას, ალექსანდრეს ბაღში სამხედრო მუსიკა უკრავდა. საამური დღე იდგა. გაზაფხულის ნორჩი მზე ოქროსფერ სხივებს უხვად აფრქვევდა ახლადამწვანებულ ხეთა ლაპლაპა ფოთლების ტევრს, სადაც ლაღად აჭიკჭიკებული ფრინველები გაზაფხულის მობრძანებას ზეიმობდნენ. ჰაერში საამური სიგრილე იდგა. ბაღის ხეივნები, მეტადრე „არისტოკრატული“, სავსე იყო ხალხით. თბილისის ინტელიგენციით დაწყებული — უკანასკნელ კინტომდე, ყველანი იქ იყვნენ.

ბაღის ხალხმცირე ერთ-ერთ ხეივანში მკლავგაყრილი სეირნობდნენ ქალი და კაცი. ისინი, ეტყობოდა, ცოლ-ქმარნი იყვნენ. მათ წინ მიდიოდა დაახლოებით ოთხი წლის ბავშვი, წითელლოყება და კოხტად ჩაცმული, რომელიც ყველა მოსეირნეების ყურადღებას იპყრობდა. ბავშვი ხშირად მობრუნდებოდა მშობლებისაკენ და მიამიტ შეკითხვებს აძლევდა. მშობლები ღიმილით აკმაყოფილებდნენ მის ბავშვურ ცნობისმოყვარეობას.

ესენი ჩვენი ნაცნობი გ. ზაქარიანი, მისი მეუღლე ელისაბედი, ან როგორც უძახდნენ ლიზა და მათი პატარა შვილი ტიგრანიკი გახლდათ.

ამ დროს მათ პირისპირ მოსეირნობდა ცილინდრიანი კაცი. მან გ. ზაქარიანის ყურადღება მიიპყრო. მაგრამ ცილინდროსანმა არც კი შეხედა, გულგრილად ჩაუარა და გ. ზაქარიანის გაკვირვებით დაჭყეტილი თვალები თან გაიყოლა.

— ასე დაჟინებით რად უყურებ მაგ კაცს? — შეეკითხა ცოლი.

პასუხის გაცემის ნაცვლად, გ. ზაქარიანი შეჩერდა და ცილინდროსანს დაუძახა:

— ბ. სურენ... არეველიან... — ცილინდროსანი შეჩერდა, უკან მოიხედა. სანამ გაოცებული შესცქეროდა, ზაქარიანმა მიატოვა ცოლი, მიუახლოვდა და თავისი განუყრელი ღიმილით შეეკითხა:

— არ მიცნობ, სურენ?..

ცილინდროსანმა უფრო გულმოდგინედ შეხედა.

— ბოდიში ვერ გაგიხსენეთ, — სერიოზული ტონით უპასუხა ცილინდროსანმა.

— ეჰ, სურენ, გულითად ამხანაგსა და მეგობარს ასე მალე არ ივიწყებენ, — გამკიცხავ კილოზე მიუგო ზაქარიანმა, მაგრამ რომ დაინახა ცილინდროსანი ისევ გაოცებული შესცქეროდა, უმალვე დაუმატა: —მე გარასიმი ვარ, ძმაო.

— ა, გარასიმი... ნამდვილად შენა ხარ. — თქვა სურენ არეველიანმა (ამიერიდან ცილინდროსანს ასე ვუწოდებთ) გაცილებით უფრო კულტივად, ვიდრე საჭირო იყო და ხელი გაუწოდა. — მაპატიე, რომ ვერ გიცანი.

— ნუთუ ისე გამოვიცვალე? — შესძახა გ. ზაქარიანმა მხიარული სიცილით და მაგრად ჩამოართვა ხელი. — სადა ხარ, რასა იქ, სად დაიკარგე, რამდენი ხანია, ერთმანეთი აღარ გვინახავს..

— ვმოგზაურობდი, — უპასუხა ბაუთავებელ შეკითხვებზე.

— მესმის, მესმის... — სიტყვა ჩაუკრა ზაქარიანმა და თავი გაიქნია. — დიახ, ჭაბუკურ მურაზს ისრულებ... გასაგებია... გახსოვს, სტუდენტობის დროს სულ ამას მეუბნებოდი: „გარასიმ, როცა დავვაქაცდები, უეჭველად ვიმოგზაურებ, და თუ საშუალება მომეცა, ჩემს სიცოცხლეს მოგზაურობას მოვანდომებო“ — გახსოვს?

— დიახ, აი, ხედავ, ტყუილს არ ვამბობდი თურმე.

— დიდი ხანია ვიცნობ შენს მტკიცე ნებისყოფას, გიმნაზიაში ყოფნის დროიდან... მაგრამ ჯერ მოდი, ჩემი ცოლ-შვილი გაგაცნო... მე ახლა მეუღლეცა ვარ, მამაც და ძალიან ბედნიერიც, ვიდრე შენ წარმოიდგენ. — და გ. ზაქარიანმა ხელი ჩაავლო არეველიანს, თითქმის ძალით მიიყვანა ცოლ-შვილთან, მთელი ამ დროის მანძილზე ცნობისმოყვარეობით რომ შესცქეროდნენ უცნობ კაცს.

— ლიზა! — მიმართა ზაქარიანმა ცოლს, — წარმოგიდგენ ჩემს ოდესღაც გულითად და ყველაზე საყვარელ ამხანაგსა და მეგობარს — სურენ არეველიანს.

— მაქვს პატივი, ქალბატონო, — უთხრა სურენ არეველიანმა და მოკრძალებით თავი დაუკრა ელისაბედს.

— ძალიან მოხარული ვარ, ჩემი მეუღლის მეგობრის გაცნობით, — წარმოთქვა ელისაბედმა და მანაც თავი დაუკრა.

— ესეც ჩემი შვილი — ტიგრანიკი, — წარუდგინა გ. ზაქარიანმა. სურენ არეველიანმა ღიმილით მოუჭირა ტიგრანიკს ხელი.

— ლამაზი შვილი გყოლიათ, — თქვა მან. — სწავლობს?

— ო, როგორ არა, — შესძახა გ. ზაქარიანმა, — კარგად კითხულობს, სომხურად და რუსულად.

— ეგ, კარგია, მაგრამ ჭკვიანია?

— მაგ შეკითხვაზე დაე თვითონ გიპასუხოს.

— რასაკვირველია, ჭკვიანი ვარ, ბატონო, — მიუგო ტიგრანიკმა, რომელიც სურენ არეველიანს არ აშორებდა თვალს. — მე არასდროს არ მიცელქია. გნებავთ შეეკითხეთ დედიკოს. შეიძლება, ძალიან პატარა რომ ვიყავი, ვცელქობდი, — დაუმატა მან. — მაგრამ ახლა, უკვე დიდი ვარ და კარგად მესმის, რომ ცელქობა ცუდია. დედაჩემმა ამიხსნა.

დედ-მამამ მხიარულად გაიცინეს, სურენ არეველიანმა კი მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა და თქვა:

— აი, ყოჩაღ, გაიზარდე. ვხედავ, ჭკვიანი ყოფილხართ, დედას რომ უსმენთ. ასე უნდა მოიქცეთ ყოველთვის.

— ჰა, როგორია? — თვითკმაყოფილებით წამოიძახა გ. ზაქარიანმა, რომელიც გაშტერებული უყურებდა სურენ არეველიანს.

— დიახ, ბავშვი ძალიან მახვილგონიერია, — უპასუხა ს. არეველიანმა.

— შენ კი ალბათ, დღევანდლამდე უცოლო ხარ?

— ხო.

— ამაოდ, ამაოდ, — უთხრა გ. ზაქარიანმა გამოცდილი კაცივით.— ვერ წარმოიდგენ, რაოდენ ტკბილია მოსიყვარულე ცოლისა და შვილის ყოლა! მაშინ ასე გულგრილი არ იქნებოდი ქორწინებისადმი, მერწმუნე.

— ყველა კაცს საკუთარი რწმენა აქვს, — სერიოზულად უპასუხა სურენ არეველიანმა.

— ამას თავი დავანებოთ... წავიდეთ, სურენ, დღეს ჩვენთან უნდა ისადილო.

— მადლობელი ვარ, გარასიმ...

— რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი, ანდა ხვეწნა-მუდარა... ბოლოს და ბოლოს, ჩემო ძმაო, მთელი ათი წელი ერთმანეთი არ გვინახია. ნუთუ არ გინდა, ეს ერთი დღე, ძლივს ერთმანეთი რომ ვიპოვნეთ, ერთად გავატაროთ... წავიდეთ, წავიდეთ ჩემი ცოლიც ძალიან კმაყოფილი იქნება შენი სტუმრობით.

— დიახ, ბატონო სურენ არეველიან, დიდად მოხარული ვიქნები, თუ პატივსა გვცემთ და ჩვენთან მობრძანებას ინებებთ. გთხოვთ, — უთხრა ელისაბედმა.

— რაკი თქვენც გსურთ, ქალბატონო, ეგ დიდი პატივია ჩემთვის, — სერიოზულ კილოზე მიუგო თავის მხრივ სურენ არეველიანმა. — რამდენიმე საათით თქვენ წრეში დროსტარება ჩემთვის ფრიად სასიამოვნო იქნება.

— ეგრე რაღა, შე მამაცხონებულო. — მხიარულად შესძახა კ. ზაქარიანმა. — ამიერიდან ნებას არ გაძლევ იმოგზაურო, ჩვენთან დარჩები... აბა, წინ.

და მათ ლაპარაკით სახლისაკენ გასწიეს.

მაგრამ ჯერ გავეცნოთ სურენ არეველიანს.

მართლაც და, ვინ იყო და სადაური სურენ არეველიანი? ან რა თანამდებობა ეკავა? — ამ, და სხვა კითხვებზე თვითონ გ. ზაქარიანსაც არ შეეძლო ამოწურავი პასუხის გაცემა, ზაქარიანს, რომელიც არეველიანის ყველაზე მოსიყვარულე ამხანაგად და მეგობრად თვლიდა თავს. მას მხოლოდ იმის აღიარება შეეძლო და დაიფიცებდა კიდეც, რომ არეველიანისთანა პატიოსანი, მომთმენი, უმაღლეს დონემდე ასული ჯიუტი და მტკიცე ნებისყოფის ადამიანი თავის სიცოცხლეში არ ენახა და არც გაეგონა. ზაქარიანმა ისიც იცოდა, რომ სურენ არეველიანი მშობლების ერთადერთი შვილი იყო, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაობლდა დედ-მამის მხრიდან და კარგა დიდი მემკვიდრეობა დარჩა. სწავლის დამთავრების შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, გაუჩინარდა, არავინ იცოდა მისი ასავალ-დასაკალი, ამხანაგები და თვითონ ზაქარიანიც ამტკიცებდნენ, უეჭველად სამოგზაუროდ იქნება წასულიო, რადგან ყველამ იცოდა, არეველიანს დიდი სწრაფვა ჰქონდა მოგზაურობისადმი.

იმ დღიდან ათმა წელმა განვლო. არეველიანის ნაცნობ-ამხანაგებს ეგონათ, იგი კარგა ხანია ცოცხალი აღარც იყო. მაგრამ აი გ. ზაქარიანი სრულიად მოულოდნელად შეხვდა თბილისში და მაშინვე იცნო თავისი ძველი თანაკლასელი.

ბატონი სურენ არეველიანი დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის ტანმაღალი კაცი იყო, გრძელი და ქერა წვერი ჰქონდა. კოხტად, ფაქიზად დავარცხნილი წვერი ძალიან უხდებოდა მის, ცოტა არ იყოს, ქალურ მკრთალ სახეს. არც თუ განიერი ულვაშები ძლივს უფარავდნენ ვარდისფერ ტუჩებს. დიდრონი და ჭკვიანი თვალები ჰქონდა, ცხვირი

უფრო გერმანული, ვიდრე სომხური, ხოლო განიერი შუბლი, რომელზეც არც ერთი ნაოჭი არ ემჩნეოდა, სურენის გონიერებასა და მტკიცე ბუნებაზე მეტყველებდა. მეტად კოხტად და მოხდენილად ეცვა, ცხვირზე სათვალე ეკეთა, ხელებზე — ყვითელი ხელთათმანები და მოშავო ხელჯოხს ხმარობდა. წელში გამართული დადიოდა მტკიცე და ზომიერი ნაბიჯით, განიერი მკერდი მუდამ წინ ჰქონდა გადმოწეული. ცოტას ლაპარაკობდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად; შეკითხვების მიცემა არ უყვარდა, მხოლოდ, როცა ეკითხებოდნენ რასმე, ლაკონურ პასუხებს აძლევდა. სიტყვებს გარკვეულად და მკვეთრი მახვილით გამოთქვამდა. ხმა სუფთა და მიმზიდველი ჰქონდა. მაგრამ როცა გაცხარდებოდა—„გაცხარებას“ ისე ნუ გაიგებთ, როგორც ზოგიერთს ემართება, ყურებამდე რომ წითლდება და წონასწორობას კარგავს — როცა ჩვეულებრივი მდგომარეობიდან გამოდიოდა, ლაპარაკს უმატებდა, თუმცა თავი მუდამ სერიოზულად და გულგრილად ეჭირა. ეს კი მაშინ ემართებოდა, როცა ძნელი და სერიოზული საკითხი უნდა გადაეჭრა. ლაპარაკის დროს არეველიანი მოსაუბრეს სახეში არ უყურებდა, მიაშტერდებოდა ერთ წერტილს, ან დადიოდა. ძალიან იშვიათ შემთხვევაში იღიმებოდა, სიცილით კი ათასში ერთხელ იცინოდა. გაცინება შვენოდა, მაშინ გამოუჩნდებოდა ორ რიგად ჩამწკრივებული თეთრი კბილები. საერთოდ, იმისი გარეგნობა სხვებზე ერთგვარ იდუმალ გავლენას ახდენდა. ბევრი ქალი, განსაკუთრებით ისინი, ვინც ერკვევიან „ვაქკაცური“ სილამაზის საკითხებში, არეველიანის დანახვაზე ერთი შეხედვით არა კმაყოფილდებოდნენ.

და აი ახლა, როცა იგი იჯდა გ. ზაჭარიანის მდიდრულად გაწყობილ სასტუმრო ოთახში, უსმენდა მასპინძლის ლაპარაკს, სტუმრის პირდაპირ მჯდარი ელისაბედი შესცქეროდა ამ საოცარ კაცს და საკვირველი როდია, რომ რაც მეტ ხანს უმზერდა, იმდენად უფრო ეღვიძებოდა სურვილი დიდხანს ემზირა, თითქოს მისი თვალები მიჯაჭვული იყვნენ ამ კაცის სერიოზულ სახეზე რაღაც უცნობი ძალით, რომლის მორევსა მას არ შეეძლო. ამ წუთებში ელისაბედის სახეზე შეგეძლოთ შეგემჩნიათ ერთგვარი სულიერი კმაყოფილება. ისე სიამოვნებდა ამ კაცის ცქერა, რომ აშკარად ჩანდა, — მზად იყო მთელი საათობით მჯდარიყო ასე, ემზირა და დაღლა არ ეგრძნო. საერთოდ, მთელი არსებით, მთელი თავისი სულიერი გახწყობილებით იგი ერთგვარ პატივისცემას გრძნობდა ამ კაცის მიმართ. მაგრამ ეს კაცი ხომ ახლა გაიცნო? თავის სიცოცხ-

ლეში ხომ პირველად ხედავდა, პირველად ელაპარაკებოდა? მაშასადამე, როგორ შეეძლო პატივი ეცა, ან რატომ? — ეს გრძნობა პატივისცემა არ იყო, არამედ იმის მსგავსი რაღაც, იმაზე მაღალი, უფრო კეთილშობილი, ნაზი, ტკბილი, მაგრამ ნამდვილად რა იყო ეს — ამოუხსნელი გახლდათ.

ისინი დიდხანს საუბრობდნენ. სურენ არეველიანი უამბობდა თავის მოგზაურობაზე. მისი ნაამბობიდან გამოირკვა, რომ თითქმის მთელი ევროპა შემოევლო და ეხლა მიზნად ჰქონდა დასახული აზიაში მოგზაურობა.

— როგორც ჩანს, მოგზაურობა ძალიან გიყვართ, ბატონო სურენ არეველიან, — შეეკითხა ელისაბედი.

— ჩემი ერთადერთი სიყვარული ეგ არის, ქალბატონო, — უპასუხა სურენ არეველიანმა და წამით დიასახლისისაკენ გაიხედა.

— ან იქნებ რაიმე სევდა გაწუხებთ ღა იმის განსაკურნავად მოგზაურობა აირჩიეთ?

— მქონდა ასეთი სევდა, ქალბატონო, მშობლების გარდაცვალების გამო, მაგრამ დიდი ხანია განვიკურნე.

— არც ეს, არც ის, როგორც გატყობთ, სხვა მიზანი გაქვთ, სურენ, — ღიმილით ჩაერია გ. ზაქარიანი.

— შეიძლება, — სერიოზულად უპასუხა სურენ არეველიანმა.

— ტყუილად როდი კითხულობდი სამოგზაურო წიგნებს, მეტადრე ჟიულ ვერნის შემაძრწუნებელ სათავგადასავლო რომანებს, მესმის, კარგად მესმის...

ყავა შემოიტანეს, რის შემდეგ ყველანი საპადილო ოთახში გავიდნენ, სადაც უკვე გამზადებული იყო მდიდრული სუფრა, და მაგიდას შემოუსხდნენ. ელისაბედი სურენ არეველიანის პირდაპირ იჯდა და ზედიზედ სთავაზობდა ბემრიელ საჭმელებს. ამ დროს მის სახეს წამით არ მოშორებია ტკბილი ღიმილი. იგი სულ ახალ-ახალ შეკითხვებს აძლევდა სურენ არეველიანს, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ სათანადო პასუხები მიეღო, არამედ სტუმრის მომხიბლავი ხმა რომ მოესმინა. ყველაზე მეტს გ. ზაქარიანი ლაპარაკობდა, იცინოდა, ოხუნჯობდა, მაგრამ სურენ არეველიანს მაინც სერიოზულად ეჭირა თავი, და მხოლოდ ერთადერთი შემთხვევა იყო, რომ ტიგრანიჯის შეკითხვამ მოჰგვარა ღიმილი, რაზედაც არეველიანმა ფრიად გონებამახვილურად უპასუხა.

სადილი დამთავრდა, ყველანი წამოდგნენ და სასტუმრო ოთახში გავიდნენ. ელისაბედის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ის მიუახლოვდა სურენ არეველიანს და ჰკითხა:

— ბანქოს თამაშობთ, ბატონო სურენ?

— ხანდახან.

— ახლა თუ ინებებთ?

— დიდი სიამოვნებით, ქალბატონო.

— ეს რა კარგად მოიფიქრე, ლიზა, — მხიარულად შესძახა გ. ზაქარიანმა, — მე სულ დამავიწყდა. ნასადილევს თავის შექცევა, ექიმების რჩევით, სასარგებლოა... ბრავო, ბრავო, ლიზა! — გ. ზაქარიანმა ტაში შემოჰკრა.

ელისაბედმა მაგიდა გაშალა და ბანქო დააწყო.

— ბატონებო, როგორ ინებებთ, რა ვითამაშოთ? — შეეკითხა ელისაბედი.

— „დურაჩკი", — უეცრად წამოიყვირა გ. ზაქარიანმა და მხიარულად გადაიხარხარა. — მე ბაგის გარდა, სხვა არ ვიცი, თანაც ეგ თამაში ძალიან მიყვარს, თუმცა „დურაკი" მუდამ მე გამოვდივარ... — ელისაბედმაც მხიარულად გადაიკისკისა, არეველიანს კი მხოლოდ გაეღიმა. ისინი შემოუსხდნენ მაგიდას და დაიწყეს თამაში. გ. ზაქარიანს ტყუილი არ უთქვამს, მართლაც ძალიან უნიჭო აღმოჩნდა, ყველა ჯერზე, „დურაკ"-ად რჩებოდა, რაც სურენ არეველიანს ღიმილს ჰგვრიდა, ელისაბედი კი გულიანად კისკისებდა.

— ეჰ, ეს თამაში აღარ მინდა, — ბოლოს წყენით წამოიძახა გ. ზაქარიანმა და ბანქო მაგიდაზე მიმოფანტა. — ამდენი „დურაკ"-ები რომ შევჭამო, საბოლოოდ სულელი გამოვალ... — და წამოდგა.

ელისაბედი სიცილისაგან იგუდებოდა, სურენ არეველიანმა კი ღიმილით მიუგო:

— მეგობარო, ასე მალე რად გაცხარდი? შენ არ იყავი ამბობდ, ჩემი საყვარელი თამაში ეგ არისო?

— დიახ, ეგ არის, მაგრამ... ახლა შემძულდა. იცი რას გეტყვი ლიზა, — მიმართა გ. ზაქარიანმა თავის ცოლს, — მოდი, როიალს მიუჯექი და ჩვენთვის დაუკარი და იმღერე. ჰა, სურენ? — უცბად მასპინძელი არეველიანს მიუბრუნდა. — შენ, ალბათ, არც იცი, რომ ჩემი მეუღლე კარგა ხანს მუსიკის გაკვეთილებს ღებულობდა. საგანგებოდ დავუჭირე მასწავლებელი ქალი. აი, ნახავ რა მშვენივრად უკრავს და მღერის...

— ჰა, ჰა, ჰა... — სიცილი დაიწყო ელისაბედმა, რომელიც ბაბქოს სათამაშო მაგიდას ალაგებდა. — ეგრე ნუ ამიყვანე ცაში, თორემ ვაითუ უცბად ძირს ჩამოვვარდე...

— ტყუილს ხომ არ ვამბობ...

— ქალბატონო, ფრიად სასიამოვნოდ დამრჩება, თუ თქვენი მეუღლის სიტყვები გამართლდება. — წარმოთქვა სურენ არეველიანმა ჩვეული სერიოზულობით. — გთხოვთ, თუ არ შეწუხდებით, ერთი რამ დაუკრათ ჩემთვის.

— თუ თქვენა გსურთ, ბატონო სურენ არეველიან, დიდი სიამოვნებით, — დასძინა ელისაბედმა, ცოტა აწითლდა, მერე როიალს მიუჯდა, ნოტების რვეული გადმოიღო და ფურცვლა დაუწყო.

— ვერ წარმოიდგენ, სურენ, როგორ მიყვარს მუსიკა,—თქვა გ. ზაქარიანმა — მაგრამ უბედურება ის არის, რომ არც ერთ ინსტრუმენტზე არ ვუკრავ, ბევრი ვეცადე შემესწავლა, მაგრამ ვერ მოვახერხე... ასეთი საქმეებისათვის ძალიან უნიჭო გამოვდექი, ჰა, ჰა, ჰა...

ამასობაში ელისაბედმა უკვე დაიწყო დაკვრა. თან სიმღერა ააყოლა. იგი მღეროდა ტკბილ მელოდიას, რომელიღაც სატრფიალო რომანსს, როგორიც არის საერთოდ ყველა სატრფიალო სიმღერა. ელისაბედს თუმცა ძალიან კარგი ხმა არა ჰქონდა, მაგრამ ტკბილად და სასიამოვნოდ კი ეღერდა. ნამდვილ მომღერალს ჰგავდა, ასობით მაყურებელთა და კრიტიკოსების წინაშე სცენაზე გამოსულ მსახიობს, რომელიც მომხიბვლელი ხმის საოცარი მოდულაციით ცდილობს გულში ჩასწვდეს ყველა მსმენელს, მაგრამ თან ფრთხილობს რაიმე შეცდომა არ დაუშვას, მაყურებლის თვალში არ დაეცეს. გ. ზაქარიანი აღტაცებული უყურებდა სურენ არეველიანს და თითქოს ეუბნებოდა:

„როგორია? — ბედნიერი ვარ, თუ არა?...“

სურენ არეველიანის სახეს ჩვეულებრივი სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ელისაბედის ტკბილი ხმა მასზე არავითარ გავლენას არ ახდენდა.

ელისაბედმა დაამთავრა და წამოდგა, სახე შეჭარხლებოდა, ასე უფრო ლამაზი და მშვენიერი ჩანდა, ხოლო მკერდი უფრო ხშირად უცემდა. შეხედა სურენ არეველიანს. მისი მზერა თითქოს ქებას მოელოდა მისგან, რაც სტუმრის სერიოზული ხმით წარმოთქმული კიდეც გაიგონა.

— გმადლობთ, ქალბატონო, თქვენ მშვენივრად მღერით და თქვენი მეუღლე უფლებამოსილია შეგაქოთ.

ამ ქებამ უფრო ააწითლა ახალგაზრდა ქალი. საპასუხო სიტყვა ვერ იპოვა და მადლობის ნიშნად მხოლოდ თავი დაუკრა.

— ბრავო, ბრავო, — უეცრად წამოიყვირა გ. ზაქარიანმა, თითქოს ახლა მოვიდა გონს და ალერსიანად გადახედა ცოლს. — დღეს რომ იმღერე, ასე კარგად არასოდეს გიმღერია. ბრავო, ბრავისიმო!..

უკვე საღამო იყო, როცა სურენ არეველიანი წასასვლელად მოემზადა. ბევრი ეხვეწნენ ჩაიც მიირთვითო, მაგრამ არ დარჩა. მეგობრულად ხელი ჩაჰოართვა და უთხრა:

— ჩემი უღრმესი მადლობა ასეთი ტკბილი სტუმართმოყვარეობისათვის. მშვიდობით.

— როგორ თუ „მშვიდობით?“ — შესძახა გ. ზაქარიანმა. — „მშვიდობით“ არ ვიცი, — ნახვამდის.

— დიახ, ბ. სურენ არეველიან, ვიმედოვნებთ, ამიერიდან ხშირად მობრძანდებით ჩვენსა, — თავის მხრივ უთხრა ელისაბედმაც.

— თქვენ დიდად დავალებულს მიშვებთ, ქალბატონო.

— ახ, ნუთუ ღირს ბ. სურენ არეველიან? — მაშინვე შეაწყვეტინა ელისაბედმა. — ვერ წარმოიდგენთ, როგორი კმაყოფილება მოგვანიჭა თქვენმა მობრძანებამ...

— ბ. სურენ არეველიან, მეც გთხოვთ, ამიერიდან ხშირად მოხვიდეთ ჩვენსა, — უთხრა ტიგრანიკმაც.

— ძალიან კარგი, ტიგრანიკ, — ღიმილით მიუბრუნდა სურენ არეველიანმა, — რაკი თქვენცა გსურთ, სიხარულით შევასრულებ თქვენს თხოვნას. ნახვამდის.

— ჰო, სურენ! — უცბად მიაძახა გ. ზაქარიანმა, როცა არეველიანი ოთახიდან გასვლას აპირებდა, — შენ არ გვითხარი აქ სად ცხოვრობ.

— „Grand Hotel“ სასტუმრო № 7.

— ძალიან კარგი, იქნება ოდესმე გესტუმროთ.

— როცა ინებოთ.

და იგი გავიდა ოთახიდან. უკან გაჰყვნენ გ. ზაქარიანი და ტიგრანიკი. შემდეგ, როცა გ. ზაქარიანი მარტო დაბრუნდა, დაინახა, ელისაბედი ფანჯარასთან იდგა ფიქრებში წასული და გარეთ იმზირებოდა. სახეზე უწინდელი მხიარული გამომეტყველება სულ აღარ ემჩნეოდა... სურენ არეველიანის წასვლით თითქოს რაღაც ძვირფასი რამ დააკლდა და რაც ხანი გადიოდა, უფრო საჯრძნობელი ხდებოდა ეს დანაკლისი...

ამის შემდეგ სურენ არეველიანი თითქმის ყოველდღე დაიარებოდა

გ. ზაქარიანის ოჯახში. ან ესენი ეახლებოდნენ ხოლმე სასტუმრო „Grand Hotel"-ში. ზოგჯერ ერთად მიდიოდნენ თეატრში, ან სადმე გასართობ ალაგას. ორი კვირის მეგობრობამ ისინი ისე დააკავშირა ერთმანეთთან, როცა არ ხვდებოდნენ, მოწყენილი იყვნენ. სურენ არეველიანს კვლავ სერიოზულად, გულგრილად ეჭირა თავი. ეს ნაწილობრივ პორკავდა ქალბატონს სავსებით გადაეხსნა გული მისთვის, როგორც ახლობელ მეგობრებშია მიღებული. ელისაბედს, ცოტა არ იყოს, ეჩოთირებოდა არეველიანის უცნაური გუნებ-განწყობილება... ნუთუ ეს კაცი მართლა იმდენად გულცივია, რომ მჭიდრო მეგობრობაც კი, რომელსაც იჩენენ თვითონ და მისი მეუღლე, გულს არ უხსნის?.. ან, ნუთუ მოკლებულია მგრძნობელობას?.. რატომ იცინის იშვიათად? მხოლოდ ღიმება, რატომ? ასე ცოტას რად ლაპარაკობს?.. ნუთუ მკაცრი კაცია?. ამ სიტყვების გაფიქრებისას პირდაპირ თვალებში უმზერდა სურენ არეველიანს. — არა, ასეთი კეთილი, ჭკვიანი თვალები, დარბაისლური პირისახე, პატიოსანი, მოკრძალებული გარეგნობა არასოდეს არ შეიძლება ჰქონდეს გულქვა ადამიანს... დაბოლოს ხმა! ნუთუ მკაცრ ადამიანს ესოდენ მომხიბლავი ხმა ექნება? არა, არასოდეს. ეგ გულქვა არ არის, არამედ... რაღაც უცნაური, იდუმალებით მოცული კაცია.

მაგრამ რანაირიც არ უნდა ყოფილიყო არეველიანი, ქალბატონს არ შეეძლო გულგრილად ეცქირა მისთვის. რარიგ მოსწონდა მისი დიდრონი, ჭკვიანი თვალები, ტკბილი ხმა, მგრძნობიარე მიხვრა-მოხვრა და სერიოზულობა, როგორ სწყუროდა ყოველ დღე, ყოველ ჟამს, ყოველ წუთს მისი ნახვა, მასთან საუბარი, დაკვრა, სიმღერა...

„მაგრამ რატომ?" — უეცრად ეკითხებოდა თავის თავს. — „ნუთუ მიყვარს?.."

ამ უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმისას მთელი სხეულით ცახცახებდა და შეშინებული, დამნაშავესავით ირგვლივ იყურებოდა, თითქოს ვიღაც საიდუმლოდ ზვერავდა, თუმცა ამ სიტყვებს ჩურჩულით ამბობდა და ისიც მაშინ, როცა მარტო იყო.

„დიახ, ეს გრძნობა სხვა არა არის რა, თუ არა სიყვარული",—უპასუხებდა უბედური ქალი და გული უცნაურად ეკუმშებოდა, რადგან გრძნობდა, რამდენად სახიფათო იყო იგი ქალისათვის, რომელიც უკვე გათხოვილია და შვილიცა ჰყავს. — ო, რატომ ვერ ვძლევ ამ გრძნობას, რომელიც, რაც დრო გადის, სულ უფრო მეტად მეუფობს ჩემზე, — განაგრძობდა ბჭობას თავის თავთან. — რატომ ვგრძნობ მასთან ჭიდილ-

ში უმწეობას, სისუსტეს... ბოლოს ვმარცხდები და ახალი ძალით მიწყებს გულის ღრღნას... ამ გრძნობამ რატომ ასე ადვილად და მალე შესძლო განედევნა ჩემი გულიდან სხვა ორი გრძნობა — მეუღლისა და დედური სიყვარული, — რომელთაც ამდენი წლების მანძილზე სათუთად ვინახავდი და ვეალერსებოდი, რომელთაც, ჩემის ფიქრით, ვერავინ გულიდან ვერ ამომიძირკვავდა... ახ, ნეტა მხოლოდ ერთი წუთით, ერთი წამით შემეძლოს ჩემს გულზე მეუფება, მაშინ ნამდვილად უკუვაგდებდი მას, მხურვალედ მოვეხვეოდი ჩემს კეთილ მეუღლეს, აღგზნებით გულში ჩავიკრავდი ჩემს უმანკო ტიგრანიკს და ყველაზე მხიარული და ბედნიერი ვიქნებოდი...“

ასეთი აზრები ბევრჯერ აფორიაქებდა საცოდავ ქალს. იგი ორივე ხელს მიიფარებდა სახეზე და მდუმარედ აქვითინებული ცრემლად იღვრებოდა.

ერთხანს სურენ არეველიანი მთელი ოთხი-ხუთი დღე არ გამოჩნდა. ქალბატონი ძალიან წუხდა. ასეთ დროს უფრო განიცდიდა იმ გრძნობის ძლევამოსილებას, რომელიც იმ კაცთან აკავშირებდა. გულში ენით გამოუთქმელი მძიმე სევდა უტრიალებდა, მთელი არსებით მასთან იყო. რაც უფრო ცდილობდა არ ეფიქრა, მით უფრო იმის გონება უნებლიეთ წათლად ხატავდა არეველიანის მშვენიერ, მუდმივ სერიოზულ სახეს, დიდრონ ჩაფიქრებულ თვალებს, ჭკვიან, გადაშლილ შუბლს...

მან მეტი ვეღარ აიტანა და ბოლოს მეუღლეს მიმართა:

— გარასიმ, — სურენ არეველიანი რატომ აღარ მოდის ჩვენთან?.. ვაითუ ავად გახდა?..

— აბა რა ვიცი, ჩემო სულიკო?.. თუ გინდა მივაკითხოთ?

— მივაკითხოთ.

და მაშინვე წავიდნენ „Grand Hotel“ სასტუმროში, მაგრამ იქაც ვერ ნახეს. მეორე დღესაც გაუარეს, მესამე დღესაც, მაგრამ არ იყო და არა. ლიზამ უკვე იმედი გადაიწყვიტა, აუტანელმა სევდამ მოიცვა. მთელი დღე სავარძელში იჯდა და ფიქრობდა. ათასგვარი აზრები უტრიალებდა თავში, ათასგვარი სურვილები უფორიაქებდა სულსა და გულს... „ახ ნეტავი ერთხელ კიდევ მანახვა, მხოლოდ ერთხელ, მერე კი თუ გინდ არასოდეს...“ — ამბობდა ასეთ წუთებში.

ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა უკანასკნელ ხანებში ახალგაზრდა ქალი და ასეთი ფიქრები უფორიაქებდა გულს, რომ ერთ დღეს გ. ზაქარიანმა გამოუცხადა (რაც ჩვენთვის ცნობილია პირველი თავიდან),

დღეს ქუჩაში შემხვდა სურენ არეველიანი და მითხრა, თერთმეტ საათზე გესტუმრებითო. ჩვენ უკვე ვიცით, რაოდენ გაიხარა ახალგაზრდა ქალმა ამის გაგონებაზე. აღტაცებისაგან არ იცოდა რა ექნა, მივარდა თავის შვილიკოს, მხურვალედ დაუწყო კოცნა წითელ ლოყებზე. უნდოდა ბავშვისთვის გაემჟღავნებინა კიდეც თავისი უსაზღვრო სიხარულის მიზეზი, მაგრამ როცა ტიგრანიკს უმანკო თვალებში ჩახედა, ანაზდეულად დადუმდა; ბავშვის თვალები თითქოს გაბოროტებით უმზერდნენ და ეუბნებოდნენ: — „გაჩუმდი, დედიკო, კრინტი არ დასძრა მაგაზე, თორემ კამკამა სულს წამიბილწავ, იცოდე... ო, გრცხვენოდეს ძაინც, დედიკო... ამის შემდეგ რაღად მინდიხარ?.. ნუთუ ამიერიდან შემიძლია დედიკო გიწოდო? ნუთუ გგონია ნებას დაგრთავ მომეხვიო? შენი ტუჩები საკოცნელად ვეღარ გაეკარებიან ჩემს სახეს... არა, დედიკო, ეგ არასოდეს აღარ მოხდება.. შენ იცი, ვინ ყოფილხარ? ერთი დამნაშავე, ცუდი დედა, ჩემი მამიკოს უსირცხვილო მოღალატე. შენ უმოწყალოდ იპარავ ნაზ, უსაზღვრო სიყვარულს და ვიღაც უცხო კაცს სთავაზობ...“ დიახ, ერთ წუთას მან იგრძნო ეს ყველაფერი და სინდისის ქენჯნამ თავზარი დასცა, თითქოს ჭრილობებმა დაუსერა გული. მეტი ვეღარ აიტანა და ყრუდ აქვითინდა...

III

მაგრამ გრძნობამ, სიყვარული რომ უწოდა, და მთელი არსებით მიენდო, მალე მოთოკა სინდისის ქენჯნა, და იმ სანეტარო იმედმა, რომ ერთი საათის შემდეგ კვლავ ნახავდა არეველიანს და გაესაუბრებოდა, ქალი უსაზღვრო სიხარულით აღავსო... მან სწრაფად მოიწმინდა თვალები, მხურვალედ მოეხვია ტიგრანიკს და ჩასჩურჩულა:

— არაფერია, ჩემო ტიგრანიკ, არაფერია, ნუ გეშინია... მაგრამ დღეს სკოლაში არ უნდა წახვიდე?

— როგორ არა, დედიკო, მაგრამ შენ რომ ტირი?..

— აღარ ვიტირებ, ჩემო შვილიკო... ეს ერთხელ დამემართა ასე... შენ სკოლაში წადი, მე კი უნდა გამოვეწყო, რადგან დღეს ბატონი სურენ არეველიანი უნდა გვესტუმროს და არ არის კარგი ასე მნახოს...

— მივდივარ, დედიკო, მაგრამ იცოდე, თუ კიდევ იტირებ, მეც ვიტირებ.

დედას გაეცინა. ბავშვი კისერზე მაგრად შემოეხვია, რამდენჯერმე აკოცა და ოთახიდან საჩქაროდ გავარდა. დედამ თვალი გააყოლა, მაგრამ მის მზერაში არ ელვარებდა ყველაზე ნაზი დედური სიყვარულის ის სიხარული, რომელშიც ნათლად შეინიშნება დედის გულის შვილის გულთან შემაერთებელი მტკიცე და ურღვევი კავშირი...

რამდენიმე წუთი ასე უძრავად იდგა. შემდეგ ღრმად ამოიოხრა და დაღვრემილმა, გაუბედავი ნაბიჯებით გასწია თავისი ოთახისკენ.

ნახევარ საათში ელისაბედი კოხტად გამოეწყო. სარკის წინ იდგა და თავის თავს ათვალიერებდა.

— ოჰ, ნეტავი ასე ფერწასული რადა ვარ? — ამბობდა სარკის წინ მდგომი. რა იცოდა, რომ ფერმკრთალობა უფრო შვენოდა, ვიდრე მოჭარბებული სიწითლე.

მაგიდას მიუახლოვდა, წითელი საღებავი აიღო, მაგრამ უცებ ზიზღით მოისროლა ოთახის კუნჭულისკენ და წამოიძახა:

— არასოდეს, არასოდეს!..

ელისაბედი სასტუმრო ოთახში შევიდა, სადაც ჩვეულებრივად სუფრენ არეველიანს იღებდნენ. შესვლისთანავე, უპირველეს ყოვლისა, საათს შეხედა. ნახევარი საათი იყო დარჩენილი იმის მოსვლამდე. სავარძელში მოკალათდა და თვალები საათის ისარს მიაპყრო. მოეჩვენა, რომ საათის ისრები ხან ძალიან ნელა მოძრაობდნენ, ხან კი — ჩქარა. ასე იმიტომ ემართებოდა, რომ მასში ამ წუთას ორი ერთი მეორის საწინააღმდეგო გრძნობა ბობოქრობდა — სიყვარული და სინდისი. სიყვარული ეუბნებოდა: „უნდა ნახო, რადგან ტკბილია“. სინდისი კი — „არა, ეგ დანაშაულია“. რომელს დაემორჩილოს? — ორივენი ერთნაირი ძალით მოქმედებენ — პირველს? მერე როგორ გაუძლოს იმ აუტანელ ცეცხლს, მეორე რომ დაუნთებს გულში!.. მეორეს? მაგრამ ნათლად რომ გრძნობს, პირველი ერთ წამსაც აღარ მოასვენებს!.. ღმერთო, რა გამოუვალი მდგომარეობაა!.. მაგრამ ვაი რომ, ადამიანი დიდად შორსმჭვრეტელი არ არის... მის ნებისყოფას კი იმდენად უძლური ფესვები აქვს გულში გადგმული, რომ იგი უფრო მალე ნებდება წადილს, ვნებას, ვიდრე თავისი შინაგანი ხმის კარნახს. ასევე დაემართა ქალბატონ ელისაბედსაც — იგი დაემორჩილა სიყვარულის კარნახს, რადგან მიხვდა, იგრძნო უძლური იყო მასთან შერკინებაში.

„დაე, ამიერიდან რაც მოსახდენია, მოხდეს, მაგრამ ვგრძნობ, უიმისოდ ძალიან გამიძნელდება სიცოცხლე...“ — გადაწყვიტა ახალგაზრდა

ქალმა, და სწორედ ამ დროს საათმა თერთმეტჯერ დარეკა. დერეფანში ზარის წკარუნი გაისმა. ახალგაზრდა ქალი მთელი სხეულით შეკრთა და კარებისკენ მიიხედა. არ გასულა ორი წუთი, კარი გაიღო და ზღურბლზე სურენ არეველიანი გამოჩნდა განუყრელი სერიოზული გამომეტყველებით.

ელისაბედმა დაინახა თუ არა, თავი ვეღარ შეიკავა, მყისვე წამოხტა, თითქმის სირბილით მიიჭრა მასთან, ნაზი ხელი გაუწოდა და მხიარულად შესძახა:

— გამარჯობათ... ბატონო სურენ არეველიან.

— გამარჯობათ, ქალბატონო, — უპასუხა თავშეკავებით სურენ არეველიანმა და ხელი ჩამოართვა: — როგორ ბრძანდებით?

— ჩვენ ყველანი კარგად ვართ... მაგრამ თქვენ კი მთელი ერთი კვირა დაგვივიწყეთ... რამდენჯერმე მოგაკითხეთ სასტუმროში, იქაც ვერ გნახეთ.

— ვწუხვარ, ქალბატონო, თქვენი ესოდენი შეწუხების მიზეზი რომ გავხდი, მაგრამ არც მე მიმიძღვის ბრალი; ეს ერთი კვირა მოგზაურობისათვის ვემზადებოდი.

სურენ არეველიანის უკანასკნელმა სიტყვებმა თავზარი დასცა ქალს.

— უკვე აპირებთ აქედან წასვლას?—მაშინვე შეეკითხა დაუფარავი მოუსვენრობით.

— დიახ.

— როდის?..

— ალბათ ერთ-ორ დღეში.

ახალგაზრდა ქალს მთლად შეეცვალა სახე. ფიქრად არ გაუტარებია, თუ სურენ არეველიანი ასე მალე გადაწყვეტდა აქედან წასვლას... ელისაბედი შიშმა დაზაფრა, ვაითუ ჩემი ოავი გავცეო. მაგრამ იღბალზე სურენ არეველიანს არც ამჯერად შეუხედავს. იგი სავარძელში იჯდა და მშვიდად იყურებოდა ფანჯრისაკენ, საიდანაც ფრინველების მხიარული ჟრიკჟრიკი შემოდიოდა წამიერი დუმილით მოცულ ოთახში.

— ასე მალე რატომ მიემგზავრებით? — შეეკითხა ელისაბედი, თან ცდილობდა ხმისთვის სერიოზული ტონი მიეცა, რასაც ვერ ახერხებდა; მის კილოში კვლავ თრთოლვა იგრძნობოდა.

— მალე არ არის, ქალბატონო, ჩემი ანგარიშით კიდეც დავაგვიანე.

— მაგრამ, როგორ ბედავთ აზიაში მოგზაურობას, ბატონო არეველიან, იქ ხომ ათასგვარი ველური ტომები დაძრწიან და ადმიანს ყოველ ფეხის გადადგმაზე საფრთხე მოელის...

— მაგას ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ქალბატონო. როგორც ყველა ადამიანი, მეც, ადრე თუ გვიან, ერთხელ უნდა მოვკვდე, და აქ მოვკვდები თუ ველურ ტომებში, — ჩემთვის სულ ერთია. მოგზაურობის ისეთი დიდი სურვილი მაქვს, რომ არავითარ საფრთხეს არ შევუშინდები.

სრულიად გულგრილად წარმოთქმულმა ამ სიტყვებმა ქალბატონზე ისეთი გავლენა იქონიეს, რომ წამით თვალწინ დაუდგა ველური ტომები როგორ ფლეთდნენ ამ კაცს, რომელთანაც ესოდენ სიახლოვეს გრძნობდა მისი გული. ქალი შიშმა აიტანა, მაგრამ მაინც წადგა ნაბიჯი წინ, თითქოს იმ მიზნით, რომ ველური მტარვალებისგან დაეხსნა იგი... მზად იყო კისერზე შემოხვეოდა, გულში მაგრად ჩაეკრა და დაეყვირა: — „არა, არა, შენ არასოდეს არ წახვალ იქ — მე ნებას არ მოგცემ...“

მაგრამ დროზე შეიკავა თავი, შებრუნდა, თითქმის ბარბაცით მივიდა როიალთან, მიუჯდა, აიღო ნოტების რვეული და უნებლიეთ დაიწყო ფურცვლა, სანამ დამშვიდდებოდა. დაწყნარდა, ნოტების რვეული თავის ადგილზე დადო და ნაღვლიანი ხმით შეეკითხა:

— ნუთუ არც ერთი მეგობარი არ გეგულებათ, არც ერთი... ამოსიყვარულე გული, ვისთვისაც ღირდა მაგ განზრახვაზე ხელის აღება?..

სურენ არეველიანი წამით მიაჩერდა ელისაბედს თვალებში და ჩვეულებრივი ტონით უპასუხა:

— არა.

ოთახში სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. ამ დროს სურენ არეველიანს ახალგაზრდა ქალისათვის რომ შეეხედა, უმალვე შეამჩნევდა, მასში რაღაც საშინელი ბრძოლა სწარმოებდა. ელისაბედს გული ისე ძალუმად უცემდა, თითქოს მკერდიდან ამოვარდნას ლამობსო, ფართოდ გახელილ თვალებში იდუმალი სურვილი შეინიშნებოდა, მაგრამ ამავე დროს გაუბედაობა და შიში ჩასდგომოდა, ხოლო ბაგენი ისე უთრთოდა, თითქოს რაღაცის თქმას აპირებენო... უეცრად ქალმა სახეზე ხელები აიფარა და სადავემიშვებულმა ქვითინმა ყელში წაუჭირა.

სურენ არეველიანი კი ისევ გარეთ იყურებოდა. უეცრად შემობრუნ-

და, მაგრამ სულაც არ გაუკვირვებია მის წინ გადაშლილ სურათს, დინჯად წამოდგა, მიუახლოვდა ახალგაზრდა ქალს და ჩვეული სერიოზული ხმით შეეკითხა:

— ქალბატონო, რა დაგემართათ?

ახალგაზრდა ქალმა ქვითინს უმატა ბავშვივით, რომელსაც საალერსო და გულისამაჩუყებელი ტკბილი სიტყვები უთხრეს.

— ნუთუ ამდენი ხნის განმავლობაში ვერ მიმიხვდით?.. — ძლივს ამოთქვა მოზღვავებული ცრემლებისაგან სულშეგუბებულმა ქალბატონმა, რომელიც კვლავ სახეზე ხელებაფარებული იდგა.

სურენ არეველიანი, ცოტა არ იყოს, გაფითრდა. ერთ წამს გაუნძრევლად იდგა ახალგაზრდა ქალის წინაშე და გაშტერებული შესცქეროდა. შემდეგ ხელი თავის ხშირ თმაზე გადაისვა, მოშორდა, სარკმელთან მივიდა და გარეთ დაიწყო მზერა.

ოთახში კვლავ გაისმოდა ახალგაზრდა ქალის ქვითინი, რომელიც თანდათან ნელდებოდა. ბოლოს სრულიად მიწყდა. ელისაბედმა ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლიანი თვალები მოიწმინდა. უკანასკნელ სიტყვებს თითქოს მთელი სიმწარე ამოაყოლა და ამით დაიმშვიდა აღელვებული გული. სურენისათვის სახეში შეხედვას ვერ ბედავდა, მის წინაშე თითქოს საშინელი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, რის გამო რცხვენოდა კიდეც და თანაც ეშინოდა. თვალებში კი მოუთმენლობის ცეცხლი ჩასდგომოდა. დარწმუნებული იყო, სურენ არეველიანი მიუხვდა და მსჯავრდადებულივით ელოდებოდა რა განაჩენს გამოუტანდნენ— ეშაფოტზე ასვლას თუ თავისუფლებას. რასაკვირველია, ასეთივე მოუთმენლობით ელოდა რას ეტყოდნენ ამ გულცივი, გულგრილი კაცის ბაგენი...

სურენ არეველიანი დიდხანს უძრავად იდგა სარკმელთან, ღრმა ფიქრებში წასული და გარეთ იმზირებოდა. ბოლოს, რამდენიმეჯერ ხელი გადაისვა ლამაზ თმაზე — ამას სჩადიოდა მაშინ, როცა სერიოზული საუბარი უნდა წამოეწყო — შემობრუნდა ახალგაზრდა ქალისაკენ, წამიერი მზერა მოავლო და შემპარავი გაბოროტებული ხმით უთხრა:

— ქალბატონო, ოდესმე გიფიქრიათ თქვენს მდგომარეობაზე?

— გიფიქრიაო? — მექანიკურად გაიმეორა ახალგაზრდა ქალმა, — გიფიქრიაო, მეკითხებით? — ო, მე რომ არასოდეს არ მომცემოდა საშუალება ჩემ მდგომარეობაზე ფიქრისა, ასეც არ დავიტანჯებოდი... კარ-

გად მესმის, რის თქმაც გინდათ,—ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაუმატა მან,— მაგრამ... არ შემიძლია... წინააღმდეგობის გაწევის ძალა არ შემწევს, გესმით თუ არა?.. მე სუსტი ვარ... მე ქალი ვარ...

ელისაბედმა კვლავ ხელები მიიფარა სახეზე და აქვითინდა.

ეტყობა, სურენ არეველიანს გული შეუტოკა ქალის მდგომარეობამ. წარბები შეიჭმუხნა, ხოლო თვალების ქუთუთოები აუცახცახდა. იგი მძიმე ნაბიჯებით მიუახლოვდა ახალგაზრდა ქალს და ალერსიანად უთხრა:

— დამშვიდდით, ქალბატონო, თქვენი თვალებიდან ცრემლი არ უნდა იღვრებოდეს (ახალგაზრდა ქალმა ამ სიტყვების გაგონებაზე ქვითინი შეწყვიტა და სუნთქვა შეიკავა). მთელი გულის სიღრმით მებრალებით, — განაგრძო მან. — არ გამტყუნებთ, რომ ძალა არ შეგწევთ, რომ სუსტი ხართ... ამაში იმდენად თქვენ როდი ხართ დამნაშავე... რამდენადაც თვითონ ბუნება, შემთხვევა, პირობები... მაგრამ მაინც გეუბნებით და ამას ხაზს ვუსვამ, რომ ეგ არასოდეს არ უნდა მოხდეს. თუ გინდათ ბედნიერი იყოთ, ყოველი საშუალებით უნდა შეებრძოლოთ თქვენს გულში აბობოქრებულ გრძნობას. შეებრძოლოთ მედგრად, მთელი არსებით და მანამდე, ვიდრე არ ჩაიკლავთ, საბოლოოდ არ დათრგუნავთ. და მაგას მიაღწევთ, თუ გექნებათ ნებისყოფა. სადაც ნებისყოფაა, იქ ცოუნება ფეხს ვერ მოიკიდებს.

— არ შემიძლია...

— ქალბატონო, კარგად დაფიქრდით. თქვენ მეუღლე და დედა ხართ, დედა ერთი ლამაზი, მშვენიერი ბავშვისა; ტიგრანიკი... ისეთი ბავშვია, რომლის ბედნიერებას ყველაფერი უნდა შესწიროთ... თუ თავი არ გებრალებათ, და არც თქვენი კეთილი მეუღლე გეცოდებათ, ეგ უმანკო ბავშვი მაინც შეიბრალეთ, რომლის ბედნიერება თქვენს სიყვარულშია. ნუ წაართმევთ ამ ბედნიერებას იმას და სხვას ნუ უბოძებთ. ცოდოა. შეეცადეთ თქვენი გული მხოლოდ ამ ბავშვისა და თქვენი მეუღლისათვის ძგერდეს და არა ვიღაც სხვისთვის, ეგ საჭიროა. ეგ აუცილებელია.

— თქვენ არ გიყვარვართ... — იმედგაცრუებულმა ქალმა თითქმის ყვირილით წამოიძახა და კვლავ ხელები მიიფარა სახეზე.

— ნუ შეეცდებით იმის გამორკვევას, მიყვარხართ თუ არა, ეს, ორივე შემთხვევაში, ზედმეტი იქნება. მე, როგორც თქვენი ჭეშმარიტი მეგობარი, როგორც თქვენი გულშემატკივარი, მარტო ბედნიერებას გი-

სურვებთ. მერწმუნეთ, თქვენი მდგომარეობის გამო მე უფრო ვარ გულნატკენი, ვიდრე თქვენ თვითონ. ცოტა შორსმჭვრეტელი რომ იყოთ და კარგად დაფიქრდეთ, დაინახავდით რა საშინელი უბედურება მოგელით მომავალში, თუ ეხლა ასრულდა ის, რაც თქვენ გწადიათ. მერწმუნეთ, ის, რაც ბედნიერებად მიგაჩნიათ, სინამდვილეში სხვა არა იქნება რა, თუ არა მხოლოდ და მხოლოდ ყველაზე შემაძრწუნებელი უბედურება, მოშხამული სიცოცხლე... ყოველი ადამიანი მუდამ უნდა ფიქრობდეს თავისი გადადგმული ნაბიჯების შედეგებზე. ამისათვის კი საჭიროა შორსმჭვრეტელობა. ადამიანი ყოველნაირად უნდა ეცადოს არ დანებდეს ვნებას, ცთუნებას — ამისათვის კი საჭიროა ნებისყოფა. თუ ადამიანს ეს ორი აუცილებელი პირობა გააჩნია — ყველაფერში გაიმარჯვებს და ბედნიერი იქნება... ათასწილად სჯობია ადამიანი უპირატესად დაიტანჯოს, თუ დარწმუნებულია ეს ტანჯვა ბედნიერებით დაგვირგვინდება, ვიდრე ადრე ბედნიერება იგემოს (თუმცა ეგ ცარიელი სიტყვა იქნება), მერე კი მწვავედ დაიტანჯოს. მე ამას ვამბობ იმისათვის, ქალბატონო, რომ თქვენ დაგარწმუნოთ რაოდენ დიდი ძალა გჭირდებათ დასძლიოთ თქვენი გულის მღრღნელი გრძნობა, რომელზეც გამარჯვებას მომავალში დიდი ბედნიერებით აინაზღაურებთ... და ბოლოს, იფიქრეთ თქვენს პატიოსნებაზე, პატიოსნებაზე, რომელიც ადამიანისათვის ყველაფერია და ურომლისოდ ადამიანი არაფერია; უფრო მეტიც, ყველაზე ცუდი, ყველაზე საზიზღარია ყველა არსთა შორის. მაშასადამე, თუ პატიოსნება ესოდენ დიდ როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში, თუ იგი კაცური კაცის ღირსების ყველაზე პირველი ნიშანია, მაშინ ალმაცერად რატომ უნდა ვუყურეთ? იოლად და ერთი ხელის დაკვრით რად შევაქციოთ ზურგი? ყველაზე მაღლა რატომ არ უნდა ვაყენებდეთ? და, მაშასადამე, იმის ურყევად შენახვისათვის, რატომ ყველაფერს არ უნდა ვწირავდეთ?.. ბოლოს კი, ჩემს თავზეც მოგახსენებთ. ერთი მითხარით, ქალბატონო, რატომ გგონიათ, რომ მე შემიძლია ამხანაგის ღალატი? რატომ უნდა წავართვა ჩემს მეგობარს ბედნიერება და საშინელ ტანჯვა-ვაებაში დავტოვო?.. ძმური, ამხანაგური, მეგობრული უწმინდესი კავშირი რატომ უნდა შევბილწო ისეთი დანაშაულით, რომელსაც არც ღმერთი და არც ადამიანი არ შეგინდობს?.. არა, ქალბატონო, რაც გინდათ იფიქრეთ, მაგრამ ეგ ჩემთვის შეუძლებელია; მე არასოდეს არ გადავდგამ ასეთ ნაბიჯს, რომ ვიცოდე ამისათვის სიკვდილიც არ აშცდება.

უკანასკნელი სიტყვები ისე მტკიცედ იყო ნათქვამი, ელისაბედი, რომელიც მთელი ამდენი ხნის განმავლობაში უძრავად იჯდა, ხელები მიეფარებინა სახეზე და მის თითოეულ სიტყვას, როგორც ამბობენ ყლაპავდა, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ არეველიანის გულის მოლბობაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. სურენის სიტყვები ბასრი ისრებივით ესობოდა ტვინში და ნათლად გრძნობდა, რაოდენ მწარე სიმართლე იყო მათში... ელისაბედი უძრავად იჯდა, ქანდაკებასავით გარინდებული, მის ყურებში ისევ ხმაური გაჰქონდა სურენ არეველიანის მიერ მთელი სერიოზულობით წარმოთქმულ სიტყვებს. ეს სიტყვები ძალზე მარტივი იყო, მაგრამ იმდენად შეუბრალებელი და უტყუარი, რომ ქალის ცნობიერებაში თანდათან თითქოს გადატრიალებას ახდენდნენ...

უეცრად თავი აიღო, ირგვლივ მიმოიხედა. სახე გაფითრებული ჰქონდა, მზერა—უაზრო, დაბნეული. დაინახა სურენ არეველიანი ისევ სარკმელთან იდგა და გარეთ იყურებოდა. ვერ დაეჯერებინა, თუ ცოტა ხნის წინათ ამ შთამაგონებელი სიტყვების მთქმელი ეს კაცი იყო: თავი სიზმარში ეგონა და ის სიტყვებიც თითქოს სიზმარში გაიგონა. მერე რა, განა სულ ერთი არ იყო? — ის სიტყვები ისეთი ნათელი, შთამაგონებელი გახლდათ, მათში იმდენი სიმართლე, პატიოსნება იყო, ისე თანაგრძნობითა და გულწრფელად იღვრებოდა...

ელისაბედი შეეცადა წამომდგარიყო, მაგრამ თავბრუ დაეხვა და ისევ სკამზე დაეცა. სურენ არეველიანმა მოიხედა. უმალ მასთან გაჩნდა.

— ქალბატონო, რა მოგივიდათ? — ცოტა არ იყოს, მღელვარებით შეეკითხა იგი.

— არ ვიცი, რა მემართება, — ჩურჩულით წარმოთქვა ახალგაზრდა ქალმა, ორივე ხელი თავზე შემოიჭდო და წაილუღლუღა: — ცუდად ვგრძნობ თავს.

— თქვენ ავადა ხართ, ქალბატონო, დასვენება მოგიხდებათ.

სურენ არეველიანის დახმარებით ახალგაზრდა ქალი წამოდგა.

— მაპატიეთ, ბატონო სურენ, — უთხრა მან, — თავბრუ მესხმის, მიმიყვანეთ ჩემს დასაძინებელ ოთახამდე...

ელისაბედი დაეყრდნო სურენ არეველიანის მკლავს. სტუმარმა საწოლი ოთახის კარებამდე მიაცილა, ცილინდრი დაიხურა და გარეთ გავიდა.

IV

მომდევნო დილა ისეთი თვალწარმტაცი და საამური იყო, რომ გული სიხარულით ივსებოდა. ფრინველები — ბუნების ეს მომხიბლავი პატარა მგოსნები — დილაადრიან შესდგომოდნენ თავიანთ მრავალფეროვან მუსიკას, ხოლო ყვავილებსა და ვარდებს დამატკბობელი სურნელებით აევსოთ არემარე.

მზე ჯერ არ ჩანდა, მთების მიღმა იყო, მაგრამ გაწითლებულ ჰორიზონტს ემჩნეოდა, რომ მალე ამოვიდოდა და თავის „საქმეს“ შეუდგებოდა.

ელისაბედი ბაღში იჯდა გრძელ სკამზე, მარტო იყო... მაისის დილის სიცივისაგან თავის დასაცავად მხრებზე შალი წამოეხურა. სახე დიდი ხნის ნაავადმყოფარივით გაფითრებოდა. ჩალურჯებულ თვალებზე ეტყობოდა, რომ ღამე უძილოდ გაეტარებინა. იგი ისე უმზერდა ყვავილებს, რომ აშკარად ეტყობოდა, არაფერს გრძნობდა.

დიდხანს იყო ამ მდგომარეობაში, რომ უეცრად ბაღის ბოლოში გ. ზაქარიანი გამოჩნდა. ის აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს ვიღაცას ეძებდა. როცა ელისაბედი დაინახა, უმალვე მისკენ წამოვიდა და მგზნებარედ შესძახა:

— ლიზა, ლიზა, აქა ხარ?..

ელისაბედმა გაოცებით გადახედა მას და არაფერი უპასუხა. გ. ზაქარიანმა ხელებში ჩაჰკიდა ხელი და განაგრძო:

— სული ამომივიდა შენს ძებნაში, ძალიან შემეშინდა, საწოლ ოთახში რომ ვერ გიპოვე... ამ დილა ადრიან აქ რას აკეთებ?

ახალგაზრდა ქალი ახლაღა მოეგო გონს, მთელი სხეულით შეკრთა და გაცბუნებულმა მიმოიხედა ირგვლივ. მერე მეუღლეს გადახედა და შეეკითხა:

— რა გინდა, გარასიმ?..

— გეკითხები, ასე ადრიან აქ რას აკეთებ-მეთქი?

— არაფერს.

— მაშ რაღას უზიხარ?.. ლიზა, ავადა ხარ, მთელ ღამეს ბოდავდი... ახლა კი, ასე ადრიან, ამ სიცივეში გამოსულხარ, ხომ შეიძლება ავად გახდე. როდის იცოდი ასე, ახლა რომ იქცევი?.. ვერ გამიგია, გუშინდელს აქეთ რა დაგემართა... ლიზა, ჩემო სულიკო, წავიდეთ შინ, სახეზე ფერი არა გაქვს. წავიდეთ.

ახალგაზრდა ქალმა ხელები უკან დასწია, წამოდგა და ხმაამოუღებლივ შინისაკენ გაემართა. გ. ზაქარიანი უკან მიჰყვა. კიბეებზე ასვლისას ზაქარიანმა ხელი შეაშველა, მაგრამ ცოლმა უარი უთხრა, ნება არ დართო. დასაძინებელ ოთახში შეეიდნენ, აქ ტიგრანიკის პატარა საწოლიც იდგა, რომელზეც ამ დროს ტკბილად ეძინა ბავშვს.

ელისაბედი ჩამოჯდა საწოლზე და თავი ბალიშზე მიდო.

— ლიზა, ჩემო სულო, რა ჭკვივა? ასე რად გამოიცვალე? — ბოლოს უთხრა გ. ზაქარიანმა და მოუსვენრად მიაჩერდა ცოლს სევდით დაბინდულ სახეში.

— არაფერი, არაფერი, გარასიმ... თვითონაც არ მესმის, ამ დღეებში რა მემართება...

— რაღაცას მიმალავ..

— ოჰ... — ახალგაზრდა ქალი მოუსვენრად შეირხა, — გარასიმ, გთხოვ, თავი დამანებო...

— გინდა ექიმი მოგიყვანო?

— საჭირო არ არის.

— ღმერთო ჩემო, მაშ სულ ასე ხომ არ იქნები?..

— გარასიმ, თუ გიყვარდე, მომასვენე... მინდა მარტო ვიყო.

— თუ გინდა დღეს სამსახურში არ წავალ და მთელი დღე ერთად ვიყოთ?

— არა, ჩემი მიზეზით სამსახურს ნუ გააცდენ. — და ელისაბედმა თვალები დახუჭა. ნათლად ეტყობოდა, ლაპარაკი თავს აბეზრებდა.

დაღვრემილმა გ. ზაქარიანმა მხრები აიჩეჩა, მივიდა კარებთან, ისევ შემობრუნდა და თქვა:

— საბანი მაინც დაგახურო, — გაცივდები.

— არაფერი არ მინდა.

გ. ზაქარიანმა რომ დაინახა, ცოლი ყველაფერში ეწინააღმდეგებოდა, ოთახიდან გავიდა. იგი გაოცებული იყო ცოლის ასეთი გამოცვლის გამო, ფიქრით თავს იტეხდა, მაგრამ ნამდვილი მიზეზი ვერ გაეგო. არ იცოდა, რით აეხსნა ცოლის ესოდენ გამოცვლა. ავად არ არის, — ფიქრობდა იგი. — ვთქვათ ავადაც არის, დასამალი რა აქვს?.. იქნება რაიმე იდუმალი დარდი აწუხებს, გულს უღრღნის, მაგრამ ისეთი რა არის, რომ არ მიმეღალვნებს?.. იგი სასოწარკვეთილი იყო... თავში ზოგჯერ ეს აზრი გაუელვებდა ხოლმე: ცვლილება მოხდა სწორედ იმ დღიდან, როცა სურენ არეველიანმა ჩვენს ოჯახში ფეხი შემოდგა, ნუთუ ელისაბედმა

ეგ კაცი შეიყვარა?.. არა, არა, ასეთი აზრის გატარება, დიდი დანაშაულია. ნუთუ მეუღლე, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში მასთან უანგარო სიყვარულით ცხოვრობს, ოდესმე უღალატებს? არა, ეგ შეუძლებელია!... გულუბრყვილოდ ფიქრობდა ზაქარიანი. რა იცოდა, ადამიანის გული როგორ მალე და მოულოდნელად იცვლება!.. ზაქარიანი იტანჯებოდა, როცა მეუღლეს მელანქოლიურ მდგომარეობაში ხედავდა, მზად იყო ყველაფერი შეეწირა, ოღონდ როგორმე გაემხიარულებინა. საცოდავი კაცი გაქვავებული იყო, არ იცოდა რა გზას დასდგომოდა. მოემზადა, სამსახურში წასვლა დააპირა, მაგრამ გულმა არ მოუთმინა, კიდევ ერთხელ უნდოდა ენახა ცოლი. ფრთხილად შეაღო კარი და შევიდა. ახალგაზრდა ქალი ისევ ისე იწვა. ოდნავ სუნთქავდა. მისი სუნთქვა ტიგრანიკის ბავშვურ სუნთქვას ერწყმოდა.

ელისაბედს ეძინა. ზოგჯერ ფერმკრთალი ბაგენი გაეპობოდა და თითო-ოროლა გაუგებარ სიტყვებს გამოთქვამდა.

გ. ზაქარიანი დიდხანს უძრავად იდგა, უმზერდა მის მშვენიერ, სევდისაგან დატანჯულ სახეს, ყურს უგდებდა წარმოთქმულ სიტყვებს, მაგრამ ვერაფერს იგებდა. ბოლოს ღრმად ამოიოხრა და კვლავ დიდი სიფრთხილით ოთახიდან გავიდა.

კარგა ხანმა გაიარა. დედა-შვილს ძილს არავინ უფრთხობდა. კარი ნელა გაიღო. ამჯერად ახალგაზრდა მოახლე შევიდა. იგი ფეხის თითებზე ფრთხილად მიუახლოვდა მაგიდას, რომელიც ქალბატონის საწოლთან იდგა, და კონვერტი დადო. უკან გაბრუნდა, მაგრამ გასვლისას კარებმა დაიჭრიალა და ამ ხმამ დიასახლისს ძილი დაუფრთხო. შეშინებულმა ელისაბედმა გაიღვიძა და ირგვლივ მიმოიხედა...

— ვინ არის? — ჩურჩულით იკითხა.

— მე ვარ, ქალბატონო, — უპასუხა მოახლემ და ოთახში შებრუნდა.

— რა გინდა?

— არაფერი, ქალბატონო. ბატონი სურენ არეველიანი ეხლა აქ იყო...

— აქ იყო? — სწრაფად შეეკითხა ახალგაზრდა ქალი.

— დიახ, ქალბატონო. თქვენი ნახვა სურდა, მაგრამ, რაკი გეძინათ და ბატონიც შინ არ იყო, წერილი დატოვა და დამავალა, როცა გაიღვიძოს, პირადად გადაეცი.

— მერე, სად არის წერილი?

— შანდ არის მაგიდაზე.

— წადი, კარგი, — უთხრა ახალგაზრდა ქალმა და სანამ მოახლე გარეთ გავიდოდა, იგი წერილს ეძგერა. აიღო, აკანკალებული ხელით გახსნა და წაიკითხა:

„პატივცემულო ქალბატონო! მაპატიეთ, პირადად რომ ვერ გინახულეთ და უკანასკნელ სალამს ამ წერილით გიგზავნით. დღეიდან სამუდამოდ ვშორდები აქაურობას, და რაც უფრო მალეა, მით უკეთესი; ვგრძნობ, ჩემი აქ ყოფნა და ჩვენი მეგობრობის გაგრძელება უკვე შეუძლებელია. მე არა მსურს და არც უნდა გავხდე თქვენი და თქვენი მეუღლის უბედურების მიზეზი. არასოდეს არ მიღალატია და არც უნდა ვუღალატო ჩემს ამხანაგს, ჩემს მეგობარს. გთხოვთ, თქვენც მუდამ ერთგული იყოთ თქვენი მეუღლის, რომელთანაც ამდენი ხნის განმავლობაში გულითადად გიცხოვრიათ. იგი ღირსია მაგისი. რაკი მე ვიყავი თქვენი ოჯახური მყუდროების დარღვევის მიზეზი, გულით გისურვებთ ადრინდელი მყუდროება კვლავ დაგიბრუნდეთ, მე კი ერთადერთ სწორ გზას ჩვენს სამუდამოდ გათიშვაში ვხედავ... ნუ შეეცდებით რაიმენაირად გაიგოთ, მიყვარდით თუ არა, ეგ საიდუმლოებაა, რის გაგება ზედმეტია... მაშ ასე, დარჩით მშვიდობით, ქალბატონო, შეეცადეთ დამივიწყოთ და ისევ ბედნიერი იქნებით... გთხოვთ ბოდიში მომხადოთ თქვენს მეუღლესთან, რომ გამგაზვრების წინ ვერა ვნახე, გადაეცით სალამი და აკოცეთ ტიგრანიკს. განმეორებით გთხოვთ ერთგული იყოთ თქვენი ქმრის. გაიხსენეთ ხოლმე ჩემი სიტყვები; ყოველი ნაბიჯის გადადგმამდე კეთილგონიერება გამოიჩინეთ და გამარჯვებული იქნებით.

მუდამ თქვენი კეთილის მსურველი —

სურენ არეველიანი“.

ქალს ხელები დაუსუსტდა და მუხლებზე ჩამოუცვივდა. ყელში მძიმე რაღაც მოაწვა, თავი ბალიშში ჩარგო და ბავშვივით აქვითინდა. ამ ხმაზე ტიგრანიკმა გამოიღვიძა და საწოლში წამოჯდა. აქვითინებული დედა რომ დაინახა, შეშინებული მაშინვე საწოლიდან ძირს გადმოხტა, მიირბინა დედასთან, მუხლებზე მოეხვია და შესძახა:

— დედიკო, შენ დღესაც ტირი?

დედამ აიყვანა ბავშვი, გულში ჩაიკრა და ქვითინით უთხრა:

— ჩემო ტიგრანიკ, ჩემო ძვირფასო, ამიერიდან მხოლოდ შენ უნდა განმიკურნო ჩემი ნაიარევი გული...

* * *

ამ დღიდან წლიბმა განვლო.

გ. ზაქარიანი დღესაც ცხოვრობს თავის ცოლ-შვილთან ერთად. ელისაბედი გრძნობს, რომ თანდათან უცივდება გულში ის გრძნობა, ერთ დროს რომ ჰქონდა იმ კაცის მიმართ, რომელიც ცოლ-ქმრის უბედურების მიზეზი რომ არ გამხდარიყო, სამუდამოდ განშორდა მათ. იგი იმ კაცზე მხოლოდ ამას ფიქრობს:

აი ნამდვილად პატიოსანი, ჭკვიანი, მტკიცე ნებისყოფიანი, ერთგული და ჭეშმარიტი მეგობარი, რომლის მსგავსი ძალიან იშვიათად მოიპოვებაო... რაც უფრო ღრმად უფიქრდება მის საქციელს, მით უფრო გრძნობს, რომ ბევრნაირად არის დავალებული მისგან. ნუთუ ტყუოდა, როცა ამბობდა—„იბრძოლე და გამარჯვებული იქნებიო?“ ელისაბედმა იბრძოლა, თავისი მტკიცე ნებისყოფის კარნახით, და დიდი ზნეობრივი ბრძოლის შემდეგ კვლავ გაუთენდა ბრწყინვალე და ყველაზე უტკბესი იმედების აღმთქმელი დილა! იგი თავის გარშემო ხედავს კეთილ მეუღლეს და შვილს. ისინი უღიმიან, უყვართ, ეხვევიან როგორც ბავშვს და ისიც მათ თავის გულში უფრო მტკიცედ ფესვებგადგმული, ტკბილი და უსასრულო სიყვარულით პასუხობს...

სურენ არეველიანი კი კვლავაც უგზოუკვლოდ არის დაკარგული, მისი ასავალ-დასავალი არავინ იცის.

რაც შეეხება გ. ზაქარიანს, იგი ფრიად გახარებულია, რომ მისმა საყვარელმა ლიზამ კვლავ მოიხედა და უწინდებურად უყვარს იგი. მაგრამ არ იცის და, ალბათ, არც ოდესმე ეცოდინება, რომ თავის ამ უსაზღვრო ბედნიერებას მხოლოდ და მხოლოდ სურენ არეველიანს, თავის ჭეშმარიტ მეგობარს უნდა უმადლოდეს.

1886

ნუნე

(სომეხთა ცხოვრებიდან)

ა

კვირა დღე იყო, ზაფხულის ის მშვენიერი საღამო, როცა საშინელი სიცხისაგან შეწუხებული ადამიანი, იძულებით სახლში ჩაკეტილი, მხოლოდ საღამოთი ბედავს გარეთ გამოვიდეს, რომ სუფთა ჰაერი ისუნთქოს.

მზე ჩასულიყო.

თბილისის ერთ-ერთი ლამაზი სახლის აივანზე, რომელიც განიერ ქუჩას გადასცქეროდა, ქალიშვილი ბოლთას სცემდა. მას ჩვიდმეტ წელზე მეტს არ მისცემდით, თუმცა გარეგნობით უფრო ასაკოვანი გამოიყურებოდა. ქალიშვილი სილამაზის ყველა ნიშნით იყო შემკული, მაგრამ ოდნავ გამხდარი და ფერმკრთალი სახე, რომელზედაც ერთგვარი მელანქოლიის კვალი აჩნდა, უმალვე მიგახვედრებდათ, რომ ამ ქალიშვილს რაღაც სულიერი სატკივარი უღრღნიდა ნორჩ გულს. ხოლო მისი სიარული, ჭკვიანი, თავაზიანი მზერა ადამიანზე იდუმალ გავლენას ახდენდა.

გულხელდაკრეფილი იყო, თავჩაქინდრული და ასე მიდი-მოდიოდა აივანზე მძიმე ნაბიჯებით. ეტყობა, ღრმა საფიქრალს მისცემოდა, ამიტომ სრულიად არ აქცევდა ყურადღებას ქუჩაში მოსიარულე ხალხის ხმაურს და ეტლების გრიალს. იგი რკინის წვრილ სვეტთან გაჩერდა, ლამაზი თავით მიეყრდნო, და დიდრონი შავი თვალებით გაიხედა იქით, სადაც მზის ჩასვლისას ცის კაბადონს წითლად გაუდიოდა ღაჟღაჟი. ერთხანს ქანდაკებასავით გაუნძრევლად იდგა, გაშტერებული იმზირებოდა შორს, თითქოს ჰორიზონტის მიღმა მხარეს უნდა მიაწვდინოს მზერაო, რომ ლამაზ თვალთაგან ჯერ ორი წვეთი მოსწყდა და გაფითრებულ ღაწვებზე დაედინა, მერე თითქმის იმავე წუთს გულსაკლავი

გმინვა აღმოხდა. ქალიშვილმა თოვლივით თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო, ცრემლები მოიწმინდა და იქვე სკამზე ნელა ჩამოჯდა. ცრემლები ახრჩობდა, მაგრამ თავს იკავებდა. „ძნელია, ძნელი...“ ჩაილაპარაკა მოუთმენლად და ცრემლების ნაკადული წასკდა თვალთაგან. ქალიშვილმა ცხვირსახოცი ᲫᲘᲘფარა თვალებზე და დიდხანს თავშეუკავებლად ქვითინებდა. მხედველობიდან გამორჩენოდა, რომ ქუჩაში მოსიარულეებს შეეძლოთ ყურადღება მიექციათ მისთვის. ბოლოს ცრემლები მოიწმინდა, ცოტა არ იყოს, დამშვიდდა, მერე თავისი ლამაზი თავით ხელებზე დაეყრდნო და კვლავ ღრმა ფიქრებს მიეცა.

ამ დროს უეცრად აივნის კარი გაიღო და ზღურბლზე ღიპიანი კაცი გამოჩნდა. დაახლოებით ორმოცდაათი წლისა იქნებოდა, შუატახის; მოკლე თმები და პატარა ულვაშები ჰქონდა. მის გამოხედვაში სისასტიკე და უსულგულობა იფარებოდა. ამ კაცის სავსე და წითური ლოყები აშკარად მეტყველებდნენ, რომ რჩეული კახური ღვინით იყვნენ გაჟღენთილი, ხოლო დიდი, გამოვარდნილი ღიპი თითქოს ამბობდა: „იცით, ბატონებო, რამდენი უდანაშაულო და საწყალი გლეხის ოფლისა და ცრემლის საფასურით ვარ გასიებული?..“ სიცხის გამო შავი ატლასის ახალუხის ღილები შეეხსნა. ქვეშ მოუჩანდა თეთრი გახამებული პერანგი, მკერდი გადაეღეღა. გასიებულ თვალებზე ეტყობოდა, რომ მშვიდი ძილით მაძღარი ეს-ეს არის ამღგარიყო.

იგი ქალიშვილის მამა — აღა იაგორ ბუღდანიჩი გახლდათ.

— აქა ხარ, ნუნე? — ზანტი მთქნარებით შეეკითხა იგი.

ქალიშვილი, რომელსაც არ შეუნიშნავს მამამისის გამოჩენა აივანზე, ამ ხმამ უეცრად გონს მოიყვანა და უმალ ფეხზე წამოაგდო.

— დიახ, მამი, — მისუსტებული ხმით მიუგო ქალიშვილმა და ქუჩისკენ გაიხედა, რომ ნამტირალევი თვალები არ დაენახვებინა მამისთვის.

— დედაშენს ბაღში სასეირნოდ რატომ არ წაჰყევი? — შეეკითხა აღა იაგორ ბუღდანიჩი დინჯად, თვითეული სიტყვის დამარცვლით, როგორც ეს საერთოდ სჩვევიათ თბილისელ ვაჭრებს. — ეხლა იქ ალბათ მუსიკას უკრავენ. ... ცოტა ხანს ისეირნებდით და შინ დაბრუნდებოდით.

— არ მინდოდა, მამი...

— ჰო, შენ იცი, შვილო, — მიუგო ღიპიანმა კაცმა. — მაგრამ კარგად არ იქცევი, რომ დედას ეურჩები, — დასძინა და ქუჩაში გადაიხე-

და. — რამდენი გემუდარა, გთხოვა, შენ კი ქვა შეაგდე და თავი შეუშვირე.

— მამა, თქვენ მგონი იცით, რომ ავადა ვარ... თავი მტკივა... გარდა ამისა, საერთოდ სეირნობა არ მიყვარს, — თავს იმართლებდა ქალიშვილი.

— ჰო, ეგ იმისი ტკივილებია, რომ ჯერ კიდევ გულიდან არ ამოგიღია ის...—იაგორ ბუღდანიჩმა არ დაამთავრა სათქმელი და უეცრად საუბრის თემა შეცვალა: — მთელი დღე კითხულობ, შინიდან გარეთ არ გადიხარ... ბევრი კითხვა, შვილო, არ ვარგა... თვალებს ვნებს.

ქალიშვილმა არაფერი უპასუხა და აივნის ბოლოსკენ გაიწია, აღამ კი ზურგი შეაქცია შვილს და მძიმედ დაეშვა სკამზე, რომელმაც მისი სიმძიმისაგან გაბმით დაიჭრიალა.

— ეს რა ჩიხლიპიტო სკამები შემოიღეს, — ჩაიბურტყუნა და უდარდელად რომელიღაც მოტივი დაუსტვინა, ქართულ სიმღერა „გამო, მზეო, გამიგონეს“ რომ წააგავს. ქალიშვილმა ცივად გადახედა მამას და ქუჩას მიაჩერდა.

— ჰეი, ბიჭო! — უცებ შეწყვიტა სიმღერა იაგორ ბუღდანიჩმა.

მსახური უმალვე გაჩნდა აივანზე.

— რა გნებავთ, აღაჯან? — ფიცხლად შეეკითხა მსახური.

— ღვინო.

ორიოდე წუთში მსახური ისევ გამოჩნდა, ხელში წითელი ღვინით სავსე ვერცხლის სასმისი ეჭირა. აღა იაგორ ბუღდანიჩმა სასმისი ჩამოართვა, ღვინო სულმოუთქმელად გადაჰკრა ნახევრამდე, ულვაშებზე ხელი გადაისვა და სიამოვნების ნიშნად დააყოლა: „ოხაი“. შემდეგ უნდოდა დარჩენილი ღვინოც მიეყოლებინა, მაგრამ ამ დროს საშინელი კივილი მოესმა, მერე იატაკზე ბრაგვანი. იგი სასმისით ხელში შემობრუნდა და აივანზე გართხმული ქალიშვილი დაინახა.

ღვინის სმა ჩაშხამდა.

ბ

ზემოხსენებული შემთხვევის სამი დღის შემდეგ, ღამით, კოკისპირულად წვიმდა, დროგამოშვებით საშინელი ჭექა-ქუხილი აყრუებდა ორემარეს.

ჩ... უბნის სამსართულიანი სახლის ქვედა სართულის პატარა და

ნესტიან ოთახში, ან უფრო სწორედ ერთ-ერთ საკანში, პატარა მაგიდაზე ბუუტავდა ლამპა, რომლის გატეხილ და გამურულ შუშას ქაღალდის ნაგლეჯი ჰქონდა შემოკრული. ამ საკანში დღისით სინათლე ჩამოდიოდა ნახევრად მიწაში ჩადგმულ სარკმელიდან. ფანჯარასთან მაგიდა იდგა. ზედ არეულ-დარეულად ეყარა წიგნები, გაზეთები, ქაღალდები, პურის ნამცეცები, კალამი, მელანი და სხვა ხარახურა. ხოლო მაგიდის ახლოს — ერთი ძველი საწოლი, გახუნებული ძველი ლოგინით, რომელიც იმავე დროს სკამის მაგიერობასაც სწევდა. ოთახში სხვა არაფერი ჩანდა, გარდა კედელზე უშნოდ დაკიდებული ერთი ძველი პალტოსი. კედლები ნესტით იყო გაჟღენთილი, რის გამოც ოთახში არასასიამოვნო მძიმე სუნი იდგა.

საწოლის ხმელ ფიცრებს იდაყვებით დაყრდნობოდა და თავი ხელებში ჩაერგო დაახლოებით ოცდასამი წლის ახალგაზრდას. მიუხედავად უკიდურესი სიღატაკისა, რასაც თავისი დაღი დაესვა ჰაბუკზე, მაინც შერჩენოდა უწინდელი მშვენების ერთი მთავარი ნიშანი — ფიქრიანი თვალები, რომლებიც ამ დროს წინ გადაშლილ რვეულს ჩასჩერებოდნენ. ამ თვალებში ნათლად მოჩანდა ყმაწვილკაცის მტკიცე ნებისყოფა და ჭკუა-გონება. ხოლო ფართო შუბლი სიმწრის ნაოჭებით დაღარვოდა. ამ შუბლზე კოხტად გადმოევარცხნა გრძელი შავი თმა.

დიდხანს, გაუნძრევლად იჯდა ერთ მდგომარეობაში. ეტყობა რაღაცის დასაწერად გარჯილიყო, მაგრამ ან ვერ ახერხებდა აზრების დალაგებას, ან ფიქრით სადღაც შორეული თუ ახლობელი წარსულის ბნელეებში დაეხეტებოდა, და ამ დროს, ალბათ, მისი ფართოდ გახელილი თვალების წინ ფანტასტიკური მოჩვენებებივით გარბოდნენ წარსულის სურათები, რომლებიც ზოგჯერ მთელი საათობით ართობდნენ ხოლმე მის აზრსა და გონებას. ერთი სიტყვით, ძილბურანში იყო და არ ესმოდა არც წვიმის შხაპუნი, არც ჭექა-ქუხილის გამაყრუებელი გრიალი.

ვიდრე ამ მდგომარეობაში იყო, ვიღაცამ ნელა დაუკაკუნა კარი, მაგრამ მან ვერ გაიგო. ერთი წუთის შემდეგ კაკუნი განმეორდა. მან ვერც ახლა გაიგონა კაკუნი. მაგრამ როცა მესამედ წინანდელზე ძლიერ დააკაკუნეს, თავი აიღო და ოთახის ერთი კუთხისკენ მიიხედა: — „ისევ თაგვები", — წაიჩურჩულა და კვლავ ღრმა ფიქრებს მიეცა. მეოთხეჯერ კიდევ უფრო მაგრა დააბრახუნეს კარი. ამჯერადაც თავი ასწია და შეამჩნია, რომ შეცდა, ტყუილუბრალოდ თაგვებს დააბრალა.

— ვინ არის? — ჩახრინწული ხმით გასძახა მან.

გარედან არავინ გამოეხმაურა, მხოლოდ კარზე გაისმა ისევ კაკუნი.

„საკვირველია, — გაიფიქრა, — ამ შუაღამისას ნეტა ვის გავახსენდი?“.

წამოდგა და კარის გასაღებად გასწია, მაგრამ უეცრად შეჩერდა: — „იქნებ ქურდია?“ — ჩაიჩურჩულა და ფართოდ დაჭყეტილი თვალები კარებს მიაპყრო. „თუმცა ახლა ჩემთვის სულ ერთია, — რაღაცნაირი სიმწარით წამოიძახა და კარებისაკენ გაეშურა. კარები გააღო თუ არა, ორი მკლავი შემოეჭდო კისერზე და ქალურმა ნაზმა ხმამ ჩასჩურჩულა:

— გრიგორ, მე ვარ!..

— ნუნე!.. — წამოიძახა თავდავიწყებაში ჩავარდნილმა ჭაბუკმა და აჩქროლებულ გულზე მიიკრა ქალი. — ნუნე!.. ნუნე!.. ნუთუ შენა ხარ?.. ნუთუ ეს სინამდვილეა?..

3

გრიგორ სეირანიანი სოფელში მცხოვრები ერთ-ერთი მღიდრის შვილი იყო. სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ მშობლების თანხმობით წავიდა თბილისში სწავლის გასაგრძელებლად, იქ ცხოვრობდა ქვრივი ბიცოლას სახლში. გრიგორის მოვლა-პატრონობისათვის ეს ღარიბი დედაკაცი ყოველთვიურად კარგ საფასურს ღებულობდა. თბილისში ჩამოსვლის პირველ წელს კერძო მასწავლებელთან მეცადინეობდა, წარჩინებით ჩააბარა გამოცდები და გიმნაზიის მეორე კლასში იქნა მიღებული. გრიგორ სეირანიანი ბეჯითი ყმაწვილი იყო, ყოველ წელს გადადიოდა კლასიდან კლასში.

პირველ წლებში გრიგორს ძალიან უძნელდებოდა ქვრივი ბიცოლას ოჯახში ცხოვრება; ერთ პატარა ოთახში ერთად იყვნენ, ამასთან ბიძაშვილები მეტისმეტად დაუდეგარი, ცელქი ბავშვები იყვნენ და მათ ღრიანცელში საშუალება არა ჰქონდა ნორმალური მეცადინეობისა; გარდა ამისა, ქვრივი, მიუხედავად იმისა, რომ გრიგორის შესანახად კარგ თანხას ღებულობდა, მაინც ცუდად ინახავდა. სეირანიანმა გადაწყვიტა ამ თანხით ერთი პატარა ოთახი დაექირავებინა და თავისუფლად ეცხოვრა. ამის შესახებ დაწვრილებით მისწერა მშობლებს, აუხსნა მიზეზები, რომელთა გამო ამ ოჯახიდან გაცლას ამჯობინებდა. მშობლებს ზედმიწევნით უყვარდათ თავიანთი ერთადერთი შვილი და სიამოვნებით დაეთანხმნენ. ერთ ლამაზ შენობაში სეირანიანმა მაშინვე დაიქირავა პატარა ოთახი, თვეში ხუთ მანეთად. შემდეგ მშობლებისგან მიღებული

ასი მანეთით, რომელიც ტანსაცმელის საყიდლად და ოთახის მოწყობილობის შესაძენად გამოუგზავნეს, ძალზე უბრალოდ, მაგრამ კოხტად მოაწყო თავისი სტუდენტური ოთახი და ბეჯითად შეუდგა მეცადინეობას.

თვეში ერთ-ორჯერ მამა ნახულობდა საყვარელ შვილს და ყოველთვის საჭირო დარიგებებს აძლევდა. თუმცა აგერ ხუთ წელზე მეტი ცხოვრობდა თბილისში, სოფლური უბრალოება და თავაზიანობა ჭაბუკს მაინც შემორჩენოდა. გარდა ამისა, მართალია, ბუნებით მძიმე ხასიათის იყო, მაგრამ ზედმიწევნით კეთილი და პატიოსანი. იგი შორს იდგა თბილისში მოსწავლე ახალგაზრდობის იმ უმეტესი ნაწილისაგან, ათასგვარ გართობასა და გაუთავებელ ლოთობას რომ მისდევდნენ. ასეთებს ახლოსაც არ ეკარებოდა, გაურბოდა. ამხანაგები მუდამ დასცინოდნენ, „ვირსოფლელს“ უწოდებდნენ. მაგრამ სეირანიანი ყურადღებას არ აქცევდა მათ. დილით, ჩაის რომ დალევდა, რვისნახევარზე გიმნაზიაში ჰიდიოდა. ერთ დილას, ოთახის დაკეტვის შემდეგ, როცა ჭიშკარში გამოდიოდა, დაინახა, ზემო სართულის აივნის კიბეებზე, რამდენიმე რვეულით ხელში, ახალგაზრდა ქალიშვილი ჩამოდიოდა. ჩვენი ნაცნობი ალიაგორ ბუღდანიჩის ერთადერთი ქალიშვილი ნუნე გახლდათ. სოფელ ქალთა საშუალო სასწავლებელი ახალი დამთავრებული ჰქონდა და იმავე სასწავლებლის დაბალ კლასებში მასწავლებლობდა. სხვათა შორის, ის ოთახიც, სადაც გრიგორ სეირანიანი ცხოვრობდა, ალი იაგორ ბუღდანიჩს ეკუთვნოდა. მათი თვალები უეცრად ერთმანეთს შეხვდა და სეირანიანს რატომღაც მთელ ტანში ჟრუანტელმა დაურბინა. მაგრამ ჩვეულებად არა ჰქონდა დიდხანს ემზირა ლამაზი სქესისათვის, ამიტომ სასწრაფოდ გავიდა ქუჩაში და თითქმის სირბილით გაიქცა გიმნაზიისკენ.

ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ თვალი შეავლო მას, მაგრამ ქალიშვილის სურათი ისე ჩაებეჭდა ტვინში, არც ერთ გაკვეთილზე გონებიდან არ შორდებოდა. თვითონ კი ვერა ხვდებოდა რას ნიშნავდა ეს.

გაკვეთილების დამთავრებისთანავე სეირანიანი აჩქარებით გამოეშურა შინისკენ, თუმცა თვითონაც არ იცოდა, ასე რატომ მოიჩქაროდა. როგორც კი ნაცნობ ქუჩას მიუახლოვდა, შეამჩნია იმ ქუჩის მეორე ბოლოს ნუნეც მოდიოდა. სხვადასხვა მხრიდან მომავალი ქალ-ვაჟი სწორედ ეზოს კართან შეხვდნენ ერთმანეთს და თვალი თვალში გაუყარეს. ქალიშვილი შეჩერდა, უნდოდა გზა დაეთმო სეირანიანისათვის. ჭაბუკიც ასე მოიქცა. წუთით ორივე დაიბნა, აწითლდა, შემდეგ ქალიშვილი პირ-

ველი მოეგო გონს, სასწრაფოდ შეაღო ეზოს კარი და შევიდა. გრიგორ სეირანიანი მექანიკურად მიჰყვა და ეზოში შესულმა ისღა დაინახა, რომ ქალიშვილი სწრაფად ადიოდა კიბეებზე. ვაჟმა თავის ოთახს მიაშურა, კარი გააღო და შევიდა. მის გულს ბაგაბუგი გაუდიოდა.

ამ შეხვედრამ წარუშლელი კვალი დატოვა მასზე. ამ დღეს არაფერი გაუკეთებია; წარმოიდგინეთ, ჭამაც კი დაავიწყდა. სხვა დროს, გიმნაზიიდან დაბრუნდებოდა თუ არა, მაშინვე სასადილოდ მიდიოდა, დღეს კი... მორცხვი ქალიშვილის ლამაზი სურათი განუწყვეტლივ თვალწინ ედგა. „რა მემართება?—ფიქრობდა იგი,—ნუთუ შეყვარების პირველი ნიშნები ეს არის?“ ამ სიტყვებზე გაეცინა და მეცადინეობას შეუდგა. მაგრამ სტრიქონებს შუა, წიგნის გვერდებზე კვლავ ქალიშვილის სურათს ხედავდა. „არა, აუტანელია“, — ბოლოს წამოიძახა, პალტო წამოიხურა და ქუჩაში გავიდა, რომ ტვინი ცოტათი მაინც დაესვენებინა. საათი ამოიღო, დახედა: — „ვაჰ! — წამოიძახა გაკვირვებით, — უკვე საღამოა... ღმერთო ჩემო, ეს რა მემართება, რომ ვერ გამიგია, რა დრო გასულა!“. სეირნობის გუნებაზე არ იყო, რომელიღაც შეუცნობელი გრძნობა შინისკენ ეწეოდა. სწრაფად დაბრუნდა თავის ოთახში, ძალზე დაღლილი დაემხო საწოლზე, თავი ხელებში ჩარგო და განუწყვეტლივ იმეორებდა: „გავგიჟდები... გავგიჟდები“...

ღამე ძალიან ცუდად გაატარა. დილაადრიან რომ წამოდგა, მაშინღა შეამჩნია — გაუხდელად ჩასძინებოდა. ეს არაჩვეულებრივი საქციელი სასაცილოდ არ ეყო. „ვნახოთ ეს გამოცანა რით დაბოლოვდება“, — თქვა და პირი დაიბანა. ცივმა წყალმა აფორიაქებული ნერვები დაუწყნარა და გაკვეთილების მომზადებას შეუდგა. როგორც ყოველთვის, დღესაც თავის დროზე მოუტანეს ჩაი, შესვა, პური შეატანა, მერე წიგნები აიღო და გასწია. ეზოს კარებთან უნებლიედ შეჩერდა და თვალები კიბეებს მიაპყრო. „იგი ჩამოვა!“ — თავისთავად ჩურჩულებდნენ მისი ტუჩები. მაგრამ ამჯერად ქალიშვილი არ გამოჩენილა. „სულელი ვარ“, — თქვა და გარეთ გავიდა. ამ დღიდან თითქოს რაღაც მძიმე ლოდი დაადეს გულზე.

მის თვალწინ დღენიადაგ ელვარებდა ქალიშვილი ნუნეს თავაზიანი, მორცხვი სურათი და ერთ დღეს რომ ისე გაევლო არ დაენახა ნუნე, სასოწარკვეთილებისა და სევდის ცრემლებს აფრქვევდა: ჭამის მადა სულ დაეკარგა, ძალიან ცოტას ჭამდა, მეცადინეობასაც უკლო; რამდენჯერმე თავი მოეჭრა მასწავლებლის წინაშე.

— რა ამბავია თქვენს თავს, სეირანიან? — ერთხელ ჰკითხა მასწავლებელმა, — როგორც გატყობთ, გაკვეთილებს აღარ ამზადებთ.

— ავად ვარ, ბატონო მასწავლებელო, — უპასუხა სეირანიანმა. თავის გასამართლებლად სხვა ვერაფერი გამონახა.

— თუ ავად ხართ, გამოჯანმრთელებამდე სკოლაში ნუ მოხვალთ. მიმართეთ ექიმს, ავადმყოფობას ნუ წაუყრუებთ.

სეირანიანი ასეც მოიქცა. ერთი კვირა გიმნაზიაში არ დაიარებოდა, დილიდან საღამომდე ჩაკეტილი იყო ოთახში, თვითონაც არ იცოდა, რას სჩადიოდა.

„ასე გაგრძელება ყოვლად დაუშვებელია“, — ბოლოს დაასკვნა მან, წიგნებზე, ამხანაგებზე, გაკვეთილებზე, თავის მომავალზე დიდი ხნის ფიქრის შემდეგ...

„მაგრამ რა ვქნა, რა ვქნა?.. — საბოლოოდ გაკვეთილებით დაუმატა მან.— ეს უკეთური გრძნობა მოსვენებას არ მაძლევს... თითქმის გაშაგიდა“... თურმე ბედი პირველად ულიმოდა მას, ულიმოდა იმ მიზნით, რომ მერე საშინელ სიღატაკემდე მიეყვანა.

ამ შაბათ დღეს ერთი თვე სრულდებოდა, რაც გრიგორ სეირანიანი აღა იაგორ ბულდანიჩის სახლში ცხოვრობდა. სეირანიანი საღამოს მოემზადა, რომ სახლის პატრონისათვის მომავალი თვის ანგარიშში ქირა გადაეხადა; აღას წესად ჰქონდა დათქმული მომავალი თვის ქირას მდგმურებს თვის პირველ რიცხვებში ახდევინებდა.

ამ დღემდე ჭაბუკი სრულებით არ დაინტერესებულა, ვინ იყო ის ქალიშვილი, რომელმაც ასე მოაჯადოვა. „ერთიც ვნახოთ სახლის პატრონის ქალიშვილი აღმოჩნდა!..“ — გაიფიქრა. გრიგორი მალე გამოეწყო, თმა დაივარცხნა და სახლის პატრონისკენ გასწია.

როცა კიბეზე ადიოდა, აჩქარებული გულისცემა იგრძნო, მუხლთ ეკეცებოდა. მან ჩაუარა ფანჯრების რიგს და აღას ერთ-ერთ ოთახის კართან მოწიწებით შეჩერდა, შეაღო კარი, შევიდა. პირველი, ვისაც თვალი მოჰკრა, ნუნე იყო. იგი ფანჯრის წინ სავარძელში იჯდა და წიგნს კითხულობდა. ცოტა მოშორებით, დივანზე დედა იჯდა, აღას მეუღლე — ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი — დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლის კოპწია დედაკაცი. ისე წააგავდა თავის ქალიშვილს, როგორც გაჭრილი ვაშლი. დედაკაციც რაღაც წიგნს კითხულობდა. როგორც კი სეირანიანი ოთახში შევიდა, დედამ და ქალიშვილმა ერთდროულად კარებისკენ მიიხედეს.

სეირანიანი ძალზე დაიბნა — ქუდით ხელში კარებთან შეჩერდა, იგრძნო უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა და თითქოს ეშინიაო, დიდი მოკრძალებით დაბალი ხმით ჩაილაპარაკა:

— ბოდიში, ქალბატონო... მე... მე... ხელი შეგიშალეთ...

— ახ, სრულებითაც არა, ბატონო სეირანიან, — თავაზიანი ღიმილით და რაღაცნაირი მომხიბლავი ხმით სწრაფად შეაგება პასუხი ქალბატონმა. — რა გნებავთ?.. საქმე გაქვთ?

— მე... მე სახლის ქირა მოვიტანე, ქალბატონო, — ძალზე აღელვებით მიუგო სეირანიანმა. ამჯერად ჭაბუკი ზედმიწევნით ლამაზი იყო. ქალიშვილმა ნუნემ გადახედა მას, სირცხვილისაგან აწითლდა და თავი წიგნზე დახარა.

— ასე რა გაჩქარებდათ? — უთხრა ქალბატონმა, იმავე თავაზიანი ერთგვარი ალერსიანი ღიმილით და სეირანიანს სირცხვილისაგან დახრილ მშვენიერ თვალებში შეხედა. — ჰო, მართლა, რატომ არ დაბრძანდებით, ბატონო სეირანიან? — და შორიახლო სავარძელზე მიუთითა.

სეირანიანი ფიქრობდა მალე გაშორებოდა აქაურობას, მაგრამ რომელიღაც შინაგანი უხილავი ძალა აკავებდა. რამდენიმე წამს ყოყმანობდა, შემდეგ გაბედა და ქალბატონის მიერ შეთავაზებულ სავარძელზე მექანიკურად დაჯდა. იგი ნუნესკენ მოხედვას ვერ ბედავდა, თუმცა მთელი ჭკუა-გონება იქით ჰქონდა გაკრეფილი.

— ჰო, მართლა, თქვენ მგონი ჯერ არ იცნობთ ჩემს ქალიშვილს? — უეცრად შეეკითხა ქალბატონი.

— არა, ქალბატონო... ჯერ მე... მაგ პატივისცემის ღირსი არ გავმხდარვარ,— უპასუხა მეტად აღელვებულმა სეირანიანმა, რომელსაც გული ისე მძაფრად აუჩქროლდა, რომ მკერდზე ხელი მიიდო.

— მაშ გთხოვთ, გაიცნოთ.

სეირანიანი მექანიკურად წამოდგა, ასევე მოიქცა ქალიშვილიც, ისინი ერთმანეთს მიუახლოვდნენ, სახეზე არ შეუხედავთ, ხელი მაგრად ჩამოართვეს და ორივემ თავისი სახელი ჩურჩულით წარმოთქვა. სეირანიანი თვითონაც ვერ ხვდებოდა, ჩვეულებრივზე მეტ ხანს რატომ გააჩერა ქალიშვილის ხელი თავის ხელში, მხოლოდ იმას გრძნობდა, რომ რაღაც ერუანტელი უვლიდა მთელ სხეულში. შემდეგ ორივემ ისევ თავიანთი წინანდელი ადგილები დაიკავეს. ამ დროს მსახური შემოვიდა და ქალბატონი რაღაც საქმის გამო გაიხმო.

— მაპატიეთ, ბატონო სეირანიან, — უთხრა ფეხზე წამომდგარმა

ქალბატონმა, — მალე დავბრუნდები... მხოლოდ რამდენიმე წუთით... მანამდე ლაპარაკით შეიქციეთ თავი... ნუნე, სტუმარი გაართე, მე ახლავე შემოვალ.

ქალბატონმა წიგნი მაგიდაზე დადო და ოთახიდან გავიდა.

სეირანიანის მდგომარეობა აუტანელი გახდა, იგი მარტოდ მარტო დარჩა იმ ქალიშვილთან, რომელიც უყვარდა და ვისთვისაც მზად იყო ყველაფერი, წარმოიდგინეთ სიცოცხლეც კი შეეწირა. ნას არც რცხვენოდა, არც ეშინოდა, არამედ რაღაც არეულ, გაურკვეველ მდგომარეობაში იყო და მხოლოდ იმას გრძნობდა, რომ გული საოცრად ტკბილად უცემდა მკერდში, უფართხალებდა ისე, თითქოს აგერ-აგერ გამოვარდება და ქალიშვილს ფეხქვეშ ჩაუვარდებაო. მაგრამ პირისპირ შეხედვას მაინც ვერ უბედავდა და მზერას კედლებზე დაატარებდა. ნუნე ისევ თავის ადგილზე იჯდა. გრძელი შავი წამწამები, რომლებსაც მისი შავი თვალები მოეჩრდილათ, ძირს დაეხარა; თეთრ ღაწვებზე ვარდისფერი დასდებოდა, ხოლო მკერდი შესამჩნევად აად-ჩაუდიოდა. ეტყობა ისიც ღელავდა. ისე მოუსვენრად ფურცლავდა წიგნს, იფიქრებდით, რაღაც ჯაერი თუ აქვს, და ახლა იყრისო. ოთახში მდუმარება სუფევდა. ბოლოს, როგორც იქნა, სეირანიანმა პირდაპირ შეხედა და მისი მზერა ოითქოს გაიყინა ქალიშვილის სახეზე. ღმერთო ჩემო, რა ლამაზია! რა მომხიბლავი! რაოდენ ნაზი და სათნო!.. იგი უნებლიეთ წამოდგა და უნებურად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, თითქოს რაღაც უხილავი ძალა ეწევა ამ უმშვენიერესი ქალიშვილისაკენო. ორი ნაბიჯის მოშორებით უეცრად შეჩერდა. მთელი სხეული შინაგან კანკალს აეტანა.

— რას... კითხულობთ ქალიშვილო? — ჩურჩულით ჰკითხა.

ქალიშვილი დაიბნა, თითქოს დაავიწყდა წიგნის სათაური, სასწრაფოდ გადაშალა თავფურცელი და დახედა.

— რასა და... ჰიუგოს „საბრალონი“, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად უპასუხა ისე, რომ თვალები არ მოუშორებია წიგნის სათაურისათვის. ამასობაში თავის თავს მოერია და სახეში შეხედა სეირანიანს, რომელიც უკვე დაჟინებით უყურებდა.

— „საბრალონი?“ — როგორც იქნა გაიმეორა ვაჟმა.

— დიახ... თქვენ წაკითხული გაქვთ?

— მე... დიახ... წამიკითხავს.

— მერე რა აზრისა ხართ?

— რა აზრისა?.. ამ რომანის კითხვის დროს ვტიროდი.

ქალიშვილმა გაიღიმა.

— მეც ვიტირე.

— ისე წაკითხვა შეუძლებელია... ვინ იქნება ისეთი, წაიკითხოს და არ ატირდეს?.. მხოლოდ გულქვა ადამიანი.

— ყველაზე მეტად ვინ მიიპყრო თქვენი ყურადღება?

— ვინ?.. ჟან ვალჟანმა... თქვენი?

— მარიუსმა და კოზეტამ, — უნებლიეთ წამოსცდა სეირანიანს და ძალზე გაწითლდა. სიწითლემ ნუნესაც გადაჰკრა და თვალები წიგნზე დახარა.

ამ დროს ქალბატონიც შემოვიდა. სეირანიანმა სახლის ქირა გადასცა და წასვლა დააპირა. მაგრამ მასპინძელმა სთხოვა ჩაიზე დარჩენილიყო. სეირანიანმა ჯერ უარი უთხრა, მერე კი დათანხმდა. იგი აღარ მორცხვობდა, არც იბნეოდა, თანდათან თამამად იქცეოდა. ბოლოს აღა იაგორ ბუღდანიჩიც მოვიდა. მან დიდი სიყვარულით მიიღო სეირანიანი. ერთად ჩაიც შესვეს, დიდხანს ისაუბრეს. შემდეგ იაგორ ბუღდანიჩმა შესთავაზა, ნარდი ვითამაშოთო. სეირანიანმა არ იცოდა თამაში და ნუნემ იკისრა ესწავლებინა. შუაღამემდე დარჩა სეირანიანი, იქიდან ძალზე კარგი შთაბეჭდილებით და მშვენიერი გუნებ-განწყობით დაბრუნდა შინ. ჩაწვა ლოგინში, მაგრამ კარგა ხანს ძილი არ ეკარებოდა. „ნუნე, ნუნე“, — ბავშვური აღტაცებით ხშირად იმეორებდა ქალიშვილის სახელს.

იმ დღიდან აღა იაგორ ბუღდანიჩის სახლის კარები ფართოდ გაიღო მის წინ. ყოველ შაბათ საღამოს სეირანიანს პატიჟობდნენ რძიან ჩაიზე, შუაღამემდე საუბრობდნენ, „ლოტოს“ და „ნარდს“ თამაშობდნენ. ნუნესა და სეირანიანს შორის ისეთი მტკიცე მეგობრული კავშირი გაიბა, რომ იტყოდით, ეს კავშირი მათი სულის ამოსვლამდე არ დაირღვევაო. ზოგჯერ ერთადაც მეცადინეობდნენ, სხვადასხვა საკითხზე ცხარედ კამათობდნენ, მაგრამ ეს კამათი „აქლემის კუდად“ არ იქცეოდა, როგორც ხდება ჩვენ თანამედროვე ფუქსავატ, ფიცხ, ყოველგვარ მრწამსს მოკლებულ ახალგაზრდებში. მათი რწმენა-შეხედულებანი ცხოვრებაზე, მეტწილად მათ გარემომცველ სხვა მოვლენებზე ძალიან არ განსხვავდებოდა, ამიტომაც კამათი მუდამ მშვიდობიანად მთავრდებოდა, ხოლო ამისდა კვალობაზე, რასაკვირველია, სიყვარული ორივეს გულში თანდათან ღვივდებოდა, რადგან გრძნობდნენ, რომ ეს ტრფიალი საზიარო იყო. ეხლა ისინი ერთმანეთის წინაშე აღარ იბნეოდნენ, პირიქით, ისე სერიოზულად ეჭირათ თავი, წარმოიდგინეთ, მათი ურთიერთობა

თითქმის ოფიციალურს წააგავდა. პირველ დღიდანვე გრძნობდნენ, რომ ერთმანეთი უყვარდათ. ამას აჭრნევდნენ ერთმანეთის თვალებში, მზერაში კითხულობდნენ და სდუმდნენ. ჯერ არცერთი სატრფიალო სიტყვა არ დასცდენოდათ არცერთს თავის მხურვალე გრძნობებზე. ამის მიზეზი, ერთის მხრივ, ქალიშვილის მშობლები იყვნენ, მეორეს მხრივ, რაც უმთავრესია, ორივეს უდიდესი კდემამოსილება.

მაგრამ ამ მდგომარეობამ დიდხანს არ გასტანა.

ერთხელ, კვირა დილით, ჩაის შემდეგ, ნუნე ჩვეულებისამებრ ბინაზე ესტუმრა სეირანიანს, ახალი გაზეთით ხელში, რომ ერთად წაეკითხათ, როგორც სხვა დროს სჩადიოდნენ. ქალიშვილი ძალიან მხიარულ გუნებაზე იყო, სახეზე ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა. სეირანიანი მაგიდას უჯდა, ზურგით კარებისკენ შებრუნებული და რაღაცას წერდა მთელი ვულისყურით. იგი ისე იყო გატაცებული თავისი საქმიანობით, რომ ნუნეს შემოსვლა ვერ გაიგო. ქალიშვილი ერთ წუთს შეჩერდა კარებთან, მიხვდა, სეირანიანმა მისი შესვლა ვერ გაიგო, ფეხის წვერებზე შედგა, ფეხაკრეფით მიუახლოვდა ვაჟს და ღიმილით დაუწყო მზერა. სეირანიანი კვლავ ვერაფერს ამჩნევდა, გულმოდგინედ განაგრძობდა მუშაობას. მერე, ალბათ, დაამთავრა წერა, თავი აიღო, კალამი დადო, ღრმად ამოისუნთქა, ფეხზე წამოდგა და უეცრად უკან რომ მოიხედა, ნუნეს მომღიმარე ლამაზ თვალებს შეეფეთა.

— ქალიშვილო! — შესძახა გაოგნებულმა ჭაბუკმა და ანაზდეულად გაწითლდა.

— დილა მშვიდობისა, ბ. სეირანიან, — მიესალმა გაღიმებული ნუნე და ხელი გაუწოდა.

სეირანიანმა მაგრად ჩამოართვა ხელი.

— თქვენ ქურდულად შემოპარულხართ, ქალიშვილო, — ღიმილით მიმართა ვაჟმა.

— ალბათ ხელი შეგიშალეთ... ისე იყავით წერით გართული... მაგრამ, შეიძლება ვნახო, რასა სწერდით? — და ქალიშვილმა რვეულისკენ გაიშვირა ხელი.

— ო, არა! ეგ შეუძლებელია, — უეცრად წამოიძახა სეირანიანმა და სანამ ქალიშვილის ხელი მისწვდებოდა რვეულს, სასწრაფოდ ხელში ჩაბღუჯა.

— მინდა ვიცოდე, რატომ არ შეიძლება? — შეეკითხა ქალიშვილი, იგი ვერ მიმხვდარიყო, რვეულის გამო რა აშფოთებდა ვაჟს.

— ეს არავინ არ უნდა ნახოს...

— არც მე?

ქალიშვილი ვერ მიხვდა, რატომ მისცა ასეთი შეკითხვა და ნაცვალსახელ „მეს“ საგანგებოდ გაუსვა ხაზი. სეირანიანმა პირდაპირ შეხედა. ქალიშვილმა გაიღიმა. ალერსიანი მზერა სტყორცნა, რომელიც გულამდე ჩაწვდა ვაჟს, კვლავ აწითლდა და თვალები დახარა.

— წარმოიდგინეთ... არც თქვენ, — ჩურჩულით მიუგო მან.

— მე კი მინდა ვნახო... ალბათ რაიმე თხზულებასა სწერთ.

— დიახ... მაგრამ თქვენ იმას ვერ ნახავთ... არც უნდა ნახოთ.

— ბატონო სეირანიან, ბოლოს და ბოლოს, გთხოვთ...

ქალიშვილმა ეს სიტყვები ისეთ კილოზე წარმოთქვა, რვეულს კი არა, სულსაც არ დაუჭერდა სეირანიანი. მან გაუწოდა რვეული, თუმცა მაშინვე ისევ უკან დასწია ხელი. მაგრამ ქალიშვილმა აღარ აცალა და რვეული ჩამოართვა.

— ალბათ ფიქრობთ, თქვენი ნაწარმოები არ ჰომეწონება... კარგად მოგეხსენებათ, კრიტიკოსი არა ვარ, — ამის თქმაზე იგი მაგიდას მიუჯდა და რვეულის ფურცვლა დაიწყო. სეირანიანი გარინდებული იდგა. შუბლზე ცივი ოფლი აჩნდა, გეგონებოდათ, აგერ-აგერ სასიკვდილო განაჩენი უნდა წაუკითხონო.

ქალიშვილი ჩუმად კითხულობდა რვეულს. თანდათან წითლდებოდა, მკერდი ძალუმად აუდ-დაუდიოდა, ხოლო ტუჩები უთრთოდა. უეცრად თავი გაანება რვეულის გვერდების ბოლომდე წაკითხვას, ზედიზედ ჩაიკითხა მეორე, მესამე, მეოთხე... ბოლოს უკანასკნელი გვერდი, დახურა რვეული, წამოდგა, მიუახლოვდა სეირანიანს, რომელიც ისევ ისე გარინდებული იდგა, ხელი მოკიდა და აკანკალებული ხმით წაიჩურჩულა.

— დიახ, გრიგორ, მიყვარხარ...

. . .

მკითხველი უთუოდ მიხვდა რა ეწერებოდა იმ რვეულში. — სეირანიანს ჩვეულებად ჰქონდა ყოველდღიური შთაბეჭდილებების ჩანიშვნა. ამავე რვეულში იყო აღწერილი ის შემთხვევები, რაც ნუნესადმი ტრფიალს ეხებოდა გაცნობიდან დღევანდლამდე, აგრეთვე—სულ უწინიშვნელო საუბრების მინაარსიც და ბოლოს, სიტყვა-სიტყვით გუშინდელი ლაპარაკიც, რომელიც თავდებოდა: „ღმერთო ჩემო, სანამდე გაგრძელდება ეს მდგომარეობა! ნუთუ არასდროს წარმოთქვამენ მისი ბაგენი — ვუყვარვარ თუ არა!“ აი ამ სტრიქონების წაკითხვა იყო და ქალიშვილმა ველარ მოითმინა, გახსნა ბაგე და წარმოთქვა ის უწმინდესი

სიტყვები, რომელთაც დიდი ტანჯვით, რა ხანია, გულში ინახავდა, და მზად იყო ყოველ წამს ვულკანიდან ამოფრქვეულ ლავასავით გადმოენთხია. დიახ. ამ წმინდა სიტყვების დაფარვა ქალიშვილმა ვეღარ შეძლო, ამოთქვა და თან ამოაყოლა სული და გული...

ერთმა წელმა განვლო. სეირანიანი ისევ აღა ბუღდან იაგორიჩის სახლში ცხოვრობდა. მასსა და ნუნეს შორის მეგობრული ურთიერთობა კიდევ უფრო გულითადი გამხდარიყო. მათ სიყვარულში იოტისოდენა ცვლილება არ შეიმჩნეოდა. სატრფიალო გრძნობებს აყოლილნი, სულ უფრო მბურვალედ მისდევდნენ თავისი გულის კარნახს და ღრმად დარწმუნებული იყვნენ, რომ ვერავითარი ძალა ვერ დააშორებდა მათ სულის ამოსვლამდე. ხშირად, კარგ ამინდში, საღამოობით, ერთად სეირნობდნენ, ხოლო კვირაობით მიდიოდნენ ეკლესიაში, ან მხოლოდ ორნი, ანდა ნუნეს დედის თანხლებით. ამ ძალზე გულკეთილ მიამიტ დედაკაცს გრიგორი შვილივით უყვარდა. შეყვარებულებს ისე ეჭირათ თავი, რომ ქალიშვილის მშობლებს ფიქრადაც არ მოუვიდოდათ, თუ მათ ერთმანეთი უყვარდათ. ეს მეტადრე სეირანიანზე ითქმოდა, რომელიც თავიდანვე ცნობილი იყო თავდაბალ, თავაზიან და ჭკვიან ახალგაზრდად.

სიყვარულის თემაზე ისინი მხოლოდ სეირანიანის ოთახში საუბრობდნენ.

მათი ტრფობა იყო გულწრფელი, უმწიკვლო, და როგორც ამბობენ, წმინდა. მათ მეტი არაფერი სურდათ, გარდა ერთმანეთთან საუბრისა, ბავშვური ოხუნჯობისა, სიცილ-კისკისის, თვალებში ცქერის, ღიმილისა და ბოლოს ერთმანეთის გულში ჩახუტების; ეს მათთვის ზეციური ბედნიერება იყო, რომელსაც სხვა არაფერში გაცვლიდნენ.

იმავე წელს სეირანიანმა გამოსაშვები გამოცდები ჩააბარა და გიმნაზია საუკეთესო მოსწავლის სახელით დაამთავრა.

უკვე დრო იყო მომავალზე ეზრუნა. კარგა ხანია განზრახული ჰქონდა სწავლა რუსეთში გაეგრძელებინა, ან საზღვარგარეთ რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში. თავიდანვე გარკვეული მიზანი ამოძრავებდა, უნდოდა ექიმი გამოსულიყო, რომ სამშობლოსათვის კეთილი სამსახური გაეწია, სამშობლოსათვის, რომელიც თავისი გულის უწმინდესი გრძნობებით უყვარდა. ასევე უყვარდა პირქუში უბრალო გლეხი, მისი მიწა, შრომა. იგი თავის მოძმედ მიაჩნდა, თავის სისხლ-ხორცად, გლეხში და მის ნაოფლარში ხედავდა თავის არსებობის დასაყრდენს, ამიტომ ვალდებულად მიაჩნდა თავი, რამდენადაც ძალა შესწევდა, ხელი გაეწოდე-

ბინა გლეხკაცებისათვის, დახმარებოდა მათ. ამის შესახებ ხშირად უსაუბრია ნუნესთან, მაგრამ ქალიშვილი ღიმილით მიუგებდა ხოლმე:

— ეხლა ლაპარაკობ ასე, თორემ როცა წახვალ, ინახულებ ევროპულ ცხოვრებას, ჩასწვდები იქაურ ყოფას, გაეცნობი მათ პირობებს, მოთხოვნილებებს და ბოლოს შეეჩვევი იმ ცხოვრებას, მაშინ ამაზე აღარ ილაპარაკებ, სავსებით დაივიწყებ გლეხსაც, სამშობლოსაც, ისევე, როგორც იქცევა ჩვენი ახალგაზრდობის დიდი ნაწილი.

— ჩემიც შეისმინე, ნუნე, — უპასუხებდა სეირანიანი, — სავსებით უფლებამოსილი ხარ ეგრე განსაჯო, ვინაიდან ამისი მრავალი მაგალითი არსებობს, მაგრამ მე რისთვის მადარებ იმ ახალგაზრდებს... რატომ არ გინდა, უპირველეს ყოვლისა, აწონ-დაწონო ის გარემოცვა, საზოგადოება, პირობები, რომლებშიც აღიზარდნენ ისინი და მე.. აბა სცადე და შეამოწმე, მერწმუნე, დიდ განსხვავებას დაინახავ იმ ახალგაზრდებსა და ჩემს შორის... რასაკვირველია, ჩემი ქება და თავის მართლება არ მინდა, მაგრამ, ასეა თუ ისე, კარგად მიცნობ, იცნობ ჩემი ცხოვრების პირობებს... თუ თბილისში. სადაც ბევრი სწორ გზას აცდენია, ამდენი ხნის განმავლობაში ფერი არ ვიცვალე, უწინდელი ზნე და ხასიათი არ დაკარგე, ალბათ, ვერც ევროპული ცხოვრება შემიცვლის ნირს. მერწმუნე, ნუნე, მართალია დიდი ხანია მოშორებული ვარ სოფელს, შამა-პაპურ ოჯახს, აი გიმნაზიაც წარჩინებით დავამთავრე, შეიძლება ითქვას. ფუფუნებით ცხოვრებას ვეზიარე, ამ წუთას მაინც ისევ გლეხი ვარ, ჩემს ძარღვებში ისევ მშრომელი გლეხის მხურვალე სისხლი ჩქეფს და ყოველთვის მზადა ვარ მიწა მოვხნა, მწარე ოფლი დავღვარო, ხოლო კალოზე გაღიღინებული „ოროველა“ უფრო ტკბილად ჩამესმის და ჩემს გულთან უფრო ახლოა, ვიდრე სხვადასხვა სიმფონია და რომანსი...

სეირანიანის ასეთი გონივრული ლაპარაკი ძალზე მოსწონდა ნუნეს, დიდად სიამოვნებდა და უღრმესი კმაყოფილების ღიმილით უსმენდა.

— ახ, გრიგორ! — ჩასჩურჩულებდა ქალიშვილი ამ დროს, — ასეთი სიტყვებით გლეხური ცხოვრებისადმი სიყვარულს მინერგავ... დიახ, ტკბილია იგი, გრიგორ... რატომ გლეხის ქალად არა ვარ დაბადებული?.. მეც შენთან ვიქნებოდი... ერთად გავუწევდით სამსახურს გლეხობას... ერთად...

— დიახ, დიახ, ჩემო ძვირფასო, ჩვენ იქ ერთად ვიმუშავებდით — სოფლის მშვიდობიან პირობებში, — აღფრთოვანებით იმეორებდა ახალგაზრდა და ნუნეს მღელვარე გულში იკრავდა.

ივლისის თვე იდგა.

საღამოს ჟამს, როცა მზე უკვე ჩასულიყო, პატარა სარკმელთან მჯდარი სეირანიანი მომავლის სამოქმედო გეგმებს ადგენდა... მან კარგა ხანია მშობლებისაგან მიიღო უმაღლეს სასწავლებელში შესვლის ნებართვა და ახლა ბავშვივით იყო გახარებული, ბედნიერად გრძნობდა თავს. იმისი სული და გული, გონება ჯერ კიდევ არ მოეწამლა ბნელი ცხოვრებას და ამაზე ფიქრიც არ სურდა. რატომ? — ვინ იცის, იქნებ ეგონა ადამიანს რაც უწერია, იმას ვერსად გაექცევაო, ანდა შესაძლოა ფიქრობდა, თუ წინასწარ შეექმენი ჩემს ირგვლივ მჭმუნვარე ატმოსფერო, ვაითუ ახლანდელი ბედნიერება ჩამშხამდესო... ამიტომ, აბა რა საჭირო იყო ქუფრი ფერების გარევა, ბნელ ცხოვრებაზე ფიქრი, როცა ჯერჯერობით ბედი უღიმოდა...

ვინ იცის, სეირანიანი რამდენ ხანს ყოფილიყო გართული ამ ბედნიერი ოცნებით, რომ უეცრად კარი გაიღო, სახლისპატრონის მსახურმა დეპეშა გადასცა და უმალ გაბრუნდა. სეირანიანი პირველად ღებულობდა დეპეშას, ამიტომ აღელვებით გახსნა და ჩუმად დაიწყო კითხვა. უცბად გველნაკბენივით წამოხტა, მთელი ტანით აცახცახდა და ძირს დაენარცხა, იატაკზე დავარდნილი დეპეშის გვერდით.

სწორედ ამ დროს ჩვეულებისამებრ ნუნე შემოვიდა ოთახში, რომ ცოტა ხნით მასთან ესაუბრა. მაგრამ სახტად დარჩა და იმავე დროს ძალიან შეეშინდა კიდეც, როცა სეირანიანი იატაკზე გაშხლართული, ცოცხალმკვდარი დაინახა. იგი გიჟივით მივარდა და შეანჯღრია.

— გრიგორ, გრიგორ, — ჩასძახოდა იმედგაცრუებული ქალიშვილი.

სეირანიანი სიცოცხლის არავითარ ნიშანს არ იძლეოდა.

ქალიშვილს მკვდარი ეგონა, მაგრამ, რისგან?.. შიშისაგან გული უწუხდა, ეკუმშებოდა; მკერდზე დაადო ხელი, გული უცემდა — საყვარელი არსება ცოცხალი იყო... იმედი მიეცა... და სწრაფად გავარდა ოთახიდან. ერთი წუთის შემდეგ უკან დაბრუნდა მოზრდილი შუშით ხელში. შუშა ცხვირთან მიუტანა სეირანიანს და გრიგორმა მალე თვალები გაახილა... ნუნეს თავის სიცოცხლეში არასოდეს უგრძვნია თავი ისე ბედნიერად, როგორც ამ წუთას, როცა საყვარელი ადამიანის თვალებმა ციანათა.

— გრიგორ, — შესძახა, მოეხვია და ფეხზე წამოდგომაში დაეხმარა. მან სეირანიანი საწოლზე დასვა და გვერდით მიუჯდა, — რა დაგემართა? — შეეკითხა და ხელი შუბლზე მიადო.

სეირანიანი სულელივით უყურებდა სახეში.

— არ გესმის, გრიგორ? რა დაგემართა? — მოუსვენრად ეკითხებოდა ქალიშვილი.

— რა? — მომაკვდავის ხმით შეეკითხა სეირანიანი.

— რამ შეგიღონა გული?.. ავადა ხარ?.. რა გტკივა?..

სეირანიანი ცოტა გონს მოვიდა. ეტყობოდა, არაფერი ახსოვდა. თავი ხელებში ჩარგო. უეცრად იატაკზე დეპეშას მოჰკრა თვალი, უნდოდა წამომდგარიყო, რომ დეპეშა აეღო, მაგრამ ძალა არ ეყო, და ხელით ანიშნა ნუნეს, გაოცებულმა ნუნემ დეპეშა აიღო და წაიკითხა: „გუშინ საღამოს ავაზაკები თავს დაესხნენ თქვენს მშობლებს, დახოცეს და მთელი სიმდიდრე გაიტაცეს. მალე მოეშველეთ“. პირველი სიტყვების გაგონებისთანავე სეირანიანს ყველაფერი მოაგონდა, უდანაშაულო ბავშვივით აქვითინდა და ბალიშზე დაეცა.

ნუნესათვის ყველაფერი ნათელი გახდა. მაგრამ მაინც გაოცებული იყო, რომელმა უსულგულო და უმკაცრესი ადამიანმა გამოუგზავნა ამ შინაარსის დეპეშაო... სად გაგონილა შვილისთვის ასეთი შემაძრწუნებელი დეპეშის გამოგზავნა?.. იგი მიხვდა რაოდენი ტანჯვა-წამება მოელოდა თავის საყვარელ გრიგორს და მასაც; სეირანიანის ტანჯვა-ვაება ხომ მისი ტანჯვა-ვაებაც იყო — ქალიშვილი უსმენდა სეირანიანის მწარე ქვითინს და გრძნობდა, რომ ცრემლი მასაც ახრჩობდა. მაგრამ ცდილობდა თავი შეეკავებინა, მხნედ იყო, რომ საყვარელი ადამიანისათვის ნუგეში ეცა. ასეც მოიქცა, ტკბილი და ალერსიანი სიტყვებით დაუწყო გამხნევება, მაგრამ დანაკარგი იმდენად დიდი იყო, რომ ვერ შესძლო სეირანიანის დამშვიდება, მით უფრო, რომ ჭაბუკს ასეთი უბედურებისათვის თვალის გასწორება პირველად უხდებოდა.

— თავს აღარ ვიცოცხლებ... ამიერიდან ობოლი ვარ, — განუწყვეტლივ იმეორებდა და ცხარე ცრემლებს აფრქვევდა.

— დამშვიდდი, გრიგორ, დამშვიდდი, — ამხნევებდა ნუნე, — შენ ჯერ ობოლი არა ხარ, მე ხომ აქა ვარ... კარგი და, ერთი მითხარი, რას გააწყობ ბედისწერასთან?.. მამაკაცი ხარ და ასეთი სისუსტე არ შეგფერის... გამხნევდი, გრიგორ... ცრემლებს მხოლოდ დიაცნი ღვრიან.

სეირანიანს ამ სიტყვებისა შერცხვა და ცრემლები შეიხოცა.

— აი ეგრე, ჩემო გრიგორ... როგორ არ იცი, რომ სასოწარკვეთილება კარგი საქმე არ არის? ადამიანმა სასოწარკვეთილების წინაშე არასოდეს არ უნდა მოიხაროს ქედი, თორემ დაკარგულია... რატომ არ გინ-

და გაიცნო ცხოვრება, შეურიგდე მის უკეღმართობას?.. და რომელი მომაკვდავია თავისუფალი, რომ მის თავზე არ დატრიალებულა ანდა არ დატრიალდება ამ ცხოვრების ჩარხი?.. შეებრძოლე მას, შეებრძოლე მედგრად, მტკიცედ და მერწმუნე, გამარჯვებაც შენი იქნება...

და ქალიშვილმა გამხნევების მიზნით ჭაბუკი მხურვალედ ჩაიკრა გულში.

სწორედ ამ წუთებში ოთახის კარები გაიღო და ზღურბლზე აღა იაგორ ბუღდანიჩის მრგვალი, ჩასხმული ტანი გამოჩნდა. მან დაინახა, რომ მისი ქალიშვილი სეირანიანს ეხვეოდა და ადგილზე გაქვავდა ქალიშვილმა მამის დანახვაზე შეჰკივლა, ჭაბუკს ხელი გაუშვა და წამოხტა. სეირანიანი სახტად დარჩა. აღა იგორ ბუღდანიჩი საერთოდ იშვიათად შედიოდა სეირანიანის ოთახში და ახლა თითქოს მუხანათ ბედს მოეყვანა, რომ ერთ თავზარდამცემ დარტყმას მეორეც მოჰყოლოდა.

აუწერელი ამბავი დატრიალდა, საზარელი სურათი გადაიშალა. აღამ ლანძღვა-გინების, ქუჩური სიტყვების კორიანტელი დააყენა, ნუნეც და სეირანიანიც ლაზათიანად გამოლანძღა. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ მეორე დილით სეირანიანის ოთახი უკვე ცარიელი იყო, იმისი ბარგი-ბარხანა ქვრივი ბიცოლას სახლში გადაეტანათ, ხოლო თვითონ სოფლის გზას გასდგომოდა.

დ

ამ დღიდან გაიარა ერთმა წელმა. ჩვენი ნუნე და სეირანიანი მეორე თავში აღწერილ სენაკში აღმოვაჩინე. შუაღამე იყო, წვიმიანი ამინდი იდგა. დიდი ხნის განშორების შემდეგ ხელახალმა შეხვედრამ ორივეზე დიდად იმოქმედა, მეტადრე სეირანიანზე, რომელსაც ყოველგვარი იმედი ჰქონდა დაკარგული, რომ ოდესმე კვლავ შეხვდებოდა თავის საყვარელ არსებას. სეირანიანი კვლავ ნუნეს მკერდში იყო ჩაკრული. რა ძალას შეეძლო ამ ორი მხურვალედ მოსიყვარულე გულის ხელახლა გათიშვა!.. ქალიშვილს ლაპარაკი არ ძალუძდა: მოზღვავებული ცრემლი ახრჩობდა, კრინტს ვერ სძრავდა. მხოლოდ იმას ცდილობდა, რამდენიც ძალა შესწევდა, საყვარელი ჭაბუკი გულში ჩაეკრა. თითქოს ეშინოდა, კვლავ გულიდან არ აეგლიჯათ, ამის შემდეგ ვერასოდეს ვეღარ ნახავდა. სეირანიანს ესმოდა მისი ქვითინი, თვალწინ დაუდგა თავისი ჰწარე წარსული, თავი ვეღარ შეიკავა და ბავშვივით თვითონაც ატირდა.

ასე ჩახუტებულნი მხოლოდ ქვითინებდნენ, რომ უეცრად წვიმაში არეული ქარი ღია კარებიდან ოთახში შემოიჭრა, იქაურობა ააფორიაქა და გამოაფხიზლა.

— მოდი, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო ანგელოზო... მოდი, დაჯექი, — უთხრა სეირანიანმა ღონემიხდილ ქალიშვილს, მოეხვია, საწოლზე დასვა და კარები მიხურა. — ო, რამდენი რამ მაქვს შენთვის სათქმელი და გამოსაკითხი, ჩემო ძვირფასო ნუნე, — თქვა მან, ქალიშვილს გვერდით მიუჯდა და აკანკალებული ხელები დაუჭირა. — კი არ გაცივდე, ჩემო ანგელოზო, ძთლად დასველებულხარ... მოიცა, ეხლავე ჩემს პალტოს მოგახურავ, — მივიდა, კედელზე დაკიდული მოძველებული პალტო ჩამოიღო და მზრუნველ დედასავით ქალიშვილს ოდნავ აკანკალებულ მხრებზე მოახვია. — ასე. ახლა გათბები — და კვლავ გვერდით მიუჯდა. — ეხლა ეს მითხარი, რა იცოდი, რომ მე აქ ვიყავი...

— გრიგორ, განა ასეთ წვრილმან კითხვებზე პასუხის გასაცემად მოვედი?.. ისიც საკმარისია, რომ კვლავ შენთანა ვარ და გესაუბრები...

ახალგაზრდას დაღვრემილი თვალები სიხარულისაგან გაუბრწყინდა. აიღო ქალიშვილის გამხდარი ნაზი ხელები და ხარბად დაუწყო კოცნა.

— ძვირფასო ნუნე, ვერც წარმოიდგენ, მე უბედურ ყმაწვილ კაცს რა ბედნიერებას მანიჭებს შენი ეგ სიტყვები, — წამოიძახა აღფრთოვანებით. — მაგრამ რატომ არ უნდა ვიცოდე, ამ შუაღამისას, ასეთ საშინელ ამინდში როგორ შესძელი ჩემთან მოსვლა... ანდა რა იცოდი, რომ ამ ოთახში ვცხოვრობ?

— ეჰ, გრიგორ, შეყვარებულ გულს არაფერი დაემალება... ყველაფერს გიამბობ, ჯერ დამაცადე გიყურო. ერთ წელზე მეტია აღარ შინახავხარ. — და ხელები ახალგაზრდას მხრებზე დააწყო. ხარბად ჩასცქეროდა დიდრონ ცეცხლოვან თვალებში, რომლებიც ამ დროს უზომო ბედნიერებით გაბრწყინებოდა. — შენ სახეზე ვკითხულობ, გრიგორ, რამდენი სევდა, ტანჯვა, ნატვრა-ოცნება ვადაგიტანია, მაგრამ თვალები მაინც იგივე დარჩენილან...

— შენ კი, თუმცა ცოტა გამხდარხარ და ფერი წაგსვლია, უფრო გალამაზებულხარ და თვალებში მეტი ეშხი ჩაგდგომია, — ამის თქმაზე ისინი კვლავ ერთმანეთს მოეხვიენ. — მიამბე, მიამბე, ჩემო ანგელოზო; როგორ გაატარე ეს ბედშავი წელიწადი. — დაუმატა სეირანიანმა და ხელი გაუშვა. — გეტყობა, ბევრი ტანჯვა გამოგივლია.

— დიახ, გრიგორ, ძალიან დავიტანჯე ამ ერთ წელს, შენი აქ არ-ყოფნის დროს, — დაიწყო ქალიშვილმა და ღრმად ამოიოხრა. — თით-ქოს ის არ კმაროდა, რა უბედურებაც შეგემთხვა, ჩემმა გულქვა მამამაც შეურაცხყოფა მოგაყენა, სახლიდან გაგაგდო. ყოველივე ამან ღრმა შეწუ-ხარებაში ჩამაგდო და, ალბათ, დიდიხნის მკვდარი ვიქნებოდი, შენი სი-ყვარულის, შენთან შეხვედრის იმედი რომ არა მქონოდა. ერთის მხრივ, შენი ნახვის სურვილი მტანჯავდა, მეორეს მხრივ — ჩემი უგულო მამა. იმ ბედშავი დღის შემდეგ წამით არ მასვენებდა, — რა სიტყვებით არ ნლანძღავდა, თავს ლაფს მასხამდა... რა გინდ გულადი ვიყო, გრიგორ, რა გინდ ყრუ, რომ მისი ავყია სიტყვები არ გამეგონა, მე მაინც ქალი ვარ, — სუსტი არსება, ყველაფერს ამას ველარ გავუძელი, და ბოლოს ავად გავხდი, კინაღამ სიკვდილის პირას მივედი... მხოლოდ ამ დროიდან დაჩუმდა ჩემი უგულო მამა. მაშინღა მიხვდა, რომ ძალიან მკაცრად და უსინდისოდ მეპყრობოდა, და როცა ცოტა მოვმჯობინდი, იმ დღიდან შეუფერებელი სიტყვა აღარ უკადრებია, ჩვენი სიყვარული სულ აღარ გაუხსენებია და მუდამ ტკბილად მექცევა, ხოლო დედაჩემი, რომელიც მუდამ მმფარველობდა, ეხლაც წმინდანივით თაყვანს მცემს... მართა-ლია, განვიკურნე, მაგრამ ჩვენი სიყვარულის სევდა საშინლად მიღრღნი-და გულს, მით უფრო, რომ შენგან არაფერი ისმოდა... ყოველდღე, ყო-ველ წუთს ფიქრით შენთან ვიყავი. აბა რაღა სალაპარაკოა, როგორ გა-ვატარებდი ამ ერთ წელს... იმედი მქონდა, კვლავ გნახავდი და ეგ იმედი ამ სამი დღის წინ ამისრულდა. საღამოს, როცა ჩქარი ნაბიჯით ჩვენს სახლს ჩაუარე. ამ დროს აივანზე ვიდექი და ჩემი ფიქრები კვლავ შენს-კენ იყო. ვიხსენებდი ჩვენს წარსულს, ტკბილ წარსულს, შენს მდგომა-რეობას და ვინ იცის, რას არ ვფიქრობდი შენზე. ბოლოს ველარ მოვით-მინე და ავტირდი... ო, გრიგორ, ვერ წარმოიდგენ, როგორ განვიცდიდი უშენობას... დაგინახე ჩვენი აივნის ქვეშ რომ გაიარე, მაშინვე გიცანი და არ ვიცი, რა დამემართა, მხოლოდ ისღა მახსოვს, ჩემდა უნებლიეთ მაგრა შევკივლე და გულწასული ძირს დავეცი... მომაბრუნეს, გულის-წასვლის მიზეზი მკითხეს, ვუპასუხე, უეცრად თავში საშინელი ტკივილი ვიგრძენი, ვერ გავუძელი და გულშეღონებული ძირს დავენარცხე — მეთქი. ამის შემდეგ სამი დღე და ღამე მოსვენება არა მქონდა... გადავ-წყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, მენახე. ველარ ვითმენდი. მაგრამ სად? როგორ? მე ხომ არ ვიცოდი ვისთან ცხოვრობდი, — ეს აზრი სა-სოწარკვეთილებაში მაგდებდა... გუშინ საღამოს კვლავ ჩვენს აივანზე

ვიდექი და თვალებით შენ გეძებდი, შინაგანი გრძნობა მეუბნებოდა, რომ კიდევ გაიკლიდი ამ გზით და მართლაც, უეცრად თვალი მოგკარი. ისე ჩქარა მიდიოდი, თითქოს არაფერი გაინტერესებდა. აივნისკენ ერთხელაც არ გამოგიხედია. მაშინვე შევირბინე ოთახში, ქუდი დავიხურე, ძირს ჩამოვირბინე, შორიდან აგედევნე და აქამდე მოგაცილე. ო, გრიგორ, მზად ვიყავი იმ დროს პირდაპირ შემოვჭრილიყავ შენთან, მაგრამ შემრცხვა... თანაც გულში შიში მქონდა... მაგრამ მე ხომ უკვე ვიცოდი შენი ბინა. ამის მეტი აღარაფერი მინდოდა... მხოლოდ ერთი ფიქრი არ მასვენებდა — როდის და როგორ შეგხვედროდი. ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე ამ საღამოს მოვსულიყავი, თუ გინდ მოვეკალი კიდეც. მაგრამ როგორღაც ყოველმხრივ ხელი შემეწყო ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად. მამაჩემი, ვისაც ყველაზე მეტად მეშინოდა, ძალზე მთვრალი დაბრუნდა და მაშინვე დაიძინა, დედაჩემიც, რაკი მარტო დარჩა, ძილს მიეცა. ცუდი ამინდის გამო ჩვენი მდგმურებიც ოთახებში ჩაიკეტენ, ისე რომ აღარავისი არ მეშინოდა. ჩემი ოთახი განცალკევებულია. ფეხაკრეფით გამოვედი, პირდაპირ შენსკენ გამოვეშურე, — აი, როგორც მიყურებ, ახლა შენთან ვარ, ჩემო გრიგორ. — თქვა ნუნემ და ორივე ხელით კისერზე მოეხვია სეირანიანს.

— გმირი ხარ, გმირი, ჩემო ძვირფასო ნუნე, — აღფრთოვანებით შესძახა ახალგაზრდამ.

— დიახ, სიყვარული ჩემისთანა სუსტ არსებასაც კი გმირად აქცევს, — ჩურჩულით მიუგო ქალიშვილმა. — მე ყველაფერი ვიამბე, გრიგორ, — წუთიერი დუმილის შემდეგ განაგრძო მან, — მაგრამ ვატყობ, ჩემი ტანჯვა შენს ტანჯვასთან შედარებით ზღვაში წვეთია, არა? ჩემო გრიგორ... მიამბე, მიამბე, შენ როგორღა გაატარე ეს ერთი წელი. ძალზე მაინტერესებს. შენი გარეგნობა, პირისახე მეტყველებენ, რომ უფრო მეტი უნდა გქონდეს დაკარგული, ვიდრე მე შემიძლია წარმოვიდგინო.

ახალგაზრდა ისევ მოიღუშა, ფართო შუბლზე სიბწრის ნაოჭები დააჩნდა.

— იმ დღიდან, როცა ჩემი ბედის ბორბალმა უკუღმა დაიწყო ტრიალი, — ესე იგი, იმ დღიდან, როცა ჩემი უბედური მშობლების სიკვდილის სამწუხარო ამბავი ვავიგე, ხოლო მამაშენმა ოომერთოდ გამლანძღა და გამაგდო, ჩემს ყურს ალერსიანი სიტყვა არ სმენია და ჩემ თვალებს ტკბილი ღიმილი არ უნახავთ... მე, რასაკვირველია, შენთვის დაწვრილე-

ბით არ მიამბნია, მთელი წლის განმავლობაში რამდენი ტანჯვა გამოვიარე, აი ახლა კი მხოლოდ ამას გეტყვი: ეს გული მაგ ხნის განმავლობაში მოშხამული იყო...

როცა სოფელში ჩავედი, ენით გამოუთქმელმა სევდამ დამრია ხელი. ჩემი უბედური მშობლების უპატრონოდ დაყრილი გვამების დანახვაზე. ისინი იმ მიდამოებში მოთარეშე ბანდიტების მზაკვრულ ხელს დაეხოცა — ყელები გამოეჭრათ. გაეგოთ, რომ ჩემი მშობლები ყველაზე შეძლებულები იყვნენ მთელ სოფელში, ესარგებლათ ცუდი ამინდით, თავს დასხმოდნენ და დამუქრებოდნენ: ან სიმდიდრე ჩაგვაბარეთ, ანდა ორივეს თავებს წაგაცლითო. მამაჩემს ერთი ცუდი ზნე ჰქონდა — ფულს ხელზე იხახავდა, განსაკუთრებულ ალაგას, რაც მარტო თვითონ იცოდა. კარგა ხანს ყოყმანობდა თურმე, დანაზოგით შემონახული სიმდიდრის დაკარგვა გაძნელებია. მაგრამ ბოლოს ორიდან ერთი—სიცოცხლე აურჩევია და მთელი ქონება გადაუცია ავაზაკებისათვის. არავინ იცის რა თანხა იყო, ჩემის აზრით, დიდი თანხა უნდა ყოფილიყო. მაგრამ ავაზაკები ამას არ დასჯერებიან, იმის შიშით, ვაი თუ დაგვაბეზღონო, ორივესათვის ყელები დაუჭრიათ და გაქცეულან.

ეს ყველაფერი ჩვენმა მსახურმა მიამბო, რომელიც ამ ამბის შემსწრე ყოფილა და შემთხვევით გადარჩენილა ცოცხალი. მეზობელ ქალაქის პოლიციას შეუტყვია ამ მკვლელობის ამბავი, დაუწყია ძიება, მაგრამ ავაზაკები დღევანდლამდე ვერ უპოვია.

მთელი ხუთი დღე ჩემი საბრალო მშობლების გვამები სახლში ეყარა, მათი დაკრძალვის ფულს ვერა ვშოულობდი. ერთი პატარა ნაკვეთი გვქონდა და რამდენიმე ხარი და ცხვარი გვყავდა. ცხვრები ვისაც ხელი მიუწვდა, გაიტაცეს თურმე, ხოლო ხარებისათვის ხელი არ ეხლოთ, ცოტა არ იყოს, პატიოსნად მოქცეულიყვნენ. მაშინვე იაფად გავყიდე ხარები და აღებული ფულით მშობლები მიწას მივაბარე... ამის შემდეგ სად წავსულიყავი? რა საქმეს დავდგომოდი? როგორ მეცხოვრა? აი კითხვები, რომლებიც დღენიადაგ მიღრღნიდნენ გულს, მაგრამ გამოსავალს ვერა ვპოულობდი. ერთის მხრივ, ჩემი საყვარელი მშობლების საშინელმა დაღუპვამ, მეორეს მხრივ, ჩვენმა შეუწყნარებელმა დაშორებამ, მესამე — ჩემმა გაღატაკებამ — ერთი სიტყვით, ამდენმა მარცხმა და უბედურებამ, რომელნიც ყოველმხრივ თავს დამატყდა, სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო. ახლა რომ იმაზე ვფიქრობ, მიკვირს, რატომ არ გავგიჟდი... ისეთი მძიმე და აუტანელი პირობები შემექნა, რომ ერთხანს

თავის მოკვლაც გადავწყვიტე, მაგრამ ეს უფრო საშინლად მომეჩვენა, როცა შედეგებზე დავიწყე ფიქრი.

— არა,—ვმსჯელობდი გუნებაში და შენს სიტყვებს ვიგონებდი, — ნუნე მართალს ამბობდა, რატომ არ უნდა ვიბრძოლო ცხოვრების აიმწარეთა წინააღმდეგ, ხომ შეიძლება გავიმარჯვო კიდეც... თანაც მამაკაცი ვარ! სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ — ყველაზე ღონიერი ყველა არსებათა შორის... ყველაფერი უნდა გამოსცადო. ამ სიტყვებით ხომ ყველა ჩვენთაგანია დაღდასმული, — ასეთია ცხოვრება, ასეთია კაცობრიობა... მეც ხომ მარადიულად არ დავიტანჯები... ალბათ, ერთხელ ჩემთვისაც გათენდება ბრწყინვალე დღე... ეს იმედი მამხნევებდა, ცოტა არ იყოს, სევდას მიმსუბუქებდა.—იგი გაჩუმდა და ხელი რამდენიმეჯერ გრძელ თმებში შერგო. ვიდრე ჭაბუკი ყვებოდა, ნუნე კისერზე ჰყავდა შემოხვეული, ქალიშვილს ლამაზი თავი მის მხრებზე ედო და თანაგრძნობით შესცქეროდა დაღვრემილ სახესა და სევდიან თვალებში.

— ჩემო ძვირფასო ნუნე,—მცირე ხნის შესვენების შემდეგ განაგრძო სეირანიანმა, — არა ერთხელ მითქვამს, სწავლის გასაგრძელებლად უმაღლესში უნდა შევიდე-მეთქი. მაგრამ ეს სურვილი უკვე გამიქარწყლდა. ამისათვის ფულია საჭირო, მე კი რის ვაი-ვაგლახით ვირჩენდი თავს... ვისთვის მიმემართა? — არავინ იყო, თუნდაც ყოფილიყო ასეთი ნათესავი, ან, როგორც ამბობენ, მოკეთე, რომელი გიჟი გაუმართავდა ხელს ისეთ ღარიბ-ღატაკს, როგორიც მე ვიყავი!.. აი სწორედ ამიტომ გავურბოდი ქალაქში ჩამოსვლას; ჩემთვის ცხოვრება აქ უფრო ძნელი და აუტანელი იქნებოდა, რადგან შენს ახლოს უნდა მეცხოვრა. თუმცა შენთან შეხვედრა, ლაპარაკი, სალმის მიცემაც კი აკრძალული მექნებოდა... შენზე დამყარებული იმედი იმ დროიდან გადავიწყვიტე, როცა მამაშენმა ისე უხამსად მომაყენა შეურაცხყოფა და მუქარით გამომაგდო თქვენი სახლიდან. იძულებული გავხდი მთელი წელიწადი სოფელში მეცხოვრა. ამ ხნის მანძილზე ყოველნაირად ვცდილობდი შენს დავიწყებას, ჩემს თავს ვტუქსავდი, მინდოდა გულში ჩამეკლა შენდამი სიყვარული, მაგრამ, ჩემო ძვირფასო ნუნე, — შეუძლებელი აღმოჩნდა... თურმე გაძლიერებულ ხანძარს შებერვით ვერ ჩააქრობ...

ზოგჯერ მარტოობის წუთებში მწარე ფიქრების მორევში ვცურავდი. ვიგონებდი ჩემს უზრუნველ წარსულს, ერთად გატარებულ დღეებს. ჩვენს უანგარო სიყვარულს. რა ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი! რამდენს

ვლაპარაკობდით, ვკამათობდით, ვმსჯელობდით, რაოდენ ბედნიერნი ვიყავით მაშინ!.. ამაზე ფიქრი უფრო მიორკეცებდა სევდას... საითაც გავიხედავდი, ყველგან სამარისებური დუმილით მხვდებოდნენ... არა მყავდა არც მეგობარი, არც გულითადი ამხანაგი, რომ ასეთ დროს ჩანუგეშებული სიტყვა მაინც ეთქვა; არც შენ იყავი, ჩემო ძვირფასო, რომ მაგ შენი ტკბილი საუბრით დაგემშვიდებინე. ახალი იმედითა და ენერგიით აგევსე... ამ პირობებში მხოლოდ ესღა დამრჩენოდა — დღენიადაგ ტირილ-გოდება, ცხარე ცრემლების ფრქვევა...

— მაგრამ ეს ხომ ნებისყოფის სისუსტეა, — ბოლოს ვუთხარი ჩემს თავს და იმ დროიდან წიგნების კითხვას ჩავუჯექი. ამ ხნის განმავლობაში ჩალის ფასად გაყიდული მამულის ფულით ვირჩენდი თავს. ეს თანხა მითავდებოდა, აღარ ვიცოდი რა გზას დავდგომოდი!.. წინ იმედის ნასახს ვერ ვხედავდი, სასოწარკვეთილება დამეუფლა და ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე. დაე, რაც შუბლზე მაწერია, ის მოხდეს-მეთქი, ხშირად ვიმეორებდი მე.

ამ ორი კვირის წინ პეტერბურგიდან ამხანაგის წერილი მივიღე: მე და ის ერთად უნდა წავსულიყავით პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად. ის წავიდა, მე კი ჩვენი ოჯახის უბედურების გამო ჩამოვრჩი. მწერდა, გავიგე შენი ოჯახის ტრაგედია, მაგრამ თუ სწავლის გაგრძელებაზე ხელი არ აგიღია, როგორმე პეტერბურგში ჩამოდი უნივერსიტეტში შესასვლელადო. თუმცა ძალიან მდიდრის შვილი არ იყო, მაგრამ მპირდებოდა, ასე თუ ისე, თავს გავიტანთო. ამ წერილმა, რასაკვირველია, ძალიან გამახარა და გადავწყვიტე ქალაქში ჩამოსვლა. ასეც მოვიქეცი, ჩამოვედი და ამხანაგებში შეწირულების შეგროვებას შევუდექი, მაგრამ რადგან ცოტანი იყვნენ ისინი, ძალზე მცირე თანხა შემიგროვდა — მარტო პურის საყიდლადაც არ გამწვდება, ვიდრე პეტერბურგში ჩავიდოდე... ეხლა კი აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე.

ნუნემ ვაჟის მხრებიდან ხელები ჩამოიღო, შეხედა აცრემლებულ თვალებში და უთხრა:

— მაგისათვის რად დაგიკარგავს იმედი, გრიგორ?

— მეტი სახსარი არ გამაჩნია, ძვირფასო ნუნე! მთელი ჩემი იმედი მაგაზე იყო დამყარებული, მაგრამ ეგეც გამიცრუვდა...

— ყველას მიმართე?

— ყველას, ვისაც კარგად ვიცნობ.

— მეც?

ახალგაზრდამ განცვიფრებით შეხედა თვალებში.

— შენ? — შესძახა მან.

— დიახ, სწორედ მე, რად გიკვირს?

— მაგრამ შენ რა გაქვს, ჩემო ნუნე?

— იმდენი ფული მაქვს, რომ, ჩემის აზრით, გზის ხარჯადაც გეყოფა და...

— შენ ხუმრობ, ნუნე?..

— მერწმუნე, გრიგორ, გულწრფელად გეუბნები... შარშანდელი ჩემი ხელფასის ნაწილი შენახული მაქვს... წელს ავადმყოფობის გამო სკოლაში არ დავდიოდი, თორემ უფრო მეტი მექნებოდა... რაც ხელზე გამაჩნია, ესეც გეყოფა ადგილზე მისვლამდე, მერე გავალ სამუშაოდ, უკეთა ვგრძნობ თავს, ვიმუშავებ სკოლაში და აღებულ ხელფასს მთლიანად შენ გამოგიგზავნი.

სეირანიანი რამდენიმე წუთს გარინდებული იდგა, მუნჯივით, მერე მზერა სტყორცნა ქალიშვილის კოხტა სახეს, თავი ჩაქინდრა და თვალებში ცრემლი ჩაუდგა.

— ღმერთო ჩემო, ტირი, გრიგორ? — შესძახა ქალიშვილმა და ხელები დაუჭირა.

— ეს ხომ სირცხვილია... — ჩურჩულით მიუგო სეირანიანმა.

— სირცხვილია, რომ მე მინდა დაგეხმარო?..

და ქალიშვილი მხურვალედ მოეხვია.

— ჩემო გიჟო, მე ხომ მიყვარხარ, — ჩასჩურჩულა ნუნემ.

ვაჟმა თავი მიადო მკერდზე და დიდხანს იდგნენ ასე გარინდებულნი. უეცრად ქალიშვილი მოცილდა სეირანიანს და წასასვლელად მოემზადა.

— დამაგვიანდა, — თქვა მან, — ვინ იცის, თენდება კიდეც... — და კარებისკენ გასწია.

— მოიცადე, მარტო ხომ ვერ წახვალ? — შესძახა სეირანიანმა, საჩქაროდ ქუდი დაიხურა, კუთხეში მიყუდებული ხელჯოხი აიღო და ორივენი გარეთ გამოვიდნენ.

წვიმას გადაეღო, აღარც ქარი ქროდა, ცა მოშედილი იყო მოციმციმე ვარსკვლავებით, შორს, აღმოსავლეთით რიჟრაჟი კიაფობდა. ქუჩებს კრიალი გაჰქონდა, წუხანდელ შხაპუნა წვიმას მტვერი და ნაგავი გადაერეცხა და ახლა, ღამის სიბნელეში, ქვაფენილი თეთრად ლაპლაპებდა. ქუჩებში ადამიანის ჭაჭანება არ იყო. ისინი ხმამაღალი ლაპარაკით მიდიოდნენ.

— ახლა თქვენი ეზოს ჭიშკარი ღია იქნება?—უცბად შეეკითხა სეირანიანი.

— არ იცი, რომ ჩვენი ეზოს ჭიშკარი დღედაღამ სულ ღიაა? — მიუგო ქალიშვილმა.

ამასობაში ისინი მიადგნენ აღა იაგორ ბუღდანიჩის კარმიდამოს.

— აჰა, შენი პალტო, გრიგორ, — უთხრა ქალიშვილმა და პალტო, რომელიც მანამდე მას ჰქონდა წამოსხმული, სეირანიანს მოახურა. — ღამე მშვიდობისა, გრიგორ... ხვალამდის...

— ღამე ნებისა, ჩემო ანგელოზო, — ჩურჩულით დაემშვიდობა ვაეი ნუნეს და მხურვალედ ემთხვია ხელზე.

ქალიშვილი ეზოს ჭიშკარს იქით გაუჩინარდა. სეირანიანი კი, თითქოს ხელმეორედ დაიბადაო, გახარებული დაბრუნდა შინ.

ზოგჯერ ზაფხულის დღეებში, ერთსა და იმავე საათებში, ერთნაირი ამინდი იცის, ამიტომ არაფერია საკვირველი, თუ მეორე ღამესაც ცუდი ტაროსი დაიჭირა — წვიმდა, საშინელი ჭექა-ქუხილი იყო.

სეირანიანი მოუთმენლად ელოდა სატრფოს. წარამარა იყურებოდა გარეთ, მაგრამ ნუნე არ ჩანდა. ათასგვარი უსიამო ფიქრები უწიწკნიდა გულს, ვაი თუ ქალიშვილს რაიმე ცუდი შეემთხვა, ვინ იქნება დამნაშავე? ვი'ი ბიზეზით?.. დაბადების დღე დაიწყეველა, პალტო წამოისხა, კუთხეში მიყუდებული ხელჯობი აიღო და საჩქაროდ გარეთ გამოვიდა. ქალაქის საათმა თერთმეტჯერ დარეკა. შხაპუნა წვიმა მოდიოდა, ქუჩებში არავინ ჩანდა, დროდადრო გადახურული ეტლი თუ გაივლიდა გრიალით.

სეირანიანი ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა აღა იაგორ ბუღდანიჩის სახლისაკენ, გადაწყვიტა, ნუნე'ს ჭიშკართან დახვედროდა... მაგრამ უეცრად ჩქარი ნაბიჯით მომავალ ქალს მოჰკრა თვალი. ისინი ერთმანეთს მიუახლოვდნენ და სეირანიანმა პირველმა იცნო იგი.

— ნუნე! — სიხარულით შესძახა მან.

— 'შენა ხარ, გრიგორ? მე ქურდი მეგონე... წავიდეთ მალე.

მათ ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და სიცილით, თითქმის სირბილით მივიდნენ ჩვენს ნაცნობ ოთახში.

— მოუსვენრად ვიყავი, სულ შენზე ვფიქრობდი, ჩემო ანგელოზო ,— თქვა სეირანიანმა, კარი მიხურა და ქალიშვილს გვერდით ჰიუჯდა. ნუნემ ოთახში შემოსვლისთანავე შალი მოიხსნა და მომღიმარე სა-

ხით საწოლზე ჩამოჯდა. — მეგონა, ვაითუ დედ-მამამ რამე შეატყეს-მეთქი.

— ო, არა, — მხიარული კისკისით უპასუხა ქალიშვილმა, — გუშინ-ღამ აქედან რომ მივედი, არავის არაფერი გაუგია. ფეხაკრებით შევედი ჩემს ოთახში. მშობლებს რომ ეჭვი არ აეღოთ, ღამე შინ არ ყოფილაო. მაშინვე ტანისამოსი გადავფინე და დილამდე გაშრა. თანაც ძველი ტან-საცმელი მეცვა, აი ესა. დღეს ჩემი დაგვიანების მიზეზი მამაჩემი იყო. ცოტა გვიან დაიძინა, ისევ მთვრალი მოვიდა... ღვინის სმა უკვე ჩვეუ-ლებად ექცა. ეს შენთვის ახალი ამბავი არ არის... ყოველმხრივ ხელ-შემწყობი პირობები მაქვს... აი ხედავ, გრიგორ, ბუნებაც ჩვენს მხა-რეზეა. თუმც გვარიანად კი დავსველდით...

ქალიშვილმა გულიანად გაიცინა. სეირანიანი ხარბად შესცქეროდა ქალიშვილს ნაზ, სანდომიან სახეში და თან იღიმებოდა...

— ეს რა ცუდ ოთახში ცხოვრობ, გრიგორ, — უთხრა ქალიშვილმა და თვალი მოავლო იქაურობას. — გუშინღამ ისე ვიყავი შენით გატაცე-ბული, რომ ვერ შევნიშნე, თურმე ნესტიანი ყოფილა, ბნელი და ძალზე უბადრუკი... აქ ხომ შეიძლება ავად გახდე?

— რა ვქნა, მეტის საშუალება არა მაქვს, ჩემო ძვირფასო. ამია ქი-რაც ძლივს გადავიხადე, თორემ ამაზე კარგს ბა ვინ მომაშავებს?..

— თვეში რამდენს იხდი?

-- ორ მანეთს.

-- აქამდის როგორ გაგქონდა თავი?

— რამდენიმე მანეთი მქონდა, ისიც ამ ორ-სამ დღეში გამითავდა.

— ვერ რა უნდა გექნა?

— ღმერთი მოწყალეა...

— საღილად რასა სჭამ?

— ხაჭელ პურს.

— ჩაის სვამ?

— აგერ რამდენი ხანია, რაც ჩაის გემო არ გამისინჯია, — ამის თქმაზე ვაჟს ხმა აუკანკალდა და თვალები ძირს დახარა.

— ჩემო საწყალო, უბედურო გრიგორ. — ღრმა თანაგრძნობით ჩა-ილაპარაკა ქალიშვილმა და ვაჟს კისერზე შემოეხვია. — ხედავ, როგო-რი ცვალებადია ადამიანის ბედი? — დღეს მდიდარია, ხვალ კი ღარიბი, დღეს ბედნიერია, ხვალ უკვე ყველაზე უბედური... ო, რაოდენ შემზა-რავია!.. დიახ, მე ვიცი შენი მდგომარეობა, ჩემო უბედურო გრიგორ,

ჩემო ძვირფასო გრიგორ... და ვეცდები მუდამ დახმარების ხელი გამოგიწოდო... ეს მე შემიძლია და უნდა გავაკეთო კიდეც... მხოლოდ ერთი სათხოვარი მაქვს, ყოველთვის მხნედ იყავი, მტკიცედ, არასოდეს იფიქრო სიღარიბეზე... იმხიარულე, იცინე... პირისახე როცა ჩამოგტირის, მე გული მიკვნესის... ეს გული კი შენ გეკუთვნის, ვიდრე ფეთქავს...

სეირანიანს თვალები ცრემლებით ავსებოდა.

ქალიშვილმა ჯიბიდან რაღაც შეკრულა ამოიღო, ვაჟს გაუწოდა და უთხრა:

— აჰა, გრიგორ, გუშინდამ რომ შეგპირდი.

სეირანიანმა უნებურად ჩამოართვა, მაგრამ თავი ველარ შეიკავა, აქვითინდა, ქალიშვილის წინაშე მუხლებზე დაეცა და ხელებზე დაეკონა...

— რას სჩადიხარ, გრიგორ, რას სჩადიხარ? — შესძახა ქალიშვილმა, ხელები უკან წაიღო და მუდარით მიმართა: — ადექი, ადექი, გრიგორ, გთხოვ, გემუდარები, ადექი... — მაგრამ სეირანიანს არ ესმოდა ნუნეს მუდარა.

— ახლავე წავალ აქედან, თუ არ დამიჯერებ...

და ქალიშვილმა წასასვლელად წამოიწია.

— შეჩერდი, — ჩურჩულით მიმართა სეირანიანმა და ფეხზე წამოდგა.

— ღმერთო ჩემო, სად გაგონილა ასეთი რამ! — უსაყვედურა ქალიშვილმა. — ვერ წარმოიდგენ, ასეთი საქციელით როგორ მაწყენინე და გული დამიჩაგრე... ასეთი წვრილმანის გამო თუ მუდამ ასე მოიქეცი... არასოდეს... სახეზეც არ შემოგხედავ...

— მაპატიე... — რაღაცის თქმა უნდოდა სეირანიანს, მაგრამ ქალიშვილმა უეცრად ხელი პირზე მიაფარა, მეორე ხელით კისერზე მოეხვია. შუბლზე აკოცა და სიცილით განშორდა.

— ახლა ისა თქვი, როდის აპირებ გამგზავრებას? — სიცილითვე შეეკითხა ნუნე.

— როდის?.. რომ არ დამაგვიანდეს, რამდენიმე დღის შემდეგ, — უპასუხა სეირანიანმა.

ოთხი დღის შემდეგ სეირანიანი უკვე მზად იყო პეტერბურგში გასამგზავრებლად. წინა ღამეს შეყვარებულები კიდევ შეხვდნენ ერთმა-

ნეთს. ძალზე გულამაჩუყებელი იყო მათი განშორების წუთი. ისინი, ერთმანეთზე გადაკვდობილნი, დიდხანს ცხარედ ტიროდნენ...

ქალიშვილმა, ვიდრე „მშვიდობით მგზავრობას“ უსურვებდა, უთხრა:

— წადი, გრიგორ, ღმერთი იყოს შენი შემწე, განუყრელად შეეთან იქნება ჩემი გული... არ დამივიწყო, ხშირად მომწერე წერილი... თუ ცოცხლები დავრჩით. ისევ შევხვდებით და... იმის შემდეგ უკვე ბედნიერები ვიქნებით...

მეორე დღეს სეირანიანი უკვე პეტერბურგისკენ მიმავალ გზას დაადგა.

ე

ამ დღიდან ხუთმა წელმა გაიარა.

ივლისის პირველი რიცხვები იყო.

საღამოს მზის უკანასკნელი მკრთალი სხივები ისე ანათებდნენ აგარაკის ლამაზად აგებულ სახლებს, რომ შორიდან გეგონებოდათ ლამპები ანთიაო.

დღის სიცხის შემდეგ ჰაერში თითქოს სიგრილე იგრძნობოდა. ხეებზე ფრინველები ჭიკჭიკებდნენ. საზოგადო სასეირნო ბაღში სამხედრო მუსიკა უკრავდა. აგარაკის თიოქმის ყველა მობინადრენი, ბავშვებისა და მოხუცების ჩათვლით, იქ იყვნენ. აგერ ერთ მხარეს მშვიდად დასეირნობს ვილაცა მანდილოსანი — დედა, და თან თვალს არ აშორებს თავის საყვარელ შვილებს, რომლებიც სხვა ბავშვებს დამეგობრებიან და ერთად დარბიან ხეივნებში. იქ ახალგაზრდა ბედნიერი ცოლ-ქმარი — ერთმანეთს მიკრული ნელი ნაბიჯით დასეირნობენ, ცოტა მოშორებით კი სტუდენტი ქალ-ვაჟი ერთიმეორეს საოხუნჯო ქათინაურებით ართობენ, — ერთი სიტყვით, საითაც გაიხედავთ, ყველგან ღიმილი, სიცილი, მხიარულებაა...

მაგრამ ამ საერთო მხიარულებაში მონაწილეობას არ ღებულობდა ერთი ქალი, რომელიც ამ დროს იმყოფებოდა ბაღის მახლობლად მდებარე უმშვენიერესი სახლის ზემო სართულის ერთ-ერთ ოთახში, რომლის ღია ფანჯრები ბაღს გადმოსცქეროდა. იგი სავარძელში იჯდა მრგვალ მაგიდასთან, უნებლიეთ თავი მარცხენა მხარეზე გადაეღუნა, ჰარჯვენა ხელში კალამი ეკავა და დინჯად წერდა.

რამდენიმე წუთი ასე განაგრძობდა წერას. მერე, ალბათ დაიღალა, კალამი დადო, ან უფრო სწორად, კალამი ხელიდან გაუვარდა, ამ მდგო-

მარეობაში წამით გაირინდა, შემდეგ ნელა წამოდგა და ახალ ფეხადგმული ბავშვივით ძლივს მიუახლოვდა ღია ფანჯარას. ბაღიდან მოდენილი სიო ნაზად წაელამუნა სახეზე და ქალმა თავისუფლად ამოისუნთქა.

იგი ძალზე გამხდარი იყო, სახე გაყვითლებული, ტანმაღალი, დაახლოებით ოცდასამი წლისა. ეტყობა ერთ დროს ძალიან მიმზიდველი აღნაგობისა უნდა ყოფილიყო. ლამაზი, თვალწარმტაცი, მაგრამ ეხლა, მძიმე ავადმყოფობის გამო, რასაც მაშინვე შეამჩნევდა მნახველი, აჩრდილს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ არსებას. საშინაო თეთრი ტანსაცმელი, რომელიც სანდომიან იერს აძლევდა მის მოყვითალო სახეს, ფეხებამდე დასთრევდა და ხალვათად აღგა ტანზე. შავი თმები, აწეწილ-აბურძგნული, მხრებზე ეკიდა, ხოლო მოყვითალო, გაძვალტყავებულ ხელებზე ნათლად ემჩნეოდა ამობურცული ლურჯი ძარღვები.

ორი წუთი უძრავად იდგა, ძეგლივით, დიდრონი შავი თვალებით ერთ წერტილს მისშტერებოდა ფანჯარასთან გარინდებული. მის სახეზე აღბეჭდილი ღრმა სევდა და მელანქოლია თითქოს იდუმალ მეტყველებდა, რომ ქალი უკვე შეგუებოდა თავის მდგომარეობას.

საერთოდ ამ ქალის გარეგნობაში დაუფარავად იგრძნობოდა, რომ მისი ხვედრი იყო მწუხარება და დიდი ხელმოკლეობა.

გარინდებულ მდგომარეობაში დიდხანს ვერ გაჩერდა, დასუსტებული მუხლები აუკანკალდა. ის იყო ძირს დაეცემოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, იქვე სავარძელი იდგა და მოწყვეტით ზედ დაესვენა; თავი უკან გადაიწია, თვალები მილულა და დიდხანს დაძაბული ყურადღებით უსმენდა მწუხარე მელოდიას, რომელიც გარედან მოისმოდა. ეს მელოდია თითქოს გაბმული გოდება იყო, სევდით გათანგული მუმუნვარე გულიდან აღმოხეთქილი.

მელოდია დამთავრდა. მაგრამ ქალი ისევ გაუნძრევლად იჯდა სავარძელში. არ ეძინა, დიდხანს მის ყურებში კვლავ ისმოდა მწუხარე მელოდია, ქალი ფიქრით შორს იყო, ძალიან შორს... ბოლოს თვალები გაახილა, გასწორდა სავარძელში, სახეგაფითრებული იყო, აღელვებული. ბოლოს რის ვაი-ვაგლახით წამოდგა, ძლივს მივიდა მაგიდასთან, დაჯდა ძველ ადგილას, კალამი აიღო და უნდოდა წერა განეგრძო, მაგრამ ძალა არ ეყო, ვერ შესძლო წერა და კალამი ისევ გაუვარდა ხელიდან.

ეეცრად მოუსვენრობა დაეტყო, აწრიალდა, ხელი წაატანა მაგიდაზე ზარს და დააწკარუნა.

კარი მაშინვე გაიღო და შემოვიდა ახალგაზრდა მსახური ქალი.

— ექიმი, — ძლივს ამოილუღლუღა ქალმა.

მსახური მყის გავიდა.

ავადმყოფი ქალი კვლავ რამდენიმე წუთი უძრავად იყო მისვენებული საკარძელში, მერე ტანჯვით წამოდგა, ღონემიხდილი მილასლასდა საწოლამდე, რომელიც კედელთან იდგა, სუფთა ლოგინითა და რბილი, თეთრი ბალიშებით გაწყობილი და ფრთხილად გულაღმა დაწვა. შემდეგ ხელი ჩაიყო უბეში, იქიდან ამოიღო სურათი და დიდხანს უმზერდა. ფერმკრთალი ტუჩები უთრთოდა. მაგრამ არავითარი ხმა არ ისმოდა. იგი თითქოს იდუმალ ესაუბრებოდა ასევე იდუმალ სურათს. ბოლოს სურათი ხელიდან გაუვარდა და ქალს გულზე დაეცა. ავადმყოფს თვალები დაეხუჭა, მკერდი შესამჩნევად აუტოკდა.

ათი წუთის შემდეგ მსახური ქალი ექიმთან ერთად შემოვიდა ოთახში. ექიმი მაღალი, ლამაზი, მაგრამ ფერმკრთალი და მოწყენილი სახის ოცდარვა წლის ახალგაზრდა იყო. დინჯი, ჭკვიანი და ძალიან კეთილი კაცი ჩანდა.

იგი მიუახლოვდა ავადმყოფს, რომელიც უმოძრაოდ იწვა. დახედა სახეზე, და, ძალიან შემკრთალმა, უნებლიეთ უკან-უკან დაიხია, მაგრამ თვალებდაჭყეტილი შმაგ მზერას არ აცილებდა ავადმყოფის სახეს. ისე თითქოს მის თვალწინ ზებუნებრივი რაღაც სანახაობა იყო გადაშლილი... ბოლოს კვლავ მიუახლოვდა ავადმყოფის საწოლს და ისეთი ხმით შეჰყვირა, რომ სიტყვებით მისი გადმოცემა ყოვლად შეუძლებელია.

— ნუნე!..

ავადმყოფი ქალი, მანამდე რომ არაფერი ესმოდა და თვალებდახუჭული იწვა თითქმის უგრძნობლად, ამ ხმის გაგონებაზე, ჯანსაღი ადამიანივით შეირხა და თვალები გაახილა. მიმქრალი მზერა ექიმის აღელვებულ სახეს მიაჩერა, ფერმკრთალი ტუჩები მოულოდნელად ღიმილმა გაუპრ, ავადმყოფური მისუსტებული ხმით ჩურჩულით აღმოხდა:

— აბ, გრიგორ!..

და გაძვალტყავებული ხელი გაუწოდა ექიმს.

3

გრიგორ სეირანიანი, როგორც უკვე აღნიშნეთ, პეტერბურგში ნუნეს მიერ გაღებული თანხით წავიდა. იქ უნივერსიტეტში შეიდა. თუ

როგორ გაატარა ხუთი წელი პეტერბურგში, ამის დაწვრილებით მოყოლა საჭირო არ არის, მხოლოდ ვიტყვით, რომ პეტერბურგში, რაც ხანი დაჰყო, იმ ამხანაგის ბინაზე ცხოვრობდა, რომელმაც წერილი გამოუგზავნა. ამხანაგის დახმარებითა და ნუნეს მიერ გაგზავნილი ფულით სწავლობდა და არსებობდა. ორი მეგობარი სტუდენტი ძალიან უბრალოდ და საწყლად ცხოვრობდა. ისე, როგორც შეეფერებოდა საერთოდ სტუდენტებს. უღრმესი მადლიერების გრძნობით იყო გამსჭვალული სეირანიანი თავის დიდსულოვანი ამხანაგისა და ნუნეს მიმართ, რომელთა უანგარო დახმარებით სწავლობდა ხუთ წელს. იგი მოვალედ სთვლიდა თავს არა მარტო ეხლა, არამედ უკანასკნელ სულის ამოსვლამდე; მათ იხსნეს გამოუვალი მდგომარეობიდან, ააცდინეს სიკვდილს. ისინი მიაჩნდა თავის ნამდვილ კეთილისმყოფელებად და ერთგულ მეგობრებად.

სეირანიანსა და ნუნეს შორის წერილების მიწერ-მოწერა ბოლომდე არ შეწყვეტილა.

როგორც სეირანიანმა, ისე მისმა ამხანაგმა საექიმო დარგი აირჩიეს. მიზნად ჰქონდათ დასახული სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ სამუშაოდ. საზაფხულო არდადეგებზე ხელმოკლეობის გამო თბილისში ვერ ჩამოდიოდნენ. სეირანიანს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული თბილისში ჩამოსვლა, რომ თავისი ერთგული, განუყრელი, სათაყვანებელი არსება ნუნე ენახა, მაგრამ გზის ხარჯების უქონლობა ხელს უშლიდა თავისი ოცნება სისრულეში მოეყვანა.

სეირანიანის ამხანაგმა ერთი წლით ადრე დაამთავრა საექიმო ფაკულტეტი და სამშობლოში დაბრუნდა. წამოსვლისას აღუთქვა სეირანიანს, დამთავრებამდე ყოველთვიურად დაგეხმარებიო. მან თავისი სიტყვა მტკიცედ დაიცვა, ყოველთვიურად შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა. სეირანიანი ფულს ნუნესაგანაც ღებულობდა.

ბოლოს სეირანიანის დროც მოვიდა. მან გამოცდები ჩაბარა თავის სპეციალობაში და ექიმის დიპლომი მიიღო. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რაოდენი სიხარულით შეატყობინებდა და გადაუხდიდა მადლობას თავის ორ მეგობარს — ნუნეს და ამხანაგს. პირველისთვის ფიქრობდა პირადად გადაეცა, მეორისათვის — დეპეშით. ამხანაგი ამ დროს ზემოთ მოხსენებულ აგარაკზე იყო. სეირანიანის დეპეშა რომ მიიღო, ძალიან გაუხარდა, მაშინვე გზის ხარჯი გაუგზავნა და სთხოვა თბილისზე გავლის დროს უეჭველად ჩემთან შემოიარეო.

სეირანიანსაც ასეთი გეგმა ჰქონდა, იგი გამოემგზავრა და სანამ თბილისში ჩამოვიდოდა, აგარაკზე შეიარა მეგობართან. მეგობარის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. სთხოვა რამდენიმე დღე დარჩენილიყო მასთან, სეირანიანმა, თუმცა სულითა და გულით ნუნესკენ მოისწრაფოდა, მის ნახვაზე ოცნებობდა, მაინც გადაწყვიტა სამი დღე დარჩენილიყო.

სეირანიანის ამხანაგი ძალზე ახალგაზრდა ექიმი იყო, მაგრამ თავისი გონებამახვილობით, გამოცდილებით და კეთილი ბუნებით კარგი სახელი მოეხვეჭა აგარაკზე.

ერთი დღე იყო გასული, რაც სეირანიანი მეგობრის ოჯახში იმყოფებოდა. საღამო ხანს, მშვენიერ საამურ საღამოს, როცა ამხანაგი ავადმყოფთან იყო წასული, სეირანიანი მარტო იჯდა სახლში და ნუნეზე ოცნებობდა. სულის კაწკაწით ელოდებოდა დარჩენილი ორი დღის გავლას...

ძნელია წარმოდგენა რაოდენ გულმხურვალედ ფიქრობდა თავის ძვირფას ნუნესათვის მადლობის გადახდას... მისი აზრით, ყველა ტანჯვა-ვაებამ, სიღატაკემ უკვე განვლო, დადგა დრო ბედნიერებისა და კეთილი ცხოვრებისა... და მოაგონდა ნუნეს სიტყვები: „დიახ, გრიგორ, სოფელი ტკბილია... ნეტავი მეც გლეხის ქალად ვიყო დაბადებული... დაგეხმარებოდი... მეც ვიმუშავებდი შენთან ერთად“... სეირანიანს ნუნეს უკანასკნელი სიტყვებიც გაახსენდა, ამ ხუთი წლის წინათ რომ უთხრა, განშორების დროს: „ცოცხალი თუ დავრჩით, ჩვენ კვლავ შევხვდებით და... ჭაშინ ბედნიერნი ვიქნებით...“.

— ჩემო საყვარელო... — უნებლიეთ აღმოხდა სეირანიანს თავდავიწყების წუთებში, რომ სწორედ ამ წუთას კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა ჩვენი ნაცნობი მსახური ქალი. მას სეირანიანის ამხანაგი უნდოდა.

სეირანიანმა განუცხადა, მეც ექიმი ვარ, რაკი ჩემი მეგობარი შინ არ არის, შემიძლია მეგობრის მაგიერობა გავწიოო. მსახურმა ქალმა არ დაიყოვნა და სეირანიანს წინ გაუძღვა. ახალგაზრდა ექიმს ფიქრად არ გაუტარებია, ამ წუთას ვისთან მიდიოდა, ან ულმობელი ბედი რას უმზადებდა!.. ავადმყოფის სახლის კიბეზე ასვლისას მთლად ცახცახებდა; ეს ხომ მისი პირველი მისვლა იყო ავადმყოფთან, პირველი გამოცდა. მსახერმა ქალმა კარი შეაღო და ექიმი შევიდა ოთახში, სადაც საწოლზე ავადმყოფი ქალი იწვა.

8

სეირანიანმა შმაგივით აიღო ნუნეს გაძვალტყავებული ხელი და ტუჩებთან მიიტანა.

— ნუნე! ნუნე!.. ვაი ჩემს თავს; ამას რას ხედავს ჩემი თვალები... — სასოწარკვეთილებით იმეორებდა იგი.

ავადმყოფმა ნუნემ ანიშნა, წამომაყენეთო. მსახური ქალი, რომელიც ამ სურათს ესწრებოდა და გაოგნებული იყო, ექიმს მოეხმარა და ნუნე წამოსვა. ავადმყოფი დაჯდა და უდიდესი სინაზით, სიყვარულითა და ალერსით მიაჩერდა ექიმს თვალებში. მის მზერაში ღიმილი შეინიშნებოდა. მერე ხელით ანიშნა მსახურ ქალს, მარტო დაგვტოვეო.

მსახურმა ქალმა კვლავ განცვიფრებით შეხედა ექიმს და გავიდა.

ავადმყოფმა ხელით ანიშნა ექიმს, დაჯექიო.

ექიმი მექანიკურად ჩამოჯდა საწოლთან მდგარ სავარძელზე და ნუნეს ხელი აიღო.

— ჩემო ძვირფასო ნუნე, ჩემო სულისდგმავ, მითხარი, რაშია საქმე?.. ნუთუ ეს შენა ხარ? თუ ყველაფერი მხოლოდ სიზმარია, — საბრალობელი ხმით შეეკითხა ექიმი.

— ამას არ მოელოდი, არა? — ნაწყვეტ-ნაწყვეტად და სიტყვების დამარცვლით შეეკითხა ავადმყოფი.

— წუთითაც ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამ მდგომარეობაში განახავდი, ჩემო ძვირფასო ნუნე... შენ არასოდეს არ მოგიწერია ჩემთვის... მე კი ვხედავ, რომ ამ სენით დიდი ხანია იტანჯები... მაგრამ, რატომ? რად სდუბდი, ჩემო ძვირფასო ნუნე?..

ავადმყოფმა კვლავ გაიღიმა... იგი თვალს არ აშორებდა ექიმს.

— მაგას... მერე გაიგებ, გრიგორ, — თქვა, ხელი გაიშვირა მაგიდისაკენ და დაუმატა: — იქ ქაღალდია... აიღე და შეინახე... სახლში წაიკითხავ... იმაში ყველაფერს მიხვდები... მიდი, აიღე.

სეირანიანი წამოდგა. მაგიდაზე ორი საფოსტო ქაღალდი იდო, ორივე დაწერილი. ეს ის ქაღალდები იყო, ცოტა ხნის წინ ავადმყოფი რომ წერდა. გრიგორმა აიღო, მექანიკურად ჩაიდო უბეში და ისევ თავის ადგილზე დაჯდა. იგი გამოუთქმელი სევდით შესცქეროდა ნუნეს ჩაცვენილ, ავადმყოფობისაგან გაფართოებულ თვალებში.

— ეგ წერილი... შენთვის უნდა გამოვეგზავნა, — ისე ჩაილაპარაკა ავადმყოფმა მისუსტებული ხმით, თითქოს სული ეხუთებაო,—მაგრამ...

დამთავრება ვერ მოვახერხე... პირველი შემთხვევაა, გავგზავნე ექიმ-ოან... მიანდოდა... ისეთი წამალი მოეცა... რომ ცოტა უკეთ მეგრძნო თავი... მსურდა... ძალღონე მომეკრიბა, რომ დამემთავრებინა წერილი... და შენთვის გამომეგზავნა... მერე კი მოვმკვდარიყავი... მაგრამ ღმერთი... იმდენად მოწყალეა... ჩემი ლოცვა-ვედრება შეიწყნარა... და შენ თავად მოგავლინა ჩემთან... რომ უკანასკნელად გნახო... და... წერილის უკანასკნელი სიტყვები... პირადად მოისმინო...

ივი დაიღალა და დაჩუმდა. სეირანიანი ხარბად უსმენდა.

ერთ წამს ოთახში მდუმარებამ დაისადგურა. ავადმყოფმა თავი ჩაქინდრა, თითქოს რაღაცას ფიქრობდა, მერე ერთბაშად აიღო თავი და ღიმილით შეეკითხა.

— დაამთავრე, გრიგორ?

— დიახ... მაგრამ რა ფასი აქვს? რისთვის მინდა, ძვირფასო ნუნე?

— მაგას ნუ ამბობ... შენ მიაღწიე მიზანს... ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს... მაგრამ, უფრო ბედნიერი ვარ, რომ... ჩემთანა ბეჯდავ. მომიახლოვდი, ჩემო გრიგორ. — სეირანიანი დაიღუნა და ავადმყოფი თავისი სუსტი მკლავებით მოეხვია კისერზე. — ო, რა ტკბილია, როგორ მსიამოვნობს, ჩემო გრიგორ... ეს ერთი წუთი მთელი ჩემი წარსული ტანჯვა-წამების ჯილდოა... — ერთი წვეთი ცრემლიც დამანახე, გრიგორ, და მე... ყველაზე დიდ ბედნიერებას მომანიჭებ...

მაგრამ სეირანიანი, ერთი წვეთი ცრემლი რა სათქმელია, უკვე მწარედ ქვითინებდა, იგი გრძნობდა, თანდათან რწმუნდებოდა, რაოდენ ძვირფას ადამიანს ჰკარგავდა...

— ეხლა დავრწმუნდი, რომ კვლავ გიყვარვარ, ჩემო გრიგორ... — ჩურჩულით წარმოთქვა ავადმყოფმა, შუბლზე ეამბორა და ხელი გაუშვა. — კმარა, გრიგორ... შეიმშრალე ცრემლები.

ავადმყოფი ნელა დაეშვა ბალიშზე. ცოტა ხანს იყუჩა, შემდეგ კვლავ თვალი თვალში გაუყარა სეირანიანს და ძლივს წარმოთქვა:

— გრიგორ, ძალიან ცოტა ხანი დამრჩენია სიცოცხლე... იქნებ რამდენიმე წუთი... ერთი სათხოვარი მაქვს... იმედია, შემისრულებ... უნდა შემისრულო...

— მიბრძანე!...

— მომისმინე. არასოდეს იმედი არ დაკარგო... ეს ბევრჯერ მითქვამს, ახლაც გეუბნები, ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში... მუდამ მხნედ იყავი... ჩემი სიკვდილის შემდეგ იცოცხლე... გესმის?

იცოცხლე... და ჩემზე ბევრს ნუ იფიქრებ... შეეცადე, დამივიწყო კიდეც... ახ... დიახ, დამივიწყე, ჩემო გრიგორ, ეგ შენთვის უკეთესი იქნება... სულ ერთია, ჩვენ ერთმანეთისათვის არა ვყოფილვართ დაბადებული... შემისრულებ? გრიგორ...

— მე შენთან მსურს მოვკვდე...

— არა, ეგ ცუდია, გრიგორ... შენ არ მისმენ... — უკმაყოფილოდ თქვა ავადმყოფმა. — თუ გიყვარვარ, ამ თხოვნაზე... ერთადერთ თხოვნაზე, სიკვდილის წინ უარს ნუ მეტყვი... მაშასადამე, შემისრულებ, გრიგორ?..

ექიმი დუმდა. ავადმყოფმა შეკითხვა გაუმეორა.

— შევასრულებ... — ბოლოს, როგორც იქნა, წარმოთქვა ექიმმა.

ავადმყოფს სახეზე სიცოცხლის სხივი აუკიაფდა.

— მჯერა შენი, გრიგორ, მაგრამ... დაიფიცე.

ექიმი წამოდგა და აკანკალებული ხმით გულისტკივილით ჩაილაპარაკა.

— ვფიცავ ამ უწმინდეს წუთს, ძვირფასო ნუნე, რომ შევასრულებ, ყოველნაირად შევეცდები შევასრულო შენი თხოვნა, თუმცა, მეტად ძნელი კია... დიახ, ვიცოცხლებ, ჩემო ნუნე, ჩემო ანგელოზო, იმისათვის, რომ არასოდეს არ დაგივიწყო, ყოველ წუთს, ყოველ წამს მოგიგონო შენი კეთილი საქმით! შენს წმინდა სახელს საკურთხეველად გაიხდის მადლიერი მაგრამ სევდისაგან დაკოდილი ჩემი გული...

— იქ, სამშობლოში, სამოღვაწეოდ... — ნელა, ძალიან ნელა წაიჩურჩულა ავადმყოფმა და გაშტერებული მიაცქერდა სეირანიანს თვალებში. — სოფლის მყუდროებაში... გახსოვს?.. მოიგონე... არ დაივიწყო... მე კი, ეჰ, ადამიანებო! ხალხო!..

უკანასკნელი სიტყვების თქმაზე ნუნეს გაფითრებული პირისახე უცნაურად დაებრიცა, დაუმახინჯდა, თვალები საზარლად გადაატრიალა, რამდენჯერმე შეირხა და ხრიალი დაიწყო, მერე თვალები მილულა, გაიჭიმა და უეცრად გაშეშდა. იგი გარდაიცვალა.

0

ნახევარი საათის შემდეგ სეირანიანი მეგობრის ოთახში იჯდა მარტო და ლამპის შუქზე ნუნეს მაგიდიდან აღებულ ერთ-ერთ წერილში ამ სტრიქონებს კითხულობდა:

„ჩემო ძვირფასო გრიგორ!

ვერ წარმოიდგენ ამ წუთს, როცა ამ წერილსა ვწერ, როგორ მღელ-

ვარებას განიცდის ჩემი სული, რაოდენ გამწარებულია ჩემი გული, ვინაიდან უნდა გადაგიშალო ის საიდუმლოება, ან უფრო სწორედ, მწვავე ტკივილების აღმძვრელი ის უხამსი სინამდვილე, რომელსაც აქამდე დიდი სიფრთხილით გიმალავდი... ო, გრიგორ, მაპატიე, მაპატიე, ჩადენილი დანაშაული, ნუ გამკიცხავ, რადგან რასაც ჩავდიოდი, შეგნებულად ჩავდიოდი შენს სასარგებლოდ...

მაგრამ ვიდრე ამ საიდუმლოებას გაგიმხელდე, გემუდარები, წინასწარ გაფრთხილებ, გამაგრდე ისე, როგორც ეს ვაქკაცს შეჰფერის და თავში ნურავითარ ბოროტ აზრს ნუ გაიტარებ, რადგან ვიცი, რაც მე უნდა გითხრა, შენთვის სიკვდილის მაგვარი ამბავი იქნება... ოჰ, იცის ღმერთმა, არ მინდოდა ამ წერილის დაწერა, ძალიან ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, რომ ამის შესახებ არაფერი გცოდნოდა და მშვიდობიანად გეცხოვრა, მაგრამ როდემდე, ჩემო ძვირფასო გრიგორ?..

ადრე თუ გვიან, სულ ერთია, გამომჟღავნდებოდა, და აი, ეს დრო დადგა კიდეც.

დღემდე, ესე იგი, მთელი ხუთი წელი, განსაკუთრებით კი ამ უკანასკნელ ჩემს წერილებში მუდამ გწერდი, რომ კარგად ვიყავი, მხიარულად და მშვიდად ვატარებდი ჩემს ცხოვრებას, რომ მოუთმენლად ველოდი იმ დროს, როცა სწავლას დაამთავრებდი და შინ დაბრუნდებოდი. შენც ასეთივე შინაარსის პასუხებს მიგზავნიდი, მაგრამ რა იცოდი, რას იფიქრებდი, რომ ჩემი ნამდვილი ცხოვრების სულ საწინააღმდეგო ამბავსა გწერდი, იმ წერილების წერის დროს ცხარე ცრემლებს ვღვრიდი და იმ დროს გული შხამით მქონდა სავსე... მაპატიე, მაპატიე, ჩემო გრიგორ, ნუთუ ვერა ხვდები, რომ არასოდეს არაფრის გულისათვის არ ვისურვებდი ულმობელი ბედისწერისაგან განთავისუფლებულ შენს ბედნიერ ცხოვრებაზე ახალი შხამისა და გესლის გადმონთხევას... რაც არ უნდა ყოფილიყო, მინდოდა, ჩემი სურვილი იყო, შენ გეცოცხლა, მიგეღწია მიზნისათვის... დიახ, მიზნისათვის... მე დაღუპული ვიყავი და არ მინდოდა ჩემს გამო შენც დაღუპულიყავი... ოჰ, გრიგორ, გრიგორ, შენ არ იცი, რამდენჯერ დამიწყევლია, დაე მეპატიოს ეს ცოდვა, ის ავბედითი წუთი, როცა ჩვენ პირველად შევხვდით ერთმანეთს, როცა ულმობელმა ბედისწერამ ერთმანეთს დაგვაახლოვა, რომ შემდეგ მთელი შხამი და გესლი ჩვენზე გადმოენთხია...

კმარა, დროა საქმის არსს შევეხოთ.

სწორედ იმ ღამეს, იმ წუთს, როცა შენ გაგშორდი, რომელიღაც ში-

ნაგანმა გრძნობამ მიკარნახა, რომ ჩვენ ერთმანეთს აღარ შეეხვდებოდით, და თუ ეს მაინც მოხდებოდა, ვინ იცის, როდის და როგორ პირობებში!.. მხოლოდ ამ ბოლო წელს დავრწმუნდი, რამდენად მართალი იყო ჩემი ის წინათგრძნობა.

შენ წახველ, გრიგორ, მე დავრჩი, მაგრამ ღმერთო ჩემო, როგორ სიცარიელეს, არარაობას ვგრძნობდი მაშინ ჩემს ირგვლივ, რაოდენ სიმწარეს, რაც ცხარე ცრემლების ფასად დამიჯდა... ახლა კი, ვზიეარ, ამ სტრიქონებსა ვწერ, ერთი წვეთი ცრემლიც არ ჩამომდის, — ცრემლი აღარა მაქვს, გამიშრა, ახლა გულითა ეტირი, და ჩემი ცრემლები დაკოდილი გულის დაუშრეტელი ამოკვნესაა...

ოთხ წელს გვერდს ავუვლი და გადავდივარ მეხუთე წელზე, როცა, სამწუხაროდ, ყველაფერი დამთავრებულია...

ერთ დღეს ჩვენსა ერთი უცნობი დედაბერი მოვიდა. მამაჩემი ძილისაგან ახალგამოფხიზლებული იყო და ჩვეულებისამებრ წითელ ღკინოს შეექცეოდა, დედაჩემი ხელსაქმით ირთობდა თავს. მე წიგნს ვკითხულობდი, მაგრამ შევამჩნიე, იმ დედაბერმა, კუდიანს რომ წააგავდა, როგორ ამათვალიერ-ჩამათვალიერა, ჩვეულებრივი მისალმებისა და რამდენიმე საიდუმლო სიტყვების შემდეგ, მამაჩემმა მითხრა, მათ ლაპარაკს არ დავსწრებოდი. გამიკვირდა, რას ნიშნავს ეს გაფრთხილება-მეთქი, მაგრამ დავემორჩილე და გარეთ გავედი. ერთი თუ ორი საათის შემდეგ, ჩემი საწოლი ოთახის სარკმლიდან თვალი მოვკარი, რომ მამაჩემი და ის დედაბერი მუსაიფით წავიდნენ. მაშინვე დედაჩემთან მივედი და შევეკითხე, ვინ იყო ის დედაბერი, რა უნდოდა, ან ლაპარაკს რატომ არ დამასწრეს. დედაჩემი მოწყენილი და ჩაფიქრებული იჯდა. ჩემს შეკითხვაზე თვალებში შემომხედა და მიეხვდი, მის მზერაში რაღაც სიბრალული იმალებოდა... მაგრამ ისე დაბნეულად მიპასუხა, რომ მტკიცედ დავასკვენი, აქ რაღაც საიდუმლოებას ჰქონდა ადგილი და ეგ საიდუმლოება სწორედ მე მეხებოდა...

იმავე საღამოს, დაბნელდა თუ არა, დედაჩემთან დავაპირე შესვლა. ჯერ იმის ოთახამდე არ ვიყავი მისული, რომ უეცრად მამაჩემის ყვირილი მომესმა:

— ხმა ჩაიწყვიტე, თორემ ღმერთსა ვფიცავ, ახლავე სულს გაგაფრთხობინებ... გეუბნები, ისე უნდა მოხდეს, როგორც მე მსურს... განა აქ მე შენზე უფროსი არა ვარ? ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც მე მინდა!.. ფრთხილად იყავი, თუ ერთხელაც გაგიბედნია წინააღმდეგობის

გაწევა, კრინტი დაგიძრავს, ვაი შენი ბრალი... მაშინ აღარ გამამტყუ-ნოთ...

კარებთან ვიდექი და ყურს ვუგდებდი. მამაჩემი გაჩუმდა, მოისმა ყრუ ქვითინი — დედაჩემი ტიროდა... მთელ სხეულზე ეკლები დამასხა და ეიგრძენი ცრემლი მახრჩობდა. გავიქეცი, შევვარდი ჩემს ოთახში და აკანკალებული ლოგინში ჩავწექი.

ოჰ, გრიგორ, თითქოს დღესაც ჩამესმის ყურში საბრალო დედაჩემის ყრუ ქვითინი, იმისი ცრემლის თითოეული წვეთი თითქოს ცეცხლის ნაღვერდალი იყო, რომლისგანაც მოყენებული განუკურნებელი წყლული აბლაც მწვავს და მიღრღნის გულს... დედაჩემის ტირილს ბევრჯერ შევსწრებივარ, პირველი არ იყო, მაგრამ არასოდეს ისე არ უმოქმედია ჩემზე, როგორც ამჯერად... მხოლოდ ის მიხვდება ჩემს მდგომარეობას, ვისაც გულკეთილი შვილის მხურვალედ მოყვარული დედა და დესპოტი მამა ჰყავს... ო, უბედურო, საცოდავო ჩემო დედა, როგორი მოკრძალებით და უხმოდ ატარებ იმ მძიმე უღელს, რაც ჩემმა უსულგულო მამამ დაგადგა კისერზე... როგორი მწამებლური მოთმინებით იტან იმ ქუჩურ უწმაწურ ლანძღვა-გინებას, რომლითაც მამაჩემი ყოველდღე გიმასპინძლდება. საცოდავი დედაჩემი რაოდენ დიდსულოვნად ითმენს, არც ერთხელ არავისთვის არ შეუჩივლია... და განაგრძობს მასთან ცხოვრებას...

ამ დღიდან ის უცნობი დედაბერი თითქმის ყოველთვის მოდიოდა ჩვენსა და განსაკუთრებით მამაჩემს ემუსაიფებოდა. საწყალი დედაჩემი მათ საუბარში მონაწილეობას არ იღებდა. მაგრამ რაზე ლაპარაკობდნენ? — ვერა და ვერ გავიგე. რამდენჯერმე დედაჩემს მივმართე, მაგრამ იგი მუდამ სდუმდა, ბუნდოვან პასუხს მაძლევდა, მე კი ვამჩნევდი, მას მუდამ აწითლებული და ნამტირალევი თვალები ჰქონდა...

იმავე კვირის შაბათ საღამოს, დედაჩემმა, რომელიც ჩვეულებრივზე უფრო მოწყენილი იყო, მითხრა, კარგად გამოეწყე, ვანქის ეკლესიაში უნდა წავიდეთო. დავემორჩილე, ჩავიცვი და წავედით. მამაც უკან მოგვდევდა. გზაში შენიშვნა მომცა (რამაც ძალიან გამაკვირვა), თავი მუდამ მაღლა გეჭიროსო.

შევედით ეკლესიაში, საღამოს ლოცვა უკვე დამთავრებულიყო. ძალიან ცოტა ხალხი ესწრებოდა. დანარჩენებიც სახლებისკენ მიდიოდნენ. ზედ ეკლესიის კარებთან დედაბერი დავინახე, ხშირად რომ დაიარებოდა ჩვენთან. მის გვერდით დაახლოებით ორმოცდაათი წლის, ევროპულად

ჩაცმული, ღიპიანი კაცი იდგა. მისი სხეული უფრო გაბერილი გეგონებოდათ, ვიდრე მსუქანი, ხოლო ნაყვავილარი პირისახე ყვითელი ჰქონდა, თითქოს რაღაც სენით დაღდასმული. წარბებისა და წამწამების დიდი ნაწილი გასცვენოდა. შავი თმა რატომღაც საეჭვო მეჩვენა. ულვაშები არა ჰქონდა, წვრილი, თაგვისებური თვალები მის სახეს რაღაც შესაზარ გამომეტყველებას აძლევდა. პირველ შეხედვისთანავე შემეზიზღა ის კაცი.

ეკლესიაში შესვლისთანავე შევამჩნიე, დედაბერმა მუჯლუგუნი როგორ ჰკრა იმ კაცს და გაიძვერა თვალებით ჩემზე მიუთითა. ღიპიანმა თავისი ეშმაკური თვალების მზერა ჩემსკენ გადმოიტანა (ასე მომეჩვენა). სანთელი ვიყიდეთ, მივედით ტრაპეზთან და შანდალზე უნდა დაგვენთო, რომ უეცრად რას ვხედავ! ღიპიანი უცნობი გვერდზე მიდგას და ისიც სანთელს ანთებს. მე ადგილი დავუთმე, თან ვფიქრობდი, ეგ ბატონი ჩემს მოსვლას რად ელოდებოდა? ანდა, სანთელი რაღა სწორედ იმ შანდალზე აანთო, რომელზედაც მე ვანთებდი-მეთქი?.. შევამჩნიე, მისი წვრილი, თაგვისებური თვალები სანთელს კი არა, მე მომჩერებოდნენ, თანაც ისე, რომ იმ პაწაწინა თვალებით ჩემ შეჭმას ლამობდა... შემეშინდა, სასწრაფოდ გავშორდი... ეკლესიიდან გამოვედით და სახლისაკენ გავწიეთ. გზაში უკან მივიხედე. დავინახე ის ღიპიანი კაცი და დედაბერი ჩვენ მოგვდევდნენ. კაცი თვალს არ მაშორებდა. უნებლიეთ მიეხვდი, ეგ კაცი დიდ როლს ითამაშებდა ჩემს მომავალ ცხოვრებაში და ვაი რომ ჩემი წინათგრძნობა ამჯერადაც ასრულდა...

მომდევნო კვირას ჩვენ სახლში დიდი მზადება იყო. მე არ ვიცოდი რა ხდებოდა და ამიტომ დედას შევეკითხე. დედაჩემი ძალიან მოწყენილი იყო, ბევრი ტირილისაგან თვალები დასიებოდა. შემომხედა. მის თვალებში უსაზღვრო ალერსი, სიყვარული და იმავე დროს სიბრალული მოჩანდა. რაღაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ როგორც ეტყობოდა, ვერ ახერხებდა.

— დედი, რა დაგემართა? — გაოგნებული შევეკითხე.

უცბად წამოდგა, მხურვალედ ჩამიკრა გულში და მითხრა:

— ამაღამ უნდა დაგნიშნონ, ჩემო ძვირფასო გოგონა... — და მწარედ აქვითინდა.

— რაო? — წამოვიძახე შეშინებულმა, მისი მკერდიდან თავი გავითავისუფლე და უეცრად უკან დავიხიე — ისე მომეჩვენა, ამ სიტყვებთან ერთად თითქოს მთელი სახლი თავზე დამენგრა.

— მამაშენს უნდა ამაღამ დაგნიშნოს, — გაიმეორა დედაჩემმა, — მერე იცი ვიზე? — იმ კაცზე, წარსულ შაბათ საღამოს ეკლესიაში რომ ვნახეთ.

მე აღარაფერი მესმოდა, თვალთ დამიბნელდა, თავბრუ დამეხვა და ოთახის უგრძნობლად დავეცი სავარძელზე.

ამის შემდეგ მეორე დილამდე არაფერი გამიგია, რა გადამხდა ის ღამეს. უგრძნობ მდგომარეობაში ვიყავი. თვალი ავახილე თუ არა, ჩემს ლოგინთან დედაჩემი დავინახე.

— როგორა ხარ, შვილო? — შემეკითხა დედა.

მე გაკვირვებით შევხედე.

— რა გადამხდა? — ჩემ მხრივ შევეკითხე დედას.

— ღვერთო ჩემო, ნუთუ გუშინდელი შემთხვევა არ გახსოვს?..

— სრულებით არაფერი მახსოვს.

— ნუთუ არ გახსოვს, რომ გუშინ საღამოს დაგნიშნეს?..

ისე მომეჩვენა, თითქოს უეცრად მახვილი გაეყარათ ჩემთვის გულში.

— ტყუილია, ტყუილია, დედი, მატყუებ... მცდი. — შეშლილივით შევბღავლე.

— უჰ, ათასჯერ სანატრელი იქნებოდა, ეგრე რომ ყოფილიყო, ჩემო ძვირფასო გოგონა, — დასძინა დედამ და კვლავ ატირდა. — მაგრამ შენი მოსატყუებელი რა მაქვს, ჩემო ბედკრულო შვილო?.. გრძნობა დაკარგული გქონდა, როცა მამაშენმა ბრძანა ჩაგვეცმია შენთვის და დარბაზში გაგვეყვანე, სადაც სასიძო იცდიდა. შენ გამოთაყვანებულივით დანებდი, კრინტიც არ დაგიძრავს, არც წინააღმდეგობა გაგიწევია... მე ცხარე ცრემლებით დავუნამე ფეხები, ვთხოვე, შეეევედრე მამაშენს, თავი დაანებე, შეიბრალე-მეთქი, მაგრამ ისე იყო გაცოფებული, ცოტა გაწყდა ხანჯლით ამკუწა. შიშისაგან იძულებული გავხდი ხმა ჩამეკმინდა... ოჰ, ჩემო ძვირფასო გოგონავ, რას არ გავიღებდი, რას არ მივცემდი, ოღონდ დამეხსენი მაგ მხეცებისაგან... — ცრემლებმა კინაღამ მოახრჩვეს და კვლავ მხურვალედ ჩამიკრა გულში. მე გაქვავებული ვუსმენდი, მაგრამ მაინც არა მჯეროდა. ნუთუ სამუდამოდ დავიღუპე? ნუთუ მართლა დაშნიშნეს იმ კაცზე, რომელიც პირველი დანახვისთანავე შემზიზღდა?.. ნუთუ მართლა შეიძლება ესოდენ შეუბრალებლად მოექცნენ ადამიანს?!

— კიდევ არა გჯერა ჩემი? — მითხრა დედამ, — აბა დაიხედე, თითზე ბეჭედი გაქვს, შე უბედურო.

დავიხედე თითზე. ძვირფასი ბეჭედი მქონდა წამოცმული. ვიფიქრე, ეგ ბეჭედი კი არა, შხამიანი გველი შემომხვეია-მეთქი. ახლალა დავრწმუნდი, რომ დედაჩემი არ მატყუებდა. მაშინვე წავიძრე ბეჭედი და შორს მოვისროლე.

— მომაშორეთ! მე არასოდეს არავის არ გავყვები ცოლად, — დავიბღავლე იმედგაცრუებულმა და ცრემლები გადმოვღვარე...

ამ დროს უეცრად კარი გაიღო და ზღურბლზე მამაჩემი გამოჩნდა, შევხედე. მამაჩემს ისეთი ალეწილი სახე ჰქონდა, კანკალი ამივარდა და დედას მოვეხვიე, რომელიც გაცოფებული მეუღლის დანახვაზე სდუმდა და ვერხვის ფოთოლივით ცახცახებდა. მე და დედაჩემი მშიშარა ბატკნებს ვგავდით, მგლის დანახვაზე ერთმანეთს რომ მიეკრობიან და ელოდებიან, მხეცი როდის მივარდება, რომ დაგლიჯოს და გადასანსლოს... ერთ წუთს სიჩუმე ჩამოვარდა. მერე მამაჩემი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა დედაჩემს, გაცეცხლებული თვალებით დაჟინებით მიაჩერდა შიშისაგან გადმოკარკლულ თვალებში და ჩუმად, ხმადაბლა, მაგრამ ისეთი ტონით, რომ ჩვენ ორივეს ძარღვებში სისხლი გაგვეყინა, უთხრა:

— თუ ეს ბავშვი ერთხელ კიდევ გაგიგიჟებია, მაშინ ვაი შენი ბრალი... უკანასკნელად გაფრთხილებ, ღმერთს გეფიცები, ხანჯლის წვერზე აგაგებ... მე ცერემონიები არ მიყვარს. — და გარეთ გავიდა.

ოჰ, გრიგორ, ღრმად მწამდა, რომ თავის სიტყვას შეასრულებდა, შენც ხომ მოწმე ხარ, როგორი გაცოფება იცოდა... იმ დღიდან საწყალ დედაჩემს სიტყვა აღარ დაუძრავს, შიშისაგან ახლოს არ მეკარებოდა. როცა შევხვდებოდი, საცოდავს თვალები მუდამ აწითლებული და დასიებული ჰქონდა ცრემლებისაგან. იგი ჩუმად დასტიროდა თავის ერთადერთ ქალიშვილს და გულში იკლავდა დედობრივი სიყვარულის უნაზეს გრძნობებს; ველარ ბედავდა ჩემს გამოსარჩლებას, რადგან სიკვდილით ემუქრებოდნენ...

რამდენიმე დღის მერე ყური მოვკარი, — ქორწილი ორი კვირის შემდეგ დაენიშნათ. ძვირფასო გრიგორ, ახლა თვითონ წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა... აქნობამდე ჩემი თავგადასავალი სიზმარი მეგონა, ვერ დამეჯერებინა, რომ მამაჩემი იმდენად უსულგულო გამოდგებოდა და ისეთი კაცის ხელში ჩამაგდებდა, რომლის მარტო სახელის გაგონებაზეც სისხლი მეყინებოდა... ახლა კი დავრწმუნდი — სა-

შინელი სინამდვილე იყო. ნუთუ მე იმ ბებერი ურჩხულის ცოლი უნდა გავმხდარიყავი? ნუთუ მართლა ჩემი ნორჩი ასაკის ხვედრი იყო უდროოდ დაჭკნობა?

ხოლო იმაზე ფიქრს, რომ სამუდამოდ უნდა გაგყროდი შენ, ჩემო ძვირფასო გრიგორ, სიგიჟემდე მივყავდი... მერე ჩვენი ოცნებები, მიზნები? ღმერთო ჩემო, რა მექნა? ვისთვის მიმემართნა, ვის შევხვეწნოდი, რომ მე უბადრუკი, უმწეო არსება გადავერჩინე იმ საზარელი უფსკრულისაგან, საითკენაც მიბიძგებდნენ... მარტოდმარტო ვიყავი ქთელ ქვეყანაზე, დიახ, მარტო...

წარმოიდგინე, ღმერთსაც არ ესმოდა ჩემი გასაჭირი... ერთადერთი გამოსავალი დამრჩენოდა — ეს იყო თვითმკვლელობა, რომელსაც მიმართავენ ჩემნაირი უბედურები... რა უფლება მქონდა ხელი აღმემართა საკუთარ სიცოცხლეზე? მე ხომ ჩემს თავს არ ვეკუთვნოდი? დედაჩემი! ჩემი ძვირფასი, უბედური დედა?.. რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა? მე ხომ იმისი ერთადერთი სიხარული ვიყავი? მას ხომ მხოლოდ ჩემით ედგა სული? ჩემით ნუგეშობდა... მერე შენ, ჩემო ძვირფასო გრიგორ, რა პასუხი გამეცა შენთვის? დედაჩემისთვის? ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, მე კი კვლავ მამაჩემის მოწყალების იმედი მქონდა, მეგონა არ გამწირავდა; მე ხომ იმისი ერთადერთი ნუგეში, ერთადერთი შვილი ვიყავი? ქვა ხომ არ იყო? ასე აცრემლებული მივედი მამაჩემთან, ფეხქვეშ ჩავუვარდი, მუხლებს ვუკოცნიდი, ცრემლებს ვაფრქვევდი, ვეხვეწებოდი, ვემუდარებოდი, რომ თავის განზრახვაზე ხელი აეღო, მაგრამ წახლი მკრა. კუთხეში მიმაგდო და მიბრძანა: ამიერიდან ასეთი „უნამუსობა" არ გაბედოო... უკანასკნელი იმედის ნაპერწკალი გაქრა. წარმოიდგინე, გრიგორ, აზვირთებულ მდინარეში ჩავარდნილი ადამიანი, იგი იხრჩობა, თავიდა მოუჩანს, მაინც ცდილობს როგორმე მიაღწიოს წყლის ზედაპირს, მოფარფატე ნაფოტამდე, უნდა ხელი წაავლოს, რომ იქნებ გადარჩეს, მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ეს ნაფოტიც წყალში იძირება და განწირული ბედის ამარა რჩება. მითხარი, გრიგორ, რა არის ასეთ ადამიანის ხვედრი?.. ჩემი მდგომარეობა იმ ადამიანზე უფრო საშინელი იყო... ბრძოლის უნარი აღარ შემწევდა. გავიფიქრე, დაე ახდეს ის, რაც შუბლზე მაწერია-მეთქი, — გადავწყვიტე და ბედისწერას მივენდე.

მე გამათხოვეს და იმისი ცოლი გავხდი. უფრო სწორად, ცოცხლად დამმარხეს და მაინც განვაგრძობდი არსებობას... რამდენიმე სიტყვას

გეტყვი, გრიგორ, მეუღლის შესახებ და შენ ნათლად წარმოიდგენ ჩემს ახლანდელ მდგომარეობას.

ჩემი მეუღლე თბილისში განთქმული ვაჭარია, ერთ-ერთი იმ ვაჭარ-თაგანი, რომელთა სიმდიდრის თვითეული კაპიკი ყველაზე ბინძური საშუალებებით არის შეძენილი და ვისთვისაც ერთადერთი ღმერთი — მხოლოდ ფულია. ჩემი მეუღლე ისეთ ხალხს ეკუთვნის, რომელთა ცხოვრების გზა სიჭაბუკიდან მოყოლებული ღრმა მოხუცებულობამდე მხოლოდ გარყვნილებისა და უზნეობის გზაა. ეს გარყვნილება წარუშ-ლელი კვალივით ამჩნევიათ მათ, როგორც უკურნებელი სენი, დღე-ნიადაგ გავლენას ახდენს მათ ფიზიკურ ჯანმრთელობაზე და ამ სენით ასნეულებენ აგრეთვე თავიანთ ირგვლივ მყოფთ... ერთი სიტყვით, ჩემი ქმარი ისეთი კაცია, გრიგორ, რომელსაც ადამიანი კი არა (ო, აფსუსია ეს წმინდა სახელი), ურჩხული უნდა ეწოდებოდეს... და აი მე, ყველაზე ბედკრული და საცოდავი არსება, მაგის ხელში ჩამაგდეს. ერთ დღეში მომიშალა ჩემი ახლად გაფურჩქნული სიცოცხლე, ისეკე, როგორც სა-შინელი სუსხიანი ყინვა რამდენიმე წუთში მოსწვავს, გაახმობს ხოლმე ახლად ამოყრილ ყლორტებს ყვავილიანად. დიახ, ერთ დღეში, გრიგორ, იმ საზარელმა ურჩხულმა ისეთ უფსკრულში გადამჩეხა, საიდანაც ვე-ღარასოდეს ამოვედი, მაშინღა მივხვდი, ჩემი საცოდავი დედა რატომ იღვრებოდა ცრემლად. დავქორწინდი თუ არა, დაკარგულად მთვლიდა, რადგან იცნობდა თურმე იმ საზიზღარ ადამიანს. მას ერჩია, სისხლში მოსვრილი ვგდებულიყავი იმის ფეხებთან, ვიდრე იმ კაცის ხელში ჩავ-ვარდნილიყავი, მაგრამ ამის არც ძალა შეესწევდა და არც ღონე, ხელთ არაფერი გააჩნდა...

ალბათ, იკითხავ, ჩემო საყვარელო გრიგორ, რატომ მიმათხოვა მამა-ჩემმა იმ კაცს? ნუთუ არ იცნობდა? არ იცოდა მისი წარსული და აწმყო? თუ თვითონ არ იცნობდა, დედაჩემმა ხომ იცოდა ყველაფერი, გაეფრთხილებინა იგი, აეხსნა, რომ დაღუპვას გადაეერჩინე... დიახ, გრი-გორ, გიპასუხებ, — მამაჩემი დედაჩემზე უკეთ იცნობდა, გაცილებით უკეთ, ვიდრე დედაჩემი, მაგრამ საქმე სულ სხვანაირად აეწყო. — მამა-ჩემს, როგორც გაგებული გაქვს, ჩვეულებად ჰქონდა კლუბში სიარული, ზედმეტია იმის თქმა, თუ რამდენი მოუგია და წაუგია... ერთ საღამოს მამაჩემი ჩემს მეუღლეს შეხვედრია კლუბში და ბანქოს თამაში და-უწყიათ. ამ საღამოს მამაჩემს სრულებით არ მოსდიოდა კარტი და დიდ-ძალი ფული წაუგია. სიბრაზისაგან სულ უფრო უმატებდა და უმატებ-

და თურმე ჩასასვლელ თანხას. იმ საღამოს მამაჩემს ექვსიათასი მანეთი წაუგია. რასაკვირველია, ეს მცირე თანხა არ არის და მამაჩემი ეარგა ხანს ვერ იხდიდა ვალს — თუმცა გადახდის სურვილი ჰქონდა. ჩემს მეუღლეს უფიქრია, ამოდენა ფულს ალბათ ვერ გადამიხდისო და ვალში ჩემი თავი უთხოვია. ეს საქმე გაუჩარხია იმ დედაბერს, რომელიც ხშირად დაიარებოდა მამაჩემთან, მამაჩემს გახარებია და მაშინვე მიუღია წინადადება. ამგვარად, მამაჩემმა ორი საქმე გაიჩარხა: პირველი — ექვსი ათასი მანეთის ვალისგან განთავისუფლდა და მეორე — უმზითვოდ მიმათხოვა მდიდარ კაცს. შემდეგ გავიგე, რომ მაგ კაცს ყველა იცნობდა, არავინ ქალს არ აძლევდა, წარმოიდგინეთ ფულითაც კი. ამ თემაზე საუბარს აღარ გავაგრძელებ, გრიგორ, დანარჩენზე თვითონ იმსჯელე, თუ რა შეიძლება ეწოდოს მშობელი მამის ასეთ საზიზღარ საქციელს.

„ამრიგად, მე გაყიდული ვიქენი, ან უფრო სწორად, მე —ცოცხალი არსება — ბანქოში წამაგო, კლუბში, ისიც ჩემმა ღვიძლმა მამამ... ოჰ, სხვას ვეღარაფერს ვიტყვი, პროტესტის ნიშნად გულიდან სისხლი წვეთწვეთად მდის, დიდიხნის გამშრალ თვალებიდან ცრემლებს ვაფრქვევ, მაგრამ ვის და რის წინააღმდეგ?..

აშკარაა, გრიგორ, რომ იმის შემდეგ ბოლო მოეღო ჩემს სილამაზეს, მოკვდა ცქრიალა, ვარდისფერი გოგონა, რომელსაც შენ იცნობდი. ჩემმა ქმარმა პირველ ღამესვე ისეთი სენით დამაჯილდოვა, რომლისგანაც მხოლოდ სიკვდილით თავისუფლდებიან... ექიმებმა მირჩიეს, ეს ზაფხული აგარაკზე გაატარეო. როცა ამ წერილს გწერ, უკვე აგარაკზე ვიმყოფებით. დიდი ხანია ამ წერილის წერა დავიწყე, გაჭირვებით, დღეში მხოლოდ რამდენიმე სტრიქონსა ვწერ. დღეს სახლში არავინ არის, მამაჩემი და ჩემი ქმარი ქალაქში წავიდნენ. დედაჩემი კი ბევრი ხვეწნა-მუდარით ძლივს გავგზავნე საზოგადო ბაღში სასეირნოდ. ექიმებს არ ვღებულობ, მინდა მალე მოვკვდე, დავტოვო ეს ფუჭი ქვეყანა, სადაც ასე ნაადრევად მომიშხამეს ნორჩი სიცოცხლე, სადაც ჩემი კეთილი მიზნებითა და მისწრაფებებით სავსე გული მომიკლეს... ო, დიახ, სიკვდილი — ეგ არის ამღელვარებული სიცოცხლის ნავსადგური! ეგ არის ჩემისთანა უბედურთა ერთადერთი მხსნელი იმედი!..

ო, რა ტკბილად მეჩვენება სიკვდილი, დამშვიდება, სამუდამოდ, უკუნისამდე... აი იქ მე უკვე ვხედავ სხივოსან ანგელოზს, იგი მიღიმის და ჩამჩურჩულებს: „გეყოფა მაგ მოშხამულ ქვეყანაში ცხოვრება, სა-

დაც ადამიანებისათვის არაფერია წმინდა, არაფერია სანუკვარი. წამომ-ყე, ჩემი გასხივოსნებული ფრთებით წაგიყვან ციურ მარადიულობაში— იქ, სადაც მხოლოდ მშვიდობა, წმინდა სიყვარული და უშფოთველი ცხოვრებაა"... აჰა, მე სიამოვნებით ვნებდები მას და ვგრძნობ, ძალიან, ძალიან ტკბილია, ჰშვენიერია..."

ექიმი სეირანიანი კი ცოცხლობს და იცოცხლებს კიდეც, — მან შეასრულა თავისი ფიცი, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ დაივიწყა ბუნეს ხსოვნა, და დღევანდლამდე წმიდად ასრულებს იმის უკანასკნელ თხოვნას.

1886

ანა საროიანი

ა

თბილისი, 6 სექტემბერი, 1880.

ჩემო საყვარელო რიფსიმე, ჩემო ძვირფასო დაო! შენმა მოულოდნელმა წერილმა დამაღონა და ამავე დროს გამაბრაზა კიდეც. რამ გაფიქრებინა, რომ ოდესმე შევძლებ იმის დავიწყებას — თუგინდ მინდოდეს კიდეც — ვინც ბავშვობის დღეებიდანვე ჩემი ყველაზე გულითადი, ყველაზე საყვარელი მეგობარია; ვისთვისაც ყოველ დროს, ყოველ წუთს შემეძლო თამამად გამენდო ჩემი გულის საიდუმლოებანი, ვინც თანაზიარი იყო ჩემი სიხარულისა და მწუხარებისა.

„შენ დამივიწყე, ანა, დამივიწყე“, — სინანულით დასძენ ბარათში.

არ მესმის, როგორ გაჩნდა ეგ ეპვი (მე ამას დავარქმევდი რწმენას, რომლითაც დაწერილია ბარათი) შენს გულში ჩვენი განშორებისა და ხანგრძლივი დუმილის წლებში! იქნებ უსაზღვრო მეგობრული ბრძა სიყვარულია ამის მიზეზი, თუ ასეა (რაც ყველაზე სარწმუნოდ მიმაჩნია), ორმაგად უფრო შემიყვარდა შენი სუფთა გული, რომელსაც შესძლებია ესოდენი სამართლიანი განრისხება. და ფიცის გარეშე მერწმუნე, ძვირფასო დაო, რომ მართალია, დიდი ხანია არ მომიწერია ბარათი, მაგრამ დღე ისე არ გაივლიდა, არ მომგონებოდი. ხოლო ზოგჯერ — ეს ხდება ძალიან ხშირად, — ისე მომენატრები ხოლმე, ისე თვალში მაკლიხარ, რომ... არა მგონია ამ გრძნობის გამოხატვა სიტყვებით შეიძლებოდეს!.. „თუ ასე იყო, რატომ წერილს არა მწერდიო?“ — უთუოდ შემეკითხები.

— რატომ არ გწერდი წერილს? — მეც ვაძლევ ამ კითხვას ჩემს თავს, და პასუხი რომ გავცე, გვერდს ვერ ავუვლი იმ მიუწვდომელ

იდუმალ ძალას, რომელიც ადამიანებზე ბატონობს და ჩვენს გრძნობებს განაგებს. ხანდახან ადამიანის გული ბევრ სხვადასხვა გრძნობას იტევს (თუმცა ეს იშვიათად ხდება. მე კი ხშირად მემართება, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს), ისინი ისეთი ძალით გაბატონდებიან ხოლმე ადამიანზე, რომ არც ენით შეიძლება მათი გამოთქმა და არც წერილობით გადმოცემა. ძლიერი გრძნობებისაგან აბობოქრებული გული ისევე ჭირვეულია, როგორც ოკეანე მძვინვარე ქარიშხლის დროს. გულში ჩაბუდებული ეს გრძნობები დედამიწის წიაღში გაჩენილი ლავასავით გარეთ გამოსვლას ლამობენ, ბორგავენ და მანამდე გრძელდება ასე, ვიდრე ნელ-ნელა თვითონვე არ დაწყნარდებიან. ასეა თუ ისე, ძალიან ტკბილია და ამავე დროს მტანჯველი და მწარე გულში დატრიალებულ გრძნობათა ქარიშხალი! გინდა ილიცო და შეაჩვენო, იცოცხლო და მოკვდე. ნეტარება და ვაი მას, ვის გულსაც შეუძლია ასეთი ქარიშხლების გადატანა!.. ვინ იცის, როდემდე არ ამომეღო ხმა, ვინ იცის, როდემდე მქონოდა გულში დამარხული ჩემი დარდები, რომ შენს წერილს გულახდილ საუბარში არ გამოვეწვიე... მაგრამ ამის იქით კალამი აღარ მეპორჩილება... ეჭვიანობამ დამრია ხელი; ვაითუ ვერ გადმოგცე ის, რასაც ახლა განვიცდი... აგერ თხუთმეტმა წუთმა გაიარა, კალამი თითქოს ხელში გამეყინა. თავჩაქინდრული ვზიავარ, გული ძალუმად მიცემს... ათასნაირი ფიქრები და გრძნობები მომეძალენ, თავს ძალას ვატან, მინდა ეს ფიქრები და გრძნობები ქაღალდზე გადავიტანო, მაგრამ... არა, არ შემიძლია... უკვე ნახევარმა საათმა გაიარა... არა, ძალა არ შემწევს. ნახვამდის, ძვირფასო დაო. სხვა ღროისთვის იყოს.

ნახვის ნატვრით გიკრავ გულში და გკოცნი.

შენი ანა საროიანი.

ბ

თბილისი, 20 სექტემბერი, 1880.

საყვარელო რიფსიმე!

გაკვირვებული ხარ ჩემი წერილის კილოთი. „თითქოს მელანქოლიას შეუპყრიხარ“, — მწერ. უფლება გაქვს გაკვირვებისაც და ასე რომ იფიქრო, იმისაც; ამ კილოთი დაწერილი ბარათი ჩემგან არასოდეს არ მიგიღია. „რა დაგემართაო?“ — მეკითხები. არაფერი, სრულიად არაფერი; მე ისევ ისეთი ვარ, როგორიც უკანასკნელად მნახე. უწინდელივით უზრუნველად ვცხოვრობ, მშობლები და ძმები ჯანმრთელად

არიან; ჩვენს ოჯახში უწინდელივით ახლაც თანხმობა და სიყვარული სუფევს. თითქოს ბედნიერი უნდა ვიყო, ცხოვრებით კმაყოფილი, სასაყვედურო არაფერი მქონდეს, ხომ ასეა, საყვარელო დაო? მაგრამ იცოდე, ეს მართალი არ არის; პირიქით, ამ ბოლო დროს უბედურად ვთვლი თავს, თუმცა ამის რაიმე აშკარა მიზეზი არ გამაჩნია. ამიერიდან ველარ იხილავ შენს დაიკოს, დღენიადაგ მოკისკისეს, ყოველთვის აბეზარსა და მოუსვენარს, რისთვისაც მუდამ მისაყვედურებდი ხოლმე და მაფროხილებდი, სერიოზულად უნდა გეპიროს თავიო. უწინ თავქარიან ახალგაზრდებზე გადაყოლილს, რისთვისაც კიდეე უფრო ბკაცრად მკიცხავდი და როცა მე არ გისმენდი, ხმასაც აღარ მცემდი ხოლმე დიდი ხნობით. ახლა იმდენად მძულს ასეთი ახალგაზრდობა, რომ ვინ იცის, შეიძლება მე თვით დაგიწყო საყვედურები და წაგეჩხუბო კიდეც, თუ არ დამიჯერებ. ჩემში ისე წაიშალა უწინდელი მიამიტური ბავშვური კვალი, ასე მგონია, ყრმობის წლებმა რა ხანია გაიარა და ჩემი გული სამუდამოდ შეუვალია ანცობისათვის. ის, რაც წინათ მთელი არსებით მიყვარდა, ახლა მთელი არსებით მძულს; კლუბში სულ აღარ დავიარები, მეჯლისებზე — იშვიათად, თეატრში — ხანდახან, სადაც არ უნდა ვიყო, რაც არ უნდა ხდებოდეს, ყველაფერი მალე მბეზრდება. ამჟამად მხოლოდ და მხოლოდ განმარტოება მიყვარს და ძალიან გული მომდის, როცა მაწუხებენ — მყუდროებას მირღვევენ. მარტოობის დროს ათასნაირი ფიქრები ამეშლება ხოლმე. ზოგჯერ ისე გამიტაცებს ეს ფიქრები, რომ ყველაფერი მავიწყდება აქვეყნად. მაგრამ რაზე ვფიქრობ, — თვითონაც არაფერი გამეგება. მხოლოდ ის ვიცი, რომ ყველა ფიქრი შხამს მაწვეთებს გულში. ხანდახან, როცა ამ მტანჯველი ფიქრებისაგან გამოვერკვევი, საშინელი გრძნობა მეუფლება, თვალები ცრემლებით მევსება და ლამის ავტირდე; დროდადრო საშინელი სიზარმაცე დამრევს ხოლმე ხელს, თუმცა, როგორც იცი, კითხვისა და ფორტეპიანოზე დაკვრის მეტი საქმე არ გამაჩნია; მიუხედავად ამისა, ისე ვარ მოთენთილი, რომ არც საწოლიდან წამოდგომის ხალისი მაქვს, არც სახლიდან გარეთ გასვლისა. მინდა უძრავად ვიყო, გარინდებული. მაგრამ სხვა დროს მოძრაობის ისეთი მოძალებული სურვილი გამიჩნდება, რომ მომინდება ერთდროულად ესეც გავაკეთო, ისიც, ვირბინო, გავიქცე-გამოვიქცე, ვიცეკვო, პიანინო დავუკრა, გავტეხო, დავამტვრიო. — ერთი სიტყვით, მინდა ჩავიდინო ყველაფერი, რაც მომესურვება და რაზედაც ხელი მიმიწვდება. გუშინ სწორედ ასეთ

მდგომარეობაში ვიყავი: საღამოს ჩაის შემდეგ ფინჯანი მაგიდაზე ისე მოვისროლე, რომ გაგორდა, იატაკზე დაეცა და დაიმსხვრა. ავიღე წიგნი, რამდენიმე სტრიქონი ძლივს ჩავიკითხე, მაშინვე დავხურე და ისიც იატაკზე მოვისროლე; პიანინოს მივუჯექი, ისე გაშმაგებით დავარტყი თითები კლავიშებს, რომ ერთი სიმი გაწყდა. შემდეგ უკვე აღარ მახსოვს რა ჩავიდინე. სახლში ყველანი სახტად დარჩნენ. მერწმუნე, თავად მეც არა ნაკლებ ვიყავი გაოცებული. რატომ ვიქცევი ასე, რატომ? ნუთუ ვგიჟდები? ანდა, ნუთუ ესეც ერთგვარი ავადმყოფობაა, რომელიც ადამიანს ემართება?

არაფერი გამეგება. მხოლოდ ერთი რამ მესმის კარგად და ვგრძნობ კიდეც. — გული მიისწრაფვის, ძალუმად მიისწრაფვის რაღაც იდუმალისაკენ, არ არსებულისაკენ და თითქოს სასოწარკვეთილია, რომ მას ვერასოდეს ვერ მიაღწევს. ამჟამად ყოველნაირად ვცდილობ თავი დავაღწიო ამ სულელურ მდგომარეობას და იმედი მაქვს შევძლებ. დავიწყე კითხვა. დღენიადაგ ამით ვიქცევ თავს. ჩემო საყვარელო, ხშირად მოიწერე, მეც ასევე მოვიქცევი; მხედველობაში იქონიე, რომ მე გული გადაგიშალე და ამიერიდან აღარ ძალმიძს ჩემი გრძნობების დაფარვა. წერილობით მინდა ყველაფერი გაგიზიარო; ვგრძნობ, ამით მდგომარეობა შემიმსუბუქდება. ახლა კი მშვიდობით, მორიგ წერილის მიღებამდე.

შენი ანა საროიანი.

8

თბილისი, 4 ოქტომბერი, 1880.

საყვარელო რიფსიმე!

შენ ცდილობ ახსნა-განმარტება მოუნახო ჩემს უცნაურ სულიერ მდგომარეობას და გგონია — ამის მიზეზი უსაქმურობაა, ე. ი. ის, რომ მე არაფერს ვაკეთებ. შეიძლება, ნაწილობრივ მართალიც იყო, მაგრამ საქმე ის არის, რომ მე არაფერი მიტაცებს. რას მიბრძანებ, რა საქმეს მოვკიდო ხელი, როცა იმდენი მოთმინებაც კი არ გამაჩნია, რომ უბრალო ხელსაქმე დავამთავრო? და საერთოდ არაფერი ბოლომდე არ მინდა გავაკეთო!.. არა, ჩემის აზრით, მთავარი მიზეზი — მარტოობაა. შეიძლება ამან გაგაკვირვოს, მაგრამ ასეა; დიახ, მე მარტოდმარტო ვარ, და იმიტომ კი არა, რომ მეგობრები არა მყავს, რომლებთანაც თავს შე-

ვიქცევდი და გავერთობოდი — არა, მე თავად გამოვეთიშე მათ, ახლა ისინი სულელ და თავქარიან არსებებად მიმაჩნია... სხვა საქმეა, შენ რომ იყო ჩეთან, მაშინ ილაჯი არ გადაძიწყდებოდა, ახლოს არ გამეკარებოდა მოწყენილობა, ისევე, როგორც უწინ, როცა ერთად ვიყავით, თუმცა, მაშინაც შენი გადაჭარბებული სერიოზული მსჯელობა და ჭკუის დამრიგებლობა ზოგჯერ ჩემში სიცილს იწვევდა ხოლმე... ოჰ, როგორი თავქარიანი ვიყავი მაშინ!.. ახლაც კი, გამოგიტყდები, გაკვირვებული ვარ, ესოდენ გონებანათელ და სერიოზულ ადამიანს, რა საერთო გქონდა ჩემისთანა თავქარიან არსებასთან!.. მიუხედავად სიღარიბისა, შენ იყავი ძალიან თავმოყვარე, მაგრამ ერთხელაც არ გიცდია მიგეტოვებინე. მაშინაც კი, როცა გრძნობდი, სხვადასხვა ჯურის მოშურნენი ჩვენს მჭიდრო მეგობრობას შენს ანგარებიან მიზნებს მიაწერდნენ. როგორ არ გბეზრდებოდა ჩემი ძალზე სულელური ლაპარაკი ერთსა და იმავე საკითხებზე: ვისთან ვიცეკვე გასულ ღამეს ბაღში, ვინ კავალანი, ვინ იყო ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი, რა ოპერა მიდიოდა თეატრში, ვინ დიდი კაცი ვნახე იქ, რომელი მოდა სარგებლობს დიდი მოწონებით, რანაირ ტანსაცმლის შეკერვას ვაპირებ, სად ვიყავი საღამოს დაპატიჟებული... უდაოდ დიდად დავალებული ვარ შენი დამთმობი, მოსიყვარულე გულის მიმართ. ჩემთან მეგობრობის მოსურნე იყავი და გინდოდა ცოტა გონზე მოგეყვანე...

ოჰ, ჩემო ძვირფასო დაიკო, ნეტავი იცოდე, როგორ მიყვარხარ! რაც მეტს ვფიქრობ ჩვენს მეგობრობაზე, მით უფრო ვიმსჭვალები წარსულისადმი პატივისცემით, რადგან მხოლოდ ახლა გავიგე შენი ფასი. ნეტავი შეიძლებოდეს წარსულის დაბრუნება, ერთი წუთით მაინც, რომ შენს უანგარო მხურვალე მეგობრობას მხურვალე გრძნობითვე გავუწოდო ხელი. ალბათ, ვერც წარმოიდგენ რა ძალიან ვდარდობ შენზე! მერედა, როგორ არ უნდა ვიდარდო, როცა უკვე ორმა წელმა გაიარა იმ დღიდან, რაც უკანასკნელად მოხვედი გამოსამშვიდობებლად. როგორც მახსოვს, ეს მოხდა შაბათ საღამოს. ჩვენი სახლის ყველა კარ-ფანჯარა ღია იყო. მაისის გრილი უმანკო ნიავი, რომელიც ყოველთვის ჩაძინებული ბავშვის ნაზ სუნთქვას მაგონებს, თავისუფლად დაჰქროდა ოთახებში. მზის სხივების მკრთალი ათინათი ფანჯრებიდან კედლებზე ციალებდა. მოუსვენარი ბეღურები ჟივილ-ხივილით იკლებდნენ აივანს: მათი ჭყიპინი ჰაერს აპობდა. რა შეიძლება იყოს გაზაფხულზე ფრინველთა სიმღერაზე უფრო ლამაზი! რას ემგვანებოდა გაზაფხული,

ფრინველთა გალობა რომ არ ამშვენებდეს! ალბათ, ნახევარ მომხიბლველობას დაკარგავდა წელიწადის ეს დრო, ისევე, როგორც საზეიმო ნადიმს სიმღერისა და მუსიკის გარეშე არაფერი ლაზათი არა აქვს. მე ვიჯექი დარბაზში, პიანინოსთან და შუმანის სონატას (კარგად მახსოვს, სწორედ იმის ნაწარმოებს) ვუკრავდი. მეზობელ ოთახში ჩემი ძმები საქმიანობდნენ: უფროსი — არშაკი — ფანჯარასთან საწერ მაგიდას უჯდა და კანცელარიიდან მოტანილ ქაღალდების უზარმაზარ დასტას არჩევდა; განაპირა ფანჯარასთან, მაგიდას ჩემი მეორე ძმა გრიგორი მისჯდომოდა და „დონ-კარლოსს“ კითხულობდა (კარგად დამამახსოვრდა იმიტომ, რომ დარბაზში გამოვიდა და მთხოვა, ყური დამიგდეო: მან წამიკითხა რამდენიმე საუცხოო სტრიქონი თავის სათაყვანებელ მარკიზ პოზას მონოლოგიდან. საერთოდ, იგი აღმერთებდა შილერს: ხომ იცი, როგორი რომანტიკოსია), უმცროსი ძმა, გარეგინი, შუა ფანჯარასთან იჯდა და გაკვეთილებს ამზადებდა. მეზობელ ოთახში ჩემი ძმობლები ნარდს თამაშობდნენ; ეს მათი საყვარელი გასართობია საღამოობით. ოჰ, რა მხიარული და ბედნიერი ვიყავი მაშინ! რაოდენ უსაზღვროდ მიყვარდა ჩვენი მშვიდობიანი, წყნარი, მოსიყვარულე ოჯახი! ჩემს გულში წალკოტი ჰყვავოდა და ეს განცდა შუმანის საუცხოო სონატით მინდოდა გადმოძეცა.

უცბად მეზობელ ოთახიდან შენი ხმა მომესმა:

— მოვედი, გამოგეთხოვოთ, ხვალ დილით მივდივარ.

წამოვხტი და შენკენ გამოვეშურე.

— ჩემო ძვირფასო, ნუთუ მართლა ხვალ დილას მიდიხარ? — შეგძახე და ხელები მოგხვიე.

— დიახ.

„დიახ“... შეუბრალებელო, რა დავაშავე, რომ ასე მოულოდნელად ჩემი ბედნიერების მწვერვალიდან ძირს გადმომაგდე.

— საყვარელო რიფსიმე, გადადე გამგზავრება, — ხვეწნა დაგიწყე.

— არა, — ისე მიპასუხე, თითქოს ფიცი გქონდა დადებული, რომ ხვალ უსათუოდ გამგზავრებულიყავი.

— ჩემო ძვირფასო, რამდენიმე დღე მაინც დარჩი.

— არ შემიძლია.

ნუთუ შეიძლება, ადამიანს გული ასე გაუქვავდეს? შენ დაიწყე გამომშვიდობება ჩემს მშობლებთან, ძმებთან, მაგრად ჩამოართვი ყველას ხელი. მე სახელდახელოდ შალწამოსხმული გასაცილებლად გამოგყე-

ვი. ჩვენ ერთმანეთში ვსაუბრობთ, მაგრამ უფრო მეტ დროს დუმილში ვატარებთ. რატომ? არ ვიცი. ორივენი ვგრძნობთ, რომ ბევრი გვაქვს ერთმანეთისათვის სათქმელი, მაგრამ სულ ცოტას ვამბობთ. რა სულელურ ჰდგომარეობაში ვიყავით!..

მეორე დღეს ვაგზალში დაგემშვიდობე. უკანასკნელად მხურვალედ გადავკოცნეთ ერთმანეთი. თან რამდენს ვტიროდით! — საოცარი ცრემლები!.. ორთქლმავალმა შეჰკივლა და მატარებელი ნელ-ნელა დაიძრა. უკანასკნელად ცხვირსახოცი დამიქნიე ფანჯრიდან და თვალიდან დაშეკარგე.

„შენ წარსულის შესახებ იწერები, რომელიც ისედაც კარგად გვახსოვს. რა საჭიროა მისი გახსენება?“ — მეკითხები. შეიძლება მართლაც ასე იყოს, თუ ისეთი აღარა ხარ, როგორსაც გიცნობდი. მაგრამ თუ არ გამოცვლილხარ, წარსულის გახსენება შენთვისაც ჩემსავით ტკბილმოსაგონარი უნდა იყოს, თუმცა სულ რაღაც ორმა წელმა განვლო. მგონი გოეთე ამბობდა: „არ არის საჭირო წარსულისკენ გახედვა; იქ ყოველთვის მოიძებნება სიმწარე აწმყოსადმიო“. ნუთუ მართალია? ზოგჯერ ვგრძნობ, რომ მართალია, ზოგჯერ კი — არა. წარსულზე მოგონებანი ერთსა და იმავე დროს მწარეც არის და სასიამოვნოც. ასე რომ არ იყოს, მაშინ საყვარელი ადამიანის დაკარგვა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ მივაბარეთ მიწას, გულს აღარ დაგვწყვეტდა. ამ მოგონებებში არის რაღაც ორიგინალური, თუ შეიძლება ასე ითქვას, სულის პოეზია ორი დაპირისპირებული გრძნობისა.

მგონი ამჯერად კმარა. შემდეგ წერილში შენს თხოვნას შევასრულებ და ჩვენი ოჯახის ამბავს გაცნობებ. ნახვამდის. გკოცნი.

შენი ანა საროიანი.

დ

თბილისი, 11 ოქტომბერი, 1880.

ძვირფასო რიფსიმე,

წინა წერილში შეგპირდი, ჩვენი ოჯახის ამბავს მოგწერ-მეთქი, და ახლა ვასრულებ ამ დაპირებას.

უპირველეს ყოვლისა, გაცნობებ, რომ გრიგორი ავად არის, ახველებს. აგერ უკვე ხუთი დღეა გიმნაზიაში არ დაიარება; ექიმები ურჩე-

ვენ დროებით ხელი აიღოს მეცადინეობაზე. მე მოუსვენრად ვარ, ვაითუ ჭლექი სჭირდეს, მით უმეტეს, რომ ფიზიკურად ძალიან სუსტია. თანაც გამხდარი. ხომ იცი, რა ძალიან მიყვარს ძმები, განსაკუთრებით გრიგორი, რომელიც ამ უკანასკნელ ხანს ჩემთვის ძმაც არის, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, და ყველაზე ახლობელი მრჩეველიც. შიშით გული მიკვდება, როცა მესმის მისი ყრუ ხველა, განსაკუთრებით ღამღამობით, ძილის დროს. ბევრს მეცადინეობს, ზომაზე მეტს. ეს ცუდ გავლენას ახდენს მის ჯანმრთელობაზე.

მაგრამ გრიგორის ავადმყოფობის გარდა არის ერთი გარემოებაც, რომელიც არა ნაკლებ გვაწუხებს. შენ იცი, მამაჩემი როგორი მხიარული და ოხუნჯი კაცია. ამ ბოლო დროს კი ერთიანად გამოიცვალა. მაგალითად, საღამოობით შინ ბრუნდება რატომღაც ძალიან დაღონებული, შეშფოთებული. წინათ ქუდს გვერდზე მოიგდებდა, მოდიოდა და მოღიღინებდა, ახლა კი თვალებზე აქვს ჩამოფხატული და ისე ბრუნდება შინ. ყველას გულმოსული გველაპარაკება, თითქოს რაიმე უსიამოვნება მიგვეყენებინოს და მის წინაშე დანაშაული მიგვიძღოდეს. ერთ დღეს შევკადრე, რა არის მიზეზი, ასე რად გვექცევი-მეთქი? მან პირქუშად შემომხედა თვალებში, სახეზე უცბად ღიმილმა გადურბინა, თავი დახარა, ქვედა ტუჩი გამობურცა და სახე ისეთი სასაცილო გაუხდა, როგორც გაბუტულ ბავშვებს აქვთ ხოლმე.

— მე დამნაშავე არა ვარ, ქალიშვილო, — წვრილი, ბავშვური ხმით წარმოთქვა მან. — კირაკოსიანი ცელქობს, თქვენ კი მე მადანაშაულებთ. აი, თუ გინდ ჰკითხეთ მარტიროსიანს.

მე გადავიკისკისე და მამას მოვეხვიე.

— მამა, ნუთუ მაშინაც შეგიძლია ოხუნჯობა, როცა ვგრძნობ, რომ დაღონებული ხარ! — მხიარულად შევძახე.

— აი, თუგინდ ჰკითხეთ მარტიროსიანს, — იმავე კილოთი გაიმეორა მან.

მე ისევ გადავიკისკისე და უფრო მაგრად მოვეხვიე.

მამამ ჩემი მკლავებიდან ფრთხილად გაინთავისუფლა თავი, გაიღიმა, ჩამხედა თვალებში, შუბლზე ნაზად მაკოცა და თავის კაბინეტში გავიდა.

ფიქრიანად გავაყოლე მზერა. რა იოლად აარიდა თავი ახსნა-განმარტების მოცემას! ამ დღიდან არა ერთხელ შემინიშნავს, რომ გამირბოდა, მაგრამ როცა ამისი საშუალება არ ეძლეოდა, ისევ ოხუნჯობით

ცდილობდა თავის დახსნას. საკვირველი ის იყო, რომ მართალია, უხალისოდ ოხუნჯობდა (ამას კარგად ვგრძნობდი), ყოველთვის წარმატებას აღწევდა მაინც და ვინც ამ დროს უყურებდა, ყველაზე გავლენას ახდენდა. მეც კი ვერ ვიკავებდი სიცილს. მაგრამ ამაოდ მიმალავს თავის მწუხარებას; ნათლად ვხედავ, რაღაც იდუმალი დარდი როგორ უღრღნის გულს და სულიერად სტანჯავს. არა მგონია, მისი მწუხარების მიზეზი გრიგორი იყოს, მისი ავადმყოფობა ასე ვერ დაუკარგავდა მოსვენებას. უთუოდ აქ რაღაც სხვა მიზეზია, რაც ჩვენ არ ვიცით. დედაც ძალიან შეფიქრიანებულია, უძილობას უჩივის, ამბობს, ცუდად მძინავსო, ზოგჯერ ძილში შეშინებული შეჰკივლებს ხოლმე, წამოვარდება ლოგინიდან და ხშირად ტირის კიდეც.

გაოგნებული ვარ. ყოველივე ეს რისი მომასწავებელია?

შენი ანა სარიანი.

თბილისი. 11 ოქტომბერი, 1880.

საყვარელო რიფსიმე,

ამჯერად ისევ მამაზე გწერ. იმის უცნაურ მდგომარეობას უტრიალებენ ჩემი ფიქრები.

გასულ კვირას თომას გასპარიჩი გვესტუმრა. გახსოვს, ალბათ, სწორედ ის, უკბილო, ნაადრევად დაბერებული, უსახლკარო, როგორც თვითონ ამბობს, გადამდგარი „ტიტულიარნი სოვეტნიკი“, რომელიც ყველა საეკლესიო ცერემონიალს ესწრება, რის გამო ბევრი ფსალმუნი ზეპირად იცის.

ახლაც ისეთია, როგორიც ამ ორი წლის წინათ იყო; ადამიანები მოხუცებულობაში ნაკლებად იცვლებიან. ისევ ის გაცვეთილი წითელკანტიანი ქუდი ხურავს, გაცვეთილი მუნდირი აცვია, დროჟამისაგან გაშავებული ღილებით, და განუყრელი ხელჯოხი უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ შემოდგომაა, თბილად იყო ჩაცმული. მე ჩემს ოთახში ვიჯექი ღია ფანჯარასთან და ტურგენევის რომანს ვკითხულობდი. ძმები სახლში არ იყვნენ, დედა სამზარეულოში ფუსფუსებდა, მამა, ზურგით ჩემკენ შემობრუნებული, აივანზე იჯდა და დაფიქრებული ქალაქს გასცქეროდა. ეტყობა, არ იცოდა, რომ შინ ვიყავი და ვუთვალთვა-

ლებდი, თორემ ასე თავდავიწყებით არ მიეცემოდა ფიქრებს. წარმოიდგინე, იმდენად იყო გატაცებული თავისი ფიქრებით, რომ თომას გასპარიჩის მიახლოებაც კი ვერ გაიგო.

— ძალიან ღრმა ფიქრებს მისცემიხარ, აღა გევორქ! — უთხრა გასპარიჩმა, რომელიც ერთხანს ჩუმად იდგა და გვერდ-გვერდ უყურებდა სახეში.

მამა მაშინვე მოეგო გონს და თომას შეხედა. პირველად ვერ იცნო, რადგან ერთ წამს გაშტერებული უყურებდა, მერე ერთბაშად შესძახა:

— ჰა, თომას გასპარიჩ, შენა ხარ!.. გამარჯობა (და ხელი გაუწოდა), როგორა ხარ ქეიფში? რაკი გვესტუმრე, დაჯექი (მსახურს გასძახა, სკამი მოართვიო), ახალი ამბები გვცოდინება. მოხსენი გუდას. უთუოდ ეკლესიიდან მოდიხარ.

— აბა სხვაგან სად ვიქნებოდი? — წაიდუდუნა თომას გასპარიჩმა, თითქოს გული მოუვიდა, ამას რაღა კითხვა უნდაო.

— რასაკვირველია, ჩემთვისაც ილოცებდი.

— ვაჰ, აბა ისე როგორ იქნება! თქვენთვის რომ არა, აღა გევორქ, მაშ ვისთვის უნდა ვილოცო?

— შენთვის.

— ყველა კაცმა რომ მარტო თავის თავზე იფიქროს, რა გამოვა?

— რატომ მარტო თავის თავზე, იფიქროს თავის ჯიბეზე, კუჭზე... მოიცა, მოიცა, შენ ეს მითხარი, ლოცვაში რას სთხოვდი ღმერთს ჩემთვის?

— რას?.. აი ამას, — თქვა თომას გასპარიჩმა და მსახურის მოტანილ სკამზე ჩამოჯდა, — უპირველეს ყოვლისა, ყოვლისშემძლე უფალს შეევედრე შენი და შენი ოჯახის დღეგრძელობა...

„ღმერთო ჩემო, ნუ განმეშორები ჩემგან; უფალო, შეწევნად ჩემდა დიდ სიცოცხლისაი ისწრაფე“. დიდხანს სიცოცხლე, რასაკვირველია, ყველაზე კარგია. ასე არ არის, აღა გევორქ?

— მართალია... მერე.

— ჯერ ერთი, ყოვლისშემძლე უფალს შეევედრე...

— შე დალოცვილო, ეგ ხომ უკვე თქვი, — მოუთმენლად და ცოტა ბრაზიანად შეაწყვეტინა მამაჩემმა. — განაგრძე!

გაცბუნებული თომას გასპარიჩი გაკვირვებით უყურებდა, პირველი შემთხვევა იყო, რომ მამაჩემი ასე ელაპარაკებოდა.

— ჰო, მერე შევეეედრე, — ცოტა გამოცვლილ კილოზე განაგრძო თომას გასპარიჩმა, — ყოვლისშემძლე უფალს, შენი და შენი ოჯახის...

— კიდევ? — ისევ მოუთმენლად შეაწყვეტინა მამაჩემმა.

— არა, აღა გევორქ, განვაგრძობ, — აჩქარებით მიუგო საბრალო თომას გასპარიჩმა, — ... ყოვლისშემძლე უფალს შევეეედრე, რომ შენ და შენს ოჯახს ხანგრძლივ სიცოცხლესთან ერთად არ მოაკლოს ჯანმრთელობა... სიცოცხლე ჯანმრთელობის გარეშე შენც იცი, კაპიკად არა ღირს, ასე არ არის, აღა გევორქ?

— აგრეა, აგრე... განაგრძე, — უნებურად გაიმეორა მამაჩემმა და ისევ ფიქრიანად განაგრძო ქალაქისკენ ყურება, თითქოს თომას გასპარიჩს აღარც უსმენსო.

— მერე ვთხოვე, — განაგრძო თომას გასპარიჩმა, — რომ მაცხოვარმა ხელი მოგიმართოს საქმეში, შეგისრულოს გულითადი სურვილები, სიხარული და ბედნიერება მოგანიჭოს, შენს შვილებს — თავში ჭკვიანური აზრები და გულში სიკეთე ჩაუნერგოს, რომ შენ შეგიყვარონ, პატივი გცენ და დაგაფასონ... ვთხოვე, შენ და შენი ოჯახი დაიფაროს ბოროტებისაგან, სატანას ოინებისაგან, შენი მტრები არ გაახაროს. „იხსენ ხელთაგან მტერთა მისთაისა და მდევართა მისთაისა". ვთხოვე, რომ მისი წმინდა მადლი უკლები იყოს შენზე და შენს ოჯახზე „და მოვედიან შენსა ზედა წყალობაი შენი, უფალო, და მაცხოვრებაი შენი სიტყვათა შენთა..."

თომას გასპარიჩი გაჩუმდა, თითქოს ახლა მიხვდა, რომ მამაჩემი არც უყურებდა, არც უსმენდა, და თავი წინ გასწია, რათა სახეში შეეხედა მამაჩემისათვის, რომელიც მთელი გულისყურით ქალაქს გასცქეროდა.

— ჰა, რაო, მორჩი? — შეეკითხა ფიქრებისაგან გამორკვეული მამაჩემი და გასპარიჩისაკენ შემობრუნდა.

— მე მოვრჩი, აღა გევორქ, მაგრამ შენ მგონი არ მისმენდი.

— მგონიო! — —დამცინავ კილოზე დაუდასტურა მამაჩემმა. — პირიქით, ჩემო პატივცემულო ტიტულიარნი სოვეტნიკო, შენი ნათქვამები უფრო კარგად მესმოდა, ვიდრე შენ თვითონ... მაგრამ მოდი, მოვეშვათ ამას და სხვა რამეზე ვისაუბროთ... ახალი რა ისმის, თქვი, თუ ღმერთი გწამს.

— ეჰ, აღა გევორქ, საეკლესიოს გარდა ახალი აბა რა უნდა ვიცო-

დე?.. გაზეთებს თქვენ ღებულობთ და ახალი ამბებიც თქვენ გეცოდინებათ.

— რამდენი ხანია, გაზეთი ხელში არ ამიღია... მიდი ერთი, მგონი მაგიდაზე აწყვია გაზეთები, მოიტანე, წამიკითხე... არა, მოიცა, ნუ შეწუხდები. მსახურს მოვატანინებ.

მან კვლავ გასძახა მსახურს და უბრძანა გაზეთები მოეტანა.

მე ფანჯრიდან მივაწოდე გაზეთი. მსახურმა იგი თომას გასპარიჩს გადასცა.

თომას გასპარიჩმა მაშინვე ამოიღო სათვალე, რომელსაც, როგორც იცი, ცალკე ბუდეში ინახავდა, ცხვირზე დაიდო და კითხვა დაიწყო, წაიკითხა რამდენიმე ცნობა: ერთმა ახალგაზრდამ გაურკვეველი მიზეზების გამო ამა და ამ დღეს თავი მოიკლაო. („შეყვარებული იქნებოდა“ — დასძინა მამაჩემმა), ერთმა ქალმა სამი შვილი გააჩინა და სამივე ჯანმრთელად არიანო; ამა და ამ ადგილას ყაჩაღებმა გაძარცვეს და დახოცეს მგზავრებიო; ესა და ეს ცნობილი ვაჭარი გაკოტრდა და მისი მთელი ქონება აუქციონში გაიყიდაო...

მამაჩემი თავდაპირველად, ეტყობა, ყურადღებით უგდებდა ყურს თომას გასპარიჩს, მაგრამ ეს უკანასკნელი ისე ნელა და უთავბოლოდ კითხულობდა, რომ მამაჩემს მალე მობეზრდა, შეტრიალდა და ისევ ქალაქისაკენ დაიწყო ცქერა. მიუხედავად ამისა, ჩემს თვალს არ გამოეპარა, რომ იგი კვლავ უსმენდა და უსმენდა დაბნეულად, ისე, თითქოს თავის საკუთარ ფიქრებს უნდა გაექცესო, რომლებიც, როგორც ეტყობა, მოსვენებას არ აძლევდნენ. მაგრამ მალე ისევ ყურადღებით დაუწყო მოსმენა და, რაც ყველაზე უფრო გასაოცარია, ამ ყურადღებამ თანდათან ისეთ წერტილს მიაღწია, რომ შებრუნდა კიდეც თომას გასპარიჩისაკენ, მუხლზე იდაყვით დაეყრდნო და დაჟინებით უყურებდა მისი ტუჩების მოძრაობას. ამ დროს მის სახეს შევცქეროდი, არასოდეს არ დამავიწყდება მისი გამომეტყველება. მასში იყო დაძაბული ყურადღებაც, რაც არც შეშფოთებას გამოხატავდა, არც ტანჯვას, არც სასოწარკვეთილებას. უკანასკნელი ცნობა რომ მოისმინა, უეცრად ყვირილით, ისეთი ძალით გამოსტაცა თომას გასპარიჩს ხელიდან გაზეთი: „რა ცუდად კითხულობო“, ისე დაჭმუჭნა და მოისროლა ეზოში, რომ გეგონებოდათ გაგიჟდაო. თავადაც არ მახსოვს, ფანჯრიდან როგორ გამოვყავ თავი და მისკენ გავიხედე. მაშინვე შემნიშნა და ისე მარჯვედ გამოიცვალა გამომეტყველება, რომ ახლაც გაოცებული ვარ. ძირს და-

შვებული ხელებით დინჯად გაჩერდა, ქვემო ტუჩი გამობურცა (ისევე როგორც მაშინ, სულიერი ტანჯვის მიზეზი რომ გამოვკითხე) და წვრილი, ბავშვური ხმით მომიგო:

— მე რა დამნაშავე ვარ, ქალიშვილო... რად კითხულობს თომას გასპარიჩი ასე ცუდად?

მაგრამ ამჯერად არ გამეცინა, არ ვიცი იმიტომ, რომ უკვე მესმოდა მისი ხუმრობის ფასი, თუ, — ძალიან უგემურად რომ გამოუვიდა. ეს თითქოს თვითონაც იგრძნო, ჩემი დაჟინებული სერიოზული მზერისაგან წუთიერად შეშფოთებულმა უეცრად შეხედა თომას გასპარიჩს და ხმამაღლა გაიცინა.

— ანა! — დაიძახა ისე, რომ ჩემკენ არ გამოუხედია. — თუ ღმერთი გწამს, ერთი შეხედე ჩვენს ტიტულიარნი სოვეტნიკს.

მე თვალი გადავაელე თომას გასპარიჩს, მაგრამ მაინც არ გამცინებია, თუმცა ამწუთს იგი მართლაც სასაცილო იყო — უძრავად იჯდა ცხვირზე გაკეთებული სათვალით, სულელივით პირი გაეღო და მამაჩემს უყურებდა, ხელები ისე ჰქონდა ჰაერში გამოწვდილი, როგორც გაზეთის კითხვისას. გეგონებოდათ, საგანგებოდ დაუსვამთ ასეთ პოზაში, რომ სასაცილო სურათი გადაუღონო. მამაჩემის ხმამაღალმა სიცილმა იგი გონზე მოიყვანა და ღიმილით მომმართა:

— ხედავ, ანა, რა ონავარია მამაშენი? — დასძინა თავის ქნევით, — გაზეთი ხელიდან გამომტაცა, დაჭმუჭნა, დაფხრიწა და აივნიდან გადაისროლა... აი, გეკითხები რატომ?

— იმიტომ, ჩემო პატივცემულო ტიტულიარნი სოვეტნიკო, რომ სადილად ჩვენთან დარჩე, — უთხრა მამაჩემმა და თავის ოთახისკენ გასწია.

წერილში მე განგებ ვრცლად აღვწერე ეს შემთხვევა, საყვარელო რიფსიმე, რათა დამენახვებინა, რაოდენ ღრმაა ის იდუმალი დარდი, რომელიც გულს ულრღნის და სულიერ სიმშვიდეს უკარგავს მამაჩემს.

ვერ წარმოიდგენ როგორ მეშინია არ გაგიჟდეს... ძრწოლა, შიში, აუტანელი მწუხარება და სასოწარკვეთილება მიპყრობს, როცა ამაზე ვფიქრობ... არ ვიცი, რა ვიღონო!.. როგორ დავიხსნა თავი ამ უბედურებისაგან?

ავი წინათგრძნობისაგან კიდევ უფრო ვიტანჯები...

მხურვალედ გკოცნი.

შენი ანა საროიანი.

ე

თბილისი, 23 ნოემბერი, 1680.

ძვირფასო დაო!

ჩემი ცუდი წინათგრძნობა ახდა: უბედურებამ — თანაც ძალზე დიდმა — პირველად შემოაღო ჩვენი ოჯახის კარი და მკვიდრად მოიკიდა ფეხი. უეცრად ხელიდან გამოგვეცალა მთელი ქონება და სიმდიდრე. მამას მარჯვენა მხარეს დამბლა დაეცა და ჭკუაზე შეიშალა. აი რა შედეგი მოჰყვა მის სულიერ წამებას, მის იდუმალ დარდსა და უცნაურ ყოფაქცევას. აღმოჩნდა, რომ მიზეზი მამის ვალები იყო, რაზედაც ჩვენ წარმოდგენაც არა გვქონდა და ფიქრად არც ის გაგვიტარებია, რომ ოდესმე ესოდენ თავზარს დაგვცემდა... ასეა თუ ისე, გაოცებისაგან დღესაც გონს ვერ მოვსულვარ, სულ იმას ვფიქრობ, მამაჩემმა ამდენი ვალი როდის, ანდა რისთვის აიღო?.. დედა ამბობს, ბანქოს აზარტული მოთამაშე იყოო. ეს მეც ვიცოდი, მაგრამ ნუთუ თამაშის გამო ამდენ ვალს იღებენ, ანდა ამდენს აგებენ?.. არა, არა, ამას არასოდეს არ დავიჯერებ და არც მინდა დავიჯეროო... შეიძლება სხვა კაცებმა ეს ჩაიდინონ, მაგრამ მამაჩემმა... შენ ხომ ცოტა თუ ბევრად იცნობდი მამაჩემს, ხომ იცი, როგორი პატიოსანი, თავმოყვარე და შორსმჭვრეტელი ადამიანი იყო. ნუთუ ამისთანა ლამაზი თვისებებით დაჯილდოებულ კაცს არ ეცოდინებოდა, რა საშინელი შედეგები მოსდევს აზარტულ თამაშს? განა ისე უძლეველია ამ აზარტული თამაშის ძალა, რომ ადამიანის ყველა სხვა დადებით თვისებებს ფარ-ხმალი დაუყრია მის წინაშე? ნუთუ მართალია ეს, ნუთუ შეიძლება ამის დაჯერება?.. დაე, ვისაც უნდა, დაიჯეროს, ვისაც უნდა ირწმუნოს, მაგრამ მე მაინც არ ვირწმუნებ. ვერ დავრწმუნდები მარტო იმიტომაც, რომ საქმე მამაჩემს ეხება... ოჰ, არ იფიქრო, თითქოს მამისადმი უსაზღვრო ბრმა სიყვარული მალაპარაკებს და იმიტომ ვიცავ მას, არა. ყველა, ვინც იცნობს, ერთხმად იტყვის, რომ საკუთარ და თავის ოჯახის ბედნიერებას და პატივს ასე ფუქსავატურად არ გასწირავდა, რაც უნდა ბანქოსადმი დაუძლეველი სიყვარული ჰქონოდა.

მე მამას ისე ვიცნობ, როგორც საკუთარ თავს; ვიცნობ ყოველ მხრივ. მისი სული ისეა გადაშლილი ჩემს თვალწინ, როგორც რომელიმე სურათი თავისი ნათელი და მუქი ფერებით, ამიტომ გაბედულად, ყოველგვარი აკვიატებული შეხედულების გარეშე ვაცხადებ, რომ ასე-

თი პატივისმცემელი ოჯახისა, მისთვის ესოდენ თავდადებული, სანთლით არის საძებნელი. დაწყებული ჩემი ბავშვობის ადრეულ ‹ წლებიდან — როცა გონების თვალი ამეხილა — დღევანდლამდე არ მახსოვს ერთი შემთხვევა, ან დედაჩემისათვის ცუდი სიტყვა ეთქვა, ან ჩვენზე— შვილებზე ხელი აღემართოს. მის მხრივ ჩვენ მუდამ სიყვარულითა და მზრუნველობით ვიყავით გარემოსილი, და ისე გვზრდიდა, რომ ჩვენთვის უცხო იყო სხვა ოჯახებისათვის დამახასიათებელი უთანხმოებანი და აყალ-მაყალი. იგი ყოველთვის უსიტყვოდ ასრულებდა ყველა ჩვენს სულ მცირე ახირებას და ოჯახური ბედნიერებისა და სიწყნარის ამ მოტრფიალის ჩრდილქვეშ მშვიდი თავშესაფარი გვქონდა. ახლა შენა თქვი, ჩემო ძვირფასო, ყოველივე ამის შემდეგ, როგორ შემიძლია დავიჯერო, რომ ამნაირმა მამამ (გეფიცები, არა ვარ მოტყუებული) მწვანე მაგიდასთან ქარაფშუტულად წააგო თავისი ოჯახის ბედნიერება, პატიოსნება, მისი მომავალი — ყველაფერი, რისთვისაც სიცოცხლეს სწირავდა?..

ოჰ, რა მიმძიმს! რა მიმძიმს, ჩემო დაო!.. ჩვენს ოჯახს, რომელსაც არასოდეს არ უნახია ესოდენი მწუხარება, ისე მოულოდნელად დაატყდა საშინელი უბედურება, რომ ლამის სულიერად დავეცე. ნუთუ შეიძლება ბედისწერის ამ დარტყმას გაუძლოს ადამიანმა? არ გეგონოს ის მადარდებდეს, რომ სიმდიდრე დავკარგეთ. ამაზე არც ვფიქრობ და არც ვნანობ. მამა! მამის გამო ვიტანჯები. მე და ჩვენმა ოჯახმა დავკარგეთ ისეთი მამა, რომელიც მთელი ქვეყნიერების საგანძურად ღირდა. და მადლობა ღმერთს! — დიახ, მადლობა ღმერთს, რომ მხოლოდ ცალი ხელი წაართვა, თორემ ხომ შეეძლო სულაც დავრდომილი გაეხადა, ანდა მოეკლა.

მაგრამ ყველაზე მეტად მაშინ ვიტანჯები და სასოწარკვეთილებაში ვვარდები, როცა ვფიქრობ, რომ საღი აზროვნება აღარ დაუბრუნდება. საყვარელო დაო, ნეტავი თუ წარმოგიდგენია, ანდა თუ გესმის რას ნიშნავს შეშლილი ადამიანის ყოფა? ეს ნიშნავს — იყო მოზრდილი ადამიანი და ამავე დროს — ბავშვი; ჩაიდინო ის, რასაც არავინ ჩაიდენს, და ზურგი შეაქციო იმას, რასაც ყველანი სჩადიან; იყო სულელების დასაცინი და ჭკვიანთა სიბრალულისა და მოწყალების საგანი; ეს ნიშნავს — ბუნებისაგან მოკვეთას, ადამიანური უფლებების აყრას, სიცოცხლეშივე ცხოვრებიდან ჩამოწერას; ეს ნიშნავს — ათიათასობით ადამიანს შორის განდეგილივით არსებობას, თითქოს უდაბნოში

ხარ, სადაც შენს მიმართ ირგვლივ ყველაფერი ყრუა, დახშული და თვითონ შენც უნდა დაყრუვდე და დაბრმავდე; ეს ნიშნავს ხედავდე და ვერ სცნობდე, ისმენდე და ვერ არჩევდე, ცოცხლობდე და ვერ გრძნობდე. ბოლოს, ეს ნიშნავს — ცხოვრების საიდუმლოებათა გასაღების დაკარგვას. რა საშინელებაა, რა საშინელებაა!..

მაპატიე, საყვარელო რიფსიმე, წერილის გაგრძელება აღარ შეძიძლია — სულიერად განადგურებული ვარ.

შენი ა ნ ა.

3

თბილისი, 7 დეკემბერი, 1880.

ჩემო ტკბილო მეგობარო,

მადლობელი ვარ თანაგრძნობისათვის. დიახ, კარგი იქნებოდა. მეტისმეტად კარგი, გვერდით მყავდე, მაშინ, ალბათ, ძალიან მსუბუქად ვიგრძნობდი თავს! მაგრამ წამოსვლა შეუძლებლად მიგაჩნია. მეც ასე მგონია, ვიცი, ეს შენზე არ არის დამოკიდებული, ამიტომ არც არასოდეს მოგთხოვ ჩემთვის ამოდენა მსხვერპლი გაიღო. არაფერია. ისიც საკმარისია, რომ ჩვენი გულები წერილებით არის ერთმანეთთან დაკავშირებული.

ახალი სახლიდან გადავედით. იგი ამიერიდან ჩვენ აღარ გვეკუთვნის. უფრო სწორედ, იქიდან გამოგვყარეს, — შეიძლება ეს უკანასკნელი სიტყვა ძალიან უხეშად გაისმის, მაგრამ რას იზამ, ნამდვილად ასეა. ჩვენ ზრდილობიანად გამოგვიცხადეს — აქედან წადითო და ამით ყველაფერი იყო ნათქვამი... ნეტარება იმას, ვისაც თავისი საკუთარი სახლის სამუდამოდ მიტოვების სიმწარე არ უგემია და თანაც ასე მოულოდნელად. მეგონა, გულიდან რაღაც მწყდებოდა, ისევე, როგორც ეს ხდება ხოლმე მაშინ, როცა გულითად მეგობარს ემშვიდობები სამუდამოდ. სახლის კარები, კარ-ფანჯრები, თვითეული აგური, ყოველი წვრილმანი ძალზე ძვირფასი ყოფილა თურმე ადამიანისათვის და მისგან განშორებას გული ვერ ურიგდება. დიახ, ძალზე აუტანელია, მძიმე და მწარეა სამუდამოდ განშორდე და მიატოვო იქაურობა, სადაც დაიბადე, ბავშვობის ოქროს დღეები გაატარე, რასთანაც შენი სიცოცხლის ყველაზე ტკბილი მოგონებებით ხარ დაკავშირებული.

ამჟამად ვცხოვრობთ ჩვენს ძველ სახლში, რომელიც ძლივს დავი-

ხსენით მოვალეთა ბრეკყალებისაგან. შენ ნანახი გაქვს ეს სახლი, ერთ მიყრუებულ ქუჩაზე მიკუნჭული, ნესტიანი, დაღვრემილი კედლებით, რომლებიც თითქოს დღენიადაგ ტირიანო. როცა ამ სახლის ოთახებში შევდივარ, რაღაც გამოუცნობი, მძიმე, აუტანელი სევდა მაწვება გულზე; ერთსა და იმავე დროს სასოწარკვეთილება და სიშმაგე მეუფლება და ლამის გავიგუდო ყელში მომდგარი მწარე ცრემლებისაგან...

ოჰ, რიფსიმე, ძვირფასო დაო, რაოდენ მწარეა და აუტანელი სიცოცხლე... ნეტავი საინტერესო იყოს, რაიმე მაღალი დანიშნულება, რაიმე დიადი მიზანი მაინც ჰქონდეს, რისთვისაც ეღირება ამდენი ტანჯვა-წამების ატანა!.. ნუთუ ადამიანი იმიტომ არის გაჩენილი, რომ ამაოებისათვის დღენიადაგ ეწამოს!.. ნუთუ ადამიანის ბედისწერაც და სიცოცხლეც მხოლოდ ამაოებაა? ნუთუ?!. ვერ წარმოიდგენ, როგორი პირქუში ფიქრების ტყვეობაში ვარ... ფიქრთა ძაფები იბლანდებიან და მერე უეცრად წყდებიან... ირგვლივ არარაობა და ამაოებაა...

მე შეძრწუნებული ვარ.

8 დეკემბერი.

გუშინ, საყვარელო რიფსიმე, სულიერად და ფიზიკურად ისე ვიყავი აღელვებული, რომ წერილის წერა ვეღარ განვაგრძე, კალამი ხელიდან გამივარდა, გარეთ გავედი და კარგა ხანს უგზო-უკვლოდ დავხეტიალობდი.

ამ უკანასკნელ დროს ასე ხშირად მემართება. მთელი ჩემის არსებით გავურბი ამ უცნაურ მღელვარებას, არ მინდა მის წინაშე ქედი მოვიხარო, მაგრამ იგი ისე ძლიერია, რომ ჩემდა უნებურად ვექცევი მისი გავლენის ქვეშ და ყველაზე საკვირველი ის არის, რომ ვგრძნობ ამ მდგომარეობის ატანა ძნელია, მაინც რატომღაც, იმდენ სიმშვიდეს მგვრიან, რომ ენითაც ვერ გამომითქვამს — არ ვიცი, სხვა როგორი ახსნა მივცე ჩემს სულიერ მდგომარეობას, მღელვარების წუთებში რომ განვიცდი. ღრმა ფიქრებში წასული ვიყურები ირგვლივ — ჩემს თვალწინაა გადაშლილი ცა და დედამიწა, მთელი ხილული სამყარო, ვხედავ ადამიანებს, ცხოველებს, ფრინველებს, მწერებს, დაქინებით ვუყურებ, ვუყურებ და უეცრად ვგრძნობ, რომ ჩემდა უნებურად სახეზე რაღაც დამცინავი ღიმილი მიჩნდება — არარაობა! ამაოება! არარაობა! — ვჩურჩულებ ჩემთვის, თან ვგრძნობ, რომ გულზე მეშვება,

იქ აღარ არის დარდი და მწუხარება; ადამიანთა მგრძნობელობის ყველა შესაძლებლობებმა თითქოს დაკარგეს მოქმედების უნარი, ანდა აზრი აღარა აქვს მათ მოქმედებას. რწმენა, იმედი და სიყვარული, რომლებიც ადამიანების არსებობის საფუძვლად ითვლება, თითქოს იმსხვრევა, ისინი სულს აღარ ეკარებიან, ყველაფერი უფასურდება და ასეთ წუთებში ჩვენი ოჯახის უბედურებასაც გულგრილად და ზიზღით ვუყურებ, მაგრამ სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეს უცნაური განცდა დიდხანს არ გრძელდება და ნელ-ნელა ვთავისუფლდები ხოლმე მისი გავლენისაგან, რომლის დროსაც ზოგჯერ ისე ვარ შიშისაგან დაზაფრული, თითქოს რაიმე ბოროტმოქმედება ჩამედინოს... დაბოლოს, ისევ ბესტუმრება უწინდელი დარდი და მწუხარება, ჩემი სული კვლავ დათრგუნვილია და ვიტანჯები... რა გასაოცრად არის მოწყობილი ადამიანის სულიერი სამყარო! რამდენი ბნელი ხვრელია მასში, რამდენი იდუმალი და გამოუცნობი კუთხე-კუნჭული აქვს!..

მამაჩემი ისევ იმ მდგომარეობაშია. ეჭვიც აღარ მეპარება, რომ ნამდვილად ჭკუაზეა შეშლილი. სიგიჟე თანდათანობით ერევა, რის მიზეზიც, მე მგონია, დამბლა უნდა იყოს; აღარც მოძრაობა შეუძლია, აღარც მეტყველება. თუმცაღა, ამ უკანასკნელ დღეებში ჩემი ან დედაჩემის დახმარებით ოთახში დაფარფატებს ხელჯოხით, და ძლივს ამოძრავებს ფეხებს. უკვე ვერაკის სცნობს. როცა დედა, ან ჩემი ძმები მის ოთახში შევლენ ხოლმე, ელაპარაკებიან ან შეეკითხებიან, გვცნობ თუ არაო, ის ერთხანს გაშტერებული უყურებს, თითქოს სერიოზულად უმზერს სახეში, ჯანსაღ ხელში ცხვირსახოცს ჭმუჭნის, მერე პირს იბრუნებს და დუმს. არც მე მცნობს, თუმცა სიამოვნებით და ალერსით მელაპარაკება. როცა მივაკითხავ ხოლმე, ვამჩნევ, უხარია, მაგრამ თუ რამდენიმე დღეს თვალით არ დაუვნახავ — არც გავახსენდები. ლაპარაკი უაზრო და დაბნეული აქვს, კითხვებზე პასუხს იძლევა, მხოლოდ იმაზე კი არა, რასაც ეკითხებიან, არამედ სულ სხვას. მე ყოველთვის ლამაზ გოგონას მეძახის, სახელი აღარ ახსოვს. შევახსენებ, გაიმეორებს და მაშინვე ავიწყდება. მხოლოდ ერთხელ — ისიც ორიოდე წუთით — მიცნო და ატირდა. მაგრამ ამ ბოლო დღეებში, როგორც ვამჩნევ, ცოტ-ცოტა გონზე მოდის, წარსულიდან ზოგ-ზოგ რამეს იგონებს, თუმცა მაშინვე ავიწყდება, წინათ კი სულ არაფერი ახსენდებოდა. ეს იმედით მავსებს, ბოლოს და ბოლოს, იქნებ გამოჯანმრთელდეს. ექიმიც მანუგეშებს, მაგრამ ამბობს, სულ მთლად არ გამოკეთდებაო.

დაე, დაე ასე იყოს, ოღონდ ახლანდელ მდგომარეობაში არ ვუყურო. შენ ვერ წარმოიდგენ, ძვირფასო დაო, რაოდენ ვიტანჯები და გული მეთუთქება, როცა შეხვედრისას მის სახეზე ყოველთვის სულელურ ღიმილს ვხედავ, და უაზრო ლუღლუღს ვისმენ...

იმ დღეს, დილით, ჩვეულებრივ მივაკითხე. დედაჩემისა და მსახურის დახმარებით უკვე ჩაეცვა, დაებანა (დილდილობით მუდამ ადრე იღვიძებს, საერთოდ, ძალიან ცოტა სძინავს). როცა ოთახში შევედი, საწოლზე იჯდა და ჩვეულებრივ ხელში ცხვირსახოცს ათამაშებდა. დამინახა თუ არა, კოპები შეიკრა. (პირველი შემთხვევა იყო, ასე რომ ეხვდებოდა), მერე, ეტყობა მიცნო, გამიღიმა და მისალმების ნაცვლად ალერსიანად მესროლა ცხვირსახოცი. მე ჰაერშივე დავიჭირე, ვიდრე იატაკზე დაეცემოდა და მის გვერდით საწოლზე ჩამოვჯექი.

— მამა, როგორა ხარ დღეს? — შევეკითხე და ცხვირსახოცი გავუწოდე.

— კარგად, — მიპასუხა ჩვეულებრივი, მაგრამ ამჯერად თითქოს დარცხვენილი ღიმილით, და ისევ განაგრძო ხელში ცხვირსახოცის თამაში.

კითხვაზე გაცემულმა სწორმა პასუხმა გამახარა.

— რა გაწუხებს, მამა? — ვკითხე და ალერსით მოვხვიე ხელი წელზე.

შემომხედა. აღარ იღიმებოდა.

— რა? — თითქოს ღრმა ფიქრებშიაო, ისე იკითხა.

— რა გაწუხებს-მეთქი, რა გტკივა?

ღრმად ამოიოხრა და მზერა ფანჯრისაკენ გადაიტანა.

— ძალიან ცუდია! ძალიან ცუდია! — ხმადაბლა წარმოთქვა ისეთი აღელვებული ხმით, რომ თვალები ცრემლით ამევსო. მე უფრო მაგრად მოვეხვიე და კარგა დიდხანს ვერ შევძელი ხმის ამოღება. ცხვირსახოცს აღარ ათამაშებდა, თითქოს ღრმა ფიქრებშიაო წასული, ისევ ფანჯრისაკენ იყურებოდა.

— მამა, მცნობ თუ არა? — ბოლოს ვკითხე.

კვლავ შემომხედა, თითქოს იგონებს, ვინ არისო?

— არა, — ესღა მიპასუხა.

— მე ანა ვარ, მამა, შენი ქალიშვილი, — შევძახე.

— მე ქალიშვილი არა მყავს — გულგრილად თქვა და კვლავ ფანჯრისკენ იბრუნა პირი.

— გყავს, გყავს, გყავს, მამა, როგორ არა გყავს — ეს მე ვარ. მე შენი ანა ვარ, ნუთუ აღარ გახსოვარ?

მან თავი გულგრილად გაიქნია, არაფერი მიპასუხა. სასოწარკვეთილებამ, მწუხარებამ და საკუთარი უძლურების შეგნებამ ისე დამრია ხელი, მზად ვიყავი ტირილი დამეწყო, მაგრამ თავი შევიკავე.

დიდხანს ჩუმად ვისხედით, იგი კვლავ უაზროდ იყურებოდა ფანჯრისაკენ, მე კი — დაჟინებით მას ჩავცქეროდი სახეში. რამდენ ტკბილ ნოგონებებს მიღვიძებდა ეს მიმზიდველი, სასიამოვნო, კეთილი, მაგრამ მოღიმარე სახე!.. და თვალწინ ნათლად დამიდგა, ამ მშვენიერ სახეს ხუმრობის დროს როგორ სასაცილოდ მანჭავდა. თვალშესაქცევი სანახაობა იყო! სახის ნაკვთების სასაცილო მოძრაობა ძალზე ესადაგებოდა მის გამოხედვას, ხუმრობა ხომ მოსწრებული და მახვილგონივრული იცოდა!.. იმ წუთებში მამა უსაზღვროდ მიყვარდა.. დაიწყებდა თუ არა ოხუნჯობას, სიცილით ვიგუდებოდი, განუწყვეტლივ ვკისკისებდი, ვიდრე არ დავიღლებოდი, გულში ტკივილს არ ვიგრძნობდი და თვალიდან ცრემლი არ წამსკდებოდა. ერთხელ პიანინოს ვუჯექი. ვუკრავდი, რომ უეცრად მამა დაღვრემილი შემოვიდა და მომიახლოვდა.

— ანა, ცუდ გუნებაზე ვარ, — თქვა ისე, თითქოს რაღაცით უკმაყოფილოაო. — თუ ღმერთი გწამს, ადექი, მინდა „ბეთხეჰემის სენატი“ დავუკრა.

„ბეთჰოვენის სონატა“ განგებ ასე დამახინჯებულად წარმოთქმული რომ გავიგონე, პიანინოს მოვშორდი და სიცილისაგან კინაღამ გული შემიღონდა. მან სიცილში გამოჯავრება დამიწყო. ამის გამო კიდევ უფრო გულიანად ამიტყდა სიცილი. იმანაც უმატა გამოჯავრებას. მე მეტი ვეღარ ავიტანე, წამოვხტი, მკერდზე ხელი მივიდე და ოთახიდან გავვარდი.

ეჰ, რა კარგი დრო იყო! რა ბედნიერი იყო ის! როგორი ბედნიერი ვიყავი მე! რაოდენ ბედნიერნი ვიყავით ჩვენ ყველანი!.. ახლა კი!.. ახლა!.. ბედნიერი, მაგრამ დაუბრუნებელი წარსული რომ მოვიგონე და ჩვენს უბედურ აწმყოს შევადარე, უეცრად გული ისე ჩამწყდა, ისე, რომ არ ვიცი, როგორ გავუძელი იმ ტანჯვას. მეტი აღარ შემეძლო იქ დარჩენა. ცრემლები ყელში მაწვებოდა, ლამის გავეგუდე. გარეთ გამოვედი და ღრმა გულისტკივილით გამოვიტირე ბედნიერებით სავსე დაუბრუნებელი წარსული...

მიიღე ჩემი სალამი, ჩემო ძვირფასო დაიკო.

შენი ანა სართიანი.

ზ

თბილისი, 14 დეკემბერი, 1880.

საყვარელო რიფსიმე,

მამაჩემის უმწეო მდგომარეობას ისეთი მღელვარებით განვიცდი, რომ ამ ბოლო დროს ოჯახის სხვა წევრებზე თითქმის არაფერს გწერდი. უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვა, რომ მის გამოკეთებას პირი არ უჩანს, ახალი არაფერი მომხდარა. იგი კვლავ არავის არ გვცნობს. დედა, თუ პირველად ძალიან დარდობდა და დღენიადაგ ტიროდა, ამჟამად, თითქოს შერიგებულია თავის ბედისწერასთან; მისი ოხვრა-გოდება აღარ მესმის, გეგონება, გაქვავებულიაო. ყოველ დილას დაიარება მამასთან, აცმევს, ბანს, ჩაის ასმევს, ხელჩაკიდებული ასეირნებს ოთახში, შუადღისას თავის ხელით აჭმევს სადილს, საღამოს ალევინებს ჩაის, ღამით ლოგინში აწვენს და ყველაფერ ამას დუმილით აკეთებს, ხანდახან თუ აღმოხდება ოხვრა. ძალიან ხშირად სასთუმალთან უზის, ღამეს უთევს ავადმყოფს, და მიუხედავად ჩემი თხოვნისა, არ მანებებს შეევნაცვლო. ყოველთვის, როგორც კი შევხედავ მის დამეკნარ ჩაყვითლებულ სახეს და ჩაფერფლილ უსიცოცხლო თვალებს, დარდისაგან და სიბრალულისაგან გული მიკვდება. წარმომიდგენია, ხმისამოუღებლად რაოდენ ღრმად განიცდის მწუხარებას, რომელსაც დედაჩემის გულში დაუდვია ბინა.

მაგრამ მისი ტანჯვის მიზეზი მარტო მამაჩემის მდგომარეობა როდია; გრიგორის ჯანმრთელობაზე ფიქრიც ნაკლებად არ აწუხებს. ერთ-ერთ წერილში, მგონი, გწერდი, გრიგორს ახველებს და ექიმები ურჩევენ გიმნაზიას დროებით თავი დაანებოს-მეთქი. ახლა კი გაცნობებ, მისი მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. ერთ ხანს სულაც აღარ ახველებდა, მაგრამ ორი კვირის მერე ხელახლა დაეწყო და თანდათან ისე უძლიერდება, რომ აღარც ღამით აქვს მოსვენება, აღარც დღისით. სწავლის გაგრძელებაზე ამჟამად ლაპარაკიც ზედმეტია. მამაჩემის მდგომარეობას თითქოს მეც შევურიგდი, მაგრამ ახლა გრიგორის ჯანმრთელობაზე ფიქრით ვიტანჯები, ეს უკანასკნელი პირველზე მსუბუქი როდია. ნეტა განახვა, როგორ არის გამოცვლილი! ნეტა მისი ხველა გაგაგონა!

გუშინ დილით თერთმეტ საათამდე იწვა. წინათ კი, თუმცა სიცივე და ნესტიანობა აიძულებდა შინ დარჩენილიყო, ყოველ დილით მაინც

ადრე დგებოდა და რაც უნდა სუსტად ეგრძნო თავი, მთელი დღის განმავლობაში საწოლს არ გაეკარებოდა. მაგრამ, გუშინ, როგორც უკვე ვთქვი, თერთმეტ საათამდე საწოლიდან არ წამომდგარა. ცოტა აღელვებული შევედი მის ოთახში. მშვიდად იწვა, პირისახით კედლისკენ შებრუნებული. მეგონა, ეძინა, ამიტომ, არ დავურღვიო მყუდროება-მეთქი, ფრთხილად მივუახლოვდი საწოლს, მაგრამ თურმე არ სძინებია, თვალები ღია ჰქონდა და, როგორც ჩანდა, თავის საფიქრებელს მისცემოდა. მე ოდნავ დავიხარე საწოლთან. დამინახა, მაგრამ მდგომარეობა არ შეუცვლია.

— როგორა ხარ, როგორ? — შევეკითხე ხმადაბლა.

— კარგად, დაო, — მიპასუხა დინჯად.

— მაშ აქამდე რადა წევხარ?

— ავდექი, მაგრამ ძალიან ცივა და ისევ დაიწექი.

მე კვლავ მის სახესთან დახრილი ვიდექი. იმდენად მშვიდად იყო, გეგონებოდა არა სუნთქავსო.

— გრიგორ, რაზე ფიქრობ? — შევეკითხე დიდი ხნის დუმილის შემდეგ.

დინჯად გადმომხედა.

— მე?

— ჰო.

— სულაც არა ვფიქრობ.

გადმობრუნდა, პირაღმა დაწვა და პირდაპირ თვალებში დამიწყო ცქერა.

— თვალები მუდამ რატომ გაქვს ჩაწითლებული? — შემეკითხა.

— ჩემი თვალები ჩაწითლებული არ არის, — ცოტა აღელვებით, მაგრამ, რამდენადაც შეშეძლო, დინჯად მივუგე და შიშველ მკერდზე საბანი წავაფარე.

სახეზე უკმაყოფილება დაეტყო.

— ეჰ ანა, სულ არ გებრალება თავი, — თქვა სევდიანად ოდნავი საყვედურის კილოთი და იმავე წუთს ისეთი ხველა აუტყდა, თითქოს ფილტვები დაუსკდაო. კედლისკენ გადაბრუნდა, ბალიშიდან თავი ოდნავ ასწია, დიდხანს ახველებდა. მერე ლეიბის ქვეშიდან ცხვირსახოცი გამოიღო და ნახველი შიგ გამოაფურთხა. თავზარი დამეცა; ცხვირსახოცზე პირველად დავინახე სისხლის ლაქები.

— გრიგორ, რა არის ეგ? — შევძახე.

— რა მოხდა? — შემეკითხა, როცა ბოლოს და ბოლოს, დამშვიდდა და ძალზე მისუსტებულმა თავი ბალიშზე დადო.

— სისხლს იღებ?

— ეჰ, ეგ არაფერია, — ისე მიპასუხა, თითქოს მისაყვედურა: ღირს განა მაგისათვის ყურადღების მიქცევაო?

— დიდი ხანია, რაც სისხლს იღებ?

— დიდი ხანია.

შიშისაგან დაზაფრულმა, უდიდესი სიყვარულით მოვხვიე ხელი, ვგრძნობდი, გული როგორ მელეოდა; ენა დამება, ხმას ვეღარ ვიღებდი. თითქოს მიმიხვდა იმწუთას რაზე ვფიქრობდი, თითქოს გამოიცნო ჩემი სულიერი მდგომარეობა და ოდნავ გაღიმებულმა ისე ნაღვლიანად შემოვხედა, რომ არასოდეს დამავიწყდება მისი სახე. მაგრამ არაფერი მითხრა, მხოლოდ ეს კი ქნა — საბნიდან გამოაცურა ხელი და შუბლზე დაფენილ თმებზე მოფერებით გადამისვა.

— დღეს მამასთან იყავი? — მკითხა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ.

— ვიყავი.

— როგორ არის?

— ისევ ისე.

— კიდევ ვერ გიცნო?

— ვერა.

— ჩვენგან სულ არავის არ ახსენებს?

— არა.

— დედასაც ვერა სცნობს?

— ვერა.

— რის ამბობს?

— თითქმის არაფერს. გაჩუმებულია.

— ალბათ, ენა წაერთვა.

— შეიძლება.

ორივე გავჩუმდით.

— ასე რად მიყურებ, დაო? — დაარღვია სიჩუმე მან. უეცრად ვიგრძენი, რომ ყელში მომდგარი ცრემლებისაგან ვიგუდები, საჩქაროდ ვაკოცე შუბლზე, მოვცილდი და კარისაკენ ავიღე გეზი.

— ანა, — მომაძახა. გავჩერდი. უკან არ მივიხედე.

— ნურაფერს ეტყვი დედას.

მივხვდი სისხლს გულისხმობდა.

— არ ვეტყვი, — რამდენადაც შემეძლო დამშვიდებულმა მივუგე, მაგრამ მღელვარება ვერ შევიკავე და სწრაფად გამოვედი მისი ოთახიდან. ხოლო მაგ დღეს რამდენი მწარე ცრემლი დავღვარე, ამაზე უკვე აღარაფერს ვიტყვი, ერთბაშად ჩამიქრა გულში ყველა იმედი...

შენი ანა საროიანი.

თბილისი, 21 დეკემბერი, 1880.

ჩემო საყვარელო რიფსიმე!

არ მახსოვს, რომელ პოეტს უთქვამს — „უბედურება მარტო არ მოდისო". ეს მართალია. რამდენი უსიამოვნება მოჰყვა ჩვენს მარცხს, და ვინ იცის, კიდევ რამდენი მოჰყვება! მამას დამბლა დაეცა, ჭკუაზე შეიშალა, გრიგორის ჯანმრთელობა დღითიდღე უარესდება, დედა ზეზეულად დნება, ხოლო ახლა დანარჩენ ორ ძმაზე მიდგა ჯერი: უფროსი, არშაკი, აგერ მესამე კვირა გადის სამსახურიდან დაითხოვეს ლოთობისათვის, უმცროსი, გარეგინი, გიმნაზიიდან გამორიცხეს სიზარმაცის გამო. ეს უბედურებანი ჩვენს ახლანდელ მდგომარეობაში მეტისმეტად საწყენია. განსაკუთრებით არასასიამოვნოა პირველი — უფროსი ძმის უმუშევრად დარჩენა, უფროსი ძმისა, რომელიც ჩვენი ოჯახის ერთადერთ იმედს წარმოადგენდა. უწინდელი ქონებიდან ცოტა რაღაც კიდევ დაგვრჩა, ჯერჯერობით, ასე თუ ისე, თავი გაგვაქვს, მაგრამ ის „ცოტა რაღაც" მალე გათავდება, და უთუოდ სიღარიბე (და ვინ იცის, სიღატაკეც) მოგვიკაკუნებს კარზე. რა უნდა ვქნათ მაშინ? როგორ ვიარსებოთ? რით გამოვიკვებოთ?.. ამ მწარე ფიქრისაგან უკვე აქედანვე მეყინება სისხლი ძარღვებში და გული მეკუმშება. წარმომიდგენია, როგორი იქნება ჩვენი ბედისწერა ახლო მომავალში! სიღარიბე... ძვირფასო დაო, ნეტა თუ გესმის რას ნიშნავს იგი!.. სიღარიბე ყოველთვის წარმოდგენილი მაქვს ათასთავიან ურჩხულად, ცივ მკერდში ჩაგვიხუტებს თუ არა, საშინელ ეშვებიან ხახაში მოგვიქცევს და ჯოჯოხეთური წამებით ნელ-ნელა სულს ამოგვხდის. ოჰ, ათასწილად სჯობია სიკვდილი იმ საშინელი ურჩხულის მარწუხებში მოქცევას. ან არა და, ნეტა ადამიანი რკინისა იყოს, რომ აიტანოს ის მორალური და ფიზიკური ტანჯვა, რითაც სიღარიბე ასაჩუქრებს მას. საყვარელო

დაო, იქნებ ჩემი სიტყვები გაზვიადებულად გეჩვენოს, შეიძლება სიღარიბე არც ისე საშინელია, როგორც დავხატე, მაგრამ მე სხვანაირად არ შემიძლია მისი წარმოდგენა. ამასთან, მხედველობაში იქონიე დღემდე როგორ პირობებში ვიზრდებოდი და ამის შემდეგ რა ჭომელის, როგორი ცხოვრება! ბავშვობის ასაკიდანვე გარს მეხვიენენ ძიძები და მოახლეები. სულ არ ვიცოდი, რას ნიშნავდა გამხმარი, ანდა შავი პური. ვიკვებებოდი მუდამ ახალთახალი მსუყე და გემრიელი საჭმელებით. ტანსაცმელს, სულ ოდნავ რომ დალაქავებულიყო, ანდა სადმე გარღვეულიყო, აღარ ვიცვამდი. მაღაზიების წინ ჩავლისას ვიტრინებში გამოფენილი საგნებიდან თუ რაიმე მომეწონებოდა, იმავე დღეს შევიძენდი. როცა ჩემსავით მდიდარ ქალიშვილს ახალი მოდის კაბას, შლაპას ანდა სხვა ნივთს დავუნახავდი და მომეწონებოდა, რამდენიმე დღეში მე მქონია სწორედ ისეთი. ერთი სიტყვით, ვცხოვრობდი განცხრომასა და ფუფუნებაში. და უცბად, ყოველივე ამის ნაცვლად — უკიდურესი სიღარიბე, — საშინელი სიღატაკე, შავი, გამხმარი პური — ისიც ყოველთვის არა — ბნელი ოთახი, თავაუღებელი მუშაობა, სიტიტვლე, სიცივე, წარამარა ავადმყოფობა, მწუხარება, ცრემლები, უკიდურესი ხელმოკლეობა, განკიცხვა, დევნა, სირცხვილი, შეურაცხყოფა, ეღონობისაგან გაბოროტება, უმწეობა და გაუთავებელი ტანჯვა-წამება... ოჰ, კმარა! ლამის მარტო ფიქრისაგან შეეიშალო ჭკუაზე...

ა. ს.

0

თბილისი, 2 იანვარი, 1881.

საყვარელო რიფსიმე!

ესეც ახალი წელი. მოვიდა და ყოველ ადამიანს ის საჩუქარი მოუტანა. რაც აქამდე ჰქონდა: ბედნიერთ — ახალი ბედნიერება, გახარებულთ— ახალი სიხარული, გაღიმებულებს—ახალი ღიმილი, უბედურთ და გაწამებულთ კი — ახალი უბედურებანი და წამებანი, ცრემლმდინარეთ — ახალი ცრემლები... თვითეული ღებულობს იმას, რაც ბედმა შუბლზე დააწერა. ასე ყოფილა ყოველ ახალ წელს, ქვეყნის დასაბამიდან, და ასევე იქნება მუდამ. დაუდგრომელი დრო-ჟამი თავისი მარადიული წრიული მოძრაობისას მხოლოდ იმეორებს იძ კა-

ნონებს, ერთ საერთო სახელს რომ ეძახიან — ბედისწერა. მიუხედავად ამისა, ადამიანები ახალ-ახალი იმედებით მოელიან ახალ წელს. ბედნიერნი უკეთეს ოქროს ხანაზე ოცნებობენ, უბედურნი — სულ რამდენიმე მზიან დღეზე. ბედნიერნო, მიიღეთ კუთვნილი! უბედურნო, გაუფრთხილდით მონაპოვარს! — თვითეულს თავისი ხვედრი! — ზარზეიმით გაჰკივის ულმობელი ბედისწერა და უდარდელი ახალი წლის გვერდით სამყაროს ერთი კუთხიდან მეორეში დაჰქრის.

ჩვენც მივიღეთ კუთვნილი, ე. ი. ახალი მწუხარება, ახალი ცრეძლები, ახალი ტანჯვა-წამება!.. ოჰ, ნეტავი შემეძლოს გულმშვიდად და აუღელვებლად ვუყურო უსირცხვილო ახალი წლის ღიმილს! ანდა ძალა შემწევდეს აღვკვეთო ჩემს გულში მისი ხელის ფათური! — მაშინ შეურაცხყოფილის მედიდურობით შევხედავდი ლირფ სახეში, გულგრილად პირს ვიბრუნებდი მისგან, ყოველ ტანჯვას გულის სიღრმეში ჩავიმარხავდი და გმირულად ავიტანდი მისგან მოყენებულ ტკივილებს. მაგრამ ადამიანთა სულიერი სამყარო უძლურია გრძნობების მოთოკვაში, ისინი ცოცხლობენ ისე, როგორც ბუნების დამოუკიდებელი კანონები კარნახობენ.

ოჰ, უბედურო ადამიანო, რა ცოდვები მიგიძღვის?

გუშინ, ახალი წლის პირველ დღეს, დილიდანვე ოთახში ჩავიკეტე და გადავწყვიტე გარეთ არ გამოვსულიყავი. კარზე მომდგარმა ახალმა წელმა იმდენი შხამი ჩამაწვეთა გულში, რომ სრულიად არ ვიყავი განწყობილი ვინმეს შევხვედროდი, — არც მამას, არც დედას, არც ძმებს; მინდოდა მარტოდმარტო ვყოფილიყავი ჩემ თავთან, მინდოდა ყველაფერი და ყველა დამევიწყებინა... ნეტავი რა უნდა ჩემგან ახალ წელს. მე ხომ მისგან არაფერს მოვითხოვ? — ვფიქრობდი მე, და მართლაც, დანამდვილებით რომ მცოდნოდა ახალი წელი იოლად დაკარგულ ოქროს ხანას დამიბრუნებდა, მაინც უარს ვიტყოდი და თავს ბედნიერად ჩავთვლიდი თუ ისე ჩამივლიდა გვერდით, როგორც ამ დღეს დედამიწაზე ათასობით მიცვალებულთ ჩაუვლიდა. მხოლოდ ეს ქია, ამ წუთებში, იქნებ არ დაიჯერო, დაო, მაგრამ თავს უბედურად აღარ ვთვლიდი. ამის მიზეზი ჩვენი მეტისმეტი უბედურება იყო. თუ ახალი წლისადმი ჩემს გულში ჩასახული დაუოკებელი სიძულვილი — არ ვიცი, მაგრამ რომ უწინდებურად არ ვიტანჯებოდი, ამაში ღრმად დარწმუნებული ვარ. რაღაც ძალამ შემბოჭა, კეთილშობილური სიამაყით ამავსო და ისეთი გულგრილი გამხადა ყველაფრისადმი, თითქოს

ვილაცას დიდი შეურაცხყოფა მოეყენებინა, რომლის მიტევება არასოდეს არ შემეძლო. მე ვამაყობდი ჩემი მდგომარეობით და ახლაც ვამაყობ, რომ დაუძლეველი სიძულვილით ვიყავი განწყობილი მთელი გარემომცველი სამყაროსადმი.

ძალიან დაღვრემილი დღე იყო. ცაზე ისეთი მძიმე, ნაცრისფერი ნისლი გაწოლილიყო, რომელიც ადამიანს სიზარმაცესა და ძილსა ჰგვრის. განუწყვეტლივ თოვდა. თოვლის ფანტელები უთვალავ ბუზებივით ირეოდნენ ჰაერში, გუნდგუნდად ტრიალებდნენ და, თითქოს თავიანთი ბედით კმაყოფილნი არიანო, ეფინებოდნენ მიწას. ქარის ოდნავ ამოსუნთქვაზე ფიფქები და ფანტელები ჯგროდ ეხეთქებოდნენ ფანჯრის მინებს და ყრუ შრიალი ისმოდა. ოთახში ციოდა, ღუმელს მარტო მამისა და გრიგორის ოთახებში ვანთებთ. შალში გავეხვიე და დოსტოევსკის წიგნი ავიღე, თუმცა წაკითხვის არავითარი ხალისი არა მქონდა. მინდოდა როგორმე თავი შემექცია; ეს აუტანელი დღე რომ ჩამეკლა, ამისათვის მზად ვიყავი ყველაფერი გამეკეთებინა. დოსტოევსკი არასოდეს არ მიყვარდა. წინათ რამდენჯერმე ვცადე წამეკითხა, მაგრამ კითხვას დავიწყებდი თუ არა, მაშინვე მომბეზრდებოდა ხოლმე და გვერდზე მოვისროდი. ამჯერად კი, მეც არ ვიცი რატომ, გამიტაცა, მართალია, პირველად მექანიკურად ვკითხულობდი და წაკითხულიც თითქმის არ მესმოდა, მაგრამ შემდეგ თანდათან დავძაბე გულისყური და ისე გულმოდგინედ განვაგრძე კითხვა, რომ ბოლოს მთლიანად ჩამითრია. არ მახსოვს, რამდენ ხანს ვკითხულობდი, უცებ ჩემი ყურადღება კარის ჭრიალმა მიიპყრო. შემოვიდა დედაჩემი. იგი ახლაც ისეთი იყო, როგორსაც ვხედავდი ყოველდღე — ისევ ისეთი ფეხაკრეფით სიარული, მექანიკური მოძრაობა, ისეთივე უსიცოცხლო გამომეტყველება. ამჟამად მხოლოდ თვალები ჰქონდა დიდრონი, თითქოს უფრო დამსხვილებოდა, და ჩვეულებრივზე უფრო ფერმკრთალი იყო. ყოველ ახალ წლის დღეს, როგორც წესი, დედას ვეახლებოდი ხოლმე მისალოცად, მაგრამ ამჯერად, ამ ჩვეულებას რომ ვუღალატე და არ ვეახლე, პირველი თვითონ მოსულიყო. შევხედე თუ არა სახეზე, მაშინვე მივხვდი, რომ ჩემი ვარაუდი სწორი იყო. მომიახლოვდა.

— გილოცავ ახალ წელს, ჩემო გოგონა, — აცახცახებული ხმით წარმოთქვა მან, მომეხვია და შუბლზე მაკოცა.

იმავე წუთს, არ ვიცი, უეცრად რა დამემართა, მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ ვიგრძენი, რომ დედაჩემს მაგრად ვეხვეოდი წელზე, სახე ჩარ-

გული მქონდა მის მკერდში და მწარე, აუტანელი ცრემლები თითქმის მახრჩობდნენ. სად გაქრა ჩემი გულგრილობის, განურჩევლობის, გაბოროტების და სიძულვილის გრძნობა, დედის შემოსვლამდე რომ მქონდა? — ნასახიც კი აღარ იყო დარჩენილი. ამის ნაცვლად ჩემში უწინდელმა სევდამ იფეთქა, თანაც ისე ძალუმად, რომ უჩვეულოდ ამიტირდა გული.

დედაჩემს გულში ჩაეხუტებინა ჩემი თავი, ხელებს მითათუნებდა სახეზე, ვგრძნობდი, ისიც ქვითინებდა და მოფერებით მკოცნიდა თმაზე. ბოლოს, როგორც იქნა, ტირილი შეეიკავე. თავი ავიღე მისი მკერდიდან და სახეში შევხედე. მანაც ასწია თავი.

— დამშვიდებული გული ისევ რად ამიფორიაქე? — მივმართე უნებური საყვედურის კილოთი და ვიგრძენი, რომ ჩემი ხმა ისე არ ქღერდა, როგორც წინათ, როცა მასთან ვლაპარაკობდი ხოლმე. აშკარად ჩანდა ჰიმიხვდა, ამით რისი თქმა მინდოდა, ნელა, ძალიან წელა ამოიოხრა, ისედაც დაძაბული წუთის კიდეკ უფრო დამუხტვას თავი აარიდა და დუმილი არჩია. მხოლოდ ეს მკითხა:

— ამ ცივ ოთახში რად ზიხარ, ხომ შეიძლება გაცივდე?

— ასე გადავწყვიტე, დღეს ამ ოთახიდან არ მინდა გამოვიდე, — უხეშად მივუგე, თუმცა თავადაც არ ვიცი, დედას რატომ მოვექეცი ასე, და კვლავ დოსტოევსკი ავიღე ხელში.

— მე რა დაგიშავე, რომ ჩემზედ ხარ გულმოსული, ანა? — ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ ისეთი სევდიანი და უდანაშაულო ხმით შემეკითხა, რომ გული თითქოს ათას ნაწილად დამიგლიჯეს.

— ან მე რა ბრალი მიმიძღვის შენს წინაშე, რომ ასე მტანჯავ? — შევკივლე, წიგნი მოვისროლე, სახეზე ხელები ავიფარე და გულამოსკვნით ავტირდი.

— თუ ასეა, წავალ, — თითქოს ბოდიშს იხდისო, თქვა მან და კარისაკენ გასწია.

— შენ ვერ გამიგე, დედა! — მივაძახე მე და სინანულისა და აუტანელი ტკივილისაგან გული შემეკუმშა. — შენზე როდი ვარ გაბრაზებული... შენ რა შუაში ხარ, ჩემო ტკბილო დედა?.. მე ჩემს თავზე ვარ გაბრაზებული, მხოლოდ ჩემს თავზე... ჩემს სისულელეებზე, ჩემს ხასიათზე, ჩემს ფიქრებზე, ჩემს ტანჯვა-წამებაზე.

— ანა, ჩემო ძვირფასო, —თაეის ნაზი, სევდიანი, ალერსიანი ხმით თქვა დედამ, — თუ შენი თავი არ გებრალება, მე მაინც შემიცოდე.

ჯანა ჩვენი მძიმე ცხოვრება არა კმარა, რომ ახალი ტანჯვა-წამება არ მომაყენო? ხომ ხედავ, ამ რამდენიმე თვეში რას დავემსგავსე...

— მეტს აღარ ვიზამ, ჩემო ძვირფასო დედა, მაპატიე, — შევძახე და სიყვარულის ნიშნად კისერზე მოვეხვიე.

ამ წუთას რას არ ჩავიდენდი, რა მსხვერპლს არ გავიღებდი, ოღონდ დამერწმუნებინა დედა, რომ მისი ყოველი ამოოხვრა ტანჯვა-წამებას მიორკეცებდა.

მან ალერსიანად გადამისვა ხელი თავზე და მითხრა:

— ანჯან, ფიქრებს თავს ნუ დააჩაგვრინებ. მარტოობას ფიანდაზად ნუ გაეშლები. რად ჩაკეტილხარ ამ დღეს ოთახში და გარეთ არ გამოდიხარ?.. უფრო კარგი არ იქნება, გრიგორისთან შეიარო, ელაპარაკო, ანდა, თუ კითხვა გინდა, იმასთან წაიკითხო, რომ ისიც გაერთოს! საბრალო, სულ მარტოდ წევს.

— წადი, დედა, მეც მალე მოვალ, — აჩქარებით ვუთხარი და დავუმატე: — ახლავე მოვალ.

დედა გავიდა.

მაშინვე თვალები ჩამოვიბანე და დავჯექი, რომ გული ცოტა დამეშშვიდებინა; არ მინდოდა გრიგორის შეემჩნია აღელვებისა და ცრემლების კვალი. ამისთანა შემთხვევების დროს ყოველთვის მკიცხავდა. როცა საკმარისად დავიმშვიდე გული, მასთან წავედი. ჩაცმული იყო, საწოლზე იდაყვით ბალიშს დაყრდნობოდა და ხელი თავქვეშ ამოედო. მე რომ შევედი, გასწორდა და დაჟინებით მომაჩერდა თვალებში. მომეჩვენა, თითქოს მაშინვე ამოიცნო ჩემი სულიერი მდგომარეობა, მიუხედავად ამისა, მაინც არაფერი მითხრა, თუმცა მარტო შემოხედვამ უკვე ისევე შემაშფოთა, როგორც იმ დროს, როცა მკიცხავდა ხოლმე. მივესალმე და მის ახლოს სკამზე ჩამოვჯექი.

— გილოცავ ახალ წელს, დაო! — ჩემს სალამზე პასუხის გაცემას თავი აარიდა და ეს სიტყვები ისეთი ტონით წარმოთქვა, თითქოს ამბობდა, სალამზე უწინ ეს უნდა გეთქვა და ახალი წელი ჯერ შენ უნდა მოგელოცაო.

— ეჰ, მოგცლია ერთი! — სევდიანად მივუგე. — ნეტავი რას ხედავთ ამ დაწყევლილ ახალ წელში, ყველა რომ მილოცავთ?

— გილოცავ ახალ წელს, დაო! — უწინდელზე უფრო მტკიცედ გაიმეორა მან, გაიღიმა და ხელი გამომიწოდა.

მე ჩემი ხელი შევაგებე, ჩამომართვა. ხელზე მაკოცა და ისევ ბალიშზე მიესვენა.

— ახალ წელს შენთვის რა დაუშავებია, ანა, ასე რომ გძულს? — შემეკითხა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ. თან დაჟინებით მიყურებდა თვალებში.

დავიბენი. არ ვიცოდი რა მეპასუხა. მართლაც და, რად მძულდა ახალი წელი, თავადაც არ მესმოდა.

— იმიტომ, რომ სიცრუეა, — უეცრად მექანიკურად წარმოვთქვი, რაც ენაზე მომადგა.

— რომელია სიცრუე: ახალი წელი თუ მილოცვა?

— მილოცვა.

გაიღიმა და ამ ღიმილით თითქოს მითხრა: რად ამბობ იმას, რაც არ გინდა თქვაო?

— განა ისეთივე სიცრუე არ იყო, — დასძინა მან, — ახლახანს რომ მოვესალმე? რა განსხვავებაა ამ შენს სალამსა და საახალწლო მილოცვას შორის?

მე პასუხი არ გავეცი და თვალები დავხარე, ამწუთას რაღაც უცნაურად მიყურებდა.

— იცი რას გეტყვი, ანა, — ბოლოს დაილაპარაკა გრიგორმა ისეთ იდუმალ კილოზე, რაც პირველად მესმოდა მისგან. — ამ ბოლო დროს გამჩნევ, ის აღარა ხარ, რაც წინათ იყავი.

ცნობისმოყვარეობით და ამასთან ენით გამოუთქმელი შიშით შევხედე. „რა უნდა ამით მითხრას?“ — შევეკითხე ჩემს თავს გუნებაში. იგი ძალიან სერიოზულად, თითქმის ცოტა მრისხანედ, დაჟინებით მომჩერებოდა.

— დიახ, გამჩნევ, ის აღარა ხარ, რაც წინათ იყავი, — გაიმეორა მან. — და ამ საკითხზე მინდა სერიოზულად მოგელაპარაკო. უწინ მუდამ მხიარულად და უდარდელად ატარებდი დროს, იღიმებოდი, კისკისებდი. არასოდეს მინახავხარ მოწყენილი, ან რაიმე საქმის გამო დაფიქრებული. თუმცა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ყოველთვის იყო ხოლმე ისეთი უსიამოვნო მოვლენა, რომელსაც არ შეიძლება თვითეული ჩვენგანისათვის გული არ დაეწყვიტა და სერიოზულად არ ჩაეფიქრებინა. ერთი სიტყვით; წინათ შენ სრულიად ბედნიერად გრძნობდი თავს... ახლა კი მუდამ დაღვრემილი ხარ, სულ მომტირალი, ჩაფიქრებული. რა ხანია, შენს სახეზე ღიმილის ნასახიც აღარ შემინიშნავს...

ეს ყველაფერი, რასაკვირველია, ასეც უნდა ყოფილიყო და არა სხვაგვარად, რადგან საკმაო სერიოზული მიზეზებია, რომელთაც, ბუნებრივია, ასე უნდა გამოეცვალე. ამიტომ, არც არაფერს გეუბნები, მაგრამ დიდი სისულელე იქნებოდა, მარტო ეს მქონოდა სათქმელი — წინათ ასეთი იყავი და ახლა ისეთი ხარ-მეთქი?... არა, მე სხვა რამ მინდა გითხრა, ანა, სხვა რამ, და თანაც — ხაზგასმით, რომ ამ უკანასკნელ დროს, როგორც შემინიშნავს, ძალიან ბევრს ფიქრობ...

— რაზე? — ჩემდა უნებურად, მექანიკურად შევეკითხე და თვალები ისევ დავხარე.

— იმაზე, — ყოველი ბგერის დამარცვლით მიპასუხა მან, — რასაც ადამიანის ჭკუა ვერ სწვდება და არც ოდესმე მისწვდება...

მთელი სხეულით შევკრთი, ისე, თითქოს რაღაც დანაშაული ჩამედინა და ახლა გამომზეურებულიყო. მან, როგორც შევნიშნე, შემატყო, გასწორდა საწოლზე, ჩემსკენ გადმოიხარა და დინჯად, თითქოს ფრთხილობსო, ჩემი ხელი აიღო.

— ძვირფასო დაო! — ჩამჩურჩულა საზეიმო ხმით, რომელშიც რაღაცნაირი მუდარაც გაისმოდა, — დაე შენს უმანკო ბავშვურ გონებას ნურასდროს გაეკარება ბუნებისა და ადამიანთა ცხოვრების მამოძრავებელი ძირითადი კანონებისადმი ეჭვი. მას არც ერთ არსებით საკითხზე ყოფნა-არყოფნისა სრულყოფილი პასუხი არ გაუცია და მხოლოდ ბოროტმოქმედების გზაზე აყენებს ადამიანებს. დაე შენმა უდანაშაულო გულმა მუდამ წმინდად და ურყევად შეინახოს რწმენა, როგორც ციური ნათელი. რწმენა — იმედია, ხოლო იმედი — სიცოცხლეა, იცი თუ არა, ჯერ რა ახალგაზრდა ხარ და მაგ ასაკში რაოდენ წმიდა უნდა ჰქონდეს ადამიანს გული!.. ლოცულობ ხოლმე? — თავი უფრო მომიახლოვა სახესთან და ხმადაბლა შემეკითხა უეცრად.

— არა, — უნებურად მივუგე.

მან სევდიანად გააქნია თავი და მცირე ხნის დუმილის შემდეგ ახსნა-განმარტება დამიწყო, რა არის ლოცვა და რა მნიშვნელობა აქვს მას ადამიანის სულიერი და ზნეობრივი ნუგეშისცემისათვის.—იგი ისე ენამზეობდა, ისე დამაჯერებლად, მშვიდად მიხსნიდა, რომ გატაცებით ვუსმენდი; გაოცებული ვიყავი, — ამისთანა განყენებულ იდეებზე ესოდენ ჭაბუკი კაცი რა თავისუფლად მსჯელობს-მითქი. მაგრამ მან შეძლო ჩემი დარწმუნება და გუშინდლიდან ისე ვგრძნობ თავს, თითქოს ზურგიდან მძიმე ტვირთი ჩამოეხსნათ.

შენი ანა საროიანი.

ბ

თბილისი, 10 თებერვალი, 1881.

საყვარელო რიფსიმე!

შენც იმაში მადანაშაულებ და მისაყვედურებ, რაშიც გრიგორი. მისი სიტყვებია — „ბევრს ფიქრობ". შენ კი უფრო მკაცრად მაკრიტიკებ — ჩემს მოქმედებას „ათეისტურს" უწოდებ, რაც ადამიანთა ყველაზე უწმინდესი და უმაღლესი რწმენის ფეხით გათელვას ნიშნავს. და იქვე გოეთეს ცნობილი სიტყვები მოგყავს: „მოაზროვნე ადამიანის ბედნიერება ის არის, რომ რაზედაც ხელი მიუწვდება, აკრიტიკებს, ხოლო რაც მისთვის მიუწვდომელია, იმას დამშვიდებული სინდისით თაყვანს სცემს". წარმოდგენილი მაქვს, როგორი იქნებოდა ჩემი მდგომარეობა, საშუალო საუკუნეებში რომ მეცხოვრა: ალბათ, მეც კოცონზე დამწვავდნენ ბატივით. ღმერთმა დამიფაროს ამეებისაგან! საყვარელო დაო, რწყილს აქლემად ნუ აქცევ. რაღა ჭკუა დამრჩა, რომ ჩემი ყოველი საქციელი ავწონ-დავწონო? ჩემს მდგომარეობაში რატომ არ შედიხარ და მხოლოდ მაკრიტიკებ? ბედისწერამ მთელ ჩემს სულიერ სამყაროს თავზარი დასცა; იგი დაკოდილია, გამძვინვარებულია და უზომოდ გაღიზიანებული, — ნადირივით ღობე-ყორეს ედება. ფრიად გულგატეხილი ვარ; მე პირისპირ ვდგავარ საშინელი სინამდვილის წინაშე, რომელზედაც წინათ წარმოდგენაც არა მქონდა. ბედისწერამ ძალიან შეუბრალებლად დამწიხლა; ესოდენ მიამიტი და მოუმზადებელი, სრულიად მოულოდნელად ამ საშინელი სინამდვილის წინაშე დამაყენა და მეუბნება: ურყევად იდექი!.. ოჰ, მე კი, მე უბედურს, რა მაქვს მისგან შიღებული, რომ გავცე?!.

ჩვენი მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. ორიოდე სიტყვით აღვწერ ჩვენს ყოფა-ცხოვრებას და შენთვის ყველაფერი ნათელი იქნება. ახლა ჩვენს სახლში რომ შემოხვიდე, დაიარო ოთახები და გითხრან, აქ საროიანები ცხოვრობენო, არც თვალებს დაუჯერებ, არც საკუთარ ყურებს, ყველაფერი, რასაც ნახავ, უფრო სასაცილოა, ვიდრე სამწუხარო, და ხუმრობა გეგონება. ამჯერად აღარ ვავიმეორებ ჩვენი სახლის სავდისმომგვრელი გარეგნობისა და მოუწყობლობის დახასიათებას (ამის შესახებ მგონი მოგწერე) და შიგნით შევიხედოთ: ჩვენს ოთახებში ახლა უწინდელი მდიდრული ცხოვრების კვალსაც კი ვეღარ ნახავ. პიანინო, ჩემი საყვარელი პიანინოთი მოყოლებული და

უკანასკნელი საკარძლითა და ფანჯრის ფარდით გათავებული — ყველაფერი აუქციონში გაიყიდა, მზარეულზე, მოახლესა და მსახურებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ერთი ხელზე ძოსამსახურეც კი არა გვყავს, რომ საყიდლებისათვის ბაზარში გავგზავნოთ. სმა-ჭამა იქნება თუ ჩაცმა-დახურვა — ყველაფერში მკაცრ ხელმომჭირნეობას ვიჩენთ; ჩვენდა უნებურად იძულებულნი ვართ ასე მოვიქცეთ — წელი არ მოგვდევს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ რაოდენ მძიმედ განვიცდით ამ მოჭირნეობას, ამას შენ თვითონაც კარგად წარმოიდგენ!.. უკვე დავიწყეთ სახლში დარჩენილი ოქროულობისა და ვერცხლეულის გაყიდვა. ყველაზე მეტად ჩვენი ოჯახის დამაქცევლები ექიმები არიან და წამლები, ნეტავი რაიმე სარგებლობა მაინც მოჰქონდეთ, ან მამაჩემისა, და ან ძმისათვის! აგერ უკვე სრული ოთხი თვეა, ექიმები გულმოდგინედ დაიარებიან ჩვენთან, მიუხედავად ამისა, მამაჩემის მდგომარეობა ისევ უცვლელია, ხოლო გრიგორის ჯანმრთელობა, პირიქით, დღითი დღე უარესდება.

ჰო, მართლა, ექიმებზე აი კიდევ რა გამახსენდა (ამის შესახებ მგონი შენთვისაც არ მომიწერია), მამაჩემის ექიმმა (შენ უნდა იცნობდე იმ ბატონს), ახლახანს ცალკე გამიხმო და მითხრა: მამაშენს ამიერიდან აღარაფერი ეშველება, მეც ტყუილად მაწვალებთ (ნეტა რასა წვალობს!) და თქვენც ამაოდ ირჯებითო. „თუ გინდათ,— განაგრძო მან,— ისეთ წამალს მივცემ, საბოლოოდ გადაწყდება მისი ბედიო". იცი, საყვარელო დაო, მაგითი რისი თქმა უნდოდა! — აი ამისა: მამათქვენის სიცოცხლე ჩემს ხელშია, და თუ გინდათ მოვკლავო... განცვიფრებისაგან, შიშისა და მრისხანებისაგან არ ვიცოდი რა მეპასუხნა. ამ ამბებისადმი ჩემს გულგრილ დამოკიდებულებას უცბად ბოლო მოეღო, მინდოდა სახეში გამერტყა, მოვემზადე კიდეც ამისათვის, მაგრამ ექიმმა დროზე აუღო ალღო მდგომარეობას და მაშინვე გამშორდა. მხოლოდ ისღა მოვასწარი, რომ ყვირილით უკან მივადევნე — ამიერიდან ჩვენს სახლში ფეხი არ დადგა-მეთქი. როცა წავიდა, მწარედ ავქვითინდი, რადგან მამის მიმართ ჩემი ყველაზე უწმინდესი და უმწიკვლო გრძნობები წარმოუდგენლად შეურაცხყოფილი იყო. მას უნდოდა ჩემი თანხმობა მიეღო და ღვიძლი მამის მკვლელობაში, მე, ღვიძლი შვილი, თამონაწილედ გავეხადე... ამის მარტო გაფიქრებაც კი თმებს ყალყზე მიყენებს, ხოლო, როცა გამახსენდება მისი სიტყვები, შიშით ისე ვცახცახებ, თითქოს ნამდვილად ჩამედინოს დანაშაული... ღმერთო ჩემო,

ნუთუ ექიმებს ასე უდარდელად შეუძლიათ თავიანთი ავადმყოფების სიცოცხლესთან თამაში? ნუთუ მათ დამშვიდებული სინდისით, ჯოჯოხეთური ძრწოლვის გარეშე შეუძლიათ ასეთი რამ იფიქრონ? ვისი პირდაპირი მოწოდებაც ავადმყოფების სიცოცხლეზე მზრუნველობაა, ვისაც ეს ვალდებულება ნებაყოფლობით უკისრია, ისინი, პირიქით, მზად არიან სიცოცხლის დარჩენილი დღეებიც წაართვან, მხოლოდ იმიტომ, რომ თავის საქმისა არაფერი გაეგებათ, და თუმცა ამას აღიარებენ, მაინც არ იღებენ ხელს მკურნალობაზე, რათა თავი არ შეირცხვინონ... მე მგონი დამთხვეულ კაცისმკვლელებს უფრო მეტი სიბრალული ექნებათ, ვიდრე ამათ.

მეორე ორი ძმა — არშაკი და გარეგინი — ის არ კმარა, რომ უსაქმოდ არიან, ამასთან მძიმე ტვირთად გვაწევს კისერზე. მთელი დღე სახლში ყრიან, და მუქთად ჭამენ და სვამენ. არშაკს ლოთობის გამო სამსახურში აღარსად ღებულობენ, ხოლო გარეგინს, უბრალოდ, მუშაობა არ უნდა. მიუხედავად ჩვენი რჩევა-დარიგებისა, საყვედურებისა და გაკიცხვისა, არც არშაკი იღებს ხელს ლოთობაზე და არც გარეგინი — სიზარმაცეზე. ოჰ, მამა! მამა! რამდენი ტანჯვა-წამება მოგვიტანე!.. ჯანმრთელად როცა იყო, ყველას გვიყვარდა და გვეშინოდა მისი. საჭიროების შემთხვევაში თავს დაანებებდა ხოლმე ოხუნჯობას, სერიოზულად გველაპარაკებოდა, ჭკუას გვარიგებდა. ჩვენც ვცდილობდით ისე მოვქცეულიყავით, რომ არ გავეკიცხეთ; გაბრაზების წუთებში ძალიან დაუნდობელი იყო. როგორ გავბედავდით საპატიო მიზეზის გარეშე მე, გრიგორი, ან გარეგინი სკოლის გაცდენას? ანდა არშაკი საღილობის დროს, მამაჩემის თანდასწრებით, ზედმეტი ჭიქა ღვინის დალევას?! ახლა? ახლა აღარ არის მამა, აღარ ისმის მისი ოხუნჯობა, მისი რჩევა-დარიგებანი და ამიერიდან ვეღარც გავიგონებთ, რადგან ის, რაც იყო, არასოდეს არ იქნება, ხოლო წარსულის დაბრუნება შეუძლებელია... ვაი იმას, ვინც უპატრონოდ დარჩება.

ძმების უსაქმოდ ყოფნას, ამ გაჭირვების დროს, მტკივნეულად გაწიცდიდა განსაკუთრებით გრიგორი. არ დარჩენილა გასაკიცხი და საყვედურო სიტყვები, რომ მათ არ ვუთხარით, მაგრამ ისინი აინუნშიც არ აგდებენ არც ჩემს, არც გრიგორის და არც დედაჩემის საყვედურებს. თხოვნა-მუდარას, ხელს არ იღებენ უსაქმოდ ხეტიალზე. გუშინ გრიგორის ოთახში შევიარე; იქ არ იყო, მაგრამ მეზობელი ოთახიდან მომესმა მისი ხმა — არშაკსა და გარეგინს ელაპარაკებოდა.

— ... როგორ არ გრცხვენიათ? — ეუბნებოდა, — ასე როდემდე უნდა იხეტიალოთ?.. ხომ ხედავთ, ჩვენი მდგომარეობა დღითი დღე უარესდება, მალე იმასაც მოვესწრებით, რომ გამხმარი პური სანატრელი გვექნება... თქვენ თავზე მაინც იფიქრეთ, თქვენი კუჭისთვის მაინც იმუშავეთ... ვისი, ან რისი იმედი გაქვთ?

— ნუ გეშინია, ამქვეყნად შიმშილისაგან არავინ მომკვდარა. — მიუგო უფროსმა ძმამ და გაბმით დაამთქნარა.

— ნუთუ ისე ხარ სირცხვილისაგან გარეცხილი, — შენიშნა გრიგორმა, — რომ შეგიძლია მოწყალება სთხოვო ნაცნობებს, მეგობრებს, თუგინდ სრულიად უცნობ ადამიანებს?.. ჰა?

— აბა, აბა, კიდევ დიდხანს უნდა წაიღო ტვინი! — ბრაზიანად დაუყვირა არშაკმა. — გული თუ ძალიან გეწვის მშობლებისა და დისათვის, შენ თვითონ იმუშავე, არავის დაუშლია.

ცოტა ხნით სიჩუმე გამეფდა. შემდეგ მოისმა გრიგორის მშრალი ხველა.

— ისიც კი არ გესმის, ჯანმრთელობის მხრივ სულ ცოტა უკეთ რომ ვიყო, საქმეს არასოდეს იქამდე არ მივიყვანდი, ეს მოვალეობა შენ შეგეხსენებინა. — მშვიდად მიუგო გრიგორმა, როცა ხველა შეწყვიტა. — მაგრამ, სამწუხაროდ, დიახ, სამწუხაროდ, იძულებული ვარ მე მოვისმინო ეგ სიტყვები, რაგინდ მწარეც არ უნდა იყოს...

— დაე შენმა დამ იმუშაოს...

— შენ კი იმის ხარჯზე იცხოვრებ? — მრისხანედ შესძახა გრიგორმა. ეტყობა, არ მოელოდა თუ არშაკი ამას იტყოდა.

მცირე დუმილის შემდეგ გავიგონე — გაბრაზებული გრიგორი როგორ გამოვიდა ძმების ოთახიდან და კარი მაგრად გამოიხურა. მე გაქვავებული ვიდექი შუა ოთახში, არ ვიცოდი, რა ხდებოდა ჩემში. მხოლოდ უფროსი ძმის სიტყვები — „დაე შენმა დამ იმუშაოს“ — მიტრიალებდა თავში და მოსვენებას მიკარგავდა...

— ანა? — გაოცებითა და, ცოტა არ იყოს, შიშით აღმოხდა, მე რომ დამინახა.

ჩანდა არ მოელოდა, იქ თუ ვიქნებოდი. მე ვერც ხმის ამოღება შევძელი, ვერც ადგილიდან დაძვრა.

გრიგორი ნელ-ნელა მომიახლოვდა, ნაზად მომხვია ხელი, თანაგრძნობით ჩამხედა თვალებში და აკანკალებული ხმით მითხრა:

— საყვარელო დაო, ხედავ! ხედავ რაოდენ უსულგულონი არიან.

— რას იზამ! მე ვიმუშავებ. — გულგრილად მივუგე.

მის სახეზე უსაზღვრო ტანჯვა აღიბეჭდა.

— ანა, ჩემო ძვირფასო, — ჩამჩურჩულა და მომეჩვენა, ხმა თითქოს დაურბილდა, თვალები ცრემლებით აევსო; დაიხარა და ხელებზე კოცნა დამიწყო. მე ისევ გაქვავებული ვიდექი იმავე მდგომარეობაში, არაფერს ვგრძნობდი. უეცრად ხელები გამიშვა და საწოლისაკენ გასწია.

— ოჰ, რადა ვარ ავად?! — აღმოხდა, დაეცა ლოგინზე და თავი ბალიშში ჩარგო.

ისე მწარედ და საბრალოდ გოდებდა, რომ მისმა ქვითინმა თავზარი დამცა, გული ჩამწყვიტა. მივუახლოვდი. ტირილისაგან მთელი სხეულით ცახცახებდა. პირველად ვხედავდი ასეთ მდგომარეობაში; ის ცრემლად იღვრებოდა, ამ ქვითინში უკიდურესი სასოწარკვეთილება იხატებოდა. წინათ კი არასოდეს არ შემინიშნავს მისთვის უიმედობა. არც ცრემლი გაკარებია თვალებზე. პირიქით, მუდამ გვამხნევებდა, გვკიცხავდა, როგორც კი შეგვამჩნევდა სულიერ დაძაბუნებას. ერთი სიტყვით, ასეთ წუთებში ყოველთვის ახდენდა ჩვენზე გავლენას, და მომავლის რწმენით გვავსებდა. ახლა კი, ახლა?..

ამ მოთქმა-გოდებაში აშკარად ჩანდა რა ზომამდე დაძაბუნებული იყო მისი ძლიერი ნებისყოფა. „ოჰ, რადა ვარ ავად?“ — აღმოხდა, როცა ვუთხარი, მზადა ვარ ვიმუშაო-მეთქი. ეს სიტყვები არასოდეს დავამიწყდება; იგი ისეთი ტანჯვითა და ღრმა სულიერი განცდით იყო ნათქვამი, რომ ვიგრძენი, რაოდენ ღრმად და გულწრფელად ვუყვარდი მას...

ყოველნაირად შეეცადე დამემშვიდებინა, მაგრამ იმდენად იყო აღელვებული, რომ ლაპარაკის ძალა აღარ შესწევდა. მაშინ გადავწყვიტე, უკეთესია მარტო დარჩეს-მეთქი და ფრიად დამწუხრებული გარეთ გამოვედი. „დაე შენმა დამ იმუშაოს“... — ეს სიტყვები არ მშორდებოდა გონებიდან, მაგრამ ყველაზე მეტად ის მტანჯავდა, რომ ვიცოდი გრიგორის ესოდენი აღელვება უკვალოდ არ ჩაივლიდა, მის ჯანმრთელობას ავნებდა. სამწუხაროდ, ჩემი ვარაუდი გამართლდა — დღეს გრიგორი ძალიან შეუძლოდაა.

საყვარელო რიფსიმე, ამ გრძელ წერილებს შენზე ოცნების მწვავე სურვილი მაწერინებს, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ამ წერილებით გესაუბრები. გული პირთამდე ამევსო ნაღველით, და შენ თუ არა, აბა

სხვას ვის გავუზიარო დარდები?.. ოჰ, ნეტავი ახლა გვერდით მყავდე, ჩემო ერთადერთო ნუგეშისმცემელო! როგორ მხურვალედ ჩაგიკრავდი გატანჯულ მკერდში...

შენი ანა საროიანი.

ლ

ძვირფასო დაო.

ჩემი ძმა — გრიგორი გარდაიცვალა... ცრემლები მახრჩობს, მეტს ვერაფერს გწერ, ძალა არ შემწევს...

მ

თბილისი, 30 აპრილი, 1881.

მივიღე შენი წერილი, რომელშიც გულწრფელ თანაგრძნობას მიცხადებ და მამხნევებ. უსაზღვროდ მადლობელი ვარ, რომ გაიზიარე ჩემი მწუხარება. ახლა მე, ისე როგორც არასდროს, მწყურია გამხნევება, რადგან ვგრძნობ ამ უკანასკნელმა დარტყმამ მორალურად გამანადგურა. მე იმ მძიმედ დაჭრილ ადამიანს ვგავარ, რომელსაც უკანასკნელი საშინელი დარტყმა შიგ გულში აღემეს და ძირს დასცეს. მიუხედავად ამისა, მაინც ბედს არ ვემდური. ქება და დიდება იმას, ვინც განაგებს მოკვდავთა ბედისწერას. როცა ადამიანი ხედავს, როცა იგი გრძნობს, რომ უღონოა, უნებურად ქედს იხრის მასზე გაბატონებულ უმაღლეს მიუწვდომელ, თვითონ განგების მიერ დადგენილ კანონების წინაშე. ამჟამად მეც ასევე ვარ. დღემდე ამაოდ ვებრძოდი ბედისწერას, და კინაღამ ბრმასავით გადავიჩეხე დაბნეულობის ხახადაღებულ უფსკრულში. მერედა რა მოვიგე ამისგან? ის, რომ ტანჯვა-წამება გამიორკეცდა! ის, რომ ცოდვა ჩავიდინე და ბოლოს დავმარცხდი! დიახ, ამჟამად წამოჩოქებული ვარ და ამაყი თავის წამოწევას ვერასოდეს ვეღარ გავბედავ. მორჩა, გათავდა. დაე ამიერიდან რაც მოსახდენია, მოხდეს — ყველაფერთან შერიგებული ვარ. საყვარელო რიფსიმე, ვერ წარმოიდგენ, რაოდენ დამშვიდებული ვარ ამჟამად. მკერდი რომ გადამიხსნან და გული ამომაცალონ, ნახავენ, რომ იგი გაყინულია. ახლა თითქოს აღარ ვცოცხლობ, ამიტომ სრულიად აუღელვებლად შემიძლია დაწვრილებით აღვწერო ჩვენი ძმის სიცოცხლის უკანასკნელი წუთები

და მისი სიკვდილი. დიახ, უნდა აღვწერო. შენც ცოტაოდნად გამოიტირე — იგი უთუოდ ღირსია ამისა.

გარდაიცვალა ზუსტად ორი კვირის წინ, ამ თვის 16-ში, დაახლოებით საღამოს 5 საათზე. ის დღე კარგად მახსოვს. ადრეული გაზაფხული იდგა. მშვენიერი დღე იყო — ისე თბილოდა, რომ ფანჯრებიც კი გამოვაღეთ და ამ სახლში გადაბარგების დღიდან პირველად ვსუნთქავდით სუფთა ჰაერს. გრიგორი ფანჯარასთან იწვა, ორი დღის წინ გვთხოვა, საწოლი იქ გადაგვეტანა. უნდოდა უკანასკნელად დამტკბარიყო გაზაფხულის წარმტაცი დღეებით, ლურჯი, კამკამა ცის მზერით, მერცხლების ჭიკჭიკით, რომლებიც ეზოში გაბმულ თოკზე ჟივილ-ხივილით სხდებოდნენ და მერე ისევ მიფრინავდნენ. უკვე მეხუთე დღე იყო, საწოლიდან აღარ დგებოდა. სულის ამოხდომამდე რამდენიმე საათით ადრე, ისე კარგად გრძნობდა თავს, რომ ფიქრადაც არ მოგვსვლია, თუ ამ დღეს მოკვდებოდა. მაგრამ, ეტყობა, თვითონ ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა, ამიტომ დილით მთხოვა, მარტო არ დამტოვოო. ამ დღეს ჩვეულებრივზე უფრო ალერსიანი იყო როგორც ჩემს მიმართ, ისე დედისადმი, რომელიც ხან მამის ოთახში შევიდოდა, ხან მასთან. ლაპარაკითაც მეტს მელაპარაკა. დროდადრო თითქოს მხიარულადაც იყო, მერე კი ისევ ღრმა ფიქრებში იძირებოდა. ერთ ხანს დედას ხალისიანად ელაპარაკა, მაგრამ უეცრად გაჩუმდა, ფანჯრისკენ შებრუნდა და ფიქრებს მიეცა. არ მინდოდა ხელი შემეშალა, ფრთხილად დავიხარე, დავაცქერდი. ღმერთო ჩემო, როგორ გამოცვლოდა ჩემთვის ესოდენ ნაცნობი ქალური ნაზი სახე! ისე გამხდარი, ფერწასული მეჩვენა, თითქოს ძარღვებში ერთი წვეთი სისხლიც აღარ დარჩენოდა. პატარა, სწორი ცხვირი, რომელიც ყოველთვის ჰარმონიულად ერწყმოდა მისი მშვენიერი სახის სილამაზეს, თითქოს მეტისმეტად დაგრძელებოდა, ნესტოები ცხვირის ხრტილზე მიჰკვროდა. თვალები ღრმად ჩაცვივნოდა და გადიდებოდა, ხოლო ფართო შუბლი უფრო გაფართოებოდა. არ ვიცი, რა იყო მიზეზი, მაგრამ მეგონა, პირველად ვხედავდი ასე გამოცვლილს. იგი დიდხანს უძრავად იწვა იმავე მდგომარეობაში. რომელიღაც უცნობი გრძნობა არ მაძლევდა უფლებას ფიქრებიდან გამომეყვანა; მეჩვენებოდა, ეს ფიქრები მისთვის მეტად სანუკვარი იყო. ღრმად დამწუხრებული, ჩუმად დავცქეროდი სახეზე, რომ უეცრად ბაგეები შეარხია და ნელა, ძალიან ნელა, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, ამოიჩურჩულა:

— რა წარმტაცია გაზაფხული!.. მიყვარს სიცოცხლე, თუგინდ იგი უღიმღამო იყოს. სულ გინდა იცოცხლო, გინდა გიყვარდეს და...

გაჩუმდა. ნელ-ნელა ჩემსკენ გადმობრუნდა.

— მართალი მითხარი, დაო, ისევ ფიქრობ ხოლმე ძველებურად?

— არა, გრიგორი, ახლა მხოლოდ ვლოცულობ, — მივუგე გულწრფელად.

დავინახე, სახე როგორ გაუნათდა, ხელზე ხელი წამატანა და მომიჭირა.

— ილოცე, საყვარელო დაო! — დასძინა მან, თითქოს ძალა მოეცაო. — ილოცე, მხოლოდ ლოცვით შეგიძლია თავი გაარიდო სიცოცხლის მძიმე წუთებს... მერწმუნე, არასოდეს ინანებ, თუ ამ ჩემს გულწრფელ რჩევას არ დაივიწყებ. მართალია, ცხოვრებისეულ წარუმატებლობას ხშირად თან სდევს დაბნეულობა, მაგრამ ასეთ შემთხვევებშიც ადამიანს მუდამ უნდა ახსოვდეს, ვინ არის იგი და რას წარმოადგენს, რწმენა არ დაკარგოს, იმედი არ გაიწყვიტოს, და ლოცვაზე ხელი არ აიღოს; ბედისწერის წინააღმდეგ ამხედრება — ადამიანის მიერ გადადგმული ყველაზე სულელური ნაბიჯია... დამიჯერე, ცხოვრებისეულ წარუმატებლობაშიც და უბედურთა ტანჯვა-წამებაშიც არის ერთგვარი უზენაესი სულიერი სიტკბოება, ისევე, როგორც ჯანმრთელობაში, ბედნიერებაში, მხოლოდ ერთის პირობით, თუ არასოდეს დაკარგავს იმედს, რწმენას და არ დაივიწყებს ლოცვას... ეს მასწავლა ცხოვრებამ და ყოველგვარი ეჭვის გარეშე ირწმუნე შენც.

ისეთი მოკრძალებით ვუსმენდი, თითქოს ჩემ წინ ოცი წლის გამოუცდელი ახალგაზრდა კი არ იდგა, არამედ ცხოვრების ქარცეცხლში გამოვლილი პატივცემული მოხუცი, ზეციდან მიწაზე მოვლინებული წინასწარმეტყველი, რომლის ბაგეებით თვითონ მაცხოვარი ლაპარაკობდა... მაგრამ ამ დროს უეცრად რაღაცნაირმა შიშმა ამიტანა. „დღეს რა უცნაურად ლაპარაკობს“, — ამ კითხვამ უნებურად გამიელვა თავში. მით უმეტეს, რომ მართლაც სულ სხვანაირად ლაპარაკობდა, არა ისე, როგორც ამავე საკითხებზე სხვა დროს უსაუბრია. ხმა სევდიანი ჰქონდა, მაგრამ მქუხარე და უწმინდესი ზეშთაგონებით სავსე. გამომეტყველებაც სხვანაირი მისცემოდა. მისი მზერა ცეცხლოვანი იყო, თითქოს ამით უნდა თავის სიტყვებს მეტი დამაჯერებლობა მისცესო...

— გრიგორი, დღეს ასე უცნაურად რად ლაპარაკობ? — ვეღარ მოვითმინე და შევეკითხე.

— რად? — ალერსიანად გაიმეორა მან, თვალებში შემომხედა და უჩვეულოდ გაიღიმა. — იმიტომ, რომ... ვკვდები, — დაუმატა ისე უღონოდ, რომ უკანასკნელი ბგერები ძლივს გავიგონე. არ ვიცი, იმ წუთებში რა დამემართა, ისე მომეჩვენა, თითქოს აგერ-აგერ მშორდებოდა სამუდამოდ და ძმას მაგრად მოვეხვიე.

— გრიგორი, შენ, ალბათ, ხუმრობ, — ისე ჩავჩურჩულე, რომ თავად შემეშინდა ჩემი ხმისა.

კვლავ შემომხედა თვალებში და მე უმალ შევნიშნე, სახეზე უცბად როგორ ჩაუქრა ღიმილი და გამომეტყველება ისევ სევდიანი გაუხდა. არაფერი მიპასუხა, მხოლოდ დიდხანს მიყურა თვალებში და შემდეგ ფანჯრისკენ იბრუნა სახე. ახლა კი შიშით დაზაფრული დავცქეროდი. ერთი მხრივ, მინდოდა გავშორებოდი, მეორე მხრივ, არ მინდოდა მიმეტოვებინა...

აღარ მახსოვს, რა დრომ გაიარა, როცა ფანჯრისაკენ შებრუნებულმა ჩურჩულით თქვა:

— გახსოვს, დაო, მაშინ ძალიან პატარები ვიყავით. მე ათი წლისა, შენ კი შვიდისა. რვეულების საყიდლად წავედით. შინ რომ ვბრუნდებოდით, გზაში ერთ გადარეულ ხარს შევეფეთეთ. შიშისაგან ყველანი აქეთ-იქით გარბოდნენ და პირველ შემხვდურ საფარში იმალებოდნენ. ჩვენ უხერხულ ადგილას აღმოვჩნდით, ახლომახლო არც დუქანი იყო, არც ეზო, რომ დავმალულიყავით, და უნებურად სახლის კედელს ავეყუდეთ. ხარი გვიახლოვდებოდა. შიშისაგან გაფითრებულმა ხელები ძალუმად მომიჭირე. მე კი წინ ჩამოგეფარე, რომ ხარს შევხვედროდი და შენთვის მისი დარტყმა ამეცდინა. ხარი ჩასისხლიანებული თვალების ბრიალით მოგვიახლოვდა და სწორედ ჩემ წინ გაჩერდა. შიშისაგან ვერც დაყვირება შევძელ, ვეღარც განძრევა. ჩემდა უნებურად მხოლოდ ის მოვახერხე, რომ წინ აგეფარე და ხელები მაგრად მოგხვიე. ხარმა გვიყურა, გვიყურა, მერე უეცრად დაიფრუტუნა, შეტრიალდა და კუდის ქნევით გაიქცა. გადავრჩით. შემოგხედე, და თითქოს ახლაც თვალწინ მიდგას შენი სახე — გაფითრებული, შიშისაგან თვალებდაჭყეტილი; მთელი სხეულით კანკალებდი, ხელს არ მიშვებდი, დაყინებით გაცქეროდი ხარს, თითქოს ელოდი, ვაითუ ისევ შემობრუნდეს, ჩვენსკენ გამოქანდეს და რქებზე აგვაგოსო. მაგრამ ხარმა სხვა ქუჩაზე

ბაუხვია და თვალიდან დაგვეკარგა. მახსოვს, მაშინლა ამოისუნთქე თავისუფლად, დუმილით შემომხედე და უჩვეულოდ, უხერხულად გაიღიმე, უფრო სწორად, სახე დამანჭე და უცბად ატირდი. მე, რასაკვირველია, ვერ დაგიფარავდი ხარის რქენისაგან, მაგრამ შენი გადარჩენისათვის მზად ვიყავი თავი გამეწირა, იმის მიუხედავად, რომ თვითონ მეც ძალიან მეშინოდა. შემდეგში არა ერთხელ სიამაყითა და კმაყოფილებით გამიხსენებია ეს შემთხვევა; მეხსიერებაში ისე ჩამებეჭდა, თითქოს შენი მხსნელი ვიყავი...

გაჩუმდა, გაირინდა. დაეინებით გარეთ იყურებოდა. ეტყობა ბავშვობისდროინდელი ამბის მოგონება ახლაც სიამოვნებას ჰგვრიდა და არ უნდოდა მასთან გამოთხოვება. ვერც მე გავბედე ხელის შეშლა, ტკბილი მოგონებისაგან მისი გამოყვანა... მართლაცდა, რა საუცხოო დროა ბავშვობის წლები!..

ეჰ, სიზმარივით ჩაქროლილო ყრმობის დღეებო,
წახვალთ და უკან არასოდეს დაგვიბრუნდებით —

ნელ-ნელა ჩაიჩურჩულა, ამოიოხრა და შემომხედა.

— გრიგორი, რატომ გაიხსენე ეგ ამბავი? — შევეკითხე.

— რატომ? — თქვა იმედწარკვეთილი ხმით. — იმიტომ, რომ ამიერიდან აღარ შემიძლია შენი დახსნა ფათერაკიდან...

ვიგრძენი, მწვავე ტკივილისაგან როგორ შემეკუმშა გული, უნებურად მის მკერდზე დავემხე და სასოწარკვეთილებისაგან ისე ავქვითინდი, რომ თითქმის ვიხრჩობოდი. ამ წუთებში უკვე ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ რაღაც უძლეველი ძალა ნელ-ნელა გვაშორებდა სამუდამოდ ერთმანეთს...

სადილზე ნახევარი ჭიქა რძე დალია მხოლოდ, სხვა არაფერს დააკარა პირი. ვამჩნევდი, ნელ-ნელა როგორ სუსტდებოდა, მაგრამ ცნობიერებას სულის ამოხდის უკანასკნელ წუთამდე ინარჩუნებდა. გარდაცვალებამდე ერთი საათით ადრე მამის ნახვა მოისურვა. დედაჩემმა, რომელიც, ეტყობა, უკვე გრძნობდა შვილის აღსასრულის მოახლოებას, თხოვნა შეუსრულა და მალე მკლავგაყრილმა, ფრთხილად შემოუყვანა მამა, სკამზე დასვა ავადმყოფის საწოლთან. მამა-შვილმა ერთმანეთს შეხედეს; მოხუცის გამომეტყველება ისევ უაზრო იყო, მაგრამ ამჯერად მასში რაღაც ცნობისმოყვარეობა შეინიშნებოდა, ხოლო ძმის თვალებში—უდიდესი სიყვარული, თანაგრძნობა, მწუხარება და სასო-

წარკვეთილება!.. ასე უსიტყვოდ ემშვიდობებოდნენ მისი თვალები მა-
მას სამუდამოდ... შემდეგ აიღო მამის ხელი, უნდოდა რაღაც ეთქვა,
მაგრამ ხმა ვერ ამოიღო, მხოლოდ ესღა შესძლო, — წამოიწია და ტუ-
ჩებით ხელზე დაეკონა.

— ეს ვინ არის? — ხმადაბლა იკითხა მამამ და დედაჩემს შეხედა.

— გრიგორია... ვერა სცნობ? — ძლივს წარმოთქვა საბრალო დე-
დამ; ცრემლები ახრჩობდა.

— ვერა, ვერა ვცნობ, — მიუგო მამამ და ცოტა ხნის დუმილის
შემდეგ იკითხა: — ავად არის?

— ჰო.

— მეც ავად ვარ, საბრალო ბიჭო, მეც ავადა ვარ, — თქვა მამამ.
ისე, თითქოს ღრმად თანაუგრძნობსო ავადმყოფს, გრიგორის ტუჩებს
ხელი გაარიდა და თავზე გადაუსვა.

მე ვეღარ მოვითმინე, გული ჩამწყდა, და გარეთ გავვარდი, რომ
არც რა გამეგონა — არც რა დამენახა.

როცა თხუთმეტი წუთის შემდეგ ისევ დავბრუნდი, მამა იქ აღარ
იყო, დედას გაეყვანა. გრიგორი პირაღმა იწვა, სახე ხელით დაეფარა.
მე რომ მივუახლოვდი, ხელი გასწია. ოჰ, ღმერთო ჩემო, რა დიდი მწუ-
ხარება ამოვიკითხე მის სახეზე!.. მავედრებელი თვალებით ამომხედა
და ხელი კაბაზე წამატანა.

— ანა, — თქვა აკანკალებული ხმით, — თავად იცი, როგორ უნდა
უპატრონო მამას და დედას. შენს გარდა, მათ არავინა ჰყავთ. დაეხმარე
რითაც შეგიძლია.

შემდეგ ხელზე ხელი მომიჭირა, და ისე გამიშვა, თითქოს ამბობდა,
პასუხი არ არის საჭიროო. ჩემი პასუხი რატომ არ აინტერესებდა, არ
კიცი. იქნებ იმიტომ, რომ მძიმე პასუხისმგებლობას მაკისრებდა, თუ —
იმიტომ, რომ ჩემი იმედი ჰქონდა. ასე იყო თუ ისე, ამის შესახებ ხმა
აღარ ამოუღია.

მისი აღსასრულის მოწმენი ვიყავით მხოლოდ მე, დედა და თომას
გასპარიჩი. იგი ოთახში ის-ის იყო შემოვიდა და რომ გაიგო საქმის ვი-
თარება, ღრმად დამწუხრებული, შორიახლო ჩამოჯდა (ძმები შინ არ
იყვნენ. კარგი დარი იდგა, სახლიდან გავიდნენ და ვინ იცის, სად და-
ხეტიალობდნენ). მომაკვდავმა ითხოვა, მღვდელი მომიყვანეთო. მისი
სურვილის დასაკმაყოფილებლად თომას გასპარიჩი წავიდა. მოვიდა
მღვდელი. ოჰ, ღმერთო ჩემო, როგორ გულმხურვალედ ეზიარა!.. სიკვ-

დილის წინ დედას ეამბორა ხელზე, მერე — მე, ხოლო ბოლოს თომას გასპარიჩს, რომელმაც მეტი ვეღარ აიტანა და ბავშვივით აქვითინდა. შემდეგ სევდიანი, მავედრებელი თვალებით უკანასკნელად შემომხედა და იმწამსვე განუტევა სული — გათავდა... არა, კი არ გათავდა — მომაკვდავი ადამიანი საშიში შესახედავიაო, გამიგია — არამედ თვალები დახუჭა და მარადიულ ძილს მიეცა, რომ ამიერიდან არასოდეს აღარ გაეღვიძა... როცა თვალები დახუჭა, ფიქრადაც არ გამიტარებია, რომ იგი უკვე მოკვდა. მაგრამ დედა მაშინვე მიხვდა ყველაფერს. უნებურად მომაპყრო დაბნეული და უაზრო მზერა, მერე ძალიან სუსტი ხმით ამოიოხრა, თითქოს გული თან ამოატანაო, დაემხო სასთუმალზე და მიცვალებულ შვილს მკერდში ჩაეხუტა. მე მთელი სხეულით ავცახცახდი — ახლაღა მივხვდი, ძმა უკვე მკვდარი იყო. თვალთ დამიბნელდა, მუხლები მომეკვეთა... ამის მეტი აღარაფერი მახსოვს. როცა გონს მოვედი, ვნახე ჩემს ოთახში ვიწექი, გვერდით დედა მეჯდა გაქვავებული, ფერწასული, სისხლგამშრალი, ხოლო თომას გასპარიჩი პირდაპირ სკამზე მოთავსებულიყო, დარდისაგან გათანგული. ჯერ — დილა მეგონა, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ახლად გამომეღვიძა, მაგრამ დედას რომ შევხედე, მერე — თომას გასპარიჩს, შემდეგ ორგვლივ მოვავლე თვალი — სურათი ნათელი გახდა, და ახლაც კი მიკვირს საიდან მოვიხვეჭე იმ დროს ესოდენი სიმშვიდე: არც ვოხრავდი, არც ცრემლი მომდგომია თვალზე, არც სევდა გამკარებია. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს მკვდარი ვიყავი, დიახ, ნამდვილი მიცვალებული!.. თუ მეტყოდნენ — ჭამეო, ვჭამდი, მეტყოდნენ — დალიეო, ვსვამდი, ჩაიცვიო — ვიცვამდი, მოიტანე-წაიღეო, მომქონდა-მიმქონდა, მოდი-წადიო — მივდიოდ-მოვდიოდი — ერთი სიტყვით, რასაც მეუბნებოდნენ, იმას ვაკეთებდი, მაგრამ ყველაფერს ვასრულებდი უგრძნობლად, უნებურად. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ ამჟამად ისიც კი არ ვიცი, როგორ დავასაფლავეთ ძმა, ვინ ესწრებოდა გასვენებას და ა. შ. ბუნდოვანი სიზმარივით მხოლოდ ის დამამახსოვრდა, რომ შავებით შემმოსეს, ხელში ცხვირსახოცი ჩამიდეს, თუმცა იგი სრულიადაც არა მჭირდებოდა, მკლავში ხელი ჩამკიდეს, ეკლესიაში წამიყვანეს და იქიდან უკან დამაბრუნეს. კიდევ ის ჩამრჩა მეხსიერებაში, რომ ეკლესიაში ძმას შუბლზე ვეამბორე, დიდხანს ვკოცნიდი... მეტი არაფერი მახსოვს. ახლა კი, როცა იმ დღიდან უკვე ორი კვირაა გავლილი, იმის ცარიელ ოთახში შევალ თუ არა და საწოლზე ჩამოვჯდები გულზე

ხელებდაკრეფილი, იცი რასა ვგრძნობ?.. დიდება და პატივი იმას, ვინც განაგებს ადამიანთა ბედს. „ილოცე, მხოლოდ ლოცვით შეგიძლია თავი გაარიდო სიცოცხლის მძიმე წუთებს", — მითხრა მან. კურთხეულ იყოს შენი ხსოვნა, ჩემო საყვარელო, ძვირფასო ძმაო!..

შენი ანა საროიანი.

6

თბილისი, 25 ივნისი, 1881.

საყვარელო რიფსიმე,

მთხოვ, წერილები მოიწერეო. რაზე მოგწერო? რა მაქვს დასაწერი? ჩემს ირგვლივ და თავად ჩემშიც საშინელი სიცარიელე სუფევს. აღარაფერი დარჩა ისეთი, რასაც შეიძლება ხელი ჩავკიდო, რაზედაც მყარად მოვიკიდებ ფეხს და ბოლო მოეღება ჩემს ცდომილ აზრებს, რათა საბოლოოდ არ ავცდე ცხოვრების სწორ გზას. აბა წარმოიდგინე ღრმა, კლაკნილი, უკიდეგანო სივრცე და მასში მოხვედრილი ადამიანი!.. ხელებს აცეცებს, აქეთ-იქით აწყდება, ცდილობს რაიმე იპოვოს, ფეხი მოიკიდოს, რომ უფრო ქვემოთ არ დაეშვას, მაგრამ ირგვლივ მხოლოდ ცარიელი სივრცეა და, ფეხქვეშ ნიადაგგამოცლილი, ვარდნას იწყებს, ქვემოთ, სულ ქვემოთ, — მეც სწორედ იმ ადამიანის მდგომარეობაში ვარ. მართალია, ჩემში არის გარდაცვლილი ძმისაგან შთაგონებული ერთი გრძნობა, რომელმაც ჩემს გატანჯულ სულზე არა ერთხელ კეთილისმყოფელი გავლენა იქონია, რისთვისაც დიდად ვუმადლი ძმას, მაგრამ... ძვირფასო დაო, შენც იცი, მე ჯერ ძალიან ახალგაზრდა ვარ, და იდუმალად ვგრძნობ, ჩემს სულს, ჩემს გულს სხვა რაღაც სწყურია... ოჰ! საკმარისია! მოვეშვათ ამას, მეტის ატანა აღარ შემიძლია...

ჩვენი ოჯახის უბედურების ფონზე, ძმის სიკვდილმა, რასაკვირველია, უკვალოდ არ ჩაიარა არც ჩემთვის, არც დედაჩემისათვის. ეს უკანასკნელი მაშინვე ლოგინად ჩავარდა და მთელი ერთი თვე იწვა. დედ-მამის ერთადერთი მომვლელი მე ვიყავი, თუმცა თავადაც არა ნაკლებ შეუძლოდ ვგრძნობდი თავს — როგორც კი დედა ფეხზე წამოდგა, თითქოს წინასწარ ვიყავით მოლაპარაკებული, მე ჩავწექი. მაგრამ ჩემი ავადმყოფობა უფრო ხანმოკლე აღმოჩნდა და აგერ ერთი კვირაა წამოვდექი. ამჟამად ძალიან დასუსტებული ვარ. დიდხანს სიარულის ძალა არ შემწევს, არც რაიმე საქმე შემიძლია გავაკეთო, მალე

ვიქანცები, მინდა ჩავიმუხლო, ანდა წამოვწვე. ისე ვარ დასუსტებული, რომ კალამიც კი არ მემორჩილება, ხელში ძლივს მიჭირავს. იმ დღეს სარკეში ჩავიხედე და ჩემი თავი რომ დავინახე, ელდა მეცა. უნებურად ავიღე გასულ წელს გადაღებული ჩემი ფოტოსურათი და შევადარე — რამხელა განსხვავებაა... არ მინდოდა დამეჯერებინა, რომ ასე გამოვიცვალე: „ან ეს სურათი არ არის ჩემი, ანდა სარკე ტყუის-ძეთქი", ვფიქრობდი — ფოტოსურათიდან ლამაზი, სიცოცხლით სავსე ქალიშვილი იყურებოდა, რომელსაც თვალები ბედნიერად და ცბიერად უღიმოდა, ხოლო სარკეში ვხედავდი ძალზე გამხდარ, მიცვალებულივით ფერმკრთალ, ნაადრევად დაბერებულ ქალს, რომლის უსიცოცხლო, უძრავი თვალები თითქოს რაღაცას ამბობდნენ, მაგრამ რას — ვერც თავად მივხვდი, არც სხვებისთვის შემიძლია გადაცემა... გულმოსულმა შორს მოვისროლე ფოტოსურათი და სარკეს მოვშორდი...

აქ დიდი სიცხეებია. აგარაკებზე დასვენებას რომ ვარ მიჩვეული, ახლა სიცხეს ძლივს ვიტან. თითქმის მთელი დღე სახლიდან გარეთ არ გამოვდივარ. მხოლოდ ღამღამობით და დილით ვითქვამ სულს. ბაბატიე, ჩემო საყვარელო, ძალიან დავიღალე, წერა აღარ შემიძლია.

მიიღე ჩემი მხურვალე, მრავალი კოცნა.

შენი ანა სარიანი.

Ო

თბილისი, 27 ივლისი, 1881.

საყვარელო რიფსიმე.

ამჟამად, მადლობა ღმერთს, თავს კარგად ვგრძნობ. მხოლოდ სიცხეები მაწუხებს ძალიან. ზოგჯერ, კარგ ამინდში, სასეირნოდ მივდივარ და ისევ მალე ვბრუნდები შინ. მეკითხები, ნუთუ ძმები ისევ უსაქმოდ არიანო? არა, დაიწყეს მუშაობა. ერთმა მდიდარმა ყოფილმა ჩვენმა „მეგობარმა", როგორც იქნა, „შეგვიბრალა" და ორივე თავის მაღაზიაში მიიღო, მხოლოდ იმ პირობით, რომ კარგად მოიქცევიან. ჯერჯერობით, ღვთის მადლით, წესიერად უჭირავთ თავი, თუ საქმე ასე წავიდა, ძალიან კმაყოფილი ვიქნებით. ძმები რომ კვლავ უსაქმოდ ყოფილიყვნენ, მერწმუნე, შიმშილისაგან სული გაგვძვრებოდა; უკანასკნელი გროშები დედის ავადმყოფობის დროს დავხარჯეთ და არ ვიცი, რა გვეშველებოდა. ახლა კი, ასე თუ ისე, შეიძლება ვიცხოვროთ.

მე უკვე შევურიგდი ჩემს მდგომარეობას: აწმყო ისე საშინი აღარ ჩეჩვენება, როგორც წინათ. მხოლოდ ძმის ნაადრევმა სიკვდილმა დამიტოვა გულში ჭრილობა, რომელიც არასოდეს მომირჩება. ყოველ დღე, ყოველ საათს, ცოცხლად მიდგას თვალწინ, ხოლო ძილში თითქმის ყოველ ღამე მესიზმრება. რაც გარდაიცვალა, იმ დღიდან აუღელვებლად ვერ ვეკარებოდი მის წიგნებსა და რვეულებს. ყოველთვის, როგორც კი კარადისაკენ გავიხედავდი, მაშინვე გული მწარედ შემეკუმშებოდა, და ჩემდა უნებურად ერთიმეორეზე ცოცხლდებოდა მოგონებები. მაგრამ გუშინ, არ ვიცი რატომ—უჩვეულოდ გამიწია გულმა მათკენ, მინდოდა გადამეფურცლა ისინი, საგულდაგულოდ წამეკითხა, მეგონა, თუ ასე მოვიქცეოდი, რვეულების ფურცლებიდან თვითონ გრიგორი გამომეცხადებოდა და საუბარს გამიბამდა. ამ რწმენით აღსავსე კარადასთან მივედი და კარი გამოვაღე. წიგნები და რვეულები ისევ ისე ელაგა, როგორც უკანასკნელად — თავისი ხელით დააწყო. საერთოდ, მას ძალიან უყვარდა წესრიგი და სისუფთავე, არასოდეს არ მინახავს, რომ მისი წიგნები ან რვეულები უთავბოლოდ ყოფილიყო მიყრილ-მოყრილი, ყველა წიგნი თავის ადგილზე იდო და მზრუნველი ხელი ეტყობოდა. წიგნებსა და რვეულებს მტვერი სქლად მოსდებოდა. „თვითონ მას კი გულზე მიწის სქელი ფენა ადევს", — გავიფიქრე, აცახცახებული ხელებით გადმოვალაგე წიგნები და მტვერი მოვაცილე. შემდეგ გადმოვიღე რვეულები, ქვემო თაროზე დავალაგე, მტვერს ვაცლიდი, თან ვფურცლავდი. ისინი სტუდენტობისდროინდელ რვეულებს წარმოადგენენ, რომლებშიც ლამაზი ხელით სუფთად იყო ჩაწერილი გაკვეთილები. ამ რვეულებში მისი დღიური ვიპოვე. როგორც ძვირფას განძს, ისე დავაცხრი და უდიდესი ცნობისმოყვარეობით დავუწყე ფურცვლა. ოჰ, როგორ მიცემდა გული! როგორი მტანჯველი სიყვარულით ვიხუტებდი მკერდში ამ რვეულებს, როგორ ვკოცნიდი და ცრემლებით ვალბობდი... ოდესმე, როცა ჩამოხვალ, საყვარელო რიფსიმე, ამ რვეულს წაგიკითხავ და თავად დარწმუნდები როგორი ყმაწვილი ყოფილა იგი; მისი სული და ნაფიქრ-ნააზრევი ამ რვეულშია ჩაქსოვილი. ახლა კი იქიდან გადმოვწერ ერთ-ერთ ლექსს (დღიურში მეტწილად ლექსები უწერია), რომელიც, როგორც ბოლოში მინაწერიდან ჩანს, მისი უკანასკნელი ლექსია და გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრეა დაწერილი.

მალე ჩამორეკს ზარი გლოვისა —
გატყდება ჩემი სიცოცხლის სურა,
ობლად დარჩენილ საფლავის თავზე
აღიმართება შავ მიწის გორა.

ო, რარიგ მინდა ერთ ხანს ვიცოცხლო,
მინდა ტრფიალით გული ვიჯერო,
ყველას მაგიერ უღვთოდ ვეწამო,
მათთვის ვილოცო, ცრემლი დავღვარო.

საბრალო, უბედური ჩემი ძმა!.. როგორ სწყურდა სიცოცხლე! როგორ ეწამებოდა! რაოდენ ღრმად და გულწრფელად განიცდიდა ყველაფერს!.. ჩემო საყვარელო დაო, განა შეიძლება ასეთი ძმის დავიწყება ოდესმე?.. გუშინდელ დღიდან განუწყვეტლივ ვფიქრობ მასზე და რაც მეტს ვფიქრობ, მით მეტად ვგრძნობ იმ დიდ დანაკლისს, რაც თავს დამატყდა. ღამე სულ აღარ მომეკარა ძილი. ჩემდა უნებურად ნელ-ნელა მდიოდა ცრემლი და სახეს მისველებდა. საწოლზე გადასვენებული, ჰაერში უიმედოდ და ტანჯვა-წამებით დავატარებდი აცახცახებულ ხელებს, — იქნებ მისი აჩრდილი მაინც დავიჭირო-მეთქი. ოჰ, ამ დღიურმა მთელი სული და გული გადმომიტრიალა. ისევ ვუბრუნდები უწინდელ მდგომარეობას... არა, ამის შესახებ მეტს აღარაფერს მოგწერ; ერთი და იგივე სიმღერაა... ვინ იცის, იქნებ თავიც შეგაბეზრე...

მშვიდობით, ჩემო საყვარელო დაო, ახალი წერილის მიღებამდე.

შენი ანა საროიანი.

3

თბილისი, 16 აგვისტო, 1881.

საყვარელო რიფსიმე!

მირჩევ, ბევრს ნუ ინაღვლებო და მთხოვ ძმის დღიური გამოგიგზავნო, რომ ამიერიდან მწუხარების საბაბი არ გამაჩნდეს. მეც კარგად მესმის, ჩემს ახლანდელ მდგომარეობაში მწუხარების განცდა მავნებელია, მაგრამ ნუ შეგეშინდება; დღიური რომ ვიპოვნე, სევდა-ნაღველმა მაშინ დამრია ხელი, თორემ ახლა თავს ვიკავებ. დღიურს არასოდეს არ გამოვეთხოვები, იმიტომ, რომ იგი ჩემთვის ძვირფასია და ასევე დარჩება სამუდამოდ.

ჩვენი მდგომარეობა კვლავ გაუარესდა; უფროსი ძმა თავის უწინდელ ღმერთს დაუბრუნდა, ჩვენმა „მეგობარმა“ გამოაგდო და სწორედაც მოექცა, რადგან ისევ სმას მიჰყო ხელი. მიღებული ხელფასიდან კაპიკი არ შემოუტანია. ეჰ, ასეც ვიცოდი. ღვინის სიყვარული ისე გაუჯდა სხეულში, არა მგონია, ლოთობაზე ოდესმე ხელი აიღოს. ამისათვის საჭიროა ადამიანს ნებისყოფა და თავშეკავება ჰქონდეს, ჩემს ძმას კი არც ერთი გააჩნია, არც მეორე. მას უსაქმოდ ყოფნა და ლოთობა ყველაზე დიდ სიამოვნებას ანიჭებს. უმცროსი ძმა კი ისევ იქ არის. უნდა ითქვას, რომ სძლია თავის სიზარმაცეს და მუშაობს. მაგრამ მისი მცირე ჯამაგირი აბა სადამდე გასწვდება ჩვენს, თუგინდ ძალზე ზომიერ მოთხოვნილებებს? უკიდურესი სიღატაკე მუქარით გვიახლოვდება და მალე კარზე მოგვიკაკუნებს... დედას უნდა. სახლი გაყიდოს, მაგრამ მე ნებას არ ვაძლევ. სულ ერთია, ის ფულიც მალე განიავდება (მით უფრო, რომ რამდენიც ღირს, იმაზე ნაკლებს იძლევიან), მერე რა გზას დავადგეთ? რითი გადავიხადოთ ბინის ქირა?.. არა, სისულელეა, ჩვენს საზრუნავს ახალი საზრუნავი დავუმატოთ. წარმოდგენილი მაქვს, რა მწარე მოსასმენი იქნება სახლის მეპატრონის საყვედურები ბინის ქირის გადაუხდელობის გამო... არა, არა, ათასჯერ სჯობია მშიერი მოკვდეს კაცი, მხოლოდ საკუთარი სახლის ჭერქვეშ, ოღონდ ისე, რომ არ ესმოდეს სახლის მეპატრონის საყვედურები. საკუთარი სახლი სულ სხვაა!.. ვგრძნობ, სხვისი სახლის ჭერქვეშ სიცოცხლე ორმაგად და ოთხმაგად მწარე იქნება. დედას უნდა რაიმე საქმეს მოკიდოს ხელი. ვნახოთ რა გამოვა.

შენი ანა საროიანი.

ჟ

თბილისი, 24 აგვისტო, 1881.

საყვარელო რიფსიმე, ამ სტრიქონებს მეტად აღელვებული ვწერ. ამჟამად საბოლოოდ განადგურებული ვარ. დედამ საკერავი აიღო, მეც ვეხმარებოდი, მაგრამ... არაფერი გამომივიდა. თურმე ხელსაქმეც არა მცოდნია და საკერავი გავაფუჭე. საკერავის გამნაწილებელმა ჯერ დედას უსაყვედურა, ხელსაქმეს რად მიაკარეო, და მერე — მე:

„არა გრცხვენია, ამოდენა გოგო ხარ და სულ უბრალო ხელსაქმე არა გცოდნიაო?“.. ამ სიტყვების გაგონებას ათასწილად მერჩივნა იქვე

მიწა გამსკდომოდა და სამუდამოდ შიგ ჩავეტანე... რამდენჯერმე გადავწყვიტე თვითმკვლელობა ჩამედინა, და, ღმერთია მოწამე, უთუოდ ჩავიდენდი, რომ... ყოველგვარ უბედურებას ავიტან, ბედისწერის ყოველ დარტყმას გავუძლებ — და ვუძლებ კიდევაც, — მაგრამ იმ უბრალო ქალის სამართლიანი საყვედური ვერ მომინელებია და ვერც მოვინელებ! იგი დღენიადაგ თავში მიტრიალებს, და რაც მეტს ვფიქრობ იმ საყვედურის გამო, მით უფრო მეკუმშება გული... ისე მეჩვენება, თითქოს მთელი კაცობრიობა, ქვეყნიერების ყოველი კუთხიდან, და იმ ოთახის კედლებიც კი, საიდანაც უკვე გარეთ აღარ გავდივარ, დაცინვით თითს იშვერენ ჩემსკენ და ამბობენ: „შეხედეთ, ამ ვეებერთელა გოგოს უბრალო ხელსაქმე არა სცოდნიაო!“.. მე კი რა მაღალი წარმოდგენისა ვიყავი ჩემს თავზე!.. მეგონა, ოღონდ რაიმეს გაკეთება განმეზრახა და იმას უსიკვდილოდ მივაღწევდი. მაგრამ მწარე გამოცდილებამ დამანახვა, რომ სინამდვილეში არამც თუ რაიმეს გაკეთება შემძლებია, არამედ... სრული არარაობა ვყოფილვარ თურმე! არარაობა!.. სულ ახლახანს კი ძმას მედიდურად ვეუბნებოდი: „დიახ ვიმუშავებ-მეთქი!“.. საბრალო, უმწეო ანა!.. ძმამ ირწმუნა ჩემი სიტყვები და იმედი ჰქონდა, რომ მუშაობას დავიწყებდი... ოჰ, როგორი აუტანელი გახდა ჩემი ცხოვრება!.. ჩემი თავის თვითონვე მეშინია. ნეტავი არ ვიყო ამპარტავანი და მედიდური, რაც ბავშვობიდანვე ჩამინერგეს. ნეტავი შემეძლოს საყვედურების ატანა, ნეტავი გული გონებას მოურიგდეს, მაშინ კიდევ არა უშავს... ახლა კი... გადაჭრით შემიძლია ვთქვა, რომ ნამდვილად უბედური ვარ!.. ოჰ, ოჰ, ძვირფასო დაო... გულშიც და ტვინშიც ჯოჯოხეთი მიტრიალებს...

შენი ა. ს.

რ

თბილისი, 15 სექტემბერი, 1881.

საყვარელო რიფსიმე

თავად გაჭირვებულმა, მე ოცი მანეთი გამომიგზავნე. რატომ? რატომ ჩაიდინე ეს?.. თანაც ბოდიშს იხდი, ადრე უნდა გამომეგზავნა, მაგრამ ხელფასი ახლახანს მივიღეო... მერე და, ვინ გითხრა, რისთვის გამომიგზავნე? რა მიზნით? ხომ არ დამცინი? ანდა იქნებ მკიცხავ?.. თუ ასეა, განა ჩემს თავს თვითონ ცოტას დავცინი, ცოტას ვკიცხავ!..

ამასთან იწერები, მადლობა არ გადამიხადოო. რამ გაფიქრებინა, რომ მადლობას გადაგიხდიდი? ნეტავ რისთვის უნდა გითხრა მადლობა? იმისთვის, რომ გამიორკეცე ტანჯვა-წამება?.. რომ უფრო მეტად შემაძულე საკუთარი თავი?.. დაბოლოს, ნუთუ იმისათვის, რომ ხელის ერთი მოსმით დამანახვე შენთან შედარებით რაოდენ ჩია ვარ და არარაობა?.. როცა კონვერტი გავხსენი, ამოვიღე ქაღალდის ფულები და წერილი წავიკითხე — სისხლი ამივარდა თავში. სიბრაზისაგან, სირცხვილისა და უღონობისაგან ტირილი წამსკდა... ღმერთო ჩემო, როგორ ცრემლებს ვღვრიდი... ჩემს სიცოცხლეში ასე არასოდეს მიტირია. იმ ცრემლების ყოველი წვეთი თითქოს ჩემი გულიდან გამონაწური შხამი იყო... ძვირფასო დაო, ეს რა მემართება?..

შენი ანა საროიანი.

P. S. წერილთან ერთად გიგზავნი იმ ოც მანეთს. შენ მე კარგად მიცნობ და ფულის დაბრუნებისათვის ვიცი, არ გამიწყრები.

ა. ს.

ს

თბილისი, 25 სექტემბერი, 1881.

ისევ უკან მიგზავნი იმ ფულს და თან საშინლად მკიცხავ. დიახ, დიახ, საყვარელო რიფსიმე, მე სავსებით გეთანხმები, რომ მეტისმეტად ამაყი ვარ, სულმოკლე და სულელი. მაგრამ მერწმუნე, ჩემს უფრო დიდ კეთილმოსურნედ ჩაგთვლიდი, ეგ ფული თავიდანვე სულაც რომ არ გამოგეგზავნა. ვერ წარმოიდგენ, როგორ ვიტანჯები, როცა ამ ფულებს ვუყურებ... მიუხედავად ამისა, მაინც მივიღებ, მხოლოდ იმ პირობით— ეს მხედველობაში იქონიე, — თუ ვალად ჩათვლი, რომელიც დღეს იქნება, ხვალ, თუ უფრო გვიან, უთუოდ უნდა დაგიბრუნო. მომწერე, ამ პირობას ღებულობ თუ არა. წინააღმდეგ შემთხვევაში, იცოდე, ფულს ისევ უკან გამოგიგზავნი. წერილის მიღებამდე კი ამ ფულიდან კაპიკსაც არ დავხარჯავ.

შენი ანა საროიანი.

ტ

თბილისი, 29 სექტემბერი, 1881.

საყვარელო რიფსიმე,
მადლობელი ვარ.

შენი ანა საროიანი.

უ

თბილისი, 4 ოქტომბერი, 1881.

საყვარელო რიფსიმე,

იწერები, მაცნობე, როგორ ატარებ დღეებსო? დილიდან საღამომდე ფანჯარასთან ვზივარ და სიცივისაგან ღონემიხდილმა ბუზმა თუ მინაზე დაიწყო ცოცვა, ასეთებს ვიჭერ, ან თავს წავაცლი, ან ფეხებს და ფრთება, მერე ვუშვებ და ვუყურებ ამნაირი ოპერაციის შემდეგ როროგორ გადადიან ყირამალა, ვიდრე სული გასძვრებათ... ამაზე უკეთესად კაცი ვერ გაერთობა. თუმცა, სულ ერთი არ არის, თავს რით შევიქცევ!.. მთავარია, დრომ გაიაროს. ბოლო ხომ მაინც სიკვდილია.

შენი ა. ს.

ფ

თბილისი, 18 ოქტომბერი, 1881.

ჩემო საყვარელო,

ამაოდ მიკითხავ ზნეობრიობის ვრცელ კარაბადინს, ამაოდ ირჯები, როცა მისაყვედურებ, შენი ჭკუა-გონებითა და შეგნებით უფლება არა გაქვს ასეთი იყოო, რომ თითქოს განგებ ვიქცეოდე ასე და საკუთარ თავსაც უმართებულოდ ვწამებდე ცილს. თავად მეც მაგ აზრისა ვარ, მაგრამ დაწყევლილი სინამდვილე ადამიანისაგან ჭკუასა და შეგნებას კი არ მოითხოვს, არამედ მხოლოდ ცხოვრებისათვის მომზადების უნარს, ეს კი მე არ გამაჩნია. მაგრამ ერთი ვიკითხოთ, რატომ არ გამაჩნია?.. ამის მიზეზი შენც კარგად იცი, თუ ჩემს წარსულს და ჩემს აღზრდას თვალს გადაავლებ... ერთხელ და სამუდამოდ იყავი დარწმუნებული, რომ ამ ცხოვრებისათვის კაპიკი-გროში არა ვღირვარ. ვიმეორებ: მოუმზადებელი ვარ, მოუმზადებელი — ეს არასოდეს არ გაუშვა მხედველობიდან... ხოლო ახლა რომ დავიწყო წვრთნა — ეს შეუძლებელია, — დაგვიანებულია: როგორც მოვსულვარ, ისე უნდა წავიდე. დაე მოხდეს, რაც მოსახდენია. მე სასწაულების იმედი არა მაქვს და არც თავად ვარ სასწაულმოქმედი. ერთი უმწეო არსება გახლავარ, რომელსაც პირში პურის ლუკმა დაღეჭილი უნდა ჩაუდონ... ოჰ, როგორ მძულს საკუთარი თავი! როგორ მეზიზღება ჩემი არსებობა!.. ნეტავი შეიძლებოდეს ამ საშინელი ცოდვებისაგან თავის დახსნა...

შენი ა ნ ა ს ა რ ო ი ა ნ ი.

९

თბილისი, 31 ოქტომბერი, 1881.

ჩემო ძვირფასო რიფსიმე,

ამ სიტყვების წერის დროს უკვე საწამლავი მაქვს დალეული, ხოლო როცა წაიკითხავ, უთუოდ ცოცხალი აღარ ვიქნები. მშვიდობით... სამუდამოდ... ვერასოდეს ვეღარ მიხილავ, წყევლა-კრულვა შემომითვალე, მაგრამ თან გამომიტირე, იქნებ შენმა ცრემლებმა მაინც შემიმსუბუქოს ცოდვილი სული... რა საშინელი რამაა საწამლავი!.. მაგრამ ცხოვრება უფრო საშინელია, რასაკვირველია, ჩემთვის, და არა შენთვის, ანდა სხვებისათვის. ალბათ, უკვე მიღებული გექნება ოცი მანეთი, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ გამოგიგზავნე ვალის ანგარიშში. მაპატიე! ამპარტავნობამ მძლია. სწორედ ამ მედიდურებას მივყავარ საფლავისაკენ. ნეტავი მომიტევებს თუ არა უფალი?.. ან გრიგორის სული?.. ასეა თუ ისე, ამქვეყნად ყოფნა აღარ შემიძლია. ისევ და ისევ გემშვიდობები, ჩემო სანუკვარო დაო! ილოცე ჩემი ცოდვილი სულისათვის.

შენი უბედური ანა საროიანი.

მოკლული მტრედი

ნაწილი პირველი

I.

ღამის ორი საათი იქნებოდა. მუშაობით გადავიქანცე. კალამი დავდე, წამოვდექი და ის-ის იყო დასაწოლად მოვემზადე, რომ მოულოდნელად ჩემს კარზე დარეკეს. ჯერ მეგონა, ყურმა მომატყუა, მომეჩვენა ეს ხმა ღრმა მდუმარებაში-მეთქი. მაგრამ არა, ისევ გაისმა რეკვა. ამჯერად უფრო ბეჯითად და დაჟინებით.

თუ მიგიქცევიათ ყურადღება ზარის რეკვისთვის გვიან ღამით, როცა მშვიდად ზიხართ სახლში, ირგვლივ კი მიყუჩებულია ყველაფერი. რა იდუმალად გაისმის ამ დროს ეს ხმა! იგი სავსეა რაღაც მწუხარებით და გაურკვეველი შიშით ავსებს თქვენს გულს. ასეთმა შიშმა შემიპყრო უნებურად, რადგან ამ დროს არავის ველოდი. სახლის პატრონის მსახურს, რომელიც მეც მემსახურებოდა, ალბათ, დიდი ხანია ეძინა. ესეც არ იყოს, ისეთი ძილისგუდა გახლდათ, ზარი კი არა, ზურნაც რომ დაგეკრათ მის ყურთან, ვერ გააღვიძებდით. ამიტომ იძულებული გავხდი, თვითონ წავსულიყავი კარის გასაღებად. ბნელი დერეფნის საფეხურების ჩავლამდე ზარმა მესამედ დაიწკრიალა.

კარი გავაღე. ქუჩაში ჩემ წინ, გარეგინ სისაკიანი იდგა — ჩემი უახლოესი მეგობარი, რომელიც ღამის სიბნელეში უცებ ვერც კი ვიცანი.

— გარეგინ... შენა ხარ? — წამოვიძახე უნებურად მისი უდროო სტუმრობით მეტისმეტად გაოცებულმა.

— მე ვარ.
— რა მოხდა?
— არაფერი.
— მაშ რად მოხვედი?
— ისე, მოვედი.
— როგორ თუ ისე?
— ვიცოდი, გვიან იძინებ, ამიტომ მოვედი.
— მაინც რამ მოგიყვანა?

ჩემი შეკითხვის საპასუხოდ წყნარად, უცნაურად გაიცინა. კილოზე ვამჩნევდი, მეტად მხიარულ გუნებაზე იყო, მისი სახის გამომეტყველებას კი სიბნელის გამო ვერ ვხედავდი.

— იცი ახლა რომელი საათია? — ვკითხე.

— Счастливые часов не наблюдают, — მიპასუხა და ისევ გაიცინა.

არ ვიცი რატომ, მაგრამ უცებ გავიფიქრე, ხომ არ შეიშალა-მეთქი. მით უმეტეს, რომ ვიცოდი, რა უცნაური ახალგაზრდაც იყო. ამ აზრმა ისე შემაკრთო, რომ რამდენიმე წამს კრინტი ვერ დავძარი.

— წავიდეთ ზემოთ, ძალზე მნიშვნელოვანი ახალი ამბავი უნდა გაცნობო, — მითხრა, ოდნავ უკან დამწია და შემოვიდა.

სხვა რაღა დამრჩენოდა იმის გარდა, რომ ჩემი ოთახისაკენ გავძოლოდი. ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო.

საწერ მაგიდას მიუჯდა და ისეთი გამომეტყველებით შემომაცქერდა, თითქოს მეკითხებოდა: „აბა, გამოიცანი, რა ახალი ამბავი უნდა გაცნობო?“

გაოცებით ვათვალიერებდი. გარეგინს ის სერთუკი ეცვა, რომელსაც თითქმის არასოდეს ხმარობდა, თეთრი, ქათქათა ჟილეტი და სულ ახალი, ძვირფასი ყელსახვევი ეკეთა. ჯანმრთელი, მრგვალი, სავსე პირისახე ჰქონდა, მაგრამ მამაკაცობის ნატამალი მაინც არ ეტყობოდა. მარტო მუდამ მომღიმარი, საოცარი უნებისყოფობისა და უწყინარობის გამომხატველი თვალები სულელური, უსაზღვროდ იდიოტური ბედნიერებით უბრწყინავდა. ეს თვალები თითქოს ოდნავ ამღვრეოდა და უცბად მომეჩვენა, რომ ღვინის სუნი ამოსდიოდა პირიდან.

— მთვრალი ხარ, — ვუთხარი და თვალებში ჩავხედე.

— ჰო, ისე, რა, როგორც ამბობენ, ზარხოშად ვარ, — გამოტყდა და წყნარად ჩაიქირქილა.

— ალბათ, სტუმრად იყავი. სად?

— სად? რომ გითხრა, არ დაიჯერებ.

— ნუ გეშინია, ახლა ისეთ მდგომარეობაში გხედავ, რომ ყველაფერი დაგეჯერება.

გარეგინი ერთხანს გაღიმებული მიყურებდა. ეტყობოდა, ყოყმანობდა — ეთქვა, თუ ჩემთვის ეცლია, გამომეცნო. შემდეგ უცებ წამოხტა, მაგრად მომეხვია და ყურში ჩამჩურჩულა:

— ამ საღამოს დავინიშნე.

მერე ყურის ძირში ერთი მაგრად მაკოცა, განზე გადგა და ღიმილით შემომხედა, თითქოს უნდოდა შეემოწმებინა, რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ ახალმა ამბავმა.

ამ მოულოდნელმა ახალმა ამბავმა სულ გამაოგნა. და, რაკი რაიმეს თქმას ვერ ვახერხებდი გაშტერებული და გაოცებული, მარჯვენა ხელის არათითი გამომიწოდა, რომელზეც ოქროს ბეჭედი ეკეთა, თან ერთგვარი თავმოწონებით მითხრა:

— აი, თუ არ გჯერა.

— მაშ ახლა იქიდან მოდიხარ!

— ჰო, პირდაპირ დანიშნულის სახლიდან!..

— და მხოლოდ იმიტომ, რომ ამ შუაღამით გეცნობებინა ეს ახალი ამბავი, თითქოს ხვალ არ შეგეძლო!

— ხვალ!.. ამდენი მოთმენა კი შემიძლია? თანაც სად წავსულიყავი? სახლში არც ერთი სულიერი, ახლობელი არსება არ მეგულება, რომ შეიძლებოდეს ჩემი სიხარული გავუზიარო! რა უნდა გამეკეთებინა ხვალამდე? დამეძინა? ძილი გამიფრთხა. ოჰ, რომ იცოდე, რა ხდება ჩემს გულში! იქ ვარდი გაშლილა, სული მღერის. მინდა ვილაპარაკო, ვისაუბრო, ვიცეკვო. მხრებზე თითქოს ფრთები გამომესხა და მგონია, თუ მოვიქნევ, გავფრინდები, როგორც... როგორც...

და მართლაც ხელები გაშალა, ერთი ნახტომით მოიჭრა ჩემთან, თავზე მომეხვია და ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, გიჟივით დამიწყო კოცნა.

სასაცილო და თანაც ისე მიმზიდველი იყო მისი გულისნადების გამჟღავნება, რომ ჩემში უნებურად უფროსი ძმისადმი ნაზმა გრძნობამ გაიღვიძა ამ დიდი ბავშვის მიმართ, რომელიც ძალზე მიყვარდა საოცარი მიამიტობისა და უზადო, ბავშვური ხასიათის გამო.

როგორც იყო დავაწყნარე, დავსვი და გამოკითხვა დავუწყე.

— უფლება კი მაქვს, — ვუთხარი, — ნაწყენი ვიყო შენზე, ასეთი სერიოზული ნაბიჯი რომ უჩემოდ გადადგი, მაგრამ მაინც მიპატიებია. როგორც ვხედავ, ფარულად ყოფილხარ შეყვარებული და ფარულადვე გდომებია საქმის დასრულება. ალბათ, იფიქრე ნებას არ დამრთავსო. ხომ ასეა?

— სულაც არა.

— აბა?

— შეყვარებული კი არა, დღეს საღამოს პირველად ვნახე.

— ვინ? ქალი?

— ჰო.

— რომელზეც დაინიშნე?

— ჰო.

გავვოცდი. ჩემი კარგი ნაცნობი რომ არ ყოფილიყო, ვიფიქრებდი, ხუმრობს-მეთქი.

— მომისმინე, გარეგინ. წელან იქ, კართან რომ დაგინახე, უნებურად ეჭვი დამებადა: ხომ არ შეიშალა-მეთქი. ახლა პირდაპირ გეკითხები — ჭკუაზე ხარ თუ არა?

— რატომ?

— გესმის, რას ლაპარაკობ? შეიძლება ქალი პირველად ნახო და მაშინვე დანიშნო?

— რატომაც არა, თუკი მომეწონა? მეტსაც გეტყვი: მამაჩემმა მიამბო, პაპაჩემი ისე დანიშნულა, თავისი მომავალი ცოლი არც უნახავს თურმე.

— ეს როდის იყო? ასორმოცდაათი წლის წინათ? რატომ არ ფიქრობ, შენ რა ხანაში ცხოვრობ? განათლებული, ინტელიგენტი ადამიანი შენს უწიგნურ, უვიც პაპას როგორ ედრები?

— ეგ ყველაფერი ტყუილია, მიქაელ, არ დაიჯერო, — მითხრა გულდაჯერებული სიმშვიდით. — ქორწინება ბედის საქმეა. ყველაფერი რომ დაწვრილებით გიამბო, იტყვი, მართლაც ბედი ყოფილაო. თანაც სიყვარული ინტელიგენტსა და უვიცს არ არჩევს.

— სიყვარული? უკვე შეყვარებულიც ხარ?

— მერე როგორ!..

— ერთ ღამეში, რაღაც რამდენიმე საათში შეგიყვარდა?

— დანახვისთანავე! სადღაც წამიკითხავს, ერთ წამში, ერთი ნახვით შეუყვარდათო ერთმანეთი.

— და ამიტომ შენც ფიქრობ, რომ შეყვარებული ხარ?

— კი არ ვფიქრობ, ნამდვილად შეყვარებული ვარ. ღმერთმანი!

— რახან იფიცებ, რაღა მეთქმის? მაგრამ ის?

— ვინ, სარა?

— სარა ჰქვია?

— ჰო.

— შენ რომ მოგეწონა და მაშინვე შეგიყვარდა, იმასაც მოეწონე?

— ჰმ, — გაიკვირვა გარეგინმა და დაბნეულად შემომხედა.

ეტყობოდა, ჩემი შეკითხვა მოულოდნელი იყო მისთვის და არ იცოდა რა ეთქვა. ამ წუთში ისეთი სასაცილო სახე ჰქონდა, რომ თავი ვერ შევიკავე. მაგრამ მალე გამოერკვა და ისევ ბავშვური გულწრფელობით მიპასუხა:

— რასაკვირველია. რახან ჩემგან ნიშანი მიიღო, ცხადია, მოვეწონე.

— კარგია. მართალია, შეყვარებული ხარ, მაგრამ ლოგიკურად კი მსჯელობ. ერთი ეს მითხარი, ქალი როგორია?

— ჭკვიანი, სერიოზული, დინჯი, სულგრძელი, დედოფალივით სულგრძელი და... ისეთი ლამაზი, ისეთი ლამაზი, რომ... რასაკვირველია, ეს ბედისწერის საქმეა, თორემ იმ მზეთუნახავის ღირსს ვინ გამხდიდა? — დაუმატა აღელვებით, წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო.

— ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვებია, — შევნიშნე. — ერთი მისი გარეგნობა ამიწერე, რომ მისი სილამაზე წარმოვიდგინო.

— სულ ერთია, ასე ვერაფერს წარმოიდგენ.

— რატომ?

— იმიტომ... — გარეგინი უცებ შეჩერდა ჩემს წინ. — წაგიკითხავს სტერნის ავტობიოგრაფია?

— არა.

— ერთი ქალიშვილი უყვარდა და უნდოდა მისი გარეგნობა მკითხველისათვის აეწერა, მაგრამ ამის ნაცვლად თავის წიგნში ცარიელი გვერდი დატოვა და ზედ დაახლოებით ასე წააწერა: „დაე ამ გვერდზე მკითხველმა აღწეროს იმის გარეგნობა, ვინც მისი პირველი შეყვარებული იყო. მეშინია, ვაითუ მკითხველებს არ მოეწონოთ ჩემი დახატული ქალიშვილი, რომელიც მიყვარს. თუ ვიტყვი, რომ ჩემი სატრფო ქერათმიანია, შავი თმის მოყვარულები იტყვიან: „ვითომ

ქერა თმა ლამაზია?“ ვიტყვი: კუპრივით შავი თმა აქვს-მეთქი, და ქერა თმის თაყვანისმცემლები უკმაყოფილოდ მიიბრუნებენ პირს. მაშ თვითონ დახატეთ თქვენი საყვარელი ქალიშვილის სურათი. ასეთია ისიც, ვინც მე მიყვარს. უეჭველია, შესძლებთ წარმოიდგინოთ, ლამაზია თუ არა“.

— მგონი, სტერნი ინგლისელია და იუმორისტი, — შევნიშნე. — ეს სტრიქონებიც იმიტომ დაუწერია, რომ თავისი მკითხველები გაეცინებინა. მაგრამ მე რომ ჯერ არავინ მყვარებია, როგორ წარმოვიდგინო შენი დანიშნულის სილამაზე?

— რაკი არასდროს გყვარებია, მაშინ ვერც გაიგებ, ასჯერაც რომ აგიწეროო.

— კარგი, თუ ასეა, დავანებოთ ამას თავი. მოვიცდი, სანამ ბედნიერება მეწვევა პირადად ვნახო. ახლა მომიყევი, როგორ მოხდა ეს საქმე?

— რა?

— როგორ მოხდა, რომ ასე უცბათ შეგიყვარდა და მაშინვე დაინიშნე.

— მართლაც რომ უცბათ მოხდა! — გაიცინა გარეგინმა და თავის ძველ ადგილზე დაჯდა. — აი ასე იყო: გასულ კვირასაღამოს, ქუჩაში შემხვდა ჩვენი ოჯახის ერთი ძველი მეგობარი, საბაჟოში მუშაობს, გვარად ბალირიანია. ბავშვობაში ძალზე მიყვარდა. როცა ჩვენს ოჯახში მოდიოდა, ყოველთვის მოჰქონდა ჩემთვის კამფეტები. მამაჩემი რომ გარდაიცვალა და ჩვენი ოჯახიც დაიშალა, შემდეგ თითქმის აღარ შემხვედრია. მე მაშინვე ვიცანი, მან კი ვერა. გამოვეცნაურე და ისე გაეხარდა, თითქოს შვილი ჰყავდა დაკარგული და მოულოდნელად იპოვა. დაწვრილებით გამოიკითხა ჩემი ამბავი, გაიგო, რომ უცოლო ვარ და შემომიჩნდა, — ჩემი სიძე უნდა გახდეო. წამათრია თავის სახლში, ჩემს ქალიშვილს გიჩვენებო. მართალი გითხრა, მაინც და მაინც არ გავძალიანებივარ. ვფიქრობდი, თუკი აზრადაც არ მაქვს ცოლის შერთვა, ძალით ხომ არ ამკიდებს თავის ქალს, თუნდაც ბაჯაღლო ოქრო იყოს-მეთქი. მაგრამ, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ქალიშვილი სახლში არ დაგვხვდა. იქნებ შინაც იყო, მაგრამ არ გამოვიდა. იმედი მქონდა, საქმე ამით გათავდებოდა, მაგრამ არა! ერთიც ვნახოთ, ამ საღამოს ისევ მოვიდა ჩემთან და მეუბნება: ადექი, წავიდეთ, ჩემს ქალიშვილს დავუბარე შინ იყოს, მინდა ერთმანეთი გაგაცნოთო. ხომ იცი, რა დამყოლი

ხასიათი მაქვს, სულ არ შემიძლია წინააღმდეგობა. ერთი სიტყვით, წამათრია. გზაზე ნაცნობი ოქრომჭედლის მაღაზიაში შემიყვანა, აიღო აი ეს ბეჭედი. მეორე ასეთივე ჯიბეში ჩამიდო და მითხრა: „თუ ჩემი ქალიშვილი მოვეწონა, მიეცი, თუ არა— დამიბრუნე". ავდექით და წავედით. წავედით და...

გარეგინმა სიცილი დაიწყო...

— აბა, რაღა გავაგრძელო? — დაუმატა მან. — ნიშანი მივეცი, მივეცი და გული ისე ამიძგერდა, რომ ახლაც არ ვიცი, რა იყო ეს? სასწაული თუ ჯადო? არაფერი მესმის.

— მაშ ქალი დაინახე თუ არა, მაშინვე მოიხიბლე?

— ო, ეს ქალი კი არა, საოცრებაა! — წამოიძახა გარეგინმა მისთვის ჩვეული აღფრთოვანებით. — როგორც კი ოთახში შემოვიდა და შეეხედე... არა, თვითონ უნდა განიცადო, რაც მე ამ დროს განვიცადე, მარტო მაშინ გამიგებ. სიტყვით ვერ გამომითქვამს!

— შეგიძლია არც მითხრა, ისედაც ვხედავ, გონება დაგიკარგავს,— შევნიშნე და უნებურად გამეღიმა. — თუ შეგიძლია, დაწყნარდი და ნშვიდად მიამბე მხოლოდ სინამდვილე.

— მხოლოდ სინამდვილე? დაწყნარებით? ძალიან კარგი. უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრა, რომ ჩვენ პირისპირ ვიყავით, ე. ი. ქალი, მე, მაბამისი და დედამისი. აქვე დავსძენ, დედ-მამა მისი მშობლები არ არიან.

— ესე იგი, სარა — მგონი, ასე ჰქვია, არა? — მათი შვილობილია?

— არა, მათი შვილია, ოღონდ ღვიძლი შვილი არ არის. საქმე ასე ყოფილა: სარა ჩემი სიმამრის გერია. ე. ი. ჩემი სიმამრი ადრე დაქორწინებული ყოფილა ქვრივ ქალთან, რომელსაც ათი წლის შვილი სარა მოჰყოლია. შემდეგ ეს ქალი, სარას ღვიძლი დედა, გარდაცვლილა და ჩემი სიმამრი მეორედ დაქორწინებულა თავის ახლანდელ ცოლზე. ჰოდა, სარა ორმხრივად ობოლია. გაიგე?

— გავიგე. ახლა შენი ამბავი განაგრძე, ესე იგი, როგორ დაინიშნე?

— როგორ დავინიშნე? ქალი ვნახე, მომეწონა, ნიშანი მივეცი. მიველ, ვნახე, გავიმარჯვე, — სიცილით დაუმატა გარეგინმა. — მერე დავსხედით, ვივახშმეთ, ვსვით, შენი სადღეგრძელოც დავლიეთ, როგორც მომავალი მეჯვარისა. კმაყოფილი ხარ?

— დიდი მადლობა პატივისცემისათვის, მაგრამ შენ მაინც არ ამბობ, რაც მე მაინტერესებს.

— მკითხე, მკითხე, ყველაფერს გიამბობ.

— ის მითხარი, როგორ გაიცანი ქალიშვილი, რაზე ისაუბრეთ, როგორ შეგიყვარდა უცებ, ბოლოს, როგორ აუხსენი სიყვარული. და...

— მე მისთვის სიყვარული არ ამიხსნია.

— აბა?

— არაფერი. მხ̄ოლოდ ეს ვუთხარი: „ქალიშვილო, მომწონხართ, თუ თქვენც მოგწონვართ, გთხოვთ მიიღოთ ეს ბეჭედი“.

— სწორედ ასე უთხარი?

— სწორედ ასე. ერთი სიტყვა არც მეტი, არც ნაკლები.

— და მანაც აიღო?

— აიღო და დადო მაგიდაზე.

— როგორ თუ მაგიდაზე?

— მაგიდაზე, რაღა.

— თითზე არ გაიკეთა?

— საოცარია! მგონი, შემიძლია განვასხვავო მაგიდა და თითი.

— ამას ჰქვია ნიშნობა?

— საიდან ვიცი, რა ჰქვია ამას? — გამხიარულდა გარეგინი, — ᲒᲮᲝᲚᲝᲓ ის ვიცი, რომ მერე მამამ და დედამ მოგვილოცეს, გვაკოცეს, დაგვლოცეს და ისე გახარებული ვიყავი, ტაში რომ დაეკრათ, ვიცეკვებდი. ისე კი, წესით, — დაუმატა მან, — თუ არ ვცდები, თვითონ უნდა გამეკეთებინა მისთვის ბეჭედი თითზე. მაგრამ ისე დავიბენი, დამავიწყდა კიდეც. ალბათ, მასაც შერცხვა, ამიტომ არ გაიკეთა.

— ჰო, მერე?

— მერე რა?

— რა ილაპარაკეთ, რაზე ისაუბრეთ?

— მე და დანიშნულმა? არაფერზე. საერთოდ მას ჩემთან თითქმის არ ულაპარაკია. მხოლოდ მთელ საღამოს დაჟინებით მიყურებდა თვალებში.

— კარგი, თუ შენთან არ ულაპარაკია, რაზე შეატყე, რომ განათლებული და ჭკვიანი ქალია?

— გამოხედვაზე. რაღაც განსაკუთრებული გამოხედვა აქვს. თითქოს პირდაპირ სულის სიღრმეში გწვდება და ირკვევს, რა არის იქ. მაგრამ როცა არ გიყურებს და სივრცეში თვალებს აცეცებს ან რომელიმე წერტილს მიაჩერდება, ისე ფიქრიანი გამოხედვა აქვს, ისეთი სერიოზული და თანაც — როგორ ვთქვა — მოვალალე, ჰო, სწორედ

მოვალალე, რომ თითქოს სულში გწვდება და გაწვალებს. აი სწორედ ეს მზერა იყო, დანახვისთანავე რომ დამატყვევა. ვინ იცის, ამ საღამოს, როცა არ მიყურებდა, რამდენჯერ დავაკვირდი და, საოცარია, თითქოს ყოველთვის რაღაც მწყდებოდა გულიდან და ყელში მებჯინებოდა. აი, ამ წუთშიც, როცა ეს გამოხედვა მაგონდება, რაღაც გაუგებარი სევდა მიპყრობს უნებლიედ.

— იქნებ რამე დარდი აწუხებს, — დავინტერესდი.

— არა მგონია. უბრალოდ, ალბათ ასეთი მზერა აქვს. საერთოდ, ვინახავს მსგავსი ქალიშვილები, რომელთაც თითქოს თვალები ცრემლით ავსებიათ და სწორედ ასეთი თვალები მატებენ მათ სილამაზესა და მომხიბლაობას. გამოგიტყდები, ჯერ კარგად არ ვიცნობ მას. იმიტომ, რომ მასთან მარტო ვერ დავრჩი, თანაც, ცოტა არ იყოს, თვითონაც მრცხვენოდა. ვახშმობისას, როცა, როგორც ამბობენ, ოდნავ შევზარხოშდი და ცოტა გამბედავიც გავხდი, შემეძლო სწრაფად დავახლოვებოდი, მაგრამ, რა გინდა — სამწუხაროდ, ვახშამზე არ დარჩენილა.

— როგორ თუ არ დარჩენილა?

— მოიბოდიშა, თავს ცოტა შეუძლოდ ვგრძნობო, და წავიდა.

— მერე აღარ გინახავს?

— არა.

უნებურად მხრები ავიჩეჩე და ავდექი.

— ახლა კი შეგიძლია წახვიდე, ძალიან გვიანია და მეძინება. ოლონდ იცოდე, შენი ნიშნობა ძალზე უცნაურია და სანამ შენს საცოლეს არ მაჩვენებ, ვერაფერს გეტყვი. მაჩვენებ?

— როცა გინდა.

შევთანხმდით, რომ მომავალ შაბათ საღამოს, როცა მე თავისუფალი ვარ, შემომივლიდა და ერთად წავიდოდით. და თითქმის ძალით გავისტუმრე სახლიდან.

II

შაბათ საღამოს, ზუსტად დანიშნულ დროს გარეგინი მეახლა. იგივე სერთუკი ეცვა, თეთრი ჟილეტი და ამჯერად სხვა, ღია წითელი ფერის ჰალსტუხი ეკეთა, ახალგაპარსული იყო, უჩვეულოდ მხნე და ხალისიანი ჩანდა.

მაგრამ ჯერ რამდენიმე სიტყვა ამ უცნაურ ახალგაზრდა კაცზე.

გარეგინ სისაკიანი საკმაოდ შეძლებული მშობლების შვილი იყო. საეპარქიო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გიმნაზიის დასამთავრებელი გამოცდების ჩასაბარებლად ემზადებოდა, რომ მერე უნივერსიტეტში შესულიყო. მაგრამ ამ დროს ოცდაერთი წელი შეუსრულდა და რადგან არ უნდოდა უბრალო ჯარისკაცად ემსახურა, ამჯობინა სამხედრო სასწავლებელში შესულიყო და ოფიცერი გამხდარიყო (ამ დროს მშობლები აღარ ჰყავდა და ამიტომ მასზე არ ვრცელდებოდა შეღავათი, რომელიც დედისერთა შვილს ათავისუფლებდა სამხედრო სამსახურისაგან). მალე იგრძნო, რომ სამხედრო დისციპლინისა და ძძიმე ცხოვრების წესებს ვერ აიტანდა, უარყო ოფიცრობა და სავსებით საწინააღმდეგო გზას დაადგა — გადაწყვიტა ბერად შემდგარიყო. ამ მიზნით წავიდა ეჩმიაძინს, მაგრამ სამი თვის შემდეგ დაბრუნდა ბერების უზნეო ცხოვრებით მთლად გულგატეხილი (ეჩმიაძინში ერთ ეპისკოპოსთან ცხოვრობდა, მამამისის ძველ ნაცნობთან და ერთ ღამეს საცვლების ამარა გამოიქცა მისი ოთახიდან). ამის შემდეგ ერთ წელიწადს უქმად დაეხეტებოდა და არ იცოდა, რა გაეკეთებინა. ბოლოს მოეწყო სახელმწიფო მამულების ადგილობრივ სამმართველოში, რიგით მოსამსახურედ, უმნიშვნელო ხელფასით. გარეგინს, რასაკვირველია, არ სჭირდებოდა ეს ხელფასი. როგორც ერთადერთ შვილს, მემკვიდრეობით ერგო მამის მთელი ქონება, რომელიც სარგებლით ბანკში ჰქონდა შენახული. ეს თანხა იმდენ მოგებას აძლევდა, სხვა შემოსავალიც რომ არ ჰქონოდა, შეეძლო სავსებით უზრუნველად ეცხოვრა, მით უფრო, რომ მოკრძალებულად, პირდაპირ ასკეტურად ცხოვრობდა და ეს იმიტომ კი არა, რომ ძუნწი იყო, — პირიქით, ბევრი ამხანაგი მიმართავდა დახმარებისათვის და ისიც არავის აწბილებდა, — უბრალოდ, არ იცოდა, რაზე დაეხარჯა ფული. სამსახური მხოლოდ იმიტომ დაიწყო, რომ რაიმე საქმე გაეჩინა, მისთვის სულ ერთი იყო რა იქნებოდა, რადგან უსაქმურობისაგან კაცს მელანქოლია იპყრობსო, იტყოდა ხოლმე.

მახსოვს მისი მშობლები. მამა ძალზე კეთილი და მორწმუნე ადამიანი იყო. თუმცა მღვდლები საშინლად ეჯავრებოდა, მოძღვრობის ღირსნი არ არიანო, მაგრამ ეკლესიაში მუდამ დადიოდა, თავისი ადგილიდან ხმას აყოლებდა ღვთისმსახურებას, ხუთიევ დღესასწაულის წინ მარხულობდა და ზიარებას იღებდა. ბოლოს პროტესტანტობა მიიღო, მაგრამ სიკვდილის წინ მოინანია, თავისი ყველა შეცდომა აღიარა და

ეზიარა სწორედ იმ მოძღვართან, რომელიც ადრე რამდენჯერმე გააგდო სახლიდან.

გარეგინის დედა ძალზე ლამაზი და ხალისიანი ქალი იყო, ქმარზე ოცი წლით ახალგაზრდა მაინც. მაგრამ მალე მოტყდა, გაგიჟდა და სულით ავადმყოფთა თავშესაფარში გარდაიცვალა. ამბობენ, ქმარი იყო ამის მიზეზიო. საქმე ის არის, რომ ცოლი რაღაც ავადმყოფურად, შმაგად უყვარდა და რადგან მოხუცი იყო, მის ერთგულებაში ეჭვი ეპარებოდა. ამიტომ სახლიდან არ უშვებდა და ხშირად სცემდა კიდეც. მისი ეჭვიანობა ბოლოს იქამდე მივიდა, რომ სახლის აივანიც კი მოახსნევინა, რომელიც ქუჩაზე გადიოდა და ამოაქოლინა ყველა ფანჯარა — ცოლმა გარეთ არ გაიხედოს და თვალებით არ დაელაპარაკოსო ახალგაზრდა კაცს, რომელიც მოპირდაპირე სახლის ზედა სართულში ცხოვრობდა. განსაკუთრებით ამ ახალგაზრდა კაცზე ეჭვიანობდა ჭკუასგადასული მოხუცი.

ასეთ ოჯახურ გარემოცვაში დაიბადა გარეგინი, — თავის მშობლების ერთადერთი მემკვიდრე.

ამრიგად, შაბათ საღამოს, 8 საათზე, კარგად დაღამებულზე, გარეგინმა თავის საცოლესთან წასაყვანად გამომიარა.

— უკვე გავაფრთხილე, დღეს საღამოს ჩემი მეჯვარე მომყავს-მეთქი, — მითხრა.

— და რა გიპასუხა?

— მითხრა: მოხარული ვიქნებიო.

— მერედა, დაჟინებით არ მოგაჩერდა თვალებში? — გამეცინა.

— ჰო, — დაატანა როგორღაც შეწუხებულმა გარეგინმა, — არ ვიცი, ჩემში ნახა რამე საეჭვო, თუ ასეთი ჩვეულება აქვს: როცა გიყურებს, — გიყურებს დაჟინებით, ლაპარაკით კი ძალიან ცოტას ლაპარაკობს. და იცი, როცა ასე მიყურებს, თვალს ვერ ვუსწორებ.

— რატომ?

— არ შემიძლია. როცა ასე მიცქერის, მის მზერაში რაღაც იმალება, რაღაც ამოუცნობი და ეს უნებურად მაძრწუნებს.

— მაშ რა იყო, იმ საღამოს ისე აღფრთოვანებით რომ ლაპარაკობდი მის გამოხედვაზე, სწორედ ამ გამოხედვამ დამატყვევაო.

— მას ორნაირი გამოხედვა აქვს: ერთი — მკაცრი და გამჭვალავი, როცა დაჟინებით გიყურებს; მეორე — სევდიანი, მელანქოლიური, თუ შენ არ გიყურებს და თითქოს ავიწყდება, რომ იქა ხარ. აი, სწორედ ეს

გამოხედვა იყო, რომ მომხიბლა და ვისურვებდი, მუდამ ასეთი მენახა.

სწრაფად ჩავიცვი და გარეთ გამოვედით.

გარეგინი მოსულიყო ეტლით, რომელიც კართან გველოდებოდა. ეტლის უკანა მხარეს, ქაღალდში შეხვეული რაღაც იდო. გარეგინმა აიღო და მუხლებზე დაიდო.

— ტკბილეულობაა, — ამიხსნა. — ჯიბეში სხვა რაღაცეებიც მაქვს, — საყურეები. ბეჭედი კი უკვე უკეთია თითზე.

საყურეებსა და ბეჭედზე უფრო საპატარძლო მაინტერესებდა, ამიტომ ვკითხე:

— იმ ღამეს დამავიწყდა მეკითხა, რამდენი წლისაა?

— ვინ? სარა? არ მიკითხავს, მაგრამ მგონია, არც ისე პატარა უნდა იყოს. თუ ოცდახუთისა არა, ოცდაორისა მაინც იქნება, ხოლო როცა დაჟინებით მაცქერდება, მაშინ უფრო ხნიერი ჩანს.

— მაგრამ ისიც ხომ თქვი, როცა დაჟინებით მიცქერის, თვალს ვარიდებო, მაშ საიდან იცი, რომ ამ დროს უფრო ხნიერი ჩანს?

— ვგრძნობ. განა არ გამოგიცდია? ადამიანი ბევრ რამეს გრძნობს ალღოთი. მაგალითად, როდესაც კედელი ინგრევა, თვალებს ინსტიქტურად ხუჭავ, მაგრამ მაინც თითქოს აშკარად ხედავ, თავზე როგორ გენგრევა გრუხუნით.

— მერე და გამოგიცდია ეს? — გავიცინე მე.

— არა, მაგრამ ფსიქოლოგიურად ასე უნდა იყოს, სხვანაირად არ შეიძლება.

არ ვიცი რატომ, მაგრამ უნებურად გამომცდელად შევხედე თვალებში.

— მომისმინე, გარეგინ, — ვუთხარი. — გამოტყდი, რომ თუმცა უკვე დანიშნული ხარ და იმ ღამესაც ისეთი აღტაცებით ლაპარაკობდი მასზე, მაგრამ... გეშინია მისი.

— როგორ თუ მეშინია? — მკითხა უაზროდ, მაგრამ შევნიშნე, რომ შეშფოთდა.

— გეშინია, რაღა, უბრალოდ გეშინია, როგორც მოსწავლეს შეეშინდება გამოცდის დროს თავისი მასწავლებლისა. სწორედ ამის გამო ვერ შეგიხედია მისთვის, როცა დაჟინებით გიცქერის.

— ჰო, რაღაცნაირად ვკრთები ხოლმე...

— ალბათ იმიტომ გეჩვენება უფრო ხნიერად, დაქინებით რომ გიყურებს.

— საოცარია! ეს თითქოს სწორად შენიშნე. მის წინაშე თავს მოწაფესავით ვგრძნობ, რომელმაც გაკვეთილი არ იცის. როგორღაც ვიბუზები მარტო სხეულით კი არა, სულითაც.

— იმიტომ, რომ გგონია, ის მორალურად მაღლა დგასო ჩემზე, არა?

— როგორ თუ მორალურად?

— ესე იგი, თავისი შინაგანი ბუნებით — ნებისყოფით, ხასიათით, ჭკუით.

— იმ ღამით ხომ გითხარი, ჭკვიანია-მეთქი.

— შენ მხოლოდ გრძნობ, რომ ჭკვიანი უნდა იყოს, რადგან ალბათ, ჯერ არ გაგიზომავს მისი ჭკუის სიღრმე.

— მართალია. ძალზე ცოტას ლაპარაკობს, მაგრამ მისი მდუმარება უფრო მეტს მაგრძნობინებს, ვიდრე განუწყვეტელი ლაპარაკი მეტყოდა.

გარეგინის ამ სიტყვებზე მოულოდნელად ახალმა აზრმა გამიელვა თავში და მისი უცნაური საცოლე ძალზე სასაცილოდ წარმომიდგა.

— აჰ, ჩემო ბიჭო! — წამოვიძახე სიცილით, — იქნებ სწორედ პირიქით არის?

გარეგინმა გაოცებით შემომხედა, ალბათ იმიტომ, რომ ჩვენი სერიოზული საუბარი ერთბაშად ხუმრობაზე გადავიტანე.

— ესე იგი? — მკითხა.

— ესე იგი, ხომ შეიძლება ვინმე რეგვენი და სულელი იყოს, აი, ისეთი, ჩვეულებრივ ჩვენი პატრიარქალური ოჯახების გასათხოვარი ქალიშვილები რომ არიან.

— რას ამბობ? — წამოიძახა გარეგინმა ენერგიულად და ისეთი ხმით, თითქოს რაღაც მძიმე შეურაცხყოფა მიმეყენებინოს მისთვის. — საშუალო სკოლა დაამთავრა და პედაგოგიურ კურსებზე შესასვლელად ემზადებოდა. უნდოდა მასწავლებელი გამხდარიყო, მაგრამ მამამისმა მითხრა, მძიმე ოჯახურმა პირობებმა საშუალება არ მისცესო შეესრულებინა განზრახვა, მით უფრო, რომ ერთ წელზე მეტხანს სერიოზულად ავადმყოფობდა თურმე. ის კი არა, შენი ყველა ნაწარმოებიც წაუკითხავს და ძალიან კარგადაც გიცნობს.

— ჩემიც კი! აი ეს მომწონს! — განვაგრძე სიცილით.

— არა, გარწმუნებ, მიქაელ, განათლებული ქალიშვილია. აი, მიყალთ და თვითონვე ნახავ.

— რა თქმა უნდა, ვნახავ, მაგრამ გეტყვი, რომ ბევრ ასეთ განათლებულ ქალიშვილს ვიცნობ, რომელთა თავებიდან ორი კაპიკის ჭკუა თუ გამოდნება, ხომ იცი, ისინი მუდამ იმიტომ სდუმან, რომ თავი ცარიელი აქვთ.

— ვერ დაგეთანხმები, სულაც არ ვიზიარებ შენს შეხედულებას!— შემეკამათა გარეგინი სერიოზულად, — ვინც სდუმს, ის ჭკვიანია. ის სულელიც კი, რომელიც სდუმს, ჭკვიანია. ეს დუმილი ნიშნავს, რომ იმდენი ჭკუა ჰქონია, — ჩუმად მაინც იყოს, მაშ ესმის, რომ სულელია და დუმს, რათა არ გამოამჟღავნოს თავისი სისულელე.

გარეგინს საერთოდ უყვარდა განყენებული მსჯელობა და ზოგჯერ ჭკვიანურ აზრებთან ერთად ისეთ სისულელეს წამოროშავდა, რომ სიცილს ვერ ვიკავებდი. მე მიყვარდა მისი ეს გულუბრყვილო მსჯელობა.

III

ეტლი ერთ ვიწრო და ბნელ ქუჩაზე, რომელიღაც სახლის ეზოს გაღებული ჭიშკრის წინ გაჩერდა. სანამ ეტლიდან გადმოვიდოდით, კართან მდგომი ვიღაც ქალი სწრაფად გაუჩინარდა ნახევრად ბნელ ეზოში.

ეტლი გავისტუმრეთ, ეზოში შევედით და ჭრიალა, დაფერდებული კიბით ავედით მეტად ვიწრო აივანზე, რომელსაც მკრთალად ანათებდა კედელზე დაკიდებული ფარნები. ჩავუარეთ თეთრი ფარდებით მორთულ ფანჯრებს, საიდანაც შუქი გამოკრთოდა, და კარს მივადექით, რომელიც გარეგინმა შინაურივით დაუკაკუნებლად შეაღო და შემიპატიჟა.

ოთახი, რომელშიც მოვხვდით, ეტყობა სასტუმრო იყო. იქ არავინ დაგვიხვდა, მაგრამ ძველებური ყაიდის დივანთან მრგვალ მაგიდაზე ანთებული ლამპა გვაუწყებდა, რომ აქ სტუმრებს ელოდნენ.

გარეგინმა კედლის გასწვრივ ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულ ერთ-ერთ სკამზე შეხვეული ტკბილეული დადო, ქუდი და პალტო მეორეზე, გაისწორა თმა, ყელსახვევი და შემეპატიჟა, მომბაძეო.

მდუმარედ დავსხედით და დაველოდეთ.

ოთახის მოწყობილობის მიხედვით შეიძლებოდა დაგვესკვნა, რომ სახლის პატრონი მდიდარი არ იყო, მაგრამ შეძლებისდაგვარად ცდი-

ლობდა დაეფარა ხელმოკლეობა. საოცრად მოძველებული ყაიდის დივანისა და ხსენებული მაგიდის გარდა, ოთახში სხვა ნივთებიც ელაგა. წითელი ხავერდის ხაო დივნის დასაჯდომზე და ზურგის მისაყრდნობზე ჩაწეულიყო და გარუხებულიყო. დივანთან საკმაოდ დიდ მრგვალ მაგიდას ყვავილებიანი სუფრა ეფარა, რომლის ბოლოები ძლივს ფარავდა მის სამტოტიან ფეხს. დივანის აქეთ-იქით ორი სავარძელი იდგა. ერთს ზურგი გატეხილი ჰქონდა. იქვე ჩამწკრივებულიყო თორმეტიოდე სკამი. ოთახში სამი სარკე იყო — ერთი დივანის ზემოთ ისე ეკიდა კედელზე, რომ დივანს ზედ დაჰყურებდა, დანარჩენი ორი ერთმანეთის პირდაპირ იყო აყუდებული კედელთან, როგორც სადალაქოში. ამ სარკეებთან ბანქოს სათამაშო ორი მაგიდა იდგა, თვითეულზე ბრინჯაოს წყვილი, ჟანგიანი შანდალი იდგა აუნთებელი სანთლებით და შუშის ბრჭყვიალა საკიდებით. ოთახის მთელი ამ მოწყობილობის ქვეშ სიგრძით, იატაკზე, სიძველისაგან ხაოგაცვეთილი და ალაგ-ალაგ ძაფებამოძენძილი დიდი, განიერი ხალიჩა ეფინა. ერთ-ერთ კედელში ორი კარადა შევნიშნე, მათ დასაფარავად ზედ კედლებისნაირი შპალერი გაეკრათ. მრგვალ მაგიდაზე ალბომი და შავი ტყავისყდიანი წიგნი იდო.

გარეგინმა წიგნი აიღო, გადაშალა და მაშინვე გამომიწოდა:

— აი, ხომ გეუბნებოდი!

წიგნი გამოვართვი და შევათვალიერე.

— რას მეუბნებოდი?

— რომ ძალიან განათლებული ქალიშვილია-მეთქი.

ეს იყო ჟიულ სიმონის წიგნის — „მუშა ქალი ევროპაში“ რუსული თარგმანი.

— როგორ ფიქრობ, — ვკითხე, — დაავიწყდა ამ წიგნის აქედან აღება, თუ განგებ დატოვა?

— რატომ განგებ?

— რომ ეჩვენებინა: ნახეთ, რა წიგნებს ვკითხულობო.

— ვითომ?

და ისევ გავჩუმდით.

ჩემს მეგობარს თვალყურს ვადევნებდი. მოუსვენრობა ეტყობოდა, ოდნავ ღელავდა, ალბათ იმიტომ, რომ სტუმრად მომიყვანა და არავინ გამოგვეგება, არც შემდეგ გამოჩნდა ვინმე. ლაპარაკობდა ჩუმად და წყნარად, ხან მოუთმენელ, ხან შეშინებულ მზერას ესროდა მეზობელი

ოთახის კარს, რომელიც იმაზე უფრო პატარა და დაბალი იყო, რომლითაც ჩვენ შემოვედით.

— იქნებ არ იციან, რომ მოვედით? — ვუთხარი.

— სს... — წაიჩურჩულა გარეგინმა, თითი ტუჩებთან მიიდო, თვალები ფართოდ გაახილა და სმენად იქცა.

მეზობელი ოთახიდან ჯერ რაღაც ყრუ ჩურჩულის ხმა მოისმა, შემდეგ ქალის ნერვული წამოკივლება, მერე კი ყველაფერი ისევ მიყუჩდა.

გაფითრებული გარეგინი წამოდგა, მეზობელი ოთახის კარს მიაყურადა და ადგილზე გაიყინა.

— ეს რა იყო? — ვიკითხე გაკვირვებულმა.

— მისი ხმა იყო, — დაბნეულად წაიჩურჩულა გარეგინმა.

— ვის ელაპარაკებოდა?

— ალბათ დედას.

ერთხანს იდგა ასე გაქვავებული, შემდეგ ნელა დაეშვა სკამზე და საიდუმლოდ ჩამჩურჩულა:

— ადრევე შევნიშნე, დედასთან კარგად არ არის.

— რატომ?

— არ ვიცი.

— კარგი დრო კი მოუნახავთ საჩხუბრად! — ვთქვი მცირე დუმილის შემდეგ.

გარეგინს არ უპასუხია.

ისევ გავჩუმდით და განვაგრძეთ ლოდინი. ახლა უკვე უხერხულად ვგრძნობდით თავს, განსაკუთრებით გარეგინი.

ბოლოს მეზობელი ოთახის კარი გაიღო და შემოვიდა სრული, დაბალი ტანის, ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა და სანდომიანი სახის ქართულად ჩაცმული ქალი.

გარეგინი აჩქარებით შეეგება, ხელზე აკოცა და ერთმანეთს გაგვაცნო.

სპატარძლოს დედა გახლდათ.

მანდილოსანმა ტუჩების მანჭვით, გაუბედავად მომმართა ნახევრად თბილისური დიალექტით, ნახევრად ლიტერატურული ენით და მოიბოდიშა, რომ ამდენი გვალოდინა, შემდეგ დაიწყო რაღაცის მოყოლა, თითქოს მისი დისწული მოულოდნელად ავად გახდა, ვითომ მოვიდნენ და წაიყვანეს, რომ ბავშვი ახლა, მადლობა ღმერთს, კარგად არის და

თვითონაც ეს-ესაა დაბრუნდა. აშკარად ჩანდა, ტყუოდა. უნდოდა რო-გორმე გაემართლებინა სტუმრების ასე უცნაური მიღება და დაემალა შეზობელ ოთახში მომხდარი უსიამოვნება.

დავსხედით, მაგრამ ამ უსიამოვნო შთაბეჭდილების კვალი ჯერ კი-დევ ისე ძლიერი იყო, რომ კრინტი ვერ დავძარით. მდგომარეობა უაღ-რესად უსიამოვნო, ხოლო დუმილი მეტად აუტანელი გახდა.

— სად არის სარა? — დაარღვია ბოლოს სიჩუმე გარეგინმა ისე წყნარად, თითქოს მეზობელ ოთახში ავადმყოფი წევსო.

— ახლავე გამოვა, — უპასუხა სიდედრმა და მსუქან ლოყებზე ჩამოშლილ წაბლისფერ კავებს გრეხა დაუწყო.

— მამა?

გარეგინი თავის მომავალ სიმამრს უკვე მამას ეძახდა.

— შაბათ საღამოობით ყოველთვის ცოტა იგვიანებს, — მოკლედ უპასუხა სიდედრმა.

ასე კიდევ ცოტა ხანს გაგრძელდა საუბარი, რომელიც დრო და დრო წყდებოდა. ყველას ერთი ფიქრი გვიტრიალებდა — ველოდით სარას, მათ შორის მე ყველაზე მოუთმენლად.

ბოლოს, ისიც შემოვიდა.

IV

წინასწარ მომზადებული რომ არ ვყოფილიყავი გარეგინის ნაამბო-ბით, ვიფიქრებდი, ქალიშვილი კი არა, მოწიფული ქალი შემოვიდა-მეთქი. საშუალო, მაგრამ მოხდენილი ტანადობის მანდილოსანს მეტის-მეტად აფუებული გულმკერდი ჰქონდა, რაც სულ არ შეეფერებოდა მის წვრილსა და მოქნილ სხეულს. პირველი შეხედვითვე მიეხვდი, რა-ტომ შეუყვარდა გარეგინს „დანახვისთანავე", თუმცა მთელი ჩემი ცდა, ამ საღამოს შემენიშნა მის თვალებში „მოვალალე გამომეტყველება", რამაც ასე დაატყვევა ჩემი მეგობარი, უშედეგო აღმოჩნდა. მისი გამო-ხედვა, პირიქით, ძალზე სერიოზული და გამქვალავი იყო და მის ნაზ, უზადო სახეს რაღაცხაირ მკაცრ გამომეტყველებას ანიჭებდა. ვერ ვიტყვი პირველი შთაბეჭდილება სასარგებლო იყო-მეთქი მისთვის, უმთავრესად პირქუში გამოხედვის გამო, თუმცა ჩემს წინ იდგა ნამ-დვილი თავისებური ლამაზმანი, რომელსაც თავისი გარეგნობით შეეძ-ლო ჩემს მეგობარზე უფრო ფაქიზი გემოვნების ადამიანიც მოეხიბლა.

სარა ჩქარი, ნერვიული ნაბიჯებით შემოვიდა, თითქოს სასოწარკვე-

თილი გადაწყვეტილების ძალუმმა ბიძგმა შემოაგდოო, და მაშინვე თავის ერთი გაქნევით მხრიდან უკან გადაიგდო სქელი ნაწნავი, რომელიც სრულებით არ უხდებოდა მის არაქალწულებრივ გარეგნობას. ჩვეულებრივი საშინაო — სრულიად უბრალო, მაგრამ გემოვნებით შეკერილი და ძალიან სუფთა კაბა ეცვა. საშინაო კაბა და აწეწილი თმა გვაფიქრებინებდა, რომ სრულებითაც არ ემზადებოდა ჩვენს მისალებად, არც ჩვენთან შეხვედრას ანიჭებდა რაიმე მნიშვნელობას. წუთით მომეჩვენა, ალბათ, ამით თუ აიხსნება-მეთქი მისი და დედამისის ჩხუბი მეზობელ ოთახში.

მისი შემოსვლისთანავე გარეგინი წამოხტა, მიირბინა, უნდოდა ხელი გაეწოდებინა, მაგრამ რაკი სარამ ყურადღება არ მიაქცია და თვალი მე მომაპყრო, ხელი უკანვე წაიღო და წაიჩურჩულა:

— ეს... ჩვენი მეჯვარეა.

მე მივაშურე და წარვუდექი. სარას კრინტი არ დაუძრავს, მხოლოდ ოდნავ დამიქნია თავი, ხელი ჩამომართვა და თვალებში ჩამაცქერდა „დაჟინებულად", როგორც გარეგინი ამბობდა. მერე ოფიციალურად და ცივად მთხოვა დავმჯდარიყავი, თვითონაც მოშორებით დაიჭირა ადგილი ამაყად თავაწეულმა ისე, რომ საქმროსათვის ყურადღება არ მიუქცევია. თამამ და გამჭვალავ მზერას არ მაშორებდა, რომლითაც, ვფიქრობ, ამბობდა: „ჩემს სანახავად მოსულხართ? ინებეთ, მიყურეთ, რამდენიც გენებოთ. თქვენი არც მეშინია, და არც რაიმე მნიშვნელობას ვაძლევ თქვენს აზრს. ყველანი მეზიზღებით... და გაიძულებთ დაივიწყოთ თქვენი ბილწი ჩვეულება, — ქალიშვილებს გასაყიდი ცხენებივით უყურეთ".

მართლა ამას მეტყველებდნენ მისი თვალები, თუ ასე მეჩვენებოდა მისი გამოხედვის შთაბეჭდილების გამო — არ ვიცი, მაგრამ უნებურად დავიბენი და გავექეცი ამ მზერას, რადგან ვიგრძენი — ჩემს წინ ერთი „გასაყიდი ცხენთაგანი" იჯდა, რომელიც თავგამოდებით იცავდა თავის ადამიანურ ღირსებას და იცოდა, რა პასუხი გაეცა ამ ღირსების შემლახავისათვის.

ქალიშვილის მოსვლის შემდეგ დედა მალე ადგა, რაღაც ჩასჩურჩულა, ბოდიში მოიხადა და ოთახიდან გავიდა. სარამ მტრული მზერით გააცილა. ნათელი იყო: დედა ეჯავრებოდა და ამის დამალვას არც ფიქრობდა.

გარეგინი, თითქოს რაღაც გაახსენდაო, წამოვარდა, ჯიბიდან საყუ-

რეების კოლოფი ამოიღო, გახსნა და იმგვარად დაიჭირა ლამპასთან, თითქოს უნდოდა მოშორებით მჯდომი საცოლე ამით მოეხიბლა და მიეზიდა. ლამპის შუქზე ბრილიანტები მსხვილი ვარსკვლავებივით აციმციმდნენ.

— ეს ჩვენი მეჯვარის საჩუქარია, — თქვა გარეგინმა, შემომხედა და არ ვიცი, სულელურად თუ ეშმაკურად გაიღიმა.

გოცებით შეეხედე. თუ ხუმრობდა — საკმაოდ სულელური ხუმრობა იყო. ჩემმა სერიოზულმა და საყვედურიანმა შეხედვამ იმოქმედა მასზე, როგორც, ჩანს, მიხვდა თავის სისულელეს და გაწითლდა, ბაგრამ ისევ იღიმებოდა.

— ჩემი მეგობარი ხუმრობს, ქალიშვილო, — მივმართე სარას, — ეს საჩუქარი თვითონ მოგართვათ.

— რასაც შენ სისულელეს უწოდებ, — არ ვიცი, საიდან და რისთვის მოიგონა, სწრაფად დაუმატა გარეგინმა და ამჯერად გაიცინა.

სარა ხან მე მიყურებდა, ხან გარეგინს. ჩანს, გაკვირვებული იყო და არ ესმოდა რას ვლაპარაკობდით. მიზიდვას ვინ ჩივის, ყურადღებაც კი არ მიუქცევია ამ ავბედითი საყურეებისათვის.

— კარგი, საყურეები თუ ჩემი საჩუქარია, ეს ვიღასია? — იკითხა გარეგინმა, სკამიდან შეხვეული ტკბილეული აიღო, გახსნა და საყურეების კოლოფის გვერდით დადო. — ეს ხომ შენი მოტანილია?

და ამჯერად სწორედ იდიოტივით გადაიხარხარა.

მან უკვე შეტოპა და მეც აღარ ვუბრაზდებოდი, რადგან, ნათლად ვხედავდი, სიხარულს გაესულელებინა და ვერ ამჩნევდა, რომ თავისი ქცევითა და სიტყვებით უფრო როგორ აოცებდა დანიშნულს.

სარას თვალყურს ვადევნებდი. გაცბუნებული ხან მე შემომხედავდა, ხან საქმროს. ერთი რამ მიკვირდა: როგორ მოხდა, რომ ასეთი, უეჭველად ჭკვიანი და სერიოზული ქალიშვილი, ნიშნობის საღამოს, როცა მისი საქმრო ბევრ ასეთ სისულელეს ჩაიდენდა, ვერ მიხვდა და დათანხმდა მის ცოლობაზე. საქმრო რომ სრულებით არ მოსწონდა სარას და ზემოდან დასცქეროდა, ამას ცხადად ვხედავდი.

მაგრამ ჩემი მდგომარეობა უფრო მაფიქრებდა. საქმე ის იყო, რომ მეშინოდა ჩემს მეგობარს თავისი სულელური ქცევით არ შეეერცხვინე სარას წინაშე, რომელიც საოცარია, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ არ ლაპარაკობდა და განუწყვეტლივ გვიცქეროდა გაკვირვებული, ერთ-

გვარ შიშს მგვრიდა და მაიძულებდა ფხიზლად ვყოფილიყავი. ამიტომ ვცადე ბოლო მომეღო გარეგინის სისულელისათვის, ვისარგებლე, რომ ხელში ეიულ სიმონის წიგნი მეჭირა და ვკითხე:

— ამას თქვენ კითხულობთ, ქალიშვილო?

— არა, — მკვახედ მიპასუხა.

— მაშ რატომ დევს აქ? — ჩაერია გარეგინი.

სარამ მას ხმა არ გასცა და მე მომმართა:

— ერთ ამხანაგს ჰქონდა წაღებული წასაკითხად და დღეს საღამოს დამიბრუნა.

— მაშ ეს წიგნი შენია? — ჰკითხა გარეგინმა, ადგა, სარასთან მივიდა და ახლოს მიუჯდა.

ეს „შენ“, როგორც ჩანს, საკმაოდ უსიამოდ მიიჩნია სარამ. კოპები შეკრა, წამწამებს ქვემოთ გამოხედა და ყოყმანის შემდეგ უპასუხა:

— დიახ!

— უკვე წაიკითხე? — ჰკითხა გარეგინმა, ალბათ, გახარებულმა, რომ დანიშნულთან ლაპარაკის შემთხვევა მიეცა. სულ ვერ ამჩნევდა, რომ ეს შეკითხვები და, განსაკუთრებით, მისი სიახლოვე სარას, როგორც მისი სახის გამომეტყველებით დავასკვენი, აშკარად არ მოსწონდა.

სარა უცბად ადგა, ჩქარი ნაბიჯით მომიახლოვდა.

— მაპატიეთ, მომეცით ეგ წიგნი, შევინახო.

სანამ წიგნს მივაწოდებდი, ხელიდან გამომართვა, გამომართვა ისე, რომ უფრო გამოგლეჯას ჰგავდა, საჩქაროდ წაიღო და სარკის წინ კედელთან მაგიდაზე დააგდო. შეკავებული სიბრაზისაგან სახე შეუფაკლდა, მისმა თვალებმა კი ბოროტად დაიკვესეს.

საპატარძლოს ამ ფრიად უცნაურმა — თუ არ ვიტყვი, უხეშმა მოქმედებამ საბრალო საქმროს საქციელი წაუხდინა. გარეგინი ჯერ ადგილზე გაქვავდა, შემდეგ, როცა სარა თავის ადგილს დაუბრუნდა და მოღუშული დაჯდა, თითქმის შეშინებულმა თავისი სკამი ოდნავ გასწია.

— გაწყენინე? — კრძალვით ჰკითხა გარეგინმა.

— საერთოდ არ მიყვარს, როცა მცდიან, — მკაცრად უპასუხა სარამ და არც კი შეხედა.

— კი მაგრამ, როდის გამოგცადე? — წაილუღლუღა ჩემმა საბრალო მეგობარმა.

— თქვენ (სარამ განსაკუთრებით გახაზა ეს „თქვენ“) — ამ წუთს მკითხეთ, წამიკითხავს თუ არა ეს წიგნი? მითხარით, თუ შეიძლება, ვითომ რატომ არ შემეძლო წამეკითხა?

გარეგინი მთლად მოიკუნტა.

— მე... ბოდიშს ვიხდი... არ ვფიქრობდი... ისე ვიკითხე... რომ მცოდნოდა... შენ ტყუილუბრალოდ...

— გთხოვთ, ნუ მელაპარაკებით „შენობით“ — უცებ გააწყვეტინა სარამ ისეთი ტონით, რომ მომეჩვენა — ამ სიტყვების მაგივრად სილა რომ გაეწნა, შთაბეჭდილება არ შეიცვლებოდა.

ჩემი საბრალო მეგობარი გაფითრდა და გაჩუმდა. ისეთი საცოდავი სახე ჰქონდა და მთელი ეს სცენა იმდენად მძიმე იყო ჩემთვის, რას არ მივცემდი, ოღონდ ამ წუთს იქ არ ვყოფილიყავი.

ღმერთმა იცის, რით გათავდებოდა ახალდანიშნულთა ეს უცნაური კონფლიქტი (გული კი მიგრძნობდა რაღაც საკმაოდ ცუდი სკანდალის მოახლოებას), რომ საბედნიეროდ, ამ წუთში სარას მამა არ შემოსულიყო.

საბრალო გარეგინი იმდენად იყო შემკრთალი, რომ სულ დაავიწყდა ჩემთვის თავისი სიმამრი გაეცნო. ამიტომ თავად გავეცანი.

V

ბაღირიანი მაღალი ტანის, მაგრამ წელში მოხრილი ჭარმაგი მოხუცი იყო, შევერცხლილი თმა და მხიარული თვალები ჰქონდა. როცა ამ ეშმაკურად მოღიმარე თვალებს შეხედავდით, იფიქრებდით, ეს ადამიანი ალბათ საერთოდ არც ნაღვლობს და არც ბრაზდებაო. ძალზე თავაზიანად მიმიღო და თავიდანვე ისეთ გუნებაზე დამაყენა, თითქოს ძველი მეგობრები ვიყავით.

პირველი გაცნობისას მიღებული სიტყვების შემდეგ მასპინძელმა რომ დასაჯდომად მიმიწვია, სარა უკვე აღარ იყო ოთახში.

— ოჰო! სუვენირი? — წამოიძახა ბაღირიანმა მაგიდაზე გახსნილ ყუთში ხავერდის ბალიშზე დაბნეული ოქროს საყურეების დანახვაზე. ჯერ მე, მერე სიძეს გამომცდელად შემოგვხედა, თითქოს უნდოდა გამოეცნო, ვისგან არისო ეს საჩუქარი. წაიდუდუნა „ჰმ“, ჟილეტის ჯიბიდან სათვალე ამოიღო, ცხვირზე გაიკეთა, ყუთი აიღო, ლამპასთან მიიტანა და თვალიერება დაუწყო. იგი ხან სათვალის ზემოდან, ხან

ქვემოდან, ხან სათვალით უცქეროდა საყურეებს, სასაცილოდ იქნევდა თავს და წარბებს ათამაშებდა. შემდეგ შეხვეული ტკბილეული გახსნა და გარეგინს ჰკითხა:

— ვინ გასწავლა, დანიშნულს ასეთი საჩუქრები მიუტანეო? მე კი ბატკანივით მიამიტი მეგონე. აი, შე ეშმაკო, შენა!

ერთი ხელი მკერდზე მიადო, მეორე ზურგზე და სიცილით შეუღიტინა.

მაგრამ გარეგინი ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო. შებოჭილივით საცოდავად იჯდა ადგილზე. სიმამრის მამობრივი, ალერსიანი სიტყვების საპასუხოდ უნდოდა რამე ეთქვა, მაგრამ კრინტიც ვერ დაძრა და მხოლოდ შესაბრალისად გაიღიმა.

ბაღირიანმა თითქოს ახლა შეამჩნია, რომ გარეგინს რაღაც შემთხვეოდა, გამომცდელად ჩახედა თვალებში, ახლოს მიუჯდა, სერიოზული სახე მიიღო და ჰკითხა:

— რა მოხდა? ხომ არავინ გაწყენინა?

ცრემლნარევმა ღიმილმა სახე დაუმანჭა გარეგინს და ყოყმანით უპასუხა:

— არა, მე ვაწყენინე.

ბაღირიანმა თავი ასწია და სათვალიდან გამოხედა.

— ვის?

— სარას.

ბაღირიანმა თავი დახარა და ახლა სათვალის ზემოდან გადმოხედა.

— როგორ?

— არ ვიცი, — ჩაილუღლუღა გარეგინმა და დატუქსული ბავშვივით დახარა თვალები. — ეგონა, მისი გამოცდა მინდოდა, მე კი ეს არც მიფიქრია. ბოდიში მოვუხადე... არ მაპატია... წავიდა.

და საცოდავმა კინაღამ ტირილი დაიწყო. „ვაი, საბრალო დიდო ბავშვო“, გავიფიქრე და უნებურად გავიღიმე.

— სულ ეს იყო? — ჰკითხა ბაღირიანმა.

— მერე... ეწყინა, რომ „შენობით“ ველაპარაკებოდი.

ბაღირიანმა უცებ ისე გადაიხარხარა, რომ სათვალე ჩამოუვარდა და კისერზე ჩამოდებულ ყაითანს დაეკიდა.

— ვაიმე, ვაიმე, — წამოიძახა. — ხედავთ, რა მომხდარა! ახლა ხომ ყველაფერი ჩაიფუშა, დაიღუპა, ყველაფერს ბოლო მოეღო, გათავდა, ჯანდაბაში, ჯოჯოხეთში გადაიკარგა! ახლა რაღა ექნათ?

თან ისეთი კომიკური შეშფოთებით გვიყურებდა ხან მე, ხან გარეგინს, რომ სიცილი ვერ შევიკავე.

მაგრამ რაკი გარეგინს გაცინების კი არა, გაღიმების თავიც არ ჰქონდა, ბაღირიანმა უცებ სერიოზული სახე მიიღო, ყაითანზე დაკიდებული სათვალე ჟილეტის ჯიბეში ჩაიდო, ცალი ხელი სასიძოს მოხვია და დაამშვიდა:

— არა უშავს, შვილო, არაფერია, გულს ნუ გაიტეხ! ასეთ წვრილმანებს რომ გამოეკიდო, სად წაგიყვანს? თქვენ ხომ ჯერ არ იცნობთ ერთმანეთს. სულ რაღაც ორი დღეა. რაც დრო გავა, უკეთ გაიცნობთ, გაუგებთ და შეიყვარებთ ერთმანეთს. თანაც გაცნობისას ჩხუბი კარგი ნიშანია, ბოლოს იქნებ ერთმანეთის მზეს ფიცულობდეთ. თუმცა რა დაგიმალო და ცოტა უცნაური ქალიშვილია, ნერვული, მაგრამ მის ლაპარაკს ყურადღებას ნუ მიაქცევ. სამაგიეროდ, გული სწორედ რომ მტრედისა აქვს. ასანთივით უცებ აენთება და მაშინვე ჩაქრება. ასეთი გაჯავრება იცის. აი მალე ღვთის ნებით დაქორწინდებით, ცხოვრებას ერთად დაიწყებთ და ნახავ, მართალს ვამბობ თუ არა.

გარეგინი სიმამრის ამ ენამზიანობამ დაამშვიდა და მოალერსებული ბავშვივით გაიღიმა.

— ჩემს საჩუქარს არც შეხედა, — შესჩივლა გარეგინმა.

— ამ მშვენიერ საყურეებს? ჰმ! ნამდვილად მიამიტი კაცი ყოფილხარ და ქალისა არაფერი გცოდნია! მითხარი, გეთაყვა, განა შეიძლება ქალმა ასეთ ნივთს ყურადღება არ მიაქციოს? ბატონო მარქარიან, ასეთი რამე შეიძლება? — მკითხა და თვითონვე უპასუხა: — რასაკვირველია, არა. ჰო, მართალია, სარა სხვებივით ბრიყვი არ არის, — დაეშატა და ისევ გარეგინს მიუბრუნდა, — საჩუქარს მაშინვე გაფართქალებული არ ეტაკება. დინჯი, ჭკვიანი, ინტელიგენტი ქალიშვილია, მისთვის ასეთ ზიზილ-პიპილებს შეიძლება დიდი მნიშვნელობა არც კი ჰქონდეს. მაგრამ, ვიმეორებ, ისიც ხომ ქალია, გაიგე, ქალი, — და რაკი საჩუქარი მოუტანე, ხომ უკვე მისი საკუთრებაა. როცა მარტო დარჩება, მაშინაც შეუძლია დაათვალიეროს, გაიკეთოს ყურზე, იტრიალოს სარკის წინ და გაიხაროს. რას იტყვით, მართალს არ ვამბობ, ბატონო მარქარიან?

იძულებული ვიყავი, დავმოწმებოდი ამ ყბედ მოხუცს, რადგან მისი საიდუმლო გამოხედვა და ლაპარაკის კილო პირდაპირ შველას მთხოვდა — სასიძოს გატეხილი გული როგორმე გაგვემთელებინა.

კავების სწორებით შემოვიდა ბაღირიანის ცოლი. საყურეების დანახვაზე აღფრთოვანებისა თუ შურისაგან თვალები გაუბრწყინდა (ჭალარა ქმრის გვერდით ეს ქალი კიდევ უფრო ახალგაზრდა მეჩვენა).

გარეგინს ადრინდელი განწყობილება ისევ დაუბრუნდა და გულუბრყვილოდ, მხიარულად ალაქლაქდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

მაგრამ მალე მხიარული განწყობილება კვლავ შეეცვალა და ჰიზეზი ისევ მისი დანიშნული იყო.

ჩვენი საუბრის დროს სარამ ლანგარით ჩაი შემოიტანა.

ამ დროს გარეგინი ფეხზე იდგა და მისთვის დამახასიათებელი გულუბრყვილობით რაღაცას ფილოსოფოსობდა. დანიშნულის დანახვისთანავე ისე გაჩუმდა, როგორც მოწაფე მასწავლებლის დანახვაზე, რომელიც რაღაც ცუღლუტობაში დაიჭირეს. მაშინვე დაჯდა და სარას შეშინებული მიაჩერდა.

რაღაც უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. სარას არავისთვის არ შეუხედავს, ისე ჩამოარიგა ჭიქები ამ სიჩუმეში. მეგონა, ყველაზე უფრო სარას დააბნევდა ეს სიჩუმე, რადგან თვითონ იყო ამის მიზეზი და ყველანი მას შევცქეროდით. მაგრამ, არა. პირიქით, ძალზე მშვიდად ეჭირა თავი. მამას რომ მიუახლოვდა, ბაღირიანმა კეთილი, მაგრამ დამცინავი ღიმილით ქვემოდან შეხედა დახრილ თვალებში და შენიშნა:

— მითხარი, რატომ აწყენინე ამ ჩვენს საყვარელ ბატონს?

სარამ არაფერი უპასუხა.

— შემომხედე!

თვალებდახრილი სარა ლანგარით ხელში რაღაც ავისმომასწავებელი სიმშვიდით იდგა მამის წინ და ელოდა, როდის აიღებდა ჭიქას.

— ვის ვეუბნები? შემომხედე! — გაიმეორა მამამ.

სარა ისევ ქანდაკებასავით ჩუმად იდგა. შეევნიშნე, ლანგარი ოდნავ ათრთოლდა მის ხელებში.

— ნახე, რა ლამაზი საჩუქარი მოგართვეს, — უთხრა მამამ, საყურეების ყუთი აიღო და ნელა მიუტანა სახესთან.

მაგრამ სარა უცებ ნერვულად შეტოკდა, თავი უკან გადასწია, ცალი ხელით ლანგარი დაიჭირა, მეორე უკანასკნელ ჭიქას წაავლო, მამის წინ დადო და კარისაკენ გაემართა. სახით ისეთ შეკავებულ გულისწყრომას გამოხატავდა, რომ პირდაპირ შეძრწუნებული ველოდი, საცაა ჩხუბი ატყდება-მეთქი.

— ოჰო, ეს რასა ჰგავს, — ხუმრობანარევი სერიოზულობით გაადევნა მამამ, — აშკარად თავს გვჭრი.

სარა უცებ შედგა კართან, მამას გამგმირავი მზერა ესროლა და საოცრად სერიოზულად შენიშნა:

— მამა, ნამდვილად არ მესმის, ეს რა საქციელია! ბავშვი ვარ, თუ რა?

სიტყვის დამთავრებისთანავე შეტრიალდა, გავიდა და კარი გაიჯახუნა.

— უი, ქა! — გაცბუნებით წარმოთქვა ბაღირიანის ცოლმა და გაოცების ნიშნად დამუშტული ხელი ტუჩზე მიიდო.

ბაღირიანი ჯერ აღშფოთდა, მაგრამ მალე მოერია თავს და ისე შემომხედა, თითქოს ბოდიშს ითხოვსო მომხდარი უსიამოვნების გამო.

— ხომ გეუბნებოდით, ნერვულია-მეთქი; თანაც დღეს, ეტყობა, საძაგელ გუნებაზეა. ვთქვათ, მე დამნაშავე ვარ, არა, ჩემო ფისუნიავ? — მიუბრუნდა გარეგინს და შინაურულად გადახვია ხელი. — გესმის? ფისუნიას გეძახი და არა სიძუნიას! [1] დამნაშავე მუდამ ჩვენ ვართ, — მე და შენ, შენ და მე.

და მხოლოდ იმიტომ, რომ ქალიშვილის უცნაური საქციელით შეშფოთებული საერთო უსიამოვნო განწყობილება გაეფანტა, ბაღირიანმა ხმამაღლა გადაიხარხარა.

მაგრამ ისე გამიფუჭდა გუნება, რომ ძლივს გავიღიმე. ოღონდ მოხუცისათვის მესიამოვნებინა. პირდაპირ მრცხვენოდა, რომ იძულებული იყო უადგილოდ ეოხუნჯა, თავისი და ცოლის უხერხული მდგომარეობის დასაფარავად. თითქოს მე, — ეს გარეშე, უცხო პიროვნება — დამნაშავე ვიყავი, რომ მათი ოჯახური უსიამოვნების მოწმე გავხდი. და დარწმუნებული რომ ვყოფილიყავი, უზრდელად არ ჩამთვლიდნენ ან უფრო არ გავაღრმავებდი მათს მძიმე მდგომარეობას, მაშინვე ავდგებოდი და წავიდოდი. ამიტომ იძულებული გავხდი „დავმტკბარიყავი“ მეორე ჭიქა ჩაითაც, რომელიც ამჯერად ქალბატონმა ბაღირიანმა მოიტანა, რადგან სარა აღარ გამოჩენილა. შემდეგ ცოტა ხილით „ჩავიტკბარუნეთ“ პირი, ისე, რომ სარას ნახვა მაინც არ გვე-

---

[1] აქ სიტყვების თამაშია: ფსიხეკ (ფისიკ) „ფისუნია“ (ე. ი. ფისო კნინობითში), ფსეხეკ (ფესიკ) „სიძუნია“ (ე. ი. სიძე — ფსეხა „ფესა“ — კნინობითში). (მთარგ. შენიშვნა).

ღირსა. ბალირიანი რამდენჯერმე გავიდ-გამოვიდა, ცდილობდა ისევ ეოხუნჯა, უნდოდა როგორმე აეხსნა და გაემართლებინა ქალიშვილის წასვლა, მაგრამ ამანაც ვერ უშველა და არა მარტო ჩვენ, მასაც კი საბოლოოდ გაუფუჭდა გუნება.

ავდექი, მადლობა გადავიხადე, უარი ვთქვი ვახშამზე, რომელიც. რა თქმა უნდა, მარტო ზრდილობისათვის შემოგვთავაზეს ბალირიანებმა და გამოვეთხოვე.

ეტყობა გარეგინს დარჩენა უნდოდა, მაგრამ როცა დაინახა, წასვლა დავაპირე, ისიც ადგა. სიდედრ-სიმამრი, შეიძლება ჩემი მიზეზითაც, მაინც და მაინც არ მიეძალნენ, დარჩიო.

გარეთ ერთად გამოვედით.

VI

დიდხანს უხმოდ მივდიოდით. გარეგინი სულიერად უზომოდ დათრგუნვილი ჩანდა.

— ეს არის შენი ჭკვიანი, მეტად განათლებული და არ ვიცი, კიდევ სხვა რა მრავალი ღირსებით შემკობილი ქალიშვილი? — ბოლოს, როგორც იქნა, ავლაპარაკდი.

გარეგინს არაფერი უპასუხნია. ვგრძნობდი: ყველაზე უფრო ის აწუხებდა, რომ დანიშნულმა ჩემს წინაშე არა თუ არ გაამართლა მისი ქება, ხასიათის ისეთი თვისებებიც გამოამჟღავნა, რომელიც საქმროსთვისაც მოულოდნელი იყო. თავს მოვალედ ვთვლიდი მეგობრისათვის მეთქვა ყველაფერი, რისი თქმაც აუცილებლად მიმაჩნდა, რომ მერე ჩემი მხრით გაუფრთხილებლობაც დანაშაული არ ყოფილიყო. ამიტომ პირდაპირ დავიწყე:

— მე მგონია, თვითონვე გრძნობ, რომ შენი ეს დღევანდელი დარბაზობა უკანასკნელი უნდა იყოს, რასაკვირველია, თუ ოდნავი თავმოყვარეობა მაინც გაქვს.

— როგორ თუ უკანასკნელი? — ანგარიშმიუცემლად მკითხა გარეგინმა.

— ისე, უბრალოდ: ახლავე ხელი უნდა აიღო ამ ქალზე. თქვენი შეუღლება შეუძლებელია.

გარეგინმა მაშინვე არ მიპასუხა, მაგრამ მერე ნათქვამით მივხვდი, რომ ისიც ჩემსავით საგონებელში ჩავარდნილიყო.

— მერედა შემიძლია? — ნელა და ისეთი კილოთი წარმოთქვა, თითქოს საკუთარ ფიქრებს უპასუხაო.

ხმაზე შევნიშნე, ნერწყვი გადაყლაპა.

უნებურად შევჩერდი და გაოცებით შევხედე.

— როგორ, ნუთუ ისე შეგიყვარდა, რომ არ შეგიძლია?

— ჰო, არ შემიძლია... სწორედ რომ არ შემიძლია, — მიპასუხა ცრემლმორეული ხმით და თვალი ამარიდა.

— მერედა მისთვის შენს სიყვარულს რა ფასი აქვს? ხომ ხედავ, არ მოსწონხარ. თანაც არ მოსწონხარ კი არა, შენი დანახვაც არ სურს.

— რა ვქნა, მე მიყვარს, — გაიმეორა გარეგინმა ჭირვეული ბავშვის სიჯიუტით.

— მომისმინე, გარეგინ, რა გითხრა, — ვუთხარი მტკიცედ, მკლავში ხელი გავუყარე და გზა განვაგრძეთ. — ამოდენა ვაჟკაცი ბავშვი ხომ არა ხარ, შეგიძლია თვითონ განსაჯო. თანაც, მგონია, სიყვარულს ჯერ ისე არ დაუბრმავებიხარ, რომ საგნები სწორად ვერ დაინახო. ხომ ხედავ, როგორ მოიქცა ქალი შენთან, თავის მშობლებთან. განა ამან ნათლად არ დაგანახა, რომ უნდათ ძალით მოგათხოვონ და ადრე თუ გვიან უარს გეტყვის? განა შენთვის სასიამოვნო იქნება ასე შერცხვენა?

— ეს არ შეიძლება მოხდეს, — ენერგიულად შემეპასუხა.

— რატომ?

— ჯერ ერიი, იმიტომ, რომ უვიცი ქალი კი არ არის, მშობლების ქონიანობას აჰყვეს და ვისაც მიუთითებენ, იმას გაჰყვეს. მეორეც — უკმაყოფილების საბაბს არ მივცემ.

— კარგი, გეთანხმები, ის მართლაც ისეთი არ არის, მშობლების ახირებას რომ დაემორჩილოს ამაში ამ საღამოს დავრწმუნდი. მაგრამ ვიცით, რა არის ის ოჯახური მიზეზი, რომელიც აიძულებს თავისი სურვილის წინააღმდეგ მოიქცეს? ეს ერთი. მეორე, შენ ამბობ, უკმაყოფილების საბაბს არ მივცემო. კარგი და კეთილი. მაგრამ განა ახლა მიეცი საბაბი, ეს ოინები რომ მოგიწყო?

— მივეცი, რასაკვირველია, მივეცი, აბა, რას გავდა: „წაიკითხე ეს წიგნი?“ რასაკვირველია, ეს ბამოცდაა. მართლაც, ვითომ რატომ არ უნდა ჰქონოდა წაკითხული? შემდეგ: ორიოდე დღის წინ ჩვენ სულ უცხონი ვიყავით ერთმანეთისათვის, დღეს კი ავდექი და „შენობით“

დავუწყე ლაპარაკი. მერე რა, რომ დანიშნულები ვართ! თუნდაც გარკვეულ დროამდე ზრდილობის წესები ხომ უნდა დამეცვა?

— მაგრამ სილა რომ გაჭამა, ცხვირი რაღად ჩამოუშვი?

— ცხვირი კი არ ჩამოვუშვი, მივხვდი, რომ დავიმსახურე.

— კარგი, მამაც ხომ ორიოდე დღის გაცნობილი არ ჰყავდა, მას რატომ ექცეოდა ასე?

— მამა ხომ მთლად დამნაშავე იყო. მართლაც და განა შეიძლება მოზრდილ ქალიშვილს უცხო ხალხის თანდასწრებით ბავშვივით მოექცე? მერე რა, რომ მამაა?

— მაგრამ დედა? გახსოვს ყვირილი მეზობელ ოთახში?

— ალბათ, მანაც რითიმე გააჯავრა. და ბოლოს, ხომ გაიგონე, ჰამამისმა თქვა, ნერვულიაო.

— მერედა შეგიძლია ასეთ ნერვულ ქალთან იცხოვრო?

— რატომაც არა, თუ უკმაყოფილების საბაბს არ მივცემ?

— შენ თვითონ თავიან-ფეხებიანად ერთი დიდი საბაბი ხარ მისთვის, სხვა რაღა საბაბი გინდა? მე ვარ სულელი, შენისთანა ჯიუტი ადამიანის დარწმუნებას რომ ვცდილობ, — ვთქვი უცებ მისი სიჯიუტით ეოთმინებიდან გამოსულმა, ხელი გავუშვი და მტკიცე ნაბიჯით წინ წავედი.

ეარეგინი ცოტა ხანს ჩუმად მომყვებოდა, შემდეგ უცბად ნაბიჯს უმატა და გამისწორდა.

— კარგი, აბა რა გინდა ექნა? — შემეკითხა რაღაცნაირი გაგულისებით.

— არაფერიც არ მინდა, რაც გინდა, ის ქენი!

— არა, მოიცა, — შეჩერდა და ძალით დამიჭირა, — გინდა მივატოვო, ხომ? კარგი. მაგრამ გამაგებინე, რატომ?

— კიდევ აგიხსნა, რატომ?

— არ მოვწონვარ, ხომ? ძალით ამკიდეს, არა? მაგრამ არ მესმის, როგორ შეიძლება განათლებული, ჭკვიანი გოგონა ისეთ კაცს აჰკიდონ ძალით, ვინც არ მოსწონს? შემდეგ რაღაც ოჯახური პირობები ახსენე. რა პირობებია ეს? არც ერთმა არ ვიცით. მაშინ ეს არგუმენტიც უქმდება. ისღა დაგრჩენია თქვა, რომ დანიშვნის საღამოს შეცდომა ჩაიდინა, რადგან არ მიცნობდა და ნიშანი კი მიიღო. კარგი. მაგრამ შემდეგ! უკვე მეოთხედ ვიყავი იმათ სახლში და ხომ გამიცნო?

— მე მგონია, გაგიცსო, რადგან არც შენს მიტანილ ძვირფას

ძღვენს შეხედა, არც... — მინდოდა მეთქვა, „არც შენ-მეთქი", — თანაც ცოტას გაწყდა, წიგნი თავში არ გთხლიშა.

— ამაში გეთანხმები, მართალია, ყველაფერი მართალია. ეს მეც მომხვდა გულში. მაგრამ შენ ეს მითხარი: ბეჭედი ხომ თითზე ჰქონდა? ხომ ჰქონდა თითზე?

— ვთქვათ, ჰქონდა.

— როგორ თუ ვთქვათ, ვერ დაინახე, რომ ჰქონდა?

— კარგი, თითზე ჰქონდა, მერე?

— მერე ის, რომ... ეს რას ნიშნავს? არ მოვწონვარ და ჩემს მიცემულ ბეჭედს ატარებს? რატომ არ მოიხსნა, არ დამიბრუნა და არ მითხრა: „მოწყალეო ხელმწიფევ, აი თქვენი ბეჭედი. მე თქვენ არ გიცნობდით, ისე მივიღე, ახლა, როცა გაგიცანით, გთხოვთ, უკანვე დაიბრუნოთ, არ შემიძლია თქვენი ცოლი გავხდე".

უნებურად გამეცინა, ამ სიტყვებზე კი არა, იმ გულუბრყვილო სერიოზულობაზე, რომლითაც გარეგინი ლაპარაკობდა.

— მაგრამ ასე არ მოიქცა, — გარეგინმა ყურადღება არ მიაქცია ჩემს სიცილს და ისეთივე გაგულისებით განაგრძო. — რატომ? შენ გეკითხები.

— ალბათ შეეშინდა: ერთხელ შევცდი და ვაითუ ამჯერადაც შევცდეო, — დავსძინე.

— არა, გთხოვ, ნუ დამცინი! ისეთი რამეების ჩადენის შემდეგ ესეც რომ ექნა, ვითომ გასაკვირი იქნებოდა? მაგრამ ეს არ გააკეთა. რატომ? იმიტომ, რომ... აი, ეს კი არც მე ვიცი, არც შენ და, შეიძლება არც მშობლებმა იცოდნენ. შენ კი ამაოდ ჩქარობ განაჩენის გამოტანას.

— მაშასადამე?

— მაშასადამე ის, რომ მასზე ხელს არ ავიღებ და არც მისი მხრიდან მეშინია გაწბილების. გაიგე?

— გავიგე.

— მაშ რაკი გაიგე, სათქმელი აღარაფერი მაქვს, და... ღამე მშვიდობისა!

სრულიად რომ არ მოველოდი, მიმატოვა და ჩქარი ნაბიჯით გამშორდა. ალბათ, შეეშინდა ჩემი უმედობით ისევ არ შემეცვალა მისი განწყობილება მომავლის მომხიბვლელ იმედებზე.

დიდხანს ვადევნებდი თვალს. პირდაპირ გამაოცა მისმა უცნაურმა აღტყინებამ, განსაკუთრებით მისმა სიჯიუტემ და გამბედაობამ. აქამდე

ხომ ძალიან წყნარ, უნებისყოფო და პასიური ხასიათის ყმაწვილკაცად ვიცნობდი, მუდამ რომ სჯეროდა ჩემი რჩევა.

VII

დაახლოებით ერთმა თვემ გაიარა. გარეგინი ერთხელაც არ გამოჩენილა. უკვე დავასკვენი, ჩემზე საშინლად ნაწყენია და გადაწყვიტა უჩემოდ დაქორწინდეს ან დაქორწინდა კიდეც-მეთქი, თუ რასაკვირველია, უარი არ მიიღო სარასაგან, როგორც ვვარაუდობდი. მაგრამ აი, ერთ საღამოს მოვიდა ჩემთან მბნე და გამოცოცხლებული. ისევ უჩვეულოდ აღფრთოვანებულ გუნებაზე იყო, როგორც ნიშნობის შემდეგ.

— სად დაიკარგე? — ვკითხე.

— არსად.

— აბა, რომ არ ჩანდი?

— საიდან გამოვჩნდებოდი, სულის მოთქმის დროც არ მქონდა. მთელი დღეები ქუჩაში ვეგდე, ახალ ბინას ვეძებდი. შემდეგ, ბინა რიგიანად ხომ უნდა მომეწყო? ახლა, როცა ყველა საქმე მოგვარებულია, შოვედი გაცნობო, რომ ჩვენი ქორწილი ამ კვირას არის დანიშნული.

— უკვე? მე კი ვფიქრობდი...

— შენ ბევრ რამეს ფიქრობდი, — გამაწყვეტინა გარეგინმა. — იმასაც კი ფიქრობდი, ეს საქმე ჩაიშლებაო. შენს ჯინაზე ხელი არ ავიღე მასზე, არც მან თქვა უარი ჩემზე. ახლა თითქოს ბავშვობიდანვე ერთად ვიყოთ შეზრდილები, ისე დავუახლოვდით ერთმანეთს.

— „შენ“ და „თქვენ“-ის საკითხი როგორღა გადაწყდა?

— რასაკვირველია, „შენ“-ის სასარგებლოდ. ჰო, ერთხელ ვკითხე, რას ნიშნავდა შენი იმღამინდელი ოინები-მეთქი. მიპასუხა, სჯობს ამის შესახებ არაფერი მკითხოო. ძალიან ნანობს და რცხვენია თავისი საქციელის, მით უფრო, რომ ეს საქმე შენი თანდასწრებით ჩაიდინა. „რა ვქნა, — მითხრა. — ძალიან ნერვული ვარ და იმ საღამოს საშინელ გუნებაზე ვიყავი“. მაგრამ, იცი, რა მაკვირვებს? ხომ დაინახე, როგორი ჭკვიანი და სერიოზული ქალიშვილია, ხანდახან ისეთ რამეს ჩაიდენს, ბავშვი გეგონება.

— რაო? ეს კიდევ რა ახალი ამბავია? — ვკითხე.

— გუშინ შოკოლადი მივუტანე. დავსხედით და ერთად დავიწყეთ ჭამა. ორი ცალი თავისი ხელით ჩამიდო პირში; შემდეგ მინდოდა მის-

თვის ერთი ცალი ჩამედო, მაგრამ თითზე მიკბინა და გაიცინა. სიცილიც განსაკუთრებული აქვს. უცებ გაიცინებს და ასევე უცებ დადინჯდება. ამ დღეებში მუშტაიდში სასეირნოდ წავედით. დავეშვით მდინარის ნაპირზე. მდინარეში მოყიყინე ბაყაყებს ქვების სროლა დაუწყო. შემდეგ აიღო ქვა, საროლად მოემზადა და თქვა: „ჩემს ხელს შეხედე". შეეხედე. „რომელი ხელით ვისვრი?" — მკითხა. „მარჯვენათი", — ვუპასუხე. მან ხელი ძლიერად მოიქნია და ქვა პირდაპირ მდინარეში ისროლა. შემდეგ მკითხა: „ვერაფერი შენიშნე?" „რა?" — „განა ვერ შენიშნე, რომ მარჯვენა ხელს ცაციასავით ვხმარობ?" და რადგან ვერ გავიგე, რას ნიშნავდა მისი სიტყვები, ასე ამიხსნა: ქალებს საერთოდ ხელის მარჯვე და ძლიერი მოქნევა არ შეუძლიათ. ისინი მარჯვენა ხელით ისე ისვრიან, როგორც მამაკაცები ცაციათი. მათი კუნთების ძალა, ბუნებით თუ აღზრდის გამო მოდუნებულია. ამიტომ არის, რომ ქალები, ჩვეულებრივ, უძლურნი არიან შური იძიონ თავიანთ შეურაცხმყოფელზე, როგორც ეს მამაკაცებს შეუძლიათ.

— კარგი, მაგრამ ქვის სროლას რა კავშირი აქვს ამ სიტყვებთან? — ვკითხე მე.

— რა ვიცი, — აიჩეჩა მხრები გარეგინმა და განაგრძო: — შემდეგ, მდინარის ნაპირიდან ზემოთ რომ ამოვედით და სკამზე დავსხედით, ქოლგის ბოლოთი მიწაზე რაღაც დახაზა და მკითხა: „ეს რა არის?" — „ძაღლია", — ვუპასუხე. — „განა ძაღლს ფეხები არა აქვს?" — თქვა მან. — „შენც მიუხატე და ექნება", — სიცილით ვუთხარი. ნახატი მოულოდნელად ჯვრებით გადახაზა და თქვა: „ეს ძაღლი კი არა, რევოლვერია".

— რა?

— რევოლვერი.

არ ვიცი რატომ, მაგრამ ამან უფრო დამაინტერესა.

— კი მაგრამ, რატომ მაინცა და მაინც რევოლვერი დახატა?

— რა ვიცი! — მოკლედ და უზრუნველად მიპასუხა გარეგინმა.

— თვითონ არ აგიხსნა?

— არა. მხოლოდ მკითხა: „კაცის მოკვლა შეგიძლია?"

— როგორ თუ კაცის მოკვლა?.. რას ამბობ! — წამოვიყვირე გაოცებულმა.

— სიტყვასიტყვით გადმოგცემ, რაც ვილაპარაკეთ, ღმერთმანი! — დაიფიცა გარეგინმა ჩვეული გულწრფელობით.

— მერე რა უპასუხე?

— რა შემეძლო მეპასუხა? გამიკვირდა. ვერც კი წარმომიდგენია, როგორ შეიძლება კაცის მოკვლა-მეთქი, ვუთხარი. სამხედრო სამსახურიც იმიტომ მივატოვე, რომ იქ ყოველდღე მაწამებდნენ შემაძრწუნებელი მიზნით — კაცის მოკვლის ხელოვნებას მასწავლიდნენ. მე ხომ ბავშვობაშიც ვიმალებოდი ქათმის დაკვლისას. „ესე იგი, მხდალი ხარ“ — მითხრა მან. „თავგანწირვა, ჩემი აზრით, დიდი მამაცობაა, — ვუთხარი, სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად მეც მზადა ვარ ცეცხლში გადავვარდე. მაგრამ ვინმეს სიცოცხლე მოვუსპო? ეს ვაჟკაცობა კი არა, საშინელებაა“. „მაგრამ ყოველგვარ მკვლელობას ხომ თავისი მიზეზი აქვს, — თქვა მან. — რასაკვირველია, ჩვეულებრივ ავაზაკებზე არ გეუბნები“. „არავითარი მიზეზი, — ვუპასუხე, რაგინდ დიდიც უნდა იყოს. მკვლელობა არ შეიძლება გავამართლოთ, რადგან ადამიანი არსებაა, — ეს მე ვარ, შენ ხარ, ეს ის სისხლია, რომელიც ჩქეფს ღღეს ჩვენს ძარღვებში. ეს ის საოცარი ქვეყანაა, სადაც სიკვდილის შემდეგ აღარ შეიძლება დაბრუნება, ეს კი კაშკაშა მზეა, რომლის ქვეშაც უკანასკნელ ჭიანჭველასაც კი აქვს უფლება იცოცხლოს. კაცის მოკვლა კი ნიშნავს მზის ჩაქრობას“. აღფრთოვანებული ვიყავი და, სიმართლე გითხრა, კარგად ვლაპარაკობდი, მით უფრო, რომ დიდი ყურადღებით მისმენდა და სულ თვალებში მიყურებდა.

გარეგინი ისე ცოცხლად ყვებოდა, მეგონა თითქოს მეც ვესწრებოდი მათ უცნაურ საუბარს.

— მომისმინე, — ვუთხარი, — არ ვიცი, ამაზე გიფიქრია თუ არა, მაგრამ ძალზე უცნაური ამბები კი მიამბე.

— რა უცნაური ამბები? — ისეთი გაოცებით მკითხა გარეგინმა, რომ მაშინვე დავასკვენი, მართლაც სრულებით არ ეფიქრა ამაზე.

— განა უცნაურად არ გეჩვენება მისი სიტყვები, ქალებს საერთოდ არ შეუძლიათო შური იძიონ თავიანთ შეურაცხმყოფელზე, როგორც ამას მამაკაცები აკეთებენო. თან ისიც, რომ ჯერ რევოლვერი დახატა, მერე კი გკითხა: კაცის მოკვლა თუ შეგიძლიაო?

გარეგინმა გაიცინა.

— საოცრად ეჭვიანი კაცი ხარ, — თქვა მან. — ყველა წვრილწანში რაღაც იდუმალებას ხედავ. საუბრის დროს საერთოდ ადამიანმა შეიძლება ათასი რამე თქვას, თან არც დაუკვირდეს, რა აზრი გამომდინარეობს აქედანო. რევოლვერი კი... ხელის შემთხვევითი მოძრაობით და-

ხატა. კატის ან ძაღლის მაგივრად რევოლვერის მსგავსი რაღაც გამოუვიდა. ჰოდა, ბუნებრივია, ამას მკვლელობაზე საუბარი მოჰყვა. აქ რა საიდუმლო შეიძლება იყოს. როგორც ვხედავ, საკმაოდ კარგი პროკურორი იქნებოდი, — დასძინა და ისევ გაიცინა.

მართალია, ეს ახსნა-განმარტება ვერ გავიგე, რადგან სარას უცნაურობა ვიცოდი, მაგრამ მაინც კეთილგონივრულად მივიჩნიე საუბარი არ განმეგრძო. არ მინდოდა ამ მიამიტი ახალგაზრდა კაცის გული ძომეშხამა გაურკვეველი ეჭვით, რომელიც მისმა საიდუმლო ნაამბობმა აღმიძრა. თუმცა თავი მაინც ვერ შევიკავე და ცოტა ხნის შემდეგ, როგორც მეგობარმა, ვალად ჩათვალე კიდევ გამეფრთხილებინა სარასთან შეუღლებაზე, რადგან რაღაც შინაგანი ხმა განუწყვეტლივ ჩამძახოდა, უბედური იქნება, თუ თავის ცხოვრებას ამ ქალს დაუკავშირებსო.

გარეგნი ერთხანს მიცქეროდა საოცრად შესაბრალისი, თითქმის მავედრებელი თვალებით. შემდეგ კინაღამ ატირდა.

— გთხოვ, გემუდარები, მიქაელ, გულს ნუ მიტეხ — მითხრა მტირალა ხმით და თვალებზე ცრემლის წვეთები აუციმციმდა. — მე მიყვარს, მიყვარს უსაზღვროდ. ის ჩემი პირველი სიყვარულია. ვაღმერთებ. ნება რომ მომცეს, წინ სანთელს დავუნთებდი, მუხლთ მოვიდრეკდი და კოცნას დავუწყებდი იმ მიწას, რომელსაც ფეხით ეხება. მასთან ყოფნისას თავს ისე ბედნიერად ვგრძნობ, მეშინია კიდეც, ვაი თუ ოცნებაა ეს, მოჩვენება, რომელიც შეიძლება უცებ გაქრეს! მისი თავი... იცი, რა არის მისი თავი? მსოფლიოს არც ერთ მხატვარს ჯერ არ შეუქმნია ასეთი თავი, ჯერ არც ერთ მოქანდაკეს არ გამოუძერწავს ასეთი საოცრება. ჭკუას ვკარგავ, როცა წარმოვიდგენ, რომ უფლება მექნება მოვეხვიო ამ თავს, დავუკოცნო შუბლი, თვალები, ტუჩები, ჩემი სახე შევახო მის მშვენიერ თმას, დავცილდე? უმჯობესია მითხრა ხელი ავიღო სიცოცხლეზე. მისი შეყვარების შემდეგ კი ისე მიყვარს სიცოცხლეც!..

გულის სიღრმიდან ამოსული ამ სასაცილო პათეტიკური სიტყვების შემდეგ რაღა დამრჩენოდა იმის გარდა, რომ ჭკუა აღარ დამერიგებინა და ალალბედზე მიმეშვა, დე, ეს ამბავი თავისი გზით წასულიყო. ისეც მოვიქეცი, რადგან დავინახე, საქმე ნამდვილ შეყვარებულთან მქონდა, ვისთანაც კეთილი რჩევა და დარიგება არ გასჭრიდა. ბოლოს იმაზეც კი დავეთანხმე, შენი მეჯვარე ვიქნები-მეთქი. უზომოდ გაეხარდა, მომვარდა, გადამეხვია და გაშმაგებული კოცნა დამიწყო.

VIII

ბოლო წუთამდე არ მჯეროდა, რომ ქორწილი გაიმართებოდა. ამის მთავარი მიზეზი ის უსიამო შთაბეჭდილება იყო, რომელიც ჩემზე სარამ პირველი სტუმრობის დროს მოახდინა.

მაგრამ ქორწილი მაინც გაიმართა. ეს კი არა, ჯვრისწერის ღამეს სარას თავი ისე მოკრძალებულად ეჭირა, ისეთი ნაღვლიანი, ჩაფიქრებული და მშვიდი სახე ჰქონდა, რომ სანიმუშო პატარძლად ჩათვლიდით. გაოცებული ვიყავი: სად გაქრა მისი სახის უკმეხი გამომეტყველება, მისი ნერვული, გაღიზიანებული საქციელი? მეჩვენებოდა, რომ ან რაღაც სასწაულით ხელახლა დაბადებულიყო სარა, ან ჩემს წინ იდგა სულ სხვა ქალიშვილი, რომელიც მანამდე ნანახ სარას არაფრით მაგონებდა.

მხოლოდ ამ ღამეს, როცა საქორწინო თეთრ კაბაში ვიხილე, დავრწმუნდი, რა წარმტაცი იყო. „მისი თავი... იცი, რა არის მისი თავი?“. — უნებლიეთ გამახსენდა გარეგინის სიტყვები, როცა გაჩახჩახებულ სასტუმროში შევედი და ამ გამოუცნობი ქალიშვილის ფართო, ჩაფიქრებული, სპილოს ძვალივით თეთრი, მოელვარე შუბლი დავინახე. კეფაზე გადავარცხნილი, ქაფივით თეთრ ლეჩაქში გახვეული პატარძალი საუცხოო შავი თმით ის ფერია გახლდათ, რომლის წინაშე მართლაც უნდა მოგეყარა მუხლი და აღფრთოვანებულს ღვთიური მოკრძალებით სათაყვანებელი სიტყვები ეჩურჩულა. მხოლოდ ახლა გავიგე, და ამჯერად უკვე აღარ მეჩვენებოდა სასაცილოდ, თუ სიყვარულით აღტკინებულ გარეგინს რატომ უნდოდა სანთელი დაენთო მის წინაშე, თაყვანი ეცა და დაეკოცნა ის მიწა, რომელსაც მისი ფეხი ეხებოდა.

მაისის ყვავილების საუცხოო თაიგული მივართვი. ლმობიერი ღიმილით მიიღო და თავის მსუბუქი დაქნევით მადლობა გადამიხადა.

იმ საღამოს გარეგინს რაღაც უცნაური შიში შევამჩნიე. ფეხისწვერებზე დადიოდა, ბევრს არ ლაპარაკობდა, წარამარა წითლდებოდა და ოფლში იწურებოდა, როცა სიმამრი მისთვის ჩვეული გულკეთილობით ხუმრობით რაიმე შენიშვნას მისცემდა. მაგრამ ამავე დროს თავის საცოლეს რაღაც ქურდული აღფრთოვანებით უყურებდა. ეტყობოდა, სარას ამღამინდელი მოკრძალება და განსაკუთრებით სილამაზე მისთვის რაღაც მოულოდნელი სიახლე იყო. იგი გაეთანგა იმ შეგნებას, რომ ეს მზეთუნახავი სამუდამოდ მას ეკუთვნოდა, მისი იყო და ამავე

დროს შიშობდა — ვაი თუ ყველაფერი ეს მოჩვენებაა, რაღაც ოცნება, როგორც ის ამბობდა, რომელიც შეიძლება მოულოდნელად გაქრეს. და მეჩვენებოდა, რომ სულის სიღრმეში თავს ასეთი ბედნიერების ღირსად არ თვლიდა.

ქორწილი ძალიან მოკრძალებული იყო. ასე მოისურვა სარამ. საპატარძლოს მხრივ დაპატიჟებული იყვნენ მათი უახლოესი ნათესავები, ხოლო ამხანაგებიდან ორი ქალი, მათ შორის ისიც, რომელმაც ეიულ სიმონის წიგნი წაიკითხა — ძალიან თამამი და ყბედი ქალიშვილი. იგი ხანდახან უადგილოდ გონებამახვილობდა და ხმამაღლა იცინოდა. სასიძოს მხრიდან მოწვეული იყო მისი ორიოდე ნათესავი ქალი და რამდენიმე თანამშრომელი, ისე რომ სულ ოციოდე სული თუ ვიქნებოდით.

ქორწილიდან ორიოდე კვირის შემდეგ, უფრო ცნობისმოყვარეობით, ვიდრე ზრდილობის ვალის მოსახდელად, ახლადდაქორწინებულ წყვილს ვესტუმრე (წინა დღით ჩემთან შემოეცლოთ, მაგრამ საუბედუროდ, შინ არ დავუხვდი).

გარეგინმა დატოვა მამისეული სევდიანი სახლი, დაქორწინებამდე რომ ცხოვრობდა, და ქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო და წყნარ უბანში, დიდი სახლის ზემო სართულზე საუცხოო ბინა დაიქირავა, საიდანაც მთელი ქალაქისა და შორეული მთების წარმტაცი სანახაობა იშლებოდა.

ის-ის იყო მოახლემ შემიყვანა მისაღებ ოთახში, რომ შემოვარდა გარეგინი, უზომოდ გახარებული და მკვირცხლი, მომეხვია, ჩამკოცნა და ხელჩაკიდებული მაშინვე აივნისკენ წამიყვანა, სადაც ჩემს მოსვლამდე ახალგაზრდა ცოლთან ერთად ჩაის შეექცეოდა.

მოლოდინი არ გამიმართლდა. სარამ საკმაოდ ცივად მიმიღო. მაშინვე გავიფიქრე, უთუოდ გარეგინმა, თავისი წინდაუხედავი გულუბრყვილობით უამბო, რა აზრი მქონდა მასზე ქორწინების წინ და რას ვურჩევდი. და ის მხიარული განწყობილება, რომელიც გარეგინისაგან გადმომედო მისი აურზაურით შეხვედრისას, მაშინვე გამეფანტა სარას ასეთი უგულო მიღების გამო. ვინანე, რატომ არ გავითვალისწინე ეს და არ გავაფრთხილე გარეგინი, არ გაემხილა სარასათვის, რაც მის შესახებ დაქორწინებამდე ვილაპარაკეთ. მაგრამ რაღა უნდა მექნა? ახლა,

როცა საქმე უკვე გათავებული იყო, ყოველნაირად უნდა მეცადა სარასათვის დამემტკიცებინა, რომ მე არა თუ შევიცვალე ჩემი აზრი, არამედ უზომოდ პატივს ვცემ და ძალზე მიხარია, რომ ჩემი მეგობრის მეუღლეა. საბედნიეროდ, ეს ძნელი არ აღმოჩნდა. შეყვარებულმა გარეგინმა, რომელიც თაფლობის თვის სიტკბოების ბედნიერებას განიცდიდა და აღტაცებული იყო, უნებურად ჩვენც გადმოგვდო თავისი განწყობილება. სწორედ ამიტომ ჩემი და სარას ერთგვარი შემარიგებლის როლი შეასრულა.

— ხომ მოგწონს ჩვენი ბინა და ეს ხედი? — თქვა გარეგინმა და კავკასიონის მთაგრეხილი ისეთი სიამაყით მიჩვენა, თითქოს ეს ბინაც და ეს ხედიც მისი შემოქმედების ნაყოფი ყოფილიყო, — შეხედე, რა მოწმენდილი ჰორიზონტია, ღრუბლის ნაფლეთიც კი არა სჩანს, როგორ ბრწყინავენ ეს გოლიათი მთები თავიანთი თეთრი მწვერვალებით. თოვლი კი არა, თითქოს ვერცხლის უზარმაზარი ზვინია. სწორედ ახლა შე და სარა ვგეგმავდით, ამ ზაფხულს იმ მხარეების გავლით ჩრდილოეთში ვიმოგზაუროთ, იქიდან კი შეიძლება საზღვარგარეთაც წავიდეთ. შენ არ გაგივლია სამხედრო გზატკეცილი? რა საოცრებაა, რა სასწაული, რა შემაზრზენი და მომაჯადოებელი ეს უძირო უფსკრულები, შიშის მომგვრელი მწვერვალები, რომლებიც ცად აღმართულან და ღრუბლებში იკარგებიან! ზემოთ ცაა, ქვევით უფსკრულში მიიკლაკნება მრისხანე მდინარე, რომელიც გაშმაგებული ახმაურებს მიდამოს და გაცოფებულს ქაფი მოსდის პირზე. შუაში კი შენა ხარ, შენი მტვრიანი გზატკეცილით, გველივით რომ დაკლაკნილა და ამ უსასრულო აღმართ-დაღმართებს შემორტყმია.

— შენ პოეტი ყოფილხარ, — სიცილით შევნიშნე და სარას შევხედე.

სარა ჩუმად იჯდა და კავკასიონის მთებისაკენ გაშტერებით იყურებოდა, მაგრამ მაინც შევნიშნე, რომ ჩემს ხუმრობაზე ოდნავ შესამჩნევი ღიმილი მოეფინა სახეზე.

— პოეტი! — წამოიძახა გარეგინმა. — ნუთუ გგონია, რომ მხოლოდ ის არის პოეტი, ვინც რითმიანი ლექსების წერაში ვარჯიშობს? ყველა, ვინც შეყვარებულია, აუცილებლად პოეტია. მე საერთოდ უმეცარი ვარ ლიტერატურის ისტორიაში, ძალიან ცუდად ვიცნობ ჩვენი პოეტების ბიოგრაფიებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საუკეთესო პოეტები უთუოდ ისინი არიან, ვისაც ჰყვარებია, რადგან სიყვარული...

იცი, რა არის სიყვარული? სიყვარული... თუმცა, ამას ვერ გაიგებ, რადგან... იმის მიუხედავად, რომ სიყვარულზე სწერ, მაინც ნამდვილი სიყვარულის დასახატავად საჭიროა...

— შენსავით პოეტი გავხდე! — შევაწყვეტინე სიცილით და სარას ხელახლა შევხედე.

— დიახ, ჩემსავით უნდა გიყვარდეს, ჩემსავით! — ხაზი გაუსვა გარეგინმა, ახალგაზრდა ცოლისაკენ დაიხარა, მისი ხელი ნაზად აიღო და მხურვალედ დაუწყო კოცნა.

სარამ შემომხედა და ისეთნაირად გაიღიმა, თითქოს ამბობდა: „ხედავთ, როგორი დიდი ბავშვია?“ ამ უსიტყვო მიმართვაში, ამ კეთილ ღიმილში დავინახე, რომ სარას გულში უკვე გამდნარიყო ის ყინული, რომელმაც თავდაპირველად ასე შემბოჭა.

მალე სარას გუნება იმ ზომამდე გაეხსნა, რომ ჩვენს საუბარში არა მარტო მონაწილეობდა, არამედ მეუღლესთან დამოკიდებულებაში გამონახა სწორედ ისეთი ტონი, როგორც მე: ნახევრად სერიოზული, ნახევრად ხუმრობის, დამთმობი, რომელიც სიყვარულის ნიშანია, იმ უცოდველი სიყვარულის, რომელსაც უფროსები უმცროსების მიმართ ამჟღავნებენ. შეიძლება ითქვას, ასეთი დამოკიდებულების ნამდვილი მიზეზი თვით გარეგინში უნდა გვეძებნა, რომლის უსაზღვრო გულკეთილობა, ხალასი სული, გამამხნევებელი ყბედობა და მიამიტი ფილოსოფიური შეხედულებანი ყოველთვის ასეთ დამოკიდებულებას იწვევდა ცოტად თუ ბევრად ჭკვიან მოსაუბრეში. მეჩვენებოდა, გარეგინი რომ ახლა აქ არ ყოფილიყო, მე და სარა ორ სიტყვასაც ვერ ვეტყოდით ერთმანეთს, მაშინ, როცა მისი ჩვენთან ყოფნისას საუბარი რა საკითხს გინდა, რომ არ შეხებოდა.

რასაკვირველია, გარეგინის აღფრთოვანებას ხელს უწყობდა ჩემი მოსვლაც, მაისის მშვენიერი საღამოც და განსაკუთრებით ცოლის იქ ყოფნა, რომლის სილამაზითაც, როგორც შეკნიშნე, ამაყობდა ჩემს წინაშე სულის სიღრმეში.

ამ საღამოს საშუალება კვლავ მომეცა დავრწმუნებულიყავი, რომ სარა ნამდვილად მზეთუნახავია, ერთი ლამაზმანთაგანია, რომელთა სახის თავისებური ნაკვთები პირველი ნახვითვე ღრმად ჩაიბეჭდება ადამიანის მეხსიერებაში. მოკლე, განიერსახელოებიანი იაპონური მსუბუქი საშინაო ხალათი ეცვა, საუცხოო ნაქარგით შემოქობილი. ზოგჯერ, როცა ხშირი თმის გასასწორებლად ხელებს ასწევდა, განიერი სა-

ხელოები ეკეცებოდა და უშიშვლდებოდა თეთრი, სწორი მკლავები, რომლებიც ბუსუსებით იყო დაფარული, თითქოს ოქროს მტვერი ჰქონდა დაფრქვეული.

მაგრამ მე უფრო მისი შინაგანი, სულიერი სამყარო მაინტერესებდა, ვიდრე გარეგნობა, სილამაზე. ვუყურებდი და ვცდილობდი ქმართან დამოკიდებულების მიხედვით გამომეცნო: დიდხანს გასძლებდა ამ „დიდი ბავშვის“ ხელში? თუმცა ეს ახალგაზრდა ქალი ჩემთვის კიდევ გამოცანად რჩებოდა, მაგრამ მის ქმარს კარგად ვიცნობდი და სამწუხარო დასკვნა გამომქონდა. ქალს — სარა იქნებოდა ეს თუ სხვა ვინმე — შეეძლო შეებრალებინა, დაეყვავებინა და შეეყვარებინა გარეგინი ისე, როგორც შეიყვარებს უფროსი და უმცროს ძმას, მაგრამ არ შეეძლო დაკავშირებოდა მას ვნებიანი ქალური სიყვარულით, რადგან გარეგინს ყველა მის საპატიო ღირსებასთან ერთად აკლდა ის უარყოფითი თვისებაც, რომ ქალში დაუოკებელი სიყვარული დაეცხრო — მამრობითი სქესის ყველაფრის დამთრგუნავი, ყველაფრის დამმორჩილებელი ნება — რაღაც ის, რაც ქალს მამაკაცში ყველა დადებით თვისებაზე უფრო უყვარს.

სანამ ამ ფიქრებში ვიყავი და ამ შეუფერებელ წყვილს ვუთვალთვალებდი, უდარდელი და ბედნიერი გარეგინი ლაპარაკობდა. ლაპარაკობდა დაუსრულებლად, წისქვილის სარეკელასავით შეუჩერებლად.

ამასობაში ვერც კი შევნიშნე, ვზამ როგორ ჩააქრო თავისი უკანასკნელი სხივები და ქვეყნიერების მკერდიდან წამოსულმა სიბნელემ ზევით აიწია. ვიღაცის უხილავი ხელი თითქოს რუხ მარმაშს ჰფენდა ქალაქს და ეს მარმაში ყოველ წუთს უფრო და უფრო მუქდებოდა. აჰა, აქა-იქ დაიწყეს ციმციმი პირველმა ნათურებმაც ჯერ მქრქალად, შემდეგ, რამდენადაც სახლები წყვდიადში იძირებოდა, მათაც უმატეს კაშკაშს. სანამ ქალაქი სწრაფად ეხვეოდა შავ სამოსელში და თავის სახეს კარგავდა, ცა ჯერ კიდევ კარგა ხანს იყო განათებული დაისის მომაკვდავი სხივებით.

ძალიან მინდოდა რამდენიმე წუთით მაინც მარტო დავრჩენილიყავი გარეგინთან, რომ სარაზე გამომეკითხა, მაგრამ არ მომიხერხდა. სარა განუწყვეტლივ ჩვენთან იჯდა და თუ მასპინძლობის თადარიგი მოსამსახურისათვის რაიმე ბრძანების მიცემას მოითხოვდა, ყოველთვის გარეგინი მიდიოდა. ხოლო საკმაოდ გვიან, როცა გამოსათხოვრად ავ-

ლექი, სარამაც ქმართან ერთად მიმაცილა კარებამდე და მთხოვა, ხშირად გვესტუმრეთო.

მაგრამ ისე მოხდა, რომ ჩემი სურვილის წინააღმდეგ, მეტი ვეღარ შევძელი მათთან მისვლა. რამდენიმე დღის შემდეგ სასწრაფო საქმეზე თბილისიდან მოულოდნელად წავედი და მთელი ზაფხული, თითქმის სამი თვე, არ ჩამოვსულვარ. როცა დავბრუნდი, პირველ საქმედ ჩემი მეგობრების ნახვა ჩავთვალე. მაგრამ მათი ბინა დაკეტილი აღმოჩნდა. მეზობლებმა მითხრეს, ახლადდაქორწინებული წყვილი ჯერ კიდევ ივნისში ქალაქიდან გაემგზავრა, მაგრამ საით, არ ვიცითო. მხოლოდ მაშინ გამახსენდა, ზაფხულში სამოგზაუროდ წასვლას რომ აპირებდნენ. ერთი თვის განმავლობაში რამდენჯერმე მივედი გარეგინის ბინაზე, მაგრამ კიდევ არ ჩამოსულიყვნენ. ვიყავი სახელმწიფო მამულების ადგილობრივ სამმართველოშიც. იქ მითხრეს, გარეგინმა დაქორწინების შემდეგ თავი დაანება სამსახურს და სად წავიდა, არ ვიცითო. ვიყავი სარას მამის სახლშიც, რომ მათგან მაინც გამეგო სად გაქრნენ ახლადდაქორწინებულები და როდის დაბრუნდებოდნენ, მაგრამ იქაც მეზობლებისაგან მხოლოდ ის გავიგე, რომ ბალირიანი საცხოვრებლად ბათუმში გადაბარგებულიყო და იქვე საბაჟოში დაეწყო სამსახური.

ბოლოს და ბოლოს იძულებული გავხდი შემეწყვიტა ძებნა და ჩემი მეგობრები თითქმის კიდეც გადამავიწყდა, მაგრამ ბედმა ისევ ერთად შეგვყარა და ამჯერად ისე მოულოდნელად და იმგვარ ვითარებაში, რომ ყველაფერი, რაც მოხდა, აქამდე რაღაც მძიმე კოშმარული სიზმარი მგონია.

მაგრამ ამბებს წინ არ გავუსწრებ, ყველაფერს თანმიმდევრობით გიამბობთ.

ნაწილი მეოთხე

I

ნოემბრის ერთ ცივ ღამეს, როცა სამსახურიდან სახლში დავბრუნდი და ჩემი ლიტერატურული საქმიანობის გასაგრძელებლად საწოლ ოთახში შევედი (საწოლ ოთახში მუდამ თბილოდა და საწერი მაგიდა იქ გადავიტანე), უნებურად გაოცებული შევჩერდი: საწერ მაგიდაზე

ლამპა ენთო, საწოლში კი ვიღაც გულაღმა იწვა და ხვრინავდა. ეტყობა, საბანი ჯერ დაეხურა, მაგრამ შემდეგ, ძილში, კედლისაკენ გადაეგდო. მარჯვენა ხელი საწოლიდან გადმოეკიდა. ჟილეტის ღილები გაეხსნა და ქვეშიდან გვერდზე საყელოშეკრული ლურჯი სატინის ხალათი მოუჩანდა. გაცვეთილსარჩულიანი ქურთუკი საწოლის თავზე ეკიდა. სტუდენტური ლურჯზოლიანი ქუდი ქურთუკის ქვემოთ, იატაკზე ეგდო. ცალ ფეხზე მაღალყელიანი სამგზავრო ჩექმა ეცვა, მეორე საწოლის წინ იდო. სკამზე ეგდო ბეწვის საყელოიანი ზამთრის პალტო, რომლის გაცვეთილი სარჩულიდან ალაგ-ალაგ ბამბა მოჩანდა თეთრად. ოთახის კუთხეში დამტვრეული და დაჭყლეტილი, თოკით შეკრული დიდი ჩემოდანი იდგა.

გამიკვირდა. მივუახლოვდი, რომ კარგად შენახა, ვინ იყო ასე მოურიდებლად და თამამად ჩემს ოთახში მოკალათებული დაუპატიჟებელი სტუმარი. ძალიან ხშირი და შავი მბზინავთმიან, გაუპარსავ, სავსე პირისახის, სქელწარბება, არწივისებურ ცხვირიან ამ ახალგაზრდა კაცს სულ არ ვიცნობდი. სამზარეულოში მსახური გავაღვიძე და გამოვკითხე. მისი ნამძინარევი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვებიდან გავიგე, რომ დაუპატიჟებელი სტუმარი შებინდებისას ვიღაც სხვა ბატონთან ერთად ეტლით მოსულა. ის ბატონი იმავე ეტლით გაბრუნებულა, ხოლო სტუმარი თავის ჩემოდნით შემოსულა, ვუკითხივარ, საჭმელი მოუთხოვია და რაკი არაფერი მიუღია, ტანისამოსი გაუხდია, ლოგინში ჩაწოლილა და დაუბარებია, როცა მასპინძელი მოვა, გამაღვიძეთო.

საწოლ ოთახში დავბრუნდი და მძინარე სტუმრის სახე ხელახლა შევათვალიერე. დიდხანს ვიგონებდი ჩემს ძველ ნაცნობებს, რომ რომელიმე მათგანისათვის მიმემსგავსებინა ჩემი დაუპატიჟებელი სტუმარი, მაგრამ ამაოდ.

სანამ მის წინ ვიდექი და მეხსიერებას ამაოდ ვძაბავდი, იგი, პირგაღებული, ისე ხმამაღლა განაგრძობდა ხვრინვას, რომ მიკვირდა, საკუთარი ხვრინვისაგან მაინც რატომ არ ეღვიძება-მეთქი. ზოგჯერ ხვრინვას შეწყვეტდა და ისეთი ხრიალი აღმოხდებოდა ღია პირიდან, თითქოს იხრჩობაო.

ხელი ფრთხილად შევახე მის მხარს, იმიტომ კი არა, რომ გამომეღვიძებინა, მხოლოდ მისი აუტანელი ხვრინვა მინდოდა შემეწყვიტა. ჩემი ხელის შეხებისთანავე რაღაც გაშმაგებით წამოიყვირა, მერე გაჩუმდა, შეინძრა, თვალები გაახილა და ღრმა ძილიდან უეცრად გაღვი-

ძებული ადამიანის უაზრო გამომეტყველებით შემომაცქერდა. მერე მიმოიხედა და ისევ მომაჩერდა.

— მარქარიანი ხარ, არა? -- ჩახლეჩილი ხმით მკითხა.

არ მიპასუხია. ახლა, როცა დიდი, შავი თვალები გახელილი ჰქონდა, თითქოს მეცნაურა მისი სახე.

ფეხები საწოლიდან ჩამოუშვა და ცნობისმოყვარეობით შემომხედა.

— მიქაელ მარქარიანი ხარ რაღა, სწორედ ისა ხარ! — დინჯი კილოთი წარმოთქვა, ადგა, მომეხვია და ტუჩებში მაკოცა: — მაგრამ ეს რაა, უკვე ბერდები? ჭაღარა შეგპარვია.

— მაპატიეთ... მე... — წავილუღლუღე მისი მოულოდნელი მეგობრული ქცევით გაოცებულმა, რადგან ჯერ კიდევ ვერ გავიხსენე, ვინ იყო.

— ვაჰ, ვერა მცნობ? — გულწრფელი გაოცებით წამოიძახა მან, — თუსიანი ვარ, რუბენ თუსიანი.

— ეშმ...

— ჰო, ჰო, სწორედ ისა, ეშმაკის ფეხი, — მაშინვე გააგრძელა ჩემი სათქმელი.

შუბლზე ხელი შემოვირტყი. ახლა გამახსენდა, რომ ერთ დროს, დიდი ხნის წინათ, სკოლის ამხანაგები ვიყავით და ჩვენს წრეში თავის სიცუღლუტისა და ოინების გამო ამ მეტსახელით იყო ცნობილი.

— რაკი მიცანი, მოდი, ერთხელაც ვაკოცოთ ერთმანეთს.

თუმცა ვცდილობდი მოვრიდებოდი, რადგან პირიდან თამბაქოს მძიმე სუნი ამოსდიოდა, ხელახლა მაკოცა ტუჩებში და ისევ საწოლზე დაჯდა.

— როგორ გამოცვლილხარ, — ვთქვი მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაც მეთქვა.

—ოჯახაშენებულო, აბა ამდენი ხნის განმავლობაში კაცი არ შეიცვლება? მით უფრო აღმოსავლეთის ადამიანი, რომელ'საც დღეს ბალანიც არ ამოსვლია სახეზე, ხვალ კი, ერთიც ვნახოთ, დათვივით გაპურძგნულა. შენ ეს მითხარი, როგორა ხარ, რას აკეთებ?

არ დაუცადა ჩემს პასუხს — როგორ ვიყავი ან რას ვაკეთებდი, ისევ მკითხა:

— რომელი საათია?

საათს დავხედე, თერთმეტი იყო.

— ოჰო, კარგად გამომიძინია, აი! გმადლობთ, თბილი ოთახი გქონია. გზაში ძაღლივით გავითოშე. აქამდე სული ძლივს მომყვა. ვლადიკავკავიდან სატვირთო ფურგონით ჩამოვედი. ძვლები სულ დამელეწა.

დაამთქნარა, ხელები კისერზე შემოიჭდო, თითები ერთმანეთში გადახლართა და მთელი სხეულით ისე ძლიერად გაიზმორა, რომ თითების სახსრებსა და კისრის ძვლებს ტკაცა-ტკუცი შეუდგათ.

— ამ უპატრონო კოჟრმაც რომ სული ამომხადა! —თქვა, იატაკიდან ჩექმა აიღო და ტკივილისაგან სახემოგრეხილმა კვნესით დაიწყო ჩაცმა. შემდეგ ადგა, კოჭლობით წამოვიდა და წინ გამიჩერდა.

— აი, რას გეტყვი, მარქარიან. ვიცი, სულაც არ გესიამოვნება, მაგრამ გინდა თუ არა, შენი სტუმარი ვარ. დიდხანს არა, რამდენიმე დღით მხოლოდ, ვიდრე სახლიდან პასუხი მომივა. ისე გამოვიფხიკე, ფეხებით რომ დამკიდო, გროში არ გამომვარდება ჯიბიდან. რა ვქნა: აბა იანგარიშე — პეტერბურგიდან თბილისამდე სამგან ავიღე ვალი, ამის გარდა, ოქროს საათიც დავაგირავე. შინ მივდივარ. ჰამაჩემი კვდება, მომწერა, ცოცხალს მომისწარიო, ფული კი არ გამოუგზავნია. სარუმიანი რომ არ შემხვედროდა, — გახსოვს, როგორ ვატირებდი სკოლაში, — ის რომ არ შემხვედროდა, იძულებული ვიქნებოდი ღამე ქუჩაში გამეთია. მითხრა, ჩასიძებული ვარ და მეუხერხულება ჩემთან წაგიყვანოო, მოკლედ, თავიდან მოვიშორა და შენთან წამომიყვანა. ხომ ხედავ, მე არა ვარ დამნაშავე, თუ გეწყინა, მას დააბრალე.

— რატომ უნდა მეწყინოს?

— აბა რა ვიცი! ხომ იცი, ცოტა თავხედი კაცი ვარ, ახლა ხომ არ გამიცანი. სარუმიანს ფული ვესესხე, არ მომცა. არა მაქვსო, მითხრა. მატყუებდა, ის გაიძვერა. მაგრამ იძულებული იყო ეტლის ფული მაინც გადაეხადა.

ამ სიტყვებით პირსაბანთან მივიდა და პირის ბანა დაიწყო. სახის წმენდით მომიახლოვდა, ხელახლა წინ გამიჩერდა.

— ახლა იცი რა, მარქარიან. ჯამოძინებით კი გამოვიძინე, მაგრამ ძაღლივით მშია. ცოტა რამეს რომ მაჭმევდე, მამაშენს ღმერთი აცხონებს.

ვუთხარი, ჩვეულებრივ შინ არ ვვახშმობ, ამიტომ სახლში საჭმელი არაფერი მაქვს, მაღაზიებიც ამ დროს დაკეტილია, რომ საჭმელი მოვატანინო-მეთქი და უახლოეს სასადილოში წასვლა შევთავაზე.

— კლუბში მინდოდა გამევლო, მაგრამ არა უშავს. კლუბი შორსაა, თანაც გვიანია და იქნებ ადრე დაძინება გინდა. წავიდეთ სასადილოში!

პირსახოცი სკამზე დააგდო, ჟილეტი სწრაფად შეიკრა, ქურთუკი ჩაიცვა, უბის ჯიბიდან სავარცხელი ამოიღო, თმები, წარბები და ულვაშები დაივარცხნა, თვალებით ქუდი მოძებნა, იპოვა, დაბერტყა, დაიხურა, პალტო ჩაიცვა და გარეთ გამოვედით.

II

გზაზე მკლავი გამიყარა და ისეთი ტკბილი საუბარი გამიბა, იფიქრებდი, ჩემზე ახლობელი, გულითადი მეგობარი არ ჰყავსო. მართალია, ოდესღაც სკოლის ამხანაგები ვიყავით, მაგრამ ეს ისე დიდი ხნის წინათ იყო, რომ არა მარტო დამავიწყდა, არამედ ახლა, როცა კვლავ შევხვდი, არავითარ სიახლოვეს არ ვგრძნობდი ჩვენს შორის. ამიტომ მისი შინაურული ქცევა თავდაპირველად საკმაოდ უცნაური და არასასიამოვნოც კი მეჩვენა, მაგრამ შემდეგ, როცა მისი ხასიათი თანდათანობით ნათელი გახდა ჩემთვის, ამ ხასიათის ერთმა მხარემ — თუმცა უარყოფითმა — თითქოს კიდეც მომხიბლა. ეს მხარე უტიფრობამდე მისული და ზომაზე მეტი თავხედობა იყო, ისეთი, დაუდევარ ბავშვებს რომ სჩვევიათ. მეგონა, შეუძლია ჩაიდინოს უდიდესი სისაძაგლეც, უდიდესი სიკეთეც და ორივე შემთხვევაში იმოქმედებდა ანგარიშმიუცემლად, ადამიანივით, რომელიც მხოლოდ წუთიერი განცდების ზეგავლენით მოქმედებს.

— ქუდზე გატყობ, სტუდენტი ხარ. რა ხელობას სწავლობ? — ვკითხე.

— ყველაფერს ერთად, ესე იგი, მიჯნურობას, ლოთობას, ბანქოს თამაშს, თეატრალურ-საცირკო-კულისურს, საბირჟოს, ტოტალიზატორულს... რაც გინდა, ყველაფერს! — ჩამოთვალა თუსიანმა. სულ არ ემჩნეოდა, რომ ხუმრობდა. იგი ხუმრობის დროსაც იმ ტონით ლაპარაკობდა, როგორც სერიოზული საუბრისას. — ამ ქუდმა, რომელსაც ჩემს თავზე ხედავ, — განაგრძო მან, — დიდიხანია დამტოვა. მაგრამ ახლა განგებ დავიხურე, რომ მამას ვაჩვენო, ისევ სტუდენტი ვარ-მეთქი, თორემ გროშსაც არ გამომიგზავნის, თუ, რასაკვირველია, მართლა სულთმობრძავი არ არის.

— აბა, რაღას ზიხარ პეტერბურგში? — გავაგრძელე გამოკითხვა.

— იმიტომ, რომ სულ არ ვაპირებ ბერად შედგომას. როცა ვიგრძნობ, რომ ერთი ფეხი უკვე სამარეში მიდგას, მაშინ კვლავ მოვალ ამ თქვენს ძკვდართა ქვეყანაში ღვთისათვის სულის მისაბარებლად.—გაიხედ-გამოიხედა,—ჯერ შუაღამეც არაა, ქუჩა კი ისე დაცარიელებულა, თითქოს ყველა სახლში მიცვალებული ესვენოს. და ეს შენს ქებულ კავკასიის დედაქალაქში ხდება, ხოლო თუ ჩვენს კურთხეულ სამაზრო ქალაქში მოხვდები, ნახავ...

სასადილო, რომელშიც შევედით, ცარიელი იყო. მებუფეტეს წინ საანგარიშო ედო და ანგარიშობდა. ერთ მომტანს მაგიდაზე ჩაექინდრა თავი. მეორეს ფეხი ფეხზე გადაედო, მხარზე ხელსახოცი გადაეგდო, კედელს მიყრდნობოდა და გამოთაყვანებული სახით კარისაკენ იყურებოდა. ეტყობა, ცდილობდა ძილს მორეოდა.

— აი კიდევ ერთი საბუთი, რომ მკვდართა სამყაროში მოვხვდი, — თქვა თუსიანმა და ფართო, ცარიელ დარბაზს თვალი მოავლო. — რესტორანი, ღამე და ტორიჩელის სიცარიელე. არც ერთი სულიერი, არც მუსიკა, არც თამბაქოს ბოლი. დიდებულია!

ერთ-ერთ მაგიდას მივუსხედით. თუსიანმა ვახშამი შეუკვეთა მომტანს, რომელიც ზანტად მოგვიახლოვდა, თან წამდაუწუმ მომმართავდა: „მე ბიფშტექსს ვჭამ, შენ?.. კონიაკს არ დალევ? მე ერთ სირჩას გადავხუხავ“ და სხვა. კონიაკი ერთბაშად გადაჰკრა. სანამ ბიფშტექსს მოიტანდნენ, ცივად მოხარშულ ხორცს მშიერი მგელივით ეცა. ბიფშტექსმაც ვერ გააძღო და ისევ ხორცი მოითხოვა. ბოლოს ყველაფერ ამას ერთი ბოთლი წითელი ღვინო დააყოლა. შემდეგ პაპიროსი მოითხოვა და შემომთავაზა — შენც მოსწიეო. უარი ვუთხარი, არ ვეწეოდი.

— რა კაცი ხარ? — მითხრა. — არც ეწევი, არც სვამ, არც მადიანად ჭამ, შენთან ქეიფი არ შეიძლება.

ცარიელ ბოთლზე დანით დააკაკუნა და ერთი ბოთლიც მოითხოვა.

— გინდა გითხრა, რაზე ფიქრობ ახლა? — მკითხა, როცა დაინახა, რომ გაჩუმებული მივჩერებოდი.

— რაზე?

— ფიქრობ: ეშმაკმა დალახვროს! ეს არამზადა ჩემი სტუმარია და შეკვეთებს კი თვითონ აძლევსო! ხომ ასეა?

გამეცინა.

— აი, ხომ ხედავ, არ შევმცდარვარ. — სერიოზულად დაუმატა თუსიანმა, — რაც გინდა, ისა თქვი, მაგრამ ჩვენი ცხოვრება სავსეა

უაზრო ჩვეულებებით! ამგვარ ჩვეულებათა რიგს უნდა შევაკუთვნოთ, ერთის მხრივ, სტუმრობისა და, მეორეს მხრივ მასპინძლობის ცერემონიები. ერთის მხრივ, არ მინდა — ჯიბეში ჩამიდეო, მეორეს მხრივ, გაამოს — შხამად შეგერგოსო. პირმოთნეობაა, ხომ ასეა? პირმოთხეობას კი ჩემზე დაუძინებელი მტერი არ შეიძლება ჰყავდეს. ერთადერთი, რითაც შეშიძლია ვიამაყო, ის არის, რომ არავისი და არაფრისი შრცხვენია, რადგან ზრდილობა, მოკრძალება, სირცხვილი და ამის მსგავსი რამეები, ეგრეთ წოდებული სათნოება შენიღბულ ფარისევლობად მიმაჩნია. ყველა ეს ხალხის მოგონილია თავისი შინაგანი სიბილწის დასაფარავად. ეს იგივეა, ნაგვის გროვა ხავერდით დაფარო. შიშველი ბავშვი ყირაზე გადადის და ისე გამოაჩენს მთელ თავის ავლადიდებას, არავისი რცხვენია. რატომ? იმიტომაო, იტყოდი შენ, რომ მასში ჯერ კიდევ არ გაუღვიძია სირცხვილის გრძნობასო. მე კი ვიტყვი, — იმიტომ, რომ მისი სული ჯერ კიდევ არ შერყვნილა. მხოლოდ გარყვნილი სული გრძნობს სირცხვილს.

— საიდან გამოჩხრიკე ეს აფორიზმები? — შევნიშნე ღიმილით.

მან ცალი ხელით ღვინიანი ჭიქა ტუჩებთან მიიტანა, მეორეთი თავის შუბლზე მანიშნა და ამით გამაგებინა, თვითონ მოვიფიქრეო.

— იცი რა, მარქარიან, — მითხრა, ჭიქა რომ გამოცალა და ყველი და პური დააყოლა, — ხანდახან სასარგებლოა, კაცმა ჭკუას ძალა დაატანოს. ისეთ რაღაცას აღმოაჩენს საკუთარ გოგრაში, რომ პირდაპირ საოცარია. ამის გარდა, ყურადღება თუ მიგიქცევია, სმის დროს კაცი ფილოსოფოსდება. მე საერთოდ დიდად არ მეპიტნავება ფილოსოფია. ერთი პოეტისა არ იყოს „пленной мысли раздражения“, — მაგრამ მაინც ნაწილობრივ ფილოსოფოსი ვარ, ასე ვთქვათ, ეპიკურეს მიმდევართაგანი და ამ ჩემი ფილოსოფიური ტვინით უდიდეს სულელებად მიმაჩნია ის ადამიანები, რომელთაც აწმყო მომავლისათვის მსხვერპლად მიაქვთ. ერთი ამხანაგი მყავდა, ძალიან ბეჯითი სტუდენტი, მაგრამ საკუთარ ტყავში მაგრად გახვეული, ფუჭი თხილივით ჩაკეტილი, კბილით რომ ვერ გატეხ. ჯიბეში მანეთიც რომ ჰქონოდა, გინდ მოგეკლა, კაპიკსაც ვერ დაახარჯინებდი. მუდამ მზად ჰქონდა პასუხი: ახლა რომ დავხარჯო, ხვალ მშიერი დავრჩებიო. ის კი ავიწყდებოდა, რომ შიმშილით იქნებ ხვალამდეც ვერ მიეღწია. მე პირიქით: გამიტენე ჯიბე დღეს ფულით, ხვალ კაპიკიც აღარ მექნება. გრამატიკიდან მომავალი

დრო უნდა ამოიშალოს. მომავალი არ არსებობს, რადგან იგი უცნობია, ხოლო რაც უცნობია, ცხადია, სისულელეა იფიქრო და იზრუნო მასზე. ხვალინდელ დღეზე მხოლოდ ლაჩარი ფიქრობს, მხოლოდ ის, ვინც დარწმუნებული არ არის საკუთარ ძალაში.

ისევ აივსო ჭიქა და რაკი შენიშნა, ჭიქა წინ ისევ სავსე მედგა, წამოიძახა:

— დალიე, კაცო! შენც იმ ლაჩრების რიცხვს ხომ არ ეკუთვნი, ახლა რომ გეუბნებოდი? გეშინია, ვაითუ დავთვრე, და ხვალ ველარ ვიმუშაოო.

— სწორედ გამოიცანი, — შევნიშნე ღიმილით.

ტუჩებთან მიტანილი ღვინით სავსე ჭიქა ისევ მაგიდაზე დადგა და ძალიან სერიოზულად ალაპარაკდა:

— მისმინე, მარქარიან! ჩემი რჩევა შენ არ დაგიჯდება ჭკუაში, მაგრამ მაინც გირჩევ: არასოდეს იფიქრო ხვალინდელ დღეზე, თუ არ გინდა მთელი სიცოცხლე მოიშხამო. რა არის ცხოვრება? ან უფრო სწორად რომ ჩამოვაყალიბოთ, როგორი უნდა იყოს ცხოვრება იმ უბედური მოკვდავისა, რომელსაც სახელად ადამიანი ჰქვია! წუთიერი სიამოვნება, და წამების სასიამოვნო ჯაჭვი, სანამ არ მიადგება გარდუვალ მიჯნას, რომლის იქით ნირვანას სამფლობელოა. ეჰ, რაღაც უცნობი ანგარიშების გამო თუ ამქვეყნიურ სასიამოვნო წუთებით დატკბობას უარყოფ, რისთვისღა ცხოვრობ? კეთილგონიერებისათვის? ვერ ვიტან ამ სიტყვას. ხესავით ბლაგვი და უგემურია, ამიტომ მთელი არსებით მძულს. ეს კეთილგონიერება კი არ არის, მარადიული შიშია გულის კარნახის, ადამიანის ბუნების წინაშე — მზადა ხარ თავი შეიკავო, როგორც ძუნწებს სჩვეოდათ, ყველაფერზე ხელი აიღო, მაგრამ უცებ გაიხედავ და აღარა ხარ... ნირვანა. ასეთი ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა დაუსრულებელი დიდმარხვა აღდგომის გარეშე. სიკვდილის გარდუვალობა ჭკვიანი კაცისათვის მუდამ გეზის მიმცემი უნდა იყოს, როცა საქმე სიამოვნებით დატკბობას ეხება. დღეს თუ არა, ხვალ სიკვდილი გველის, განა ასე არ არის? ჰოდა, თუ ასეა, რად არ უნდა ვისარგებლო სიცოცხლით, რატომ არ უნდა გავაკეთო, რაც გულით მინდა, რაც ამ წუთს შემიძლია გავაკეთო? ჯერ ვისიამოვნებ, შევდეგ, ჯანდაბას, რაც მოხდება, მოხდეს, შენ იტყვი, ეს ანარქიზმიაო! არა, ეს თვით ცხოვრების ფილოსოფიაა. უძველესი ფილოსოფოსებიდან ყველაზე ჭკვიანი, ჩემი აზრით, ეპიკურეა: ეცადე მიიღო ცხოვრებისაგან

ყველაფერი, რასაც შეუძლია სიამოვნება მოგანიჭოს და არაფერზე იფიქრო. ღმერთმა აცხონოს!

თუსიანმა ჭიქა გამოცალა.

— სცდები, — ვეღარ მოვითმინე და შევნიშნე, — ეპიკურე ასეთ რამეს არ ქადაგებდა. შენ მხოლოდ იმეორებ იმ მცდარ შეხედულებას, მის ფილოსოფიაზე რომ არსებობდა და რომლის წყაროც სტოიკოსების ცილისწამებაა. როგორც ცნობილია, სტოიკოსები ეპიკურეს მოწინააღმდეგენი იყვნენ და მისი ფილოსოფიის შესახებ ყოველგვარ ჭორებს ავრცელებდნენ, მისთვის სახელი რომ გაეტეხათ.

— ეს როგორ? — გაუკვირდა თუსიანს.

— აი როგორ. ცოტა მაინც რომ დაინტერესებულიყავი ფილოსოფიის ისტორიით, გაიგებდი, რომ შენი მოწონებული ფილოსოფოსი სავსებით იმის საწინააღმდეგოს ლაპარაკობდა, რასაც შენ აღიარებ და მისდევ. იცოდე, თვით ეპიკურე ძალიან თავმდაბალი ადამიანი იყო, ჩვეულებრივ საჭმელს მიირთმევდა და მხოლოდ წყალს სვამდა. თავის მეგობრებს რომ იღებდა, იმ ბაღის შესასვლელს ეწერა: „თუ გინდათ სასიამოვნოდ გაატაროთ დრო — შემოდით, თქვენ აქ დაგხვდებათ ქერის პური და სუფთა წყაროს წყალი“. შენ კი ნაირ-ნაირ საჭმელს მიირთმევ და საერთოდ იმდენს ჭამ და სვამ, ლამის მეც გადამყლაპო. ეს, ასე ვთქვათ, ფიზიკური, ხორციელი მხარეა, რაც შეეხება მორალურს...

— თუ ღმერთი გწამს, დამაცა, მარქარიან! — უცბად მთელი ტანით წინ გადმოიზნიქა თუსიანი, — მართებული შენიშვნის გამო ექსტრად ვსვამ შენს სადღეგრძელოს. მართალია. ეს ლხინი, ცოტა რა იყოს, ძვირი დაგიჯდება, მაგრამ უნდა მაპატიო ჩვენი ძველი მეგობრობის განახლებისათვის.

თქვა ეს, ხელახლა დაისხა ღვინო, გადაკრა, ენა გააწლაკუნა და, იდაყვებით მაგიდაზე დაყრდნობილი თვალებში შემომაცქერდა.

— ჰო, ეს ხორციელ-ფიზიკური. მერე?

— რაც შეეხება მისი მოძღვრების სულიერ, მორალურ მხარეს, ესე იგი, მისი მოძღვრების არსს, — განვაგრძე მე, — მართალია, ეპიკურე, წინააღმდეგ სტოიკოსებისა, ამტკიცებდა, ბედნიერება სიამოვნებაშიაო, მაგრამ სანამ მას იგემებდა, ძალიან მკაცრად იკვლევდა შესაძლო შედეგებს, რადგან ამბობდა: არის სიამოვნებანი, რომელთაც სიმწარე მოაქვთო. აი, მაგალითად, ამ წუთში შენ ღვინოს სვამ და გსიამოვნებს, მაგრამ ორივემ ვიცით, რომ ხვალ მთელი დღე ცუდ გუნებაზე იქნები.

— თავი მეტკინება? მაგაზე ნუ სწუხარ, ამ მხრივ დაზღვეული ვარ, კარგა ხანია მივეჩვიე ღვინოს.

— მით უარესი. თუ ყოველი სიამოვნება ჩვეულებად გადაგექცა, ეს ნიშნავს, რომ სიამოვნებას დაუკარგავს თავის მიზანი — სიტკბოების ან, როგორც ეპიკურე იტყოდა, ბედნიერების ძალა. სწორედ ამ მიზნის მისაღწევად და გასაძლიერებლად იყო, ეპიკურე რომ ქადაგებდა თავშეკავებას და არა აღვირახსნილობას, როგორც შენა გგონია. ხომ ცნობილია, რომ თავშეკავების შემდეგ სიამოვნების განცდა უფრო ძლიერია. უწინარეს ხვალე, ვიდრე დღეს, უწინარეს მომავალი, ვიდრე ახლა — აი ეპიკურეს მოძღვრების ნამდვილი აზრი, ესე იგი სავსებით საწინააღმდეგო შენი შეხედულებებისა.

— ჯანდაბას მისი თავი! — წამოიძახა თუსიანმა. — არ გეგონოს, შეგედავო. არ გეკამათები. მაგრამ ნება მიბოძე გითხრა, რომ არ მომეწონა შენი ეპიკურე და არც შემიძლია მომეწონოს, რადგან თავშეკავებას, სიფრთხილეს და მარხულობას ბერობის სუნი ასდის, ხოლო ბერსა და ბერობას ჩემზე დიდი მტერი არ შეიძლება ჰყავდეს. მაშასადამე, ნუ მიწყენ, მარქარიან, შენი მჭევრმეტყველური ახსნა-განმარტების მიუხედავად, არ მივატოვებ ჩემს ეპიკურეს და მისი სულის მოსახსენებელს ვსვამ.

უკვე მთვრალი იყო, მაგრამ სმას განაგრძობდა, როგორც ჩანს, იმიტომ კი არა, რომ უნდოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ, როგორც თვითონ თქვა, სმა ჩვეულებად გადაქცეოდა. სვამდა და სწევდა პაპიროსს, სწევდა და სვამდა, წუთითაც არ ასვენებდა ენას. მოთმინებით ველოდი, სანამ კიდევ ერთ ბოთლს გამოცლიდა. შემდეგ მითხრა გადამეხადა და, როგორც იქნა, სასადილოდან გამოვედით.

— ახლა იცი რა, მარქარიან, — მითხრა ენის ბორძიკით და მკლავში ხელი გამიყარა, რადგან ფეები ეშლებოდა, — მე დილამდე სმას ვარ მიჩვეული, მაგრამ, შენ, როგორც ჩანს, პურიტანელის ხასიათი გაქვს. ეს რომ არა, ამდენი ჭამა-სმის შემდეგ შემოგთავაზებდი პატარა ექსკურსია მოგვეწყო ერთი ადგილისაკენ...

შევაწყვეტინე და წყნარად, მაგრამ სერიოზულად, მტკიცედ განვუცხადე, რომ ექსკურსიას ჩვენ სახლისკენ მოვაწყობთ, სადაც ამდენი ჭამა-სმის შემდეგ შენ მშვიდად დაწვები და დაიძინებ-მეთქი. ლოგინი სასტუმრო ოთახში გავუშალე, მაგრამ კიდევ დიდხანს არ დამაძინა მთვრალი კაცის ყბედობით.

III

დილით საკმაოდ გვიან ადგა, პირის ბანას და თავისთავის წესრიგში მოყვანას ბევრი დრო მოანდომა. ჩაის წინ კონიაკი მოითხოვა და შეგშურდებოდათ, ისე მადიანად ისაუზმა. სამსახურში მეჩქარებოდა. ავდექი, წასასვლელად მოვემზადე. მას კი დავუბარე, სად და როდის ვსადილობდი და შევთავაზე ჩემთან შემოეკლო, რომ ერთად გვესადილა.

— ეს თავისთავად, — თქვა მან, — მაგრამ მე ფული მჭირდება: უპირველეს ყოვლისა, სახლში მინდა დეპეშა გავაგზავნო, რომ ფული გამომიგზავნონ, თორემ თბილისიდან ფეხს ვერ მოვიცვლი. ამის გარდა, აბანოში უნდა წავიდე, გზაში საშინლად გაჭუჭყიანდი, მესამეც, ცოტა გარეგნულადაც უნდა მოვწესრიგდე, თორემ ასეთი ჩაცმულობით ხალხში ჩემი გამოჩენა არ შეიძლება.

და თავის კოსტუმზე მიმითითა, რომელიც დღის სინათლეზე მართლაც ძალზე უბადრუკ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

— კაცმა რომ თქვას, არცთუ ისე ბევრი ფული მინდა, — დასძინა, — ერთი ათი-თხუთმეტი მანეთი რომ მომცე, მეყოფა, ერთ ან ორ ხალათს და ყელსახვევს ვიყიდი, სხვა არაფერი მინდა, ჩემოდანში კი ცოტად თუ ბევრად ხეირიანი კოსტუმი მაქვს, ნუ გეშინია!

რამდენიც მთხოვა, მივეცი და წავედი, ის კი საუზმის დასაჭთავრებლად დავტოვე.

საღილობისას დათქმულ ადგილზე ველოდე. მაგრამ არ გამოჩენილა. იმ დღეს არც ღამის გასათევად მოსულა. მსახურმა მითხრა, დილით თქვენი წასვლის შემდეგ ისიც ჩქარა წავიდა, შემდეგ რამდენიმე საათში დაბრუნდა, კოსტუმი გამოიცვალა და ისევ წავიდაო. არც მეორე დღეს გამოჩენილა, მოვიდა მხოლოდ მესამე დღეს, ღამით, ძალიან გვიან, მე ჯერ არ მეძინა, ყმუშაობდი.

გარეგნულად საკვებით გამოცვლილიყო. ეცვა მშვენიერი ქსოვილისაგან საუცხოოდ შეკერილი შავი პიჯაკი, ფერადი მბზინავი ჟილეტი, გაპრიალებული, ცხვირმახვილი და ღილებიანი წაღები, ახალი პერანგი ძალიან მაღალი სპილოსძვლისფერი საყელოთი. კისერზე სისხლივით წითელი ყელსახვევი შემოეხვია, რომლის ნასკვზე, ეტყობა, ნამდვილი ბრილიანტის ქინძისთავი ბრჭყვიალებდა. მოკლედ შეკრეჭილი, მეტისმეტად შავი, მბზინავი თმა ინგლისურ ყაიდაზე შუაში ჰქონდა გაყოფილი, ხოლო სუფთად გაპარსული მსუქანი სახე გაფცქვნილი ხახვივით

უპრიალებდა. ნახმარი სტუდენტური ქუდი შუაში ჩაკეცილი რუხი წყავის ტყავისაგან შეკერილი ქუდით შეეცვალა, მაგრამ პალტო ისევ ძველი ეცვა.

მაშინვე შევნიშნე, რომ ნასვამი იყო.

— ჯერ მითხარი, არის თუ არა ჩემს სახელზე დეპეშა? — მკითხა და პალტოს გახდა დაიწყო.

ჯერ კიდევ წინა დღეს მოსული პასუხი გადავეცი. გახსნა, ჩუმად წაიკითხა და საწერ მაგიდაზე მშვიდად დააგდო.

— შენ კი გაიხარე! — თქვა. — მამაჩემი სიკვდილს აღარ აპირებს. ამიტომ შეიძლება არ ვიჩქარო, ფულს კი ღმერთი გამომიგზავნის. მას თავისი პროვინციული ჭკუით უფიქრია: — თბილისში ხომ ჩამოვიყვანე, რამდენიმე მანეთით იქიდანაც ჩამოვათრევ და თუ ხელში ჩავიგდე, ფეხებს შევუკრავ, დუქანში დავსვამ, ჩემს სავახშო დავთრებს ვაქექინებო. იცი, რამდენ პროცენტს იღებს და რამდენი საწყალი ცხარე ცრემლით გაუსტუმრებია?.. პატიოსნებას გეფიცები, მის შესახებ გაზეთში თვითონ დავწერე. რასაკვირველია, ფსევდონიმით. აქეთ ეცა, იქით ეცა, ეცადა კორესპონდენტის ვინაობა გამოერკვია, მაგრამ სად შეეძლო?.. ნამდვილი წურბელაა, აი! ჩემი მამაა, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, ვინმეს ასეთი მამა ჰყავდეს. მეც დიდი ვერაფერი შვილი ვარ, მაგრამ ფულისათვის ასე სულის წასვლა, — პირდაპირ არ მესმის. იცი, რამდენს მიგზავნიდა პეტერბურგში? ოცდაათ მანეთს ანუ ოცდაათჯერ ას კაპიკს. აბა სცადე იცხოვრო კაპიკებით ისეთ ქალაქში, როგორიც პეტერბურგია!

პაპიროსი ამოიღო, ლამპაზე მოუკიდა და ჩემს პირდაპირ საწერ მაგიდასთან დაჯდა.

— ეგ იქით იყოს, შენ ის მითხარი, სად იყავი გუშინ, ღამე სად გაათიე? — ვკითხე.

— სარუმიანთან, ესე იგი მისი ცოლის სახლში, რაკი ჩასიძებულია. მათთან ვისადილე, შემდეგ, საღამოს, კლუბში წავედით, იქ ვივახშმეთ, ხოლო როცა იქიდან გამოვედით, ორი საათი იყო. სად წავიდე ასე გვიან? არ მინდა მარქარიანი შევაწუხო, შენ უნდა წამიყვანო-მეთქი. ძალიანაც არ უნდოდა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა?

— მაინც რატომ არ უნდოდა?

— არ ვიცი, ცოლის ეშინია თუ ეჭვიანობს. გინახავს მისი ცოლი? მართალია, მთლად ახალგაზრდა არაა, მაგრამ არა უშავს... კარგი

სიტყვა-პასუხის ქალია, ვნებიანი. სიამოვნებით დათანხმდა მათთან წავსულიყავი. შემეძლო გავარშიყებოდი, მაგრამ ქმარი განუწყვეტლივ ჩვენთან ეგდო. დღესაც მათთან ვისადილე. ახლა კი პირდაპირ ღამის სახლიდან მოვდივარ...

— ფული რომ არ გქონდა?

— წუხელ კლუბში ბანქო ვითამაშე და სამოც მანეთამდე მოვიგე.

— უფულოდ?

— რატომ უფულოდ? შენი მოცემული თხუთმეტი მანეთიდან რამდენიმე კაპიკი კიდევ მქონდა ჯიბეში. — დაცინვით თქვა თუსიანმა — კაცი ის არის, მარქარიან, ვინც უფულოდ ქეიფობს, თორემ ფულით ხომ საპყარიც იცეკვებს. მე ფული მუდამ მაქვს და არცა მაქვს, რადგან მაშინვე ვხარჯავ ან გაჭირვებულ ამხანაგებს ვურიგებ. როცა ფული არა მაქვს, ბანქოს ვთამაშობ და თითქმის ყოველთვის ვიგებ. ქალებთან კაპიკი არ მეხარჯება, რადგან აქ არა მყავს წესიერი ნაცნობები. მხოლოდ ამ საღამოს დავხარჯე მოგებული სამოცი მანეთის ნაწილი ცალკე კაბინეტში. ქარმა მოიტანა და ქარმავე წაიღო. ჩვენც ქარმა მოგვიტანა და ქარივე წაგვიღებს. ასე რომ, საფიქრალი არაფერია. ხომ ხედავ, ისევ ეპიკურესთან მივედით... ჩემს და არა შენს ეპიკურესთან. ყოველ შემთხვევაში, შეგიძლია დამშვიდებული იყო—შენი თხუთმეტი მანეთი არ დაგეკარგება. თუმცა, რომ არც დაგიბრუნო, არაფერი უშავს.

მივხვდი, ლაპარაკის გათავებას არ აპირებდა და შევთავაზე დასაძინებლად წასულიყო.

— წერაში ხელი რომ არ შეგიშალო, არა? გემორჩილები, — თქვა და წამოდგა. მეზობელ ოთახში გავუძეხი ლოგინის გასაშლელად.

დილით ჩემზე ადრე ამდგარიყო და ჩემოდანს ალაგებდა.

— მინდა დღეს გავემგზავრო — თქვა, — მართალია. მამაჩემის დეპეშის შემდეგ მინდოდა პეტერბურგში დაბრუნება, მაგრამ გადავიფიქრე, არ ღირს კონფლიქტის გამწვავება. მგელია თუ ძაღლი, მაინც მამაჩემია. ამას გარდა, რაკი ჯიბეში ფული გამიჩნდა, უნდა ვისარგებლო, თორემ შეიძლება საგზაო თანხაც შემომეხარჯოს.

ჩემოდნიდან რაღაც წიგნები და ქაღალდები ამოეყარა, რომლებსაც ახლა ტანსაცმელთან ერთად აწყობდა. ქაღალდებიდან ამოარჩია ერთი რვეული და მომცა.

— ამას დაგიტოვებ, — მითხრა, — წაიკითხე, თუ მოგეწონება — დაბეჭდე, თუ არა და უკან დაბრუნებისას წავიღებ.

— რა არის? — ვკითხე.

— მოთხრობა. შარშან სტუდენტთა ფონდის სასარგებლოდ ალმანახის გამოცემა გვინდოდა, მაშინ დავწერე, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მივიყვანეთ და ხელნაწერი დამრჩა. მგონი არაა ცუდად დაწერილი. თუ წაიკითხავ, მოგეწონება.

რვეული შევინახე და დავპირდი, წავიკითხავ-მეთქი, თუმცა წინდაწინვე გადავწყვიტე, ეს რაღაც უაზრო ნაჯღაბნი იქნება, როგორც საერთოდ დილეტანტის ნაწერი შეიძლება იყოს-მეთქი.

რადგან ერთი-ორი საათის შემდეგ წასვლას აპირებდა, სახლშივე გამოვეთხოვე და წავედი, მაგრამ როცა სადილის შემდეგ შინ დავბრუნდი, ვნახე, არ წასულიყო. ჩემოდანი ისევ ისე იდო გახსნილი და შიგ ჩასალაგებელი ნივთებიც გარშემო ეყარა. გავიფიქრე, ალბათ ღამის მატარებლით თუ გადაწყვიტა გამგზავრება-მეთქი.

მისი ნაწერის წაკითხვის არავითარი სურვილი არ მქონდა, მაგრამ ახლა იძულებული ვიყავი თვალი გადამევლო, რადგან დაბრუნებისთანავე შემეკითხებოდა, წავიკითხე თუ არა და არ მომეშვებოდა, სანამ არ წამაკითხებდა ან თვითონ წამიკითხავდა ხმამაღლა. ამიტომ მაშინვე დავჯექი და რაკი ჯერ არა ჩანდა, წავიკითხე.

წავიკითხე და...

აქვე მომყავს თუსიანის რვეულში ჩანაწერი.

IV

მ ო კ ლ უ ლ ი მ ტ რ ე დ ი

რუბენ თუსიანის მოთხრობა

ერთი ჩემი მეგობარი, რომელმაც თვითონაც არ იცის, ვინაა — ვინმე არამზადა თუ ყოვლად ჩვეულებრივი ადამიანი, რომლის მსგავსითაც სავსეა ეს ქვეყანა, — ერთხელ ამხანაგურ წრეში შემდეგ ამბავს მოგვიყვა თავის ცხოვრებიდან.

* * *

რამდენიმე წლის წინათ, ზაფხულში, ვისარგებლე საზაფხულო არდადეგებით და დასასვენებლად ბიძაჩემთან გავემგზავრე. თან ოფი

წავიღე და ძაღლი წავიყვანე. ნადირობა ძალიან მიყვარდა. დილით ადრე ვდგებოდი, ტყეში მივდიოდი და მთელი საათობით დავეხეტებოდი, მაგრამ ჩიტიც კი არ დამილანდავს, რომ მომეკლა. ეს იყო ადამიანებით გათელილი სააგარაკო ადგილი და სხვა ყველა ცხოველი ამ ადგილს ამიტომ გარიდებოდა. მერე მითხრეს, აქედან ხუთი-ექვსი ვერსის დაშორებით არის ტბა, სადაც ბევრი გარეული იხვი იცისო. ამის შემდეგ იქ დავიწყე სიარული სანადიროდ. ტბისაკენ მიმავალი გზა ტყეზე გადიოდა.

ერთხელ დილით, როცა ამ ტყეში მივდიოდი, უზარმაზარ ხეზე ჩიბუხა შევნიშნე. ისე, უბრალოდ, სათქმელად რომ მქონოდა, რაღაც მოვკალი-მეთქი, დავუმიზნე და ვესროლე. მოვარტყი თუ არა მიზანში, არ ვიცი, რადგან თოფის გავარდნა და საშინელი კივილის ატეხა ერთი იყო — და იმავე წუთს ვიღაც გამოვარდა ხის ჩრდილიდან. ეს იყო ქალიშვილი, რომელიც აქამდე ვერ შევნიშნე, რადგან მსხვილი ხე ეფარებოდა. თავშიშველი იყო, მაგრამ თბილი პალტო ეცვა, რადგან დილის სუსხი ჯერ კიდევ იგრძნობოდა. ქუდი მოვიხადე და პატიება ვთხოვე. იგი გაუნძრეველად იდგა ჩემგან ათიოდე ნაბიჯზე, გულზე ხელდაკრეფილი. სახეზე მკვდრის ფერი ედო. გაფართოებული თვალებით მომშტერებოდა და მთელი ტანით კანკალებდა. მხატვარი უკეთეს ვერაფერს აირჩევდა ცოცხალი შიშის გამოსახატავად. მე ისევ მოვუხადე ბოდიში. მას კრინტი არ დაუძრავს. მივიდა ხესთან, ბალახებში რაღაცას დაუწყო ძებნა, იპოვა კიდეც — წიგნი იყო, იღლიის ქვეშ ამოიდო, სახეზე ჩამოშლილი თმის ბღუჯა უკან გადაიყარა და წყნარი ნაბიჯით გამშორდა. მეორე დილით, როცა კვლავ იქ გავიარე, დავინახე, იმავე ხის ძირას იჯდა წიგნით ხელში. მივესალმე. არ მიპასუხა. ჩავიარე. შემდეგ დავბრუნდი და თოფზე დაყრდნობილი მისგან ათიოდე ნაბიჯზე გავჩერდი, პირდაპირ მის წინ. ჩემმა ძაღლმა მიირბინა და მის პალტოს ყნოსვა დაუწყო. ძაღლი გააგდო, წარბები შეიკრა, არცთუ ისე მკაცრად შემომხედა და მკითხა:

— რა გნებავთ?

— გთხოვთ მომიტევოთ, — ვუთხარი.

— რისთვის?

— გუშინ დილით რომ შეგაშინეთ.

— თქვენ ხომ არ იცოდით, რომ აქ ვიჯექი?

— მართალია, მაგრამ მაინც... ძალიან ვწუხდი, მეშინოდა, შიშისაგან ავად არ გახდეს-მეთქი.

— მერე თქვენ რა?

— როგორ თუ რა? მიზეზი ხომ მე ვიქნებოდი!

ერთხანს გაოცებული მიყურებდა, შემდეგ გაცბუნებულად აიჩეჩა მხრები, თავი ისევ წიგნზე დახარა და კრინტი აღარ დაუძრავს. ცხადი იყო, უნდოდა ეგრძნობინებინა, რომ მარტო დამეტოვებინა და გავშორებოდი.

მაგრამ მე ჯიუტად ვიდექი მის წინ და უნებური აღფრთოვანებით ვუყურებდი მის ლამაზ თავსა და ძალიან ხშირ, რბილ და მბზინავ თმას, რომელიც დილის მზის სხივებზე პატარა ბავშვის ხავერდოვან თმასავით სხვადასხვაფრად ბრწყინავდა.

— მოიხედეთ, — ვუთხარი, როცა ვნახე, რომ წიგნიდან თავს არ სწევდა.

შემომხედა.

შუბლი თოფის ლულას დავაყრდენი, ფეხი კი ჩახმახს.

— თუ არ მაპატიებთ, — ვუთხარი, — ახლავე გავიხვრიტავ თავის ქალას.

ამის თქმა და მისი წამოვარდნა ერთი იყო.

— გაგიქდით? — წამოიძახა გაფითრებულმა.

— მაპატიებთ თუ არა? — დავიჟინე მე.

— ღვთის გულისათვის, გადააგდეთ ეგ თოფი, მიპატიებია, — სწრაფად წარმოთქვა.

— გმადლობთ. ახლა კი მშვიდად დაგტოვებთ, — ვუთხარი, ძაღლს დავუსტვინე და წავედი.

როცა საკმაოდ დავშორდი, მოვიხედე: ისევ იმ მდგომარეობაში იდგა, განთიადის ოქროსფერი სხივებით განათებული, რომლებიც ხეებს შორის გაბმულ უთვალავ მოელვარე ლენტებს მიაგავდნენ და ტყის სიღრმეში ჩრდილებს ერწყმოდნენ. ქორფა ბალახზე ცვრის წვეთები ციცინათელებივით ციმციმებდნენ, თითქოს ვიღაცის ჯადოქარ ხელს უთვალავი ალმასები დაუდევრად მიმოუბნევიაო.

მესამე დილით ისევ იმ ხის ძირას ვნახე. ამჯერად სალამზე მიპასუხა.

— არ გირჩევთ დილით ადრე ბალახზე ჯდომას. ხედავთ, სულ სველია! — ვუთხარი.

— ბალახზე არ ვზივარ, — თქვა მან, — შეხედეთ!

და მიჩვენა რაზე იჯდა — უზარმაზარი ნაძვის ფესვი, რომელიც ნახევარი არშინის სიმაღლეზე მიწიდან კუზივით ამოზიდულიყო.

— სულ ერთია, — ვუთხარი — სინესტე შეიძლება ფეხებიდან შეგყვეთ.

მან მხრები დაუდევრად აიჩეჩა და გაიღიმა.

— თქვენ, ალბათ ყოველ დილით დადიხართ სანადიროდ, — თქვა და მოფერება დაუწყო ძაღლს, რომელიც კვლავ მასთან მისულიყო და ელაქუცებოდა.

— დიახ.

— სად?

ადგილი დავუსახელე.

წიგნი რამდენჯერმე გაშალა და დაკეცა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ არაფერი უთქვამს, ცდილობდა სახე მოერიდებინა ჩემთვის, ოდნავ წამოწითლდა და წიგნს დააცქერდა.

— ნახვამდის, — ვუთხარი.

— ნახვამდის, — თავაუღებლად მიპასუხა. ჩემი გზით გავწიე.

ამ უკანასკნელმა გულთბილმა საუბარმა დამარწმუნა, რომ შემეძლო ყოველ დილით ამავე ადგილას შევხვედროდი. არც შევმცდარვარ: მეოთხე დილით ისევ იქ დამხვდა. ამჯერად ერთმანეთს ძველი ნაცნობებივით შევხვდით.

— იცით რა, გუშინ რაღაც მინდოდა მეთხოვნა თქვენთვის და ვერ გავბედე, — ღიმილით მითხრა და გაწითლდა.

— რა?

— გთხოვთ, ნება მომცეთ სანადიროდ წამოგყვეთ. მინდა ვნახო, როგორ ნადირობთ.

— ამისათვის ნებართვა არ არის საჭირო, საკმარისია ადგეთ და ჩემთან ერთად წამოხვიდეთ.

— ესე იგი, შეიძლება?

— რასაკვირველია.

გახარებული წამოხტა ადგილიდან.

— ოღონდ თოფის გასროლისა თუ არ შეგეშინდებათ, — საჭიროდ ჩავთვალე გამეფრთხილებინა.

— არა, იმ დღეს სხვა იყო, — გაიცინა მან, — გატაცებით ვკითხულობდი და ერთბაშად გაისმა სროლა. ახლა კი დავინახავ თუ არა, რომ

სროლისათვის ემზადებით, შორს გავიქცევი, ყურებს დავიხშობ, თვალებს დავხუჭავ და აღარ შემეშინდება. ხომ ასეა? — ბავშვური გულუბრყვილობით მკითხა.

— ვნახოთ, — მოკლედ ვუპასუხე და გამეღიმა.

ამჯერად თხელი შალი წამოეღო, ისეთი, ქალები რომ აგარაკზე ქუდის მაგივრად ხმარობენ. თავზე მოიხვია და წავედით. ლაპარაკით გართულებმა, ვერ შევნიშნეთ, როგორ გავიარეთ ტყე და ტრიალ მინდორზე გავედით. ორ ვერსზე მეტი არ გვექნებოდა გავლილი, მაგრამ შევნიშნე, ძლივს მოაბიჯებდა.

— სად არის ტბა? — მკითხა.

— ხედავთ აი იმ მთას? — ვუთხარი და საკმაოდ მაღალ ბორცვზე ვანიშნე, — უნდა ავიდეთ იმ გორაკზე, შემდეგ დავეშვათ, კიდევ ამდენი გავიაროთ და ტბაც იქ არის.

— უჰ, ასე შორსაა? — თქვა და შედგა.

— რაო, დაიღალეთ? — ვკითხე.

თავი დამიქნია და გაიღიმა.

— ახლა რა ვქნათ? — ვკითხე, — გავაგრძელოთ გზა, თუ...

— მე დავბრუნდები, — მითხრა.

ჩემი ძაღლი საკმაოდ შორს წასულიყო. დავუსტვინე. ძაღლმა ყეფითა და კუდის ქნევით მოირბინა.

— დავბრუნდეთ, — ვუთხარი.

— თქვენც ბრუნდებით? — გაიკვირვა ჩემმა თანამგზავრმა.

— მაშ, მარტო ხომ ვერ მიგატოვებთ? ამ ტყეში შეიძლება გზა დაგებნეთ.

— არა, არ დამებნევა — აჩქარდა ქალიშვილი, — ამ ტყეს კარგად ვიცნობ.

— სულ ერთია, — ვუთხარი — ჩემი ვალია, თქვენს ადგილამდე მიგაცილოთ.

— მერე? — მკითხა მან.

— მერე უკან დავბრუნდები.

— უკან დაბრუნდებით?

— თუ გნებავთ, აღარ დავბრუნდები.

ლოყები შესამჩნევად შეეფაკლა.

— ეს კი არ მინდოდა მეთქვა, — წარმოთქვა მან, — არამედ ის, რომ... განა თქვენ არ დაიღლებით?

— მონადირემ თუ დაღლაზე იფიქრა, სანადიროდ ვეღარასოდეს წავა.

ამ ლაპარაკით დავბრუნდით უკანვე. ძალზე დაღლილი იყო. მკლავი შევთავაზე. უარი არ უთქვამს. ჩემი ძაღლი ძალიან კარგ გუნებაზე ჩანდა, წინ გარბოდა, ხან ბუჩქებში გაუჩინარდებოდა, ხან გამოჩნდებოდა, შემოგვხედავდა და ისევ გაუჩინარდებოდა. მისი ყეფა ტყეს აყრუებდა. მზემ უკვე მაღლა აიწია. ჰაერი არ ინძრეოდა. ტყე ჩუმად და იდუმალად გამოიყურებოდა. ტაფობზე ალაგ-ალაგ გაყვითლებულ ბალახებში კალიები ჭრიჭინებდნენ, ადამიანის ჭაჭანებაც არსად ჩანდა.

უცბად ჩემი თანამგზავრი შედგა, ხელი გაითავისუფლა და თითით ერთი ხის კენწერო მიჩვენა.

შეხეთ, შეხეთ, ეს რა ჩიტია?

თოფი მხრიდან ჩამოვიღე და ძაღლს დავუძახე. ჩემი თანამგზავრი ოციოდე ნაბიჯზე გაიქცა, ერთი ხის ქვეშ მოიკრუნჩხა, წიგნი იღლიაში აპოიჩარა, ყურები თითებით დაიხშო, თვალები დახუჭა და გაილურსა. დავუმიზნე და ვესროლე. ფოთლები აშრიალდა, ფრინველი ჩამოვარდა. ძაღლი რამდენიმე ნახტომით გაჩნდა იქ და კბილებით ნადავლი მომიტანა.

ჩემმა თანამგზავრმა მოირბინა და მოკლულ ფრინველს ბავშვური ცნობისმოყვარეობით დაუწყო თვალიერება.

— ოჰ, მტრედია! — ისე საცოდავად წაიჩურჩულა, რომ მეც ეული ანიჩუყდა.

ნანადირევი მივეცი. ცალ ფეხში ორი თითი ჩაავლო და დაკვირვებით დაუწყო თვალიერება.

— შეხედეთ, შეხედეთ! — თქვა, — მკერდზე წითელი, ყაყაჩოს ფერი ლაქები აქვს... ალბათ, სისხლია, არა? ღმერთო ჩემო! როგორი ქალაქათაა, როგორი ლამაზი!..

აღელვებული დიდხანს უყურებდა მტრედს იმ გულკეთილი მოზრდილი ბავშვივით, რომელიც რამეთია შეწუხებული, შემდეგ ამოიოხრა და უკანვე გადმომცა.

გამოვართვი და ბუჩქებში გადავისროლე.

— რატომ გადააგდეთ? — წარმოთქვა საცოდავად, დატუქსვით.

— აბა რაში გამომადგება? — ვუპასუხე.

გზა გავაგრძელეთ ამჯერად სულ სხვანაირ გუნება-განწყობილებით.

ჩემმა თანამგზავრმა მოიწყინა და თითქმის აღარ ლაპარაკობდა. ხელახლა შევთავაზე მკლავი, უარი მითხრა. ჩემს გაუთავებელ ხუმრობაზე აღარ იღიმებოდა. მთვარეულივით მოდიოდა და ჩაფიქრებული შორეთს მიშტერებოდა.

უცბად შეჩერდა, შემომხედა და ატირებული ხმით წამოიძახა:

— გადააგდეთ, გადააგდეთ ეგ თოფი და სიტყვა მომეცით, რომ აღარასოდეს აღარ ინადირებთ.

გაოცებით შევხედე. მის სახეზე ერთდროულად აღბეჭდილიყო აღელვება, თხოვნა და კიდევ რაღაც ისეთი, რასაც არა აქვს სახელი და რომელიც გვიჩვენებს ადამიანის შინაგან სამყაროს — იმ კარგს, რაც მისი სულის სიღრმეში იმალება. და თუმცა ჩემთვის უცხოა ყოველგვარი სენტიმენტალობა, იმ ზომამდე ამიჩუყდა გული, რომ მის თვალწინ თოფი კინაღამ ნამსხვრევებად ვაქციე.

— სიტყვა გინდათ მოგცეთ? ინებეთ! — გულწრფელად და მტკიცედ გავუწოდე ხელი.

გახარებული მომვარდა და ხელი ჩამომართვა. თვალებზე სიხარულის ცრემლი უბრწყინავდა.

მართლაც, იმ დღიდან ნადირობას თავი მივანებე. იმიტომ კი არა, რომ წუთიერი სისუსტის დროს პირობა დავდე და რაღაც მნიშვნელობას ვაძლევდი ფიცს, არამედ იმიტომ, რომ ამ დღიდან ახალი მსოფლმხედველობის შემუშავება დავიწყე. ამ ქვეყნად მკვლელობის გარდა ყველაფერი დასაშვებია, იმიტომ, რომ ყველა ცუდი ქცევა ან ყველაფერი, რაც ცუდად ითვლება, პირობითია და შეიძლება გამოსწორდეს. მხოლოდ მკვლელობას ვერ გამოასწორებ. სუსტს მეტი უფლება აქვს სიცოცხლეზე, ვიდრე ძლიერს, სწორედ იმ მიზეზით, რომ ის სუსტია და უმწეო.

ყველაფერი, რაც აქამდე ვთქვი, ეგრეთწოდებული, პოეტური პრელუდიაა რომანისა, ნამდვილი რომანი კი, როგორც ყველა სხვა რომანი, იმდენად ჩვეულებრივი და პროზაულია, რომ არა ღირს დაწვრილებით შევჩერდე მასზე. საკმარისია ვთქვა, რომ ერთი-ორი კვირის შემდეგ იგი დამნებდა იმავე ტყეში და იმავე ადგილას, სადაც მტრედი მოვკალი. დანებებამდე სულ ქურციკივით გამირბოდა, მაგრამ დამნებდა თუ არა, ძაღლივით ამედევნა. ასეთები არიან საერთოდ ქალები: თავდაპირველად ეშინიათ, უარს ამბობენ, მაგრამ როცა საზღვარს გადალახავენ, მათგან თავს ვეღარ დაიხსნი. ყოველდღე მაფიცებდა, რომ ცოლად შე-

ვირთავდი. მე, რასაკვირველია, ვეფიცებოდი, მაგრამ ვატყობდი, რომ რაც უფრო მეტს ვეფიცებოდი, მით უფრო ნაკლებად სჯეროდა.

ჩვენი მუდმივი შეხვედრის ადგილი ტყე იყო. მივდიოდით ისეთ ყრუ ადგილებში, სადაც კაცს ფეხი არ დაედგა. დამინახავდა თუ არა, სიხარულით ჩამომეკიდებოდა კისერზე, მაგრამ მისი სიხარული დიდხანს არ გრძელდებოდა: თანდათან მწუხარედ ჩაფიქრდებოდა და სახე მოეღრუბლებოდა, სწორედ ისე, როგორც მაშინ, როცა მოკლული მტრედი გადავისროლე. ჩაფიქრდებოდა და აღარ მელაპარაკებოდა, ზედაც არ მიცქეროდა. მოსახვევად რომ წავიწეოდი, ჩემს ხელებსაც კი იშორებდა.

ერთხელ იმ ადგილზე წამიყვანა, სადაც მტრედი მოვკალი და რაღაცას დაუწყო ძებნა ბუჩქებში. მტრედი ისევ იქ ეგდო: ბუმბული გასცვენოდა, გაშავებულიყო, ჭიები ფუთფუთებდნენ ირგვლივ. დახედა და იმ წამსვე მოშორდა შეძრწუნებული.

— რატომ მოკალი, რატომ? — მომმართა საყვედურით.

მის მეტისმეტ მგრძნობიარობაზე გამეცინა.

— იმიტომ, რომ თვითონ შენ მიჩვენე, — ვუთხარი — ხომ გინდოდა გენახა, როგორ ვნადირობ?

— ოჰ, რომ მცოდნოდა!.. — წარმოთქვა აკანკალებული ხმით და თვალები მაშინვე ცრემლით აევსო, — შეხედე, როგორი გამხდარა ის ქათქათა, სუფთა, ლამაზი, უდანაშაულო...

ქვითინმა ხელი შეუშალა სათქმელი დაესრულებინა, ბალახზე დაჯდა, ცხვირსახოცი თვალებზე მაგრად მიიფარა და ტირილი დაიწყო. ისე ცხარედ ტიროდა, რომ მხრები უთრთოდა.

გაოგნებული შევცქეროდი. ვერ გამეგო, ასე როგორ უნდა იგლოვოს კაცმა უბრალო ფრინველი. მხოლოდ ახლა ვხვდები, რომ ის შეუცნობლად რაღაც მსგავსებას პოულობდა თავის ბედსა და მტრედს შორის და მტრედს კი არა, თავის დაკარგულ ქალწულობას დასტიროდა.

აქ წერტილი უნდა დავსვა, რადგან ჩვენ მალე დავშორდით ერთმანეთს და მერე აღარ შევხვედრივართ. ჩემი გამგზავრების შემდეგ მიწერ-მოწერა კარგა ხანს გვქონდა, მაგრამ შემდეგ მიმოწერა რატომღაც შენელდა, და, ბოლოს და ბოლოს, სავსებით შეწყდა. ცხოვრებამ თავის ბობოქარ ტალღებში ჩამიხვია და დრომ მოიტანა გარდუვალი — დავიწყება.

V

იმ ღამით დიდხანს ველოდი თუსიანს, მაგრამ არ გამოჩენილა. მუშაობით მოვიქანცე და მეძინებოდა. „მაწანწალა, შეიძლება სულ არ მოვიდეს“, — გადავწყვიტე და ის იყო დასაძინებლად მოვემზადე, რომ შემოსასვლელ კართან ზარმაც დარეკა. თვითონ წავედი კარის გასაღებად, რომ მძინარე მსახური არ შევეწუხებინა, მაგრამ როცა კარი გავაღე, იქ არავინ აღმოჩნდა. მივიხედ-მოვიხედე ეუჩაში — იქაც არავინ ჩანდა. „ბრიყვი, ნახა სახუმარო დრო!“, — გავიფიქრე, რადგან მეგონა, თუსიანმა, თავისი ჩვეული ქარაფშუტობით დარეკა და ახლა სადღაც ახლოს, მოსახვევში იმალებოდა. რამდენიმე წუთი კარის ზღურბლზე ვიდექი ამ სიცივეში, მაგრამ არავინ გამოჩენილა. შემდეგ გავიფიქრე, შეიძლება ვინმე უცხომ შეცდომით დარეკა და როცა შეცდომაში დარწმუნდა, მიიმალა-მეთქი. დავბრუნდი, გავიხადე და დავწექი. მაგრამ დიდხანს არ დამძინებია, ყურები მიწიოდა, ვწრიალებდი, ძილფხიზლობით ვიტანჯებოდი და თუსიანს ვლანძღავდი.

არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა მოლოდინში, ეტყობა შეუმჩნევლად ჩამთვლიმა. უცებ ღამის სიჩუმეში რაღაც ჩხაკუნმა გამაღვიძა. თვალები გავახილე, ვხედავ თუსიანია, ლამპა, მისთვის რომ დაეტოვე ანთებული, ხელში აღებული მიჰქონდა.

— იძინე, იძინე, — თქვა მან, — თვითონ გავიშლი ლოგინს.

— კარი ვინ გაგიღო? — ვკითხე.

— მსახურმა. თქვე ოჯახაშენებულებო, ასე მაგრად ძილი გაგონილა? კარი კინაღამ შემოვამტვრიე.

— რომელი საათია ახლა?

— სამზე მეტი იქნება.

გამიკვირდა. ასე მეგონა, ხუთი წუთია რაც მძინავს-მეთქი, თურმე ორ საათზე მეტი დრო კი გასულიყო.

— შენ ხომ არ დაგირეკავს დაახლოებით ღამის პირველ საათზე?— ვკითხე.

— როდის? ამ საღამოს?

— ჰო.

— ალბათ დაგესიზმრა, — თქვა და ლამპით ხელში მეზობელ ოთახში გავიდა.

იქ დიდხანს ბორიალობდა, შემდეგ, ნახევრად გახდილი, ფეხშიშ-

ველა, ჩქარი ნაბიჯით შემოვიდა ჩემთან, ლამპა მაგიდაზე დადგა და ცნობისმოყვარეობით მკითხა:

— შენ ამბობ, ღამის პირველ საათზე ვიღაცამ დარეკაო, არა?

— ჰო.

— მერე ვინ იყო?

—მეგონა, შენ იყავი, კარის გასაღებად წავედი, მაგრამ იქ არავინ დამხვდა.

— როგორ თუ არავინ დაგხვდა?

— ისე, არავინ.

— შენ თვითონ გააღე კარი?

— თვითონ მე.

— და არავინ იყო?

— არავინ.

თუსიანი ერთხანს თვალებში გამომცდელად მიყურებდა.

— მარქარიან, ნუ მეხუმრები, — მითხრა მისთვის უჩვეულო სერიოზულობით. — პირდაპირ მითხარი, რომ ქალი იყო და მე მკითხულობდა.

ახლა ჩემი გაოცებისა და ცნობისმოყვარეობის ჯერი დადგა:

— ვინ ქალი?

თუსიანს არ უპასუხნია. კვლავ გაკვირვებული მომჩერებოდა.

— მაშ ეს რასა ჰგავს, ვიღაცა მოვიდეს, დარეკოს და არავინ კი არ გამოჩნდეს? — ეშმაკი ხომ არ იქნებოდა, რომ გამქრალიყო, — ეტყობა კიდევ არა სჯეროდა, რომ მართალს ვეუბნებოდი.

— ეგებ ვინმე უცხო მოვიდა! — ვუპასუხე — და მეზობლის მაგიერ ჩემთან დარეკა.

— ასეც შეიძლება! მე კი ვიფიქრე...

რაღაც ფიქრმა გაიტაცა, ფეხმორთხმით დაჯდა სკამზე (შიშველი ფეხები თუ გაუცივდა ცივ იატაკზე), შემდეგ უცბად შემომხედა და მკითხა:

— არ გაინტერესებს დღეს რატომ არ გავემგზავრე?

— რადგან დარჩი, რაღაც მიზეზი გექნებოდა.

— მიზეზი ერთი კი არა, ორიც არის, — სწრაფად დაუმატა თუსიანმა, — პირველი ის, რომ ამ დილით, როცა ერთმანეთს დავშორდით, სასწრაფოდ სადგურში წასასვლელად მზადებას შევუდექი. ფართი-ფურთით დავიწყე ბარგის ჩალაგება და ერთიც ვნახოთ, ჯიბეში

კაპიკიც აღარ მიდევს. მე კი კარგად მახსოვდა, რომ კლუბში მოგებული სამოცი მანეთიდან ჟილეტის ჯიბეში ოცი თუ ოცდახუთი მანეთი ჩავდე, რომელიც ღამის სახლში დავხარჯე. დანარჩენი კი პიჯაკის შიგნითა ჯიბეში მქონდა. აი სწორედ ეს ფული გამქრალიყო. ვფიქრობ, ან იმ კახპამ ამომაცალა, ვისთანაც ვიქეიფე, ან ჯიბიდან ამომვარდა. ასე რომ იძულებული გავხდი ჩემი გამგზავრება გადამედო. არ მინდოდა ისევ შენთვის მომემართა, სარუმიანთან წავედი და არ მოვეშვი, სანამ ოცი მანეთი არ ავაფცქვენი. წამოვედი, რომ ჩემოდანი წამეღო და ვაგზალში წავსულიყავი, მაგრამ შინ მოსვლამდე მეორე მიზეზიც წამომეწია... დაგეძინა, მარქარიან?

— არა, ძილი უკვე გამიფრთხა.

— მომისმინე, ძალიან საინტერესო რამეს გეტყვი. ჩავჯექი ტრამვაიში... ჰო, მართლა, მითხარი: ჩემი მოთხრობა წაიკითხე?

— წავიკითხე.

— რა აზრისა ხარ?

— ცუდი არ არის, დაბეჭდვა შეიძლება.

— მაგას არ გეკითხები. მიხვდი თუ არა, რომ ჩემი მეგობარი, ვისი პირითაც ვყვები ამბავს, თვითონა ვარ?

— რასაკვირველია, ეს ჩვეულებრივი ლიტერატურული ხერხია.

— ისევ ვერ გამიგე. გაიგე, ამ მოთხრობის გმირი მე თვითონ ვარ და მთელი ეს მოთხრობა — მართალი ამბავია.

— ეს კი არ ვიცოდი.

— დიახ, მართალი ამბავია, ჩემი საკუთარი ცხოვრებიდან. ახლა მომისმინე! ვზივარ ტრამვაიში, მოვდივარ. არ ვაქცევ ყურადღებას, ვინა ზის ირგვლივ. შემდეგ შემთხვევით უკან ვიხედები და ვის ვხედავ? სწორედ ჩემს უკან სკამზე ზის ის — ტყის მიჯნური. საიტერესოა, არა?

— თუ ეს ფანტაზია არაა შუა გზაზე მიტოვებული შენი მოთხრობის დასამთავრებლად, — შევნიშნე მოჩვენებითი გულგრილობით, სინამდვილეში კი საშინლად დავინტერესდი.

თუსიანი სკამიდან წამოხტა.

— კაცო, მართალს ვამბობ, რის ფანტაზია! — წამოიყვირა მან, — ის იყო, ნამდვილად ის, მოკლული მტრედი. დანახვისთანავე ვიცანი, ეს ხომ არც თუ ისე დიდიხნის წინათ მოხდა — რაღაც ხუთიოდე წელია მას შემდეგ. როგორც ჩანს, ვაგონში ჩემზე ადრე ჩამჯდარიყო. მე მიცქეროდა. როგორც კი ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ, არ ვი-

ცი, რა მომივიდა, თითქოს ქვა დამარტყეს თავში. ასეთი რამ არასოდეს დამმართნია. აბა წარმოიდგინე ჩემი მდგომარეობა: არ ვიცი, როგორ მოვიქცე, ავდგე და გავიქცე თუ გამოველაპარაკო. გავიქცე და თავი მომეჭრება, რადგან შემდეგ ვერასოდეს ვაპატიებ ჩემს თავს ამ სულმდაბლობას. გამოველაპარაკო და ვაგონი სავსეა, მეშინია უარესი არ გამოვიდეს, თანაც რა ვუთხრა? რა მაქვს სათქმელი? სულელივით ვიჯექი და თუმცა უკან აღარ მიმიხედია, ვგრძნობდი მისი მზერა კეფას როგორ მწვავდა, კარგა ხანს ვიყავი ასე. თანდათან დავმშვიდდი და ბოლოს ერთბაშად სიხარულმაც კი ამიტაცა. ახლავე გეტყვი რატომ. როცა ჩვენი მიმოწერა შეწყდა და მისგან წერილები აღარ მომდიოდა, ხანდახან გავიფიქრებდი ხოლმე, თავს რამე ხომ არ აუტეხა-მეთქი, ახლა კი ცოცხალსა და ჯანმრთელს ვხედავდი. ამ სიხარულის გავლენით ისევ უტიფარმა აზრმა შემიპყრო: გადავწყვიტე მეც იქ ჩამოვსულიყავი ტრამვაიდან, სადაც ის ჩამოვიდოდა. რაც იქნება, იქნება-მეთქი, ვიფიქრე. ასეც გავაკეთე. როგორც კი ტრამვაი გაჩერდა და ჩამოვიდა, მეც ჩამოვედი. ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა. დავეწიე. გაჩერდა... აბა, რაღა გავაგრძელო: საყვედური საყვედურზე მომაყარა, მაგრამ. მადლობა ალაჰს, ჩემმა მშევრმეტყველებამ, სითამამემ და გამოცდილებამ ამჯერადაც მიშველა — თანდათანობით მოლბა... ვუთხარი, დამნაშავე არა ვარ, ყველაფერი ჩემი სურვილის წინააღმდეგ მოხდა, სტუდენტურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის ციმბირში გადაიასახლეს-მეთქი... ერთი სიტყვით, არ ვიძუნწე ტყუილებზე. თან ვეფიცებოდი, რომ ძველებურად მიყვარდა, ვწუხდი, რომ უკვე გათხოვილია (თვითონ მითხრა ეს). მაგრამ მაინც დავძინე, ეს ხელს არ შეუშლის ჩვენი ძველი დამოკიდებულება გავაგრძელოთ-მეთქი.

— და რა პასუხი მიიღე?

— ამის გამოცნობა შენთვის მომინდვია, — თქვა თუსიანმა, ლამპა აიღო, ძილი ნებისა მისურვა და გავიდა.

— ალბათ, კარგი სილა გაჭამა! მივაძახე კვალდაკვალ.

— თუმცა ფილოსოფოსი ხარ, სცდები,—მომაძახა მეზობელ ოთახიდან. — ეს ამტკიცებს, რომ შენ ქალებთან საქმე არ გქონია და მათ არ იცნობ. ლამპა ჩავაქრო თუ არა?

— შეგიძლია ჩააქრო.

შუქი. რომელიც მეზობელ ოთახიდან გამოდიოდა, გაქრა.

— იცი, როგორ ქალებს შეუძლიათ სილის გარტყმა, მარქარიან?—

მოაღწია ჩემამდე თუსიანის ხმამ. იგი, ალბათ, უკვე ლოგინში იწვა. — სილის გარტყმა შეუძლიათ ისეთ ქალებს, რომლებიც არაფერს კარგავენ. მაგალითად, ქუჩაში მიხვედი ბ'უბუქი ყოფაქცევის ქალთან და წინადადება მიეცი. თუ მას რატომღაც არ მოეწონე, სილას გაგაწნავს და თანაც პოლიციელს დაუძახებს, რომ თავისი პატიოსნება დაამტკიცოს. წესიერი ქალი კი, პირიქით, ასეთ შემთხვევაში წითლდება, იბნევა და სირცხვილისაგან ლამის მიწაში ჩაძვრეს, რომ არავინ დაინახოს, არავინ გაიგოს. მწერალი ხარ, ასეთი რამეები უნდა იცოდე, — მთქნარებით დაუმატა მან.

— შენ მაინც არ თქვი, რა გიპასუხა, — შევნიშნე მე.

— ყოველ შემთხვევაში, სილა არ გაუწნავს და არც შეეძლო გაეწნა, რადგან, ასეა თუ ისე, მისი პირველი სიყვარული ვიყავი. პირველი სიყვარული კი წარუშლელ კვალს ტოვებს ქალის გულში, თუნდაც მისი სიყვარულის საგანი ისეთი უზნეო ადამიანი იყოს, როგორიც, მაგალითად, მე ვარ.

— შენი ფილოსოფოსობა არ მჭირდება, ბოლო მაინტერესებს, — შევეკითხე მოუთმენლად.

— ბოლო... აი, ბოლო... სად ცხოვრობო, მკითხა და მეც შენი მისამართი მივეცი.

— რატომ?

— რატომ? ცხადია ან თვითონ მოვა, ან წერილობით დამინიშნავს პაემანს! მე ასე გავიგე და ამის გამო დროებით გადავდე ჩემი გამგზავრება. ამიტომ, როცა მითხარი, ვიღაც მოვიდა და დამირეკაო, გავიფიქრე — ალბათ, ის იყო, მაგრამ დარეკის შემდეგ შეიძლება შერცხვა და გაიქცა-მეთქი. თუმცა, იმასაც ვფიქრობ, გაბედავდა კი შუაღამისას მოსვლას?

— რატომ მისი მისამართი არ გაიგე?

— არ მომცა.

— რატომ?

— გასაგებია, ქმარი, ოჯახი, ვინ იცის...

თუსიანმა ისევ დაამთქნარა და დიდხანს დუმდა.

— მაგრამ მისმინე, რა გითხრა, — უცებ გამომეხმაურა იგი, — თუ ვინიცობაა ხვალ ან ზეგ მოვიდა და სახლში იქნები, იმედი მაქვს, გეყოფა თავაზიანობა და მარტო დაგვტოვებ. ახლა კი ღამე მშვიდობისა, მეძინება.

VI

არ ვიცი, თუსიანი რატომ იყო დარწმუნებული, რომ მისი მოტყუებული ქალიშვილი ოთხი-ხუთი წლის განშორების შემდეგ ან მოვიდოდა მასთან, ან წერილით დაუნიშნავდა პაემანს. მეორე საღამოს ძალიან ადრე მოვიდა შინ, დიდიხნის ამაო ლოდინისაგან დაქანცული, გაუხდელად დაწვა და დაიძინა, თან მთხოვა—თუ მოვიდეს, გამაღვიძეო.

ვიჯექი და ვმუშაობდი როგორც ყოველთვის, როცა თითქმის იმავე დროს, როგორც წინა ღამეს, გაისმა ზარის ხმა, იმავე წუთში უცებ მეზობელ ოთახში თუსიანის ხვრინვაც შეწყდა. ეს ნიშნავდა, რომ მასაც გაეღვიძა ზარის ხმაზე.

— რაო, მარქარიან, — წამოიძახა მან, — ეს ის არის?

— არა, შე ჯიხვო, — ვუპასუხე გაბრაზებულმა იმის მიუხედავად, რომ ჩემდაუნებურად თითქმის მეც ვრწმუნდებოდი, რომ შეიძლებოდა მართლაც ის ყოფილიყო.

შემოვიდა თუსიანი, რომელიც აჩქარებით იცვამდა პიჯაკს.

— მოიცა, მე თვითონ გავუღებ, — თქვა და გავიდა.

მის დაბრუნებას მოუთმენლად ველოდი. ამ უცნაურმა ამბავმა ძალიან დამაინტერესა.

დიდხანს ველოდე, თუსიანი არ ბრუნდებოდა. ვიფიქრე: ალბათ, საუბარმა გაიტაცათ კართან და სადაც არის შემოვლენ-მეთქი. და ახლა შეშფოთებით ვფიქრობდი, თუ რა სულელურ მდგომარეობაში მაყენებდა ეს ურცხვი ჩემს საკუთარ ბინაში. ცოტახნის შემდეგ, ერთიც ვნახოთ, თუსიანი მარტო დაბრუნდა და საგონებელში ჩავარდნილმა უმწეოდ გაშალა ხელები.

— ეს რა გამოცანაა? — თქვა მან, — არავინ აღმოჩნდა.

VII

გამოცანა ამოიხსნა მეორე დილით, როცა სამსახურში მივედი, დავჯექი და ის იყო საქმეს უნდა შევდგომოდი. თუმცა ნაბრძანები მქონდა, განსაზღვრულ საათებში ჩემთან არავინ შემოეშვათ, მაინც შემოვიდა შიკრიკი და მომახსენა: ვიღაც ბატონს სურს თქვენი ნახვა მეტად სერიოზულ საქმეზეო. იძულებული გავხდი მებრძანებინა შემოეშვათ.

ფრთხილი, გაუბედავი ნაბიჯებით შემოვიდა ერთი კაცი. თავი ავწიე და ჯერ ძალიან გამიკვირდა, შემდეგ კი წამოვვარდი, სიხარულით შევეხმიანე.

ეს გარეგინ სისაკიანი იყო, რომელსაც უკვე დაკარგულად ვთვლიდი. მინდოდა ძველებურად მეგობრულ-დამცინავი ტონით მიმემართა, მაგრამ გაოცებულმა შევნიშნე, რომ ის უკვე აღარ იყო ძველი გარეგინი, ფერი დაჰკარგოდა, თვალები ჩაშრეტოდა, ჩაქრობოდა და მძინარე თუ ავადმყოფი ადამიანივით იყურებოდა. მუდამ ხალისიანი და მხნე ხასიათის კვალიც აღარ ეტყობოდა არც სახეზე, არც მოძრაობაში. პირიქით, მთელი გამომეტყველებით მძიმე სულიერი განცდებით დაბეჩავებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

არც მომსალმებია, არც შემოუხედავს, ისე დაჯდა საწერ მაგიდასთან და შეშფოთებული, დასიცხული თვალები მიმობნეულ ქაღალდებს მოავლო. ჩემს ადგილზე დავჯექი მის პირდაპირ, მისი უჩვეულო მდგომარეობით გაოგნებულმა ჯერ ხმის ამოღებაც ვერ შევძელი და გაოცებით შევცქეროდი. ცხადად ვხედავდი, რომ საშინლად უბედური იყო და ეჭვიც არ მეპარებოდა, მისი უბედურების მიზეზი ის იყო, რაზედაც დაქორწინებამდე ვაფრთხილებდი. სწორედ აქედან დავიწყე გამოკითხვა.

— ნუთუ ჩემი წინასწარმეტყველება ახდა, — ვუთხარი — და ამ ქალმა ბოლოს და ბოლოს მართლა გაგაუბედურა?

შეშინებულმა უცბად მიმოიხედა, ადგა, ჩქარი, ფრთხილი ნაბიჯებით კართან მივიდა.

— შეიძლება კარი დავკეტო? — თითქმის ჩურჩულით მკითხა.

— შეიძლება.

ძალიან ფრთხილად, ალბათ იმისათვის, რომ ხმაური არ გამოეწვია, გადაატრიალა გასაღები, შემდეგ დაბრუნდა და ძველ ადგილზე დაჯდა. მხოლოდ ახლა შემომხედა პირდაპირ და მითხრა:

— სცდები, უბედური არა ვარ და არც არასოდეს ვყოფილვარ, ამ წუთშიც კი არ მოიძებნება ჩემზე ბედნიერი ადამიანი, თუ... ის მოინდომებს.

— ვინ ის?

— ჩემი ცოლი.

— ეს როგორ...

— მომისმინე, გეტყვი, — შემაწყვეტინა გარეგინმა და ისევ შეში-

ნებულმა მიმოიხედა, შემდეგ ჩემსკენ დაიხარა და ჩურჩულით მკითხა: — ვინ არის ის ბატონი, შენთან რომ არის სტუმრად?

ამ მოულოდნელმა კითხვამ, განსაკუთრებით მისმა საიდუმლო ჩურჩულმა ელვასავით დამკრა. თითქოს ამ წუთამდე ჩემი გონება წყვდიადით იყო მოცული, ახლა მოულოდნელად გაიბრწყინა შუქმა და ჩემს ირგვლივ განათდა. ამავე წამს ჩემს წარმოდგენაში გადაიხლართა სამი სახე — სარა, თუსიანი და გარეგინი — და მაშინვე ვიგრძენი, რომ უკვე ყველაფერი ვიცი.

ეს თვალის ახელა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ გარეგინის შეკითხვაზე პასუხის გაცემა მაშინვე ვეღარ მოვახერხე. შემდეგ, ცოტა გონსმოსულმა, ვკითხე:

— საიდან იცი, რომ ჩემთან სტუმარია?

— ვიცი... და მე შენთან კი არა, მასთან მოვდიოდი.

— როდის? რას ამბობ?

— წუხელ და წინაღამითაც.

— მოიცა, ეს შენ რეკავდი?... — წამოვიძახე.

— მე ვიყავი.

— კი მაგრამ, რატომ აღარ ელოდებოდი კარის გაღებას?

— რატომ? აი რატომ.

უკანა ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო, მიჩვენა და ისევ ჩაიდო. თუმცა უკვე ზუსტად მქონდა წარმოდგენილი მთელი ეს დრამა, მაგრამ ისე ვიყავი გაოცებული, არ შემეძლო არ მეკითხა:

— რატომ დაგაქვს რევოლვერი ჯიბით?

— რომ მოვკლა.

— ვინ?

— ის ბატონი, შენი სტუმარი.

— კი მაგრამ, რა დაგიშავა?

გარეგინი უცებ წამოვარდა, სკამი აიღო და ისე ახლოს მომიჯდა გვერდით, რომ ჩვენი მუხლები და მხრები ერთმანეთს შეეხო. ნაწყვეტ-ნაწყვეტ, თითქოს ბოდავსო, ყურში ჩამჩურჩულა:

— ის ბატონი და სარა... როცა ის ქალიშვილი იყო... გესმის... მე არაფერი ვიცოდი, მან თვითონ მიამბო.

— ვინ?

— სარამ... გუშინწინ მითხრა. არ ვიცი, სად შეხვდა იმ ბატონს, მაგრამ მითხრა, რომ შენთან ცხოვრობს... უკვე ორი ღამეა ზედიზედ

მოვდივარ, ვრეკავ, მაგრამ როგორც კი გავიგებ ზარის ხმას, შეძრწუნებული გავრბივარ, რადგან... მე... მე კაცი მოვკლა?.. მე ხომ ჩემს სიცოცხლეში ჭიანჭველაც არ გამისრესია...

— კარგი, მაშ რატომ დაგაქვს რევოლვერი ჯიბით? ან რაღად მოდიხარ და რეკავ?

— მან მომცა, სარამ და მთხოვს, ის მოვკლა, გესმის? აბა მე რად მინდა რევოლვერი? რაში მჭირდება მთელი ღამეები გიჟივით ვიხეტიალო ქუჩებში?.. ასეა: ვიხეტიალებ, მივბრუნდები შინ, მაგრამ ისევ გარეთ გამომაგდებს — უთუოდ უნდა მოძებნო და მოკლაო.

— დაიცა, — ვუთხარი და განზე გავწიე, რადგან მეტისმეტი მღელვარებისაგან თითქმის ზედ მომაწვა და მისი ჩურჩული ბუზის ბზუილივით მანერვიულებდა. — შეგეკითხები, შენ კი დაწყნარებით მიპასუხე, რადგან ამ შენი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლაპარაკისაგან ვერაფერი გავიგე.

გაიწია და რამდენადმე დაწყნარდა თუ არა, გამოკითხვა დავუწყე.

— ჯერ მითხარი, — სად იყავით ამ ხუთი-ექვსი თვის განმავლობაში?

— საზღვარგარეთ წავედით.

— როდის დაბრუნდით?

— ერთი კვირაც არ არის.

— შენ ამბობ, ქალიშვილობაში ახლო დამოკიდებულებაში იმყოფებოდაო იმ ბატონთან, რომელიც ჩემი სტუმარია. ეს გინდოდა გეთქვა, არა? ხომ გასაგებად ვლაპარაკობ?

— ჰო.

— როდის გითხრა ამის შესახებ?

— გუშინწინ, როცა ამ ბატონს შეხვედრია.

— მანამდე არაფერი უთქვამს?

— სრულებით არაფერი.

— შენც არაფერი გეეჭვებოდა?

— სავსებით.

— რაკი ამდენხანს მალა, რატომღა გითხრა ახლა?

— რომ შური ვიძიო.

— კი მაგრამ, რატომ არ ფიქრობს, რომ შენ შეგიძლია უწინ შური თვით მასზე იძიო, რადგან შენ მოგატყუა?

— ვინ? მე?... შური ვიძიო მასზე? მაშასადამე, შენ კარგად კიდევ არ მიცნობ, არ იცი, როგორ მიყვარს...

— მას კი უყვარხარ?

— შემიძლია ვთქვა, რომ უჩემოდ ერთ დღესაც არ იცოცხლებს.

— თუ მას მართლა ასე ძლიერ უყვარხარ, რად მოინდომა შენი დაღუპვა? კაცის მოკვლისათვის ხომ სასჯელი მოგელის, ამით კი თვითონაც გაუბედურდება!

— ეს ყველაფერი ვუთხარი, შენ გგონია არ ვუთხარი? მაგრამ არავითარი მიზეზი არ სურს გაიგოს, არავითარი მოსაზრება არ არსებობს, შურისძიებაზე რომ ხელს ააღებინებს. მთლიანად შურისძიებად ქცეულა და მზად არის ამას ყველაფერი შესწიროს, თავისთავიც. გახსოვს, გიამბობდი — როცა დანიშნულები ვიყავით, ერთხელ მუშტაიდში წავედით, მან რევოლვერი დახატა და მკითხა: კაცის მოკვლა თუ შეგიძლიაო? თურმე მუდამ ამაზე ფიქრობდა. მხოლოდ ახლა ვხვდები, რომ მთელი მისი უცნაურობანი — დაღუპული ცხოვრების შედეგია.

— კარგი. მაინცდამაინც მკვლელობით რატომ უნდა იძიოს შური?

— იმიტომ, რომ ასეთებისათვის სხვა სასჯელი არ არსებობსო, მან ისევე მომკლა მე, როგორც ის მტრედი, რომელიც თავისთვის მშვიდად იჯდა ხეზე და არავის არაფერს უშავებდაო. რომელ მტრედზეა ლაპარაკი, არაფერი მესმის. მგონია, ჭკუას კარგავს და როცა ამაზე ვფიქრობ, ლამის არის თვითონაც შევიშალო. ღმერთო ჩემო, რითი გათავდა ყოველივე ეს, რითი?

გარეგინმა ხელები თავზე შემოიდო და რამდენიმე ხანს გაუნძრევლად უყურებდა ერთ წერტილს, მერე მოულოდნელად შეირხა, ხელები ჩამოუშვა და შეშლილივით შემომხედა.

— მე შენ სხვა, უფრო საშინელ ამბავს გეტყვი, — თქვა მან და ხმას ძალიან დაუწია, — მას შვილიც ჰყოლია ამ ბატონისაგან... და თავის ხელით დაუხრჩვია...

— რას ამბობ? — წავიჩურჩულე შეძრწუნებულმა.

— ჰო, ჰო, ესეც თვითონვე აღიარა.

— მერე რა უქნია მოკლული ჩვილისთვის?

— მამამისს, ჩემს სიმამრს, ქალიშვილის სახელი რომ დაეცვა და დანაშაული დაემალა, ღამით წაუღია გვამი და მდინარეში გადაუგდია.

VIII

ბავშვის მკვლელობის გამოკლებით გარეგინის ნაამბობს სარასა და თუსიანის დამოკიდებულებაზე სავსებით ჩვეულებრივ ამბად ვთვლიდი. მსგავსი შემთხვევებით სავსეა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება. არ მიმიცია აგრეთვე სერიოზული მნიშვნელობა იმისათვის, რომ სარა გარეგინისაგან მისი ნამუსის ამხდელისა და შემაცდენელის მოკვლას მოითხოვდა: ეს მისი ჩვეულებრივი უცნაურობის ერთ-ერთ ნიშნად მივიჩნიე. ნერვული აღგზნებისას უთუოდ ვერ ამჩნევდა, რა სულელურ რამეს მოითხოვდა მოსიყვარულე მეუღლისაგან, რომელსაც, უეჭველია, ძალიან კარგად იცნობდა. მაგრამ იმ გარემოებამ, რომ ამ ისტორიაში ადგილი ჰქონდა ბავშვის მკვლელობის შემაძრწუნებელ დანაშაულს, სულ დამამუნჯა და მაიძულა ძალიან სერიოზულად შემეხედა ამ საქმისათვის, რადგან ის, რასაც ჩვეულებრივ ამბად, ყოველდღიურ შემთხვევად ვთვლიდი, ნამდვილად ტრაგედია იყო, რომლის დასასრული შეიძლება ფრიად სავალალო ყოფილიყო იმ მოქმედი პირებისათვის, რომელნიც ბედისწერას ერთმანეთისათვის დაეკავშირებინა. და რაკი მეც, სავსებით გარეშე პირი, ბედის თამაშმა ამ ტრაგედიაში გამრია, მინდოდა თუ არა, მაინც მონაწილეობა უნდა მიმეღო.

გარეშე ადამიანის მდგომარეობა საზღვრავდა ჩემს როლს ამ ისტორიაში: მეთამაშა მეხამრიდის როლი. მაგრამ როგორ უნდა შემესრულებინა ეს ძნელი როლი, თვითონ ჩემთვისაც არ იყო ნათელი. ამიტომ, როცა გარეგინის სიტყვების მძიმე შთაბეჭდილება ოდნავ გამეფანტა, გამოკითხვა განვაგრძე.

— ახლა რა გაქვს განზრახული?

— განზრახული? — გაუკვირდა გარეგინს. — გონება შემრჩა კი, რომ რამე განვიზრახო? ან რა შეიძლება გააკეთოს ისეთი სუსტი ხასიათის ადამიანმა, როგორიც მე ვარ, ასეთი უბოროტო, კეთილი გულით? ცხადია, სულ სხვა იქნებოდა, მეც რომ სხვებივით შემეძლოს გაცხარება, განრისხება, მაგრამ განა დამნაშავე ვარ, რომ არ შემიძლია, რადგან უნიჭო ვარ? სწორედ ამაშია ჩემი უბედურების ფესვები და ვინ იცის, რამდენჯერ სახეში მოუხლია, შენ ვაქკაცი კი არა, დედაკაცი ხარ, ქალაჩუნა, ჩვარიო... არ გეგონოს, რომ მე ამ ორ დღეს ვცოცხლობ, ვიცი რა არის მოსვენება. ვხედავ, როდის ღამდება და როდის თენდება? სულ არაფერი ვიცი, ამომაგდეს ცხოვრების კალაპოტიდან და თავ-

ქვე ვეშვები, სულ ქვევით, ქვევით... და მგონია, ეს ძირს დაშვება არასოდეს დამთავრდება, სანამ სული არ ამომძვრება. სულ გამოვთა-ყვანდი, სული ყელში მებჯინება, ძლივს ვსუნთქავ, იმიტომ, რომ სარა არ მაძლევს მოსვენებას, ჩემი დანახვა არ სურს, მემუქრება, რომ თუ იმას არ მოვკლავ, გადამიყვარებს, შემიძულებს, თავსაც მოიკ-ლავს.

გარეგინი ნიდაყვებით დაეყრდნო საწერ მაგიდას და თავი ხელებში ჩამალა, მძიმედ და ღრმად სუნთქავდა, სირბილით გახვითქული კაცი-ვით, შემდეგ უცბად ხელები ჩამოუშვა და ოთახში მძიმე, შეკავებული ქვითინი გაისმა.

ამან საშინლად ამაღელვა. ამ აღტაცებულ, მხიარულ, უდარდელ ახალგაზრდა კაცს მწარედ ატირებულს პირველად ვხედავდი. მას უმ-წეო, ცხოვრებისაგან დაჩაგრული ობოლი ბავშვის სახე ჰქონდა და არასოდეს ისე არ შემბრალებია, როგორც ამ წუთს. არც შეიძლებოდა, არ გეთანაგრძნო მისთვის... და სანამ იგი შეკავებული ქვითინისაგან სულს ძლივს იბრუნებდა, ჩემთვის თანდათან ნათელი ხდებოდა ჩემი სამოქმედო გეგმა, რაკი მეგობრული თანაგრძნობა თუ ბედის უკუღ-მართობა ამ საქმეში ჩარევას მავალდებულებდა.

შევეცადე, როგორმე დამეწყნარებინა გარეგინი. შემდეგ კი ვუთხარი:

— შენ ხომ იმისათვის მოხვედი, რომ დაგეხმარო, ასე არ არის?

— დიახ, — ცრემლნარევი ხმით მითხრა, — მხოლოდ შენ შეგიძლია დამეხმარო, რადგან ის ბატონი...

— კარგი! ის ბატონი არა თუ ჩემს სახლში, არამედ თბილისშიაც არ იქნება დღესვე, — წარმოვთქვი მტკიცედ.

— მართლა? — წამოიძახა და ჩემს ხელებს ისეთი დიდი სიხარუ-ლით დააცხრა, თითქოს ეხლახანს უიმედოდ არა ტიროდა.

— ამ მხრივ შეგიძლია სავსებით დაწყნარებული იყო, მაგრამ საქმე ის არის, გათავდება თუ არა ამით ყველაფერი?

— ო, ეს არის მთავარი, — მხურვალედ წარმოთქვა გარეგინმა. — შენ ოღონდ ის გაისტუმრე აქედან, დანარჩენი ადვილია. იცი რა? — განაგრძო გარეგინმა მეტი აღფრთოვანებით, — არ ვიცოდი, თუ ასეთი გავლენა გქონდა იმ კაცზე, მაგრამ რაკი მპირდები გაგისტუმრებო, საკსებით დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება და უკვე ვგრძნობ ისეთ შემსუბუქებას, თითქოს უცებ გავთავისუფლდი კბილის საშინელი

ტკივილისაგან. იცი, რატომ მოვედი შენთან? გთხოვ, მოდი ჩვენსა და სარა დაამშვიდე. თუ ამასაც დამავალებ, მარტო ჩემი კი არა, მისი მხსნელიც იქნები.

— შენი აზრით, ეს უხერხული არ იქნება?

— უხერხული კი არა, აუცილებელია. მე მასზე არავითარი გავლენა არა მაქვს. ის უბრალოდ, ვერ მიტანს, იქნებ უკვე ვძულვარ კიდეც, შენ კი, ვიცი, პატივსა გცემს და არ შეიძლება არ დაგიჯეროს. ბევრჯერ ვცადე დამეწყნარებინა და დავრწმუნდი, სხვის დაუხმარებლად შეუძლებელია მისი დამშვიდება. დაწყნარება კი საჭიროა, აუცილებელია, იმიტომ რომ... იცი, ყველაზე უფრო რისი მეშინია? ფეხმძიმედ არის და მღელვარებამ შეიძლება მასზე ცუდი გავლენა იქონიოს.

თუმცა სარასთან შეხვედრაზე აზრი გარეგინის თხოვნამდე მეც დამებადა, მაინც პირადსა და ოჯახურ საქმეში ჩარევა იმდენად ფაქიზი საკითხია, რომ მაშინვე თანხმობა ვერ მივეცი, გამახსენდა სარას ხასიათის თავისებურებაც და პირდაპირი პასუხისაგან რომ თავი ამერიდებინა, ვუთხარი:

— კარგი, ვიფიქრებ.

— არა, გემუდარები, რაა საფიქრალი, — მუდარით შემაწყვეტინა გარეგინმა, — მოდი, აუცილებლად მოდი, გევედრები, და რაც უფრო ჩქარა მოხვალ, მით უკეთესი იქნება. დღესვე მოდი, როგორც კი სამუშაოს მორჩები. ყოველი წუთი ძვირფასია. უნდა გადავარჩინოთ. მეშინია, შემდეგ გვიან იქნება.

დიდხანს საცოდავად, დაჟინებით მთხოვდა, არც კი მისმენდა, რომ ვეუბნებოდი, სარამ შეიძლება არც მიმიღოს, შეიძლება შეურაცხყოფაც მომაყენოს ან როგორც დაუპატიჟებელი შუამავალი, უბრალოდ სახლიდან გამომაგდოს-მეთქი, ბოლოს იძულებული გავხდი დამეთმო და სიტყვა მივეცი, დღესვე მოვალ-მეთქი.

ისე მხიარული და დაწყნარებული წავიდა, თითქოს ქვეყნად არავითარი სადარდებელი უკვე აღარა ჰქონდა. ამიტომ აღარ ვნანობდი, რომ თანხმობა მივეცი და თავი წინასწარ დაჯილდოებულად ჩავთვალე ყველა იმ მოსალოდნელი უსიამოვნებისათვის, რომელიც, როგორც დარწმუნებული ვიყავი, ამ საღამოს სარასთან შეხვედრისას მომელოდა.

IX

სამუშაო საათების დამთავრებისთანავე თუსიანის ძებნა დავიწყე, რომ მაშინვე თბილისიდან გამესტუმრებინა. ვიყავი ყველგან, სადაც კი იმედი მქონდა ვნახავდი, სხვათა შორის, მივედი სარუმიანთანაც, რომლის ცოლზე თვალი დაედგა თუსიანს, მაგრამ ვერსად ვნახე. შემოდგომის მოკლე დღე უკვე ილეოდა და იძულებული გავხდი ძებნა შემეწყვიტა, რომ სარას ნახვა მომესწრო.

სასწრაფოდ ვისადილე. ძალიან მაწუხებდა და ამავე დროს მაინტერესებდა სარასთან შეხვედრა. არ ვიცოდი, რითი ამეხსნა ჩემი შუაკაცობა, რაზე მელაპარაკა, რა სიტყვებით „დამეწყნარებინა", და როგორც არ ვცდილობდი მომეძებნა საბაბი და მომეხაზა მოსალოდნელი საუბრის თუნდაც სქემა, არაფერი გამომდიოდა. ბოლოს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ ასეთ შემთხვევებში საერთოდ წინასწარი მომზადება სრულიად ზედმეტია, მოფიქრებული გეგმა ყოველთვის იშლება, ამიტომ უმჯობესია ყველაფერი გარემოებას მიანდო.

ასეთი გადაწყვეტილებით წავედი კიდეც. კარი გამიღო თვითონ გარეგინმა. შუშის კარებიდან ვხედავდი, როგორ ჩამორბოდა მარმარილოს კიბეზე.

— გმადლობთ, რომ მოხვედი, მოუთმენლად გელოდი, — წყნარად მითხრა და ხელი მაგრად ჩამომართვა. — ავიდეთ! თუმცა, მოიცადე!

შემაჩერა, ზემო სართულს შეშფოთებით მიაჩერდა და კიდევ უფრო ხმადაბლა მკითხა:

— ის ბატონი უკვე გაისტუმრე?

— ბევრი ვეძებე — ვერსად ვნახე, მაგრამ საერთოდ ღამეს ჩემთან ათევს. თუ ამ ღამით ძალიან გვიან არ მოვა, დღესვე გავაგზავნი ღამის მატარებლით, უკიდურეს შემთხვევაში — ხვალ ადრიანად.

— ეს არაფერია, მხოლოდ გაფიცებ, სარას უთხარი გაემგზავრათქო. მეშინია, ამაღამაც არ გამომაგზავნოს მის მოსაკლავად. ამის გარდა, თუ გაიგებს, რომ ქალაქში აღარ არის, — დამშვიდდება.

— ასე გგონია?

— ეჭვი არ მეპარება.

შევუდექით კიბეებს, მაგრამ ახლა მე შევაჩერე.

— სარამ იცის ჩვენი დღევანდელი შეხვედრის შესახებ?

— არა, არა! რას ამბობ? — წაიჩურჩულა გაკვირვებულმა გრე-

გინმა, რომ ასეთი რამ ვიფიქრე. — ჯერ ასე არ გავსულელებულვარ. ნახვაც კი არ უნდა ჩემი. ჩაკეტილია თავის ოთახში და არ გამოდის.

ახლა მე შევდექი ჯიუტად.

— თუ ასეა, ჩემი მოსვლა რა საჭირო იყო?

— არა, არა, შენ მიგიღებს, აუცილებლად მიგიღებს. მხოლოდ ჩემი ნახვა არა სურს. შენ კი აუცილებლად მიგიღებს, თუნდაც იმიტომ, რომ ის ბატონი შენი სტუმარია. წამოდი, წამოდი!

ხელი ჩამჭიდა და თითქმის ძალით წამიყვანა. შევედით ელექტრონის შუქით განათებულ წინა ოთახში. სანამ პალტოს ვიხდიდი, გარეგინმა ძალიან ფრთხილად გააღო სასტუმრო ოთახის კარი, შევიდა შიგ და ჭაღი აანთო. ოთახი მოლურჯო მბრწყინავი შუქით განათდა. გარეგინი ფეხის წვერებზე დაბრუნდა და ჩამჩურჩულა:

— შედი, მე კი მოახლის პირით გადავცემ, რომ მოხვედი.

— შენ?

— მე არც კი ვეჩვენები, რომ არ გაღიზიანდეს და თქვენ წყნარად ისაუბროთ.

და აჩქარებით გაქრა კარის იქით, რომელიც შიდა ოთახებისაკენ მიემართებოდა.

სასტუმრო ოთახში შევედი და დავჯექი. აქ, შემოსასვლელი და ჩემთვის საცნობი, აივანზე გასასვლელი კარის გარდა, კიდევ ორი კარი იყო. ალოდინით შევყურებდი ხან ერთ, ხან მეორე კარს. ვგრძნობდი რაღაც უჩვეულო შიშს. ყოველ წუთს ველოდი—აი, სადაც არის შემოვა სარა და თავის მტრულ, დაჟინებულ, ეპვიან მზერას მომაპყრობს-მეთქი. ახლა ვიგრძენი, რომ მოუფიქრებლად მოვიქეცი, როცა თავზე ვიდე ეს მოციქულობა, რომელიც ჯერ კიდევ არ ვიცოდი რითი დამთავრდებოდა და შეიძლება ჩემი თავმოყვარეობის შემლახველი უსიამოვნებებით ყოფილიყო სავსე. ახლა თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი ეს ძვირი დამიჯდებოდა.

მაგრამ ერთმა გარემოებამ, რომელზეც აქამდე არ ვფიქრობდი, მოულოდნელად გამბედაობა მომმატა და კარგი სახელისა და თავმოყვარეობისათვის ჩემი მოსვლა უაზრობად კი არა, პირიქით, აუცილებლადაც მომეჩვენა.

ეს შემდეგი გარემოება იყო.

სარა, რომელმაც თუსიანისაგან გაიგო, რომ იგი ჩემთან იყო გაჩერებული, რასაკვირველია, ფიქრობდა, ყველაფერი ვიცოდი მის შესა-

ხებ. ამის მიუხედავად, მაინც მივეცი თავშესაფარი ჩემს სახლში, მე, მისი ქმრის მეჯვარემ და ახლო მეგობარმა. ვინ იცის, მის თვალში რა ზომამდე ვიყავი დაცემული, და როგორ ვეჯავრებოდი. ცხადია, უნდა დამეწყნარებინა და დამეჯერებინა, რომ ჯერ ერთი, თუსიანი ჩემი სურვილის წინააღმდეგ მესტუმრა, და მეორეც (ეს კი მთავარი იყო), არ ვიცოდი, თუ მისი გაიძვერული საქციელის მსხვერპლი თვითონ სარა იყო.

ახლა ძალიან ვნანობდი, რომ გარეგინმა სარას ჩვენი დღევანდელი შეხვედრა დაუმალა. მას რომ სარასათვის ამაზე ეთქვა, სარა გაიგებდა, მისი წარსული, და, რასაკვირველია, თუსიანის გაიძვერობაც ჩემთვის რომ ნამდვილად უცნობი იყო.

სანამ ამაზე ვფიქრობდი და თავის გასამართლებლად სიტყვებს ვეძებდი, ერთ-ერთი კარი გაიღო და გამოჩნდა სარა, რომელსაც მხრებზე თბილი შალი ჰქონდა მოხვეული.

შემოვიდა, წინასწარ აიკრიფა კაბის უკანა კალთა, კარში არ მომუყვესო, გაჩერდა და ისეთი მრისხანე სახით შემომხედა, რომ მთელი ჩემი ცუდი წინათგრძნობა უკვე გამართლებულად მომეჩვენა.

ეს შემოხედვა საკმარისი იყო, რომ მასთან მიახლოვება ვერ გამებედა. მექანიკურად ავდექი და თავი დავუკარი.

ჩემს მისალმებას არ უპასუხა, კვლავ გარინდებული იდგა კართან და ცივი, მომაკვდინებელი თვალებით პირდაპირ სახეში მომშტერებოდა.

იმის მიუხედავად, რომ საშინლად დაბნეული ვიყავი, მაინც შევამჩნიე უდიდესი ცვლილება გარეგნობაში. გათხოვებას თუ ბოლო დღეების მძიმე განცდებს სავსებით გაენადგურებინა მისი სილამაზე. ისედაც დიდი თვალები არაბუნებრივად გადიდებოდა, ტუჩები ჩალურჯებოდა და დასქელებოდა, სახე გაფითრებული, გამხდარი და იქამდე შეცვლილი ჰქონდა, გეგონებოდათ ახალი ნაავადმყოფარიაო.

დიდხანს მიყურებდა სიძულვილით სავსე, ცივი მზერით, მერე უცბად აკანკალდა, სკამზე სწრაფად დაეშვა და ორივე ხელი მუცელზე იტაცა. მოიკუნტა, გაქვავდა. დაღმეჭილ სახეზე ეტყობოდა, რომ მძაფრი ფიზიკური ტკივილი სტანჯავდა. მხოლოდ ახლა გამახსენდა, გარეგინმა რომ მითხრა, ფეხმძიმედააო. უნებურად ღრმა თანაგრძნობისა და პატივისცემის გრძნობამ შემიპყრო, თანაც არასოდეს ამ წუთამდე ასე ცხადად არ მიგრძვნია თუსიანის უსინდისობა და სიმდაბლე, რომელმაც ამ საბრალო ქალს სამუდამოდ დაუსახიჩრა ცხოვრება.

მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდი. გაშტერებული ვიდექი და არ ვიცოდი რა მექნა, რა მეთქვა. სარა კი, მაგრად ტუჩებმოკუმული, ცდილობდა კივილი შეეკავებინა, რასაც ტკივილი აიძულებდა. ყრუდ გმინავდა და კვნესოდა, ხანდახან მუცელზე წაივლებდა ხელს და იგრიხებოდა, შემდეგ თანდათან დაწყნარდა, სკამის საზურგეზე გადაწვა, ხელები ჩამოუშვა, თვალები დახუჭა და ბოლოს, შვებით ამოისუნთქა. სახე წინანდელზე უფრო გაფითრებოდა, მაგრამ ისე მშვიდი ჰქონდა, მეჩვენებოდა, არ სუნთქავდა, შემდეგ, როცა თვალები გაახილა და ისევ შემომხედა, გავვოცდი: სად გაქრა ის შეურიგებელი სიძულვილი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ასე იხატებოდა მის გამგმირავ მზერაში? ახლა მიყურებდა და თითქმის არც მხედავდა, მთელი მისი შინაგანი სამყარო ამ იშვიათ მეტყველ თვალებში გამოკრთოდა, და მე თითქოს მიკროსკოპში ვხედავდი ამ სამყაროს, სავსეს ისეთი განცდებით, რომლის შემსუბუქება ჩანდა, არაფრით შეიძლებოდა.

მეც ცრემლებამდე გრძნობამორეული ვუყურებდი და მწყუროდა დავხმარებოდი, რომ თუნდაც ოდნავ შემემსუბუქებინა მისი ტანჯვა.

X

— მაპატიეთ, ქალბატონო, მგონი, ძალიან უდროო დროს მოვედი, — როგორც იქნა წარმოვთქვი, რათა მდუმარე მეთვალყურის უხერხული მდგომარეობიდან გამოვსულიყავი. — რომ მცოდნოდა, ავად ბრძანდებოდით...

— არა, არა! — გამაწყვეტინა სარამ უნიათო ხმით: ეტყობოდა, ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულიყო გადატანილი ფიზიკური ტკივილის შემდეგ მძიმე განცდისაგან, — მე თვითონ მინდოდა თქვენი ნახვა და კარგია, რომ მობრძანდით. გთხოვთ დაბრძანდეთ.

მხრებზე შალი გაისწორა, ალბათ, სციოდა, ხელები შალის ყურებში შეიხვია, გულზე დაიკრიფა, თავი ჩაჰკიდა და როცა დავჯექი, ისევე სუსტი ხმით მითხრა:

— ვიცი, რისთვისაც მოხვედით. მეც ამ საქმეზე მინდოდა თქვენი ნახვა. ბრძანეთ, გისმენთ!

— ნებას მაძლევთ, ქალბატონო?

სარამ მწარე დაცინვით აიჩეჩა მხრები.

— ქალი, რომლის ყველაზე წმიდათა-წმიდა, შეგინებული და გათელილი, გამოფენილია მოედანზე, როგორც ცინიზმის დიდი გამარჯ-

ვება, ცხადია, თქვენს სიტყვებს არ შეუშინდება! — ერთგვარი ავის მომასწავებელი სიმშვიდით წარმოთქვა და პირდაპირ შემომხედა. — შეგიძლიათ დაწყნარდეთ, სრულიად გულგრილად მოგისმენთ.

— მაპატიეთ, ქალბატონო, ვერ გაგიგეთ, — ვუთხარი მისი სიტყვებით გაოცებულმა. — ნუთუ ფიქრობთ, რომ მოვედი...

— გთხოვთ, წინასიტყვაობის გარეშე თქვათ! — გამაწყვეტინა სარამ სასტიკად. — რასაც ვფიქრობ, ეს ჩემი საქმეა, თქვენ კი პირდაპირ თქვენი სათქმელი ბრძანეთ!

მივხვდი, უკვე ნერვულობდა და თუ მაშინვე საქმეზე არ გადავიდოდი, შემდეგ ვეღარაფერს გავაგებინებდი.

— დაიცადეთ, მეუღლეს დავუძახებ! — უცბად თქვა სარამ, სწრაფად წამოდგა და იმ კარისკენ გაემართა, საიდანაც შემოვიდა.

— არა, არა! — უნებურად მივადევნე მიმავალს.

შედგა და გაკვირვებით შემომხედა.

— როგორ?

— იგი ჩვენს საუბარს არ უნდა დაესწროს.

— რატომ?

შევშფოთდი. აღარ ვიცოდი, რა მეპასუხა, რადგან მართლაც არ ვიცოდი, გარეგინი რატომ არ უნდა დასწრებოდა ჩვენს საუბარს და რაც ენაზე მომადგა, ის ვუპასუხე:

— იმიტომ, რომ რაც უნდა გითხრათ და რისთვისაც მოვედი თქვენთან, მას ეხება.

— და არა მე?

— არა, მას, მხოლოდ მას.

სარა ცოტა ხანს გაკვირვებული მიყურებდა, შემდეგ მხრები ეჭვით აიჩეჩა და კვლავ დაჯდა.

— კეთილი და პატიოსანი! — თქვა, ნაღვლიანი გამომეტყველება მიიღო და შალში გაეხვია. — ბრძანეთ, გისმენთ!

ახლა უკვე ჩემთვის სავსებით ცხადი იყო, რაც უნდა მეთქვა. საიდან დამეწყო და როგორ დამემთავრებინა. და დავიწყე. თან ვცდილობდი შეძლებისდაგვარად ავრიდებოდი მის მახვილ მზერას, რომელიც ნამდვილად მაბნევდა.

— თქვენ იცით, ქალბატონო, რომ მე და გარეგინი ძალიან ახლო მეგობრები ვართ ბავშვობიდანვე. თქვენც, ამ ხუთი-ექვსი თვის მანძილზე უთუოდ კარგად გაიცნობდით. არაფერს ვამბობ მის საარაკო

გულკეთილობაზე, ამის გასაგებად სრულებითაც არ არის საჭირო მასთან ხანგრძლივი ცხოვრება. მინდა მისი ბუნების ზოგიერთ სხვა მხარეზე მოგახსენოთ, ეს მხარეები უთუოდ, თქვენც გექნებათ შენიშნული. მე ვიცი მისი ცხოვრებიდან ზოგი უცნაურობანი, რომლებიც ხანდახან საფუძველს მაძლევენ სერიოზულად დავეჭვდე მის... სულიერ მდგომარეობაში. ამასთანავე უნდა გითხრათ — თუ ეს უკვე ცნობილი არ არის თქვენთვის, — რომ დედამისი სულით დაავადებულთა თავშესაფარში გარდაიცვალა, ხოლო მამამისს, თუმცა შეშლილი არ იყო, არანორმალური თვისებები ჰქონდა. როცა ამ მემკვიდრეობას ვითვალისწინებ, გარეგინის უცნაურობანი ჩემთვის სავსებით გასაგებია. მან, უეჭველია, ბევრი რამ მიიღო მემკვიდრეობით ავადმყოფი მშობლებისაგან. მაგრამ არასოდეს არ მინახავს ისეთ სულიერად არანორმალურ მდგომარეობაში, როგორც დღეს. თქვენი მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ დღეს პირველად ვნახე. უზომოდ შეშფოთებული შეძოვიდა ჩემთან რევოლვერით. მითხრა — რევოლვერი ცოლმა მომცა და მიბრძანა, ერთი ახალგაზრდა მოკალიო. ეს ახალგაზრდა ახლა ჩემი სტუმარია. მას სრულებით არ იცნობს, სახითაც არ უნახავს და არასოდეს მასთან არავითარი საქმე არა ჰქონია. როცა გამოკითხვა დავუწყე, ისეთი რამეები მითხრა, საბოლოოდ დავრწმუნდი — მისი სულიერი წონასწორობა სავსებით დარღვეულია.

— რა გითხრათ? — მკითხა სარამ და კვლავ ჩაციებით შეჰომაცქერდა.

— თავს ნებას როგორ მივცემ, ქალბატონო, თქვენთან გავიმეორო ის, რაც ჭკუიდან შემცდარმა...

— არა! გთხოვთ, ყოველგვარი შელამაზების გარეშე მითხრათ! — გამაწყვეტინა სარამ სასტიკად, — ნებას გაძლევთ!

— დაბეჯითებით გთხოვთ, ქალბატონო, გამათავისუფლოთ ამ მეტისმეტად მძიმე ტვირთისაგან, — თითქმის შეევედრე, რადგან მის ხმაში რაღაც ავისმომასწავებელი შევნიშნე და შემეშინდა. — ახლა სწორედ იმისთვის გეახელით, რომ გთხოვოთ სერიოზულად მიაქციოთ ყურადღება გარეგინის მდგომარეობას. ჯერ კიდევ გვიანი არ იქნება მის დახსნაზე ზრუნვა და მეც მზადა ვარ ყოველმხრივ დაგეხმაროთ.

დავამთავრე, დავჩუმდი და ლოდინი დავუწყე.

სარაც დუმდა. მთელი ამ დუმილის დროს, რომლისგანაც კარგს

არაფერს მოველოდი, სარა თავისი გამჭვალავი თვალებით განუწყვეტ-ლივ დაეძებდა ჩემში იმას, რის დამალვასაც ასე გულმოდგინედ ვცდი-ლობდი და რასაც, უეჭველია, გრძნობდა და ხედავდა.

— დიდად გმადლობთ, ჩემო ბატონო, რომ გული ასე შეგტკივათ თქვენი მეგობრისა და ჩემი მეუღლისათვის, — დაარღვია ბოლოს ავის მომასწავებელი სიჩუმე ერთგვარად ზრდილობიანი დამცინავი ტონით, რომლითაც, ალბათ, უნდოდა მივეხვედრებინე, რომ ჩემი მჭევრმეტყ-ველების უკან დამალული აზრიც ძალიან კარგად ესმოდა და ტყუილად ვთვლიდი ასე მიამიტად. — მაგრამ თქვენს დასამშვიდებლად შემიძლია მოგახსენოთ, რომ სავსებით მცდარი დასკვნები გამოგიტანიათ. ბაყა-ყის სისხლიანი გარეგინი ძალზე ნორმალური ბუნების კაცია, გრძნობა ჩლუნგი, რომელსაც პირად პატივმოყვარეობაზე არავითარი წარმო-დგენა არა აქვს და განუწყვეტლივ მხოლოდ საკუთარ ტყავზე ფიქრობს. თუ დღეს თქვენს წინაშე უჩვეულოდ აღელვებული წარსდგა, ეს მხო-ლოდ იმას უნდა მიეწეროს, რომ ერთი ობიექტური გარემოება, მისი სურვილისა და ნების წინააღმდეგ, დაჟინებით კარზე მოადგა, რათა აეფორიაქებინა მისი უაღრესად ნორმალური სულიერი მდგომარეობა, მისი ჭაობივით მშვიდი ცხოვრება, ყველაფერზე ძვირად რომ უღირს. საკმარისია, ერთი საალერსო სიტყვა ვუთხრა და სიხარულით ბუქნას დაუვლის. მეტიც, მივა და ჩაკოცნის იმ ვაჟბატონს, თქვენი სტუმარი რომ არის, აინუნშიაც არ ჩააგდებს, რომ ამ ვაჟბატონმა გაუგონარი შეურაცხყოფა მიაყენა მის ცოლს. აი რაოდენ ნორმალურია თქვენი პატივცემული მეგობრისა და ჩემი მეუღლის სულიერი მდგომარეობა, ჩემო ბატონო. მაშ არავის, და ცხადია, არც თქვენის მხრივ განსაკუთ-რებულ ყურადღებას სრულებითაც არ საჭიროებს ამ საქმეში. მაგრამ თქვენ რომ სავსებით დამშვიდებული ბრძანდებოდეთ და მასზე არ იწუხოთ, თავად მე გიდასტურებთ, რომ ყველაფერი, რაც დღეს გიამ-ბოთ, სრული სინამდვილეა. დიახ, რევოლვერიც მე მივეცი და მევე ვაიძულებ მოკლას ის ვაჟბატონი, თქვენი სტუმარი რომ არის. ახლა რაღას იტყვით, ჩემო ბატონო?

პასუხი ვერ ვიპოვე. ამ გაბედულმა აღსარებამ, მისმა შეუშფოთე-ბელმა, თანმიმდევრულმა მსჯელობამ გამაოცა და ენა დამიბა, თითქოს ყველაფერი ეს წინასწარ მოფიქრებული და დალაგებული ჰქონდა. განსაკუთრებით მისი შეუბრალებელი მზერა მაძრწუნებდა, რომელშიც ისევე, როგორც მთელი მისი საუბარი კილოში, მუდამ უშიშარ გამო-

წვევას ვგრძნობდი, თითქოს თანამგრძნობი მეგობარი კი არა, შეურიგებელი მტერი ვიყავი და იგიც მზად იყო ეს მტერი სამკვდრო-სასიცოცხლო დუელში გამოეწვია.

— ბრძანეთ, ახლა რაღა შეგიძლიათ მითხრათ?—გაიმეორა შეუბრალებლად.

— მე... რაღა უნდა გითხრათ? — წავილუღლუღე, რადგან მისი დაქინებული ლაპარაკით შეშინებულმა, მართლაც, არ ვიცოდი, რა მეთქვა.

ნელა წამოდგა და გამგმირავად ჩამაცქერდა თვალებში.

— როგორ თუ რაღა უნდა მითხრათ? — თქვა თითქოს უკიდურესად გაოცებულმა.—მე ასეთი რამ გითხარით და თქვენ არაფერი გაქვთ სათქმელი? მე ჩემს ქმარს, თქვენს უახლოეს მეგობარს ასეთი დანაშაულის ჩასადენად ვგზავნი, კაცის მოსაკლავად ვაქეზებ, რამაც შეიძლება დაღუპოს კიდეც და თქვენ არაფერი გაქვთ სათქმელი? განა ასეთი გულგრილი ხართ? ეს შეუძლებელია. თქვენ უთუოდ რაიმე უნდა თქვათ.

უკვე მივხვდი, საკითხის ნამდვილი არსის მიფუჩეჩება აღარ შეიძლებოდა. იქეთკენ ხომ ჯიუტად თვითონ სარა მეზიდებოდა. თავს ძალა დავატანე, ამაში, ალბათ ისიც დამეხმარა, რომ მისმა უკანასკნელმა სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, გაკენწლა ჩემი თავმოყვარეობა, და უკვე დამშვიდებით შევნიშნე:

— ქალბატონო, ტყუილად ფიქრობთ, რომ გულგრილი ვარ. თუ ვერაფერს ვამბობ, მხოლოდ იმიტომ, რომ ყველაფერი ეს უცნაურად მეჩვენება და უბრალოდ რომ გითხრათ, არ მესმის თქვენი.

— აი, ბოლოს და ბოლოს... ხომ დაგიჭირეთ? — შესძახა სარამ გამარჯვებულის კილოთი. და ეს წამოძახილი თითქოს ის საცობი იყო, რომელიც უცბად ამოვარდა და საშუალება მისცა თავისუფლად გადმოენთხია მთელი ის ნაღველი, რომელიც მის სულში დაგროვილიყო წლების მანძილზე. — უცნაურია, შენი არ მესმისო, მეუბნებით. სირცხვილის ალმური რომ მედებოდეს, შეურაცხყოფის შხამს გულში ვიგუბებდე, ხოლო ტანჯვის ნაღველს სულში, მორალურად გათელილი და მიგდებული თუ მოვიკუნტებოდი, გავჩუმდებოდი და ყოველ საეჭვო შემთხვევაზე ფოთოლივით ავკანკალდებოდი — მაშინ ყველაფერი ეს არ მოგეჩვენებოდათ უცნაურად, მაშინ გამიგებდით და ბუნებრივად ჩათვლიდით ჩემს მოქმედებას, ასე არ არის? ასე ხართ შეჩვეულნი და

იმიტომ. ჩვეულებრივ ხომ ასე იქცევიან ჩემსავით პატივახდილები, მოტყუებულები და მიტოვებულები? მაგრამ რაკი მე ასეთების მსგავსად არ მოვიკუნტე. არ გავჩუმდი, და ყველაფერი თვითონ გამოვიტანე სამსჯავროზე... თამამად, უშიშრად, თვითონ მოვყევი საკუთარი გაუპატიურების, ტანჯვისა და განცდების ამბავს და ჩემი ამბოხებული სულის მთელი ძალით შურისძიებას მოვითხოვ, ამიტომ ამ მოქმედებას უცნაურად თვლით და ჩემი არ გესმით. თქვენი აზრით, ასე არ იქცევიან, ასე არ უნდა მოიქცნენ, რადგან ეს სირცხვილია და ჩველებრივი მორალის საზღვრებს სცილდება, ხომ მართალია, ბატონო?

— არ გეთანხმებით ამ სიტყვებზე, ქალბატონო, — შევნიშნე ენერგიულად, — თქვენ ჩემს სიტყვებს ისეთი ახსნა-განმარტება მიეცით, რაც აზრადაც არ გამივლია. თუ პროტესტს უცხადებთ არსებულ მორალს, მაშინ ორივე ხელით უნდა მოებღაუჭოთ თქვენს ქმარს, როგორც ნამდვილ ადამიანს, რომელმაც ჭეშმარიტი სიყვარულით გულანთებულმა შესძლო ჩვეულებრივ მორალზე ამაღლება. თუ ვთქვი, რომ არ მესმის თქვენი, მხედველობაში მხოლოდ ის მქონდა, რომ გარეგინს თქვენ ისე უყვარხართ, მზად არის ყველაფერი დაივიწყოს, ყველაფერი გაპატიოთ.

— აპატიოს? ვის? რა? — სწრაფად მკითხა სარამ.

— სწორედ თქვენ! — მოუფიქრებლად წამომცდა, ნაწილობრივ, ალბათ იმის გამოც, რომ მისი თავხედობით გაღიზიანებული ვიყავი.

ვამბობ „მოუფიქრებლად"-მეთქი იმიტომ, რომ ჩემს თავს ვერასოდეს ვერ ვაპატიებ იმას, რაც ამ სიტყვებს მოჰყვა.

სარა გველნაკბენივით შეკრთა და რამდენიმე ხანს საშინლად გაოცებული მიცქეროდა, შემდეგ ამაყად გადაიგდო თავი, ისე, რომ გამგმირავი მზერა ჩემთვის არ მოუშორებია და ფართო თვალები თანდათან შმაგი მრისხანებით აევსო.

— მაშ, ასე, არა! — მომახალა მან, — მაპატიოს... მე... ეს კარგია. ეს აღმაფრთოვანებელია, ეს შესანიშნავია, ეს შეუდარებელია... მაშასადამე, რა? ჩემს მსაჯულად მოვიწვიე, მაშ ჩემი ქმარი ჩემი მსაჯულია. მაშ შეეძლო დამნაშავედაც ვეცნე ჩემს ქმარს, ჩემს პატრონს? მაშასადამე, იგი უფლებამოსილია მაპატიოს, თუ მოეხასიათა, შეუძლია კიდეც დამსაჯოს, რადგან სჯიან ან იწყნარებენ მხოლოდ დამნაშავეებს. ეს შესანიშნავი სამართალია, ეს დიდებული სამართალია! და თქვენ გაბედეთ ეს ჩემთვის გეთქვათ, ჩემთვის, უუფლებობის მსხვერპლისათ-

ვის, რომელიც დამნაშავეებით არის გარშემორტყმული. ასე, რომ დამნაშავე მე ვარ, და არა ის გაიძვერა, რომელმაც დაღუპა ჩემი ახალგაზრდობა, და არა თქვენ, დიახ, თქვენ, ბატონო, რომელმაც შეიფარეთ იგი თქვენთან, და არც ის საზოგადოება, რომელიც ითმენს ასეთი არამზადების არსებობას, მე ვარ დამნაშავე, იმიტომ რომ უცოდველი ვიყავი, გულუბრყვილო. დამნაშავე ვარ, იმიტომ რომ ქვეყანას და ხალხს სუფთა, ნათელი თვალებით ვუყურებდი. დამნაშავე ვარ, რადგან ჩემი ქალწულებრივი გამოუცდელობით, ჩემი უბიწო უმწიკვლო გულით მივენდე კაცს, რომელმაც უსინდისოდ მომატყუა, სუფთა ხელსახოცივით მომიხმარა და შებილწვის შემდეგ მიმაგდო, როგორც გამოუსადეგარი ნივთი, რომ წლების შემდეგ, როცა სულის სიმშვიდე ძლივ-ძლიობით დავიბრუნე, კვლავ მოსულიყო და ცინიკურად ფეხქვეშ გაეთელა ჩემი ქალური სათნოება, წაებილწა ჩემი ოჯახის სიწმინდე, დაეცინა ჩემი ადამიანური ღირსებისათვის ისე, თითქოსდა არაფერი მომხდარიყოს, თითქოს და მეც ისეთი ძაღლი ვიყო, როგორიც თვითონ. ოო, რა უსამართლო ქვეყანაა, რა უსამართლო! ეს რა გულგრილობაა, ეს რა სიბინძურეა ჩემს გარშემო?! რა დანაშაულისათვის მიმატოვეს ასე მარტოდ მარტო, მშველელის გარეშე?..

უკანასკნელ სიტყვებზე თვალები, რომლებიც აქამდე შეუკავებელი მრისხანებით ენთო, უეცრად უძლურების ცრემლით აევსო. სკამზე უღონოდ დაეშვა, სახე ხელებით დაიფარა და საშინელი ქვითინისაგან მთელი სხეულით აცახცახდა.

ჯერ მისმა მძვინვარე მრისხანებამ, რომელიც უთუოდ ჩემი დაუფიქრებელი სიტყვების შედეგი იყო, ხოლო შემდეგ ამ სასოწარკვეთილმა ქვითინმა, რომელმაც გული ამიდუღა, ჩემზე ისე იმოქმედა, რომ გავქვავდი, დავმუნჯდი, აღარ ვიცოდი რა მეთქვა, რა მექნა, რომ შეცდომა გამომესწორებინა და დამემშვიდებინა.

საბედნიეროდ, ამ დროს შეშინებულმა გარეგინმა და მოახლემ შემოირბინეს, მაგრამ სარა მათ დანახვაზე წამოვარდა, გაცოფებით დაჰკრა ფეხი იატაკს და დაიყვირა:

— გაეთრიეთ... გაეთრიეთ ყველანი... არც ერთი არ დამენახოთ, უსინდისოებო, უღმერთოებო!..

ისევ დაეცა სკამზე და განაგრძო გულამოსკვნით ტირილი უფრო მეტი გულამოჯდომით, ისტერიულად.

წასვლის მეტი არაფერი დამრჩენოდა.

და ისეთი მძიმე სულიერი განწყობილებით გამოვედი, როგორიც არასოდეს განმიცდია ჩემს ცხოვრებაში. უკვე წინასწარ ვგრძნობდი, რომ უნებურად დიდი უბედურების მიზეზი გავხდი და ეს შეგნება გახურებული შანთივით მიდაღავდა გონებას.

XI

იმ საღამოს მუშაობის არავითარი სურვილი აღარ მქონდა და როგორმე რომ გამეფანტა ცუდი განწყობილება, თეატრში შევიარე. მაგრამ დიდხანს ვეღარც იქ გავძელი, ძლივს მოვისმინე პირველი მოქმედება. დამთავრდა თუ არა, შინ წამოვედი. მინდოდა დღევანდელი შთაბეჭდილებები შემეჯამებინა, რომელიც უფრო და უფრო მაფორიაქებდა.

ის იყო დარბაზიდან გამოვედი და გარდერობისაკენ გავემართე. რომ ფოიეში მოფუსფუსე ხალხში ორ მანდილოსანთან ერთად თუსიანი დავინახე. თუსიანს მათთვის ხელი ეაეყარა, ქალები ხმამაღლა იცინოდნენ მის მონაყოლზე, რომელიც, ეტყობა, ძალიან სასაცილო უნდა ყოფილიყო. ერთი ქალბატონი სარუმიანი იყო. მაღალსა და ჭაუქან მანდილოსანს ორმაგი ლაბები დაფენოდა, ბრჭყვიალა სავარცხლები დაემაგრებინა ყვითელ თმაში, მეორეს არ ეიცნობდი. ორივენი გამოპრანჭულები, გათითხნილები, ძალზე მხიარულად იყვნენ. ქალბატონი სარუმიანი მოვიკითხე, მეორე ქალბატონი გავიცანი და ბოდიში მოვიხადე:

— მაპატიეთ, მაგრამ თქვენი საინტერესო კავალერი რამდენიმე წუთით უნდა წაგართვათ.

— თუ გნებავთ, სულ წაიყვანეთ, — გადაიხარხარა ქალბატონმა სარუმიანმა, — სიცილით დაგვხოცა.

თუსიანს ხელი გავუყარე და გვერდით გავიყვანე.

— მთელი დღეა გეძებ. ახლა შინ მივდივარ, შენც რომ წამოხვიდოდე, კარგს იზამდი. მოდი, ერთად წავიდეთ.

— ახლავე?

— სწორედ ახლავე.

— განა რა მოხდა?

— ძალიან სერიოზული ამბავია.

— დეპეშა ხომ არ მომსვლია შინიდან?

— არა, მაგრამ ძალიან სერიოზული ამბავია, რის გამოც ამალამვე უნდა დატოვო ქალაქი.

თუსიანი ცოტა ხანს გაოცებული მიყურებდა. იგრძნო, რომ სერიოზულად ველაპარაკებოდი, სახეზეც შეფიქრიანებული გამომეტყველება აღებეჭდა.

— ბარემ მითხარი და გაათავე, რაღას აჭიანურებ! — წამოიძახა მოუთმენლად.

— მოდი წავიდეთ, აქ უხერხულია, დროც აღარ არის. ისე უნდა მივიდეთ, რომ მატარებელს მიასწრო.

თუსიანი ისევ გაკვირვებით მიყურებდა, ეტყობოდა, ცოტა შეშინდა კიდეც, შემდეგ მხრები იჩვნეულად აიჩეჩა და მიპასუხა:

— კარგი, წადი, ჩაიცვი, მეც ახლავე მოვალ!

და თავისი მანდილოსნების მოსაძებნად გაიქცა, რომლებიც ხალხში მიმალულიყვნენ.

ჩაცმული გასასვლელთან დიდხანს ველოდებოდი. ბოლოს, როგორც იქნა, თუსიანიც გამოჩნდა, სასწრაფოდ ჩაიცვა და თეატრიდან ერთად გამოვედით.

— არ ვიცი, მე მიწყრება ბედი თუ სარუმიანს სწყალობს, — თქვა მან და პაპიროსი გააბოლა — ძლივძლიობით საქმე ბოლომდე მივიყვანე და ამალამ უნდა დამებოლოებინა. მაგრამ თითქოს ჯიბრზე შენ გამომეჩხირე. აბა, თქვი, რა მოხდა?

— ცოტა ვიჩქაროთ, თორემ უკვე მეათე საათია და ველარც კი მოასწრებ მომზადებას, რომ მატარებელს გაჰყვე — ვთქვი და ნაბიჯს ავუჩქარე.

— არ ხუმრობ? — მკითხა თუსიანმა და ისიც გამოეჩქარა.

— აი, ნახავ, ეხუმრობ თუ არა. მომისმინე! იცი თუ არა, რომ შენი რომანის გმირი ქალი ჩემი ყველაზე ახლობელი მეგობრის ცოლია?

თუსიანი უცებ შეჩერდა.

— ეს როგორ?

მეც გავჩერდი და შევხედე. ელექტრონის შუქზე დავინახე მისი სახის გამომეტყველება. ჩემი მოულოდნელი ცნობისგან გაკვირვებული, მეტისმეტად გაოცებული მიყურებდა.

— შემდეგ, იცი თუ არა, რომ ახლახან გათხოვდა და მისი მეჯვარე ვარ?

— მეჯვარე?

— და იცი თუ არა, ვინ მოდიოდა და ვინ რეკავდა ეს ორი ღამე ზედიზედ?

— ვინ?

— სარას ქმარი.

— რატომ?

— რომ მოეკალი.

ჩემმა ამ ცნობამ იმდენად გააოცა, რომ გაფითრდა და უნებურად ვინანე, ეს ამბავი ასე უცებ რატომ მივახალე-მეთქი. ცოტა ხანს ყეყეჩივით მიცქეროდა, შემდეგ თქვა:

— რა ზღაპრებს მიყვები?..

— სამწუხაროდ, ცხოვრება ზღაპარი არ არის, მეგობარო, — მაშინვე მივუგე, — ეს ტრაგედიაც იმის შედეგია, რომ შენ ცხოვრებას მხიარულ ზღაპრად თვლი.

— კარგი, მაგრამ თუ მოდიოდა, რატომ არ მომკლა, მით უფრო, რომ მეორედ თვითონ გავუღე კარი? რატომ გაიქცა?

ცოტა არ იყოს, დავიბენი ამ ლოგიკურ შეკითხვაზე, მაგრამ მაშინვე გავიფიქრე, თუ სიმართლეს ვეტყოდი, საქმეს სულ გავაფუჭებდი, ამიტომ ორჭოფულად ვუპასუხე:

— ვინ იცის! იქნებ უკანასკნელ წუთს მიხვდა, რა მდგომარეობაში ჩამაყენებდა, ჩემს სახლში რომ მოეკალი. მაგრამ ვიცი, — დავუმატე, რომ არ შემენელებინა ჩემი სიტყვების შთაბეჭდილება, — დაგეძებს. აი, რატომ მიმაჩნია აუცილებლად, ამაღამვე გაემგზავრო.

მკლავი გავუყარე და წავიყვანე. კრინტიც აღარ დაუძრავს. დამნაშავე ბავშვივით მომყვებოდა.

— მართლა, აი კიდევ რა, — გამახსენდა უცებ — იცი, რომ ბავშვიც ეყოლა შენგან?

— ვიცი, — ჩუმად ჩაილაპარაკა, — უკანასკნელ წერილებში ჰწერდა, ფეხმძიმედა ვარო.

— შემდეგ?

— შემდეგ აღარ ვიცი. მიმოწერა შეწყდა.

— მაშ, არ იცი, რომ მან საკუთარი ხელებით დაახრჩო ახლადდაბადებული?

— ნუთუ? — თითქმის წამოიყვირა თუსიანმა და უცებ გაჩერდა.— ვინ გითხრა?

— წამოდი, წამოდი, ყველაფერს მოგიყვები.

გზაზე, შინ მისვლამდე, დაწვრილებით მოვუყევი გარეგინის ჩემთან მოსვლის შემდეგ სარაასთან ჩემი მისვლისა და საუბრის ამბავი. რასაკვირველია, ყველაფერი ეს სათანადოდ შევაფარდე. ვისარგებლე იმით, რომ თუსიანი სულ არ იცნობდა გარეგინს და არასოდეს არ ენახა, სარას ქმარი დავუხატე არა როგორც ვინმე კეთილი, ხუსტი, უნებისყოფო ადამიანი, არავითარ მნიშვნელობას რომ არ აძლევს საყვარელი ცოლის წარსულს, არამედ როგორც მრისხანე, შურისძიების გრძნობებით ავსებული კაცი, რომელიც განუწყვეტლივ იმეორებს — არ დავწყნარდები, სანამ ჩემს მეტოქეს არ ჩავაძაღლებო. სწორედ ასე ვუთხარი თუსიანს და შევნიშნე, რომ ნერწყვი გაუშრა. როცა შინ მივედით, უხმოდ ჩაეშვა სავარძელში. ეტყობა, არ იცოდა, რა ეთქვა ან რა ექნა.

მსახურს ვუბრძანე დაუყოვნებლივ დაეძახა ეტლისათვის, თუსიანს კი ვუთხარი სასწრაფოდ ჩაელაგებინა ბარგი, რომ მატარებელზე არ დაეგვიანა.

უსიტყვოდ ადგა, ნელა, უწადინოდ გაიხადა საგარეო კოსტუმი. ჩაიცვა ნახმარი ტანისამოსი, რომლითაც ჩემთან გამოცხადდა და ასევე ზანტად დაიწყო ჩემოდნის ჩალაგება. ძალზე შეფიქრიანებული იყო, თითქოს ყოყმანობდა, წასულიყო თუ დარჩენილიყო. ჩალაგებას მორჩა, ჩემოდანი დაკეტა, თოკით შეკრა და ისევ დაჯდა დაფიქრებული, თან დაჟინებით ერთ წერტილს მისჩერებოდა.

მაგრამ ეს დროებითი გაოგნება, როგორც ეტყობა, უცხო იყო მისი ბუნებისათვის. მშიშარა არ იყო და რამეზე დიდხანს ფიქრი არ შეეძლო, რაც უნდა საშიში მდგომარეობა ყოფილიყო. მისი ეს გაოგნება მოულოდნელი ახალი ამბის შედეგი იყო, რომელიც ვაცნობე და განსაკუთრებით იმ სერიოზულობისა, როგორც ველაპარაკებოდი.

ჩემს წინათგრძნობაში არ შევმცდარვარ. უცებ სახე გაუბრწყინდა, ღიმილით შემომხედა და მითხრა:

— ძმობილო, მოდი რაღაცას გეტყვი და დამემოწმე, რომ არ შევმცდარვარ.

— რას?

— ნახე, მძახალივით ჩამოგიჯექი, მგზნებარე ფანტაზიის მწერალი კაცი ხარ, ყველაფერი ეს იმისათვის მოიგონე, რომ თავიდან მოიშორო. ხომ მართალია?

უარყოფის ნიშნად მხრები ავიჩეჩე და ალბათ, კარგად შევძელი

ზიზღი გამომეხატა, რადგან თუსიანმა მაშინვე სერიოზული სახე მიიღო.

— კარგი, — თქვა მან, — მაგრამ რატომ ვერ შევნიშნე სარაში რაიმე მტრობა ჩვენი შეხვედრისას? ან შეიძლება ეს ეშმაკობა იყო და მისამართი იმიტომ გამომართვა, რომ... თუმცა იმათგანი არა ვარ, ვისაც სიკვდილის ეშინია, მაგრამ სიკვდილსაც ხომ რაიმე აზრი, რაიმე გამართლება უნდა ჰქონდეს? თუ არა და — აი ჩემი შუბლი და აი შენი ტყვია, მესროლე, მორჩი და გათავდა!

— ამით რა გინდა თქვა? — ვკითხე გაოცებულმა.

— ის მინდა ვთქვა... ნუთუ ნამდვილად ისეთი დამნაშავე ვარ, რომ ჩემი ჩაძაღლება უნდათ? მე ხომ ვიღაც მაწანწალასავით ძალა არ მიხმარია მასზე? მას ისევე ვუნდოდი, როგორც მე მინდოდა. ჩვენი სული და ხორცი ერთნაირად ისწრაფვოდა ერთმანეთისაკენ და ამ ურთიერთლტოლვის შედეგად სხვა არაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ არა ის, რაც მოხდა. მართალია, დავპირდი შეგირთავ-მეთქი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ხომ იმასაც იფიცებიან, რომ საკუთარ სიცოცხლესაც კი გასწირავენ... მაგრამ ვინ აძლევს ამას სერიოზულ მნიშვნელობას? დაპირება კი, რომელიც მაშინვე არ სრულდება, მეორე დღეს გახვრეტილ გროშადაც არა ღირს. გავემგზავრე, შემდეგ წლებმა გაიარა, და შემთხვევით რომ არ შევხვედროდი, ვინ გაიხსენებდა იმას, რაც ოდესღაც ტყეში მოხდა? განა ცოტა მქონია ასეთი შემთხვევები, ერთი აქ, ასერთი იქ, რუსეთში. ანდა რატომ უნდა მახსოვდეს ყველა? ყველა ბუნებრივი საქმე შესრულდება და ამით მთავრდება. ხომ არ გახსოვს, რას ვჭამთ ყოველდღე: შიმშილი გვაიძულებს ვჭამოთ! ვჭამთ და ვივიწყებთ. შემდეგ... შვილო, ამბობ. გამოგიტყდები, ამისათვისაც სერიოზული მნიშვნელობა არ მიმიცია. უკანასკნელ წერილებში მწერდა, ფეხმძიმედ ვარო, მაგრამ ვფიქრობდი: არაფერია, მოიშორებს, ყველაფერი გათავდება-მეთქი. რამდენი მაგისთანა მოიქცა ასე?.. მაგრამ შენ ამბობ, შობაო და... აქ უკვე აღარაფერი მესმის. განა ეს შესაძლებელია? განა თვითონ არ ამაღებინა ხელი მკვლელობაზე? თანაც მე ხომ მხოლოდ მტრედი მოვკალი? მან, რომელმაც ცხარე ცრემლით დაიტირა ჩიტი, უცებ საკუთარი ხელით ბოლო მოუღო თავისავე ახალშობილს. ეს ხომ საშინელი წინააღმდეგობაა!

— ეს კი კარგად თქვი! — შევნიშნე მე. — სწორედ აქედან შეგიძლია გააკეთო დასკვნა, რამდენად დიდია შენი დანაშაული, რამდენად

დაუმახინჯებია შენს საქციელს მისი სული, რამდენად გათელილად უნდა ეგრძნო თავი და როგორ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილიყო, რომ ასეთი საშინელი დანაშაული ჩაედინა. მეტად კარგად მესმის მისი მდგომარეობა და არც ვამტყუნებ, რადგან არსებულ საზოგადოებაში და არსებული წყობილების დროს სად წასულიყო, ვის შეჰკედლებოდა, რომელი კანონისათვის მიემართა ამ უდანაშაულო, გამოუცდელ ქალს უკანონო ბავშვით ხელში? და შენ კიდევ კითხულობ, ასეთი რა დავაშავეო.

თუსიანი არ შემდავებია. გულწრფელი გაოცებით მისმენდა. ვხედავდი, რომ მართლაც არავითარ სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა თავის მოქმედებას და, ალბათ, არც არასოდეს უფიქრია საერთოდ ასეთ რამეზე. ახლა მხოლოდ ის უკვირდა, როგორ შეიძლებოდა მისი მიზეზით ვინმე ასე გაუბედურებულიყო.

— და ყოველივე ამის შემდეგ, — დავსძინე, — გეყო სინდისი არა მარტო მისულიყავი მასთან, არამედ საზიზღარი წინადადებაც კი მოგეცა, მრუშობის წინადადება, როგორც მან თქვა. არაფერს ისე არ აღუშფოთებია და არ გაუღიზიანებია, როგორც ამ თავხედობას. მართლაც და რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ მასაც ისეთ ქალად თვლი, რომელსაც შეგიძლია დაუკავშირდე, როცა მოისურვებ, როგორც მაგალითად, ქალბატონ სარუმიანს და სულ არ იღებ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სარა არა თუ მხოლოდ გათხოვილია, არამედ ნალე დედაც გახდება.

— როგორ თუ დედა?

— ის ხომ ფეხმძიმედაა...

— Фу ты чёрт! — წამოიძახა თუსიანმა, ადგა და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო, — ეს რა უბედურებაა! მაშინაც ფეხმძიმედ იყო, ახლაც ფეხმძიმედაა...

— და ამჯერად უარესი შედეგია მოსალოდნელი.

თუსიანი უცბად გაჩერდა და შეშინებულმა შემომხედა.

— როგორ?

— შენი მოქმედებით იმ ზომამდეა აღელვებული, რომ თუ ნაადრევი მშობიარობა არ დაეწყო და ბაკშვი ცოცხალი გადარჩა, პირდაპირ სასწაული იქნება.

— რას ამბობ? — წაიბურტყუნა გაფითრებულმა თუსიანმა.

— რაც გესმის, მე ხომ საკუთარი თვალით ვიხილე მისი ტანჯვა.

თუსიანი კვლავ მიყურებდა და ცოტა ხანს გაშტერებული იდგა. შემდეგ დაჯდა. კრინტი აღარ დაუძრავს, ღრმად ჩაფიქრდა, რაც სრულებით არ უხდებოდა და ერთ წერტილს მიაშტერდა. ცხადი იყო, მასზე ყველაზე უფრო მეტად სარას მდგომარეობის საშიშროებამ იმოქმედა.

ამ დროს მსახური დაბრუნდა და გვაცნობა, ეტლი მოყვანილიაო. თუსიანს თითქოს არც გაუგია, ისე გაუნძრევლად იჯდა იმის შემდეგაც, როცა მსახურმა მისი ჩემოდანი გაიტანა.

— აბა, აჩქარდი, არ დაიგვიანო, — ვუთხარი.

მექანიკურად წამოდგა, ქუდი დაიხურა და ძალიან ნელა, თითქოს არ უნდაო, პალტო ჩაიცვა.

— იქნებ ფული არა გაქვს? — ვკითხე, რადგან ვიფიქრე, მისი ყოყმანის მიზეზი ეს იყო.

არაფერი უთქვამს, ჯიბეები მოიქექა.

ყოველი შემთხვევისათვის, ჯიბიდან ამოვიღე რაც მქონდა. ფული ჯიბეში არ ჩაუდვია, ხელში ჩაბღუჯა და გავიდა.

ეტლამდე მივაცილე.

ჩაფიქრებული ისევ ჩუმად იყო. ასევე ჩუმად დამშორდა, არც გამომთხოვებია.

XII

თუსიანის გაცილების შემდეგ ჩემს ოთახში დავბრუნდი. მიჩვეული ვარ გვიან დაძინებას და არც ახლა მინდოდა ადრე დავწოლილიყავი, თუმცა ფიზიკურადაც და სულიერადაც საშინლად დავიქანცე. ამიტომ გაუხდელად მივწექი, რომ ცოტა დამესვენა და დღევანდელ შთაბეჭდილებებში გავრკვეულიყავი. განსაკუთრებით უკანასკნელი შთაბეჭდილება მაინტერესებდა. მაოცებდა ის ცვლილება, რომელიც თუსიანში ბოლო წუთს მოხდა. რომ არ მშინებოდა, შეიძლება მატარებელზე დააგვიანდეს და ამაღამაც დარჩეს-მეთქი (ამ ღამეს კი ვინ იცის, რა მოხდებოდა!) უთუოდ ცოტა ხნით კიდევ დავტოვებდი რომ გამეგო, რა დაემართა, შეიძლება, ნანობდა მომხდარზე, შეიძლება, მის თავისებურ ეპიკურეულ მსოფლმხედველობაში გადატრიალება მოხდა. სანამ ამ დღეში ვიყავი და სხვადასხვაგვარი დასკვნა გამომქონდა, ფიქრებმა წამიღეს და ვერც კი შევნიშნე, დაქანცულს ძილი ისე წამომპაროდა.

უცნაური სიზმარი ვნახე. თითქოს დიდ დარბაზში ვარ. მეჯლისია. მორთულ-მოკაზმული მამაკაცები და ქალები ერთმანეთში ირევიან. სცენაა. სცენაზე უკანა ფეხებზე შემდგარი უშველებელ რქიანი და გრძელწვერა თეთრი თხა დახტის. თხას მოციმციმე თვალები და ადამიანის სახე აქვს. უცებ ვამჩნევ: თხა კი არა, ქალია, და ეს ქალია— სარა, ბალერინას ჰაეროვან კაბაში. თავზე სპილენძის დოქი შემოუდგამს, რომელიც ყოველი ხტუნვის დროს ჰაერში ავარდება და ისევ ეშვება მის თავზე. მაგრამ სარა უცებ შეჩერდა, შებარბაცდა და დოქი ძლიერი ხმაურით მიწაზე დაეცა.

ზრიალის ხმამ გამაღვიძა. ჯერ მეგონა, დოქის ხმაა-მეთქი, შემდეგ, ნახევრად მძინარემ მიმოვიხედე და შევეცადე გამოვფხიზლებულიყავი. ხმა გამეორდა. ახლა კი სავსებით ნათლად გავიგონე, რომ სადარბაზო კარზე რეკავდნენ.

წამოვვარდი. „ნუთუ ისევ ის არის?" გავიფიქრე, ალბათ, სარას წაქეზებით, გარეგინი ისევ მოვიდა თუსიანის მოსაკლავად-მეთქი, შემდეგ სხვა ფიქრმა იძალა, შეიძლება, ეს თვითონ თუსიანია, იქნებ მატარებელზე დაგვიანა-მეთქი.

კარის ვასაღებად გავეშურე.

მაგრამ როგორ გამიკვირდა და შემეშინდა კიდეც, როცა ჩემს წინ გარეგინი ან თუსიანი კი არა, სარა აღმოჩნდა.

— ქალბატონო, — აღმომხდა უნებურად და მექანიკურად უკან დავიხიე, რომ მისთვის გზა მიმეცა.

ყველაფერი, რაც შემდეგ მოხდა, დღესაც სიზმარი მგონია, რამდენიმე წუთის წინ ნახული სიზმრის გაგრძელება.

სარა წუთით მთვარეულივით გაუნძრეველად იდგა კიბის საფეხურზე, ნათელი შემოდგომის ციდან მთვარე გვერდიდან უნათებდა პროფილს. გაოცებულმა შევნიშნე, რომ ამ ცივ ღამეს თავშიშველი იყო და ამ საღამოს რომ ვნახე, ისევ ის თხელი კაბა ეცვა, მაგრამ შინ თბილი შალი ესხა მხრებზე, ახლა კი ესეც არ ჰქონდა. მთვარეულივით გაუნძრევლად და აუღელვებლად პირდაპირ შიგნით იყურებოდა. მე კი არ მიყურებდა, ბნელ წინაკარს მისჩერებოდა. ცალი თვალიდან, რომელსაც გვერდიდან მთვარე ანათებდა, თითქოს ნაპერწკლები ცვიოდა. ამ თვალმა სიზმარში ნახული მოცეკვავე ქალის მოკიაფე თვალები მომაგონა.

ხმა არ ამოუღია, ხელი ნელა, რკინასავით ასწია და დერეფნისაკენ

გაიშვირა. მთვარის შუქზე ხელში რაღაც ფოლადივით ლაპლაპა დავუნახე — ინსტინქტურად უკან მივაწყდი დერეფნის კედელს და კარს ამოვეფარე. იმავე წუთს მოკლე და მჭახე ტკაცანი გაისმა. ფოლადის ლულამ პირდაპირ სახეში მომაფრქვია ნაპერწკლები და დერეფანი დენთის სუნით აივსო.

ძარღვებში სისხლი გამეყინა. თმები ყალყზე დამიდგა. ასე მეგონა, თვალები ფოსოებიდან ამომივარდა. ერთი წუთით მომეჩვენა, რომ დაჭრილი ვარ, და მიკვირდა, რატომ არ ვეცემი-მეთქი. „ალბათ იმიტომ, — დაუფიქრებლად განვუმარტე ჩემს თავს, — რომ ჭრილობა ახალია, ჯერ ტკივილსაც არა ვგრძნობ“ და სიკვდილის შიშით შებოჭილი მოველოდი — აი, საცაა დავეცემი და მოვკვდები-მეთქი.

არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს საშინელი მდგომარეობა, რომელიც არასოდეს დამავიწყდება. მე ისევ ვიდექი, მეგონა კედელს ისე მაგრად ვიყავი აკრული, რომ მოწყვეტა არ შემეძლო...

უცებ ერთმა აზრმა გამიელვა და უზომოდ გამეხარდა. „შეიძლება არც ვარ დაჭრილი“, — გავიფიქრე და შუბლი, მკერდი, მუცელი, გვერდები მოვისინჯე... სისხლი რომ ვერ აღმოვაჩინე, თითქოს მაგიური კვერთხის ძალით მკვდრეთით აღვსდექი. ქუჩაში გახედვა ვერ გავბედე, კარი სწრაფად ჩავკეტე და გიჟივით ჩემს ოთახში გავექანე.

მხოლოდ მაშინ, როცა ოთახში თავი სავსებით უშიშრად ვიგრძენი, მივხვდი, რომ მთელი ტანით ვკანკალებდი. დავჯექი, ხელები მუხლებს მაგრად დავაბჯინე, ნერვული კრუნჩხვის შესაკავებლად პირი მოვკუმე.

განსაკუთრებით ერთი ნერვი ვერ დავიოკე, წელიდან კისრამდე რეზინივით ხან მკუმშავდა ხან გამშლიდა. ყოველი შეკუმშვისას თავს უკან ვადამაგდებინებდა და ზოგჯერ ისე ძალუმად, რომ მეგონა წინ გადმოზნექა რომ მეცადა, კისერი ხმელი ჯოხივით გადამიტყდებოდა. შინდოდა განსჯის უნარი და სიდინჯე მომეკრიფა, რომ საკუთარი თავისთვის ანგარიში მიმეცა მომხდარ ამბავზე, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. თითქოს სამუდამოდ ვრჩებოდი ამ კოშმარულ მდგომარეობაში და გამოსვლას ვერ ვახერხებდი, თუმცა კი ძალიან ვცდილობდი. ამ რამდენიმე წუთში სიკვდილის მთელი ძრწოლა გადავიტანე, ასე შეგონა სამყარო დაინგრა, ტარტაროზმა ქვეყანას მთელი თავისი უწმინდურება მოჰფინა და მიკვირდა, როგორღა იყო, ამ ტიტანურ ძრწოლას

რომ არავინ გაუღვიძებია, მთელ სახლში ან ქუჩაში როგორ მეფობდა ასეთი მყუდროება! უკვე აშკარად მჯეროდა, რომ ყველაფერი, რაც ამ რამდენიმე წუთში ვნახე და განვიცადე, სიზმარი იყო და ჩემს თავს ვარწმუნებდი, მართლაც სიზმარია, მაშ არც უნდა მეშინოდეს, რადგან სადაც არის გამეღვიძება და ყველაფერი გაიელის-მეთქი.

ამ მდგომარეობაში ვიყავი, რომ მეზახე ხმა ხელახლა გაისმა, რომელმაც სკამიდან რეზინის ბურთივით ამაგდო. მთელ ტანში გამაჟრიალა. ისევ დაირეკა ზარი და ისე საშინლად გაისმა მისი ხმა, თითქოს კართან თვითონ სიკვდილმა დაიკივლაო. დაჭრილი მხეციკით, რომელიც გონდაკარგული თვითონ გარბის მონადირის ტყვიისაკენ, გარეთ გავვარდი. როცა კარი გავაღე მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ მაშინვე ვეცემი და რევოლვერს წავგლეჯ-მეთქი, გაოცებულმა, თითქმის გონს მოსულმა ჩემს წინ სარა კი არა, რაშიც დარწმუნებული ვიყავი, გარეგინი დავინახე. ეტყობა ბევრი ერბინა, ისე ქშინავდა.

— ღვთის გულისათვის, მიშველე! — თქვა გარეგინმა და სული ძლივს მოითქვა. — სარა არაა... მეძინა... გარეთ გამოსულა... არ ვიცი, სად წავიდა... უნდა მიშველო... ლამის გავგიჟდე... არ ვიცი, რა ვქნა... თუ ღმერთი გწამს, ჩქარა... წამოდი... წავიდეთ...

— სად?

— საძებნელად.

— სად?

— არ ვიცი... მოფიქრების უნარი დავკარგე... შენ მითხარი, სად იქნება?

— აქ იყო...

— აქ, შენთან? — დაიყვირა საცოდაემა და ხელებში მეცა.

— მერე?

სული ეხუთებოდა. თვალები ცნობისმოყვარეობითა და მოუთმენლობით ავსებოდა.

რამდენიმე სიტყვით ვუამბე, რაც მოხდა. მისმინა, მისმინა, შემდეგ უცბად ვაიო წამოიყვირა, მუშტები თავში წაიშინა და ადგილზე გაშეშდა. მერე მომაკვდავივით ჩამაფრინდა მკლავში და გასაყოლად ვამწია.

— წავიდეთ... ღვთის გულისათვის. ჩქარა, წავიდეთ... ჩქარა...

— სად?

— არ ვიცი... მდინარესთან... ახლა მაგონდება, მემუქრებოდა, თუ

შენ არ მოკლავ, მე მოვკლავ და შემდეგ მდინარეში თავს დავიხრჩობო... წავიდეთ... გადავარჩინოთ!..

გაშმაგებით მეწეოდა თავისკენ და მიმათრევდა. დიდი ძალა და სიდინჯე დამჭირდა, რომ დამერწმუნებინა — ეს უბრალო მუქარა იყო შენ შესაშინებლად-მეთქი... ვუმტკიცებდი, რომ სარა შეპყრობილია მკვლელობის მანიით და იმის შემდეგ, რაც გაისროლა, ალბათ უკვე გადაწყვიტა, რომ მოკლა და დამშვიდებული შინ დაბრუნდებოდა.

— ასე გგონია, ასე გგონია? — სიხარულით წამოიძახა გარეგინმა, — თუ ასეა, შინ წავიდეთ... ჩქარა, გემუდარები, ჩქარა!

ოთახში გავიქეცი, ქუდი დავიხურე, პალტო ჩავიცვი და გარეგინთან ერთად მისი სახლისაკენ გავწიე. ახლა ცნობისმოყვარეობა უფრო მეწეოდა იქით, ვიდრე დახმარების სურვილი, რადგან ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ტრაგედია უკვე დამთავრებულია, თუმცა გარეგინის მოსაზრებაც დაუჯერებლად არ მეჩვენებოდა.

ეტყობოდა, შუაღამე გადასული იყო. ქუჩაში არავინ ჭაჭანებდა ვეება ქურქებში გახვეული დარაჯების გარდა, რომლებიც მაღაზიების გასწვრივ დინჯად დააბიჯებდნენ. ნახევარი გზა გავიარეთ, ეტლი ძლივს ვიშოვეთ და ჩავსხედით. როცა მივედით, ყოველი შემთხვევისათვის ეტლი არ გავუშვით და ზემოთ ავედით. გარეგინი ორ-ორ საფეხურს არბოდა.

მისი ოთახის კარი ღია დაგვხვდა, განათებული. გარეგინი პირდაპირ საწოლ ოთახში შევარდა, მეც მივყევი.

თვალწინ სამწუხარო სურათი გადაგვეშალა.

სარა მართლაც დაბრუნებულიყო და მოახლის სიტყვებით, ძალიან მხიარული იყო, იცინოდა, ტაშს უკრავდა, ბავშვივით ხტოდა, ეხვეოდა მას, კოცნიდა და სულ იმეორებდა: „იცი, ნატაშა, მე მოვკალი, მოვკალი, მოვკალი უკვე"... შემდეგ დაეწყო წუხილი, მცივაო, გაუხდელად დაწოლილიყო, მოეთხოვა თბილად დაეხურათ მისთვის და ღუმელი დაენთოთ. მერე დასწყებოდა აუტანელი ტკივილები, თურმე საშინლად კიოდა და იგრიხებოდა. შეშინებული მოახლე გარეგინის ოთახში გაქცეულიყო გასაღვიძებლად. მაგრამ გარეგინი ვერც იქ და ვერც მთელ სახლში ვერ ეპოვნა და დახმარებისათვის მეზობელი სახლის პატრონისათვის მიემართა. ამ ძალიან კეთილ და ენერგიულ ქალს, რუსი გენერლის ქვრივს, ვერაფერი უშველია ავადმყოფისათვის

და როცა ქალის მძიმე მდგომარეობა უნახავს, ქვემო სართულში მცხოვრებ ექიმისათვის მიუმართავს.

ჩვენ რომ მივედით, ექიმიც ის-ის იყო მოსულიყო. ხალათწამოსხმული, ფოსტლებში ფეხგაყრილი, ნამძინარევი თვალებით ავადმყოფის მაჯისცემას ითვლიდა. სახლის პატრონი გვერდით ედგა, ისიც სახელდახელოდ ჩაცმული, ჭაღარა, ხუჭუჭა თმა რამდენიმე თმასამაგოით დაებნია. შიშისაგან შეშლილი მოახლე კართან ატუზულიყო. ღუმელში ცეცხლი გუზგუზებდა.

გარეგინი ცოლის საწოლთან მიიჭრა და არაადამიანურად, თითქმის მხეცივით დაიღრიალა — „სარა!". ეტყობა, მასთან მისვლა უნდოდა, მაგრამ ექიმმა, რომელსაც ცალი ხელით ავადმყოფის მაჯა ეჭირა, მეორე ხელით წყნარად მოიშორა. საწყალი გარეგინი ადგილზე გაშეშდა და ცოლს შეძრწუნებული მიაშტერდა.

სარა გაუნძრევლად იწვა. სახე მიტკალივით გასთეთრებოდა, ტუჩები გასიებოდა, გალურჯებოდა და ჩაშავებოდა, ნახევრადგაღებული ეუთუთოებიდან შუშასავით უბზინავდა თეთრი გუგა. ჯერ მომეჩვენა, უკვე მომკვდარა-მეთქი, მაგრამ შემდეგ დავინახე, რომ მკერდი უმოძრავებდა და ნახევრად ღია ბაგეებიდან სუსტი ქშენა ისმოდა.

ავადმყოფის მაჯისცემის გასინჯვის შემდეგ ექიმი მიბრუნდა, თითით მოახლე მოიხმო, მას და გვერდით მდგომ სახლის პატრონს თხოვა სარასათვის გაეხადათ.

ჩემი იქ ყოფნა უხერხულად ჩავთვალე, გამოვტრიალდი და გამოვედი. პირველად ვერ მივხვდი, სად ვიმყოფებოდი, მაგრამ შემდეგ ვიცანი ის სასტუმრო ოთახი, რომელშიც იმ ავბედით საღამოს სარას შევხვდი. აი ის სკამიც კართან, რომელზედაც იჯდა. ერთი წუთით მომეჩვენა, რომ ისევ მესმის ყურებში მისი მრისხანე სიტყვები და შემდეგ გულმომკლავი ქვითინი. რა მოხდა ამ შეხვედრის მერე, როცა ისტერიულ მდგომარეობაში დავტოვე, არაფერი ვიცოდი, მაგრამ ცხადი იყო, ჩვენმა ავბედითმა საუბარმა გადამწყვეტი როლი შეასრულა სარას ბედისწერაში. შედეგს კი საკუთარი თვალით ვხედავდი. თუმცა ერთი მხრით თავს იმით ვიმართლებდი, რომ ამბავი სტიქიურად და ჩემი სურვილის წინააღმდეგ მოხდა, მაინც არ მცილდებოდა ის აზრი, რომ ყველაფერი ამის მიზეზი მხოლოდ მე ვიყავი და, შეიძლება, არაფერიც არ მოჰხდარიყო, გარეგინისათვის რომ ყური არ დამეგდო და ამ საქმეში არ ჩავრეულიყავი. ამიტომ ახლა მორალურად სავსებით განადგურებული,

როგორც ადამიანი, რომელსაც შეუგნია თავისი დანაშაულის სიმძიმე, დაძაბული ყურს ვუგდებდი მეზობელი ოთახიდან გამოსულ ხმაურს. იქიდან გამოსული ყოველი ხმა გულს მიგმირავდა. არა მგონია, უფრო ძალუმად და ღრმად განეცადა ჩემს გულს ის ჩურჩული, იქ ოთახში რომ სულთმობრძავი ვინმე ჩემი ახლობელი წოლილიყო.

XIII

ალიონზე დავბრუნდი შინ და მაშინვე დავიძინე, ან უფრო სწორად, მძიმე და მტანჯველმა თვლემამ წამიღო, რომელიც უამრავი უაზრო, უცნაური და საშინელი მოჩვენებით სავსე იყო.

ფეხის ხმაზე გამეღვიძა. ვხედავ, თუსიანია. თავდაპირველად ვერაფერი გავიგე. თავი ისე მიმძიმდა, თითქოს შიგ ტვინის მაგიერ ტყვია ჩაესხათ. შემდეგ უცბად გამახსენდა ღამით მომხდარი ამბავი, საკუთარი გამოვფხიზლდი და ფეხზე წამოვვარდი. ახლა შევნიშნე, ჩაცმული დავწოლილიყავი. „როგორ არის სარა?“, — ეს იყო ჩემი პირველი გაფიქრება და გული შემეკუმშა.

მაგრამ ჩემს წინაშე იდგა ამ ამბების ავტორი — თუსიანი, — რომლის მოულოდნელმა დაბრუნებამ ნაკლებად როდი გამიღიზიანა ცნობისმოყვარეობა.

— ეს რა არის, განა არ გაემგზავრე? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— არა, — მოკლედ მიპასუხა.

— რატომ?

ხმა არ გამცა. ფანჯარასთან დაჯდა, პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა და გააბოლა. უჩვეულოდ სერიოზული და ღრმად ჩაფიქრებული იყო, როგორც წინა ღამით, გამგზავრების წინ. ჩემსკენ არ იხედებოდა. მე კი გაოცებით ვადევნებდი თვალს. გახუნებული სტუდენტური ქურქი და მაღალყელიანი ფეხსაცმელები გაეხადა და ახალი კოსტიუმი ჩაეცვა. პირი გაეპარსა და ძალიან ლამაზი იყო. მოკლედ შეკრეჭილი შავი, ხშირი, მბზინავი თმა, ახლა უფრო უბზინავდა ფანჯრიდან ოთახში ჩამოღვრილი დილის მზის ათინათზე.

— მატარებელზე ხომ არ დაგიგვიანდა? — განვაგრძე გამოკითხვა.

— არა.

— მაშ რა მოხდა?

კვლავ არ მიპასუხა. პაპიროსს წევდა ისევ და ჩემსკენ ჯიუტად არ იცქირებოდა. შემდეგ თითქოს გაბრომწვევად მითხრა:

— არასოდეს მხდალი არ ვყოფილვარ და არ მინდა ვინმე ამაში დაეჭვდეს, გახსაკუთრებით ის, ვისთანაც საქმე მაქვს.

— არ მესმის, რა სიმხდალეზე ლაპარაკობ?

— წუხელ შენი ნათქვამის შემდეგ ჩემი წასვლა მხოლოდ გაქცევას ნიშნავს. მაგრამ მარტო ლაჩრები გარბიან.

— გატყობ, გინდა შუბლი ტყვიას შეუშვირო.

— დიახ, — თქვა თუსიანმა და დაუძატა: — ოღონდ თუ დამნაშავე ვარ.

— შენ რა, თავი ისევ უდანაშაულო გგონია?

თუსიანი უცებ წამოხტა, პაპიროსი გადააგდო და ჯიქურ შემომხედა.

— მომისმინე, მარქარიან, — რაღაც ისე ნერვულად თქვა, რომ არც მოველოდი მისგან. — სწორედ ამიტომ არ გავემგზავრე. ბოლოს-დაბოლოს, უნდა გაირკვეს, დამნაშავე ვარ თუ არა? თუ დამნაშავე ვარ, დაე დამსახურებისამებრ დავისაჯო, და ტყვია იყოს ეს სასჯელი! ხომ ვთქვი, ტყვია არ მაშინებს-მეთქი, მაგრამ თუ დამნაშავე არა ვარ, რატომ უნდა მქონდეს ეჭვი და სხვაც დავაეჭვო? შეგიძლია მომაწერო უამრავი ნაკლი, მზად ვარ ვირწმუნო, მაგრამ სიყალბეს ვერ დამაბრალებ. ცხოვრებაში ცუდი არაფერი ჩამიდენია, არასოდეს! ამას ვამბობ და დავამტკიცებ კიდეც. ყოველთვის მთელი გულით აღვშფოთებულვარ, როცა სხვების სიმდაბლე მინახავს. ჩემი ცოდვების შეფასებისას საერთო შაბლონს არ მივყვები. ამის საზომი ჩემი საკუთარი შეგნება და სინდისია. ჩვენთან, სამაზრო ქალაქში, იყო ერთი მასწავლებელი. განათლება გერმანიაში მიეღო და თავს ღვთისმეტყველს უწოდებდა. ერთ თავის მოსწავლეზე — ათი-თორმეტი წლის ობოლ გოგონაზე ძალადობამარია. დავიჭირე და ისე ვცემე, კინაღამ ციხეში მოვხვდი за самосуд. ერთი ჩვენი ამხანაგი სტუდენტი ჯაშუში აღმოჩნდა, პოლიციისა და რექტორის საიდუმლო აგენტი უნივერსიტეტში; ყველას ეშინოდა მისი, მაგრამ ისეთი ოინი დავმართე, იძულებული გახდა სხვა უნივერსიტეტში გადასულიყო, თუმცა ამის გამო მეც უნივერსიტეტიდან გამაგდეს. ასეთი შემთხვევა ჩემი ცხოვრებიდან რამდენი შემიძლია ჩამოვთვალო. თუ სხვების აზრით, რაიმე ცუდი ჩამიდენია, იმიტომ კი არა, რომ ცუდი ადამიანი ვარ ან მიყვარს ცუდი, არამედ იმიტომ, რომ

ჩემს მოქმედებას საძრახისად არ ვთვლიდი. აი, თუნდაც სარას მაგალითი. განა დანაშაულია, რომ მოწიფულმა ქალ-ვაჟმა, გულების ურთიერთლტოლვით, ბუნების წიაღში და ბუნების მოწოდებით ცხოვრების უმაღლესი საიდუმლოება შეასრულეს?

— ეს კი, — შევაწყვეტინე გაუთავებელი ლაპარაკი, — ეს მესმის და არც არავინ გადანაშაულებს ამაში, მაგრამ მერე, მერე როგორ მოიქეცი ამ „ცხოვრების უმაღლესი საიდუმლოს“ შესრულების შემდეგ?

— სწორედ ამას გეუბნები, ამ „შედეგზე“ მინდა გითხრა, — შენიშნა თუსიანმა. — როგორც გინდა გაიგე, მაგრამ მაშინ სარა გულწრფელად მიყვარდა. იმასაც ვაღიარებ, იგი ჩემი პირველი სიყვარული იყო და მართლა გულწრფელად ვეფიცებოდი, შეგირთავ-მეთქი. შემდეგ წავედი. პირველ ხანებში ძალზე მენატრებოდა, ყველა წერილზე ვპასუხობდი, როცა მისი ბარათი დაიგვიანებდა, ველარ ვითმენდი და თვითონ ვწერდი. მაგრამ თანდათანობით... შენც იცი, რომ დრო და მანძილი ადამიანთა დამოკიდებულების მტრები არიან. მით უფრო, რომ იმათ რიცხვს როდი ვეკუთვნი, ვინც სულიერი საზრდოთი კმაყოფილდება. ხვალინდელით კი არა, დღევანდელი დღით ვცხოვრობ. მთელი ქვეყანა ჩემი მგონია თავისი ხმაურითა და წარმავალი მთაბეჭდილებებით. აქამდე მუდამ ასეთი ვიყავი. მაშინ რომ დავრჩენილიყავი ან ის ჩამოსულიყო ჩემთან, აუცილებლად დავქორწინდებოდით და ახლა სავსებით ჩვეულებრივი, ბედნიერი ან უბედური მეუღლენი ვიქნებოდით. მაგრამ, ვიმეორებ, გავემგზავრე და... დავივიწყე. ან უფრო სწორად, გული ავიყარე. იმიტომ კი არა, რომ ასე მინდოდა ანდა მასზე უკეთესი ვინმე ვნახე, არა, უბრალოდ — ასეთია ცხოვრება, ასეთია ადამიანის ბუნება.

— დავუშვათ, ეს ასეა, ამაზედაც გეთანხმები, — შევნიშნე ხელახლა — მაგრამ თქვენს შორის ხომ ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი იყო და სარამაც, ალბათ, დიდიხანია შენზე გული აიყარა, დაგივიწყა, ბედგომარეობას შეურიგდა, გათხოვდა, საკუთარი კერა შექმნა და ემზადებოდა დედა გამხდარიყო. ახლა ვიღასი სახელით, ცხოვრების რომელი უმაღლესი საიდუმლოს სახელით გაბედე მის მშვიდ ცხოვრებაში შეჭრილიყავი, მისი სულიერი მყუდროება დაგერღვია, ძველი ჭრილობა გაგეხსნა, მასხარად აგეგდო მის მიერ გადატანილი ტანჯვა, შეურაცხყოფა მიგეყენებინა მისი ქალური სათნოებისათვის, დაგემცირებინა მისი

ადამიანური ღირსება? მე მხოლოდ მის სიტყვებს ვიმეორებ. ყველაფერ ამას რას უწოდებ?

— უბრალო თავქარიანობას, განებივრებულის კადნიერებას, თუ გნებავს, მრუშობასაც, რაც გინდა, დაარქვი. ვღებულობ და თავს არ ვიმართლებ. მაგრამ ეს უბრალო ამბავი ძალზე გაბერილი და გაზრდილია. უბრალო ფარსი ტრაგედიად უქცევიათ და ერთი უღირსი საქციელი სასიკვდილო დანაშაულივით არის შეფასებული. პირდაპირ არ მესმის, გულწრფელად ვამბობ, არ მესმის.

ვერაფერი ვუპასუხე და მხოლოდ ხელები გავშალე. ამით ვაგრძნობინე, რომ ჩვენი საუბრის გაგრძელებას ზედმეტად ვთვლიდი.

მაგრამ თუსიანი ჩემთან მოვიდა, ხელი ხელში მომკიდა და შემეკედრა:

— გამიგონე, მარქარიან, არ იფიქრო, ვთვალთმაქცობდე და განზრახ ვამბობდე, არ მესმის-მეთქი, დამარწმუნე, დამიმტკიცე, რომ საშინელი დანაშაული ჩავიდინე და დამიჯერე, ჩემს თავს თვითონ გავასამართლებ. შეიძლება მართლაც რაღაც ისეთი ურჩხული ვარ, რომ მარტო ჩემი მოკვლა კი არ არის საჭირო, არამედ ასო-ასო აკუწვა და ძაღლებისათვის გადაგდება.

— აბა, რა შეიძლება დავუმტკიცო ან რითი დავარწმუნო ისეთი კაცი, რომელსაც ყველაფერი დასაშვები ჰგონია? შენი მოქმედების შედეგმა, რომელიც, როგორც ცოცხალი მაგალითი, თვალწინ გაქვს და ვერაფერში დაგარწმუნა, და აბა, სიტყვებით რას გავხდები?

— კი მაგრამ, ასე პირველად და უკანასკნელად მარტო მე ხომ არ მოვქცეულვარ, ასეთი ტრაგიკული შედეგი რატომ მაინც და მაინც ამ ერთს მოჰყვა? განა აქედან არ ჩანს, რომ ეს ტრაგედია ჩემი მიზეზით არ მომხდარა?

— მაშ ეს მიზეზი თვით ამ ერთის ნებასა და არსშია? ეს გინდოდა გეთქვა?

— თუ ჩემი სიტყვები ასე გაიგე... — თქვა თუსიანმა და სათქმელი აღარ დაამთავრა, ჩემს მზერას გაერიდა.

ერთხანს გაკვირვებული შევცქეროდი. გამოცა მისმა სიჯიუტემ.

— შენი მსჯელობა აი რასა ჰგავს, — შევნიშნე, — დგას ქუჩაში გიჟი ან მთვრალი და თოფს ისვრის. ქუჩაში ბევრი ხალხია, მაგრამ ტყვია მხოლოდ ერთს ხვდება და კლავს. შენი აზრით, დამნაშავეა ის

ერთი, და არა მსროლელი. მსროლელი მაშინ იქნებოდა დამნაშავე, ყველა გამვლელი რომ დაეხოცა. აი შენი ლოგიკა.

— შენ წარმოიდგინე, რომ მართლაც ასეა — დამნაშავე სწორედ ის ერთია, — ჯიუტად დაიჟინა თუსიანმა. — ანდა, თუ დამნაშავე არ არის და შემთხვევითი მსხვერპლია, მაშინ არც მსროლელია დამნაშავე. მთვრალი ან გიჟი ხომ აუცილებლად გარკვეული ემოციის გავლენით მოქმედებს და არა იმისათვის, რომ ვინმე ან განსაკუთრებით ის ერთი მოკლას.

რადგან ვდუმდი და მოძალებული განცვიფრებით ვუსმენდი, მან მისთვის უჩვეულო პედანტური სერიოზულობით გააგრძელა:

— შენ ამბობ, ეს მრუშობაა, მე კი ვამბობ — ეს არის ცხოვრების უმაღლესი საიდუმლოება, რაღაც სტიქიური ბუნებრივი ძალა, რომლის დამორჩილებაც ადამიანს, თავის გონიერების მიუხედავად, არ შეუძლია. ეს სტიქიური ძალა ჩემი სახით გამოცხადდა, ძლევამოსილად გაიარა თავისი გზა და დამნაშავე როდი ვარ, ვიღაც რომ დაეცა ამ გზაზე და ჩემს ფეხქვეშ გაისრისა, რაკი მის კაპრიზებს ვერ შეურიგდა. ეს ხომ ნათელია, მარქარიან, სავსებით ნათელი.

— აბა რატომ სცემე მასწავლებელს მოსწავლის შეცდენისათვის?

— იმიტომ, რომ იმრუშა, ძალა იხმარა, თანაც მცირეწლოვან გოგონაზე, — აი რატომ. ძალადობა-მრუშობასა და ფიზიკურ-სულიერ ლტოლვას შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც ცასა და მიწას შორის. ვფიქრობ, ესეც გასაგებია.

— როგორ არა, შენთვის ყველაფერი გასაგებია. გასაგებზე გასაგებიც, — შევნიშნე, რადგან ეს უმიზნო ლაპარაკი მინდოდა შემეწყვიტა. — მაგრამ ჩემთვის მაინც გაუგებარია, რად არ გაემგზავრე, რისთვის დაბრუნდი და საერთოდ მთელი ეს სოფისტიკა რა საჭიროა? შენი უდანაშაულობა გინდა დამიმტკიცო? ვერ შეძლებ. მხოლოდ ერთში დავრწმუნდი: ან შეგნებული არა გაქვს შენი დანაშული, ან დანაშაულის გრძნობა იმდენად დიდია, რომ სინდისის დასამშვიდებლად შენი დანაშაული რაღაც ცხოვრების უმაღლეს საიდუმლოებას, რაღაც სტიქიურ ძალას გინდა გადააბრალო, რომელიც ქვეყანას თავისი ძლევამოსილების საჩვენებლად თითქოს შენი სახით მოევლინა. ეს ხომ შენს ღვთისმეტყველ მასწავლებელსაც შეეძლო ეთქვა, თუმცა მის მოქმედებას ძალადობად თვლი და შენსა და იმას შორის ისეთსავე განსხვავებას ხედავ, როგორსაც ცასა და მიწას შორის. რაც შენთვის

ცხოვრების უმაღლესი საიდუმლოება და სტიქიური ძალაა, მისთვის რატომ არის მრუშობა? არც ერთია მართალი, არც მეორე; რაკი ერთხელ შენს თავს ჩააგონე, რომ ცხოვრება დაუსრულებელი ღრეობაა, და შენც უფლება გაქვს, რაც გესიამოვნება ყველაფერი წაგლიჯო, გინდა ასევე განაგრძო. მაგრამ ახლა, როცა მკაცრი რეალური ცხოვრება, და არა ის, რომელსაც შენ ხატავ, შენს წინაშე აღიმართა და თავისი მოთხოვნილებანი წამოგიყენა, დაიბენი და აღარ იცი, რა გააკეთო. აი მთელი შენი ფსიქოლოგია. მე აღარაფერი მაქვს სათქმელი.

ამჯერად თუსიანი გაილურსა და წუხანდელივით სერიოზულად და მთელი გულით მისმენდა, ჩანდა, მასში რაღაც სულიერი გარდატეხა ხდებოდა, რაც გამოთხოვების დროსაც შევნიშნე. მაგრამ ახლა ძველებურად გაოგნებული არ იყო. მისი სახის ყოველ ნაკვთზე ჩემი ყოველი სიტყვა თავის მტკივნეულ კვალს სტოვებდა.

სასწრაფოდ დავიბანე და სარას სანახავად წასასვლელად მოვემზადე. ამ საუბრისას მისი სახე სულ თვალწინ მედგა. თუსიანმა დაინახა, რომ წასასვლელად ვემზადებოდი და მკითხა:

— სად მიდიხარ?

— წავალ, გავიგებ შენი მსხვერპლის მდგომარეობას.

— კმარა, მარქარიან, — შემეეედრა და შავ დიდრონ თვალებში მუქარისა და მრისხანების ნაპერწკალი გამოუკრთა. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი წამით. იგი თავს მოერია, ქუდი აიღო და ძალიან მშვიდად თქვა: — მეც წამოვალ!

გაოცებულმა შევხედე.

— გაგიჟდი?

მაშინვე არ მიპასუხა, ჩემს წინ იდგა, ხელში ქუდი ეჭირა და დამშვიდებული, ნაღელიანი, მტკიცე გადაწყვეტილებით სავსე იატაკს მიშტერებოდა.

— მსხვერპლიო, ამბობ. ვღებულობ, — რაღაც განსაკუთრებული ხმით თქვა. — მაგრამ მსხვერპლი საზღაურს თხოულობს და მეც მზადა ვარ ვზღა, გამოვისყიდო ჩემი დანაშაული.

— შენი არ მესმის, — ვუთხარი მისი მოულოდნელი გადაწყვეტილებით გაკვირვებულმა. — რა საზღაური? ვის უნდა უზღა? რა სახით? რისთვის?

— რანაირ საზღაურსაც მოითხოვს, ვისთვისაც გინდა, რა სახითაც, რისთვისაც! — ჩემთვის ყველაფერი ერთია — მე ვალის გადახდა მი-

ყვარს. რაკი გადავწყვიტე და ვთქვი — გავაკეთებ კიდეც. და გთხოვ, ამ ჩემს სიტყვებს ცარიელ ლაყბობად ნუ მიიჩნევ. მართალია, თავქარიანი ვარ, ბევრი ტრაგიკული შემთხვევა მქონია, მაგრამ ისინი ოდნავ თუ შემხებიან, ჩემზე არ დაუტოვებიათ ღრმა კვალი. ახლა კი რასაც ვგრძნობ, არასოდეს მიგრძვნია.

— თქვი, თქვი, გისმენ! — ვუთხარი ძალზე დაინტერესებულმა. მის უჩვეულოდ სერიოზულ ტონსა და თვალების გამომეტყველებაზე მივხვდი, რომ ბოლოსდაბოლოს უნდა გარკვეულიყო ის მთავარი, რაც აქამდე არ მესმოდა ამ უცნაურ ახალგაზრდა კაცში.

— წუხელ, როცა სარაზე მიამბობდი, — განაგრძო თუსიანმა. — თითქმის არაფერი მიგრძვნია, მხოლოდ გაოგნებული ვიყავი, იმდენად მოულოდნელი იყო ყველაფერი ეს ჩემთვის. მაგრამ შემდეგ, როცა დაგშორდი და საგზურზე წასვლის ნაცვლად სასტუმროში გავჩერდი, რაღაც მოუსვენრობამ შემიპყრო, რომელიც უფრო და უფრო მაწუხებდა. არ დაიჯერებ, მაგრამ მთელი ღამე არ მძინებია. ფხიზელი ღარაჯივით ბოლთას ვცემდი და პაპიროსს ვეწეოდი. რა იყო ეს? სინდისი? სინდისის ქენჯნა? თავქარიანობით ჩადენილი ბოროტების შეგნება? თუ თანაგრძნობა? იმ გრძნობის შედეგი, რომელსაც ოდესღაც მის მიმართ ვგრძნობდი? ანდა იქნებ სულაც ძველი სიყვარული, პირველი სიყვარული, რომლის ნაპერწკლები იმ ტანჯვის გამო, რომელიც მან გადაიტანა, უცებ ახალი ძალით გაღვივდნენ წარსული წლების ფერფლის ქვეშ წინანდელზე უფრო წმინდად, უფრო ძალუმად? არაფერი ვიცი, არაფერი მესმის, მხოლოდ, ვიმეორებ ასეთი რამ წინათ არასოდეს განმიცდია, არასოდეს ჩემს ცხოვრებაში. და თუ ცოტა ხნის წინ — ძალიან სწორად შენიშნე — სოფისტიკის გამოყენებით ვცდილობდი უმწიკვლოდ გამომეყვანა თავი, იმიტომ კი არა, რომ მართლაც უდანაშაულოდ ვთვლიდი თავს, არამედ იმიტომ, რომ მინდოდა შენი დახმარებით ამ აუტანელი ქაოსური სულიერი მდგომარეობიდან გამოსავალი მეპოვა. ცხოვრების უმაღლესი საიდუმლოება, ბუნების სტიქიური ძალა და სხვა ასეთები რასაკვირველია, მხოლოდ სიტყვებია, რომელთაც შეიძლება რაღაც მნიშვნელობა ჰქონდეთ ქალსა და მამაკაცის დამოკიდებულებაზე აბსტრაქტული მსჯელობისას, მაგრამ გახვრეტილ გროშადაც არა ღირან ცხოვრებისეული ისეთი შემთხვევისათვის, როგორიც ჩემი და სარას დამოკიდებულება იყო. სიმართლე თუ გინდა, სწორედ ეს არის მიზეზი, მე რომ ვერ შევძელი წასვლა, მთელი ღამე გავიტანჯე და ახლა მინდა შენთან ერთად წამოვიდე მის სანახავად.

— ბოლოსდაბოლოს ხომ გამოტყდი, — შევნიშნე მე. — მაგრამ თავიდან გამოიფერთხე მისი ნახვის სურვილი, შენ ხომ არ იცი, რა მოხდა წუხელ შენი წასვლის შემდეგ.

— რა?

წუხანდელ კოშმარულ შემთხვევაზე მოვყევი, როგორ არანორმალურ მდგომარეობაში მოვიდა ჩემთან სარა რევოლვერით ხელში, ცხადია, ერთადერთი მიზნით, რომ იგი, თუსიანი, მოეკლა. როგორ გაისროლა და როგორ გაიქცა. შემდეგ ქმარმა რომ მოირბინა და ბოლოს, სარა რა მდგომარეობაში ვნახეთ სახლში.

თუსიანი ფართოდ გახელილი თვალებით ყურადღებით მისმენდა და თანდათანობით ფითრდებოდა. როცა დავამთავრე, ხელები თავში იტაცა და გაშეშდა.

— ეს შეუძლებელია, — წაიჩურჩულა მან, — ეს საშინელებაა... და ყველა ამის მიზეზი...

— უკვე ზედმეტია და უსარგებლო მიზეზებზე ფიქრი, — ვუთხარი მე, — თუ ნანობ და გინდა რითიმე ზღა, უკვე გვიანაა, ძალიან გვიან.

— გვიანაა... ძალიან გვიან, — ექოსავით გაიმეორა და ფართოდ გახელილი თვალები ვერ მომაშორა.

ამ მდგომარეობაში დავტოვე და გავედი.

XIV

მთავარ ქუჩაზე გასვლა ვერ მოვასწარი, რომ დამეწია.

— სად მიდიხარ? — ვკითხე.

— შენთან.

— მე სარასთან მივდივარ.

— მეც.

— რატომ?

— გავიგო, როგორ არის. — და როცა დაინახა, უარი მინდოდა მეთქვა, საჩქაროდ დაუმატა: — ნუ გეშინია, არ შემოვალ, გარეთ დაგელოდები.

გზაზე კრინტიც აღარ დაუძრავს. სავსებით დამშვიდებული და ღრმად ჩაფიქრებული იყო. როცა მივედით, მართლაც გარეთ დარჩა. მე კი შესვლისთანავე ზემოთ ავედი.

კარი ნამტირალებთვალებიანმა მოახლემ გამიღო. რომ შევხედე, გული ჩამწყდა.

— როგორ არის ქალბატონი? — ვკითხე.

პასუხად თვალებზე ცხვირსახოცი მიიფარა და ატირდა.

მეტი გამოკითხვა ზედმეტი იყო და საჩქაროდ გზა განვაგრძე.

ჩემს შესახვედრად გამოვიდა სახლის პატრონი, რომელმაც წუხელ სარას მიმართ იმდენი ზრუნვა გამოიჩინა. მოკლედ მიამბო ყველაფერი. ჩემი წასვლის შემდეგ ექიმს ურჩევია ავადმყოფი სასწრაფოდ გადაეყვანათ სამშობიარო სახლში. გონწასული სარა გადაუყვანიათ ეტლით, და იქ ნაადრევი მშობიარობისაგან გარდაცვლილა.

— ჩვენ ახლახან დავბრუნდით, — დაუმატა მან; „ჩვენში“ თავისთავსა და გარეგინს გულისხმობდა — შემოდით, შემოდით, დაამშვიდეთ თქვენი საბრალო მეგობარი, მე კი წავალ და ცოტას მაინც დავისვენებ.

კეთილი ქალი საწოლ ოთახამდე მიმყვა, სადაც ღამით სარა სასიკვდილო აგონიაში ვნახე, თვითონ კი წავიდა.

კარი შევაღე და ფრთხილად შევედი.

გულზე ხელებდაკრეფილი გარეგინი ცოლის ცარიელ საწოლთან იჯდა. მომეჩვენა, ძინავს-მეთქი, მაგრამ როცა მივუახლოვდი, წყნარად ასწია თავი და უძილობისაგან დასიებული და დაწითლებული თვალებით მომაშტერდა, დიდხანს უაზრო გამომეტყველებით მიყურებდა, თითქოს გონს ვერ მოსულიყო და არც მიცნობდა. შემდეგ ნელა დაუშვა გულზე დაკრეფილი ხელები და ძალიან მშვიდი ხმით მითხრა:

— ჰო, ეს შენა ხარ... დაჯექი, — და აუდგომლად სკამი მომიწია.

უხმოდ ჩამოვართვი ხელი და დავჯექი.

— იცი, რომ სარა უკვე გარდაიცვალა? — თქვა და მშრალი, უსიცოცხლო თვალებით შემომხედა.

მხოლოდ თავი დავუქნიე. ხმის ამოღება არ შემეძლო, ცრემლები მახრჩობდა.

— შიგნით შეიყვანეს, არ ვიცი, დაკლეს თუ რა უყვეს და უკვე მკვდარი გამოიტანეს, — ისეთი მშვიდი ხმით განაგრძო გარეგინმა, თითქოს ისეთ რამეს ყვებოდა, რაც მას არ ეხებოდა.

— შემდეგ იცი რა? ექიმი, რომელმაც სარა გაკვეთა, თავის კაბინეტში რძიან ჩაის სვამდა, — ძალიან გამიკვირდა. კიდევ ერთმა რამემ გამაკვირვა: სახლში დაბრუნებისას, ვხედავ, მზე წინანდებურად ანა-

თებს, ხალხი ქუჩებში დადის, მაღაზიები ჩვეულებრივად ღიაა— ერთი სიტყვით, ყველაფერი ძველებურად არის, არაფერი შეცვლილა, მე კი მეგონა, ყველაფერს ბოლო მოეღო, სიბნელეა... საოცარია არა?

— იცი რა, გარეგინ, — ვუთხარი და უძილობისაგან დასიებულ, აგზნებულ თვალებსა და გაყვითლებულ სახეში ჩავხედე, — დაღლილ ხარ და უძინარი, რომ დაწვებოდე და ცოტას დაისვენებდე, კარგი იქნება.

— ჰო, სწორედ ეს უნდა მეთქვა, — დასძინა მან. — ყველაზე მეტად ის მაკვირვებს, რომ ვიცი, მეც წინანდებურად უნდა ვჭამო, ვიარო, ვიძინო, დავისვენო, შემდეგ ისევ ვჭამო, ვიარო, ვიძინო, დავისვენო, თითქოს არაფერი მომხდარა, თითქოს ნახევარი წლის ცხოვრება მხოლოდ ტკბილი სიზმარი იყო, რომელმაც გაიარა, გაქრა, თითქოს მხოლოდ საოცარი მოჩვენება იყო, რომელიც ერთი წუთით მომელანდა და სამუდამოდ გაქრა...

უკანასკნელ სიტყვებზე ხმა აუკანკალდა, ჩაეხლიჩა და უცბად დადუმდა. მოიკუნტა, თავი ჩაქინდრა. დიდხანს იყო ამ მდგომარეობაში, შემდეგ გასწორდა და შემომხედა:

— ბევედრები, გამიფანტე, თუ შეგიძლია, ჩემი ეჭვები, — თქვა მან. — რომ შემოხვედი, ამაზე ვფიქრობდი, მითხარი, თუ კაცი ხარ, რა უფრო მნიშვნელოვანია, ადამიანი, ცოცხალი არსება, თუ საგანი? სული თუ მატერია?

— რატომ კითხულობ?

— რატომ?

დაბინდული თვალები ოთახს მოავლო, საგნებზე სათითაოდ მიმითითა და თქვა:

— აი საწოლი, რომელზედაც ეძინა, აი მისი ფეხსაცმელები, დილაობით, როცა ადგებოდა, იცვამდა, აი მისი ქუდი, სავარცხლები, თმასამაგრები. ბეჭდები, ყველა ჩვრები და საგნები, რომლებიც მას ეკუთვნოდა. ასეთებს რამდენსაც გინდა იყიდი, ისინი ხომ რომ იყიდებიან, იმაზე მეტი არ ღირან, და ყველაფერი ესენი არსებობენ, თუ შეინახავ, რჩებიან. ის კი, რომელიც ჩვენსავით ლაპარაკობდა, ფიქრობდა, დადიოდა, რომელიც ადამიანის ხელით არ იყო შექმნილი, ერთადერთი ამდენ ხალხში, რომლის მსგავსს ამ ქვეყნად და ვერც სხვაგან ვერ იპოვი, აღარ არის და არც არასოდეს იქნება. რას ნიშნავს ეს? ნუთუ ეს ქინძისთავი უფრო ძვირფასია და უკვდავი, ვიდრე იგი, ბუნების შე-

მოქმედების განუმეორებელი ქმნილება, ან ის გული, მკერდში რომ უცემდა, ანდა მისი მეამბოხე სული? რა არის ეს, დაკინვა, თუ რაღაც ისეთი, რომლის წინაშე ადამიანის გონებას გაქვავების მეტი აღარაფერი დარჩენია...

კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა ხან აღელვებით, ხან ფილოსოფიური სიმშვიდით, მისთვის დამახასიათებელი გულუბრყვილო, ბავშვური შედარებებით, სანამ, ბოლოსდაბოლოს, ხელი არ მოვკიდე, ბევრი სვეწნით არ დავარწმუნე, ცოტა დაესვენა და კაბინეტში გავიყვანე. მიწდოდა მოშორებოდა სარას ოთახს, სადაც ყველაფერი წარსულს აგონებდა და ასე აღელვებდა. წინააღმდეგობა არ გაუწევია, ძილმორეული ბავშვივით დამემორჩილა. დაწვა და თვალები დახუჭა.

მალე მისი ფშინვა გავიგონე და წყნარად გამოვედი, რომ ეს სამწუხარო ამბავი თუსიანისათვის შემეტყობინებინა, რომელიც ქუჩაში მელოდა.

ის კართან ბოლთას სცემდა და პაპიროსს ეწეოდა. რომ დამინახა, გაჩერდა. სარას სიკვდილი რამდენიმე სიტყვით ვაცნობე.

თუსიანს კრინტი არ დაუძრავს, გატრიალდა და წავიდა. მე კი დავბრუნდი, რომ სარას მშობლებისათვის დეპეშა გამეგზავნა.

თუსიანი ორ დღეს არ გამოჩენილა. არ ვიცი, სად იყო და რას აკეთებდა, მისი ამბავი არც კი მაინტერესებდა, რადგან ამ ხნის განმავლობაში გარეგინს არ მოვშორებივარ, რომელიც რაღაცნაირ იდიოტიზმს შეეპყრო. მხოლოდ მესამე დღეს, სარას დაკრძალვაზე, ბრბოში წუთით გამოჩნდა თუსიანი და მერე აღარ მინახავს. დაკრძალვის შემდეგ, სასაფლაოდან რომ ვბრუნდებოდით, ბევრი ვეძებე, მაგრამ ვეღარ ვნახე.

გვიან ღამით, როცა გარეგინი მივატოვე და ის-ის იყო შინ დავბრუნდი, ისე უზომოდ მთვრალი მოვიდა, რომ ფეხზე ძლივს იდგა.

არც მომსალმებია, პირდაპირ დამიჯდა, ქუდი კეფაზე გადაიგდო, ხელებით მუხლებს დაეყრდნო და ამღვრეული თვალები ქშენით მომაშტერა.

— მთვრალი ვარ, ხომ? — მკითხა.

და რადგან არაფერი ვუპასუხე, ისე განაგრძო, თითქოს დასტური მიეღო თავის სიტყვებზე:

— როგორ გგონია, რატომ? რატომ ვარ ახლა წინანდელზე უფრო მთვრალი? მიპასუხე, მიპასუხე! — თანდათან მბრძანებლურად ხმას აუწია, რაკი მე კვლავ ვდუმდი.

— ალბათ, დარდის გასაქარვებლად, — ვუპასუხე ბოლოს.

— დამცინი, ხომ? ნუ დამცინი. ლოთების ამ ჩვეულებრივ თავის მართლებას არ ვცნობ. გესმის, არ ვცნობ!

— მაშინ, ალბათ, გინდა სინდისი დაიმშვიდო.

— სინდისი? რომელი სინდისი? ეს სინდისი? — წამოიყვირა და ხელი მკერდზე მიიბაგუნა. — К черту её. ეს ხომ ტოლსტოის მორალია. ტოლსტოი, მართალია, დიდი მწერალია, მაგრამ... ბერია. შენც ბერი ხარ, მარქარიან. ნუ გეწყინება. ყველა მორალისტი ბერია. ამ დღეებში კინალამ მეც ბერობაზე მომაქცევ. ო, ამას ვერასოდეს გაპატიებ, ვერასოდეს! შენს ჯიბრზე დავთვერი ასე, შენს ჯიბრზე, გესმის მარქარიან? Соловья баснями не кормят. მე ხშირად ვსვამ, მაგრამ დღეს დავლიე ჩვეულებრივზე მეტი, იმიტომ კი არა, მარქარიან, რომ მწუხარება დავივიწყო ან სინდისი დავიმშვიდო. უბრალოდ, მინდა შენ არ მოგცე სამუალება, როგორც ამას წინათ, ყურში ჩამაფრინდე და ბერობაზე მომაქციო. გამიგე?

— მაგრამ ისევ ცდილობ თავი იმართლო. ეს უკვე რაღაცას ნიშნავს, — შევნიშნე მე.

— ეს არაფერს ნიშნავს და ცდები, თუ გონია, რომ ისევ მინდა თავი ვიმართლო. რაო? ისევ საზღაური? საზღაური? და ვინ იცის, კიდევ რა დარდუბალა. უკაცრავად ბრძანდებოდეთ, ეს მხოლოდ გუშინ იყო. გაიარა, გათავდა. ერთხელ ჩავიდინე სისულელე, მისი გამეორება ნამდვილი ვირობა იქნება, უკეთესია ძაღლი მამაძაღლი იყო, ვიდრე ვირი და ჯორი. და მინდა ერთხელ და საბოლოოდ დარწმუნდე, რომ ახლა შენთან მოსანანიებლად არ მოვსულვარ. ამიტომ აი...

წამოხტა, შედგა სკამზე და ისე დაბარბაცდა, უთუოდ დაეცემოდა, რომ არ მიმერბინა და არ დამეჭირა.

— ჩამოდი, ჩამოდი! — ვუთხარი, — თორემ ჩამოვარდები!

— არა, მომეშვი, არ ჩამოვვარდები! — შეჰყვირა მან, თან ანთებული თვალები ცოფიანივით უციმციმებდა. — იქით დადექი და მომისმინე, რასაც გეტყვი. აი, საქვეყნოდ ვაცხადებ, ყველას გასაგონად, დამნაშავე არა ვარ, დამნაშავე არა ვარ! არა, არა! არა! (თან ყოველი „არას“ შემდეგ მუშტს ირტყამდა მკერდში). ამას ვიმეორებ სამჯერ და მზად ვარ თუნდაც ათასჯერ გავიმეორო, რადგან, კარგად მისმინე, მარქარიან, ქვეყნად არ არსებობენ დამნაშავენი და უდანაშაულონი, გეუბნები, არ არსებობენ-მეთქი, ადამიანი კარგსაც და ცუდსაც ბუნების კარნახით აკეთებს.

— საკმარისია, ერთხელ თქვი და გავიგეთ! ჩამოდი, გეუბნები ჩამოვარდები! — ვუთხარი და ხელი ხელში ვტაცე, რომ ჩამომეყვანა, მაგრამ ისეთი გაშმაგებით მოიშორა ჩემი ხელი, რომ წონასწორობა დაკარგა, და, სანამ მოვასწრებდი ხელი მეტაცნა, იატაკზე გულაღმა გაიშხლართა. კეფაზე მოგდებული ქუდი შორს გადაუვარდა.

ძლივს ავიყვანე და დავსვი. თავი უღონოდ ჩამოუვარდა მკერდზე. დუმდა. ერთიც ვნახოთ, ცრემლები წასკდა. დიდხანს ტიროდა ასე უხმოდ. შემდეგ ცხვირსახოცი ამოიღო, თვალები მოიწმინდა და თავი არ აუწევია, ისე მთხოვა წყნარად — ცოტა წყალი მომეცით. მივეცი. დალია და თითქოს ცოტათი გონს მოეგო, მაგრამ მაინც დიდხანს იჯდა ასე ჩუმად. თავს ხან ასწევდა, ხან უღონოდ ჩაჰკიდებდა. თითქოს თვლემდა. მივუახლოვდი. თავი გადასწია და თითით ყელი მიჩვენა. ყელზე ნახევარი გოჯის სიგრძეზე, წვრილი წითელი ნაწიბური ემჩნეოდა, თითქოს მახვილი დანით მსუბუქად გაეკაწრა ვიღაცას.

— ეს რა არის? — ვკითხე გაკვირვებით.

გულის ჯიბე მოიქექა, ქარქაშში ჩადებული სამართებელი ამოიღო და მომცა.

— შეინახე! — მითხრა — აღარ მომცე!

— ვაი, შე უბედურო! — აღმომხდა უნებურად.

— ეს იმ დღეს იყო, შენ რომ იქ, მისი სახლის კართან მითხარი, მოკვდაო, — მითხრა წყნარად. — ჩემი ჭკუით მოვინდომე საზღაური გადამეხადა, მაგრამ ვერ შევძელი მისი შესრულება, მხოლოდ ეს უბადრუკი განაკაწრი დარჩა. ყველაფერი ეს ბაქიბუქი აღმოჩნდა, საპნის ბუშტივით გაბერილი; ბუშტი არც გატკაცუნებულა, ისე გასკდა და ჰაერი გამოვიდა. რას ნიშნავს ეს, მარქარიან, ჰა? — ორჭოფულად შემეკითხა და შემომაცქერდა, — ეს მე ვარ თუ არა? თავს ვეღარ ვცნობ. საიდან დამჩემდა ეს ყოყმანი, სულის ეს შფოთვა, ეს საზიზღარი სულმდაბლობა? მე, რუბენ თუსიანი, ვზივარ აქ, შენთან და ვტირი, როგორც ვიღაც баба. მე, რუბენ თუსიანს, მსურდა თავი მომეკლა... და შემეშინდა? მაშ, რაღა ვარ? რიღას მაქნისი ვარ, მომკიდე ხელი და ჩამღრძვალი ძაღლივით წყალში გადამაგდე, რაღა! რატომ მოკვდა იგი? რატომ? ინისათვის, რომ დავესაჯე, რომ სამაგიერო მიეზღო ჩემთვის?..

ხმა აუკანკალდა. მომეჩვენა, ისევ იტირებს-მეთქი, მაგრამ თავი შეიკავა. მოულოდნელად მის თვალებში მრისხანებამ იელვა და წამოხტა.

— არა, მიცვალებულებს ნებას არ მივცემ, თავისკენ გამქაჩონ, —

დაიყვირა მან. — მე ცოცხალი ადამიანი ვარ, სიცოცხლე მიყვარს და ამ სიყვარულს მსხვერპლად შევწირავ ყველაფერს და ყველას, ვინც გაბედავს და ჩემს ძლევამოსილ გზაზე გადამეღობება. ჩემს სიცოცხლეში პირველად სულელურ ქალურ გრძნობებს დავემორჩილე და აი, სანამდე მივედი... რატომ, რატომ, რატომ?..

და ყოველ „რატომზე" ორივე ხელს ირტყამდა თავში.

ძლივს დავაწყნარე. შევთავაზე დაწოლილიყო და გამოეძინა, რომ გამოფხიზლებულიყო.

— არა, — მითხრა მან, — ამ საღამოს უკვე მივდივარ. მოვედი, რომ სასტუმროს ვალის გადასახდელად და ბილეთის ასაღებად ფული გამოგართვა. შენი მოცემული ფული ამ დღეებში ჯანდაბაში დავხარჯე. ჩავალ თუ არა, ყველას ერთად გამოგიგზავნი. მამაჩემს ვეტყვი, მომცეს. თუ მომცა — ხომ კარგი, არ მომცემს და მივაფურთხებ, ყველა დავთარს და თამასუქს დავუხევ, ფულის სკივრს დავუწვავ, მას კი დავიჭერ და დავახრჩობ, ასეთი ძაღლიშვილი რომ გამაჩინა.

— მერე?

— მერე ჯერ არ ვიცი. მიჩვეული არა ვარ „მერეზე" ვიფიქრო. ფული მომეცი. ჩემი ქუდიც.

ქუდი და ფული მივეცი.

ფული ჯიბეში ჩაიტენა, ქუდი დაიხურა, ხელი ჩამომართვა და ბარბაცით გავიდა.

მეტი აღარ მინახავს.

რამდენიმე წლის შემდეგ გავიგე, მამამ სახლიდან გააგდო და დედაქალაქის ქუჩებში დაეხეტებაო, როგორც პროფესიონალი მათხოვარი ინტელიგენტი და ლოთი.

1898 წ.

მე და ის

(ერთი დაკარგული კაცის დღიურიდან)

ეს დღიური შემთხვევით ჩამივარდა ხელში. თუ როგორ — ეს საინტერესო არ არის. იგი წარმოადგენს ერთ სქელ რვეულს, სადაც „დაკარგულ ადამიანს“ როგორც თვითონვე უწოდებს სათაურის ქვეშ თავის თავს, მრავალი წლების მანძილზე ყოველ დღე თავისი ცხოვრების აბავალ-დასავალი აღუნუსხავს.

ამ დღიურში მე გვერდი ავუარე, რაც ვიწრო პირადული და ინტერესმოკლებული იყო, და მხოლოდ ის ჩანაწერები ამოვიღე, და მოთხრობად ვაქციე, რაც ამ დღიურის, ასე ვთქვათ, არსს შეადგენენ და ნათელს ჰფენენ „დაკარგული ადამიანის“ ტრაგედიას.

აქვე დავსძენ, რომ „დაკარგული კაცის“ დღიურის იმ ნაწილს, რომელიც ეხება მისი დაცემის ტრაგედიას, სათაურად „მე და ის“ დავარქვი, და ამ სათაურითვე ვაქვეყნებ.

ნ ა რ-დ ო ს ი

მე

მე მიყვარდა ის.

ნუთუ ღირს გავიმეორო ის სამიჯნურო სიტყვები, რომლებიც სასაცილოდ და უხამსად ეჩვენებათ ცხოვრებაზე ხელჩაქნეულ სკეპტიკოსებს, მაგრამ ხელიხელ საგოგმანებლად თვლიან სიყვარულით აყვავებული ნორჩი გულები?

ყოველთვის, როცა ვუყურებდი მის ნათელ თვალებს, რომელშიც თითქოს მზე კიაფობდა, როცა მესმოდა მისი კისკისი, რაც გაზაფხულის ცელქი ნაკადულის ჩხრიალს მაგონებდა, როცა მკერდში

ჩავიკრავდი და გარინდებული ხარბად ვუსმენდი მისი უმანკო გულის ცემას, ხოლო ჩემს ღაწვებზე ვგრძნობდი ხავერდოვანი თმების ელექტრონისებურ შეხებას — ისეთი გაშმაგებული გრძნობა მეუფლებოდა, რომ მზად ვიყავი ყველაზე საშინელი ბოროტმოქმედებაც ჩამედინა და უდიდესი გმირობაც, ოღონდ მას ებრძანებინა.

ჩემსავით მასაც ვუყვარდი თუ არა? — ეს არ ვიცი, მაგრამ მაშინ ნამდვილად დარწმუნებული ვიყავი ალალმართლად მეფიცებოდა სიყვარულს, უფრო მეტიც, ჩვენი დაცილება სიკვდილსაც არ ძალუძსო, მეუბნებოდა.

იმ ხანებში ბოლო კურსის სტუდენტი ვიყავი, მალე იურიდიული ფაკულტეტი უნდა დამემთავრებინა. საკუთარ ახალგაზრდულ ენერგიაში დარწმუნებულს, საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე მოღვაწეობისადმი დაუძლეველი მისწრაფება შქონდა, ამიტომ დიადი მომავლის ცხოველმყოფელი იმედები დღენიადაგ განუყრელად თან მახლდნენ. ამ ოცნებებით აღფრთოვანებული და ბედნიერი სიყვარულით ფრთებშესხმული, თავს არ ვზოგავდი, დღე და ღამ გატაცებით ვწერდი სადიპლომო შრომას, რომელიც ჩემი ვარდისფერი ძომავლისა და კეთილდღეობის საფუძველს წარმოადგენდა.

მაგრამ...

ოჰ, ეს „მაგრამ"!..

ახლაც კი, როცა უკვე ყველაფერი დაკარგულია, იავარქმნილი და სამუდამოდ წარსულშია დარჩენილი უკან დაუბრუნებლად, მომაგონდება თუ არა ის გულის მომკვლელი მომენტები, სულიერი ტკივილისაგან ლამის შეეკივლო; მათ ჩემთვის დღესაც არ დაუკარგავთ თავისი სიძწვავე.

მაგრამ სჯობია ჯერ თხრობა განვაგრძო.

ერთხელ, შორეულ ჩრდილოეთში ყოფნისას, როცა სტუდენტურ ოთახში განმარტოებით ჩაკეტილი, დისერტაციის უკანასკნელ თავებს ვწერდი, წერილი მივიღე, რომელშიც გასაოცარი გამანადგურებელი გულახდილობით ეწერა, — ჩვენი ადრინდელი სიყვარული საშწუხარო გაუგებრობად ჩათვალე და შეეცადე დამივიწყო, რადგან მალე სხვისი მეუღლე გავხდებიო. „ვიცი, ეს ძალიან არ გესიამოვნება, მაგრამ რას იზამ! ამქვეყნად რა არ ხდება და, ვინ უწყის, რა არ მოხდება", — ასეთი დამცინავი, უფრო სწორად, გულქვა, დემონური სიტყვებით ამთავრებდა თავის წერილს.

წერილი პირველად აინუნშიც არ ჩავაგდე; მეგონა, ხუმრობს ჩემი ანცი გოგო, სიყვარულში მცდის-მეთქი. მაგრამ შემდგომ ჯერ ძალიან გამიკვირდა, მერე გავბრაზდი და ბოლოს სახტად დავრჩი, როცა ერთიმეორეზე გაგზავნილ წერილსა და დეპეშებზე პასუხი არ მაღირსა. ამ უკიდურეს საბედისწერო დუმილის დროს, როცა სასოწარკვეთილებისაგან გონდაკარგულმა არ ვიცოდი რა მეღონა, სრულიად მოულოდნელად მოკლე დეპეშა მივიღე — „გავთხოვდი". მხოლოდ ეს ერთადერთი სიტყვა ეწერა, სხვა არაფერი. ისიც, ალბათ, იმიტომ გამოეგზავნა, რომ მომავალში თავი არ შემებეზრებინა წერილებით და დეპეშებით.

თავდაპირველად ამ დეპეშას მაინცდამაინც დიდად არ უმოქმედია, რადგან თითქოს მის მოლოდინში ვიყავი, მაგრამ შემდგომ თანდათან ვამჩნევდი, რომ მთელი არსებით თითქოს გავქვავდი, რაღაც სულიერმა აპატიამ დამრია ხელი, ხოლო ზოგჯერ, განსაკუთრებით ღამღამობით, როცა ძილი არ მეკარებოდა და გონებას ავადმყოფური ზმანება ეუფლებოდა, მეჩვენებოდა, აგერ-აგერ შევიშლები-მეთქი. წინათ, როცა ეჭვი სრულიად არ მეპარებოდა მის მიმართ, ღრმად დარწმუნებული ვიყავი ვუყვარდი, მწამდა — ჩემი იყო და მარად ჩემი იქნებოდა, თითქოს ისე ძლიერ არ მიყვარდა, როგორც ახლა, როცა მიღალატა და უკვე სამუდამოდ გამომეცალა ხელიდან. ასეა ყოველთვის: საყვარელი არსება ორმაგად საყვარელი გეჩვენება მისი დაკარგვის შემდეგ.

ამ ერიდან თავადაც არ მესმოდა რა მემართებოდა. ჩემ გარეთ და შიგნით ისეთ სიცარიელეს ვგრძნობდი, თითქოს ჯერ ტვინი ამოეღოთ თავის ქალადან, მერე სადღაც უდაბნოში გადაეტყორცნე — წადი საშინელი ამაოების წყვდიადში იხეტიალე უმიზნოდ, უაზროდ, უიდეალოდ, ისე, რომ იქიდან თავის დახსნის არავითარი იმედი არ გაგაჩნდესო. მხოლოდ იმას ვგრძნობდი მკვეთრად და ნათლად, რომ გულში წვეთ-წვეთად მიგროვდებოდა შურისძიების შხამი, რომელიც ერთ დღეს ჭნდა გადმომენთხია იმ ვერაგ ქალზე, ასე შეუბრალებლად ფეხქვეშ რომ გათელა არა მარტო ჩემი უწმინდესი იდეალები და ჩემი გრძნობები, არამედ ადამიანური ღირსებებიც, ყველა ჩემი იმედები, მთელი ჩემი მომავალი. ვიდრე ის მიღალატებდა, სულითა და ფიქრით მაღალ მწვერვალებზე მონავარდე არწივი მეგონა ჩემი თავი, ახლა კი — ფრთებდამტვრეულ, მიწაზე მღოღავ საბრალო ბეღურას ვგავდი. ნუთუ შემეძლო მისთვის ამის პატიება? არა. და მე გადავწყვიტე, ისევე ვერაგულად გადამეხადა სამაგიერო, როგორც თვითონ მომექცა.

„მე ხომ უკვე მკვდარი ვარ, დაე ნურც ის იცოცხლებს“, — გავიფიქრე, ყველაფერი მივატოვე — უმაღლესიც, დისერტაციაც, და აქეთკენ გამოვეშურე, რომ ჩემი განზრახვა სისრულეში მომეყვანა. მაგრამ აქ ისეთი თავზარდამცემი ამბავი დამიხვდა, აზრადაც არ გაჭიტარებია მსგავსი რამ — მოღალატე ქალი თავის მდიდარ მეუღლესთან ერთად საზღვარგარეთ წასულიყო.

სასოწარკვეთილებამ ისევ დამრია ხელი, იგი შურისძიების გრძნობაზე ნაკლებ არ მაწვალებდა. საკუთარი უძლურების შეგნებას სიგიჟემდე მივყავდი. იყო წუთები, როცა მზად ვიყავი თვითმკვლელობა ჩამედინა, რათა ერთხელ და სამუდამოდ გავნთავისუფლებულიყავი აუტანელი სულიერი წამებისაგან. მაგრამ აქვე ჩემს თავს ვეუბნებოდი, ეს სულმოკლეობა იქნება-მეთქი. გარდა ამისა, ვიმედოვნებდი, ადრე თუ გვიან შევხვდებოდი მას და ჩემი ჯოჯოხეთური შეურაცხყოფისათვის ანგარიშს გავუსწორებდი. ასეთმა სულიერმა განწყობილებამ კვლავ მიმიყვანა იმ უკიდურესობამდე, როცა ადამიანი ყველას და ყველაფრის მიმართ განურჩეველი და უგრძნობი ხდება. მხოლოდ ძლიერ ბიძგებს შეეძლოთ ჩემი გამოყვანა ამ მდგომარეობიდან. ეს ბიძგები სხვაგან რომ ვერსად ვპოვე, გარყვნილი ქალებისა და მათთან ღამის მთეველი ძმაკაცების წრეში ვიგემე, და ცხოვრების ლიამპალმა ნელნელა დამიწყო წოვა, მე კი ვერაფერს ვგრძნობდი, ხოლო როცა შევამჩნიე, ძალზე დაგვიანებული იყო; უკვე დაკარგული კაცი მეთქმოდა.

ამგვარად, იურიდიული ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი, დიადი მომავლის იმედებით აღსავსე, ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობის ოცნებებით ფრთებშესხმული, — ამჟამად სასამართლო საკრებულოების ჭუჭყიან მაგიდასთან მჯდარ წვრილფეხა შუაკაცად, სხვადასხვა თხოვნებისა და საკინკლაო განცხადებების ბწერლად, სხვადასხვა ბნელი საქმეების დამცველად, მუდამ მთვრალ და ძილშორეულ „აბლაკატად“ გადავიქეცი, ამ საზიზღარი ტიპებისათვის დამახასიათებელი ყველა უარყოფითი ნიშნით. თანაც მთელი ტრაგედია იმაში მდგომარეობდა, რომ ღრმად ვგრძნობდი ჩემს დაცემას და შეცნობილი მქონდა მთელი მისი საშინელება, მაგრამ ამ ჭანჭრობიდან ამოსვლა არ შემეძლო, უმწეო ვიყავი; იმ ჭაობს უკვე ძალიან ღრმად ჩავეთრიე. ამიტომ ერთხელ და სამუდამოდ ჩემს თავს ჯვარი დავუსვი, სამუდამოდ დავრწმუნდი, ჩემი აღდგომა აღარ შეიძლებოდა.

და აი ერთხელ — ჩვენი ურთიერთობის გაწყვეტის ხუთი წლის შემდეგ — ქუჩაში, სრულიად შემთხვევით, პირისპირ შევეფეთე ჩემს ყოფილ შეყვარებულს. ეს ისე მოულოდნელი იყო, მეხდაცემულივით გავშეშდი ადგილზე და გაოცებისაგან უნებურად ტაში შემოვკარი. ეტყობა, ამ შეხვედრამ ისიც ძალიან შეაშინა, და როგორც შევნიშნე, პირველად ნამდვილად ვერ მიცნო. დიახ, არც გაემტყუნებოდა! მისი ყოფილი ნაცნობი მუდამ სუფთად ჩაცმული, განიერ მხარბეჭიანი, მკერდგაშლილი, 24—25 წლის ლამაზი სტუდენტი იყო, ახლა კი მის წინ იდგა ჭუჭყისაგან გაზინთულ, გაცვეთილ პალტოში გახვეული წვერმოშვებული, მკერდჩავარდნილი კუზიანი კაცი, რომელსაც პროფესიული ლოთის წითელი ცხვირი ჰქონდა და პირიდან იაფფასიანი ღვინის, თამბაქოსა და ნიორის მყრალი სუნი ამოსდიოდა. ის კი სულაც არ გამოცვლილიყო. ანდა, თუ რაიმე ცვლილება ეტყობოდა, იმას კიდევ უფრო დაემშვენებინა, იმდენად, რომ ვერც ერთი მხატვარი ვერ მონახავდა ამ ქალში რაიმე ნაკლს. უწინდელი გამხდარი ანცი გოგონას ნაცვლად ჩემს წინ იდგა მაღალი, მშვენიერი მდიდარი ქალი, რომელსაც გულმშვიდად ვერ ჩაუვლიდით გვერდით. ახლა ტანსაცმელს არ იკითხავთ!.. ასე ბრწყინვალედ მე ვერასოდეს ჩავაცმევდი და ვერც ამდენი ბრილიანტებით დავუმშვენებდი ყურებს, მკერდს, თითებს, მაშინაც კი, თუგინდ ახდენილიყო დიად მომავალზე დამყარებული ჩემი იმედები, რომელიც ერთ დროს გამაჩნდა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ იგი ეკუთვნოდა ისეთ კაცს, რომელიც არაფერს იშურებდა მისთვის.

განცვიფრებასთან ერთად უნებურად რაღაც მოკრძალება და პატივისცემა ვიგრძენი ამ თვალისდამატყვევებელი ფუფუნებისადმი და ჩემი თავი ისეთი ჩია, საბრალო და საზიზღარი არასოდეს მომჩვენებია, როგორც იმ დროს.

ერთ წუთას სულის სიღრმეში მძაფრი შურისძიების გრძნობას დავუწყე ქექვა, რომელიც ერთ დროს გულს მიღრღნიდა და, მისი გავლენის ქვეშ მყოფს, თავი ამაყად და ხელუხლებლად მიმაჩნდა, მაგრამ იქ ვერაფერი ვნახე: სულის სიღრმეში სრული სიცარიელე სუფევდა.

და როცა აღელვებულმა, ენის ბორძიკით, ბოდიშის მოხდის კილოთი შევახსენე, ვინ ვიყავი, პირველად თითქოს გაოცდა, აღშფოთდა კიდეც, მერე უცბად ხმაამოღებლად გამცილდა, ეტლში ჩაჯდა და წავიდა, უთუოდ იმ ფიქრით შეშინებული, ვაითუ უკან დამედევნოსო.

ის დღე გავატარე ღვინის დუქანში, საიდანაც საღამოს ძალით დამბითხოვეს.

მასთან შეხვედრის დღიდან, თუ ნასვამი არ ვიყავი, რაც ძალიან იშვიათად ხდებოდა, და ასე თუ ისე, შემეძლო ღრმად დაფიქრება, ჩემი მდგომარეობა ძალიან მტანჯავდა. რა იყო ის მთავარი მიზეზი, რომელმაც ამ დღეში ჩამაგდო?.. მართლაც და, ხომ არ შეიძლებოდა ამის ბიზეზად უიღბლო სიყვარულის აღიარება?.. სიყვარულის, რომელსაც შეუძლია ადამიანის დროებით და არა სამუდამოდ დაღუპვა. ბიზეზად მხოლოდ სიყვარულის აღიარება სისულელე იყო.

ნამდვილი მიზეზი სხვაგან იყო საძიებელი. და მე დავიწყე ბისი ძებნა შეყვარებული ქალიშვილის ღალატის იქით, — თავად ჩემში, რადგან ყოვლად შეუძლებელი იყო ესოდენ დაცემა, ამისი ჩანასახი ჩემს გულში რომ არ ყოფილიყო და მას ხელი არ შეეწყო. მაგრამ რა იყო ეს ჩანასახი? საიდან გაჩნდა ჩემში? რა ასაზრდოებდა?.. ამ მხრივ გულმოდგინედ ჩატარებული ძიებანი ვინ იცის რამდენ ხანს დამტანჯავდნენ, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებდი, რომ სრულიად შემთხვევით მივაგენი ამ ჩანასახის ნამდვილ ახსნა-განმარტებას ერთ მოთხრობაში, რომელმაც ერთბაშად გამოამზეურა ჩემი დღემდე დაფარული შინაგანი სამყარო.

ის მოთხრობა სიყვარულის თემაზე დაწერილი იტალიური ნაწარმოებია, სათაურით „შურისძიება“.

აქვე მომყავს მოთხრობის სიტყვასიტყვითი თარგმანი მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, მოთხრობის მთავარი გმირის ჩემთან დაპირისპირების მიზნით, სათაურად ვარქმევ „ის“.

ი ს

1

ვენეციაში, დოჟების, არხებისა და მხატვრების ამ გასაოცარი ქალაქის ერთ უძველეს არისტოკრატულ ოჯახში ცხოვრობდა ერთადერთი ქალიშვილი, ლამაზი ჯულიეტა. იგი ისეთი მშვენიერი იყო, რომ მიწიერ არსებას არ ჰგავდა, ზღვის აქაფებულ ტალღებიდან გამოსული ფერია გეგონებოდათ: თვალები იტალიის მოწმენდილი ცასავით ცისფერი ჰქონდა, მზერა გაბადრული და უსაზღვრო, ადრიატიკის ჰორიზონტი-

ვით. ოქროსფერი თმის კულულები თავსამკაულად ადგა იმის პატარა, ლამაზ თავს. როცა ილიმებოდა (მერე და, როდის არ ილიმებოდა!), მშვენიერ ლოყებზე ფოსოები უჩნდებოდა, ხოლო პატარა პირში, ვარდისფერ ტუჩებს შუა, სპილოს ძვალივით თეთრი და მაგარი მომცრო კბილები უბრწყინავდა. სახე მუდამ გაბადრული ჰქონდა გაზაფხულის მზესავით, დღენიადაგ მოუსვენარი იყო ფარვანასავით, ან მხიარული ანცი ბავშვივით. ორი ფერი უყვარდა, წითელი და თეთრი; მის ტანსაცმელს და მკერდს ყოველთვის ამშვენებდა ეს ორი ფერი — მიხაკის და შროშანის. თვითონაც ამ ყვავილებივით ნორჩი და ტკბილსურნელოვანი გახლდათ, გააჩნია როგორი ფერის ტანსაცმელი ეცვა — მიხაკივით წითელი თუ შროშანივით თეთრი.

2

ერთხელ, გაზაფხულის საუცხოო საღამოს, როგორიც მხოლოდ ადრიატიკის ნაპირებზე იცის, როცა ჯულიეტა მამისეული სასახლის ზემო სართულში მდებარე თავის პატარა მზიან ოთახში თეთრ ტანსაცმელს ისწორებდა, მკერდზე მიხაკის წითელ ყვავილს იბნევდა და პონტე-რიალტოს დიდ არხში სასეირნოდ ემზადებოდა, გარედან მუსიკის ხმა შემოესმა, ვიღაცის მარჯვე ხელი ვიოლინოზე სერენადას უკრავდა. ჯულიეტამ ღია ფანჯარასთან მიირბინა და ქუჩაში გაიხედა.

მუსიკოსი ყმაწვილი ბიჭი აღმოჩნდა, ფართოფარფლებიანი იტალიური ქუდი ეხურა. მელოდია, რომელსაც იგი უკრავდა, ისეთი ტკბილი იყო და მომჯადოებელი, რომ ჯულიეტას ეგონა მისი გულის სიმებზე უკრავდნენ. მექანიკურად წელამდე გაჰყო თავი ფანჯარაში და გულისყურით უსმენდა. მთელი არსებით სმენად გადაქცეულიყო, ხარბად აღიქვამდა მუსიკალურ ბგერებს და თან ტანის მოძრაობას აყოლებდა მომჯადოებელ მელოდიას, რომელსაც ყრმა-მუსიკოსის ქანანი ვიოლინოს სიმებზე აყრიდა ისე, გეგონებოდათ, მოჩუხჩუხე წყაროდან გამჭვირვალე ნაკადულები მოდუდუნებენო. ჯულიეტა სუნთქვას იკავებდა, რომ არც ერთი მუსიკალური ბგერა არ გამორჩენოდა. აღტაცების ცრემლები ბრილიანტებივით უბრწყინავდა თვალებში.

ბოლოს დადუმდა ვიოლინოს ხმები, და მასთან ერთად თითქოს მთელი ბუნებაც გაირინდა.

— ვინა ხარ? ამოიხედე მაღლა, ჰაბუკო მაესტრო! — ზემოდან გადმოსძახა ჯულიეტამ.

ყრმა-მუსიკოსმა ზევით აიხედა.

— მოიხადე ქუდი, სახეზე მინდა შეგხედო.

ყრმა არტისტმა მოიხადა ფართოფარფლებიანი ქუდი, თავის გაქნევით გრძელი თმები შუბლიდან უკან გადაიყარა და ისევ აიხედა. რა საუცხოო თვალები ჰქონდა! მაგრამ სევდიანი და მოკრძალებული, როგორც ის მელოდია, რომელსაც სულ ცოტა ხნის წინ უკრავდა! რაოდენ მიმზიდველი სახე!.. მაგრამ ფერწასული და დაღვრემილი, როგორც მარმარილოს ქანდაკება... რა მაღალი და ამაყი შუბლი!.. მაგრამ არა ამქვეყნიური სიდიადით გაბრწყინებული!

— რა გქვია? — გადმოსძახა ჯულიეტამ.

— ანტონიო.

— ანტონიო, კიდევ დაუკარი ჩემთვის!

ისევ აყღერდა სიმები წინანდელზე უფრო მომაჯადოებლად და საუცხოოდ.

ჯულიეტა კვლავ ფანჯარასთან იყო გარინდებული, და სრულიადაც არ უგრძვნია დაღლა, ვიდრე სიმებმა ბოლომდე არ შეასრულეს მელოდია და არ დადუმდნენ.

— ანტონიო, მითხარი, ვინა ხარ?

— მე ობოლი ვარ.

— ვინ იყო მამაშენი?

— უბრალო მუშა, მანქანის ქვეშ ჩავარდა და მოკვდა.

— დედა?

— დედაც მამაჩემს მიჰყვა.

— და არა გყავს?

— სულ არავინ გამაჩნია.

— გინდა, შენი და ვიქნები, შენ კი ჩემი ძმა? შამას ვთხოვ, ჩვენს სახლში იცხოვრო, რომ მუდამ მაგისთანა სიმღერები დაუკრა ჩემთვის. მამა კეთილია, ძალიან ვუყვარვარ და რაც უნდა ვთხოვო, უარს არ მეტყვის. ამიერიდან ერთი ლუკმა პურისათვის ქუჩა-ქუჩა აღარ იხეტიალებ. ჩვენ ძალიან მდიდრები ვართ.

— მე ძალიან ამაყი ვარ, სინიორა.

— ჩემი სახელი ჯულიეტაა.

— მე ძალიან ამაყი ვარ, მშვენიერო ჯულიეტა.

— ჩვენ არ წაგართმევთ მაგ სიამაყეს, ანტონიო.

— წამართმევთ. როცა ერთ ლუკმა პურს მიბოძებთ.

ჯულიეტამ ფეხებთან ერთი დრამი დაუგდო და გაბრაზებული მოშორდა ფანჯარას. მაგრამ მაშინვე ისევ უკან დაბრუნდა.

— ანტონიო, — დაუძახა მან.

ყრმა-მუსიკოსი, რომელმაც დრამი აიღო და ის იყო უნდა წასულიყო, გაჩერდა და ზევით აიხედა.

— ივაზე მაინც დამთანხმდი, რომ ყოველ დღეს, სწორედ ამ დროს მოხვალ და ფანჯრის ქვეშ დაუკრავ ხოლმე.

— მოვალ, მაგრამ ამისთვის არა, — თქვა ანტონიომ და ნაჩუქარი დრამი დაანახვა.

— აბა რისთვის?

— სილამაზისათვის.

ამჯერად ყრმა-მუსიკოსის ფეხებთან ლამაზი ქალიშვილის მკერდიდან მოწყვეტილი წითელი მიხაკი დაეცა.

3

და მიდიოდა.

ყოველ საღამოს, როცა მზის უკანასკნელი სხივები პატრიცის სასახლის ფანჯრებზე ელექტრონის ნათურებს ანთებდნენ, ჯულიეტა ტკბებოდა სულ ახალი და ახალი მომჯადოებელი მელოდიებით.

— ანტონიო, ნუ ხარ ესოდენ ამაყი! ამოდი მაღლა და ჩემს ოთახში დაუკარი.

ანტონიო უსიტყვოდ ავიდა ჯულიეტას ოთახში.

— ანტონიო, ნუ ხარ ესოდენ ამაყი! მოდი ერთად გავისეირნოთ ზღვაზე.

მთვარის რძისფერი სინათლით მოფენილ მშვიდ ზღვაზე ნელ-ნელა მიცურავდა ნავი და ღამის ღრმა სიმშვიდეში მომხიბლავი ხმები გაისმოდა. მთელი ბუნება, თითქოს სმენად გადაქცეულიყო, ყურს უგდებდა ამ ხმებს, რომლებიც ფრთებშესხმული ლაღად და მსუბუქად ბიფრინავდნენ ყოველ მხრივ, სადღაც ზღვის მშვიდ ტალღებში და გამქვირვალე ჰაერში იკარგებოდნენ.

— ანტონიო, ნუთუ ისეთი ამაყი ხარ, რომ ნებას არ მომცემ შენს მუხლზე თავი დავდო?

— ო!.. — ოხრავს ყრმა-არტისტი, თვალები ანთებია, მისი ქალანი ახალი შემართებით უკრავს მელოდიას, სულ ახალი ბიუანსებით გამოსცემს ხმებს.

ჯულიეტა ოქროსკულულებიან თავს ანტონიოს მუხლებზე აყრდნობს, გაოცებული ხავერდოვანი თვალებით, სიყვარულითა და ბედნიერებით აღსავსე, ქვემოდან შესცქერის ყრმა მუსიკოსის ამაყად შეპართულ სახეს. ნავში, მთვარის რძისფერ სინათლეზე, თოვლივით ბრწყინავს ქალიშვილი თეთრი მსუბუქი სამოსით, რომელშიაც იგი ზღვის აქაფებულ ტალღებიდან ამოსულ ფერიას ჰგავს.

ყრმა-არტისტი ზემოდან დაჰყურებს მის მუხლებზე გარინდებულ სიზმარისეულ მშვენიერებას და თვითონაც უკვირს, ჩემი ხელის მოძრაობით ვიოლინო ესოდენ დამატყვევებლად რატომ ჟღერსო!..

— ანტონიო, ნუთუ ისეთი ამაყი ხარ, რომ ერთხელ მაინც არ მაკოცებ?

ვიოლინო ჩუმდება. ყრმა-არტისტი ნელა იხრება ფერიას სახესთან, მათი თმები ერთდება, და საკოცნელად ათრთოლებული ტუჩები ბხურვალედ ეწებებიან ერთმანეთს.

— ანტონიო, ანტონიო...

— ჯულიეტა, ჯულიეტა...

4

ერთ საღამოს, დათქმულ საათზე, დიდებული სასახლის მაღალი ფანჯრის ქვეშ მდგარი ყრმა-მუსიკოსი ამაოდ ცდილობდა თავისი ვიოლინოს მომჯადოებელი ხმებით ფერიას გამოძახებას.

ფანჯარა დახურული იყო.

მაგრამ ყრმა-მუსიკოსი მაინც იმედს არ იწყვეტდა. ვიოლინო ხან მბრძანებლურად უხმობდა ქალიშვილს, ხან მუდარით, ხან მოთქმა-ოხვრით და თან სასოწარკვეთილებით ქვითინებდა.

ფანჯარა ისევ დახურული იყო.

მაგრამ, როცა სასოწარკვეთილებისაგან აქვითინებული ვიოლინო უკანასკნელ ხმებს გამოსცემდა, ფანჯრის ერთი დარაბა ნახევრად გაიღო, ჯერ ერთმა დრამმა დაიწკრიალა მიწაზე, მერე მას მოჰყვა ქაღალდის პატარა ნაჭერი. იგი ჰაერში ფრიალ-ფრიალით წამოვიდა და ყრმა-მუსიკოსის ფეხებთან ფარფატით დაეცა.

ანტონიომ ქაღალდი აიღო და წაიკითხა. „მ ა მ ა მ მ ი თ ხ რ ა, მ ე და შ ე ნ ს შ ო რ ი ს უ ძ ი რ ო უ ფ ს კ რ უ ლ ი ა: ჩ ვ ე ნ მ ა ღ ლ ა ვ ა რ თ, შ ე ნ — ძ ი რ ს. ნ უ ღ ა რ მ ო ხ ვ ა ლ! დ ა მ ი ვ ი წ უ ე!“..

ერთხანს ელდანაკრავივით იდგა ერთ ადგილზე გაქვავებული, მერე ძალუმად შეკრთა, გამეხებული მზერა სტყორცნა დიდებულის მაღალ სასახლეს, მრისხანებისაგან გაშმაგებულს უნდოდა ქაღალდი ნაკუწებად ექცია, მაგრამ თავი შეიკავა, საგულდაგულოდ დაკეცა, უბეში ჩაიდო, ფეხის კვრით შორს მოისროლა მიწაზე დაგდებული დრამი, დაკოდილ მკერდზე მაგრად მიიხუტა ვიოლინო და შეურაცხყოფის ნაღველში გახვეული ამაყი გულით იქაურობას გაშორდა.

იმ დღიდან ვენეციის ქუჩებში აღარავის უნახავს ესოდენ ნაცნობი ყრმა მევიოლინე.

5

გაიარა წლებმა.

ისევ ვენეცია.

ქალაქის მთელი პრესა იუწყებოდა სახელგანთქმული მევიოლინის ანტონიო ბონვინის ჩამოსვლას, რომელიც თავის ერთადერთ კონცერტს დიდ თეატრში გამართავდა. ამ ბოლო დროს არა მარტო იტალიური, არამედ მთელი ევროპული და ამერიკული პრესაც ალაპარაკდა მუსიკალური ხელოვნების ამ ახალი ბრწყინვალე ვარსკვლავის გამოჩენაზე.

კონცერტის საღამოს თეატრში ნემსი არ ჩავარდებოდა; აქ თავი მოეყარა ქალაქის მთელ ბრწყინვალე საზოგადოებას.

ანტონიო ბონვინი... ყველა მოუთმენლად მოელოდა მის გამოსვლას. და აჰა, ბოლოს გამოჩნდა კიდეც — მთელმა დარბაზმა თითქოს ერთხმად ამოიოხრა.

ნუთუ ეს ის ანტონიო არ არის, ყველა რომ იცნობდა ვენეციაში? ის ყრმა-მუსიკოსი, რომელიც შუა საუკუნეების ტრუბადურივით დაეხეტებოდა ქალაქიდან ქალაქში, ქუჩიდან ქუჩაში, და ფანჯრებთან სერენადებს უკრავდა?

დიახ! დიახ! ის არის, სწორედ ის! აი ნაცნობი შელოდიებიც, მაგრამ ამჯერად უკვე უჩვეულოდ დახვეწილი! — თავის თავში დარწმუნებუ-

ლი, გულჩახვეული, ზოგჯერ ზეშთაგონებული აღმაფრენით სავსე, ზოგჯერ საბრძოლო სულისკვეთებით გაჟღენთილი.

და რამდენადაც მომაჯადოებელია ეს ხმები, იმდენად ლამაზია და მომხიბვლელი თვითონ ანტონიო ბონვინი — წარმოსადეგი, ცეცხლოვანი თვალებით, ანთებული სახით, მაღალი მშვენიერი შუბლით, ყურებთან ჩამოშლილი მბზინავი თმებით — ეს ყველაფერი ჰარმონიულად ესიტყვება მისი ვიოლინოს ჯადოსნურ ხმებს.

როცა უკანასკნელი ბგერები სამარისებურ სიჩუმეში კანკალით მიწყდა და არტისტი სცენიდან გავიდა, მთელი დარბაზი ერთ წამს გაირინდა, ღრმა მომჯადოებელ ოცნებაში წასულივით, მერე უეცრად, თითქოს ვიღაც, მკვდრეთით აღდგაო, მთელი დარბაზი შეირხა და ერთხმად დაიქუხა:

— ბონვინი... ანტონიო ბონვინი... ანტონიო. აი გენიოსი... ახალი პაგანინი...

ყველამ კულისებს მიაშურა, რომ თვითეულ მათგანს უშუალოდ ჩამოერთმია ხელი ახალგაზრდა გენიოსისათვის, და აღტაცებულს, მადლობა ეთქვა იმ სიამოვნებისათვის, რაც მისმა მუსიკამ მიანიჭა.

ახალგაზრდა მაესტრო დაღლილია, თავის ოთახში იკეტება და უცხადებს, რომ არავის მიღება არ შეუძლია.

მაგრამ აი მასთან შედიან და ეუბნებიან, ერთ ქალს უნდა თქვენი ნახვაო.

— არა, არ შემიძლია მიღება.

— დაჟინებით თხოულობს. სახელოვანი კაცის მეუღლეა.

და უსახელებენ რომელიღაც არისტოკრატიული გვარის მაღალთანამდებობის პირს, რომელიც ათასობით ადამიანთა ბედს განაგებს.

— დაე შემოვიდეს.

ოთახში სწრაფი ნაბიჯით შედის რაფაელის მადონასავით ლამაზი და დედოფალივით მორთულ-მოკაზმული ახალგაზრდა ქალი და ჭაბუკი გენიოსის ფეხებთან ემხობა.

— ანტონიო, შენი ჯულიეტა ვარ, შენ მე მიყვარხარ...

ჭაბუკმა მაესტრომ მღელვარებით წამოაყენა მშვენიერი ასული. თვალები უჩვეულოდ უბრწყინავდა, ისევე, როცა ჯერ კიდევ საბრალო ყრმა-მუსიკოსმა გამეხებული მზერა სტყორცნა დიდებულის მაღალ სასახლეს, საიდანაც მედიდურად დაითხოვეს, და როგორც დაბალი წოდების წარმომადგენელი, შეურაცხყვეს.

მუსიკოსმა ხმის ამოუღებლად ჩაიყო ხელი უბეში, ამოიღო წიგნაკი, იქიდან — საგულდაგულოდ შენახული ქაღალდის ნაჭერი და ჯულიეტას გაუწოდა.

ჯულიეტამ გამოართვა, დახედა და ჭარხალივით გაწითლდა.

— წაიკითხეთ, სინიორა, წაიკითხეთ, — უთხრა ანტონიომ, რაკი დაინახა, ქალი უკიდურესად აღელვებული იყო და ვერ ბედავდა თვალებში შეხედვას.

ჯულიეტამ ოდნავ გასაგონი ხმით წაიკითხა თავისი წერილი:

„მამამ მითხრა, მე და შენს შორის უძირო უფსკრულია: ჩვენ მაღლა ვართ, შენ — ძირს. ნუღარ მოხვალ! დამივიწყე“.

ანტონიომ წერილი უკანვე ჩამოართვა ქალს აკანკალებული ხელიდან, ისევ მზრუნველობით დაკეცა, უბის წიგნაკში შეინახა და უთხრა:

— ეჰ, სინიორა! მომიტევეთ, რომ მაშინ ყურად არ ვიღე თქვენი სიტყვები. თუმცა იმ დღიდან აღარ მოვსულვარ, მაგრამ მუდამ მახსოვხართ, თორემ ამ წერილს ასეთი მზრუნველობით არ შევინახავდი. იგი ისეთი უძვირფასესი განძია, რომელიც თქვენ მომიძღვენით და თვალისჩინივით გავუფრთხილდები, სანამ სული მიდგას, რადგან თუ არა ეს წერილი, ახლა ის არ ვიქნებოდი, რაც ამჟამად ვარ. მე არ დამივიწყებიხართ, დიახ, არა! მაგრამ, როგორც ჩანს, თქვენ ვერ ხედავთ იმ უფსკრულს, რომელიც ჩვენ ერთმანეთს გვაშორებს. თქვენ მაღლა იყავით, მე კი — ძირს. ეს უფლებას გაძლევდათ ათვალწუნებით გეცქირათ ქვემოთ. მაგრამ მხედველობიდან გამოგრჩათ, რომ ქვემოთ მყოფნი ზოგჯერ ფრთებს შეისხამენ ხოლმე, მაღლა მიფრინავენ და შურისძიების გრძნობით არიან აღსავსენი. იმ დღიდან, როცა თქვენ თქვენი მდგომარეობის სიმაღლიდან აგდებულად დამითხოვეთ მე, ქვემოთ მყოფი, დავიფიცე შური მეძია და ამისათვის სხვა გზა ვერ მოვნახე, თუ არა მხოლოდ ამაღლება, ამაღლება, სულ მაღლა და მაღლა სრბოლა იქამდე, ვიდრე თავისი ხელთქმნილი სასახლის სიმაღლიდან გადმომზირალი კმაყოფილება, რომელიც მედიდურად დამცქეროდა, ჩემი ხელთუქმნელ სიმაღლის წინაშე მუხლთ არ მოიდრეკდა. დღეს მიზანს მივაღწიე, მაგრამ ხელახლა რომ შევიყვარო ის ქალი, რომელსაც სხვისი ფაქიზი გრძნობებით თავის შექცევა, ზემოთასა და ქვემოთას შორის გარჩევა სჩვევია, ოჰ, სინიორა, ჩემს ძალას აღემატება და არ შემიძლია.

ასე მთავრდება იტალიური მოთხრობა.

მასშიც მიჯნურობის ამბავია აღწერილი, მხოლოდ ჩემი სიყვარულის სრულიად საპირისპირო შინაარსით: აქ მე ვარ — ბურჟუაზიული გარემოს ნაშიერი, ფუფუნებით ცხოვრებას მიჩვეული, განებივრებული, უნებისყოფო, სუსტხერხემლიანი ინტელიგენტი, რომელიც ბედისწერის პირველ შემოკვრაზე მიწაზე ეცემა და ფეხზე წამოდგომის ძალა აღარ შესწევს. იქ კი — ის, მშრომელი ხალხის კალთაში გაძოზრდილი, უსახლკარო, თავისი კლასის რკინისებური ნებისყოფით აღჭურვილი მოხეტიალე ჭაბუკი; ამ ნებისყოფით გულმიცემული, ჩემსავით კი არ მოიღუნა წელში პირველი შემოკვრისაგან, არამედ, პირიქით, ვინ იცის, რამდენი დაბრკოლება გადალახა, ვიდრე თავბრუდამხვევ მწვერვალს მიაღწევდა, რათა იქიდან გადმოენთხია შურისძიების შხამი იმათზე, ვინც აბუჩად აიგდო, ფეხით გათელა მისი კაცური ღირსებები, ვინც შეურაცხჰყო და დაამცირა იგი.

მხოლოდ ამაღლება, დაუღალავად სულ მაღლა და მაღლა სრბოლა!.. აი ეს არის დიადი გზა ნამდვილი შურისძიებისა!..

მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი შურისძიებისათვის მე უსუსური აღმოვჩნდი.

ამის შემდეგ აბა როგორ არ ვიწამო ჩემი კლასის ბედისწერა, რომელიც შეჩვენებულ-დაწყევლილია და თანდათან ჩემსავით დამპალ ხეზე აღმოცენებულ იმ ხორცმეტს ემსგავსება, რომელიც უნდა გადაშენდეს, უკვალოდ გაჰქრეს და ადგილი დაუთმოს იმას, რაც ქვემოდან მოდის და სულ მაღლა-მაღლა მიიწევს?..

ახალი ძათამი

1

. . . .

დიახ, ქალბატონებო და ბატონებო, განქორწინების პრობლემა დღეს ჩვენში ახალ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს. მისი გადაჭრა ჩვენ ეხლა გვიხდება. მაშინ, როცა განათლებულ ევროპაში რა ხანია, გადაწყვეტილია და თითქმის ანაქრონიზმად არის გადაქცეული მასზე მსჯელობა. ყოველგვარი სიძველისა, უმოძრაობისა და ცთომილების მტერმა და იმავე დროს ახალი დიადი მოწინავე იდეების მქადაგებელმა ევროპამ პირველმა შეიცნო კაცობრიობის ცხოვრებაზე რელიგიის შემბოჭავი გავლენის სიმძიმე, მოიშორა ეს უღელი და მის ნანგრევებზე სინდისისა და გონების თავისუფლების ალამი აფრიალა.

მართლაც, ქალბატონებო და ბატონებო, საშინელია, როცა ფიქრობთ, რა შემაძრწუნებელ ძალმომრეობას იჩენს რელიგია ადამიანის სინდისსა და გონების თავისუფლებაზე. ეს სამწუხარო ფიქრები და მწარე სინამდვილე მიკარნახებს გაცნობოთ, რომ ჩვენ — მეცხრამეტე საუკუნის შვილები ჯერ კიდევ შორს არ წავსულვართ ძველი და შუა საუკუნეებიდან, ე. ი. იმ დროიდან, როცა კაცობრიობას ხელმძღვანელობდა — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — რელიგია და ყველაფერი მისი სახელით კეთდებოდა, როცა კაცობრიობის სამოქალაქო, მორალური და სოციალური ცხოვრების პირობები და მოვლენები სასტიკ რელიგიურ კონტროლს ექვემდებარებოდა და ამ გზიდან იოტისოდენა გადახვევა სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ. ახლა, თქვენ

თვითონ განსაჯეთ, ქალბატონებო და ბატონებო, ამჟამად ჩვენც იმავე მდგომარეობაში არ ვიმყოფებით? ჩვენ, მართალია, ეგრეთ წოდებულ ახალ, განათლებულ საუკუნეში ვცხოვრობთ, მაგრამ თვითეული ჩვენგანი ნუთუ არა გრძნობს სინდისის და გონების თავისუფლების შეზღუდვის მძიმე და აუტანელ უღელს, იმ უღელს, რომლის სიმძიმეს ყოველი ადამიანი გრძნობდა ძველ და შუა საუკუნეებში?.. ქალბატონებო და ბატონებო, კმარა, რაც რელიგიურ ერივით ვიცხოვრეთ, ამიერიდან ვიცხოვროთ როგორც სამოქალაქო ერმა. ბოლოს და ბოლოს, გვრცხვენოდეს განათლებული ევროპისაგან. ჩვენ ყველაფერი იმისგან მივიღეთ, მაგრამ რაც არსებითია — სინდისისა და გონების თავისუფლება — იმას კი გავურბივართ, თითქოს გვეშინია კიდეც. მკაცრად გასაკიცხია ის ერი, რომელიც თავის თავს რელიგიის ტყვეობაში განგებ ტოვებს. რომელი ერი წასულა წინ რელიგიის წყალობით, რომ ჩვენ წავიდეთ? — არც ერთი! რელიგიაა კაცობრიობისათვის გაჩენილი და არა კაცობრიობა რელიგიისათვის. მე ვამთავრებ ჩემს სიტყვას, ქალბატონო და ბატონებო, და გეკითხებით, განა ნეტარ სახსენებელი არ იქნება ის ადამიანი, ვინც პირველი მოიშორებს რელიგიის ძალმომრეობას ცოლ-ქმრობის საკითხში, რადგან, ვიმეორებ, დღეს ჩვენთვის ყველაზე უპირველესი არსებითი საკითხი ცოლ-ქმრობის საკითხია. ეს პრობლემა ცდუნების ქვად ქცეულა და მოითხოვს სასწრაფო გადაჭრას...

მასხარიანცმა თავისი ზეშთაგონებული სიტყვა დაამთავრა. პატარა ოთახში თავმოყრილმა, მოწინავე იდეებისა, ახალი აზრების მოყვარულმა ქალიშვილმა და ბატონებმა აღტაცებით დაუკრეს ტაში ორატორს, რომელიც ნახევარი საათის განმავლობაში დიდი ენთუზიაზმით ენამზეობდა.

— ბრავო ... გაგიმარჯოს ... კარგა ილაპარაკა! — ტაშის გრიალში შიგადაშიგ გაისმოდა შეძახილები.

მასხარიანცი რამდენიმე წუთს თავს უკრავდა ხან ერთს, ხან მეორეს, მესამეს, მეოთხეს და არ იცოდა, როგორ გაეხატა თავისი სამადლობელი.

ოვაცია და შეძახილები დამთავრდა, და ვინაიდან უკვე ღამის თორმეტი საათი იყო, ამიტომ ყველა წამოდგა, სახლის პატრონს ხელი ჩამოართვეს, გარეთ გავიდნენ, პალტოები ჩაიცვეს, ქუდები დაიხურეს და სახლებისაკენ გასწიეს.

2

მასხარიანცმა პალტოს ყველა ღილი შეიკრა, ხელთათმანები ჩაიცვა და სწრაფი ნაბიჯით გაშორდა. გზაში სულ იმაზე ფიქრობდა, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე, ტაშითა და შეძახილებით რომ დააჯილდოეს ახალი იდეების ქადაგებისათვის. იგი თავს პედნიერად გრძნობდა, რადგან თუ ხალხის „მასა“ ყურადღებას არ აქცევდა იმის ახალ იდეებს იმიტომ, რომ, მისი აზრით, ჯერ ამის გაგების უნარი არ შესწევდა, იყვნენ, მართალია, მცირერიცხოვანი ნათელი აზრისა და კულტურისაკენ მიდრეკილების მქონე ქალიშვილები და ახალგაზრდები — ახალი ძალები, რომელნიც გულით და სულით თანაუგრძნობდნენ და აღფრთოვანებული მიჰყვებოდნენ.

იგი ფიქრობდა თავისი ახალი იდეების სიტყვიერი ქადაგება ქაღალდზე გადაეტანა — პუბლიცისტური ან პატარა რომანის სახით, მართალია, დარწმუნებული იყო, რომ „ჩამორჩენილები“, „ბნელეთის მოციქულნი“ და „რუტინიორები“ ბატებივით აყიყინდებოდნენ და მასაც საშინელ დევნას დაუწყებდნენ, მაგრამ ეს სულაც არ აშინებდა, პირიქით, იმის შეგნება, რომ იგი „მსხვერპლად“ უნდა შეეწიროს თავის უწმინდეს მოწოდებას, უფრო მეტ ენთუზიაზმსა და ენერგიას მატებდა თავის მიერ არჩეულ ეკლიან გზაზე წინსვლისათვის, რადგან ისტორია ბევრ მაგალითს აძლევდა, რომ ყველა საუკუნესა და ყველა ერში, საერთოდ, ახალი აზრის, ახალი იდეების „ინიციატორი“ მუდამ დევნილი ყოფილა, წარმოიდგინეთ, სიკვდილიც კი ღირსებიათ — გალილეი, ჰუსი, ლუთერი და სხვა და სხვა.

სხვანაირად არც შეიძლება იყოს — საზოგადოება, რომელშიც ბუნებრივად ღრმა ფესვები აქვს გადგმული ძველ ადათ-წესებს, ახალი იდეების გაგების უნარს მოკლებულია, ვერ შეიცნობს და ვერ აითვისებს, ამიტომ მუდამ მტრულად არის განწყობილი და სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებს ახალ იდეებს, ისინი დამასახიჩრებელ მოვლენად მიაჩნია.

ეს ყველაფერი კარგად ესმოდა მასხარიანცს, და ისეთ ფსიქოლოგიურ ჭეშმარიტებად მიაჩნდა, რაც მრავალჯერ დაუდასტურებია კაცობრიობის წინსვლის მთელ ისტორიას. მაშასადამე, დაე, მაგ უძრავმა, დამპალმა, დამყაყებულმა საზოგადოებამ, როგორც უნდა ისე აწამოს ჭეშმარიტებისა და განათლებისათვის, დაე, ერთ-ერთი მსხვერპლი

თვითონაც გახდეს, — ამას მასხარიანცი მხიარულად გადაიტანს, გადაიტანს სიამოვნებით, იმ ბედნიერების იმედით, რომ საბოლოოდ დადგება დრო, როცა მომავალი თაობები გაუგებენ მას, გაჭიცხავენ თავიანთ წინაპართა საზარელ საქციელს, ხოლო მასხარიანცის მანამდე უპატრონოდ მიტოვებულ საფლავზე დიდების ძეგლს აღმართავენ...

3

მასხარიანცი ისე იყო გართული ამ ფიქრებით, რომ ვერც კი გაიგო, როგორ გაიარა კარგა დიდი გზა და სასტუმროს მიაღწია, საღაც ყოველ საღამოს დადიოდა ჩვეულებისამებრ. კიბე აიარა, გრძელ დერეფანში გავიდა, ერთ-ერთი ოთახის ღია კარი შეაღო და შევიდა.

ოთახში, მაგიდაზე, ლამპა ენთო. სარეცელზე ხუჭუჭა, ქერა თმიანი ახალგაზრდა ლამაზმანი გაუხდელი იწვა, ხელები თავქვეშ ამოედო.

ქალს ეძინა.

მასხარიანცმა კარი მიხურა, ფეხაკრებით მიუახლოვდა, დაიღუნა და ტუჩებში აკოცა.

ქალს უეცრად გამოეღვიძა და ზეზე წამოხტა.

მასხარიანცმა ვაიცინა.

— გრიშა! — შესძახა ქალმა.

— მარა! — ხუმრობით გამოეპასუხა მასხარიანცი.

— სხვა მეგონა, შემეშინდა.

— რატომ აუცილებლად სხვა და მე არა?

— ისე დაიგვიანე, მეგონა, ამაღამ ჩემთან აღარ მოხვიდოდი. დიდხანს გელოდე. მერე ჩამძინებია.

— რატომ? განა სხვა დროს ასე გვიან არ მოესულვარ?

— მოსულხარ, მაგრამ... რა ვიცი, მეგონა, ამაღამ აღარ მოხვიდოდი. სად იყავი?

— კრებაზე.

— ყოველთვის კრება და კრება... მაგარი პატრიოტი ხარ. გაიასტან, გაიასტან.... ჰა?

და მარამ ურცხვად, დამცინავი ღიმილით გადახედა მასხარიანცს.

— ეჰ, მარა! ნუთუ შენც ტუტუცებს მადარებ? — სერიოზული, მაგრამ ოდნავ კიცხვით შეეკითხა მასხარიანცი...

— კმარა, კმარა, ჩემი ნუ გრცხვენია...

— Вот еще! შენი რად უნდა მრცხვენოდეს?

— ჰა, ჰა, ჰა... — წვრილი, მაგრამ ნაღალი ხმით გადაიკისკისა მარამ. მასხარიანცის ლამაზ თავს ორივე ხელი მოხვია და რამდენჯერმე მაგრად ჩაკოცნა.

მასხარიანცმა პალტო გაიხადა, ხელთათმანები წაიძრო და იქვე სკამზე ჩამოჯდა.

— აბა, მარა, რას ვაკეთებთ — წარმოთქვა მან, — მე ძალიან მშია.

— დავურეკო?

— დაურეკე.

მარამ ერთი ნაბიჯი გადადგა ზარისკენ, მაგრამ უეცრად შედგა და მასხარიანცისკენ შემობრუნდა.

— გრიშა, — სერიოზული ტონით უთხრა ქალმა, — სახელდახელოდ ათი მანეთი უნდა მომცე.

— რად გინდა?

— ზამთრის ახალი ქუდები მოუტანიათ, უნდა ვიყიდო, თორემ ჩემი ქუდისნაირს ახლა აღარავინ იხურავს.

— კარგი, მოგცემ. მალე დაურეკე, ძალიან მშია.

მარა სიხარულისაგან ადგილზე შეხტა, შემოტრიალდა, მერე ზართან გაჩნდა, მაგრამ უეცრად შეჩერდა, ისევ მოტრიალდა, ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა მასხარიანცს, ზარზე დაიხარა და ელექტრონის ღილაკს თითი დააჭირა.

უმალ გამოცხადდა მსახური.

— მე შეკუკვეთო, თუ შენ? — მიმართა მარამ მასხარიანცს.

— შეუკვეთე, რაც გინდა, მხოლოდ მალე მოიტანონ.

მარამ საუკეთესო ვახშამი შეუკვეთა.

მსახური გავიდა.

ნახევარი საათის შემდეგ მასხარიანცი და მარა მაგიდას უსხდნენ და ვახშამს შეექცეოდნენ. მაგიდაზე იდგა ერთი ბოთლი რჩეული კახური ღვინო და ერთი ბოთლი შამპანური. პირველი მასხარიანცისთვის, მეორე — მარასთვის.

4

ღამის სამი საათი იქნებოდა, მასხარიანცი ეტლით რომ დაბრუნდა შინ. თუმცა კახურ ღვინოს, ცოტა არ იყოს, თავისი გავლენა მოეხდინა, მაგრამ გონება არ დაეკარგა, ყველაფერი ახსოვდა. მსუბუქი ნაბიჯებით

გაიარა გრძელი აივანი, თავის დაქირავებულ ბინის ერთი ოთახის კართან შეჩერდა და მაგრად დააბრახუნა.

სიცივისაგან მოკუნტულმა ღამისპერანგიანმა მეუღლემ კარი გაუღო.

მასხარიანცმა სახეზეც კი არ შეხედა თამარს და შიგნით შევიდა.

ცოლმა კარი დაკეტა.

— ასე რად დაიგვიანე, გრიგორ? — გაუბედავად შეეკითხა იგი.

მასხარიანცი თავის ოთახში შესვლას აპირებდა. უეცრად შეჩერდა და ანთებული თვალებით მიუბრუნდა თამარს.

— რა შენი საქმეა? — დაუყვირა მან, — მე შენს საქმეებში ვერევი? არა, მაშ შენ რაღას მთხოვ ანგარიშს?.. ათასჯერ და ასი ათასჯერ მითქვამს, ჩვენ ერთმანეთის პირად საკითხებში არ უნდა ვერეოდეთ-მეთქი... გეკითხები, მითქვამს თუ არა?.. ჰა, მითქვამს თუ არა?..

სიცივისა და შიშისაგან აცახცახებული საბრალო ქალი კართან მოკუნტული იდგა, თავის აღებას და ქმრისათვის თვალის გასწორებას ვერ ბედავდა.

— ცოლ-ქმარი ვართ, ვალდებული ხარ მითხრა, — განაგრძო მასხარიანცმა, — რაც შენ გეხება, მე უნდა ვიცოდე, რაც მე მეხება, შენ უნდა იცოდე. ასეა თუ არა? მაგრამ იცი, ასე ვინ იქცევა? — ასე მხოლოდ ხარაზ გევოს და მეჯღანე მათოს სჩვევიათ თავიანთ ლამაზ ქალებთან ურთიერთობაში. მაგრამ ცოტათი ნასწავლი, ინტელიგენტი კაცისათვის ეგ დიდიხანია ანაქრონიზმად იქცა. კულტურა ახლა ცოლ-ქმარს შორის სრულ თავისუფლებას მოითხოვს: ქმარი ვალდებული არ არის ანგარიში ჩააბაროს ცოლს, ცოლმა — ქმარს, თუ ამას არ მოისურვებენ. განათლებულ ევროპაში დიდიხანია დაიმსხვრა ის დაწყევლილი ბორკილები, რითაც ცოლ-ქმარი მთელ თავის სიცოცხლეში ერთმანეთზე იყვნენ გადაბმული, თუგინდ ეგ სიცოცხლე შხამი ყოფილიყო და სიკვდილის გარდა, არავის უფლება არ ჰქონდა მაგ ბორკილების დამსხვრევისა. ჩვენში კვლავ არსებობს ეგ ბორკილები, ეგ საზარელი ჯაჭვი ჩვენი უვიცობის, ჩვენი სიბნელის, ჩამორჩენილობის გამო. საკითხავია, ამ ჯაჭვს ვინა სჭედს? — საშინელია, — რელიგია, ეკლესია... მაგრამ პირველი მე ვიქნები, რომ დავამსხვრევ მაგ ჯაჭვს და წყვდიადში ჩაფლულ ჩვენს მორწმუნეებს დავანახვებ, რომ რელიგია, ეკლესია არაფერს წარმოადგენენ, რომ თავისუფალი ადამიანისათვის არის მხოლოდ ერთი რამ და ეგ ერთი რამ სინდისისა და გონების თავისუფლებაა...

იგი გავიდა თავის ოთახში, მაგრამ იმავე წუთს უკან დაბრუნდა.

— უკანასკნელად გაფრთხილებ, — შეჰყვირა მან, — ამიერიდან აღარ ვაპედო შეკითხვით მომმართო, რატომ დავიგვიანე, სად ვიყავი და მისთანები. აპ ბოლო დროს პირდაპირ აქა მაქვს მომდგარი (კისერთან მიიტანა ხელი). კმარა რაც ხარაზ გეეოსა და მეჯლანე ბათოსის როლი მათაპაში, ამიერიდან ეს აღარ გამეორდება... მე არ შემიძლია დავიხშო (მან ხმას უფრო აუწია) სინდისისა და გონების თავისუფლება, გესმის, თუ არა. აღარ შემიძლია: ეგ საშინელი სიბილწეა და ჩემს მსჯელობას, ჩემს იდეებს, ჩემს სულსა და გულს ეწინააღმდეგება.

მან ცოლისკენ ერთი ნაბიჯი გადადგა და ხმადაბლა განაგრძო:

— მე შენთან ვეღარ ვიცხოვრებ, გესმის?.. ერთად მცხოვრებლებმა ერთმანეთს უნდა გაუგონ, მაგრამ თუ ვერ გაუგებენ, მაშ რატომ უნდა იცხოვრონ ერთად? ერთი ეს მითხარი, როდემდის უნდა ვილაპარაკოთ მხოლოდ საჭმელზე, სარეცხზე, ბავშვის ტანსაცმელზე და სხვა ასეთ სისულელეებზე? ქვეყნის პოლიტიკურად გათვითცნობიერებულ საზოგადოებას ათასნაირი საკითხები, მოვლენები, იდეები აღელვებენ; ეკონომიური, პოლიტიკური და სოციალური ახალახალი აზრები უტრიალებენ. ჩემი ტვინიც მოითხოვს მათი მონაწილე გავხდე, მაგრამ განა შენ შეგიძლია ჩემთან ერთად იფიქრო, ლოგიკურად იმსჯელო? შენ, რომელსაც ჩემი ცხოვრების ამხანაგი გქვია და ჩემთან ერთად ცხოვრობ?.. და ბოლოს, რა გინდა ჩემგან? რატომ არ მონახავ ისეთ კაცს, რომელიც შენ გაგიგებდა და შენც მას გაუგებდი?.. წადი, თავისუფლებას განიჭებ, ოღონდ მეც გამათავისუფლე... მე ხომ ჩემს ცხოვრებას არ მოვიშხამავ მხოლოდ იმიტომ, რომ ეკლესიაში მღვდელს ვუთხარი, — „პატრონი ვარ-მეთქი“... ასე მხოლოდ ნამდვილი სულელები იქცევიან და ისინი, რომლებმაც არ იციან, რას ნიშნავს სინდისისა და აზრის თავისუფლება, — მე კი, ბოდიში, მაგისთანებს არ ვეკუთვნი, დიახ, არა და არა...

იგი გაჩუმდა, თავისი ოთახისკენ გასწია, მაგრამ უეცრად ისევ შეჩერდა და ცოლს მიუბრუნდა.

— ხვალიდან აქ აღარა გნახო, — მკაცრად გააფრთხილა. — წადი, სადაც გენებოს, მე შენთან ცხოვრება აღარ შემიძლია. გესმის, ხვალიდან?

ცოლი შეკრთა და მუდარებით აღსავსე თვალით შეხედა.

— გრიგორ... — ჩურჩულით აღმოხდა აცახცახებულ ქალს.

— მე შენ აღარა გცნობ, დღეიდან ჩვენ უცხონი ვართ ერთმანეთისათვის. — და მასხარიანცმა თავის ოთახის კარის საკეტს ჩაავლო ხელი.

— გრიგორ, — გაიმეორა ქალმა, — ნეტა რისთვის?

— რისთვის, — შეღრიალა მასხარიანცმა, — იმისთვის, რომ უვიცი ხარ, აი რისთვის!

— მასწავლე, რაც გენებოს, მხოლოდ... ნუ გამაგდებ...

— მასწავლე! მე გასწავლო?.. მე ისეთი ცოლი არ მინდა, რომელმაც ახლა უნდა ისწავლოს.

— მაშ შენ დღემდე არ იცოდი, რომ უსწავლელი ვიყავი? რატომ მითხოვე?

ცოლის ასეთმა გაბედულებამ უფრო აღაშფოთა მასხარიანცი.

— მაშინ სხვა დრო იყო, ეხლა სხვა დროა, — დაიღრიალა მან. — მაშინ ჩემი შეხედულება ცოლ-ქმრობის შესახებ სხვა იყო, ეხლა სხვაა. ახალი ცხოვრება მუდამ ახალ მოთხოვნილებებს უყენებს ადამიანს! ამ შემთხვევაში, მე ჩამორჩენილ და გაყინულთა რიცხვს არ ვეკუთვნი, რომ მუდამ ძველ ზურნა-დუდუკზე ვიცეკვო... ხვალ, უკანასკნელად გეუბნები, ხვალ... თუ გინდა შვილიც თან წაიყვანე.

— გრიგორ, გრიგორ... — მუდარით შებღავლა ცოლმა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ქმრისკენ, მაგრამ მასხარიანცი თავის ოთახში შევიდა და კარი მაგრად მიუჯახუნა.

თამარმა კართან ჩაიმუხლა, ხელები სახეზე მიიფარა და საშინელმა, შეკავებულმა ქვითინმა კინაღამ დაახრჩო.

პატარა, სამი წლის გოგონა, რომელსაც მამის ყვირილზე გამოღვიძებოდა, სასთუმალზე წამომჯდარიყო, არაფერი გაეგებოდა და მდუმარე მოწმე იყო ოთახში მის მშობლებს შორის ატეხილი დავისა. მერე დაინახა, რომ დედა ქვითინებდა და თვითონაც ტირილი დაიწყო.

მეორე დღეს ღამის მატარებლის მესამე კლასის ერთ-ერთი ვაგონის კუთხეში მოკუნტული იჯდა შალში გახვეული თამარი. მის მუხლებზე თავი დაედო პატარა გოგონას და ტკბილად ეძინა. იმათ მაღლა, ვიწრო თაროზე სხვების ბარგთან ერთად, თეთრად შეხვეული ფუთა იყო, რომელშიც ეწყო ის, რაც ქალს თავისი ქმრის ოჯახიდან წამოეღო.

იგი მიდიოდა შ... თავის მამის ოჯახში.

ბევრი ტირილისაგან თვალები დასიებოდა, დასწითლებოდა, გული სავსე ჰქონდა დარდით, მზად იყო ყოველ წამს აქვითინებულიყო. ნეტა რა დააშავა, რა ცოდვა ჩაიდინა, რომ ასე უღმერთოდ მოექცა გრიგორი და ოჯახიდან გამოაგდო?.. ხომ ზედმიწევნით უყვარდა მეუღლე, ხომ გულით და სულით ერთგული იყო თავისი ოჯახისა, მაშ რაღა უნდოდა გრიგორს, რაღას მოითხოვდა მისგან?!

„რასაკვირველია, მას სხვა უყვარს, ამიტომ გამომაგდო", — ფიქრობდა თამარი, თუმცა თან ცდილობდა სხვაგვარი ახსნა-განმარტება მიეცა მეუღლის საქციელისათვის, მაგრამ რამდენადაც ბევრს ფიქრობდა ამაზე, ბოლოს მაინც პასუხს იმ ეჭვიანობაში ეძებდა, დღენიადაგ ტვინს რომ უხვრეტდა...

1889.

ერთ-ერთი სევდიანი დღე

პატრიკიანმა ერთი დაიხედა თავის ძველ ტანისამოსზე, წვერ-მოღრეცილ ფეხსაცმელზე, ოთახიდან გამოვიდა, კარებს კლიტე დაადო, გასაღები ჯიბეში ჩაიდო, ეზო გაიარა და სახლის პატრონის წითლად შეღებილ ფართო აივანზე ავიდა, რომელიც სისუფთავისაგან სარკესავით ლაპლაპებდა დილის მზის სხივებზე. იმწუთას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, როგორიც პირუტყვებს აქვთ ხოლმე, როცა ისინი სასაკლაოზე მიჰყავთ. პატრიკიანი გამხდარი ჭაბუკი იყო, ძალზე კეთილი თვალები ჰქონდა და მოკრძალებული მიხრა-მოხრა. სამზარეულოდან გამოსულ მსახურს მორიდებით სთხოვა სახლის პატრონისათვის გადაეცა, რომ მისი ნახვა სურდა. მსახური ჩოხის კალთების ფრიალით გაეშურა თხოვნის შესასრულებლად. პატრიკიანმა თვალი გააყოლა მაღალყელიან საცვეთებს, რომლითაც უხმაუროდ მიაბიჯებდა მსახური იატაკზე. მერე ღია ფანჯრიდან სამზარეულოში შეიხედა, თოვლივით თეთრარახჩინიანი, თეთრებში გამოწყობილი მზარეული მარდად ბდღვნიდა ახალდაკლულ ვარიებს, თან რაღაც საცეკვაოს უსტვენდა. მსახური გამოვიდა და ხელით ანიშნა. პატრიკიანმა ფრთხილად გაიარა აივანზე, კარებთან ფეხები გაიწმინდა, მსახურის წინამძღოლობით სასადილო ოთახში შევიდა, იქიდან კი — სხვადასხვა მცენარეების წალკოტში ჩაფლულ ფართო და მაღალჭერიან დარბაზში. ჩაუარა სკამების, სავარძლების, მაგიდების, დივნების რიგს და სახლის პატრონის კაბინეტთან შეჩერდა. მსახურმა კარი გააღო, მობრძანდითო, უთხრა და თვითონ უკან გამობრუნდა.

ყველაზე დიდი ფანატიკოსი ღვთის მორწმუნე, ალბათ, ისე მოკრძალებით არ შევიდოდა წმინდა სალოცავში, როგორც პატრიკიანმა სახლის პატრონის კაბინეტში შეაბიჯა. სახლის პატრონის — დავით ფომიჩ

ალამიროვის გვარი სადარბაზო შესასვლელის კარებზე სპილენძის ფირ-ფიტაზე იყო ამოტვიფრული, იგი 40 — 45 წლის კარგად ჩასხმული კაცი გახლდათ. სახე ბრინჯაოსაგან ჩამოსხმულს მიუგავდა, შეჭაღარავებუ-ლი უხეში თმა და მოკლე წამახვილებული წვერი ჰქონდა. იგი საწერ მაგიდას უჯდა, რომელზეც წიგნები, ქაღალდები, საშრობი, კალმები და სხვა წვრილი ნივთები ეწყო, და წერით იყო გართული.

— ბოდიში, ახლავე — თქვა მან, წამით პენსნეს ზევიდან გადმოხედა მომსვლელს, და წერა განაგრძო.

პატრიკიანი როგორც შემოვიდა, ისევე გაქვავებული იდგა.

— გთხოვთ, დაბრძანდეთ, — ისე უთხრა სახლისპატრონმა, რომ წე-რა არ შეუწყვეტია.

პატრიკიანი ნელა ჩამოჯდა სკამზე, ქუდი მუხლებზე დაიდო, ირგვ-ლივ თვალი მოავლო. ოთახი დარბაზივით მდიდრულად იყო მორთული, მაგრამ ამ მორთულობაში საცნაური იმდენად გემოვნება როდი იყო, რამდენადაც მისწრაფება ფაფუკი ნივთებისადმი.

საითაც მიიხედა პატრიკიანმა, ყველგან ნოხები და ხავერდის პატა-რა ბალიშები მოხვდა თვალში. აქვე იდგა ერთი კარგა გრძელი მინის-კარიანი კარადა, რომლის თაროზე ჯარისკაცებივით ჩამწკრივებულიყვ-ნენ ოქროს ყდაში ჩასმული წიგნები. პატრიკიანის აზრით, ეს კარადაც უთუოდ ოთახის აუცილებელი სამკაული გახლდათ, თორემ, დავით ფომიჩს აბა სად ჰქონდა იმდენი დრო, ასეთი სქელტანიანი წიგნები გა-დაეკითხა, რადგან კერძო და საზოგადოებრივ საქმეებით იყო გადა-ტვირთული. იგი ფაბრიკანტი გახლდათ, ქალაქის სათათბიროს მონაწი-ლე, ქალაქის რამდენიმე კომისიისა და ბანკის გამგეობის წევრი, კლუ-ბის მამასახლისი, სკოლისა და ეკლესიის მზრუნველი და ვინ მოთვლის, კიდევ ვინ...

ისარგებლა შემთხვევით, რომ სახლის პატრონი თავდაღუნული გა-ნაგრძობდა წერას და პატრიკიანმა მოინდომა კარადაში დალაგებული წიგნები გადაეთვალიერებინა, მაგრამ ადგილიდან დაძვრა ვერ გაებედა. მიაშტერდა სახლის პატრონს, რომელიც ხელის სწრაფი მოძრაობით შეუსვენებლივ წერდა, თან ტუჩის მარცხენა კიდეს იკვნეტდა.

— აბა, რას გვიბრძანებთ? — მიმართა დავით ფომიჩმა, წერა რომ დაამთავრა და შავი მარმარილოს საშრობი რამდენიმეჯერ დაადო ქა-ღალდს.

— მე... მომიტევეთ, — დინჯად წარმოთქვა პატრიკიანმა მოძალე-

ბული მღელვარებით. — გუშინ საღამოს კიდევ შეგიხსენებიათ ქირის გადახდა... მე მოვედი გთხოვოთ, რამდენიმე დღე ისევ მადროვოთ.

სახლის პატრონმა პენსნე მოიხსნა, ნიდაყვებით დაეყრდნო მაგიდას და სერიოზულად, გულმოდგინედ გადახედა.

— ძმაო, პატივცემულო, — უთხრა, — მგონი შვიდი დღეა, რაც გელოდები, არა?

პატრიკიანმა თვალები დახარა.

— დიახ, მაგრამ... გთხოვთ, კიდევ რამდენიმე დღე... თუ შეიძლება.

— საქმე ერთი-ორი დღე როდია,—შეაწყვეტინა დავით ფომიჩმა,— რამდენიმე დღე რა არის განა, შეიძლება მოცდა, რატომაც არა? ხედავთ, ვიცდი კიდეც. მაგრამ უბედურება ის არის, რამდენიმე დღის შემდეგ, როცა იძულებული ვიქნები გაგახსენოთ თქვენი ვალი, ვაითუ მოხვიდეთ ისევ, როგორც ახლა მოსულხართ და კვლავ მთხოვოთ, კიდევ რამდენიმე დღე მაცალეთო. ეს გამოცდილებით ვიცი, ამას ბოლო არ უჩანს. ამიტომ ერთხელ და სამუდამოდ კანონად დავთქვი, — ვინაიდან მე თავად პუნქტუალური კაცი ვარ, — როცა რომელიმე მდგმური წესიერად და თავის დროზე არ იხდის ქირას, წინადადებას ვაძლევ დაცალოს ოთახი. თქვენც გეუბნებით, თუ ქირის გადახდა არ შეგიძლიათ, დამიცალეთ ოთახი. მეც ყოველთვიური გადასახადები მაქვს, თუ ჩემი კრედიტორი, ბანკი, არ მიცდის, მე რაღად უნდა გელოდოთ?

დავით ფომიჩი გადამწყვეტი კილოთი ლაპარაკობდა და ალმაცერად უმზერდა პატრიკიანს ალმურმოდებულ საბრალო სახე'ში.

— კარგად მესმის თქვენი მდგომარეობა, — მხრები აიჩეჩა პატრიკიანმა, თუმცა საკსებით არ გაეგებოდა მის რამდენიმე მანეთს რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ასეთი მდიდარი კაცისათვის. — მაგრამ გთხოვთ, შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში. სოფლის მასწავლებელი ვიყავი, როგორც მოგეხსენებათ, მთავრობამ სკოლები დაგვიკეტა, ამჟამად უმუშევარი ვარ. სწავლის გაგრძელებლად საზღვარგარეთ წასვლა გადავწყვიტე, რამდენიმე ქველმოქმედს მივმართე, უარი მითხრეს. მერე ერთ ვაჭართან დავიწყე ნოქრობა. მინდოდა ეკონომია გამეწია, იმდენი თანხა დამეგროვებინა, რომ ჩემი მიზნისათვის მიმელწია, მაგრამ ავად გავხდი და რაც შემონახული ორიოდე გროში მქონდა, დამეხარჯა. ამჟამად არაფერი გამაჩნია, დღეები ისე გადის, მშიერი ვარ...

— რა საჭიროა, მაგას რომ მიყვებით? — შეაწყვეტინა დავით ფო-

მიჩმა და ბრინჯაოსფერ სახეზე უკმაყოფილებისა და თანაგრძნობის აშკარა ნიშნები დააჩნდა. — თქვენ განათლებული ახალგაზრდა ხართ და თავმოყვარეობა ნებას არ უნდა გაძლევდეთ სხვას უამბოთ პირადი გასაჭირი. მეც ათასგვარი დარდი და ჯავრი მაქვს, დავჯდე და თქვენ გიამბოთ? ეგ ლამაზი არ არის, არა და არა. ამბობთ, რამდენიმე დღე გაცალოთ? — კეთილი, მოვიცდი, მაგრამ მაინც არ მესმის, როგორ მოახერხებთ ქირის გადახდას, როცა თავად აღიარეთ არაფერი გამაჩნია და თანაც უმუშევარი ვარო?

პატრიკიანმა თვალები დახარა, ქუდი უნებლიეთ ერთი მუხლიდან მეორეზე გადაიტანა.

— მე... იცით?.. მე... ორი წიგნი მაქვს დაბეჭდილი, — ისე აღელვებით წარმოთქვა, თითქოს რცხვენოდა, ასეთი საქმე რომ ჰქონდა გაკეთებული, — დიდი ხანია, წიგნის მაღაზიაში არ შევსულვარ, დღეს გავივლი, ალბათ, იმდენი მაინც იქნება გაყიდული, რომ...

— მწერალი ხართ? — შეეკითხა სახლისპატრონი და გაოცებით მიაჩერდა აღელვებულ თვალებში.

— არ შეიძლება ითქვას მწერალი ვარ-მეთქი, მაგრამ... ვწერ.

— რასა წერთ?

პატრიკიანმა თავი ასწია და დარცხვენილი ღიმილით შეხედა.

— ვინ იცის?.. ვწერ, რა!..

— ეგ თქვენი საქმეა, — თქვა სახლის პატრონმა და წამოდგა. პატრიკიანიც წამოდგა, — თქვენი მეზობელი ქვრივი ქალი, დანებსა და კლიტეებს რომ ჰყიდის ეზოს კარებთან, ათი წელია ცხოვრობს, და არ მახსოვს, დროზე არ გადაეხადოს ბინის და მაგიდის ქირა, ძიუხედავად იმისა, რომ მარტოდმარტო ინახავს იმოდენა ოჯახს. ჰო, ამით ის მინდა ვთქვა, რომ...

მაგრამ სათქმელი არ დაამთავრა, ეტყობა, რაღაც მოაგონდა და საწერ მაგიდაზე დალაგებული ქაღალდების ქექვა დაიწყო.

— ასეა თუ ისე, ნახვამდის, — უგულისყუროდ უთხრა პატრიკიანს, — რამდენიმე დღესაც მოვიცდი.

პატრიკიანი გამოვიდა. სასადილო ოთახში გავლისას სახლის პატრონის ცოლი დაინახა, — მაღალი, ძალიან გამხდარი და მეტისმეტად უსახური ქალი, იგი მაგიდების ბოლოში იდგა ვერცხლის ჩაიდანთან და ჩაის ჭიქებს რეცხავდა. იქვე იმისი პატარა ბიჭი იდგა, — თეთრ პურზე თაფლსა და კარაქს უსვამდა, ხარბად ილუკმებოდა.

— ოთახის ქირა მოიტანეთ? — მიაძახა ქალბატონმა პატრიკიანს, როცა ეს უკანასკნელი ხმის ამოუღებლად აივნისკენ მიდიოდა.

პატრიკიანი შეჩერდა.

— არა, ქალბატონო.

— რატომ?

— ბატონს ვთხოვე და თანხმობა მივიღე, რომ რამდენიმე დღეს მადროვებს.

— რამდენიმე დღეს, რამდენიმე დღეს! — უხეშად გაიმეორა ქალბატონმა და ჩაი დაუსხა ბიჭუნას, — აღარ ვიცით, როდის დამთავრდება თქვენი რამდენიმე დღე! ძალიან ბოროტად სარგებლობთ იმისი კეთილი ბუნებით. ასე არ შეიძლება. ან თავის დროზე უნდა გადაიხადოთ, ანდა, თუ არ შეგიძლიათ ქირის გადახდა, ოთახი დაცალოთ.

— ქალბატონო, — თავის მართლება სცადა პატრიკიანმა, მაგრამ ქალბატონმა უფრო უხეშად შეაწყვეტინა.

— გაგონებაც არ მინდა.

და გაბოროტებული ბუფეტისკენ შებრუნდა.

პატრიკიანმა ტუჩს კბილი დააჭირა და გარეთ გავიდა.

აივანზე სახლის პატრონის ასულს მოჰკრა თვალი. დედასავით შეუხედავ ქალიშვილს, იგი თავის აღმზრდელ ფრანგ ქალთან ერთად ხელიხელგაყრილი დასეირნობდა, შემოდგომის საამური მზით განათებულ აივანზე დამტვრეული ფრანგულით მასლაათობდა. როგორც სჩვეოდათ ქალებს, ორივე რატრატებდა და ერთმანეთს ლაპარაკს არ აცდიდნენ.

პატრიკიანმა სცადა გრძელ აივანზე ისე გაეცლო, რომ მათ არ შეემჩნიათ შარვლის გაცვეთილი ტოტები. სამზარეულოსთან გავლისას ცხვირში საამური სუნი ეცა, შემწვარ-მოხრაკულის მადის მომგვრელი შიშინი, რამაც მშიერ კაცს ნაწლავები აუწვა. დილის საუზმისთვის ეტყობა, ვარიკებს სწვავდნენ.

პატრიკიანი ეზოში ჩავიდა და ქუჩისაკენ მიმავალმა ეზოს კარებთან ჩასუქებული მეზობელი დედაკაცი დაინახა, ტაბურეტზე იჯდა გრძელ და ვიწრო მაგიდასთან, ზედ მწყობრად ელაგა ყოველნაირი დანები, მაკრატლები, კლიტეები, გაზები, ჩაქუჩები, სადგისები, საფულეები და სხვადასხვა წვრილმანები. „ბედნიერი ქალი! თვითონ ცხოვრობს, თავის დიდ ოჯახსაც ინახავს, სახლის ქირასაც ყოველთვიურად წესიერად იხდის და სახლის პატრონის გაკიცხვასა და ფურთხს

არ იმსახურებს“, — გაიფიქრა პატრიკიანმა და ებრაელის დედაკაცს გვერდით ჩავლისას მიესალმა.

— ზაჩემ შეღოდნია ნე ბრალი გაღიაჩეი ვადი! (დღეს ცხელი წყალი რატომ არ წაიღეთ), — შესძახა ებრაელის ქალმა ებრაელებისათვის დამახასიათებელი გამოთქმით.

პატრიკიანი წამით შეჩერდა, ჩასუქებულ დედაკაცს კეთილ სახეში შეხედა.

— იმიტომ, რომ შაქარი გამითავდა! — მიუგო გულგრილად.

ებრაელის დედაკაცს გაუკვირდა და ტაბურეტიდან წამოდგა.

— განა ეს საქმეა! — წამოიძახა მან. — შაქარსაც მოგცემდით, ვითომ რა დიდი ამბავია!

— არა, ისედაც თქვენგან ძალიან დავალებული ვარ.

— რის დავალება, რას ამბობთ? ყოველ დღე ცხელი წყლის მოცემა რა დიდი საქმეა? თუ შაქარი არა გქონდათ, გეთქვათ, შაქარსაც არ დაგიჭერდით.

— არაფერია, ერთი დღე ჩაი თუ არ დავლიე, არ მოვკვდები, — მიუგო პატრიკიანმა, ისევ გულგრილად გაიცინა და საჩქაროდ გავიდა ქუჩაში. ეს ქუჩა ქალაქის ერთ-ერთ სავაჭრო შუკას წარმოადგენდა — აქ მუდამ ხმამაღალი ლაპარაკი გაისმოდა, ჩოჩქოლი იყო. ათი საათი სრულდებოდა, მზის სხივებს ღამისეული თრთვილი გაედნო სახურავებზე, ღარებიდან წყალი დიოდა და ქუჩებში პატარა გუბეები იდგა. პატრიკიანმა იგრძნო, ჩრდილში ჰაერი შედარებით უფრო ცივიაო, ხელები შარვლის ჯიბეში ჩაიწყო და ცდილობდა მზიან მხარეს ევლო. მიუხედავად ამისა, აქეთაც არ გაუთბა ჯანი, სხეული უცახცახებდა. ამის მიზეზი შემოდგომის ცივი ამინდი როდი იყო, არც ის, თბილად, რომ არ ეცვა, არამედ ამ დილის უჩაიობა და შიმშილი. უფრო მეტად ხელებზე სციოდა, ცდილობდა ღრმად დაემალა ჯიბეში, მაგრამ წლების მანძილზე ნაცვამ სერთუკს მკლავები ისე დამოკლებოდა, რომ მაჯას აღარ უფარავდა.

პატრიკიანს, უპირველეს ყოვლისა, წიგნის მაღაზიაში უნდა შეევლო. იმედი ჰქონდა, ფულს იმდენს მიიღებდა, რომ ბინის ქირასაც გადაიხდიდა და ცოტაოდენი საცხოვრებლადაც მორჩებოდა. მაგრამ წიგნის მაღაზიაში უთხრეს, ამ სამი თვის განმავლობაში ორი წიგნიდან ერთი საესებით არ გაიყიდა, მეორიდან კი ხუთი ცალია გაყიდულიო და საკომისიო პროცენტების გამოქვითვის შემდეგ მანეთი და ერთი

აბაზი მისცეს. პატრიკიანს გული გაუტყდა, სახეზე უნდილი ღიმილი აღებეჭდა, ფული ჯიბეში ჩაიყარა და წიგნის მაღაზიიდან ისეთი მძიმე გრძნობით გამოვიდა, რანაირიც მათხოვრებს აქვთ ხოლმე მოწყალების მიღების შემდეგ. სირცხვილისა და დამცირებისაგან სახეალეწილი წუთით შეჩერდა წიგნის მაღაზიის ვიტრინის წინ, სადაც ოდნავ დაორთქლილი მინის იქით თვალი მოჰკრა კოხტად დალაგებულ რუსულ წიგნებს, ცოტა მოშორებით კუნჭულში სომხური წიგნები ელაგა. მათ შორის დაინახა თავისი პატარა წიგნებიც, მერე პირი იბრუნა და მწარე ფიქრებით გაბრუებული იქაურობას განშორდა. აღარ მოგონებია ჩაიშიმშილი და, ვინაიდან სხვაგან წასასვლელი ადგილი არ ეგულებოდა, თანაც სციოდა, პირდაპირ რედაქციისაკენ გასწია.

რედაქციაში, როგორც ყოველთვის, დღესაც მარტოდმარტო მჯდარი მდივანი დაუხვდა — ხმელ-ხმელი ახალგაზრდა. მას პრიალა სათვალე ეკეთა, მარცხენა ხელის ნეკზე ნახევარვერშოკი ფრჩხილი გაეზარდა. იგი იჯდა და სწრაფად წერდა გრძელ ვიწრო ქაღალდზე. ნეკი კარგა მოშორებით გაეშვირა მეზობელი თითებისგან.

პატრიკიანი, როგორც უმუშევარი და უხელფასო თანამშრომელი, ყოველდღე ესტუმრებოდა ხოლმე რედაქციას, ისე რომ, მდივანი და პატრიკიანი შეხვედრისას აღარც კი ესალმებოდნენ ერთმანეთს. ამ დღესაც პატრიკიანი მდივნის ოთახში შევიდა, ხმაამოუღებლივ მიუჯდა იმისი საწერი მაგიდის კიდეს, აიღო ადგილობრივი რუსული გაზეთი, რომლიდანაც მდივანი ცნობებს კრეფდა და გადათვალიერება დაუწყო.

ერთი ადგილობრივი ცნობის გადაკითხვის შემდეგ შეეკითხა:

— ეს ცნობა რატომ არ შეგიტანია?

— რომელი ცნობა? — თავის მხრივ შეეკითხა მდივანი და წერა განაგრძო.

— ვიღაც ახალი გამოჩენილი მომღერალი ჩამოსულა, — ჟაპინოვი, ოპერის თეატრში საგასტროლოდ არის მოწვეული.

— ჯანდაბას იმათი თავი! — გულიდან აღმოხდა მდივანს და თავაუღებლივ განაგრძო წერა. — ჩვენ რა? ყველა გაზეთებს განცხადებებს აძლევენ, სეზონის უფასო ბილეთებს უგზავნიან, ჩვენ კი ძაღლადაც არ გვაგდებენ... რა ძალა გვადგა მათთვის რეკლამები ვბეჭდოთ? — შენ გადახედე, სხვა ხომ არაფერი გამომრჩა.

შემოვიდა სტამბაში მომუშავე პატარა შეგირდი. ხელები და სახე

გამურული ჰქონდა. საზაფხულო ლურჯი ბლუზა ეცვა. მორჩილი სხეული სიცივისაგან უცახცახებდა.

— მასალა, — დაიძახა მან.

— მოიცადე ცოტა ხანს, — უთხრა მდივანმა და უფრო უმატა წერას. დაამთავრა, ნაწერი სხვა ქაღალდებთან ერთად დაკეცა და შეგირდს გაუწოდა. — აბა, წაიღე, როცა კიდევ მოგიხდეს წამოსვლა, ჰკითხე კიდევ რამდენი სვეტი იქნება საჭირო.

შეგირდი გავიდა და გარეთ დაიხურა ქუდი.

— აბა, პატრიკ, უსაქმოდ ნუ ზიხარ, — უთხრა მდივანმა, სათვალე გაისწორა და ახალი საქმისათვის მოემზადა. — მასალა არა გვაქვს, საჩქაროდ ერთი რამე დაწერე.

— არა ვარ გუნებაზე, — მელანქოლიურად უპასუხა პატრიკიანმა.

— მე ისეთ კარგ გუნებაზე ვარ, რომ...

— შენ ნამდვილი მანქანა ხარ.

— კარგი, ნუ ლაპარაკობ, დაწერე რამე, ლამის სული ამომხდეს. წუხელ ორ საათამდე სტამბაში ვიყურყუტე, კორექტორი ავად გამხდარიყო. ხვალ-ზეგ კურიერის როლსაც დამაკისრებენ.

— რედაქტორი სად არის? რატომ არ გეხმარება?

— ფულის საშოვნელად წავიდა. სტამბის პატრონი დაემუქრა, თუ დღეს ფული არ გადამიხადე, ნომერს არ გამოვუშვებო. ასოთამწყობებიც ფულს თხოულობენ, ფოსტა-ტელეგრაფიც, სახლის პატრონიც, — რომელი ერთი მოვთვალო? ხვალ-ზეგ ხელმოწერა უნდა დაიწყოს, გაზეთი სისტემატურად უნდა გამოვუშვათ, რომ ხელისმომწერლები არ დაფრთხნენ, და უცბად — ასეთი შერცხვენა... დაწერე, დაწერე, რა დროს ლაპარაკია:

— რა დავწერო?

— რაც გინდა, თუგინდ — მთვარეზე ან ვარსკვლავების შესახებ. ერთი იმდენი, რომ გაზეთის ფურცლები ავავსოთ.

პატრიკიანმა რამდენიმე ფურცელი ქაღალდი დინჯად აიღო, კალამი ჩააწო მელანში, ცოტა ხანს იფიქრა და სათაური დაწერა. „სამი თვე და მხოლოდ ხუთი ეგზემპლარი“, ხაზი გაუსვა. შეჩერდა, შუბლი მოიფხანა და კარგა ფიქრის შემდეგ დაიწყო:

„ამ დღეებში შევხვდი ჩვენს ერთ-ერთ დამწყებ მწერალს, რომელიც კრიტიკისა, ან იმის, რასაც ჩვენში კრიტიკას უწოდებენ, ერთსულოვანი აღიარებით შნოსა და ნიჭს არ არის მოკლებული. შემომჩივლა, დი-

დი წვალებით გამოცემულ ორი თხზულებიდან სამი თვის განმავლობაში ერთი წიგნისა გაიყიდა მხოლოდ ხუთი (ასი არ გეგონოთ) ცალი, ხოლო მეორისა არც ერთი ეგზემპლარიო. ეს სამწუხარო ამბავი ძალიან კარგი საზომია იმის გამოსარკვევად, თუ ჩვენი საზოგადოება რამდენად არის დაინტერესებული კითხვით, და, იმავე დროს, ფრიად დამაფიქრებელია ჩვენი ლიტერატურის მომავლის შესახებ. ჩვენი საზოგადოება...“

პატრიკიანი კვლავ შეჩერდა, იფიქრა, იფიქრა, მერე კალამი დადო და თქვა...

— აქ არაფრის დაწერა არ შეიძლება, ხელის თითები წამძვრა.

— დაწერე ერთი და! — შეჰყვირა მდივანმა, რომლის კალამი სწრაფად დასრიალებდა ქაღალდზე. — დიდი ხანია ასეთი ნაზი გახდი? თითქოს შენი საქათმე ამაზე თბილი იყოს, ოთახი რომ დაგირქმევია... წერე.—პატრიკიანმა გაციებული ხელები ერთმანეთს აუსვ–დაუსვა, პირიდან გამოშვებული ორთქლით გაითბო თითები, კალამი აიღო, ხაზი გაუსვა „ჩვენს საზოგადოებას“ და განაგრძო:

„მართალია, არ შეიძლება იმის მტკიცება ჩვენს საზოგადოებას კითხვა არ უყვარსო, მაგრამ...“

— შეიძლება შემოვიდე, — გაისმა ძლიერი ბარიტონი.

პატრიკიანმა და მდივანმა ერთდროულად აიღეს თავი და დერეფნის კარებისკენ გაიხედეს. აქ ერთი მხარბეჭიანი ახალგაზრდა იდგა, წვერულვაშგაპარსული, ძვირფას ქურქში გახვეული და პრიალა ცილინდროსანი.

— გთხოვთ, — მექანიკურად წარმოთქვა მდივანმა.

უცნობი ძალზე თავდაჯერებული ნაბიჯით შემოვიდა, ცილინდრი მოიხადა და თავისი ვინაობა განაცხადა:

— საიმპერატორო თეატრის მომღერალი ჯაფინიანი. ალბათ იცით, რომ გასტროლებზე ვარ მოწვეული და ადგილობრივ სახაზინო თეატრში უნდა ვიმღერო.

— ჰო, როგორ არა, — წარმოთქვა მდივანმა, მექანიკურად წამოდგა და თავისდაუნებურად თავაზიანად ჩამოართვა ხელი. — გთხოვთ, დაბრძანდეთ.

სანამ დაჯდებოდა, ჯაფინიანმა ქურქის ღილები გაიხსნა, მკერდი გამოაჩინა, თქვა: „უჰ, ძალიან ცხელა“, ცილინდრი მაგიდაზე თავდაყი-

რა დადო, ძვირფასი ტყავის ხელთათმანები ცილინდრში ჩაყარა და მხოლოდ ამის შემდეგ დაჯდა მდივნის შეთავაზებულ სკამზე. მერე შეამჩნია, რომ საწერი მაგიდა მტვრიანი იყო და, ცილინდრის ქვეშ გაზეთი გაფინა.

— რედაქტორი აქ არის? — იკითხა და ცხვირსახოცით შუბლი მოიწმინდა.

— სამწუხაროდ, არა, — უპასუხა მდივანმა მონური პატივისმცემლის ღიმილით და უნებლიეთ ყურადღება მომღერლის წითელ ატლასის ჰალსტუხზე დამაგრებულ ცეცხლოვან ბრილიანტზე შეაჩერა, დაჯდა, არ იცოდა, როგორ დაემალა მომსვლელის თვალიდან თავისი ჭუჭყიანი, დაჭმუჭვნილი მანჟეტები.

— როგორც სომეხმა მომღერალმა, ჩემს ზნეობრივ მოვალეობად ჩავთვალე შემომევლო სომხური გაზეთის რედაქციაში, — თქვა ჯაფინიანმა. — ალბათ იცით, ხმა იტალიაში მაქვს დამუშავებული, საიდანაც ამ ექვსი წლის წინ ოდესაში მიმიწვიეს. მეორე წელს ვიმღერე ირკუტსკში, შემდეგ თითო სეზონი ხარკოვში, კიევში, მოსკოვში, ხოლო გასულ სეზონში ვმღეროდი პეტერბურგში. ახლა თბილისში მომიწვიეს. თბილისი მუსიკალური ქალაქია და ვგონებ სათანადოდ დამაფასებს. ბოდიში, თქვენ სატახტო ქალაქის გაზეთებს ღებულობთ?

— როგორ არა.

— მაშინ, ჩემს შესახებ დაბეჭდილი რეცენზიები წაკითხული გექნებათ. ყველა ერთპირად აღტაცებულნი არიან. მხოლოდ ზოგიერთი უცხოთა მოძულე გაზეთები, როგორც „Новое время“ და „Свет“-ია, ცდილობდნენ ჩემს დამხობას, რაკი გაიგეს, სომეხიაო, მაგრამ ვერ მოახერხეს. რა მნიშვნელობა აქვს სომეხი ვარ თუ რუსი? მე მხოლოდ მომღერალი ვარ, შემიძლია დღეს სომხურად ვიმღერო, ხვალ რუსულად, შემდეგ იტალიურად. ასე არ არის?

— რასაკვირველია.

— თუმცა აფიშებზე ჟაპინოვსა ვწერ, მაგრამ ეგ იმისათვის კი არა, რომ რუსად მინდა თავი მოვაჩვენო. ეს რომ მდომოდა, მაშინ ივანოვს დავწერდი, სიდოროვს და სხვა. მე მხოლოდ იმიტომ გადავაკეთე, რომ ჯაფინიანის გვარს როგორ დასწერ რუსულად — Джапиниан? რუსულ ანბანში არც ჯ არის, არც ფ, თორემ სომხურიდან მუდამ ჯაფინიანს ვწერ და არასოდეს არა ვმალავ, რომ სომეხი ვარ. თქვენ სხვა რამესაც გეტყვით, — განაგრძო ყბედმა მომღერალმა, — ჩემს ანტრეპრე-

ნიორს ოდესაში მიწვევის დროს უნდოდა აფიშაზე ჟაპინი დაეწერა, მაგრამ ფრიად თავაზიანად ჩავაგონე, რომ არავითარ შემთხვევაში იტალიელად არ მოვინათლებოდი. თუმცა, მოგეხსენებათ, იტალიელი მომღერლები ძალიან უყვართ რუსეთში. მე რომ მდომოდა ჩემი ერისა და სარწმუნოების ღალატი, ჟაპინს დავირქმევდი. ეს კარგიც იქნებოდა და გაცილებით მომგებიანიც, ვიდრე ჟაპინოვია... ასე არ არის?

— რასაკვირველია, — კვლავ დაეთანხმა მდივანი.

მომღერალი ბევრს ლაპარაკობდა, განსაკუთრებით თავის თავზე. ხმა თამამად და მხნედ გაისმოდა. „როდის დაამთავრებს და მოშორდება?“ ფიქრობდა მდივანი, მაგრამ არავითარ უკმაყოფილებას არ იჩენევდა. პირიქით, მდუმარედ ყურს უგდებდა ისევ ისე მონური პატივისმცემლის ღიმილით.

— ასე,—ბოლოს დაამთავრა ლაქლაქი მომღერალმა და წამოდგა,— ხელს აღარ შეგიშლით. ჩემი უმდაბლესი სალამი ბატონ რედაქტორს. — ამ სიტყვებზე მომღერალმა უბიდან აძოიღო თავისი სადარბაზო ბარათი და მდივანს წინ დაუდო. — ვიმედოვნებ, რომ ის, აგრეთვე თქვენც, მობრძანდებით ჩემი სიმღერის მოსასმენად. ჩემი დებიუტი ჩატარდება ამ თვის ათში. უნდა ვიმღერო ონეგინის პარტია, შემდეგ გამოვალ „მაზეპაში“, „კნიაზ იგორში“, „კუპეც კალაშნიკოვში“, „ცარსკაია ნევესტაში“, „ეიზნ ზა ცარიაში“, „რუსლან ი ლიუდმილაში“, „რუსალკასა“ და სხვა ოპერებში, ნახვამდის.

ჯაფინიანმა მაგრად ჩამოართვა ხელი მდივანს, თავაზიანად დაუკრა თავი მაგიდის ბოლოში მდუმარედ და ოთხად მოკუნტულ პატრიკიანს, ცილინდრი დაიხურა და ისევე თავდაჯერებული გავიდა, როგორც შემოვიდა, ქალურ, მაღალ ქუსლიან პრიალა ფეხსაცმელების ბაკუნით.

მდივანმა კარებამდე მიაცილა, უკან მობრუნდა, ტაში შემოჰკრა და ძალზე გაოცებულმა წამოიძახა:

— ვაი, ვაი!... ნახე, პატრიკ? იცი ვინ იყო? გუშინ-გუშინწინ მექელეზე დიაკვანი... იცი... ახლაღა გამახსენდა, პატრიკჯან, ახლა. რედაქტორმა მიამბო, როცა ეკლესიის მამასახლისად არჩევის განცხადება მოჰქონდა, შემოსვლას ვერ ბედავდა ხოლმეო, ახლა კი... თავის მორალურ ვალდებულებად მიაჩნია რედაქციაში შემოვლა! ცილინდრს გაზეთი დაუფინა, რომ არ გამტვერიანებულიყო. შენ იმის ჰალსტუხზე ბრილიანტი შეამჩნიე, ქურქი. ჩვენ აქ სიცივისაგან კბილს კბილზე ვაცე-

მინებთ, ის კი ოფლს იწმენდდა... ესეც შენი მასწავლებლობა და მწერლობა, ვაი შენს თავს, პატრიკჯან, მწერალო!.. მწერალი კი არა, ჯანდაბა არ გინდა! ჯანდაბამდე გვქონია გზა შენც და მეც, — დაუმატა მდივანმა და თავის ადგილზე დაჯდა.

— შენ ის მითხარი, ახლა ხომ დასწერ ცნობას? — შეეკითხა პატრიკიანი დაცინვის ღიმილით.

მდივანმა პასუხის ნაცვლად ხელები გულზე დაიკრიფა, მხრები აიჩეჩა, კომიკურად შეიშმუშნა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა, მერე უეცრად უბის საათს დახედა და ისე დაიძახა, რომ მის ხმაში გაოცება უფრო ჩანდა, ვიდრე სიბრაზე.

— რამდენი დრო დაგვაკარგვინა მაგ დაწყევლილმა!.. სტამბაში კი მასალა არ არის. წერე, წერე, პატრიკჯან, ვნახოთ, რა გამოვა ამ სახედრული მარტვილობიდან.

— „იტრიალე, იტრიალე, ჩემო ჯარა“... — წარმოთქვა პატრიკიანმა, კალამი მოიმარჯვა და ისე გამწარებით მოემზადა წერისათვის, რომ თვითონაც არ იცოდა, ვისზე და რაზე იყო გულმოსული.

მდივანი ამ დროს უკვე გამალებით წერდა: „ჩვენი თანამემამულე მომღერალი ჯაფინიანი (თეატრალური გვარი ჟაპინოვი) საგასტროლოდ მოწვეულია თბილისის სახაზინო ოპერის თეატრში. იტალიაში დაოსტატების შემდეგ, ამ უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე მღეროდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში, მათ შორის — მოსკოვში და პეტერბურგში, სადაც ადგილობრივი გაზეთების დამოწმებით, დიდი წარმატება ჰქონია. თბილისის საოპერო თეატრში პირველად გამოვა ამ თვის ათში ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინში“, შეასრულებს ონეგინის პარტიას“.

უნდოდა რამდენიმე სიტყვა კიდევ დაემატებინა, რომ საზოგადოების ყურადღება მიექცია სომეხ ნიჭიერ მსახიობზე, მაგრამ მოაგონდა მისი წარსული და შეეშინდა, ვაითუ ჯაფინიანის ნაცნობებმა გაზეთი მასხარად აიგდონო, ამიტომ, რაც დაწერა, იმით დაკმაყოფილდა, ნაწერი გვერდზე გადადო, მერე გადახედა პატრიკიანს, იგი ძალიან ნელა წერდა, წარამარა შუბლს ისრესდა და უთხრა:

— პატრიკჯან, დაუჩქარე, თორემ საცაა ის პატარა სულთამხუთავი მოვა და მასალას მოგვთხოვს.

შემოვიდა ექსპედიტორი, ხელში ფოსტიდან წამოღებული გაზეთების და წერილების შეკრული ეჭირა. მდივანი უპირველესად წერილებს

ეცა, თვალიერება დაიწყო. იმდენად იყო გავარჯიშებული, რომ ორსამ სტრიქონს თავში წაიკითხავდა, რამდენიმე სტრიქონს შუაში, შემდეგ ბოლოში, ხელად გაიგებდა წერილის შინაარსს და მაშინვე სწყვეტდა შეიძლებოდა თუ არა წერილის დაბეჭდვა.

— ვაი, ეს წყეულები თითქოს შეთქმულები არიან, რომ მხოლოდ მღვდლებზე, დიაკვნებსა და სკოლების მზრუნველებზე წერონ! — წამოიძახა მდივანმა რამდენიმე წერილის გადათვალიერების შემდეგ. — მღვდელი და დიაკვანი, დიაკვანი და ეკლესიის მამასახლისი... გეგონება, სხვა თემა არაფერი იყოს, მე თქვენი...

და გაბრაზებულ მდივანს უნებლიეთ წამოსცდა ინტელიგენტი კაცისათვის შეუფერებელი რამდენიმე უწმაწური სიტყვა სამაზრო კორესპონდენტების მისამართით, რომლებიც მღვდლებისა, დიაკვნებისა და მათ ავან-ჩავანთა გარდა სხვა არაფერზე წერდნენ. მდივანმა ეს კორესპონდენციები დაჭმუჭნა და მაგიდის ქვეშ კალათში უნდა ჩაეყარა, მაგრამ მოაგონდა, რომ საგაზეთო მასალა აკლდა, ამიტომ გადაიფიქრა და გვერდზე გადადო. დანარჩენი წერილებიც გადაათვალიერა, მაგრამ, ეტყობოდა, არც იმათში იყო რაიმე სახეირო. როცა წერილების გადათვალიერებას მორჩა, უპირველესად დაიწყო იმ წერილების გასწორება, რომლებსაც ნაწილობრივ მაინც ჰქონდათ საზოგადოებრივი მნიშვნელობა და გაზეთისათვის გამოდგებოდნენ. უმოწყალოდ შლიდა მთელ გვერდებს და მათ ნაცვლად მოკლე წინადადებებს ამატებდა, თან ცდილობდა, ზუსტად დაეცვა საგაზეთო მართლწერა, რომლის შემოქმედი თვითონ იყო.

ამასობაში პატრიკიანი წერდა და წერდა თავის სტატიას. სიციევს უკვე ყურადღებას აღარ აქცევდა. ერთ საათში სტატია მზად იყო. დაწერილი ფურცლები ნომრების მიხედვით დაალაგა, მდივანს წინ დაუდო და წამოდგა.

— რაო, მიდიხარ? — შეეკითხა მდივანი, თავი ასწია და პრიალა სათვალიდან გამოხედა.

— ჰო, გავიყინე. წავიდე, ვნახო რას გავაწყობ. დღეს ლუკმა არ ჩამიდია, არც ჩაი დამილევია. გადაათვალიერე ეგ სტატია, — ძალზე უგულოდ დავწერე. თუ გამოგადგება დაბეჭდე, თუ არა — კალათში უძახე. ნახვამდის.

და პატრიკიანი კარებისკენ გაემართა. წინა ოთახში წამით შეჩერდა, ვერ გადაეწყვიტა წასვლა, მერე მექანიკურად დაიჭნია ქუდი, რო-

მელიც ხელში ეჭირა, დინჯად უკან გამობრუნდა, მივიდა მდივანთან და ისე ჩუმად ჩაილაპარაკა, თითქოს ეშინია არავინ ყური არ მოჰკრასო...

— არ შეგიძლია ხუთი მანეთი მასესხო?

— ხუთი მანეთი? — წამოიძახა მდივანმა და სასწრაფოდ თავი აიღო.

— ჰო, გთხოვ. ბინის ქირა უნდა გადავიხადო, თუ არ მივეცი, გარეთ მიპირებენ გამოგდებას.

— ახლავე, ამწუთას, ხუთი მანეთი რა არის განა? — უპასუხა მდივანმა, სწრაფად ამოიღო ძველი, გაცვეთილი საფულე, გახსნა, რაც ჰქონდა — შავი და თეთრი ფულები — გადმოყარა მაგიდაზე და დაიწყო დათვლა. — 10, 20, 35, 50, 58, 60, 62 კაპიკი. ეს არის ჩემი ‘თელი კაპიტალი. თუ აქედან ხუთი მანეთი გამოვა, წაიღე და სახლის პატრონს მიაშავე. ხუთი თვეა — ჯამაგირი არ მიმიღია, დაიჯერებ, თუ არა?

ერთ წუთს პატრიკიანი თვალებში შეჰყურებდა მდივანს.

— მაშ რითი ცხოვრობ? — შეეკითხა.

— შენ რითი ცხოვრობ? — მიუგო მდივანმა.

პატრიკიანმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი, მერე ქუდი დაიხურა, დაიხურა კი არა, პირდაპირ თავზე დაიხეთქა და გარეთ გავიდა.

1904

უკვალოდ დაკარგული

ბავშვთან და ძიძასთან ერთად სეირნობიდან დაბრუნებული ახალგაზრდა ქალი ის იყო ფეხსაცმლის გამოცვლას აპირებდა, რომ ქმრისა და ვაჟიშვილის მოსვლამდე სადილის მაგიდა გაეწყო, როცა შემოვიდა მოახლე და მოახსენა, ერთ ბატონს თქვენი ნახვა სურსო.

— ვინ ბატონია? — ცნობისმოყვარეობით შეეკითხა ქალბატონი.

— არ ვიცი.

— მე მკითხულობს?

— დიახ.

— იქნებ ჩემს მეუღლეს?

— არა, თქვენ.

— რისთვის?

— ეუთხარი, სადილობის დროა, არავის იღებს-მეთქი, მაგრამ არ წავიდა, ძალიან საჭირო საქმე მაქვსო.

ახალგაზრდა ქალი მივიდა მაღალ სარკმელთან, რომელიც ქუჩას გადაჰყურებდა, ფეხის წვერებზე შედგა, სცადა ქვევით გადაეხედა, რომ თვალი მოეკრა სტუმრისათვის, მაგრამ კარებთან ვერაფერი დაინახა, გარდა ნაცრისფერი ფაფახისა.

— კარგი, წადი შემოიპატიჟე სასტუმრო ოთახში, სანამ მე გამოვიდოდე, — უბრძანა მოახლეს.

მოახლე გავიდა.

ახალგაზრდა ქალმა აღარ გაიხადა წაბლისფერი აბრეშუმის ბლუზა, გაისწორა, სარკესთან მივიდა, პუდრი გადაისვა სახესა და კისერზე, თმა გადაივარცხნა და სასტუმრო ოთახისკენ გასწია.

სასტუმრო ოთახში შესვლისთანავე უეცრად შეჩერდა. ერთი კი დააპირა დაეკივლა და გიჟივით უკან გაქცეულიყო, მაგრამ გაკვირვე-

ბა და ცნობისმოყვარეობა ისე დიდი გამოდგა, რომ ადგილზე გაქვავდა თვალებდაჭყეტილი.

მის წინ, სასტუმრო ოთახში შემოსასვლელ კარებთან, მაღალი ფანჯრებიდან უხვად შემოჭრილ შუადღის მზის სხივების ნაკადში გაუნძრევლად იდგა კაცი და იცდიდა. იგი 30 — 35 წლის ტანმაღალი ვაჟკაცი იყო, მზისგან სახეგარუჯული. ეცვა ჯარისკაცის ძველი უსამხრეებო რუხი ფარაჯა და ოდნავ გახუნებულკოკარდიანი დასრესილი ტყავის ფაფახი ეხურა, ცალი ფეხი არა ჰქონდა, გრძელი ფარაჯის კალთის ქვეშ მხოლოდ ერთი ფეხი მოუჩანდა მოძველებულ და დიდიხნის გაუწმენდავი ჩექმით, მეორე ფეხის მაგიერ კი ყავარჯენს ხმარობდა.

ვინაიდან მარჯვენა ხელი ყავარჯნისათვის ჩაევლო, ჯარისკაცმა ფაფახი მარცხენა ხელით მოიხადა, მდუმარედ მიესალმა თავის დაქნევით და გაირინდა, ალბათ, იმის შიშით, ვაითუ ახალგაზრდა ქალმა რაიმე უცნაურობა ჩაიდინოს — იკივლოს, შიშნაკრავი გაიქცეს და შველა ითხოვოსო — ამას ამყღავნებდა ქალის სახის გამომეტყველება, რადგან სხვა არაფერი შეეძლო ეკარნახა მისთვის ასეთ მოულოდნელ, უეცარ შეხვედრას.

მაგრამ გაოგნებული ახალგაზრდა ქალი გაუნძრევლად იდგა და ცნობისმოყვარეობისაგან გაქვავებული, დაჭუტულ თვალებს ვერ აშორებდა სტუმრის დიდრონ, ჭკვიან შავ თვალებს, რომლებიც ახლო წარსულში ისე ნაცნობი იყვნენ, იმდენად ახლობელი და საყვარელი, რომ მაშინვე იცნო, ვინც იყო ეს კაცი.

— არამ! — წაიჩურჩულა ქალმა ოდნავ შემკრთალი, გაბზარული ხმით.

— დიახ, მე ვარ, ფლორა, — დინჯად მიუგო მოსულმა, კისერი ოდნავ წაიგრძელა და სიყვარულით, ნატვრა-ოცნებით ჩააშტერდა ქალს თვალებში.

ხმა ეცნაურა... ბოლო მოეღო ეჭვს. და ახალგაზრდა ქალში გაოგნება და ცნობისმოყვარეობა უეცრად შეცვალა ისეთმა მომაკვდინებელმა შიშმა, როგორიც ადამიანს მოულოდნელი შემთხვევის დროს დაეუფლება ხოლმე, გადარჩენის არავითარი შანსი რომ აღარ გააჩნია. საშინელი სინამდვილის შეცნობამ ელვისებურად იმოქმედა მის ერთბაშად გაბრუებულ ტვინზე, მთელი არსებით შესძრა, თვალთ დაუბნელდა, გულმა ბაგაბუგი დაუწყო, თავბრუ დაეხვია და უთუოდ ძირს დაეცემოდა, რომ შემთხვევით იქვე სკამზე არ ჩამომჯდარიყო.

მომსვლელმა, ცალ ფეხზე ხტუნვა-ხტუხვით და იატაკზე ყავარჯნის რაკა-რუკით, მიირბინა მასთან და შეშინებულმა შესძახა:

— ფლორა!...

გაფითრებულმა ახალგაზრდა ქალმა თვალები დახუჭა, თავი დახარა და ხელებით ისე დაიფარა, თითქოს ახალ დარტყმას მოელისო.

მაგრამ სტუმარმა მარცხენა ხელი მოწიწებით მოკიდა ქალის სათუთად მოვლილ თეთრ, ფუნჩულა, ბრილიანტის ბეჭდებით დამშვენებულ ნაზ ხელს, ბაგეებთან მიიტანა და გულისამაჩუყებელი დამამშვიდებელი ხმით უთხრა:

— ნუ გეშინია, ფლორა, შურისძიებას კი არ მოვუყვანივარ შენთან, არამედ სევდას, კაეშანს, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში შორეულ მხარეში გადახვეწილს მტანჯავდა. ძალიან კარგად მესმის შენი მდგომარეობა. მკვდრები აღარ ცოცხლდებიან, მაგრამ თუ მოხდა სასწაული და აღდგნენ, ასეთ თავზარს სცემენ იმათ, ვისაც, ვინ იცის, იქნებ ზღვა ცრემლი დაუღვრია მათთვის. აიღე თავი, შემომხედე, მინდა ერთხელ ჩაგხედო თვალებში, მე შენს სანახავად მოვედი მხოლოდ... შენი და ჩემი შვილის... და მურაზის მოსაკლავად.

ხმა აუკანკალდა, თვალები ცრემლით აევსო.

ახალგაზრდა ქალმა თავი აიღო, შეხედა სიყვარულით აღსავსე ცრემლმორეულ თვალებში, უეცრად გული ამოუჯდა, ბოღმა ყელში მოაწვა, ხელები თვალებზე მიიფარა და გულამოსკვნით დაიწყო ქვითინი; ებრალებოდა არამი, ეს უბედური ადამიანი.

— ნუთუ სიზმარი არ არის? — აღმოხდა აქვითინებულ ქალს.

— სიზმარი? — გაიმეორა მოსულმა. — რომელი სიზმარი შეედრება გამომგონებლობაში სინამდვილეს, მეტადრე ჩვენს სინამდვილეს. ვინ წარმოიდგენდა, თუ ოდესმე ასე შეგხვდებოდი და თანაც აქ, უცხო ოჯახში, რომლის კარი გულდაწყვეტით შემოვაღე?!..

— არამ, მე არა ვარ დამნაშავე. ჰკითხე დედაშენს, შენს დას, ისინიც კი დაამოწმებენ, რომ მე იმედი არ დამიკარგავს, ვითმენდი, გელოდებოდი...

— დამშვიდდი, ჩემო ძვირფასო, დამშვიდდი, უკვე ვკითხე და ყველაფერი ვიცი, დამშვიდდი.

— შენი სახელი უკვალოდ დაკარგულთა ოფიციალურ სიაში მაჩვენეს, — განაგრძო ფლორამ თვალების წმენდით, — და ამიხსნეს, ან

ჰოკლულია და ბისი გვამი ბრძოლის ველზე დარჩა, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ტყვედ არისო. ამის შემდეგ თითქმის მთელი ოთხი წლის მანძილზე შენგან არაფერი ისმოდა, ამიტომ ისღა დაგვრჩა გვეფიქრა, რომ შენ დიდი უბედურება დაგატყდა, ესე იგი მოგკლეს. თორემ ტყვეობაში რომ ყოფილიყავი, ნუთუ მთელი ოთხი წლის განმავლობაში ერთ ცნობას არ მივიღებდით ან წერილობით, ან სხვა საშუალებით?

— ომის დროს რა წერილების მიწერ-მოწერაზე შეიძლება ლაპარაკი ორი მოსისხლე მტრის ქვეყნებს შორის! მით უმეტეს, ჩვენ ჩაკეტილები ვიყავით საკონცენტრაციო ბანაკში, საიდანაც არც ჩვენ შეგვეძლო რაიმე ცნობის გაგზავნა და არც გარედან მიღება.

— მაშ, ტყვედ ჩავარდი?

— ხო, ჩვენები გაიქცნენ და მე, ფეხდასახიჩრებული მიმატოვეს ბრძოლის ველზე. ნეტავი ფეხის ნაცვლად თავის ქალა დამმსხვრეოდა, ქალა, სადაც თავს იყრიან ყველა ტანჯვა-ვაების ჩანასახები. ვერ წარმოიდგენ, რამდენი ტკივილი და მწუხარება გადავიტანე ჯერ საავადმყოფოში, მერე საკონცენტრაციო ბანაკში... ფიზიკურ ტკივილებს ვინღა ჩიოდა, სულიერად ვიტანჯებოდი შენთვის, ჩემი ბავშვისთვის, დედისთვის, დისთვის. ათასგვარი ეჭვი მიღრღნიდა გულს, ერთიმეორეზე საშინელი, ერთიმეორეზე უიმედო, უსასოო. ვფიქრობდი — ნეტა როგორ არიან? როგორ ცხოვრობენ? ვაითუ მტერი შეესია, ყველა გამოასალმა სიცოცხლეს, ანდა სადმე გაიხიზნენ, რაიმე გადამდებმა სენმა მოუღო ბოლო...

არამი იქვე სკამზე ჩამოჯდა, ყავარჯენი კედელზე მიაყუდა, და დაღვრემილმა ფიქრიანად დაუმატა:

— აბლა კი... ვინ იცის, ეს არ მომხდარიყო, მე რომ შემძლებოდა და თქვენთვის ჩემი ამბავი მომეწვდინა... პასუხიც მიმეღო...

მან მწარედ გაიქნია თავი და გაჩუმდა.

— შენი ამბავი თქვი, მაგრამ ჩემ სულიერ ტანჯვას აღარ იკითხავ? — მიუგო ფლორამ. — ჯერ დღენიადაგ ვკანკალებდი ჩემი ძვირფასი ადამიანის სიცოცხლეზე ფიქრისაგან, შემდეგ მთელი ოთხი წელი ვცხოვრობდი ბურუსში, მოლოდინსა და სასოწარკვეთილებაში... ამას ემატებოდა მატერიალური ხელმოკლეობა, ყოველდღიური ზრუნვა ორსებობისათვის. სადამდე გაგვწვდებოდა ის მცირე დახმარება, ჩვენ რომ ვიღებდით. მოხუცი დედაშენი ავადმყოფობდა, შენს დას გასამრჯელო, რასაც გაკვეთილებში იღებდა, თვითონაც არა ყოფნი-

და, მე კიდევ — პატარა ბავშვით ხელში. პირველ ხანს, სანამ დედაშენი ძალიან არ იყო ავად და შეეძლო ბავშვისთვის ყურადღების მიქცევა, პატარა სამსახური ვიშოვე საქალაქო გაერთიანებაში, მაგრამ, შემდეგ იძულებული გავხდი თავი დამენებებინა, ვინაიდან დედაშენი თავად იყო მოსავლელი, და ბავშვი სრულიად უპატრონოდ დარჩა. ბოლოს გათხოვდა შენი და, დედა თავისთან გადაიყვანა. სახლში მარტოდმარტო დავრჩი ჩემი ჩვილი ბავშვით, ყოველგვარ სახსარს მოკლებული. სახლში აღარაფერი გაგვაჩნდა, ყველაფერი გავყიდე.

არამი მდუმარედ იჯდა, ფაფახი მუხლებზე დაედო და დინჯად, გულდასმით ისმენდა ყოფილი მეუღლის აღსარებას. თან ხან ფართო, მაღალჭერიანი ოთახის ავეჯეულობასა და ძვირფას მოწყობილობას ათვალიერებდა, ხანაც ახალგაზრდა ქალის თვალწარმტაც ტანსაცმელს, ბეჭდებს, ყურებზე მოელვარე ბრილიანტის საყურეებს, თმაში გარჭობილ პრიალა ძვირფას დასაბნევებს და რაღაც იდუმალი ეჭვი, რომელიც აქ მოსვლამდე შხამიანი გველივით ჩასძრომოდა სულში და შეხვედრის პირველი წუთების გამო დროებით გარინდებულიყო იქ, ახლა თანდათანობით იღვიძებდა. ქალმა დაამთავრა მოყოლა. კაცი ისევ მდუმარედ იჯდა, გარეგნულად მშვიდად გამოიყურებოდა, ნერვიულობისაგან მხოლოდ ერთადერთი მუხლი უკანკალებდა ოდნავ შესამჩნევად.

— მაშ ასე, — დაილაპარაკა მან მცირე ხნის დუმილის შემდეგ ისე, რომ ქალისთვის არ შეუხედავს. — დარჩი მარტოდმარტო, ყოველგვარ სახსარს მოკლებული... მაგრამ რატომ? — ოდნავ გასაგონი ხმით შეეკითხა იგი, — ნუთუ არავინ გეხმარებოდა?..

— ვინ უნდა დამხმარებოდა? — სახეზე გულუბრყვილო გამომეტყველებით იკითხა ქალმა.

არამმა აუჩქარებლად, მაგრამ ალმაცერად გადახედა.

— ის ბატონი, ომის დროს საქალაქო გაერთიანებაში თბილად რომ იყო მოკალათებული.

ფლორა გველხაკბენივით შეკრთა და მთელი სხეულით წინ გადაიწია.

— მაგით რა გინდა თქვა? ის ხომ არა, რომ იმას მივთხოვდი?

— არა, მაგის თქმა არ მინდა.

— მაშ რა?

— ის რომ... მე სხვა რამე მითხრეს, — დინჯად უპასუხა არამმა მოგვიანებით და ახლაც არ შეხედა ქალს.

— სხვა რამ?.. რა?.. ვინ?

— ვინც იყო...

— გამოცანებით ნუ ლაპარაკობ, არამ, — შეკავებული მღელვარებით შესძახა ქალმა. — პირდაპირ აღიარე, დამ მითხრა-თქო.

არამმა პასუხი არ გასცა, დინჯად იჯდა, პირქუშად, ქალს სახეზე არ უყურებდა.

— რადა სდუმხარ, რატომ სახეში არ მიყურებ? — უთხრა ქალმა გამომწვევი, გაბედული ხმით. — ხედავ, მე არ მეშინია, რადგან ბინძური ჭორისა და ცილისწამებისადმი სხვა გრძნობა არ გამაჩნია, გარდა ზიზღისა. მაგრამ იცი რად გამჭორა და დამწამა ცილი? — იმიტომ, რომ აღარ ვისურვე — ის ქალბატონი ყოფილიყო, მე კი მისი მოახლე.

არამმა გაკვირვებით შეხედა ქალს.

— ეგ ახალი ამბავია ჩემთვის.

— რაკაკვირველია, ამას არ გეტყოდა. მერწმუნე, არამ, ამ ამბავს, რაც არ უნდა მომხდარიყო, არც მე გაგიმეღავნებდი, იმისი საზიზღარი ჭორისათვის ყურადღება რომ არ მიგექცია.

— ჯერ ერთი, მე არ მითქვამს რა მითხრა მან, მეორეც...

— რაღა ფასი აქვს, რომ მითხრა? შენი ლაპარაკის კილო და გადაკრული სიტყვები უკვე თავისთავად ღაღადებენ, ბოროტ განზრახვას, მტრობასა და შურს რამდენი რამ ჩაუწვეთებია შენთვის. ჩემი უბედურება ის იყო, რომ საკუთარი შრომით საშუალება არ მქონდა მერჩინა ჩემი თავიცა და ბავშვიც და მინდოდა თუ არა, ხელებში უნდა მეყურა მისთვის. ის კი, ვინაიდან ერთ ლუკმა პურს გადმოგვიგდებდა, თავის თავს უფლებას აძლევდა დაემცირებინა ჩემი თავმოყვარეობა. სულ ბუტბუტებდა, ჩიოდა, წარამარა პირში მახლიდა, რომ ერთ ლუკმა პურს გვაჭმევდა, რომ მძიმე უღელივით ვაწევართ კისერზე ზედმეტი ბარგივით. იმას კი არა ხედავდა. რომ ოჯახში ყველაფერს მე ვაკეთებდი, ვასუფთავებდი, ვაკერებდი, ვრეცხავდი, კერძს ვხარშავდი, ავადმყოფ დედას ვუვლიდი... ჩემ ადგილას რომ ვინმე მოახლე ყოფილიყო, ალბათ, იმას უფრო მეტი პატივისცემა ექნებოდა, ვიდრე მე, ამ ოჯახის სრულუფლებიან წევრს, იმის უბედური ძმის მეუღლეს, ძმისშვილის, ბედკრული შვილის დედას. თითქოს არ კმაროდა ჩემი სევდა,

ჩემი ტანჯვა-ვაება, ისიც თავის მხრივ მიწამლავდა ისედაც გამწარებულ სიცოცხლეს. ერთხელ იქამდე მიმიყვანა, ცოტას გაწყდა, შვილიანად წყალში გადავვარდი, რათა ერთხელ და სამუდამოდ გავთავისუფლებულიყავი იმ ჯოჯოხეთისგან. ამის შესახებ თუ გითხრა რამე?.. რასაკვირველია, არა. მხოლოდ იმას ჩაგიმარცლავდა, რითაც გაამტყუნებდა და მთელ ბრალდებას მხოლოდ მე ამკიდებდა. ვაი სირცხვილო.

— მე იმისი სიტყვებისათვის ყურადღება არ მიმიქცევია და შენი ჩივილიც ზედმეტად მიმაჩნია, — ცივად უპასუხა არამმა.

— როგორ თუ ზედმეტად?.. მაშასადამე, არ გინდა გაიგო, რამ მაიძულა ასეთი ნაბიჯი გადამედგა?

— არ მინდა, რადგან მაგითი არაფერი გამოსწორდება. შენა ხარ დამნაშავე, თუ ჩემი და, უკვალოდ დაკარგულთა ავბედითი სია, თუ ის, რომ მე ხმა ვერ მოგაწვდინე — ყველაფერი სულ ერთია. რა ფასი აქვს ჩემთვის? ვთქვათ, დაწვრილებით ვეძიე და ვიპოვე ჩემი გაუბედურების მიზეზი, მაგითი ნუთუ იოტისოდენად შეიცვლება ჩემი ბედშავი მდგომარეობა? შენ რომ არ გეთქვა, ისედაც კარგად ვიცოდი ჩემი წასვლის შემდეგ რა პირობებში მოგიხდებოდა არსებობა. ერთის მხრივ ეგ ამბავი, მეორეს მხრივ, შენი გადაწყვეტილება — ის ცოცხალი აღარ არისო, ჩანს, საკმარისად მიიჩნიე, რომ თავისუფლად გეგრძნო თავი და...

— როგორ თუ ჩემი გადაწყვეტილება, როგორ თუ მივიჩნიე, — ელდანაკრავივით დასძინა ქალმა.

მაგრამ არამმა ულმობელი სიმშვიდით განაგრძო:

— შენ იტანჯებოდი, ითმენდი, მელოდებოდი იმდენ ხანს, რამდენიც დაწესებული ყოფილა, რამდენის ძალაც შეგწევდა, რამდენის ატანაც შეუძლია ახალგაზრდა ლამაზ ქვრივ ქალს, სანამ...

— არამ, — შეჰყვირა ფლორამ და წამოხტა.

— ... სანამ ბედის დოლაბი უეცრად შემოტრიალდა და შენს წინ ახალი ბედნიერების კარი გაიღო, — რასაკვირველია, ბედნიერი, მშვენიერი, იღბლიანი ცხოვრების კარი, რაზედაც ნათლად ღალადებენ შენი სამკაულები და აქაურობა. უნდა გამოგიტყდე, მე ვერასოდეს ასე ვერ შოგრთავდი, ასე მდიდრულ და ბრწყინვალე ცხოვრებას ვერ შეგიქმნიდი, ამიტომ...

— გაჩუმდი, არამ, გაჩუმდი, კმარა, — შესძახა აღშფოთებულმა ქალმა. — ვინ ბოგცა ნება აძლევი შეურაცხყოფა ბოძაყეხო? რას ხიბნავს — ჩემით გადავწყვიტე? რას ნიშნავს — ახალგაზრდა, ლამაზი ქვრივი? რა გინდა მაგითი თქვა?

— არაფერი იმაზე მეტი, რაც გითხარი.

— მე შენი ლაპარაკი ვერ გამიგია. შემომხედე თვალებში და პირდაპირ ამიხსენი, მაგ გადაკრული სიტყვებით რა გინდა ბითხრა?

არამმა უეცრად პირდაპირ შეხედა თვალებში და აქამდე მშვიდი და უწყინარი სახე პირქუში გაუხდა; ეტყობა, ვეღარ მოერია იმ სულისამაფორიაქებელ ეჭვიანობის გრძნობას, რის დამალვას გარეგნული სიმშვიდის იერქვეშ ცდილობდა.

— აი, პირდაპირ გიყურებ და აშკარად გეუბნები, — მიუგო არამმა ყოველ სიტყვაზე მახვილის დასმით, — თავი ძალიან ნაადრევად გიგრძვნია თავისუფლად.

— როგორ?

— ისე. ჯერ მე ვარსებობდი, ჯერ მიწაში არ ვიყავი ჩასული.

— განა მე ეგ ვიცოდი?

— განა ის კი იცოდი, რომ აღარ ვიყავი ცოცხალი? დარწმუნებული იყავი?.. უტყუარი ცნობა გქონდა?

— სია...

— დიახ, უგზოუკვლოდ დაკარგულთა და არა მოკლულთა, ასე არ არის?

ფლორა სახტად დარჩა, ერთხანს მდუმარედ იდგა და საგონებელში ჩავარდნილი შეჰყურებდა ყოფილი ქმრის მომაკვდინებელ თვალებს, რომლებშიც ეჭვიანობის გრძნობა ელვარებდა. მერე ჩამოჯდა, თვალებზე ხელები მიიფარა და აქვითინდა.

— უგულო, უღმერთო, — დაიწყო ფლორამ, თან ქვითინებდა. — ნუთუ იმიტომ ვიტანჯებოდი წლების მანძილზე, იმიტომ ავიტანე იმდენი შიმშილი, ნაკლებობა შენი მიზეზით და შენთვის, რომ ბოლოს მოსულიყავი და შეურაცხყოფა მოგეყენებინა? რამდენი დღე დაბილამებია შენზე ფიქრში, რამდენი ღამე გამითენებია ტირილსა და მოთქმაში, წლების მანძილზე მოველოდი შენგან რაიმე ცნობის მიღებას, დუმილით ვითმენდი შენი დისაგან წყევლა-კრულვას და სახეში შემოფურთხებას შენი ხათრით, ეხლა კი მოხვედი და მისაყვედურებ — ძალზე აჩქარებულხარო. მთელი ოთხი წელი ჩემი ხვედრი იყო მხო-

ლოდ მწუხარება, ცრემლები, მაგრამ ვითმენდი, შენკენ მეჭირა აცრემლებული თვალები და ამას აჩქარებულობას ეძახი? სად შეძებნა შენს მიერ დასახელებული საბუთი, რომ გულდამშვიდებული ვყოფილიყავი? და ბოლოს, ეს ნაბიჯი სწორედ შენი შვილისათვის გადავდგი; იგი მშიერი იყო, ტიტველი, მე კი — მარტოხელა, უმწეო. შენ კი საქმე ისე გამოგყავს, თითქოს მე შემთხვევით ვისარგებლე და შეეცადე შეძლებისდაგვარად მალე გავთავისუფლებულიყავი შენგან. ნუთუ ასე მიცნობდი ჩვენი ოთხი წლის თანაცხოვრების მანძილზე? მაშ რაღად გაიძახი, შურისძიებამ არ მომიყვანა შენთანო? აი სად გამოაშკარავდა ის სხვა რამე, რაც ჩაგაწვეთა შენმა დამ ჩემს შესახებ. ესეც შენი განცხადება, დის ნათქვამებისათვის ყურადღება არ მიმიქცევიაო.

არამი თავის ერთადერთ მუხლს იდაყვით დაყრდნობოდა და ჩაფიქრებულ თვალს არ არიდებდა იატაკს. კრინტს არა სძრავდა. როცა ქალმა ტირილთან ერთად დაამთავრა თავისი აღსარება და ყოფილი მეუღლის გაკიცხვა, ოთახში დიდი ხნით დუმილმა დაისადგურა.

— იცი რა, ფლორა?, — კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ წარმოთქვა არამმა, გასწორდა და ისე მშვიდად გადახედა ქალს, თითქოს არაფერი მომხდარიყო. — როცა შენთან მოვდიოდი, ვერ გეტყვი, მდგომარეობასთან შერიგებული ვიყავი-მეთქი. ეგ შეუძლებელია. ასეთ მდგომარეობას არც ერთი ადამიანი არ შეურიგდება. გულში დათქმული მქონდა, თავი შემეკავებინა და არავითარი საყვედური არ მეთქვა, თუ გინდა მარტო იმ მიზეზით, ზედმეტად და უსარგებლოდ ჩაეთვალე, სულ ერთია ამით წარსულს ვერ დავიბრუნებდი. მაგრამ, თუ მაინც რამდენიმე უსიამოვნო სიტყვა უნებლიეთ წარმოვთქვი, რისთვისაც ახლა ძალზე ვნანობ და გთხოვ მაპატიო, ეგ უნდა მიაწეროთ იმას, რომ... (ხმა აუკანკალდა). ფლორა, ნეტავი თუ გრძნობ ამწუთას რა ხდება ჩემს სულში? შენ ხომ ჩემი იყავი, მშობლიური, საყვარელი და როგორც მაშინ მეჩვენებოდა, ჩემგან განუყრელიც. ახლა კი ზიხარ ჩემს პირდაპირ, აგრე რიგად ლამაზი, ესოდენ მშვენიერი, სასურველი, სანატრელი, და მე კი უფლება არა მაქვს თითით შეგეხო, უფრო მეტიც, არ ვიცი, რა დაგიძახო, რად ჩაგთვალო! ამიტომ ჩემი უბედურება ისე მრისხანედ, ისე მძლავრად, ისე მტკივნეულად არასოდეს არ განმიცდია, როგორც ახლა განვიცდი, აქ, შენთან, როცა შენ გიმზერ. აშავე დროს ისე საცოდავად, ისე უმწეოდ და უბადრუკად თავი არასოდეს არ მიგრძვნია, როგორც აქ, ამ უცხო სახლში, სადაც თავადაც არ ვი-

ცი, რისთვის მოვედი, უცხო ადამიანივით, დაუპატიჟებელი სტუმარივით თუ მათხოვარივით? იმდენი ხნის ტყვეობის შემდეგ შინ იმ რწმენით ვბრუნდებოდი, მეგონა შენს ხვევნა-ალერსში დავმარხავდი და დავიწყებას მივცემდი საკუთარი თვალით ნახულ საზარელ წარსულს, ახალ ცხოვრებას ახალი ოცნებებით ვეზიარებოდი, მაგრამ მუხთალმა ბედისწერამ აქაც არ დამინდო, წამართვა შენი თავი და დამიხშო ოცნებანი. თუ აქეთ მომავალი ჩემს ერთადერთ იმედად გსახავდი, ჩემს ერთადერთ დასაყრდენად და მხსნელად გიგულებდი, დღეს შენში ჩემს საბოლოო დამღუპველს ვხედავ, ჩემს საფლავს...

იგი გაჩუმდა, ნამტირალევი თვალები რომ არ დაენახვებინა ქალისთვის, თავი კვლავ დახარა.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს რა ხდება ჩემს თავს, — საბრალობელი ხმით უიმედოდ ამოიოხრა ფლორამ.

— დიახ, მესმის, შენთვისაც სამძიმოა, — მცირე ხნის შესვენების შემდეგ კვლავ ალაპარაკდა არამი და გასწორდა. — მაგრამ არა ღშავს, მალე წავალ, და შენ... მაპატიე. ვალდებული ვარ ტუჩებზე კბენით შევიკავო თავი, რომ კვლავ ზედმეტი სიტყვა აღარ წამოვროშო. შენ არ მიგიძღვის ბრალი. ვიცი, ვინც არის დამნაშავე, უფრო სწორად დამნაშავენი. ისინი მაღლა სხედან, სამეფო ტახტებზე და ოქროთი სავსე ტომრებზე. მათ აურ-დაურიეს ქვეყანა, რომ ერთმანეთს რამე გამოსძალონ. ისინი არიან, რომ მილიონობით ჩემისთანა უბედურთა სიცხლის ფასად თავიანთ გაუმაძღარ სტომაქს იყორავენ. აი ვის უნდა სწვდეს კაცი ქეჩოში და ანგარიში მოსთხოვოს. ცეცხლი ანთია ჩემს ჯანში, მაგრამ რას ვიზამ! ჩემი უდიდესი უბედურება ის არის, რომ ეე, როგორც საზოგადოების ერთ წევრს, კოლოსოდენა ძალაც არ შეეწევა შურისძიებისა; მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელდება, მოვა დრო, როცა...

იგი უეცრად გაჩუმდა, ყურთასმენად გადაიქცა. მეზობელი ოთახიდან ბავშვის ხმა მოისმა, რასაც მალე ფეხის ხმაც მოჰყვა. უეცრად კარი გაიღო და ოთახში მოგიზგიზეთვალება შვიდი-რვა წლის ბიჭუნა შემოიჭრა, რომელსაც ხელში რაღაც ქაღალდი ეჭირა.

— დედა, — დაიძახა ბავშვმა და ახალგაზრდა ქალთან მიიჭრა, — დღეს ნიშნები დაგვირიგეს, არც ერთი ორიანი არა მაქვს, აბა ნახე.

ფლორა შეშფოთებლი წამოდგა, ქაღალდი მექანიკურად ჩამოართვა და დაბნეული ღიმილით გადახედა ყოფილ მეუღლეს.

— ეს... ჩვენი სურიკაა, — თქვა.

არამი გაქვავებული იჯდა, კისერი წაეგრძელებინა და დაჭუტული თვალებით შეჰყურებდა ბიჭუნას. თითქოს თვალებს არ უჯერებდა, რომ სამი წლის პატარა, გამხდარი ყმაწვილი, როგორიც ომში წასვლამდე დატოვა დედის ანაბარად, ამ რამდენიმე წელში ასე ტანს აიყრიდა, გაიზრდებოდა.

მამასავით მაღალი, მამასავით შავგვრემანი, მამასავით დიდრონ შავთვალებიანი, მაგრამ, მამისაგან განსხვავებით, უფრო მაგარი აღნაგობისა და მხარბეჭიანი სურიკა ვიღაც ფარაჯიანი ბატონის წინაშე იდგა და ისეთი ბავშვური გულგრილობით უყურებდა მას, როგორც უცხოს, რომელთანაც არავითარი საქმე არა ჰქონდა.

დედამ სურიკას ხელი მოჰკიდა და არამთან მიიყვანა.

— სურიკჯან, ეს ის მამიკოა, ომში წავიდა-მეთქი, გახსოვს, მე რომ გელაპარაკებოდი?

— ის მამიკო? — იკითხა ბავშვმა ისე, რომ ცნობისმოყვარეობის ნატამალიც არ დასტყობია.

— ხო, ის მამიკო, ჩემო შვილო, და არა ახალი მამა, — რაღაცნაირი სიმწარეგარეული კილოთი დაუმატა არამმა, და უცნაური ღიმილისაგან სახე დაებრიცა.

ახალგაზრდა ქალმა ტუჩზე იკბინა და ყურებამდე გაწითლდა.

— მაგრამ თქვენ ხომ მოგკლეს? — შეეკითხა სურიკა და ამჯერად ბავშვური ცნობისმოყვარეობით მიაშტერდა უცნობ მამას.

— ვინა თქვა, შვილიკო, რომ მომკლეს?

— დედა ამბობდა.

— დედა შემცდარა, ჩემო ბიჭიკო, მე მხოლოდ ფეხში დამჭრეს. აი, ნახე.

არამმა ფარაჯის კალთა გადაიწია და მოჭრილი ფეხი უჩვენა. ფეხი მუხლზევით ჰქონდა მოკვეთილი, იმდენადვე გადაჭრილი ჰქონდა სამხედრო შარვლის ტოტი და გადაკერილი პარკივით ეკიდა.

სურიკა ცნობისმოყვარეობით უყურებდა, შემდეგ ხელით ფრთხილად გადაუწია ფარაჯის მეორე კალთა და საღ ფეხს დახედა.

— ახლა ამ ერთი ფეხით დადიხართ? — შეეკითხა.

— არა, ისევ ორი ფეხით.

— როგორ? — გაუკვირდა ბავშვს.

— აი, შეხედე, — მამამ მიუთითა კედელზე მიყუდებულ ყავარ-

ჯენზე, — იღლიის ქვეშ შევიდგამ და ისე დავდივარ, როგორც ორ-ფეხიანი.

— იცით რა, ბატონო? — მიმართა ბიჭმა ბავშვური ცნობისმოყვარეობით, — ქუჩაში ვხედავ ხოლმე ადამიანებს, რომლებიც ასეთი ჯოხებით დადიან. ისინიც ომში არიან ნამყოფი?

— კი, ყველანი. მაგრამ ყური დამიგდე, შვილიკო, აი რა უნდა გითხრა: ამიერიდან ბატონი აღარ დამიძახო, ხომ იცი, რომ მამაშენი ვარ.

— ჰო, სურიკჯან, — თავის მხრივ დაუმატა დედამ, — ამიერიდან ჰუდამ მამა დაუძახე. გესმის?

მაგრამ სურიკა მდუმარედ იდგა და სერიოზული ბავშვური გაოცებით ხან დედას უყურებდა თვალებში, ხან ფარაჯიან ცალფეხა კაცს, რომ აძალებდნენ, მამა დაუძახეო.

ხეიბარმა ხელი მოჰკიდა და თავისკენ მიიზიდა.

— ჩემო შვილიკო, ნუთუ არასოდეს არ გინახივარ?

სურიკმა გულდასმით შეხედა თვალებში და უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

მამამ უფრო ახლოს მიიზიდა ბავშვი და მუხლზე მიიკრა.

— აბა, კარგად დამაკვირდი, სურიკ, იქნებ მოიგონო, იმ დროს შენ ისე პატარა არ იყავი, ლაპარაკობდი, დარბოდი, ცეკვავდი, პატარ-პატარა ლექსებსაც კი ამბობდი, მღეროდი. მე რამდენიმე სათამაშო მომიტანია შენთვის — რკინიგზა, ავტომანქანა, ცხენი, და სხვა ბევრი რამ. ცხენივით შეგისვამდი ხოლმე და ისე დავრბოდი ოთახებში, შენ იცინოდი, ჟღურტულებდი. მერე... წაგიყვანდი სასეირნოდ, წითელ, ცისფერ ბურთებს ვყიდულობდი, ხილს, კანფეტს, შოკოლადს გაჭმევდი. ნუთუ არაფერი აღარ გახსოვს?

— არა, არ მახსოვს, — უპასუხა ბავშვმა, და ისევ უარყოფითად გაიქნია თავი.

— სულელო, როგორ არ გახსოვს? — შენიშნა დედამ, — რამდენჯერ გიამბე მაგის შესახებ.

— ვა, ძალაა? არ მახსოვს, — წამოიძახა ბავშვმა და სახე ისე კომიკურად დამანჭა, რომ დედ-მამამ უნებლიეთ გაიცინა.

აქნობამდე მამა ყოველ ღონეს ხმარობდა და თავს იკავებდა, ცდილობდა ისეთი რამ არ ჩაედინა, რომ ბავშვი დამფრთხალიყო. მაგრამ ახლა ვეღარ მოითმინა, უცბად ორი ხელით აიტაცა, მუხლზე დაისვა,

მაგრა მიიკრა და გიჟივით დაუწყო მოფერება, კოცნიდა თავზე, ლოყებზე, ტუჩებში, თვალებში, სადაც მოხვდებოდა. ერთხელ, ორჯერ, და ეგონა მის გულში იმდენი წლების მანძილზე დაგროვილ მაძღური სიყვარულის გრძნობას საზღვარი არ ექნებოდა.

მამის ძარღვმაგარ მკლავებში მომწყვდეული ბავშვი შიშისაგან ფართხალებდა, სახეს აქეთ-იქით აბრუნებდა, თავს არიდებდა, არ სიამოვნებდა იმისი კოცნა და ყვიროდა:

— ვაიმე, რა გინდა, გამიშვი, არ მინდა... დედა... — მამას კი ფიქრად არ მოსდიოდა გაეშვა ბავშვი, უფრო მაგრად იკრავდა მკერდში და გადარეულივით კოცნიდა. ბოლოს, როგორც იქნა, სურიკა თავისი მოქნილი სხეულის წყალობით ხელიდან გაუსხლტა, განზე გადგა და ჭარხალივით აწითლებულმა ტანისამოსის სწორება დაიწყო, თან ძრისხანე მზერას არ აცილებდა მამას.

დედამ ყურადღება მიაქცია ბავშვის შეურიგებელ გამომეტყველებას და შეშინდა, უხეშად არ მიმართოს მამასო, როგორც საერთოდ სჩვეოდა, როცა აბრაზებდნენ, ამიტომ სასწრაფოდ მივიდა მასთან და ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, რასაც ყმაწვილმა წამიერი ქვითინით უპასუხა. დედას თმა აებურძგნა და ყოფილ მეუღლეს გადმოხედა. არამი თავდახრილი იჯდა, თვალებზე ცხვირსახოცი მიედო, მხრები და ზურგი შეკავებული ქვითინისგან ეკრუნჩხებოდა.

ამ დროს მეზობელ ოთახიდან ძუძუმწოვარა ბავშვის ტირილი შოისმა, შემდეგ მამაკაცის თამამი, გაბედული და თვითკმაყოფილი ხმა. იგი, როგორც ეტყობოდა, ძიძას ელაპარაკებოდა.

— ვა, მამიკოა! — წამოიძახა სურიკამ და წამით სახე გაუბრწყინდა. — მომეცი, დედა, ნიშნების მოწმობა, მამიკოს ვაჩვენო.

შეშინებული დედა თვალ-წარბის მოძრაობით ანიშნებდა გაჩუმდიო, მაგრამ ბავშვი ვერ მიუხვდა, არც მიაქცია ყურადღება რას ეუბნებოდა დედა, საჩქაროდ ხელიდან გამოსტაცა საბუთი და მეორე ოთახში გავარდა.

შვილის მხიარულ წამოძახილზე არამი გასწორდა, მუხლზე დახრილი სხეულით ანაზდეულად წამოიწია, და წამით ცრემლგამშრალი უჩვეულოდ მოელვარე თვალები მიშტერებული დარჩა იქით, სადაც ბავშვი გაუჩინარდა. შემდეგ მძიმედ გადახედა ახალგაზრდა ქალს, შექანიკურად მოძებნა ფარაჯის ჯიბე, ცხვირსახოცი შეინახა, იატაკზე დავარდნილი ფაფახი აიღო, ყავარჯენი იღლიაში ამოიდო და ცალ

ფეხზე ხტუნვა-ხტუნვით იმ კარისაკენ გასწია, საიდანაც მოახლემ შემოიყვანა.

— მიდიხარ? — ნელა, გაუბედავად შეეკითხა ახალგაზრდა ქალი.

ხეიბარმა პასუხი არ გასცა, გარეთ გავიდა.

მეორე დღეს ხიდზე, რომლის ქვეშ აღელვებული მდინარე გაშმაგებით მიაგორებდა უზარმაზარ მღვრიე ტალღებს, ხალხმა იპოვა ერთი ფარაჯა და ყავარჯენი.

1920

უკანასკნელი მოჰიკანები

ჩემს მკითხველებს

მივიღე წერილი და მასთან ერთად ცალკე რვეული ჩანაწერით, რომელსაც აქვე ვაქვეყნებ.

ამხანაგო ნარ-დოს!

მე თქვენი მოთხრობის — „ერთ-ერთი სევდიანი დღე". — გმირი — პატრიკიანი ვარ. მართალია, ჩემი ნამდვილი გვარი პატრიკიანი არ არის, მაგრამ ეგ სულერთია, დაე თქვენი მკითხველებისათვის პატრიკიანად დავრჩე; ნამდვილი გვარის გამოცხადებით საქმის ვითარება არ შეიცვლება, ამიტომ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

იმ მოთხრობის გამოქვეყნებიდან დაახლოებით ოცდაათი წელია გასული, არ ვიცი, ოდესმე დაინტერესებულხართ თქვენი ნაწარმოების მთავარი პერსონაჟების ბედ-იღბლით თუ არა? ესე იგი, ჩემით, ჩემი სახლის პატრონით, რედაქციის მდივნით და სახაზინო თეატრების მომღერალ ჯაფინიანით ანუ ჟაპინოვით, როგორც იმ დროს აფიშებში უწოდებდა თავის თავს. თუ დაინტერესებულხართ და არაფერი გაგიგიათ, მე შემიძლია მოგიყვეთ.

დავიწყებ ჩემით

ორი პატარა წიგნის გამოცემის შემდეგ, რასაც მასწავლებლობიდან შემონახული უკანასკნელი კაპიკები მივაფლანგე, ერთხელ და საბუდამოდ ხელი ავიღე მწერლობაზე, ცეცხლში დავწვი ჩემი ყველა ნაწერი

და გოლიცინის რეჟიმის* შემდეგ, როცა კვლავ გაიხსნა სომხური სკოლები, ისევ სკოლას დავუბრუნდი. იმ ბნელი და ნესტიანი ოთახიდან, რომლის ქირას იმ შავბნელ დროს ძლივს ვიხდიდი, იმავე ეზოში მეორე სართულზე მდებარე ნათელ ოთახში გადავედი, ცოლი შევირთე, სამი ვაჟი და ერთი გოგონა შემეძინა, მოკლედ — კარგად ვცხოვრობდი. ჩემი უფროსი შვილი რიგიანი ბოლშევიკი გამოვიდა და მაისის აჯანყების დროს დაიღუპა. იმის მომდევნოც აგრეთვე ბოლშევიკ-კომუნისტია და ამჟამად რაიონში მუშაობს ინსტრუქტორად. ქალიშვილი—მასწავლებელია, ხოლო უმცროსი მუშფაკში სწავლობს და, ეტყობა, თავის ძმებზე უფრო მაგარი ბოლშევიკი დადგება. ამჟამად სამოცი წლის მოხუცი ვარ. მასწავლებლობას თავი დავანებე. პენსიაზე გადავედი. შარშანდლიდან მე და ჩემი მეუღლე რაიონში გადავსახლდით, სადაც ჩემი ქალიშვილი მუშაობს. მასთან ისე უდარდელად ვცხოვრობ, რომ სულ დამავიწყდა ჩემი მძიმე წარსული, რაც თქვენს მოთხრობაშია აღწერილი.

რედაქციის მდივანი

იმის ცხოვრება ხომ ნამდვილად სახედრის მარტვილობა იყო. ფანატიკურად იყო შეყვარებული გაზეთზე, წლიდან წლამდე ყოველ დღე მარტოდმარტო ავსებდა მის გვერდებს, დილიდან საღამომდე რედაქციაში მუშაობდა, ღამეს კი სტამბაში ატარებდა და იმდენსაც არ ღებულობდა, რომ მაძღრისად ეჭამა და ზამთარში თბილად ჩაეცვა. ბოლოს მიაფურთხა გაზეთს, საერთოდ ყველაფერს, ეჩმიაწინს წავიდა, ბერად აღიკვეცა, შემდეგ არქიელად ეკურთხა, დაიწყო წერილების წერა ჟურნალ „არარატში“, კინაღამ ეპისკოპოსობა და ეპარქიის უფროსობა მიიღო, სტომაქი, ცოტა არ იყოს, გამოებერა და გარდაიცვალა როგორც უცნობი და დავიწყებული ადამიანი.

მომღერალი ჯაფინიანი

ბოლოს გამოირკვა, რომ ამ გაფუყული სახელის კაცი დიდი უნიჭო ყოფილა, სმენაც კი არა ჰქონია, და როგორც მალე ამაღლდა სახაზი-

---

* მე-19 საუკუნის დამლევს მეფის ნაცვლად კავკასიაში თავადი გოლიცინი იყო. მისი ბატონობის დროს სომხებს ავიწროებდნენ, დაიხურა სომხური სკოლები, იდევნებოდა სომხური კულტურა.

ნო თეატრების სცენაზე, თავისი მართლაც მძლავრი ხმის წყალობით, ისევე სწრაფად ჩამოვარდა ძირს. ჯაფინიანს არ დავიწყებია თავისი წინანდელი დიაკვნობა და ხანდახან თავის ამა თუ იმ გარდაცვლილ ძეგობარს დაკრძალვის დროს კამეჩისებური ხმით „საუკუნო განსვენებას“ შეაწევს ხოლმე მიცვალებულის ახლობლების პატივსაცემად, რითაც გულს უჩუყებს მათ (მეტადრე ქალებს) და ცხარე ცრემლებს აფრქვევინებს. ცილინდრმა, წითელმა ჰალსტუხმა, მოზრდილი ბრილიანტით, და მაღალქუსლიანმა პრიალა ფეხსაცმელებმა რა ხანია ჭირი მოგჭამათ. მიუხედავად თავისი ასაკისა — დაახლოებით სამოცდახუთი წლისაა, ჯერ კიდევ ყოჩაღადაა და ახლა შეგიძლიათ ნახოთ მოლოპრილ თავზე შოფრის კეპით, უბრალო ბლუზით და დაკერებული ფეხსაცმელებით. დღენიადაგ დაძრწის სხვადასხვა კოოპერატიულ მაღაზიებში, რომ რამდენიმე კილო კარტოფილი მიიტანოს შინ ტილოს პარკით, რომელსაც ყოველ შემთხვევისათვის მუდამ თან დაატარებს. ამბობენ, თავს კერძო სიმღერის გაკვეთილებით ირჩენსო.

სახლის პატრონი

ჩემი წერილის მთავარი მიზანი სწორედ ეს არის. მინდა განსაკუთრებით შევჩერდე მასზე და თქვენი ყურადღებაც სწორედ აქეთკენ მივაპყრო. შარშანწინ გარდაიცვალა. დაახლოებით სამოცდაათი წლის ასაკში. მისი სახით საფლავში ჩაესვენა ჩვენი ფუფუნებამოყირჭებული ბურჟუაზიის ერთ-ერთი უკანასკნელი ტიპიური წარმომადგენელი. მისი ცხოვრების მარტივი დახასიათება რევოლუციამდე და შემდეგ ახალი მოთხრობის მასალას მოგცემდათ თქვენ. მისი ცხოვრების აღწერას ამ წერილთან ერთად გადმოგზავნილ ჩემს რვეულში იპოვნით.

თქვენი პატრიკიანი

დავით ფომიჩ ალამიროვი

(პატრიკიანის რვეული)

შუატანის, ჯმუხი, ჩასხმული, ძალზე მკვირცხლი ვაჟკაცი იყო, მუდამ კოხტად იცვამდა, ნაცრისფერი შაპო* ცოტა გვერდზე ეხურა,

* შაპო (ფ რ ა ნ გ.) — ქუდი.

თითები ბეჭდებით ჰქონდა დამშვენებული. ერთი მათგანი, მოზრდილ-ბრილიანტიანი, ცეცხლივით ელვარებდა. ფეხსაცმელებზე გვერდზე შესაკრავ თეთრ გამაშებს ხმარობდა. ზამთარ-ზაფხულ ნაცრისფერ ხელთათმანებს ატარებდა, მაგრამ მხოლოდ მარცხენა ხელზე იცვამდა, მარჯვენა ხელისა ისე ეჭირა. ალბათ, ბეჭდები თუ უშლიდა ჩაცმას. დადიოდა სწრაფი და მტკიცე ნაბიჯით, მოკაუჭებული ხელჯოხი მკლავზე ეკიდა. ყვითელი პირისახე, გეგონებოდათ ბრინჯაოსაგან აქვს ჩამოსხმულიო, ფენა-ფენა ღრმა ნაოჭებს დაეფარა თვალებთან და პირის კიდეებთან. ბრინჯაოსფერი სახით და მეტადრე თვალების მახვილი და სერიოზული გამოხედვით ენერგიული, მტკიცე ნებისყოფის ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. არ ვიცი რატომ, ძალიან მეშინოდა იმისი სახისა და გამოხედვისა, როცა ბინის ქირას დროზე ვერ ვუხდიდი და ამის გამო ან თვითონ ჩამოდიოდა ჩემთან, ან თავისთან მიძახდა, თუმცა არასოდეს ზრდილობის საზღვარს არ გადავიდოდა, ლაპარაკი მაინც მრისხანე და გამყინავი იცოდა.

ქალაქში იცნობდნენ საპნის ქარხნის მეპატრონედ. გარდა ამისა, რამდენიმე დიდი სახლი ჰქონდა, სავაჭრო დუქნებით. ერთ-ერთი სახლი სასტუმროს წარმოადგენდა. აქტიური წევრი იყო რამდენიმე აქციონერული ამხანაგობისა. ერთი ასეთი ამხანაგობა თვითონ დააარსა ბაქოში ნავთის საბადოების აღმოჩენის მიზნით.

თავისი სიმდიდრისა და სახელის წყალობით ყველა საზოგადოებრივ არჩევნებში პირველი კანდიდატთაგანი იყო და მხარს უჭერდა კადეტების პარტიას... ამგვარად, ერთდაიმავე დროს, იგი ქალაქის საბჭოს წევრიც იყო, ბანკის დირექტორიც, კლუბის უფროსიც, საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის წევრიც, სკოლის მზრუნველიც, ეკლესიის მამასახლისიც, და კიდევ... ვინ იცის რა არა. საკვირველი ის იყო, რომ თავისი დაუდეგარი ენერგიის წყალობით ყველგან ასწრებდა. ის სახლი, სადაც დავით ფომიჩი ცხოვრობდა, ორსართულიანი იყო და ქალაქის ყველაზე დასახლებულ სავაჭრო ქუჩაზე მდებარეობდა. მთელი ზემო სართული მსახურთა ოთახებით, სამზარეულოთი, აბანოთი, სათავსოებით სახლის პატრონს ეკავა, ხოლო ქვემო სართული ქუჩაში გამავალი ფართო და მაღალი დუქნებით, მთლიანად გაქირავებული ჰქონდა განთქმულ ვაჭრებზე, რომლებიც აქვე, ეზოში ცხოვრობდნენ. ისინი ყველა ცნობილი ვაჭრები იყვნენ, ზოგი ძვირფასი თვალ-მარგალიტით ვაჭრობდა, ზოგს საფუნთუშე ჰქონდა მოწყო-

ბილი, ერთ დუქანში ოპტიკური ხელსაწყოები იყიდებოდა, მეორეში აფთიაქი იყო, მესამეში—საუკეთესო ხილის ფარდული. ეზოში მობინადრეთაგან ყველაზე ღარიბი მე ვიყავი, ერთი ბებია ქალი თავისი მოხუცებული დედით და წვრილშვილიანი ებრაელი დედაკაცი, რომელიც ეზოს ჭიშკართან რკინა-კავეულით ვაჭრობდა — კლიტეები, მაკრატლები, დანები, საათები და სხვა. ამ საბრალო ღარიბ-ღატაკთა ბინებში ყველაზე ცუდი ოთახი ჩემი იყო — ნესტიანი, ბნელი, საერთო საპირფარეშოებთან მიკრული. სირცხვილიც იყო ოთახი ეწოდებინა ვინმეს, ადრე იგი სახლის პატრონის საქათმეს წარმოადგენდა თურმე, აუარებელ ქათმებს ინახავდა ოჯახისთვის (კუჭის რომელიღაც ავადმყოფობის გამო ექიმებს აეკრძალათ ქათმის ხორცის გარდა სხვა ხორცის ჭამა), მაგრამ ვინაიდან ქათმების სკინტლის სუნს მდგმურები შეეწუხებინა, ამიტომ დავით ფომიჩს ქათმებისთვის სპეციალური ადგილი გამოეძებნა სხვენში, ყოფილი საქათმე კი ოთახად გადაუკეთებია და იმ პირქუშ დროში მე მომაქირავა.

დავით ფომიჩის ოჯახი დიდი არ იყო — თვითონ, მეუღლე და ქალვაჟი. ორივე შვილს შინ ასწავლიდა დაწყებული მუსიკით, გიმნაზიის სრული კურსით დამთავრებული. ფრანგული ენის მასწავლებელი ქალიც ცალკე ჰყავდა. ერთხანს სომხური ენის სწავლებაც მოისურვა, რისთვისაც მე მიმიწვია, მაგრამ როგორც ვაჟმა, ისე გოგონამ კატეგორიული უარი განაცხადეს იმ მოტივით, ჯერ ერთი, სომხური ძალიან ძნელი ენაო, მეორეც, რაში გამოგვადგება ეგ „კროების“ ენაო (ოჯახში ლაპარაკობდნენ რუსულად და ფრანგულად).

ქალიშვილი ძალზე შეუხედავი იყო, მამასავით ყვითელი და უთუოდ ავადმყოფი. სისტემატურად, კვირაში ორჯერ, ექიმი დაიარებოდა მათ ოჯახში. მშობლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ქალიშვილის მუსიკალურ სმენას, თუ ვინიცობაა, ქუჩაში, ან ეზოში შეარღნე ან გარმონზე დამკვრელი გამოჩნდებოდა, მათი მსახურები მაშინვე გადევნიდნენ, რომ ქალიშვილის სმენა არ შებღალულიყო „ველური“ ხმებისგან.

ვაჟი, ძალზე სანდომიანი, ცქვიტი და ანცი ყმაწვილი იყო, იგი არ წააგავდა არც მამას, არც დედას და, რაც მთავარია, არც თავის დაიკოს, ამიტომაც ყველას უყვარდა, ყველა ეფერებოდა, ეალერსებოდა. საერთოდ, პირმიცემული იყო და სახლში ყველა ოინბაზობას სჩადიოდა. ჯერ ოცი წლისაც არ იქნებოდა, მაგრამ გიმნაზიის მთელ კურსს უკვე

დამთავრებულად თვლიდა და სწავლა აღარ უნდოდა. ჯიბე მუდამ ფულით ჰქონდა სავსე და როგორც მოეპრიანებოდა, ისე ფლანგავდა. რამდენჯერმე დიდი „სკანდალის“ გამო დაეპატიმრებინათ, მაგრამ მამის წყალობით განთავისუფლებულიყო. ქუჩაში რომ გავიდოდა, ქუდს კეფაზე გადაიგდებდა და შუბლზე გადმოვარცხნილი ლამაზი ხუჭუჭა თმა მოუჩანდა.

რაღა სათქმელია, რომ დავით ფომიჩი, როგორც შეძლებული კაცი, ძალიან მდიდრულად ცხოვრობდა. ყოველ ზაფხულს ოჯახით საზღვარგარეთ მიდიოდა, იქიდან ისეთი ნივთები ჩამოჰქონდა, ყველა სახტად რჩებოდა. იმ ნივთების უმეტესი ნაწილი უბრალო ხარახურა იყო, — მაგიდაზე ან ბუხრის რაფაზე დასაწყობი საგნები — უცნაური ფორმის და კონსტრუქციის საათები, ალბომები, ლარნაკები და სხვა. ერთხელ ძალზე ლამაზი მსუბუქი მანქანაც ჩამოიტანა, რომლითაც ოჯახის წევრებთან ერთად დასეირნობდა ხოლმე. მაგრამ ყველაზე თვალწარმტაცი ლუდოვიკოს — არ ვიცი რომლის — სტილით დამზადებული ავეჯი იყო, რომელიც პარიზში თავის სადარბაზო ოთახისთვის შეეკვეთა. ბაქიბუქით ამბობდა, მარტო მაგიდა, დივანი და ორი სავარძელი ათიათასი მანეთი დამიჯდაო. ძალიან უყვარდა მეგობრების წრეში იმ ეპიზოდის მოყოლა, პარიზში ყოფნის დროს რომ გადახდენოდათ.

— ერთ საღამოს ბულონის ტყეში ვისხედით. იცით, ალბათ, ამ ტყეში როგორი საზოგადოება დადის სასეირნოდ — მდიდარი, წარჩინებული ხალხი. ჩემმა ცოლმა უყურა, უყურა, მერე ღრმად ამოიოხრა და თქვა: „ეჰ, ჩვენც ვიტყვით ვცხოვრობთო და ესენიც!“.

მოვიდა თავზარდამცემი ომი. ერთადერთი ზარალი, რაც დავით ფომიჩმა განიცადა, ის იყო, რომ სამხედრო საჭიროებისათვის მსუბუქი მანქანა ჩამოართვეს. ძალიან გულნატკენი დარჩა დავით ფომიჩი, მაგრამ რა ექნა! მას ერთი სხვა დარდიც აწუხებდა, შეიძლება შვილი ჯარში გაეწვიათ და სასაკლაოზე წაეყვანათ. ეს საშიშროება რომ თავიდან აეცილებინა, შვილი სასწრაფოდ იუნკერთა სასწავლებელში მოაწყო და ისე მოახერხა, რომ ომის დამთავრებამდე ზურგში დატოვა, თვითონ კი, როგორც „ცნობილი საზოგადო მოღვაწე“, საქალაქო გაერთიანებაში რომელიღაც დიდი თანამდებობა დაიკავა და მისთვის ნაცნობი ფანდებით კარგა მოითბო ხელი. მაგრამ, როცა თურქებმა სარიყამიშ-არდაჰანის ფრონტი გაარღვიეს და თბილისისკენ აპირებდნენ გამოლაშქრებას, დავით ფომიჩი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ნიკოლოზ

II-ის კვალდაკვალ, ოჯახით ჩრდილოეთისაკენ რომ გაიქცა, საიდანაც მასამდე არ დაბრუნდა, ვიდრე თურქებს არზრუმისკენ არ დაახევინეს და კავკასიის ფრონტი სავსებით არ უზრუნველყვეს.

თურქების დამარცხებამ ისე აღაფრთოვანა დავით ფომიჩი, რომ დაუცხრომლად დაიწყო მონაწილეობის მიღება სომეხ მოხალისეთა რაზმების შექმნისათვის საჭირო ფონდის—„ერთი სომეხი — ერთი ოქრო“ — შეგროვებაში. ხოლო როცა ანდრანიკს გენერალ-მაიორის წოდება ებოძა, ამის აღსანიშნავად დავით ფომიჩმა მდიდრული წვეულება გამართა.

კავკასიის ფრონტზე რუსული ჯარების ზედიზედ მოპოვებულ წარმატებებს დავით ფომიჩი საერთოდ სომეხ მოხალისეთა რაზმებს მიაწერდა. მამულის მოყვარეობის საღერღელაშლილი ისე გაფუყული დადიოდა, ვინც უყურებდა, უმალ ახსენდებოდა კრილოვის არაკიდან ბუზი, სახნავიდან მომავალი ხარის რქაზე რომ იჯდა და ტრაბახობდა: „ჩვენც ვხნავდითო“.

შემდეგ მოხდა თებერვლის რევოლუცია, და დავით ფომიჩს ცოტა ცივი წყალი გადაესხა, მაგრამ ერთი ბეწვიც არ დაჰკლებია. იმ დროს, როცა ჩვენ სიმინდის ან ქერის პურს ძლივს ვშოულობდით, დავით ფომიჩის ოჯახი ფრანგულ ფუნთუშებს მიირთმევდა.

მაგრამ აი, უეცრად პეტროგრადიდან ოქტომბრის გუგუნმა ძოაღწია, და დავით ფომიჩს უნებლიეთ გასცრა სხეულში გაურკვეველი ძომავლისადმი შიშის გამო. იმ მომავლის წინაკარი აღმოჩნდა კავკასიის ფრონტის გაშიშვლება და თურქების შეტევაზე გადმოსვლა. შიშით დაზაფრული დავით ფომიჩი თავისი ოჯახით ხელმეორედ გაიხიზნა ჩრდილო კავკასიაში. იქიდან იმ დროს დაბრუნდა, როცა ინგლისელებს თურქები და გერმანელები გაერეკათ, ამიერკავკასიაში დამკვიდრებულიყვნენ თავიანთი უნიფხო შოტლანდიელებით, ინდური ხურძით, აუარებელი ჯორებით და „დაჰყავი და იბატონე“ პოლიტიკას ატარებდნენ. ინგლისელების ბატონობის დროსაც დავით ფომიჩი ცუდად არ გრძნობდა თავს. მაღალი წოდების ზოგიერთ საბჭედრო პირებთან შეგობრობდა კიდეც და ხშირად სტუმრად მოჰყავდა სახლში.

იყო ერთი მომენტი, როცა იმედოვნებდა — დაშნაკელები სომხეთში მალე ფინანსთა მინისტრის თანამდებობაზე მიიწვევდნენ, მაგრამ გულის წუხილით შეიტყო, რომ ოქტომბერი ჩრდილოეთიდან უკვე ბაქოში მობრძანებულიყო. შერე ხმა დაირხა, ერევანში შისულაო და შა-

ლე თბილისში ამოჰყოფს თავსო. ეს ამბები ისე სწრაფად და თავბრუ-დამხვევი სიჩქარით ხდებოდა, რომ დავით ფომიჩმა თავისი საქმეების მოგვარება ვერ მოასწრო, მხოლოდ ის მოახერხა, რომ ცოლი, ქალიშვილი და ვაჟი ინგლისელებთან ერთად საზღვარგარეთ გააგზავნა, თვითონ კი აქ დარჩა, რომ საქმეები მოეგვარებინა და ხელსაყრელ წუთებში თავისიანებს კვალდაკვალ მიჰყოლოდა.

ეს ხელსაყრელი წუთი უნდა ყოფილიყო ბოლშევიკების თბილისში შემოსვლის წინა დღე. როგორც შემდეგ თვითონ დავით ფომიჩი მოგვიყვა, მეგობარი ინგლისელი, რომელიც აქ დარჩენილიყო მენშევიკების მრჩევლად, დავით ფომიჩს შეჰპირებოდა, თან წაგიყვანო, მაგრამ პანიკით შეპყრობილს ან დავიწყებოდა, ან დრო არა ჰქონდა შეეტყობინებინა მისთვის და მენშევიკებთან ერთად ორი დღით ადრე გაქცეულიყო. ეტყობა, ბოლშევიკების თბილისში შემოსვლის დღე ზუსტად ვერ განესაზღვრა.

ამრიგად, დავით ფომიჩს ინგლისზე ჰქონდა იმედი დამყარებული, ღამე მშვიდად სძინებია, მაგრამ თებერვლის სუსხიან დილას რომ ამდგარა, უნახია, ოქტომბერი უკვე თბილისშია, ხოლო აღარც ინგლისელი ჩანდა და აღარც მენშევიკი. თავი ხაფანგში მომწყვდეული თავგვივით უგრძვნია, თურმე აქეთ-იქით ეხეთქებოდა, რკინის სიმებზე დრუნჩის მიხლა-მოხლით სულ გასისხლიანებულა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს დარწმუნებულა, რომ ხსნა აღარ იყო და თვალებგადმოკარკლული გარდუვალი აღსასრულის მოლოდინში ყოფილა.

აღსასრული კი მართლაც უახლოვდებოდა, პირველად ნელ-ნელა, შემდეგ უფრო სწრაფი და მტკიცე ნაბიჯით.

პირველ ყოვლისა, გაცამტვერდა ქალაქის საბჭო, ბანკი, საკრებულო, აქციონერთა ამხანაგობები — ეს ყველაფერი სიზმარივით გაიფანტა და დავით ფომიჩმა თავი წყლიდან ხმელეთზე გადმოგდებული თევზივით იგრძნო. შემდეგ თანმიმდევრობით ჰაერში გაიფანტა მისი პირადი ქონება: პირველ რიგში საპნის ქარხნის ნაციონალიზაცია მოახდინეს, მერე სასტუმროს, შემდეგ ერთი სახლის, მეორის, მესამის, და ბოლოს ჯერი მიდგა იმ სახლზე, სადაც თვითონ და ჩვენი ეზოს ბინადრები ვცხოვრობდით.

ყველაზე მეტად ამ სახლზე ფიქრისას ცახცახებდა, რადგან მარტო ოთახების მოწყობილობა, ძვირფასი ავეჯი ერთ რამედ ღირდა, ის კი ვერაფრის გადამალვას ვერ ახერხებდა. რაც ოქრო, ვერცხლი და ძვირ-

ფასი ნივთები ჰქონდა, ოთახის ერთ განჯინაში მოეთავსებინა, და საგანგებოდ მოემზადებინა საზღვარგარეთ გასაგზავნად, მაგრამ არ დასცალდა. ეს ყველაფერი გამოირკვა იმისი გარდაცვალების შემდეგ, როცა სახლის შეკეთება დაიწყეს.

ᲡᲐᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ, ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝᲡ, დანარჩენი სახლების ნაციონალიზაციის შემდეგ უნდოდა ეს უკანასკნელი სახლი მაინც როგორმე გადაერჩინა და სირაქლემას „გაიძვერობას“ მიმართა: პირველ ყოვლისა, საგარეო შესასვლელზე გაკრული თუნუქის ფირფიტა, რომელზეც ოქროს ასოებით იმისი სახელი და გვარი ეწერა, ჩამოგლიჯა, მერე კარებზე გაყვანილი ელექტრონის ქსელი მოშალა, კარები მაგრად ჩაკეტა და ეზოდან დაიწყო სიარული. ქუჩის მხარეს ყველა ფანჯარა და დარაბა ნიადაგ დახურული ჰქონდა. ყველა მსახური დაითხოვა. დღე არასოდეს შინ არ იყო, დილაადრიან მიდიოდა, ვინ იცის სად, და გვიან ღამე ბრუნდებოდა. ისედაც ბრინჯაოსფერი სახე მთლად გაუყვითლდა, ნაოჭები უფრო მოშვებოდა და პარკებივით ეკიდა, შაპოს გვერდზე აღარ იხურავდა, თვალებზე ჰქონდა ჩამოფხატული, ბეჭდები სადღაც გამქრალიყო, მაგრამ ხელჯოხს და ხელთათმანებს ძველებურად ატარებდა. წინათ ეზოს ბინადართ ან ნაცნობებს გამოელაპარაკებოდა ხოლმე, მაგრამ ახლა მდუმარედ ესალმებოდა და ისევე ჩუმად გაივლიდა.

ᲑᲝᲚᲝᲝᲝᲓ, ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲬᲔᲡᲘᲗ, ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲡᲐᲮᲚᲡᲐᲪ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲦᲐᲪ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲚᲓᲐ. ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲗᲕᲔᲡ ᲝᲗᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲚᲣᲓᲕᲘᲙᲝᲡ ᲡᲢᲘᲚᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲕᲐᲠᲫᲚᲔᲑᲘ. ᲠᲝᲪᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲤᲝᲛᲘᲩᲛᲐ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲠᲔ, ᲞᲐᲢᲘᲕᲘ, ᲓᲐ ᲗᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲨᲔᲣᲠᲘᲒᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲓᲒᲝᲛᲠᲔᲝᲑᲐᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜᲚᲐ ᲓᲐᲛᲘᲛᲔᲒᲝᲑᲠᲓᲐ, ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲛᲘᲜᲐᲮᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲓᲐ ᲩᲘᲕᲘᲚᲘᲗ ᲛᲔᲣᲑᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲮᲐᲜᲔᲑᲨᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲕᲬᲣᲮᲓᲘ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲐᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲛᲔᲒᲝᲜᲐ ᲗᲣ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚ ᲑᲘᲜᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲕᲔᲯᲡᲐᲪ ᲩᲐᲛᲝᲛᲐᲠᲗᲛᲔᲕᲔᲓᲜᲔᲜᲝ.

— ᲗᲝᲠᲔᲛ, — ᲓᲐᲣᲛᲐᲢᲔᲑᲓᲐ, — ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲠᲝᲛ ᲛᲪᲝᲓᲜᲝᲓᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲔᲠᲗ ᲑᲔᲭᲕᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲕᲣᲨᲕᲔᲑᲓᲘ, ᲗᲕᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲡᲐᲧᲠᲔᲚ ᲑᲔᲭᲕᲡ. ᲚᲐᲠᲘᲑᲘ ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲔᲑᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲧᲐᲕᲡ, ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲒᲐᲕᲣᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲓᲘ, ᲗᲘᲗᲝᲗ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲛᲘᲕᲪᲔᲛᲓᲘ, ᲗᲥᲕᲔᲜ ᲛᲝᲒᲪᲔᲛᲓᲘᲗ, ᲛᲔᲔᲖᲝᲕᲔᲡ, ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲫᲐᲦᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲦᲝᲠᲡ ᲕᲐᲩᲣᲥᲔᲑᲓᲘ, ᲝᲦᲝᲜᲓ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲩᲔᲛᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲚ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲕᲔᲯᲡ.

დავით ფომიჩს ნება დართეს თავისი საჭიროებისათვის აეღო ყველაზე საჭირო ნივთები, ტანსაცმელი და მიუჩინეს სამზარეულოს გვერდით ის ოთახი, სადაც წინათ ღამეს ათევდნენ მზარეული და მსახურები. თავდაპირველად ეს დამცირება დავით ფომიჩმა შეუდრეკლად გადაიტანა, თუმცა გულის სიღრმემდე ნაწყენი იყო. უწინდელივით ყოველ დილას სადღაც მიდიოდა და გვიან ღამით ბრუნდებოდა. არავის ელაპარაკებოდა, არც ესალმებოდა. იმის ოთახის გვერდით — სამზარეულოში—ცხოვრობდნენ დაწესებულების ორი მსახური — შიკრიკი მეუღლით. იგი ოთახებს ალაგებდა და დაწესებულების მოსამსახურეებს ჩაის უმზადებდა. დავით ფომიჩს მეზობლები ვერ აეტანა და უფრო იმათ გაურბოდა.

ამის შემდეგ უკანასკნელ წლამდე ამ სახლში ბევრი ცვლილება მოხდა; ერთი დაწესებულების ნაცვლად მეორე მოვიდა, მერე ესეც წავიდა, სახლი საბოლოოდ „ეკატს“* გადაეცა. დუქნები მუშკოპმა დაიკავა, კერძო ვაჭრები განდევნილ იქნენ თავიანთი ბინებიდან, მათ ოთახებში მუშები ჩასახლდნენ, სხვათა შორის, — დავით ფომიჩის საპნის ქარხნის რამდენიმე მუშა ცოლ-შვილით; ზემო სართულში დაბინავდნენ პასუხისმგებელი საბჭოთა მოსამსახურეები, ხოლო დავით ფომიჩი ზემოდან ქვემოთ გამოისტუმრეს და ჩემს ყოფილ ოთახში მოათავსეს, უფრო სწორად, თავის ძველ საქათმეში, საიდანაც მე, ცოლის შერთვის შემდეგ, რა ხანია, იმავე ეზოში, უფრო კარგ ბინაში ვიყავი გადასული.

ეს შეურაცხყოფა კი ვეღარ აიტანა დავით ფომიჩმა, ამპარტავან გულში დაგროვილი შეურაცხყოფისა და დამცირების შხამი ერთიანად ამოანთხია. სასტიკად განრისხდა, ცოფებსა ყრიდა, ჩასისხლიანებულ თვალებს აბრიალებდა, ფეხებს აბაკუნებდა, იმუქრებოდა, მე მაგათ ვაჩვენებ სეირს, წავალ, ვუჩივლებ სადაც ჯერ არსო, მაგრამ იმის მუქარას მხოლოდ სიცილით პასუხობდნენ, და იქვე ჩააგონებდნენ, ეხლა აღარც პრისტავი არის, აღარც გუბერნატორი, სადაც გინდა იჩივლო, ყველგან ჩვენსავით მუშებს შეხვდები და ისინიც სასაცილოდ აგიგდებენო, ამიტომ ურჩევდნენ, უმჯობესია ჩუმად იყავ, შენს ტყავში დაეტიე, თუ არ გინდა ეს ბინაც დაკარგო და ქუჩაში დარჩეო.

ამ რჩევა-დარიგების შემდეგ დავით ფომიჩი თუმცა დაჩუმდა, მაგ-

* ეკატი — ბინის დაქირავების კოოპერატიული ამხანაგობა.

რამ თავის ტყავში მაინც ვერ დაეტია. რამდენიმე დღე გაუჩინარდა, სულ არ გამოჩენილა. სად იყო, რას აკეთებდა — არავინ იცოდა. მხოლოდ ერთ დილას მოვკარი თვალი, თავის საქათმეში დაფუსფუსებდა. ჩემს შეკითხვაზე, დავით ფომიჩი რას აკეთებს-მეთქი, მეეზოვე პოღოსმა სიცილით მიპასუხა:

— რა უნდა გააკეთოს, თავის ხარა-ხურას აწესრიგებს. ნათქვამია, რო მოშივა — შეჭამსო.

ამჟამად, როგორც ამბობენ, იგი ერთბაშად მოტეხილი ჩანდა, დაბერებული, წელში მოხრილი. ისე მაგრად ამოედოთ ლაგამი, რომ თავის აწევის ძალა აღარ შესწევდა. მოყვითალო სახე თანდათან უშავდებოდა, მუდამ კოხტად გაპარსულ პირისახეს უხეში თეთრ-შავი ბალანი უფარავდა, უწინდელი ლამაზი დაუთოებული ტანისამოსი დაჭმუჭვნოდა და ზედ ჩამოზეთილი საჭმელების კვალი აჩნდა, მშვენიერი შაპოს ნაცვლად თავზე რაღაც უბრალო ქუდი ედო.

ხანდახან, ღამღამობით, მის ფანჯარასთან გავლის დროს, ნახავდით მაგიდას უჯდა, ცხვირზე სათვალე ეკეთა, რაღაცას წერდა. ალბათ, საზღვარგარეთ თავის ოჯახის წევრებს წერილებს უგზავნიდა. მაგრამ უფრო ხშირად საზოგადო ბაღში ნახავდით, თავისავით გახუნებულ ნაკაცარებთან, ერთ მივარდინლ კუთხეში მშვიდად მოსაუბრეს. ბაღის ეს კუთხე მათი თავშეყრის ადგილი იყო, სადაც ყოველ დღე ერთსა და იმავე საათებში მოდიოდნენ, მიჩენილ მერხზე სხდებოდნენ ერთმანეთის პირდაპირ, იგონებდნენ წარსულ დღეებს და აწმყოსა და მომავალზე წინასწარმეტყველებდნენ. მათ შორის იყო ერთი ყოფილი გენერალი, ოდესღაც წითელსარჩულიანი უეპოლეტებო მაზარით, ერთი პოლკოვნიკი, სამოქალაქო იაფფასიანი პალტოთი, ჩინოვნიკის მოძველებულქუდიანი მოხელე, რომელსაც კოკარდის ადგილას გახუნებული მაუდის ლურჯ ფონზე ნახვრეტი თეთრად მოუჩანდა. ამ ანტიკურ სამყაროს ეკუთვნოდნენ ყოფილი დიდი კომერციული სახლის წარმომადგენლები, ნოტარიუსი, მოსამართლე, ბორსის ერთი მაკლერი და ოდესღაც მდიდარი მრევლის მღვდელი. მას ანაფორა გაეხადა, პალტო ჩაეცვა, მაგრამ წვერ-ულვაში გაეშვა და მიცვალებულთა კურთხევის დღეებში სასაფლაოზე გარბოდა, თუმცა საფლავის კურთხევით დიდად არ აწუხებდნენ.

ერთხელ დავით ფომიჩს მეეზოვე პოღოსა გამოეგზავნა ჩემს მეუღლესთან და დაებარებინა, ნემსი და ძაფი ვათხოვეო. როცა ვკითხე,

რად უნდა-მეთქი, პოღოსმა მიპასუხა, შარვალზე ღილი უნდა დაიკერო.

— ძაფი ავაგეო, — თქვა მან, — მაგრამ თვალი აღარ მიჭრის და დავკარგეო. — ახია მაგაზე, — გულიანად დაუმატა მეეზოვემ. ცოლ-შვილს ზაგრანიცაში რადა გზავნიდა? ბალშევიკები ხომ არ შესჭამდნენ იმათ? საცა თვითონ იქნებოდა, ისინიც იქა ჰყოლოდა. ეგ საქმეა განა, რომ შინ ღილის დამკერებელიც არა ჰყავს? მარტოდმარტო დარჩა ბაიყუშივით. ცუდი კაცი იყო და ცუდადაც ითვლის თავის უკანასკნელ დღეებს. ოცი წელი ძაღლივით მიმსახურა მუქთად. რამდენი ვეხვეწე, ვემუდარე, ერთი ოთახი მომეცი, სარდაფიდან ცოლ-შვილს ამოვიყვან, სინათლის ღირსს გავხდი-მეთქი, მაგრამ არა ქნა და არა, სულ ამას გაიძახოდა, შენი შვილების აყალმაყალის თავი არა მაქვსო. ძალიან კარგია, რომ იქიდან იფრინეს და თაგვის სოროში შეაძვრინეს. დაე გაიგოს ჩვენისთანების ყადრი. მაგრამ რაღა დროს? წარსული უკან დარჩა და ეხლა იმ საქათმეში მოკუნტულს რო ვხედავ, მეცოდება. ხანდახან პურსა მთხოვს, ვაძლევ. პურის „კნიჟკა“ არა აქვს.

— ნუთუ მართლა პურის ფულიც არ აქვს? — გამიკვირდა.

— ე, მაწყალებელო, რას ამბობ, როგორ არ ექნება? ნათქვამია — აქლემი ისე არ დავარდება, ვირის საპალნე ვერა ზიდოსო.

— მაშ პურს შენ რაღად გთხოვს?

— უნდა გვაჩვენოს, ნახეთ, ნახეთ ბალშევიკებმა საწყალი მოხუცი რა დღეში ჩამაგდესო. ძალიან დაქოქილი ქოფაკია, ლაპარაკი ზედმეტია.

დავით ფომიჩი, ის კაცი, რომელიც წინათ მე, საწყალ მასწავლებელს, უბრალო სალამსაც არ მაძლევდა, ცდილობდა ჩემთან ნელ-ნელა დამეგობრებას. პირველად, მეტწილად ცივ და წვიმიან ამინდში, როცა ვერსად მიდიოდა, საღამოობით ჩემთან შემოივლიდა ხოლმე გასათბობად და დროის მოსაკლავად. კარგა ხანს რჩებოდა, უძილობას უჩიოდა; კითხულობდა, საერთოდ, საზღვარგარეთთან საფოსტო მიმოწერა თავისუფალია თუ არაო?.. ჩემს ცოლს ეცოდებოდა, ჩაითა და რაც ოჯახში მოგვეპოვებოდა, იმით უმასპინძლდებოდა. ჩემი კომკავშირელი ვაჟიშვილი ამას ვერ იტანდა, თუმცა, უნდა ითქვას, მეტწილად შინ არც იყო ხოლმე, საღამოობით მუშაკში დაიარებოდა და არა ხვდებოდა მას.

შემდეგ ხანებში დავით ფომიჩმა ისე მოუხშირა ჩვენთან სიარულს, რომ უკვე აუტანელი გახდა. თითქმის ყოველ დღე ჩვენი სტუმარი იყო,

და ბოლოს ჩემს ცოლსაც მობეზრდა. „ჭირი გახდა ჩვენ თავზე"? — გაიძახოდა იგი, მაგრამ მაინც პატივსა სცემდა.

დავით ფომიჩი ჩვენ სახლში ძალიან ფრთხილად ლაპარაკობდა ბოლშევიკებზე, იცოდა ჩემი უფროსი შვილი მაისის აჯანყების დროს როგორც ბოლშევიკი მსხვერპლად რომ შეეწირა, მეორე შვილიც ბოლშევიკი იყო, სამაზრო ინსტრუქტორი, უმცროსი შვილი კი — კომკავშირელი, თუმცა მას ბავშვად სთვლიდა და ყურადღებას არ აქცევდა. მაგრამ როგორც კი ძველი დარდები გაუახლდებოდა, თავს ვეღარ იკავებდა. ლანძღვა-გინებით იხსენიებდა ბოლშევიკებსაც, საბჭოთა ხელისუფლებასაც, ყველა მეფესაც და განსაკუთრებით ნიკოლოზ II-ს. გაცოფებული დავით ფომიჩი პირდაპირ საფლავიდან იღებდა და ძაღლების კერძად ხდიდა ნიკოლოზ II, კადეტებს არ დაუჯერაო, ევროპული პარლამენტური წესები და პასუხისმგებელი სამინისტრო დროზე არ შემოიღო, სახელმწიფო სათათბირო გარეკაო და სხვა.

— მას რომ თავის დროზე შეესრულებინა კადეტების მოთხოვნილებანი, — ამბობდა დავით ფომიჩი, — არც რევოლუცია მოხდებოდა, არც მენშევიკ-ბოლშევიკი იქნებოდა, არც სავეტ-მავეტი, არც ქაკტი-მაკტი და თითონაც ძაღლების კერძი არ გახდებოდა.

დავით ფომიჩი ღრმა სიძულვილით იხსენებდა მეტადრე ქაკტს და „თავის" სახლზე ჩიოდა: დღე-დღეზე ვერანდება სახლი, სახურავიდან წვეთი ჩამოდის, წვიმისაგან ღარები დაჟანგდა, დაცხავდა, ზოგიერთი კიდეც ჩამოვარდა, წვიმის წყალი კედლებზე დის და კედლები ჩამორეცხილია, შენობა ნამიანდება, მდგმურებიც უწესო, დაუდევარი ხალხია, ფანჯრების მინებს ამსხვრევენ, თუნუქის ღუმელებს ანთებენ ოთახებში, მილები ფანჯრებიდან გამოუყვიათ, კედლის კარნიზები გამურულია და სხვადასხვა, ყველაფერ ამას კი ქაკტი ყურადღებას არ აქცევსო.

— კარგი და, მერე თქვენ რა, დავით ფომიჩ? — ვუთხარი ერთხელ. როცა კვლავ დაიწყო ჩივილი, — სახლი ხომ თქვენი აღარ არის!

სიბრაზისგან ანთებული თვალებით შემომხედა, ისე, როგორიც მის ნეტარ დროს მინახავს წარსულში, როცა რაიმე საქმეზე გაშმაგდებოდა ხოლმე.

— სახლი ჩემი იყო და ჩემი იქნება, — მძიმედ დასძინა მან განსაკუთრებული მახვილის დასმით სიტყვა „ჩემზე". თან ყოველ „ჩემის" თქმაზე მაგიდაზე მაგრად დაჰკრავდა ხოლმე მუშტს.

— ეგ როგორ, დავით ფომიჩ?

— მე ვიცი, როგორც, — და „მე“ ნაცვალსახელი განსაკუთრებული იდუმალებით გაიმეორა.

— მერე და როდის, დავით ფომიჩ? — განვაგრძობდი გამოკითხვას. მე უკვე სიამოვნებას მგვრიდა იმის უაზრო მტკიცებანი.

— როცა დრო მოვა, — იმავე იდუმალებით მიპასუხა მან.

— ეგ დრო როდის მოვა?

— მალე, მალე. რადგან არ შეიძლება ქვეყანას დიდხანს განაგებდნენ ავაზაკები.

ამჯერად სიტყვა „ავაზაკები“ განსაკუთრებული სიშმაგით წარმოთქვა და ჩანდა, კვლავ აპირებდა რაღაცის თქმას, რომ უეცრად ხმაურით გაიღო მეზობელი ოთახის კარი და შემოვიდა, უფრო სწორედ, შემოვარდა ჩემი კომკავშირელი ბიჭი. ეტყობა, სახლში ყოფილიყო, ჩვენი ლაპარაკი მოესმინა მეზობელი ოთახიდან, მე კი არაფერი ვიცოდი. ასე რომ შემოვიდა და იმის ანთებულ თვალებს შევხედე, მაშინვე მივხვდი დავით ფომიჩის მიერ ნათქვამ „ავაზაკებს“ აეღელვებინა.

არც შევმცდარვარ.

ჩემი შვილი ჯიქურ მივიდა დავით ფომიჩთან, წინ დაუდგა და შეეკითხა:

— ვინ არიან ეგ „ავაზაკები“?

იმის ხმაში შეკავებული სიბრაზე და საბრძოლო ორლესული რეკდა.

დავით ფომიჩმა წარბებიდან მრისხანედ გამოხედა და წყნარად უპასუხა:

— შენ არ გელაპარაკებიან, ჯერ ბავშვი ხარ.

ჩემი ბიჭი გაცეცხლდა, გადაირია. შემეშინდა მოხუცს ხელი არ შეახოს-მეთქი.

— არა, მე მელაპარაკეთ, მე! — შეჰყვირა ახალგაზრდული თამამი ხმით. — მამაჩემი ჩაგიხელებია და იმას ელაპარაკები? გინდა ლამის გადაიბირო? მე მელაპარაკე, ჩვენ გველაპარაკე, ჩვენ, გესმის! ჩვენა ვართ — თქვენ რომ ბავშვები გგონივართ — ისინი, ვინც ანგარიშს გთხოვენ და გსჯიან თქვენ და განგსჯით მანამდე, ვიდრე დედამიწის ზურგიდან არ აღგგვით თქვენი შთამომავლობიანად. ავაზაკებიო, ამბობთ. თქვენზე დიდი ავაზაკები? თქვენ ხომ მთელი საუკუნეების მანძილზე წურბელასავით წოვდით მუშების სისხლს, მათ ნაოფლარს ით-

ვისებდით, თქვენთვის სასახლეებს იგებდით, გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდით და გათახსირებულ შთამომავლობას იმისთვის ამზადებდით, რომ თქვენი საძაგელი საქმე განეგრძო.

ცალკე მე, მეორე მხრივ ჩემი მეუღლე, რომელიც ამ ყვირილზე შემოსულიყო, ვცდილობდით შვილის დამშვიდებას, გვინდოდა გარეთ გაგვეყვანა, მაგრამ იგი მხრებით გვიგერიებდა, აქეთ-იქით გვახლიდა და სიბრაზისგან გაცეცხლებული, კომკავშირული შემართებით, მძიმე ეროსავით ურტყამდა თავის ფილიპიკებს დავით ფომიჩს — ბურჟუაზიას.

ბოლოს, როგორც იქნა, ჩემმა მეუღლემ მკლავში ჩაავლო ხელი და თითქმის ძალით გაიყვანა მეორე ოთახში.

გადავხედე დავით ფომიჩს. იგი გამოთაყვანებული შემომცქეროდა, თავს ძალუმად აკანტურებდა. მთელი სხეულით ხან შეხტებოდა, ხან გაქვავდებოდა. ამ მდგომარეობაში იყო რამდენიმე წუთი, შემდეგ წამოდგომა დააპირა, მაგრამ ერთბაშად ვერ მოახერხა, ორი ხელით დაეყრდნო მაგიდას, დამძიმებული ტანი ძლივს აიტანა და მოხუცებულის მერყევი ნაბიჯებით უსიტყვოდ გავიდა გარეთ.

ეს იყო და ეს, ამის შემდეგ ჩვენ სახლში ფეხი აღარ შემოუდგამს. როცა ჩემს შვილს ეუბაყვედურებდი, რას ჰგავს შენი საქციელი, და ვუთხარი, დავარდნილს აღარა სცემენ-მეთქი, პირდაპირ მომახალა, შემარიგებელი პოლიტიკის ადამიანი ხარო, მაგისთანებს კი მარტო ცემა არ ეყოფათ, ფეხქვეშ უნდა ჩაიგდო და გასრისო, რომ ვეღარ წამოდგნენო.

— თორემ, თუ ადგნენ, მამაჩემო, ვაი შენც, ჩვენც და იმათაც, ვინც ძლივს განთავისუფლდა ამათი მარწუხებიდან, — დაუმატა მან.

ამ შემთხვევის შემდეგ რამდენიმე თვემ გაიარა. ამ ხნის განმავლობაში იშვიათად ვხედავდით დავით ფომიჩს, წარმოიდგინეთ, ეზოშიც კი არა ჩანდა. თუ პირდაპირ შეეხვდებოდი, ისე ეჭირა თავი, ვითომ ვერ დამინახა, და გვერდს ამივლიდა. ძალიან შემომწყარალი იყო.

ერთ დღეს, როცა სადილის საჭმელად შინ დავბრუნდი, ცოლმა მითხრა, ამ რამდენიმე საათის წინ დავით ფომიჩს დამბლა დაეცა, ეს-ეს არის სასწრაფოთი საავადმყოფოში წაიყვანესო.

ამის მიზეზი უთუოდ იმდღევანდელ გაზეთებში დაბეჭდილი დეპეშა იყო, რომელიც მოსკოვიდან სააგენტოს გადმოეცა. მე იგი იმ დილით წავიკითხე. დეპეშა ეხებოდა სახელმწიფო პოლიტსამმართვე-

ლოს მიერ შეპყრობილ ტერორისტული ჯგუფის გასამართლებას. ამ ჯგუფის მონაწილეები, რომლებსაც სხვადასხვა დროს ყალბი პასპორტებით გადმოელახათ საზღვარი, გამოგზავნილი იყვნენ საზღვარგარეთ მოქმედ რუსი მონარქისტების ორგანიზაციისაგან ტერორისტული აქტების მოსახდენად და ჯაშუშობისათვის. გასამართლების შემდეგ მათ მიესაჯათ სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. დეპეშაში სათითაოდ მოხსენებული იყო დახვრეტილების სახელი, გვარი და ვინაობა. მათში ერია აგრეთვე დავით ფომიჩის შვილი, ყოფილი იუნკერი. ამ გაზეთის ნომერი დავით ფომიჩს ხელში სჭეროდა, როცა დამბლა დაეცა.

საღილის დროს ჩვენი ლაპარაკის თემა ეს შემთხვევა იყო.

— ნახე, მამა, ვის იცავდი? — მომახალა კომკავშირელმა ბიჭმა.

გამეცინა. არ ვიცი საიდან მოუფრინდა ეს აზრი, რომ მე ვიცავდი დავით ფომიჩს, საერთოდ იმისთანებს და მათ გველურ შთამომავლობას!..

ცნობისმოყვარეობამ წამძლია და ერთხელ საავადმყოფოში წავედი დავით ფომიჩის სანახავად.

დამბლას სხეულის ნახევარი წაერთმია მარცხენა მხრიდან მარცხენა ფეხამდე. სახე ისე დაღრეჯოდა, ძლივს ვიცანი. მარჯვენა თვალი დაპატარავებოდა, ხოლო მარცხენა ისე გადიდებოდა და დამახინჯებოდა, რომ შემზარავი სანახავი იყო. თვალის კაკალი ქუთუთოებიდან ამოწეულიყო, ირგვლივ ბუნდოვანი თეთრი გარსი ერტყა, მაგრად მოხარშული კვერცხის ცილასავით და სულ გაქვავებოდა. ნახევარი პირი მაღლა აბრეცოდა, ნახევარი ძირს ჩამოვარდნოდა და დორბლი სდიოდა. ვეღარ ლაპარაკობდა, თითო-ოროლა სიტყვას ამოთქვამდა, ისიც გაუგებარს. როცა ვკითხე, რა გინდა-ბეთქი ძლივს წამოილუღლუღა:

— სსკ-ლი... სსკ-ლი...

რომ გაეგებინებინა, რა უნდოდა, მარჯვენა თვალი დახუჭა, ხელი ასწია. მივხვდი, უნდოდა ეთქვა — „სიკვდილი, სიკვდილი“. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ კვლავ ამოილუღლუღა:

— რო... მო... ვ.. კ... დე... ტ... რ... ტ... ით... და... მ... ხე...

დიდხანს ვერ მივუხვდი. მანაც დიდხანს იწვალა, სანამ სხვადასხვა ნიშნებით ძლივს გამაგებინა, რის თქმა უნდოდა: „როცა მოვკვდე, ტერტერით დამმარხეთო“...

— დავით ფომიჩ, — მივუგე, — როგორც ვიცი, თქვენ ლიბერალი კაცი ხართ, ტერტერ-მერტერს არა სცნობდით, თუმცა ეკლესიის მამასახლისი იყავით. ეგ როგორ მოხდა, მღვდლით რომ გინდა დაიმარხოთ, მერე ეხლა, როცა მღვდლით და წირვა-ლოცვით არავინ იმარხება?

დახუჭული თვალი უეცრად აეხილა, მრისხანების მსგავსმა რაღაცამ გაიელვა მის სახეზე და დამბლისაგან წართმეულმა ენამ მოულოდნელად ჩქარ-ჩქარა წაილუღლუღა:

— ბ... ბო, ჯი... ბრ, ბ... ბოჯი... ბრ... — ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვების აზრიც გამაგებინა, მას უნდოდა ეთქვა: ბოლშევიკების ჯიბრზე, ბოლშევიკების ჯიბრზეო...

რატომ ეგონა, მღვდლით თუ დაიმარხებოდა, ამით ბოლშევიკების ჯავრს იყრიდა — საიდუმლოდ დარჩა.

საავადმყოფოში ამ ერთი შეხვედრის შემდეგ, დავით ფომიჩი ველარა ვნახე.

რამდენიმე დღე ეცოცხლა. როდის მოკვდა, როგორ და სად დამარხეს — არავინ იცოდა.

მხოლოდ ერთ დღეს გამოჩნდნენ ვიღაც მემკვიდრეები, ალბათ, ის ღარიბი ნათესავები, რომელთაც დავით ფომიჩმა ვერ უნაწილა, ან, უფრო სწორედ, არ მოისურვა გაენაწილებინა თავის ბინის ავეჯი. — მოვიდნენ, იმისი ოთახის დალუქული კარი გააღებინეს და რაც იყო, წაიღეს. ამ ავეჯში იყო აგრეთვე ერთი დიდი სკივრი, შიგ ეწყო საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი საუკეთესო კოსტუმები, რომელთაგან ზოგი ჩაუცმელიც იყო.

რამდენად სიმართლეა, არ ვიცი, მხოლოდ ამბობდნენ და ამტკიცებდნენ კიდეც, ამ სკივრის ცალკე საიდუმლო კუთხეში ოქროს მრგვალი თუმნიანები იპოვნესო.

ფიქრობენ, ის ოქროები „ერთი სომეხი — ერთი ოქროს“ ფონდიდან აწაპნილი ქონება უნდა ყოფილიყო, რომელიც დავით ფომიჩს „შავი დღისთვის“ შემოენახა.

ასე იცხოვრა და ასე მოკვდა ძველი ქვეყნის ერთი იმ მოჰიკანთაგანი, რომლებიც, ახალი ცხოვრების მიერ ასპარეზიდან განდევნილნი, ყოველდღე, ერთ და იმავე საათებში საზოგადო ბალის ყრუ კუთხეში იკრიბებოდნენ სალაპარაკოდ — იგონებდნენ გარდასულ დღეებს და მარჩიელობდნენ აწმყო-მომავალზე.

ჩვენი უგანი

როგორ განკურნეს

დიდი ქალაქის ერთი განაპირა უბანი. მარადიული ნაგვით მოფენილი ოღროჩოღრო ქუჩები, რომლებიც ვიწრო გასასვლელებით ერთმანეთს ჯვარედინად კვეთენ, ანდა ბრმა მათხოვარივით სადღაც კედელს აწყდებიან. ერთიმეორეზე მიყრილი, პატარ-პატარა ქოხმახები, რომლებიც ისე არიან მოფამფალებული, ლამის გამვლელს თავზე ჩამოენგრნენ. დაბალი, პატარა სარკმელები — ნახევრად მინიანი, ნახევრად ქაღალდაკრული, დამპალი კარ-შესასვლელები, მიწური ბანები, ზამთარში თოვლის სიმძიმეს რომ ძლივს უძლებენ, გაზაფხულზე მწვანე ბალახით იფარებიან, წვიმიან ამინდში კი წყალს ატარებენ, და საბრალო მცხოვრებლებს აიძულებენ თავი შეაფარონ წალოებს, კარფანჯრების კუთხეებს, ან ფალას-ფულასი წამოიხურონ.

ერთ-ერთ ასეთ ქოხში ცხოვრობდა ფეიქარი თოროსი. ეს ქოხი სხვა ბინებისაგან იმით გამოირჩეოდა, რომ კედლები ნახევრად ალიზით იყო ამოშენებული (თიხისა და ბზის ნარევი) და სახურავზე ერდო ჰქონდა, რომელიც დაფარული იყო გატეხილი ქვევრის ზემო ნაწილით. ფეიქარ თოროსის დაზგა სწორედ ამის ქვეშ იდგა და ზამთრობით ერდოდან ჩამოსულ სინათლეზე მუშაობდა, რადგან ქოხის ერთადერთი ფანჯარა ძალზე პატარა და თანაც დაზგიდან კარგა მოშორებით იყო.

ერთ დროს ძალიან მხნე ხელოსანი, ფეიქარი თოროსი, მიუჯდებოდა ხოლმე თავის მამა-პაპურ დაზგას, ფეხებს ორმოში ჩაუშვებდა, მაქოებს ერთი ხელიდან მეორეში ინაცვლებდა, და დილიდან შუაღამემდე ქოხის იდუმალ სიჩუმეში ჯარას განუწყვეტელი ხრიალი გაისმოდა. ამჟამად იგი ძალზე დაბერებულიყო, წელში მოხრილიყო, კუზები ამოჩროდა, თეთრი წვერი მკერდამდე ჩამოზრდოდა, დიდრონი

წარბები მიმქრალ თვალებზე ჩამოფხატოდა, ხელები უკანკალებდა, უხელჯოხოდ ვეღარ დადიოდა. აღარ ახსოვდა, რა დროიდან მიეცა იმისი დაზგა „ღრმა ძილს“, ჩონჩხივით გაშეშებული იდგა ერდოს ქვეშ, ბოძთან, დავიწყებოდა რა დღიდან მიაგდო კუთხეში ბორბალმოღრეცილი ჯარა, ფიქრობდა და ვერ იგონებდა, რა დროიდან ეყარა მტვერში მასრები ბნელი კედლის ძირას — იმ თუნუქის ლამპასთან ერთად, რომელიც ღამღამობით დაზგასთან ბოლავდა.

ისიც კი აღარ ახსოვდა, როდის გარდაეცვალა მეუღლე, რომელთანაც რამდენიმე შვილი შეეძინა და მათგან ერთიღა იყო ცოცხალი. ის ერთი შვილი, ახლა ოცდაათი წლის ქალი, გახლდათ იმისი ერთადერთი ნუგეში ამ ღრმა მოხუცებულობის დროს. ამ ქალს სახელად მართა ერქვა. იგი საკუთარი შრომით აცხოვრებდა მოხუცებულ მამას, აჭმევდა, ასმევდა, აცმევდა. მხოლოდ იმიტომ არ გათხოვდა, რომ მამა უპატრონოდ არ დარჩენილიყო. მართა, უბნის ქალებთან ერთად, საშუშაოს სახლში ღებულობდა თერძებისგან და მთელი დღე შეუსვენებლივ მუშაობდა, ქსოვდა, ღებავდა, ჩარხს ატრიალებდა. მაშინაც კი მუშაობდა, როცა ზოგჯერ მეზობელ ქალებთან იჯდა — ართავდა, ან ძაფს ახვევდა; სახლში ხომ, დაზგის წინ ტახტზე ფეხმორთხმული, ხელს არ გააჩერებდა.

გასაოცარი ქალი იყო მართა. სიცილი და მხიარულება თითქმის უცხო იყო მისთვის. მუდამ დინჯად ეჭირა თავი, ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, ყოველთვის ფხიზელი, სერიოზული და ჩაფიქრებული იყო, გეგონებოდათ რაღაცას დაეძებს და ვერ უპოვიაო. ჯერ კიდევ დედის სიცოცხლის დროიდან მოსდგამდა უკიდურესი ღვთისმოსაობა და ყოველგვარი ცრუ აზრებისადმი რწმენა, ყველა წმინდანი სწამდა და მათ წინაშე მოკრძალება და თაყვანისცემა სჩვეოდა. ამ წმინდანებში ყველაზე მეტად წმინდა გიორგის ეთაყვანებოდა, ზამთარ-ზაფხულ ყოველ კვირაძალზე მიდიოდა ეკლესიაში სალოცავად, ხოლო ყოველი წლის შემოდგომაზე ამ წმინდანის სახელზე მთელი კვირა მარხულობდა, პირში არაფერს იდებდა, წყალსაც კი არა სვამდა, სანამ მეშვიდე დღეს არ ეზიარებოდა. ერთხელ, მარხულობის დროს, ისე ავად გახდა, კინაღამ მოკვდა, მიუხედავად ამისა, მაინც თავისი არ დაიშალა — მარხვას კვლავ ინახავდა.

უდიდესი მოკრძალებით ინახავდა აგრეთვე დიდ მარხვასაც, ხოლო აღდგომიდან ამაღლებამდე ორშაბათობით არ მუშაობდა, კუჭის-

აშლილობა არ გავრცელდეს და ყანები სეტყვამ არ დააზიანოსო. ასე იქცეოდნენ მისი მშობლები და არც მართა ღალატობდა ამ ტრადიციას.

მართას სწამდა დევების, ეშმაკების, ალებისა და ქაჯების არსებობა, თილისმებისა და ხალხური შელოცვების ძალა. სიზმარში ნახული ყოველი ცხოველი ან საგანი, მისი აზრით, ან კარგის, ან ცუდის მომასწავებელი იყო, და ბევრად თავს არ იწუხებდა, თუ სიზმრები არ სრულდებოდნენ.

ბავშვობისას დედისაგან გაეგო, რომ ყოველი ადამიანის მარჯვენა მხარზე ანგელოზი ზის, მარცხენაზე კი — ეშმაკი, ესენი ერთმანეთს ეჩხუბებიან, ანგელოზს კაცი სიკეთისკენ მიჰყავს, ეშმაკს — ბოროტებისაკენ, ამიტომ დაძინების დროს მუდამ მარცხენა მხარეზე უნდა დაწვე, რომ ეშმაკი ქვეშ მოყვეს და დაითრგუნოსო. მართა მუდამ ასეც იქცეოდა, დარწმუნებული იყო, რომ მარცხენა მხარეს დაწოლით ეშმაკს ამარცხებდა და კეთილ ანგელოზს ახარებდა.

• • •

გაზაფხულის ერთ-ერთ ბოლო დღეს ჭლექისაგან გარდაიცვალა თოროსაანთ შორეული ნათესავი ბიჭი, სახელად დარჩო. მართა წაიყვანეს ჭირისუფლებისათვის ძაძების შეკერვაში დასახმარებლად. სამი დღე-ღამე დარჩა მართა მიცვალებულიანთ ოჯახში და შინ დაბრუნდა დაკრძალვის დღეს უკვე შემოღამებულზე, როცა ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. მამა შვილზე ადრე დაბრუნებულიყო, ქოხის ზღურბლზე იჯდა და მართას ელოდებოდა.

მართა ქოხში შევიდა ლამპის ასანთებად, მაგრამ შედგა ფეხი თუ არა, ისე შეჰკივლა, გეგონებოდათ გველმა უკბინაო.

ამ საზარელმა კივილმა ახალგაზრდასავით წამოახტუნა მოხუცი მამა და ქოხში შეაგდო. ქალიშვილი მაგრა მოეხვია მოხუცს.

— ვაიმე, მამიჯან, ძაღლები! კატები! — შემაძრწუნებელი ხმით შესძახა მართამ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისე მაგრა ჩაეკრა მამას, თითქოს დახმარებას სთხოვდა.

მამამ, რომელიც ძლივს აკავებდა მართას, ხელი გადაუსვა თავზე და ძალზე შეცბუნებული შეეკითხა:

— მართაჯან, რას ამბობ?

— ძაღლები, კატები, — გაიმეორა მართამ, და მამამ იგრძნო, რომ ქალიშვილი მთელი სხეულით ცახცახებდა.

— რა ძაღლი, რის კატა, შვილო?

— აგერ... ხორცს გლეჯენ...

— რა ხორცი? სად?

— აგერ... ტახტის ქვეშ, ტახტის ქვეშ...

მოხუცმა ძლივს გაითავისუფლა თავი ქალის მკლავებისაგან, სიბნელეში ხელის ფათურით მიუახლოვდა მაგიდას, რომ ლამპა აენთო, მაგრამ ხელები უკანკალებდა, თანაც ქალიშვილი გვერდიდან არ შორდებოდა, შიშმორეული, ძალუმად ეკვროდა და საშუალებას არ აძლევდა თავისუფლად ემოქმედნა. ბოლოს, დიდიხნის ხელის ფათურის შემდეგ, ძლივს იპოვა ასანთი, როგორც იქნა, ლამპა აანთო და მის შუქზე ქალიშვილს რომ შეხედა, გაკვირვებისგან გაქვავდა; მართას პირისახე მოღრეცოდა, დამახინჯებოდა, თვალები გადმოკარკლოდა, უგუნური გამომეტყველება ჰქონდა, ფერდაკარგული იყო და ფოთოლივით ცახცახებდა.

— მართაჯან, ეგ რა დაგმართია? — უნებლიედ წამოიძახა მოხუცმა სუსტი, აკანკალებული ხმით, — რად კანკალებ?

— ძაღლები, მამიჯან, კატები... აბა შეხედე, ხორცს როგორა გლეჯენ... ტახტის ქვეშ, — შეშინებული იმეორებდა მართა და ხელს ტახტისაკენ იშვერდა.

— ღმერთი, რჯული, შვილო, აქ ძაღლი და კატა არ არის, გელანდება, — პირჯვარი გადასწერა მოხუცმა. მაგრამ მართა კვლავ თავისას იმეორებდა, მამას მაგრად ეკვროდა და შიშით შეპყრობილი თვალს არ არიდებდა ტახტს.

მოხუცმა ქალიშვილისაგან ძლივს გაითავისუფლა თავი, აკანკალებული ხელით აიღო ლამპა, მიუახლოვდა ტახტს, ლამპა ძირს დადგა, ფარდაგის კალთა ასწია და შეიხედა.

— აბა, შენც შეიხედე, სად არის აქ ძაღლი და კატა? — მიმართა მოხუცმა მართას.

მართამ ადგილზე ჩაიმუხლა, თვალებდაჭყეტილმა შორიდან შეიხედა ტახტის ქვეშ, სადაც გარდა თიხის საცეცხლურისა, რასაც ზამთარში ქურსუს ქვეშ ხმარობდნენ ხოლმე, შეშის საჭრელი ცულისა და ცოცხის მეტი სხვა არაფერი იყო.

— არ არის? — გაბმით იკითხა მან.

— არ არის, მაშა! ხომ გეუბნებოდი, გეჩვენება-მეთქი...

ბოხუცმა ფარდაგის კალთა ჩამოუშვა, ლამპა აიღო და მაგიდაზე დადგა.

— დაჯექი, შვილო, დაჯექი. ცოტა ცივი წყალი დალიე, შეშინებული ხარ.

აიღო წყლის ჯამი, მივიდა კედელთან, ნახევრად მიწაში ჩაფლული ქვევრიდან წყალი ამოიღო და ქალიშვილს წინ დაუდგა.

მაგრამ მართამ ხელი არ ახლო. ახლა უკვე დამშვიდებული იჯდა, თავი ხელებში ჩაერგო, ერთ წერტილს მიშტერებოდა, თითქოს რაღაც ფიქრებს თავს უყრიდა.

— ჩვენი ტახტის ქვეშ არა, — ამოილუღლუღა მართამ დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ. — იმათი ტახტის ქვეშ... ხალხი რომ წავიდა, დედამ მითხრა. ტახტის ქვეშიდან მოზვრის ხორცი გამოიღე და ბანჯინაში შეინახეო. როცა დავიღუნე ხორცის გამოსაღებად, ვნახე, ხორცს ძაღლები და კატები დასეოდნენ და გლეჯდნენ... ისე შემეშინდა... ისე შემეშინდა, რომ...

— რა მოზვრის ხორცი? — შეეკითხა მოხუცი.

— დარჩოიანი რომ ზრდიდნენ... იმ სამღვთოსი. ბოლნისში უნდა წაეყვანათ და წმინდა გიორგის კარზე დაეკლათ, რომ დარჩო გამოჯანსაღებულიყო.

— ქელეხში ის მოზვერი დაკლეს?

— მაშ.

— ვაი! ვაი! — თავის ქნევით თქვა მოხუცმა. — მერე და, მართლა ძაღლები და კატები დასეოდნენ?

— რა ვიცი... შიშისაგან გული წამსვლია... მითხრეს, ვერაფერიც ვერა ვნახეთ, მოგლანდებიაო...

— მოგლანდებია, მაშ, აი როგორც ეხლა, — დაუმატა მოხუცმა. — ადე, შვილო ადე, ლოგინი გაშალე, დავიძინოთ. სამი დღე გაწვალდებოდი, ძალზე დაღლილი იქნები. აი მეც მეძინება.

და სრულიად დამშვიდებულმა მოხუცმა დაამთქნარა.

* * *

რამდენიმე დღეს მართას ყოფა-ცხოვრებაში რაიმე უცნაურობა არავის შეუნიშნავს. ჩვეულებისამებრ დილაადრიან დგებოდა, პატარა ჩაიდანს დადგამდა, ლოგინს ალაგებდა, ტახტსა და იატაკს ჰგვიდა,

ყველაფერს აუფთავებდა, მერე სამუშაოს ჩაუჯდებოდა. სახამ ჩაიდანი ადუღდებოდა. შემდეგ მამასთან ერთად ხმის ამოუღებლად ჩაის სვამდა ხმელა პურით, და ისევ განაგრძობდა მუშაობას საღილობამდე, საღამომდე. იმ დღიდან, რაც მართა უცნაურად მოიქცა, მამა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა შვილს და ამჩნევდა, რომ მართა მუშაობის დროს თავის თავს ელაპარაკებოდა, სახეს ბანუკავდა, ხან იცინოდა, ყოველ მიზეზს გარეშე. ზოგჯერ მგლოვიარესავით კვნესოდა, ტიროდა. ერთ დღესაც, როცა მოხუცი ოთახში შემოვიდა, დაინახა, რომ მართას ტახტი გამოეწია და ცულით მიწურ იატაკს თხრიდა.

— მართა, რას შვრები? — შეეკითხა გაოცებული და შეშინებული მოხუცი.

— ვიღებ... ვიღებ, — მიუგო მართამ და ცული ძალუმად დაჰკრა იატაკს.

— რას იღებ?

— მოზვერს...

— რა მოზვერს?

— სამლვთო მოზვერს... დიახ, სამლვთო მოზვერს... წმინდა გიორგის მოზვერს... რამდენი ხანია ზმუის... ცოდო არ არის?.. ცოდო არ არის?.. გაგონილა ძაღლებმა და კატებმა დაგლიჯონ?..

ლაპარაკობდა და თან ხვნეშით თხრიდა იატაკს, ირგვლივ ფანტავდა მიწას.

მოხუცი ადგილზე გაქვავდა, უყურა, უყურა, მერე შეჰყვირა „ვაიმეო“, ორივე ხელი თავში შემოირტყა და გარეთ გავარდა მეზობლების დასაძახებლად.

რამდენიმე წუთში მთელი უბანი აყაყანდა, „თოროსაანთ მართა გაგიჟებულაო“. დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი, — ყველას საქმე ეფეტოვებინა და ფაციფუცით მოსულიყვნენ გიჟის სანახავად. თოროსაანთ ქოხთან შიგნით თუ გარეთ ნემსი არ ჩავარდებოდა, იმდენ ხალხს მოეყარა თავი. ყველა ცდილობდა როგორმე შემძვრალიყო შიგნით. ქუჩაში აურზაური იდგა.

მართა ამ თხრილ მიწაზე იჯდა ცულით ხელში, შეშლილის უაზრო მზერით უყურებდა შიგნით შემოსულ ქალებსა და ბავშვებს, ტუჩებს განუწყვეტლივ იკვნეტდა, კაბის კალთას თითებზე იხვევდა, იხსნიდა და იხვევდა. მდუმარედ იჯდა, კრინტს არ სძრავდა, მაშინაც კი დუმდა,

როცა სალაპარაკოდ იწვევდნენ. რამდენიმე გულადმა სცადა ცული წაერთმია, უნდოდათ აეყენებინათ, მაგრამ მართამ ცული ლაჯებში ჩაიდო, მთელი სხეულით მოიკუნტა და იმ ბავშვივით აქვითინდა, სათამაშოს წართმევას რომ დაუპირებენ.

ტახტის ბოლოს მოკუნტული იჯდა მოხუცი მამა, ზურგზე კუზი აჩნდა, თეთრი წვერი მუხლებში ჩაერგო და მწარედ ქვითინებდა.

ქოხში მოგროვილი ქალები მოხუცსა და მის გაგიჟებულ ქალიშვილს რომ უყურებდნენ, ცოდვისაგან იწვოდნენ, ისინიც ტიროდნენ. ადგილიდან არავინ იძროდა, მაგრამ ისე იყვნენ შეშინებულნი, მართას სულ ოდნავ რომ წამოეწია, არ გვეცესო — ქუდმოგლეჯილი გარეთ გარბოდნენ.

ის ქალები კი, რომლებმაც ქოხში შესვლა ვერ მოახერხეს, ასე საუბრობდნენ:

— ქალო ნატო, ნეტა რისგან შეიშალა ჭკუაზე? ეფომ თქვა, დარჩოს სულთამხუთავ ანგელოზს დაურტყამსო, ნეტა თუ მართალია?

— რა ვიცი, ზოგი რას ამბობს, ზოგი რას! სხვები კი ამბობენ, ბოლნისის წმ. გიორგის შეუკრავსო.

— უი, ვენაცვალე იმის ძალას! ამ საბრალოს ნეტა რას ერჩის?

— ამბობენ, დარჩოანთ ტახტის ქვეშ ძაღლები და კატები მოსჩვენებიაო.

— მართალია, მართალი, — გულგრილად ჩაერია ლაპარაკში ხანში შესული დედაკაცი, რომელიც ყველაზე გვიან მოსულიყო და თან წინდას ქსოვდა. — ცხონებულ დარჩოს სულელ დედას ბოლნისის წმ. გიორგისათვის შეთქმული მოზვერი დარჩოს ქელეხში დაუკვლევინებია და სამღვთოს დარიგების ნაცვლად ხაშლამა მიუტანია ქელეხში. მაშ ჭკუათმყოფელი ადამიანი ამნაირ სისულელეს ჩაიდენდა? ადამიანი რომ სულელი იქნება, სულელია, მორჩა და გათავდა! იმ ხაშლამიდან ქელეხში რაც უჭამიათ, უჭამიათ, დანარჩენი ტახტის ქვეშ შეუნახია. იმ დღეს, როცა ხალხი წასულ-წამოსულა, დარჩოს დედას მართასათვის უთქვამს, ხორცი ტახტის ქვეშიდან გამოიღე და განჯინაში შეინახეო. მართა რომ დაღუნულა ხორცის გამოსაღებად, დაუნახავს, ხორცს ძაღლები და კატები მისევიან და ფლეთენ, გლეჯენ. მართას შიშისაგან გული შეწუხებია. ყველა მისცვივნია, წყალი უსხამთ, ყურები უწევიათ, რის ვაი-ვაგლახით მოუსულიერებიათ. აი საქმე ესე ყოფილა, თუ მართალი გინდათ.

— მაშ ძაღლი და კატა არა ყოფილა?
— ძაღლი და კატა არა, ფეხები! მოსჩვენებია.

• • •

უბნის დედაკაცების წასვლის შემდეგ თოროსის შორიახლო ნათესავი ქალები შეგრიგვდნენ და ბჭობა გამართეს როგორ მოქცეულიყვნენ, რომ მართასათვის ეშველათ. ამ თავყრილობას თავმჯდომარეობდა მეზობელ ხარაზ პეტოს ქვრივი დედაკაცი — ოსანა, რომელიც განთქმული მოლაპარაკე იყო და იმის მონაწილეობის გარეშე უბანში არაფერი კეთდებოდა. ოსანას წინადადებით გადაწყვიტეს მიეშართათ ტერტერას სიძე მკითხავ და ექიმბაშ გრიგორისათვის, რომელიც სახელგანთქმული იყო ცრუმორწმუნე ხალხში. იმდენი ლეგენდები არსებობდა ამ მკითხავისა და ექიმბაშის შეესახებ, წლის რა დროსაც და კვირის რა დღესაც უნდა მისულიყავით, იმის მისაღები ოთახი ხალხით იყო სავსე. მერე და, ვინ არ მოდიოდა, რა ერის და მილეთის ხალხი არ გინდოდა, ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა. მეტ წილად, რასაკვირველია, ქალები. ისინი საათობით რიგში იდგნენ და ელოდებოდნენ მიღებას. ასეთ პირობებში იოლი როდი იყო იმისი ადგილიდან დაძვრა თუ წინასწარ კარგ გასამრჯელოს არ დაპირდებოდი. თოროსას სამკვდრო ცოტაოდენი გროშები ჰქონდა შემონახული, დანარჩენი ნათესავებმა დაუმატეს, მრგვალი თანხა ოსანას გადასცეს და მკითხავ გრიგორისთან გაგზავნეს.

მკითხავმა ჯერ იუარა, გასამრჯელო მცირე ეჩვენა, თქვა, დრო არა მაქვსო, მაგრამ ბოლოს, ოსანას ქაქანს ვერსად გაექცა, დაეთანხმა და შეპირდა, ხვალ ნასადილევს შემოვივლი ავადმყოფის სანახავადო.

დაახლოებით ორმოცი წლის ჩასუქებული კაცი იყო იგი, წვრილი მომღიმარი თვალებით, მრგვალი, სუფთად გაპარსული წითური სახით. პიჯაკის ქვეშ ყვითელი ჩესუჩის ახალუხი ეცვა, ოქოსფერი ვიწრო ქამარშემოჭერილი და ხელში მუდამ ქარვის კრიალოსანი ეჭირა, რომლის თვლებს ერთი ბოლოდან მეორე ბოლოსკენ მარცვლავდა.

მეორე დღეს, ნასადილევს, მან შეასრულა დაპირება და ოსანას წინამძღოლობით ავადმყოფთან მოვიდა. მსუქან პირსახეზე, გამომეტყველებაზე, ცოტა გვერდზე დახურულ ქუდქვეშ მომღიმარ თვალებზე ეტყობოდა, რომ კარგა ნაჭამ-ნასვამი იყო.

მოვიდა და უბანი ხელახლა აყაყანდა, ამჯერად უფრო მეტი ცნობისმოყვარეობით, ვიდრე გუშინ, როცა პირველად ხმა დაირხა, მართა კაგიეფდაო. უბნის ქალები ერთმანეთს გადასძახოდნენ, თან მირბოდნენ, ზოგნი ძუძუმწოვარა ბავშვებით, ზოგნი ფეხშიშველა, ზოგს სიჩქარისაგან ერთ ფეხზე წაბოეცვა ჩუსტი, მეორე დავიწყებოდა, ზოგი სახელდახელოდ ჩაცმულ ჩუსტებს მიაფრატუნებდა, ზოგი თავშლის წვერებს გზაში ისკვნიდა, ღილებს იკრავდა. უმეტესობა უბნის ბავშვები იყვნენ, რომლებიც, თითქმის ტიტველები და ფეხშიშველა, ხტუნვა-ხტუნვით მორბოდნენ.

წინა დღესვე, ტახტის ადგილიდან დაძრისა და მიწის აბოთხრის შემდეგ, მართა დადინჯდა, ენა მუცელში ჩაიგდო და ჩუმად იყო. ახლაც, მკითხავ გრიგორის შესვლისას, იგი ისევ წყნარად იჯდა ტახტზე. იდაყვები მუხლებზე დაეყრდნო, თავი ხელის გულზე დაედო და ფანჯრიდან გაშტერებული იმზირებოდა გარეთ, თითქოს ღრმა ფიქრებშია წასულიო. გრიგორს მოკრძალებით შესთავაზეს ქოხის ორი ძველებური სკამიდან ერთ-ერთი. მკითხავი დაჯდა და დაწვრილებით დაიწყო გამოკითხვა. თანაუბნელები ერთმანეთს არ აცლიდნენ, ზოგი თავიდან, ზოგი ბოლოდან ყვებოდა მართას ამბავს.

გრიგორი იჯდა ქუდი კეფაზე მოეგდო, სკამის ზურგს მიყრდნობოდა, ხელები გულზე დაეკრიფა, კრიალოსანს მარცვლავდა, უსმენდა და თან ხან მართას გადახედავდა, რომელიც უძრავად იჯდა, ხან კარებისკენ იხედებოდა, საიდანაც ჩუმად, ერთმანეთის ხელის კვრით, ჩურჩულით შემოდიოდნენ უბნის ქალები და ერთი მეორის ზურგს უკან დგებოდნენ.

როცა გაეცნო მდგომარეობას, გრიგორი წამოდგა, სკამი მიაჩოჩა და მართას წინ ჩამოჯდა.

მართა გაინძრა, გასწორდა, დაშვებული წარბებიდან გამოხედა მკითხავს, მერე უეცრად წარბები აზიდა, ენა გამოუყო, ტაში შემოჰკრა და კისკისი დაიწყო.

შეშლილის ამ საქციელზე სეირის საყურებლად მოსულ ქალებსაც სიცილ-ხარხარი აუვარდათ.

გრიგორმა არავითარი ყურადღება არ მიაქცია გიჟის ამ საქციელს, კრიალოსანი მშვიდად ჩაიდო ახალუხის ჯიბეში, მეორე ჯიბიდან აბრეშუმის ცხვირსახოცში ფაქიზად შეხვეული რაღაცა ამოიღო და ნელნელა გახსნა. ეს სიძველისა და ხმარებისგან გაცვეთილ-გაჭუჭყიანებუ-

ლი ტყავისყდიანი პატარა სქელი წიგნი იყო, რომელსაც იგი „სოლომონის წიგნს“ უწოდებდა. დიდხანს ფურცლავდა. ბოლოს ერთ ადგილზე შეჩერდა და ჩუმად დაიწყო კითხვა.

ოდნავი ჩურჩულიც კი მიწყდა. ყველა სმენად გადაიქცა.

მართაც უწინდელივით დუმდა, წარბები დაეშვა და უაზროდ უყურებდა გრიგორის ტუჩებს. მაგრამ ორიოდე წუთის შემდეგ მართამ უეცრად მუხლებზე დაირტყა ხელები, სწრაფად წამოხტა, ტახტიდან ისკუპა და კარისაკენ გაეშურა.

გიჟი ქალის საქციელზე ქოხში გამეფებული მოლოდინით აღსავსე საზეიმო დუმილი უეცრად დაირღვა და საშინელი ხმაური ატყდა. შეშინებულმა ბრბომ ყვირილ-ღრიანცელით დაიხია კარებისაკენ, მაგრამ ოთახში იმდენი ხალხი იყო ერთმანეთზე მიჭყლეტილი, რომ ვიწრო კარებში გასვლა ვერავინ მოახერხა, გარდა ზღურბლთან შეკრებილი რამდენიმე ადამიანისა, რომლებმაც თავპირის მტვრევით მოკურცხლეს. სანამ სხვებიც მოახერხებდნენ გარეთ გასვლას, ოსანამ და რამდენიმე გულადმა ქალმა დააკავეს გიჟი. მართა ხელებზე კბენდა მათ, მაგრამ ძალით ისევ ტახტზე დასვეს, და მკითხავის ბრძანებით ორივე ხელი უკან თოკით შეუკრეს.

ქოხი დაცარიელდა, სეირის საყურებლად მოსული ქალები და ბავშვები ერთიანად გაიკრიფნენ.

— კარი ჩაკეტეთ, აღარავინ შემოუშვათ, — უბრძანა მკითხავმა, რომელსაც ახლა სერიოზული და დაფიქრებული სახე ჰქონდა. — რა ამბავია? მაიმუნს ხომ არ ათამაშებენ აქ?

კარი ჩაიკეტა, გარდა გრიგორისა, გიჟისა და იმისი მოხუცი მამისა, ქოხში დარჩნენ ოსანა და ის რამდენიმე გულადი ქალი, რომლებმაც მართა დააკავეს.

* * *

მკითხავმა გრიგორმა თავისი ადგილი დაიკავა, ისევ მართას პირდაპირ ჩამოჯდა და „სოლომონის წიგნის“ ფურცვლა დაიწყო. გიჟი აშკარად წყნარად იჯდა და არავითარ პროტესტს არ აცხადებდა ხელების გაკვრის გამო. დროდადრო ქოხში სრული სიჩუმე გამეფდებოდა ხოლმე. მხოლოდ გარედან მოისმოდა ბრბოს ერიამული და ბავშვების შე-

ძახილები. პატარა ფანჯარასთან მოჯარებული ქალების პირისახესა და ანთებულ თვალებს ისე დაებურათ ფანჯრის მინები, რომ ქოხში თითქმის ბნელოდა.

ის იყო გრიგორის ხელახლა უნდა დაეწყო სათანადო ლოცვის კითხვა-დუდუნი, რომ მართას სიგიჟის ახალი ნიშნები დაეტყო. ჯერ შეეცადა გაკრული ხელების გახსნა-გათავისუფლებას, მაგრამ როცა დაინახა, თავს ამაოდ იწუხებდა. მაშინ ფეხების ბარტყუნი, წიხლების ქნევა დაიწყო, თან იგრიხებოდა, ყვიროდა, იწყევლებოდა. გრიგორმა თავი გააქნია, წიგნი დახურა და წამოდგა.

— შეხედეთ, შეხედეთ, რას სჩადიან წყეულები! — თქვა მან იდუმალი ხმით და თვალით მართაზე ანიშნა, — ხელები გაუხსენით, ეგება დამშვიდდეს.

მართას ხელები გაუთავისუფლეს, და მართლაც დამშვიდდა, მაგრამ ამჯერად ტირილი დაიწყო.

— მაშ მე მკითხავი გრიგორი არ ვიყო, თუ თქვენ ამ საწყალი ქალის ტანჯვის ნება მოგცეთ, — წარმოთქვა გრიგორმა იმავე იდუმალი ხმით, მაგრამ ვისი მისამართით იყო ნათქვამი ეს სიტყვები, ვერავინ მიხვდა. შემდეგ ბრძანა, რომ თასით წყალი მოეტანათ.

წყალი მოუტანეს. გრიგორმა აიღო და ტახტზე მართას წინ დადგა.

— ვინმე პატარა ბავშვი იქნება, დაუძახეთ მოვიდეს.

ოსანამ კარი გააღო, თავიანთი უბნის ბავშვს ეოუხმო, რომელსაც გარდა ჭეჭყიანი პერანგისა, სხვა არაფერი ეცვა. ოსანამ ბავშვი შეიყვანა და ქოხში შემოსასვლელად მომზადებულ ქალებს კარი სწრაფად მიუხურა.

გრიგორმა ბავშვს ხელი წაავლო, მიიყვანა და დასვა იქ, სადაც თასით წყალი იდგა.

— წმინდა სანთელი არა გაქვთ? ერთი წყვილი მომიტანეთ.

თოროსმა აკანკალებული ხელით თაროდან წყვილი თაფლის სანთელი გადმოიღო, რომელთაც ყოველ კვირაძალზე თავის დაზგაზე ანთებდა ხოლმე და მკითხავს გადასცა.

გრიგორმა სანთლები აანთო, თასზე მიაკრა, მიუბრუნდა იქვე მდგომთ და დაძაბული იდუმალი გამომეტყველებით დამსწრეთ მიმართა:

— თურმე ნუ იტყვით, ამ საწყალს მუცელში ეშმაკები ჩასძრომია...

— როგორ თუ ეშმაკები? — უნებლიეთ წამოსცდათ იქ დამსწრეთ.

— ჩვეულებრივი ეშმაკები. რქებიანი და კუდებიანი, ნამდვილ ეშმაკებზე მოგახსენებთ. ხუმრობა არ გეგონოთ.

ყველანი შიშის ზარმა აიტანა, ზოგიერთმა პირჯვარიც კი გადაიწერა. მოხუცი თოროსი ადგილზე გაქვავდა: უკბილო პირი გააღო, გრძელი წვერი ააცანცარა, მოხუცებულობისაგან ისედაც დაწვრილებული კისერი უფრო წაიგრძელა და მკითხავს შეეკითხა:

— მერე?..

— მერე ის, რომ სამნი არიან, სამივე ძალზე ბოროტნი, როცა კითხვა დავიწყე, ხომ დაინახეთ, როგორ გააგიჟეს ქალი. ეშმაკებს უნდათ ეს საცოდავი წაიყვანონ, წყალში გადააგდონ.

მკითხავის ამ სიტყვებზე მოხუცმა თავის კანტურს უმატა.

— ო, შენი ჭირიმე! — ტირილით წამოიძახა მოხუცმა, — იმ ეშმაკებს ამ ქალის მუცელში რა უნდათ?

— აბა რა გეგონათ, წმ. გიორგისათვის გაზრდილი სამღვთო მოზვრის ქელეხში დაკვლა სახუმარო საქმეა? თქვენი აზრით, წმინდანი შურს იძიებს თუ არა?

— კარგი, ვენაცვალე იმის მადლსა, მაგრამ მართამ ხომ არ დააკვლევინა, ამას რადა სჯის?

— შენ რა იცი, ბიძაჯან, წმინდანი მართალსა სჯის, რომ ცოდვილები ჭკუაზე მოიყვანოს, რათა მისი საწინააღმდეგო საქმე არ ჩაიდინონ. შენ არხეინად იყავი, ნუ დარდობ, — დაუმატა გრიგორმა გამამხნევებელი ღიმილით და მხარზე ხელი დაარტყა, — მალე მოვარჩენ. მე მკითხავი გრიგორი მქვია, ეშმაკი კი არა, თვითონ სათაელიც რომ მოვიდეს, ვერ გადამირჩება. მაშ ახლა დავიწყოთ.

მან ბრძანა, ორნი მართას მოუსხედით მარჯვნივ და მარცხნივო, ვინიცობაა ეშმაკებმა მოისურვეს ხელახლა ქალის წაყვანა წყალში გადასაგდებად, დააკავეთ და არ გაუშვათ გასაქცევადო.

ოსანა და ერთი კიდევ ვიღაცა აქეთ-იქით მიუსხდნენ მართას. თოროსი ტახტის კიდეზე მოთავსდა. მართა წყნარად იჯდა, სრულიად გულგრილად, არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მის ირგვლივ რა ხდებოდა.

გრიგორმა სანთლები აანთო, წინანდელ ალაგას, სკამზე მოიკალათა, „სოლომონის წიგნი“ გახსნა და წარმოთქვა:

— მე ახლა ამ ლოცვას სამჯერ წავიკითხავ, ეშმაკები სათითაოდ გამოვლენ და წყლიან თასში ჩაცვივიან. მაგრამ ჩვენ ვერ დავინახავთ,

მარტო ეს პატარა უმანკო ბავშვი შეამჩნევს! — და თასის ახლოს ფეხმოკეცილ ბავშვს მიმართა: — ეუურე ამ წყალს, თვალი არ მოაშორო, როგორც კი დაინახო, ეშმაკები წყალში ცვივიან, მე მაცნობე. გაიგე?

ბავშვმა თავი დაიქნია, თვალები დაჭყიტა და წყალს დააცქერდა.

გრიგორმა დაბალი ხმით დაიწყო კითხვა. თან ხან მართას უყურებდა, ხან წიგნს, ხან ბავშვს. იქ მყოფთ წინასწარშეგონებულთა და ცრუმორწმუნეთა უწმინდესი მოკრძალება დაუფლებოდათ და ისე ელოდნენ სასწაულს. მაგრამ ეს სულიერი განწყობილება შინაგან შიშს უფრო წაგავდა, რადგან საქმე ეშმაკებს ეხებოდა. სასწაულის მოლოდინში ისინიც ხან მკითხავის ტუჩების მოძრაობას უყურებდნენ, ხან მართას, ხან ბავშვს, რომლის წინაშე წყლით სავსე თასი იდგა, და ნატრობდნენ, იქნება ჩვენც დავინახოთ ეშმაკებიო... არავის ფიქრად არ მოსდიოდა. ნუთუ იმდენად პატარები იყვნენ ეშმაკები, რომ თასში ჩაეტეოდნენ და ერთ მუჭა წყალში დაიხრჩობოდნენ.

მართა კი კვლავ მდუმარედ იჯდა, უძრავად და ისე სერიოზულად, რომ ეჭვსაც ვერავინ მიიტანდა თუ გიჟი იყო. თვალები ანთებული სანთლებისათვის მიეპყრო, რომლებიც მის შერყეულ ტვინში რაღაც ბნელ მოგონებებს ჰბადებდნენ იმ დროისა, როცა ჯანმრთელი იყო და, როგორც კეთილმორწმუნე, თაყვანსა სცემდა წმინდანებსა და ჯვრებს.

გარეთ შეგროვილი ბრბო უფრო და უფრო აწვებოდა ფანჯარას და საზეიმო მოლოდინში ისიც რაღაც სასწაულს ელოდებოდა ქოხიდან, სადაც მკითხავი დაბალი ხმით ლოცვანს კითხულობდა; ყველა ფიქრობდა, რომ შიგნით რაღაც იდუმალებით მოცული ამბავი ხდებოდა.

— ჰა, არ ჩაცვივდნენ? — დიდი ხნის წემდეგ მიმართა მკითხავმა ბავშვს და კითხვა შეწყვიტა.

ბავშვმა თასისათვის თვალმოუშორებლად თავით ანიშნა, არაო.

— მაგრა სხედან! — დასძინა გრიგორმა და კითხვა განაგრძო.

კიდევ ხუთმა წუთმა გაიარა.

— ჰა, კიდევ არ ჩაცვივდნენ?

— არა, — უპასუხა ბიჭმა.

იგივე კითხვა-პასუხი-მესამედ განმეორდა; საძაგელ ეშმაკებს მართას მუცლიდან გამოსვლა და წყალში ჩახრჩობა არა სურდათ.

თოროსმა, ოსანამ და დანარჩენმა დამსწრეებმა, თითქოს პირი შეუკრავთო, ერთგვარი გაკვირვებით გადახედეს ერთმანეთს. ეს მზერა,

აშკარად ჩანდა, ეპეისა და მართლმორწმუნეობის პირველი სხივი იყო, რომელმაც ელვასავით გაიბრწყინა მათ ბნელ გონებაში.

გრიგორმა უმალვე იგრძნო ეს და სანამ საკუთარ შინაგან დაბნეულობას სძლევდა — არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, როგორ ღაღწია თავი ამ უსიამოვნო ვითარებისაგან — უეცრად მართა მივარდა, სანთლები ჩააქრო და მაღალი ხმით დაიწყო სიცილი, გიჟური ხარხარი.

გრიგორმა მარჯვედ ისარგებლა ამ შემთხვევით.

ნახეთ? — მწარე ღიმილით წარმოთქვა მან, — ეს მართა კი არა, ის წყეულები იყვნენ! სანთელიც ჩააქრეს, ვითომ შენს ლოცვას არაფრად ვაგდებთო... რაკი ასეა, ახლა მე ვიცი რასაც ვიზამ...

მან განკარგულება გასცა თასი წაეღოთ, „სოლომონის წიგნი“ ცხვირსახოცში შეახვია, ჯიბეში ჩაიდო და ფეხზე წაიღდგა.

— შეგიძლიათ ერთი მათრახი ან ლახტი* მიშოვოთ?

ამ უცნაურმა მოთხოვნამ ახალი განცვიფრება გამოიწვია იქ მყოფთა შორის.

— ლახტი?.. მათრახი? — იკითხეს აქეთ-იქიდან.

— ჰო, ჰო, ლახტი, ან მათრახი, სულ ერთია, რაც იქნება.

— რად გინდა? — ჰკითხა ავი წინასწარგრძნობით შეშფოთებულმა თოროსმა.

— რაო, გვერდზე მოგიჯდეთ და წვრილად გიამბოთ რად მინდა? — ანაზდეულად შეჰყვირა გრიგორმა, გაბოროტებულმა უფრო თავისი წარუმატებლობით, ვიდრე ასეთი შეკითხვებით. — გეუბნებით მინდა, იშოვეთ, თორემ, ამ წუთას ავდგები და წავალ.

და სანამ მკითხავის გულისმოსვლით შეშინებულნი ოსანა და დანარჩენები ჩურჩულით მსჯელობდნენ სად ეშოვათ ლახტი ან მათრახი, მან ხელახლა მოუთმენლად დაიღრიალა:

— აბა მალე, მე ვალდებული როდი ვარ ათი საათი გელოდოთ, სადაცაა დაღამდება.

ოსანამ მიატოვა თათბირი, საჩქაროდ მივიდა კართან: — „ესაა მივდივარ, ვიშოვიო“, — თქვა და წავიდა. მაგრამ კარგა ხანმა გაიარა, სანამ მათრახით ხელში დაბრუნდა.

გრიგორმა მათრახი ჩამოართვა და ბრძანა ყველანი გარეთ გასულიყვნენ.

---

* ლახტი — მაგრად დაგრეხილი თოკი.

ამ განკარგულებამ უფრო დააეჭვა დამსწრენი, მაგრამ არავის კრინტი არ დაუძრავს, ვერავინ გაბედა შესიტყვებოდა; გრიგორს ისეთი საშინელი გამომეტყველება ჰქონდა, რომ მასში ველარ იცნობდით დინჯ, ტკბილად მოსაუბრე მომღიმარ კაცს. მარტო თოროსმა გაბედა და შეეკითხა:

— მეცა?

— ყველა, ყველა. შენც, ეი, ძაღლის ლეკვო, — მიმართა გრიგორმა ბავშვს, რომელიც თამამად იდგა მის წინ იმის მოლოდინში, იქნებ კიდევ რაიმე ახალი დავალება მომცენო.

ყველაზე უწინ ბავშვმა მოკურცხლა, ამის შემდეგ ხმის ამოუღებლად ერთი მეორეს მიჰყვნენ თოროსი, ოსანა და სხვები.

— ეგ ხალხიც მოაშორეთ ფანჯარას, არავის ნება არ დართოთ შემოიხედოს, — ყვირილით მიადევნა გრიგორმა და კარი მიუხურა.

* * *

მეტისმეტი მოუსვენრობით აფორიაქებული და ბნელი ეჭვებით შეპყრობილი თოროსი იქვე კართან მიწაში ჩაფლულ ლოდზე ჩამოჯდა, გრძელი, თეთრი წვერი მუხლებშუა ჩაბღუჯა, დაფიქრებული ოსანა კი ფანჯარასთან მოჯარებულ ხალხს ერეკებოდა, თან ნაწყვეტ-ნაწყვეტ პასუხებს აძლევდა უამრავ შეკითხვებზე.

ასეთივე შეკითხვებს აძლევდნენ იმ პატარა ბიჭსა და ქალებს, რომლებიც ქოხიდან გამოვიდნენ. ეშმაკების ხსენება შიშის ზარს სცემდა ხალხს, ზოგნი პირჯვარსაც იწერდნენ, ზოგს შიშისაგან ენა ჩაუვარდა, მხოლოდ ურწმუნოები იწევდნენ ცხვირს და ამბობდნენ — „ეშმაკები არა, ფეხები არ გინდათო“. ცნობისმოყვარეობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, ყველა ფიქრობდა, ნეტა ქოხში რა ხდებაო.

მაგრამ იქიდან ჯერჯერობით არაფერი ისმოდა, იდუმალი სიჩუმე სუფევდა.

უეცრად ქოხიდან საშინელი ყვირილი მოისმა, რასაც გულსაკლავი ხვეწნა-მუდარა მოჰყვა.

ქუჩა წამით გაირინდა. მერე კი აურზაური ატყდა.

ოსანა, რომელიც ზურგით იყო აყუდებული ფანჯარაზე რომ იქ არავის შეეხედნა, უცბად შებრუნდა, თვალები მოიჩრდილა და ქოხში შეიხედა.

ბრბო უეცრად მიიჭრა ფანჯარასთან.

ქოხიდან განუწყვეტლივ მოისმოდა ყვირილი, რაც თანდათან ძლიერდებოდა. დროდადრო რაღაც ყრუ დარტყმის ხმა გამოდიოდა, თითქოს წკეპლით ფარდაგსა ბერტყავენო. ყოველ დარტყმაზე მკითხავი გაიძახოდა: „თქვი ეშმაკების სახელი, თქვი ეშმაკების სახელიო“...

— ვაი, დამიბრმავდეს თვალები, ქალო, მათრაზითა სცემს, — შეჰკივლა ოსანამ და სახე უფრო მიუახლოვა მინას.

— ჰო, ჰო, ქალებო, — გამოეხმაურა ოსანას ერთი სხვა ქალიც, რომელიც თვალებდაქუეტილი შიგნით იყურებოდა. — ვაი, ვაი, თქვენი ჭირიმეთ, როგორ ურტყამს, რა უღმერთოდა სცემს... შეხედეთ, ხელფეხი თოკით შეუკრავს... უი, უი, უი, საწყალი მართა, როგორ იკლაკნება, ერთი უყურეთ, თქვენი ჭირიმეთ!..

და ველარ მოითმინა, შეებრალა საბრალო ქალი, მივარდა ფანჯარას და კაკუნი დაუწყო, მერე ხალხს მიმართა აღელვებულმა:

— ქალებო, რას გაშეშებულხართ! მიდით, კარები გააღებინეთ. მოკლა, მოკლა საწყალი ქალი...

მაგრამ, სანამ გაქვავებული ხალხი ადგილიდან დაიძვრებოდა, ოსანა მიიჭრა კართან და მუშტები დაუშინა. მას მოეხმარნენ სხვებიც და უთვალავმა ხელმა გამეტებით ბრახაბრუხი აუტეხა სიძველისაგან დაფუტუროვებულ და ბაღლინჯოთი სავსე კარს. კარის ბრახუნი, ქოხში მართას გულსაკლავი კივილი, გარეთ ბრბოს ყიჟინი, ბავშვების ჟრიამული — ეს ყველაფერი სოდომ-გომორს მოგაგონებდათ.

თოროსიც წამომდგარიყო, ირწეოდა, სხეულს ძლივს იმაგრებდა, ჭაღარა თავს სულელივით აკანტურებდა, ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს და ეკითხებოდა:

— რა ამბავია? რა მოხდა?

• • •

ამ დროს ქვრივ ოსანას ცოლ-შვილიანი ბიჭი, რომელსაც თაბახით მოვაჭრე ცაკანას ეძახდნენ, ცარიელი თაბახით ხელში და მხარზე გადაკიდებული სასწორით, პირში ჩიბუხგარჭობილი, შინ ბრუნდებოდა. იგი წამით შეჩერდა თავიანთი სახლის წინ, გულცივად გადახედა ქუჩაში მოქრიამულე ხალხს, ქალების ჩვეულებრივი ჩხუბი ეგონა,

რასაც უბანში ხშირად ხედავდა ხოლმე, მაგრამ მალე მიხვდა, ჩვეულებრივ აყალმაყალს არ ჰგავდა, რაღაც უჩვეულო ამბავი იყო. ძაშინვე თაბახი მიწაზე დადო, სასწორი მხრიდან მოიხსნა, თაბახში ჩააგდო, ჩიბუხი პირიდან გამოიღო და იქვე მდგომ ქალს შეეკითხა:

— რა ამბავია?

ძალზე აღელვებულმა ქალმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად უამბო საქმის ვითარება.

— ისე რომ ბღავის, მართაა? — შეეკითხა ცაკანა, როცა ყურადღებით მოუსმინა ქალის ნაამბობს.

— ჰო, ჰო, ჰო, მაშ, — ტირილმორეული ხმით უპასუხა ქალმა. — მოკლა საცოდავი, ცემით მოკლა. კარიც რაშდენი ხანია ჩაკეტილი აქვს, არ გვიღებს...

ცაკანამ ჩამქრალი ჩიბუხი მკლავზე დაიბერტყა, ტყავის წვრილ ქამარში აუჩქარებლად გაირჭო, და ფართო ნაბიჯით გასწია თოროსაანთ ქოხისაკენ, რომლის კარს ქალები მაგრად აბრახუნებდნენ.

— გაიწიეთ, დამანახვეთ, — თქვა მან.

ხალხი აქეთ-იქით მიდგა, გზა უტია.

თავის ძალ-ღონეში დარწმუნებული კაცის სიდინჯით იგი ძივიდა კართან, ერთი ხელი შეყო კარის ქვემოთ, სადაც წვიმისაგან დამპალი ერთი ფიცარი ჩამოვარდნილიყო, მეორე ხელი წაავლო რკინის საკეტს, ასწია, კარები ერთბაშად ძირიანად ამოგლიჯა და ქოხში გადაისროლა.

ცაკანა შევიდა. მას მიჰყვა ბრბოც.

თვალწინ ასეთი სურათი წარმოუდგათ. ხელფეხშეკრული მართა ტახტზე ეგდო, თეთრი თავშალი თავიდან მოხსნოდა, სახეზე ჩამოფხატოდა, გაწეწილ თმებქვეშ სახე აღარ მოუჩანდა.

მართა ახლა აღარა ყვიროდა, აღარც ინძრეოდა, მწარე ტკივილებისგან გულსაკლავად კვნესოდა. მის გვერდით მათრახით ხელში იდგა მკითხავი გრიგორი, დაღლილ-დაქანცული. უეცრად კარის შოგლეჯას, ბრბოს ქოხში შემოჭრას, ეტყობა, არ მოელოდა, ამიტომ გაფითრდა და ადგილზე გაქვავდა.

თოროსი ძლივს მიფრატუნდა ტახტთან, ცოცხალ-მკვდარ შვილს დაემხო და გულსაკლავად წაილუღლუღა:

— ბალა-ჯან, შვილო-ჯან...

ოსანამ და ქალებმა ისარგებლეს ცაკანას იქ ყოფნით, მისცვივდნენ შეკრულ-შებოჭილ მართას და თოკი შემოხსნეს, თან გაიძახოდნენ:

— ვაი, ამ უსულგულოს, როგორ შეუბოჭია...

ცაკანა თავისი წარმოსადეგი ტანით წინ აეტუზა შიშისაგან და დაბნეულობისაგან გაქვავებულ გრიგორს. თვალები შეკავებული მღელვარებისაგან უბრწყინავდა.

— ეს რა ჩაგიდენია? — უთხრა მან და მართაზე მიუთითა, რომელსაც ხმა თანდათან უწყდებოდა. — ასე არჩენ ავადმყოფებს?

— მაშ ლოცვამ რომ არ გასჭრა, — წაილუღლუღა გრიგორმა.

— რა ლოცვამ?

— ეშმაკების გასადევნმა ლოცვამ.

— რა ეშმაკები, ეე! მეც ხომ დედაკაცი არა ვარ, მომატყუო. ხომ არ გინდა ახლავე მატყლივით გაგწეწო! ასე უღმერთო საქმე იქნება, შენ რომ ჩაგიდენია?

— მაშ გიჟს როგორ განკურნავ?

— შენი ჭკუით, ეს გიჟია, შენ კი ჭკვიანი, რაღა! შენი ჭკუა ეს არის? ქალი იმდენი გიცემია, ლამის მოკვდეს. გაიძახი ლოცვა და ეშმაკებიო. შე ახმახო-მუდრეგო. ადამიანურ ხელობას ვერ ისწავლიდი, რომ ქალების ჯადობაზობა არ დაგეწყო! ქუდს რაღად ატარებ, წადი ლეჩაქი დაიხურე, რაღა! ფუ, შევარცხვინე ის, ვინც ვაჟკაცი დაგიძახოს. საიდან მოიგონე, მუცელში ეშმაკები ჩასძრომიაო? ერთი ვინმემ გკითხოს — ეშმაკი რა არი? საიდან ჩაძვრა, რისთვის ჩაძვრა? ვაჰ, თუ ეშმაკი გინდა, სადღა დაეძებ, აგერ შენ ეშმაკი ხარ, მა რა დარდუბალაა! ტყუილებით ხალხს ატყუებ, ფულებს იჯიბავ, ღიპს ისქელებ.

— სულ ტყუილებით, მაშ! — დაემოწმნენ ცაკანას სიტყვებით გამხნევებული ქალები.

— სწორედ მითხარი, რამდენი გამოართვი? — განაგრძო ცაკანამ, — ერთი ეგ მათრახი აქ მომე...

და ცაკანამ აღარ აცალა, გრიგორს მათრახი თვითონ გადაეცა, მივარდა, ხელიდან გამოგლიჯა და შეუტია:

— თქვი, რამდენი გამოართვი?

— ოცი მანეთი, ცაკანჯან, ოცი მანეთი, — აქეთ-იქიდან მიაძახეს ქალებმა.

— თანაც ამბობდა, ცოტა არისო, — დაუმატა ოსანამ, რომელიც სხვა ქალებთან ერთად მართას დასტრიალებდა.

— ამბობდი, ცოტაარ, ჰა? — თვალები დაუბრიალა გრიგორს და

თავი გაიქნია. — ოცი მანეთი... შე არამზადავ, მე მთელი დღე ქუჩა-ქუჩა დავეთრევი, დღეში ერთ წყვილ ჩუსტსა ვცვეთავ, ბევრი ყვირილისაგან ყელი ჩახრინწული მაქვს, თაბახისაგან კისერი მიშეშდება, ლამის მომწყდეს და შაურს ძლივს ვიგებ, რომ ცოლ-შვილი შევინახო. შენ კი ტყუილი ლოცვისა და კითხვისათვის ოც მანეთს იღებ, შერე ისიც ვისგან? (ცაკანამ თოროსს მაჯაში წაავლო და წინ გამოსწია), — ამისაგან, ამ საცოდავი მოხუცისაგან? ამისი თეთრი წვერისა მაინც შეგრცხვენოდა, მაშ ამ თეთრი წვერის მადლი არ უნდა გაგიწყრეს? შენი განკურნებულიც ხომ ეს არის (ცაკანამ ტახტზე დაგდებულ ცოცხალ-მკვდარ მართაზე მიუთითა), საწყალი ხმას ვეღარ იღებს, იმდენი გიცემია.

მართლაც, მართა ისე იყო მილასლასებული, რომ ძლივს ისმოდა ოხვრა-კვნესასთან არეული სიტყვები: „ვაი მოვკვდი... ვაი მოვკვდიო“...

— აბა ახლავე ამოიღე ის ოცი მანეთი, თორემ, ამ მათრახს უყურებ? ტარიანად ზედ დაგამტვრევ. ჰა, რას გაშეშებულხარ? ამოიღე, გეუბნები, მალე! — შეჰყვირა გაცეცხლებულმა ცაკანამ.

— ძმაო, რას მემართლები, რა გინდა ჩემგან, — ბოლოს მიუგო მკითხავმა, რომელიც თავის მართლებას ფიქრობდა და არ უნდოდა იოლად ქედი მოედრიკა. — მე ძალით არ მოვსულვარ, თუ არ უნდოდათ, ნუ დამიძახებდნენ, არც ფული წამირთმევია ძალით, არ უნდოდათ — ნუ მომცემდნენ. აი, ჰკითხე, თუ ათასი თხოვნა-მუდარით არ მომიყვანეს?

— ახლა, რას ფიქრობ, არ გინდა დაუბრუნო, რაღა? — ავის მომასწავებელი ხმით უთხრა ცაკანამ, როცა ბოლომდე დინჯად მოუსმინა და მათრახი შემართა.

ცოლი, რომელიც გვერდში ედგა, ხელში ეცა.

— უი, ცაკანჯან, — შიშით ჩასჩურჩულა, — დაგწყევლის...

— აბა, იქით გაიწი, ჰა, — სიძულვილით მიუგო ცაკანამ და ბაკლავი გამოგლიჯა ცოლს. — დამწყევლის... ერთი მაგისი ლოცვა მწაბს და ერთიც მაგისი წყევლის მეშინია, მართალს ამბობს, ეს ყველაფერი თქვენი ჩადენილი საქმეა, ქალებისა, ქათმის ტვინი რომ გაქვთ. თქვენ რომ არა, ეს ჯადობაზებიც არ იქნებოდნენ. აბა, — მიუბრუნდი ცაკანა გრიგორს, — მაძლევ, თუ არა?

მკითხავი ჯერ ყოყმანობდა, ეტყობოდა, უმძიმდა ოცი მანეთის დაბრუნება, მაგრამ, ერთის მხრივ, ცაკანას მუშტებმა, მეორე მხრივ, იმის

შიშმა, რომ თავისი „ექიმობის“ შედეგი თვალწინ ჰქონდა, აიძულა დამორჩილებოდა.

— რაკი მაძალებ, რაკი ვიზამ, მივცემ, სხვა რა გზა მაქვს, — და ხელი ჩაიყო პიჯაკის ჯიბეში, ტყავის სქელი საფულე ამოიღო, დათვალა ოცი მანეთი და ცაკანას გადასცა: — გაძლევ, მაგრამ იცოდე, ეგ ვაჟკაცობა არ არის. აფსუს, რამდენი დრო დავკარგე, ამდენ ხანს სახლში რომ ვყოფილიყავი...

— აბა, მორჩი, ბევრს ნუღარ ლაქლაქებ, — შეაწყვეტინა ცაკანამ, — და აქედან მოწყდი, ჩქარა!..

მკითხავმა ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა, სირცხვილისაგან და ეძლურების სიბრაზისგან გაფითრებულმა კარისაკენ გასწია და თან ქალების დამცინავი ღიმილი გაიყოლა.

— არ იფიქრო, ამით მორჩა და გათავდა ყველაფერი, — მიაძახა ცაკანამ, — თუ ეს ქალი ამ ცემის შემდეგ არ განიკურნა... ჩემი ვაჟკაცობა მაშინ ნახე...

მართა მათრახით ცემისაგან მალე მორჩა, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ სიგიჟისაგან გარდაიცვალა. მალე მას მოხუცი მამაც მიჰყვა.

ხოლო მკითხავი გრიგორი, წინანდელივით მომღიმარი და ლოყებღაჟღაჟა, დღესაც განაგრძობს თავის ხელობას.

1889

საქულა სალოცავად წავიდა

დურგალმა საქულამ ნელა შეაღო კარი და შინ შევიდა.

მის ცოლს, ნატოს, მკლავები დაეკარწახებინა, იატაკზე ჩაკუზულიყო და დაკოწიწებულ თაბახში სარეცხს რეცხავდა. ბუხარში ზედადგარზე ოდგარ ქვაბის ქვეშ რაბდეიძე წვრილი შეშა ხრჩოლავდა. ბიწური იატაკი ატალახებულიყო და სარეცხის საპნიანი წყალი ალაგ-ალაგ გუბეებად დამდგარიყო. ოთახში ჰაერი ნესტის, საპნის და ბოლის სუნით იყო გაჟღენთილი. ტახტზე მდგარ აკვანში ძუძუმწოვარა ბავშვს ეძინა.

ცოლმა შეხედა ქმრის დაავადებულ და დაღვრემილ სახეს და გული ჩაეთუთქა. „ისევ ვერ არის კარგად", — გაიფიქრა მან და გულდაწყვეტილი მიაჩერდა.

საქულამ კარი მიხურა, ტახტთან მივიდა, შუთაქა თაქვეშ დაიდო და მიწვა.

— ერთი რამე დამაგდე ზედ, — უთხრა ბოსუსტებული ხმით და მოიკუნტა.

ნატომ საპნიანი ხელები გაიწმინდა, ტალახიანი ჩუსტები გაიხადა, ავიდა ტახტზე, განჯინიდან საკმაოდ დიდი და სქელი საბანი გადმოიღო და ქმარს დაახურა.

— კარგად დამახურე, მთელი სხეულით ეკანკალებ, — წამოილუღლუღა საქულამ და საბანი თავზე გადაიფარა.

ნატომ საბანი შეუკეცა, გაუსწორა, რომ სიცივე არსაიდან შესვლოდა.

— გინდა ერთი საბანი კიდევ გადაგახურო? — შეეკითხა ცოლი.

— დამახურე.

ნატომ სხვა საბანიც მიუტანა, დაახურა და ხელახლა შეუკეცა

გვერდებზე. ახლა საქულა თავ-ფეხიანად საბნებში იყო გახვეული. ნატოს სარეცხი გადაავიწყდა, ერთხანს ქმარს მიუჯდა.

ხანმოკლე და მძიმე სიჩუმის შემდეგ საბნების კიდე სახიდან გადაუწია ქმარს და ჩურჩულით ჰკითხა:

— საქულ?

საქულამ თვალები გაახილა, შეხედა.

— საავადმყოფოში არ წახვედი?

— ვიყავი.

— რა გითხრეს?

— ათ შაურსა მთხოვენ.

— რომ ამბობენ, ვისაც არა აქვს, არ სთხოვენო?

— მითხრეს: პოლიციიდან, ან მღვდლისაგან ქაღალდი მოიტანეო.

— მერე, იყავი პოლიციაში?

— შავმა ჭირმა მიაკითხოს პოლიციას, მათი თავი ვისა აქვს?

— ძღვდელთან წახვიდოდი.

— ისიც წყალს წაუღია. ახლახან ვნახე მოედანზე მუცელგამობერილი იდგა. ათი შაური რა არისო, მითხრა, ახალგაზრდა კაცი ხარ, ერთ დღეს რომ იმუშაო, ათ შაურს კი არა, სამ მანეთს გააკეთებო მამაო, ვეუბნები, ჯანი არ მემორჩილება-მეთქი, კარგიო, გეხუმრებიო, მითხრა. კვირას წირვაზე მოდი და მოგცემო.

— აი, დაენგრეს ოჯახი, — სიკაპასით წამოიძახა ნატომ. — ამ ყოფაში კვირამდე როგორ უნდა გასძლო... ქელეხი ყოფილიყო, ვინ მოასწრებდა. — თქვა და გაჩუმდა გულჩათხრობილი. დიდხანს განუზომელი სევდით უმზერდა ქმრის გამხდარ, გაფითრებულ სახეს, რომელზეც ავადმყოფობას თავისი წარუშლელი კვალი დაემჩნია. სამი წელია, ეს გაურკვეველი ავადმყოფობა ადნობდა და აჭკნობდა საქულას. წამალი არ დარჩა, რომ მუცელში არ ჩაესხა, ექიმი არ გამორჩა, რომ არ მიემართა. მთელი დღეები და კვირეები წმინდანების კარზე გაატარა. სამღვთოები დაკლა, წითელი და თეთრი სამოსი ჩაიცვა, მაგრამ აოაფერმა უშველა. პირიქით, საქულა დღედღეზე უარესად ხდებოდა, სენმა უფრო ღრმად გაიდგა ფესვები. პირველ ხანებში ცოტაოდენს მაინც ჩხირკედელაობდა, ჯანს ძალას ატანდა, მაგრამ ახლა ძდგომარეობა სავსებით სავალალო შეექნა, ხელეჩოს ხელის მოკიდება და სულის ყელში მობჯენა ერთი იყო, ისეთი მაგარი გულისძგერა ემართებოდა, თითქოს ბუდიდან გადმოვარდნას ლამობსო. ამ სამი წლის ძანძილზე

ოჯახი მთლიანად დაექცათ, გატყავდნენ. რაც ოქრო-ვერცხლი ჰქონდათ სულ გაყიდეს — დააგირავეს, გამოსყიდვა ვეღარ შეუძლეს და მიატოვეს. ზედმეტი ბარგი-ბარხანა რაც ჰქონდათ, ისიც ჩალის ფასად გაანიავეს, ვალებში ჩაცვივდნენ და დღეს იქამდეც მივიდნენ, რომ წამლის საყიდელი „ათი შაური“ არ გააჩნიათ.

ნატომ მწარედ ამოიოხრა.

— საქულ! — კვლავ წაიბუტბუტა.

საქულამ თვალები გაახილა.

— არა გშია?

— არა.

— აგერ ორი-სამი დღეა პირში ნაწილი არ ჩაგიდვია, ცოტა რამ შეჭამე, რომ ძალ-ღონე შეგემატოს. ჰეღნარაანთმა სამღვთო მოგვიტანეს, შენ შეგინახე, ადე, ჭამე, სადაცაა დედაც თონიდან პურს მოიტანს.

— თუ არ მინდა, რა ვქამო?

— არა უშავს, ძალით ჭამე. თორემ, ეგრე პირმოკუმული ხომ უფრო დასუსტდები. ადე.

— ეჰ, — გაბოროტებით წამოიძახა საქულამ და კვლავ თვალები მილულა.

ნატომ ისევ ღრმად ამოიოხრა და ერთხანს ჩუმად იჯდა, ღრმა ფიქრებში ჩაფლული.

— ჰო, საქულჯან, — უცებ წამოიძახა, თითქოს რაღაც მოაგონდაო. — დილას უნდა მეამბნა შენთვის, მაგრამ უკვე წასული იყავი. წუხელ ძალზე გასაოცარი სიზმარი ვნახე. ვითომ შენ ეგრე იწექი ტახტზე, ერთიც ვნახოთ, ვიღაც წითელ ცხენზე მჯდომარე, გაშიშვლებული ხმლით შემოვარდა და პირდაპირ შენკენ წამოიწია, — „რას გაშოტილხარ, რატომ არ მოდიხარო“, და ხმალი რომ მოგიქნია, — უცებ გამომეღვიძა. როგორ შემეშინდა, როგორ შემეშინდა, გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა, მეგონა, მართლა გკლავდა. ეხლა, იცი რას გეტყვი, საქულჯან, დედა რომ მოვა, მკითხავთან გავგზავნოთ, რა ვიცი, იქნებ ისევ სასწაულის ბრალია და შენ კი ტყუილ-უბრალოდ წამლებით უნდა გაიქყიპო.

— ვა, ისევ სასწაული? — მწარე განკიცხვით წამოიძახა საქულამ.

— ვაი ჩემ თავს, აბა რას ამბობ, საქულჯან, არა, გენაცვალე, სასწაულზე ნურაფერს იტყვი, ეწყინება, — მოკრძალებით წარმოთქვა ნატომ. — მართალია, სასწაულის კარზე ბევრჯერ მივსულვართ, მაგრამ

მერე რა, ეს ერთიცა ვცადოთ. საქულჯან, შენ ვერ წარმოიდგენ, რანაირად ვნახე, ასე აშკარად, ასე ნათლად, აი ახლაც კი თვალწინ მიდგა ცხენიანი კაცი გაშიშვლებული ხმლით ხელში. რას იტყვი, საქულჯან, დედა რომ მოვიდეს, გავგზავნოთ?

საქულას თვალები უკვე დაეხუჭა.

— ეჰ, როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით, — წარმოთქვა ბოლოს.

— ჰო, ჰო, საქულჯან, გავგზავნოთ, გავგზავნოთ.

აკვანში ბავშვი ატირდა.

ნატო წამოდგა, აკვანთან მივიდა, დაიჩოქა, რწევა დაუწყო, ბაგრაბ რაკი დაინახა, რომ ბავშვი არ ჩუმდებოდა, აკვანზე გადაეყუდა, ძუძუ ჩაუდო პირში, თვითონ კი ღრმა ფიქრებს მისცა თავი და ერთ წერტილს მიაშტერდა.

* * *

კარი გაიღო. სახლში მოხუცებული, გამხდარი, დაბალი ტანის, სევდიანი გარეგნობის კეთილი დედაბერი — საქულას დედა შემოვიდა. მან ლურჯ სუფრაში გახვეული პური შემოიტანა. უკან შემოჰყვა ოთხიხუთი წლის გამხდარი გოგონა, მისი შვილიშვილი. ბავშვს ორი პური მაგრა მიეკრა გულზე. ერთი პური ჩაცურებოდა, ძირს უვარდებოდა, სასწრაფოდ მიირბინა ტახტამდე, ფეხის წვერებზე დადგა და პურები ტახტზე შეყარა.

— დიდი ხანია, არ ჩაწოლილა, — სევდიანად ჩაიბუტბუტა დედაბერმა, როცა ტახტზე მწოლიარე შვილს გადახედა. — შე კაი კაცო, როცა არ შეგიძლია, რა ძალა გადგია, რომ სისხამ დილით გარბიხარ.

შეხვეული პური ტახტზე დადო და დაბალი ხმით რძალს მიმართა.

— სძინავს?

— არ ვიცი, ახლა ეღვიძა, — მიუგო ნატომ.

დედაბერი მიუახლოვდა შვილს და შეეკითხა:

— საქულჯან!

— რა გინდა?

— გძინავს?

— არა.

— როგორა ხარ?

— ეჰ, რა ვიცი, როგორა ვარ.

— თბილ-თბილი პური მოვიტანე, ადე, ჭამე.

— რა ზაჰლა წაიღეთ, — შეუტია საქულამ ნერვიულად და მეორე გვერდზე გადაბრუნდა.

ღრმა სევდით მოცული დედაბერი პატარა ხანს დასცქეროდა ავადმყოფ შვილს, შემდეგ ბოღმიანად ამოიოხრა, წავიდა, შეკრულა გახსნა, თბილ-თბილი პურები ამოალაგა და ტახტზე დააწყო, რომ ნიავს გაევლო. სახლში თბილი პურის საამო სუნი დატრიალდა.

— ქალო, მაშ საავადმყოფოში არ წასულა? — ჩუმად შეეკითხა რძალს. მას ძუძუს წოვება დაემთავრებინა და ბავშვს არწევდა.

ნატომ უამბო, რომ სიღარიბის მოწმობის უქონლობის გამო საავადმყოფოში უფასოდ არ მიეღოთ. ისიც უთხრა, მღვდელი კვირისათვის შეპირებია მოწმობის მოცემასო.

— აი, მიწამ უყოს პირი შენს ტერტერას, — წამოიძახა აღელვებულმა კეთილმა დედაბერმა. — მაშ ის ადამიანია? ამ მდგომარეობაში კვირამდე როგორ გაძლოს? დღეს მგონი ორშაბათია, არა?

— რა ვიცი? — უიმედოდ უპასუხა დაღვრემილმა რძალმა და აკვანს ადგილი შეუცვალა, რადგან ფიცრები, რომელზედაც აკვანი იდგა, ძალზე ჭრიალებდა. — გოგო, მოდი ერთი დაარწიე, სარეცხი დამრჩა, — მიმართა გოგონას, მას თბილი პური მოეტეხა და გემრიელად შეექცეოდა.

პატარა გოგონა ტახტზე ავიდა, მოიკეცა, ერთი ხელით აკვანს არწევდა, მეორეში პური ეჭირა და მადიანად კბეჩდა.

ნატო ტახტიდან ჩამოვიდა, ფეხებზე ჩუსტები წამოიცვა, ვიდრე სარეცხის რეცხვას შეუდგებოდა, დედამთილს მიუჯდა გვერდზე და ყურში ჩასჩურჩულა.

— დედიჯან, ადექი და წადი მკითხავთან, ვნახოთ, რა პასუხს მოგცემს ჩემს სიზმარზე, დილას რომ გიამბე. აი ნახავ, თუ ის ცხენოსანი წმინდა გიორგი არ იყოს.

— აბა რა ვიცი, შვილო, — ნაღვლიანად უპასუხა დედაბერმა. — წმინდა გიორგიც ვინახულეთ, სამღვთოც დავუკალით, მაგრამ შველით კი არაფერი ეშველა.

დედაბერმა მძიმედ ამოიოხრა.

— არა, არა, დედიჯან, შენი სულის ჭირიმე, ადე, ადე, ეხლავე წადი, — შეეხვეწა რძალი. — აი, ერთი აბაზი მაქვს, მოგცემ.

ნატომ კაბის ჯიბიდან სასწრაფოდ ამოიღო ცხვირსახოცი, წვერში გამონასკული ერთი აბაზიანი გამოხსნა და დედამთილს გადასცა.

დედაბერმა ფული ბურნუთისაგან გაყვითლებულ ცხვირსახოცში გამოკრა, ჯიბეში ჩაიდო, მოიხვია გახუნებული შალი და გზას გაუდგა.

• • •

დაახლოებით სამმა საათმა გაიარა. ნატოს სარეცხი უკვე გაევლო წყალში და ეზოში თოკზე ჰფენდა, როცა დედამთილი დაბრუნდა.

— ხომ არ ამდგარა? — შეეკითხა დედამთილი.

— არა. ძალიან კარგად სძინავს, — უპასუხა ნატომ და ჰკითხა, — რატომ დაგაგვიანდა ამდენ ხანსო.

დედაბერმა შალი მოიხსნა, კარებთან სკამზე ჩამოჯდა.

— რას ამბობ, ქალო, ნეტავ თუ საშუალება არის მასთან შესვლისა? — მიუგო დედამთილმა. — რამდენი მუშტარი ჰყავს იმ დასაბრმავებელსა, — სახლს ზანზარი გააქვს.

— კარგად კი მიხვდა, დედიჯან? — ჰკითხა რძალმა.

— ისე თითო-თითოდ ჩამომითვალა, თითქოს ჩვენსა ყოფილიყო.

— მართლა...

— შენმა მზემ.

ნატომ სასწრაფოდ მოიკალათა დედამთილის გვერდით.

— მაინც რა თქვა? — ძალზე დაინტერესებული შეეკითხა იგი.

— რომ ვთქვა დანაკარგიაო, თქვა, დანაკარგი არ არისო, რომ ვთქვა მოგზაურია, არც მოგზაურიაო. ეს ვინც არის, არც ბავშვია, არც მოხუცი. ეს რა არისო? თქვა, წინ ხელეჩო უგდია, თუ სხვა რაიმე, არ ვიცი, მაგრამ რას იზამ, საცოდავს ხელში ძალა გამოლევია, რომ ხელეჩო აიღოსო.

— მართლა? დედიჯან, ეგრე თქვა? — შესძახა გაკვირვებულმა ნატომ.

— ღმერთის მადლმა. აფსუსო, თქვა, მერე და, რა კარგი ადამიანია, როდის გახდა ავად, რომ ეგრე ჩამომხმარა. აი, აშკარადა ჩანს, რომ მთელი ნაშრომ-ნაწვალი წამლებში დაუხარჯავს, მაგრამ არა შველებია. ესენი ვინ არიან? ორი პატარა, ერთი დიდი. ეს დიდი დაა თუ ცოლი, ძალიანა წუხს. აი, ერთიც არის, მოხუცებული, ესეც დიდ ფიქრებშია. ესეც ხომ შენა ხარ, რაღას მაწვალებო.

— უი, მართლა, დედიჯან! — წამოიძახა ნატომ, თან უკიდურესი გაოცებისა და სიამოვნებისაგან თვალები გაბრწყინებოდა.

— მართალი რომელია, ქალო. გეუბნები, ისე თითო-თითოდ გადმომილაგა, თითქოს ჩვენს სახლში ყოფილიყო.

— მერე?

— მერე... ეს რა არიო, წამოიძახა, ცხენოსანია, თუ ფრთოსანი? მხოლოდ მიწიერი არ არისო. დახე, დახე, ცხვირის ნესტოებიდან ცეცხლს აფრქვევს, როგორც გავარვარებული თონიდანო. რაღა ბევრი გავაგრძელო, წმინდანია რაღა, ვერ ამჩნევთ, მე ხომ ბრძენი არა ვარ, რომ ყველაფერი სწორად გავიგო. ვისი მლოცველიაო, მითხრა, წმინდა სარქისისა, თუ წმინდა გიორგის, სალოცავად უნდა წავიდეს. სხვა რაღა გითხრა, რაც იყო, ეს არის, მეტი არაფერი.

— უი, წმინდა სარქისის და წმინდა გიორგის მოწყალება ნუ მოგვაკლოს, — წარმოთქვა ნატომ, თვალები მაღლა აღაპყრო და მოწიწებით პირჯვარი გამოისახა. — ხედავთ, ჩემი სიზმარი გამართლდა. უი, თვალები დამიბრმავდეს, შარშან ექიმებს გამოვუდექით, თელავში არ წავედით ღამის თევად და ხედავთ, რა მოხდა?

— ჰო, ისიც თქვა, — შეაწყვეტინა დედაბერმა, — სამი დღე და ღამე გარეთ, ეკლესიის კედელთან უნდა იწვეს: ჭერად ზეცა ეფაროს, ლოგინად დედამიწა ჰქონდეს, რადგან ის ცეცხლოვანი ფრთოსანი ზეცისა და დედამიწის შუა დაფრინავსო.

ნატომ დიდის მოწიწებით ერთხელ კიდევ გამოისახა პირჯვარი და გადაჭრით განაცხადა:

— ასე, მაშ, ახლავე სანთელს შემოვავლებ და გადავდებ თელეთის წმ. გიორგისათვის, ვენაცვალე იმის ძალას და მადლსა.

იგი სასწრაფოდ წამოდგა, დარჩენილი სარეცხი თოკზე გადაფინა და ოთახში შევიდა. დედამთილიც ფეხდაფეხ მიჰყვა. ნატომ ჩუსტები გაიძრო, ტახტზე ავიდა, განჯინიდან ორი ყვითელი თაფლის სანთელი გამოიღო, ფეხაკრებით, რომ ტახტის ფიცრებს არ ეკრიალა, ავადმყოფ მეუღლესთან მივიდა; თავზე შემოავლო, ისევ ფრთხილი ნაბიჯით გაიარა ტახტი, ძირს ჩამოვიდა, ჩუსტები ჩაიცვა და სანთლები ბუხრის თავზე დააწყო, იქ, სადაც ყოველ კვირაძალზე ანთებდნენ და ლოცულობდნენ.

* * *

ავადმყოფმა დაიკვნესა და საბანქვეშ გაინძრა.

დედაბერი მიუახლოვდა.

— საქულჯან!

— ჰა!

— გღვიძავს?

— ჰო.

— მკითხავთან ვიყავი.

საქულამ საბნის კიდე გადაიწია და გაოცებით შეხედა დედას თვალებში.

— ჰოდა, რა გითხრა?

აწითლებულ დანამულ პირისახესა და სიცხიან ამღვრეული თვალების გამომეტყველებაზე ეტყობოდა, რომ გამაჯანსაღებელი ოფლი მოსულოდა.

— უი, გენაცვალე, საქულჯან, ეგ რა კარგი საქმეა, ოფლი მოგსულია, — წამოიძახა ნატომ, სწრაფად მოირბინა, მოიძრო თავშალი და ავადმყოფს ოფლი შეუმშრალა. — არ გადაიხადო, საქულჯან, შენი ჭირიმე, არ გადაიხადო. — უთხრა და საბნის ნაპირები ჩაუკეცა. — ისე კარგად გაუგია, საქულჯან, რომ პირდაპირ გასაკვირია. დედი, მოდი ერთი უამბე.

დედაბერმა ავადმყოფის გვერდით მოიკეცა და დაწვრილებით უამბო მკითხავის ნათქვამი.

ნატო ფერხთით უჯდა ავადმყოფს, თვალ-წარბში შეჰყურებდა, აინტერესებდა მკითხავის წინასწარმეტყველება როგორ იმოქმედებდა ავადმყოფზე.

საქულა დუმდა, ყურადღებას არ აქცევდა, მარტო გამხმარ ტუჩებს ილოკავდა.

პატარა გოგონა ცალი ფეხით აკვანს არწევდა. თან თოჯინას ათამაშებდა. თვითონ გაეკეთებინა: ერთ ბრტყელ ღილზე თეთრი ნაჭერი შემოეხვია, ღილი შავი ძაფით დაემაგრებინა ჯოხზე, ზედაც თავის ხელით შეკერილი რაღაც ტომარა ჩამოეცვა და თოჯინა უკვე მზად იყო. თამაშიც მისი თოჯინასავით მარტივი და უბრალო იცოდა. ენით და ტუჩებით რაღაც სათამაშოს აჭყიპინებდა, თან თოჯინას ტახტზე ათამაშებდა.

— ახლა რას იტყვი, შვილო, თელეთში წავიდეთ თუ არა? — შეეკითხა დედაბერი, ლაპარაკის დასრულების შემდეგ.

— რითი უნდა წავიდეთ, — მიუგო საქულამ. — ათი შაური არა

მაქვს, რომ საავადმყოფოში გადავიხადო და თელეთში რითი წავალთ?.. სულ ცოტა, ერთი-ორი თუმანი მაინც დაგვჭირდება.

— საქულჯან, ეგრე ნუ იტყვი, გენაცვალე, წმინდანს ეწყინება, ორი თუმანი რა არის, ვისგანმე ისესხე. წახვალ, ილოცებ, გამოჯანსაღდები, მერე იმუშავებ და ორ კვირაში გადაუხდი.

საქულას ისედაც ბევრი ძველი ვალი ჰქონდა და ახლის აღება უმძიმდა. გარდა ამისა, ამ მდგომარეობაში მყოფ ადამიანს, აბა, ვიღა ენდობოდა.

— სახლი დააგირავე, ჯანდაბას ჩვენი თავი, სახლი ხომ შენ არ გჯობია? — უპასუხა ნატომ.

— შენც თქვი, რა... — აღელვებით უპასუხა საქულამ. — იქნება არ ვოვრჩი და მოვკვდი, რითი უნდა დამმარხოთ? საუმელ-სასმელს ბევრს იშოვით, რომ სახლის ქირაც აძლიოთ? ერთი ქეციანი ჭერი გაქვთ, ეს ბაინც დაგრჩეთ, რომ ქუჩაში არ დარჩეთ.

— ეჰ, რეებს ამბობ, საქულჯან, შვილო, — ალერსით უთხრა დედაბერმა. — ეგ რა სათქმელია, შენ რომ ამბობ. ცოტა ჩვენც შეგვიბრალე, გულში ცეცხლს რად გვინთებ და გვხრუკავ.

კეთილ დედაბერს თვალები ცრემლით აევსო.

— მაგას ხომ ღმერთი არა სწამს! — წამოისლუკუნა ნატომ და თავშლის წვერები თვალებზე მიიდო.

ერთ წამს ოთახში მძიმე სიჩუმე გამეფდა. დადუმებულიყო პატარა გოგონაც, თოჯინა კალთაში ჩაეგდო და გაოცებული შესცქეროდა ხან დედას, ხან მამას, ბებიას...

— კარგი, ეს ერთხელაც ვცადოთ, — დაეთანხმა საქულა, რომელსაც ზედმიწევნით ეგრძნო თავისი უკანასკნელი სიტყვების მთელი სიმძიმე.

* * *

საღამო ჟამს საქულა ერთ თავის ნაცნობ მოიჯარადრესთან წავიდა. იგი მთელ ქალაქში განთქმული იყო დურგლებშიც, კალატოზებშიც და მუშებს შორისაც. მოიჯარადრეს სერგეი სტეფანიჩის სახელით იცნობდნენ ან უბრალოდ სერგო აღათ მოიხსენიებდნენ.

სერგეი სტეფანიჩი ახოვანი ტანის, გრძელულვაშებიანი, დაახლოებით ორმოცდაათი წლის ვაჟკაცი იყო. შავი ატლასის ახალუხი ეცვა

და ზედ ოქროს საათის მსხვილი ძეწკვი უპრიალებდა. იგი დიდი შენობის ეზოში ერთიმეორეზე დაწყობილ მსხვილ ფიცრებზე იჯდა. ახალუხზე საზაფხულო პალტო ეცვა და კალთები შემოეკეცა, ხელში კრიალოსანი ეჭირა, თან დღის ბოლოს უკანასკნელ სამუშაოებს გასცქეროდა. ათეული ოსტატები და მუშები ირეოდნენ ნახევრად აშენებულ კედლებზე, ეზოში გაფანტულ ფიცრების ირგვლივ, ცემენტის კასრებთან, ქვიშის, მიწის, ტალახის, გაჯის, კირის და აგურების პურგების მახლობლად... მაღალი კედლის თავზე მზის ჩამავალი სხივებით გაბრწყინებული სპარსელი კალატოზი თან აგურს აგურზე ადებდა, თან სასიამოვნო ტენორით ბაიათს აკრიალებდა.

— უსტა საქულ? — შესძახა სერგეი სტეფანიჩმა. — კაცო, ეგ რა მოგსვლია, ისევ ავადა ხარ?

— დიახ, აღაჯან.

— შე ოჯახაშენებულო, ნუთუ აქამდე ვერ გამოჯანსაღდი? წამლებს ხომ ღებულობ?

— რა ვიცი, რაც მქონდა და არა მქონდა, სულ წამლებში მივეცი, მაგრამ არაფერი მეშველა. ეს ოხერი სენი შემიძვრა ჯანში და აღარ გამოდის.

— არა მუშაობ?

— ხანდახან, როცა კარგადა ვარ, ცოტა-ცოტას წავიმუშავებ ხოლმე, მაგრამ, აბა, რა გამოვა ასეთი მუშაობით? ოჯახის შენახვა ძნელია, აღაჯან.

— თუ შეგიძლია, მოდი, იმუშავე, აქაც და სხვაგანაც სამუშაო ბევრი მაქვს.

— მინდა, როგორ არ მინდა, აღაჯან, აი ახლა, ამათ რომ ვხედავ, — საქულამ ირგვლივ მიუთითა, — ჯანში ცეცხლი მეკიდება, მაგრამ, რას იზამ, როცა ამ ოხერ ხელებში არაქათი აღარა მაქვს.

— მაშ რაზე მოსულხარ?

— მოვედი, რომ... — წაილუღლუღა საქულამ და თვალები დახარა, სიტყვა ვერ დააბოლოვა.

— ალბათ კიდევ ფული გინდა, არა?

— ჰო, აღაჯან, — წარმოთქვა და საცოდავად შეხედა.

— მაშ ის, წინანდელი ათი მანეთი?

— ის წინანდელი ათი მანეთიც... რასაკვირველია, — კვლავ წაილუღლუღა საქულამ და დაუმატა, — თუ რომ...

— რა, თუ რომ?

— თუ რომ... მე რა ვიცი, გირაო გენებოს...

— რა გირაო.

— შენ იცი, რაღა აღაჯან, ერთი სახლი მაქვს...

— ვითომ ისიც სახლია... — სერგეი სტეფანიჩმა მხიარულად გადაიხარხარა, ცქვიტი ჭაბუკივით ზეზე წამოხტა, ხელით უკანა მხარე გაიბერტყა. — კაცო, რა სახლია, ერთი წიხლი რომ ვკრა, გადაიქცევა. საქმე გაქვს, საქმე თქვი.

— აბა რა ვთქვა, აღაჯან, ეგ არის, მაგის მეტი არაფერი მაბადია. გინდა — მიიღე, არა და — პირდაპირ მტკვარში გადამაგდე. სხვა გზა არ გამაჩნია, აღა.

სერგეი სტეფანიჩმა ისევ გაიცინა.

— ვაი, საწყალო ჩემო საქულ, რა კაი კაცი ხარ, — თქვა და კეთილი გრძნობით მხარზე ხელი დაარტყა. — შენ ის მითხარი, კიდევ რამდენი გინდა?

— კიდევ ოცი მანეთი რომ მიბოძო, აღაჯან...

— ოცი მანეთი? ოცი მანეთი რა არი? ოც მანეთს ერთი რომ შეუბერო, გაქრება, — განაგრძო სიცილით სერგეი სტეფანიჩმა.

— ჯერჯერობით ოცი მანეთიც მეყოფა, აღა. — მიუგო გულმოგრეებულმა საქულამ. — მერე ვნახოთ, რა იქნება...

სერგეი სტეფანიჩმა უეცრად სერიოზული გამომეტყველება მიიღო.

— ეგ კი ლამაზი არ არის, არა, არა, უსტა საქულ, — სწრაფად გააწყვეტინა სიტყვა, — ოც მანეთსაც რომ გაძლევ, ეგეც ჩემი სულის გულისათვის, რადგან კაი კაცი ხარ, კარგი ოსტატი, ჩემთან ბევრჯერ გიმუშავია, თანაც არა ლოთობ.

— ღმერთმა გადღეგრძელოს, აღაჯან, შენი პური ბევრი მიჭამია, მადლობელი ვარ: სხვა რაღა მოგახსენო, აღაჯან, თუ გამოვჯანსაღდი და არ მოვკვდი, ის მე ვიცი.

— ახლა კი ცოტა მოითმინე, აგერ საცაა შაბაში იქნება. მერე ჩვენსა წავალთ, ოცდაათი მანეთის პატარა ვექსილს დავწერთ, — წინანდელ ათ მანეთზე გეუბნები, — და ბოლოს, როცა გამოკეთდები, ჰა, რას იტყვი, კარგად არ გეუბნები? — შეეკითხა სერგეი სტეფანიჩი, რომელმაც შეატყო, რომ საქულა ვექსილის ხსენებამ საგონებელში ჩააგდო.

— როგორც გენებოს, აღაჯან, — მიუგო საქულამ და ყურს უკან მოიფხანა.

— არა, შენ როგორა გსურს? ვექსილს იმიტომ გეუბნები, რომ სახლის დაგირავება დიდ აყალმაყალთან არის დაკავშირებული, — ეს გაგრძელდება, ზედმეტ უბრალო ხარჯებს გამოიწვევს.

— კარგი, ვექსილი იყოს, — დაეთანხმა საქულა.

* * *

მეორე დღეს ნატომ რამდენიმე არშინი თეთრი მიტკალი იყიდა, პერანგი შეუკერა და საქულას ახალუხზე გადააცვა. რამდენიმე დღის შემდეგ კი „თელეექაზე“ იჯდა მთელი ოჯახი და თელეთს მიეშგზავრებოდა. „თელეექის“ ბოლოში, ფიცრებზე დაკრული სამღვთო ცხვარი იყო დაკრული, და თავისი ცხვრული თვალებით მტვრიან გზას გასცქეროდა.

გრძელმა ქვიანმა გზამ, — „თელეექის“ ყანყალმა და სიცხის ბუღმა ისე მიასუსტა საქულა, როცა სადილობისას თელეთს მივიდნენ, დედის და ცოლის დახმარებით ძლივს გადმოვიდა „თელეექიდან“ ფეხების ფრატუნით, რის ვაი-ვაგლახით მივიდა დიდი კაკლის ხის ქვეშ გრძელ სკამამდე და ბოლოში ჩამოჯდა.

ამავე კაკლის ფართო ჩრდილში, ოთხკუთხედ ფიცრულზე, მორთულ-მოკაზმულ ქალბატონებს მოეყარა თავი, ქალიშვილებს და მოსწავლე ქალ-ვაჟთ, თბილისელი მდიდარი ბაზაზების, ბაყლების და ღვინით მოვაჭრეთა ოჯახებს, ისინი მსახურებით და მხლებლებით მოსულიყვნენ, მონასტრის საუკეთესო ოთახები დაეკავებინათ, არა როგორც მლოცველებსა და ღამის მთეველთ, არამედ როგორც მოაგარაკეებს, დროს გამტარებლებს. შორიახლო ერთმანეთის გვერდით ორი სოფლელი მღვდელი იჯდა ქოლგებით ხელში, მშიერი მგლებივით მიშტერებოდნენ აივანზე იმ მსახურთ, მაგიდებზე თეთრ სუფრას რომ შლიდნენ, ყავის სამზადისს შესდგომოდნენ. ღორივით ჩასუქებული, ანაფორაში გახვეული მონასტრის ბერი თავისი ბინის აივანზე, სამრეკლოს ქვეშ ნარდს ეთამაშებოდა ერთ-ერთი მლოცველის ვაჟიშვილს.

— თქვენ წადით, ემთხვიეთ, ვიდრე მე ლოგინს გავშლი და ამ ბარგი-ბარხანას ოთახში შევყრი, — უთხრა ნატომ დედამთილს და ქმარს.

დედაბერმა ხელი მკლავში მოავლო საქულას, ეკლესიაში შეეიდნენ, სანთლები დაანთეს, ემთხვიენ, მუხლი მოიყარეს, ილოცეს, კვლავ

ემთხვიენ, „პაჰპანიჩი“* წააკითხეს მღვდელს, ფეხდაფეხ რომ შემოჰყვა მათ. როცა გამოვიდნენ, ნატოს, მკითხავის განკარგულების თანახმად ეკლესიის კედლის ძირში, უკანა მხარეს გაეშალა ლოგინი, თან მოტანილი საგნები კი ერთ-ერთ ცარიელ ოთახში შეეყარა. ძუძუ-ბავშვი ტიროდა პატარა გოგონას კალთაში, ბავშვი ანანავებდა და „სუ-სუ“ს ჩასძახოდა, მაგრამ ამაოდ, პატარას ვერ აჩუმებდნენ.

როგორც კი საქულა ეკლესიიდან გამოვიდა, მაშინვე ლოგინში ჩაწვა.

დედამ თავი მიანება და რძლის მისაშველებლად გასწია, რომ ოთახი მიელაგებინათ, ოთახი ძალზე ნესტიანი და ჭუჭყიანი იყო.

იმ დღიდან მოყოლებული, ეკლესიის კედლის ძირში იწვა ლოგინში. ღამღამობით დედა გვერდზე უჯდა, დარაჯობდა. საბედნიეროდ, კარგი დღეები დაიჭირა, სასიამოვნო დარი იდგა და საქულაც კარგად გრძნობდა თავს. მეორე დღეს, დილით სამღვთო დაკლეს. ყველაზე საუკეთესო ნაჭრები და ტყავი წაიღეს მონასტრის ბერმა, მღვდელმა, დიაკვნებმა და მნათემ. რაც დარჩა, მლოცველებს გაუნაწილეს. ნახარშის წვენი ფეხშიშველა ბავშვებს და დედაკაცებს დაურიგეს, ათასნაირი ჭურჭლებით რომ მოსულიყვნენ.

ძალზე ცხელოდა, ხვატი იდგა, სულს ვერ ითქვამდა კაცი. საღამო ჟამს მოიღრუბლა, ჩამობნელდა, ელვა-ჭექა დაიწყო, ჯერ შორიდან, მერე უფრო ახლო და ახლო, ჰაერი შეირყა, ატოკდა, შემდეგ კი ისეთი მედგარი ქარი ამოვარდა შრიალ-გრიალით, რომ მთელი ზეცა და დედამიწა ერთმანეთში აირია, მტვრით და ნაგვით ააკსო ყოველი კუთხე. ერთი რაღაც საფანტისოდენა ცივი და მრგვალი მოხვდა საქულას პირისახეზე, რომელსაც საბნის წვერი აეწია და გაოცებული შეჰყურებდა ბუნების ამ გაშმაგებულ სტიქიას. ერთს მოჰყვა მეორე, მეორეს მესამე, მეოთხე... თანდათანობით უფრო მომსხო და ხშირი. საქულამ მარდად იბრუნა გვერდი და თავზე საბანი წაიხურა. სეტყვანარევი წვიმა განუწყვეტლივ ურტყამდა საბანზე. ნატომ სასწრაფოდ მოარბენინა ფარდაგი და ზედ დააგდო, დედაბერმა კი ერთი ორი ტომარა მოიტანა და ისიც გადააფარა.

საქულა მოკრუნჩხულიყო ამ სიმძიმის ქვეშ, ჰაერი არ ყოფნიდა,

---

* პარაკლისის გადახდა ავადმყოფის განკურნების მიზნით.

თან სეტყვანარევ წვიმას ყურს უგდებდა, უმოწყალოდ რომ უკაკუნებდა ფარდაგზე და ტომრებზე. ესმოდა, რა სასტიკად ჰქროდა ქარი, ელვა-ჭექა-ქუხილი და კაკლის ხის საცოდავი შრიალი. ავადმყოფმა იგრძნო ბალიშზე დაგროვილი წყალი, რომელმაც ნაკადულივით ჩაუქროლა ყურების ძირში, მორიავდა მთელ ლეიბზე, მერე კი ყოველი კუთხიდან სისველე და წყალი შეუდგა ლოგინში.

მთლად დალუმპული ცოლი და დედა, აღელვებულები იდგნენ და არ იცოდნენ რა ეღონათ. მკითხავს ნაბრძანები ჰქონდა, ავადმყოფი სამი დღე და ღამე უნდა იწვეს ღია ცის ქვეშო, სამი დღე და ღამე კი ჯერ არ გასულიყო, არადა, არც ავადმყოფის ამ მდგომარეობაში დატოვება შეიძლებოდა.

— ქალო, ავწიოთ და სახლში შევიყვანოთ, — ეუბნება დედაბერი.

— სამი დღე რომ არ შესრულებულა, — ჰკითხა რძალმა.

— ქალო, მაშ ამ წვიმას ვერა ხედავ?

— აგერ, საცაა გადაიღებს.

— როგორ გადაიღებს, ვერა ხედავ, რა ჭექა-ქუხილია, როგორი თავსხმაა.

მართლაც, წვიმა გადაღებას არ აპირებდა. ახლა სეტყვაც წვიმად ქცეულიყო და ისე კოკისპირულად ასხამდა, თითქმის აღარაფერი არა ჩანდა. განუწყვეტელი ჭექა-ქუხილი, წვიმის შხაპუნი, ახლო-მახლო ღელეებში მოვარდნილი ნიაღვრების ჩხრიალი, ხეების შრიალი — ისე აყრუებდნენ არემარეს, რომ ერთი მეორეს ახლოს მდგომ რძალ-დედამთილს ერთმანეთის ლაპარაკი არ ესმოდა.

ლოგინში მოკუნტული საქულა გრძნობდა ყოველი კუთხიდან როგორი ჩხრიალით ჩასდიოდა წყალი, წვიმას ისე დაესველებინა და დაემძიმებინა საბანი, ფარდაგი და ტომრები, რომ განძრევის საშუალებას აღარ აძლევდა. ჰაერი არ ჰყოფნიდა. რაც იყო, ისიც აბანოს ბუღს მოგაგონებდათ, პირდაპირ იხრჩობოდა, იგუდებოდა. საცოდავმა ვეღარ აიტანა, ყველაფერი გვერდზე მიყარა და ლოგინში წამოჯდა. ახლა კი წვიმა პირდაპირ თავსა და წელზე ურტყამდა.

— თქვე უღმერთოებო. თქვენა, ხომ მომკალით, — წამოიყვირა მან.

ცოლმა და დედამ სასწრაფოდ, რის ვაი-ვაგლახით წამოაყენეს და კოკისპირულ წვიმაში ძლივ-ძლიობით გადაიყვანეს ოთახში.

• • •

სამი დღისა და ღამის თევა უკვე დამთავრებულიყო, თუმცა საქულამ მესამე დღეს ღია ცის ქვეშ არ გაატარა. მეოთხე დღეს ქალაქიდან „თელეფკა“ მოვიდა მათ წასაყვანად. საქულა „თელეფკაში“ დააყვინეს, მთლად ღონემიხდილი, დაოსებული, გზაში უჩიოდა გვერდებში ჭვლებს, მხოლოდ მაშინ დამშვიდდებოდა, როცა ხველება აუვარდებოდა. ისეთი მშრალი და სუსტი ხველა ჰქონდა, თითქოს ორმოდან ამოდის ეს ხმაო. ზოგჯერ პირდაპირ სული ეხუთებოდა, იხრჩობოდა. დედა და ცოლი გვერდზე ესხდნენ და ღვინის ბოთლით წყალს პირისახეზე უშხაპუნებდნენ, რომ გონს მოსულიყო.

ტახტზე ლოგინში იწვა საქულა, თავი თეთრი ხილაბანდით ჰქონდა შეკრული. ქვეშიდან გრძელი ჭუჭყიანი თმები გამოსჩროდა და გამხდარ პირსახეზე მოფენოდა. ისე გაძვალტყავებულიყო, რომ სახეზე მარტო გრძელი და წვრილი ცხვირიღა უჩანდა, თვალები უპრიალებდა და კარებისაკენ იყურებოდა. გარეთ, მეზობლის სახლის კედელს ზაფხულის შუადღის მზე მისდგომოდა, ბრწყინავდა. ქუჩის კარებთან, ჩრდილში გაწოლილიყო ქოფაკი, წითელი ენა გადმოეგდო და სიცხისაგან ქაქანებდა. საქულა ამაღლებულ ბალიშზე ნახევრად მიწოლილი გაშტერებული იცქირებოდა გარეთ და მძიმედ ქშინავდა. ორი დღეა, ჭვლებს და ხველებას აღარ გრძნობდა, ნაცვლად ამისა, იქ, შიგნით, რაღაც არაჩვეულებრივ სიცარიელეს დაესადგურებინა, თითქოს ფილტვი, გული და მთელი შიგნეული ნაწლავებიანად გამოეღოთ, გადაეყარით.

უსაზღვრო სევდისაგან გამშრალი დედა მისჯდომია მომაკვდავ შვილს გვერდით და ცხვირსახოცით ბუზებს უგერიებს. ნატოც აკვანთან ზის, ძუძუს აწოვებს ბავშვს და გაშტერებული უიმედოდ შესცქერის ოთახის ერთ კუთხეს, სადაც ნესტისაგან დანამული გაჯი ჩამოცვენას აპირებს. წინასწარვე შეიძლება დაასკვნა, რომ საბრალო უკვე შერიგებია ყოველგვარ მოვლენას. პატარა გოგონაც ფანჯარასთან ტახტზე მოკალათებულა და ბუზებს იჭერს.

მძიმე და სულშემხუთავი სიჩუმე გამეფებულიყო შინ და გარეთ. ამ მყუდროებას ხართუთით მოვაკრე კინტო არღვევდა. თავზე თაბახი დაედგა, მხრებზე სასწორი გადაეკიდა და ქუჩა-ქუჩა გაჰყვიროდა: „თუთა, თუთა, ახალი თუთა“. იგი ერთ წამს ღია კარებში შეჩერდა და ბოხი ხმით შესძახა: „ხართუთა არა გნებავთ“. რაკი დაინახა, რომ არა-

ვინ გამოეპასუხა, სასწორის ჩხაკუნით და ყვირილით თავისი გზა განაგრძო.

ყოველდღიურმა ცხოვრებამ სიკვდილის საზარელი აჩრდილი განდევნა და ეს გაგრძელდა მანამდე, ვიდრე კინტოს ხმა საბოლოოდ არ მიწყდა, რის შემდეგ ოთახში კვლავ უფრო მძაფრად გაისმა სიკვდილის აჩრდილის ირგვლივ შემზარავი ფიქრები.

ავადმყოფი თვალებდახუჭული წევს, რომ არ სუნთქავდეს, მკვდარს ემსგავსება უკვე. მოხუცი დედა მოუსვენრად თვალს არ არიდებს მის პირისახეს, თავი ძალიან ერყევა, თითქოს რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ბრ ძალუძს, ვერ ბედავს. ბოლოს ბუზების განდევნას თავი დაანება, დაემხო შვილის პირისახეს და გაუბედავად რაღაც წაიბუტბუტა:

— საქულჯან?..

საქულამ ოდნავ გაახილა თვალები და დედას შეაცქერდა.

— რა იქნება, რომ მღვდელს შევატყობინოთ?

— ვაჰ, კიდევ მღვდელი? — ისე მძლავრად წამოიძახა ავადმყოფმა, რომ დედაც და ცოლიც სახტად დარჩნენ. რამდენი ხანი იყო იმისი ასეთი მძლავრი ხმა არ გაეგონათ. — თქვენმა მღვდელმა და სალოცავმა არ ჩამაგდო ამ დღეში!.. რაღა გინდათ ჩემგან?.. გამანებეთ თავი, რომ სული წყნარად მივაბარო...

ხმა უცებ ჩაუწყდა, თვალები ცრემლით აევსო, ვეღარაფერი წარმოთქვა.

— რა ვიცი, შვილო, იქნება რაიმე... — უპასუხა დედამ და გულდამწვარმა სიტყვა ვეღარ დაამთავრა, რომ შვილი აღარ გაებოროტებინა.

საქულა თანდათანობით მშვიდდება და ისევ გასცქერის მეზობლის მზიან კედელს. დიდიხნის სიჩუმის შემდეგ ტუჩები იწყებენ თრთოლვას, რაღაცას ამბობს, მაგრამ მისი ნათქვამი გაურკვეველი რჩება.

— რა არის, საქულჯან? — ეკითხება დედა და კვლავ ემხობა პირისახეზე.

ნატო, აქამდე ძუძუს რომ აწოვებდა ბავშვს, ყურებდაცქვეტილი მიბრუნდა ქმრისკენ.

— გეუბნებით, მოიჯარადრე სერგო... — ძლივს წარმოთქვა მომაკვდავმა, რადგან ყოველი სიტყვის თქმაზე სული ყელში ებჯინებოდა, — ის, ვისიც სამი თუმანი მმართებს... ცუდი კაცი არ არის... იქნება არა

გთხოვოთ... მაგრამ თუ გთხოვთ... ჩემი იარაღი მიეცით... თუ არ ეყოს... ქამარი გაყიდეთ. სული არ დამიმძიმოთ...

საცოდავ დედას ენა დაება, არ იცოდა, რა პასუხი გაეცა.

ნატოც გრძნობდა, რომ რაღაც მძიმედ აწვებოდა ყელში... მან თავი აკვანს დაადო, სახე მკლავებში ჩარგო და ყოველნაირად ცდილობდა ქვითინი შეეკავებინა.

ხოლო პატარა გოგონა თითებს დაატარებდა ფანჯრის მინაზე, რომ ბუზები დაეჭირა და კინტოს მიბაძვით მექანიკურად გაიძახოდა: „თუთა, თუთა, ახალი თუთა“.

1889

სულზე მიასწრო

ზამთარი მოახლოებულიყო. სიბნელეს ჯერ მთლად არ ძოეცვა არემარე. ზეცა ზაფხულის მდინარესავით ამღვრეულიყო. გამხეცებული ქარი ზუზუნით დაჰქროდა, მოსტაცებდა ქუჩაში მიმავალ ბგზავრს ქუდს, მიწიდან ალოკავდა ნაგავს, მტვერს. არახუნებდა კარ-ფანჯრებს, ჰაერში იტაცებდა მეწვრილმანის დუქნის თავზე მიკრულ აბრას და სადღაც შორს იკარგებოდა.

ჭრაქების მომკიდებელს კიბე მხარზე გაედო, ჭრაქები ხელში დაეჭირა და ასანთებად გარბოდა.

ქუჩის კუთხეში ანთებულ ჭრაქებს ქარისაგან თავები დაეხარათ, ციმციმებდნენ და გამურულ მინებიდან ბნედიანი ადამიანის დაწირპლული თვალებივით გამოიყურებოდნენ.

ცარიელ ქუჩაში ერთი პატარა ძაღლი მოკრუნჩხულიყო, ჩარაზული კარის წინ საცოდავად ცახცახებდა და წკავწკავებდა. მღებავი დავითა შინ ბრუნდებოდა. ხელები ლურჯი ახალუხის ჯიბეში ჩაეწყო. ქარი უფრიალებდა გაცვეთილ ჩოხის კალთებს და ტყავის ქამარზე ერთი წვერით გამობმულ წითელ ხელსახოცს. მთელი ტანსაცმელი, —ქამრიდან ფეხსაცმელებამდე, დაფარული ჰქონდა ყოველნაირი ფერის საღებავების წინწკლებით, რომელთა შორის თვალში თეთრი ფერი გეცემოდათ. უიმედო და უმიზნო ადამიანის ნაბიჯით მიაბიჯებდა და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა. ცივი ქარი უმოწყალოდ ურტყამდა გაბურძგვნილ სახეში. მტვრით უფარავდა წვერ-ულვაშს და მსხვილ წარბებს. ქარი ძალას ატანდა თვალები დაეხუჭა და ყურებამდე ჩამოფხატული ქუდის მოტაცებას უქადდა, ზოგჯერ ქარი ისეთ მძლავრ იერიშს მიიტანდა დავითზე, რომ იგი ძალაუნებურად შეჩერდებოდა, ადგილზე შეტორტმანდებოდა და მთელი სხეულით წინ გადაიღუნე-

ბოდა, რომ არ წაქცეულიყო, მაგრამ მაინც არაფერს გრძნობდა მაგარი სასმელის უსაზღვრო წყურვილის მეტს, რის გამოც პირში ენა გაშრობოდა, გამოფიტოდა ნაწლავები.

სავი კვირა სრულდებოდა, დავითი უსაქმოდ დადიოდა, სამუშაო არ იყო, ზამთარი კარს მოსდგომოდა, სახლის ამშენებელს უკვე დაეძთავრებინა აშენება, შემკეთებელს ბინა შეეკეთებინა. ახლა აღარავინ აშენებდა ახალ შენობას, არავის სჭირდებოდა იატაკების, აივნების, სახურავების შეღებვა, ასეთი სამუშაოების დრო უკვე მოთავებულიყო.

ზაფხულის და შემოდგომის სამუშაოს დღიური ხელფასი იმავე დღესაც არა ჰყოფნიდა, მაშინვე ქრებოდა. ახლა ერთი გროშიც არ ეგდო ჯიბეში. დღეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ერთი წვეთი არც არაყი ჩაეშვა პირში, არც ღვინო. მთელი ერთი დღე... გასაოცარი რამ იყო ეს და ნამდვილად უკვირდა კიდეც, რომ აქამდე ჭკუაზე არ შემცდარა, არ მომკვდარა. დღემდე, ვიდრე ამ საშინელ დღეს მოაღწევდა, ბთელი თვის განმავლობაში და შემდეგაც, როდესაც ჯიბეში ფული ეგულებოდა, არ ყოფილა დღე, რომ სამუშაოდან ხელად არ გაქცეულიყო ახლო „სამიკიტნოში“ პირის გასასველებლად, ან მუშაობის შემდეგ მთელი საათობით არ დამჯდარიყო სამიკიტნოში თავის ამხანაგებთან ერთად და შემდეგ კარგად „დასველებული“ შინ შუაღამისას ბაიათის ღიღინით არ წასულიყო. ახლა კი... ნისიად მაინც მიეცათ ნახევარი თუნგი ღვინო, ან ერთი „ტრიცატკა“ არაყი. არა, არ აძლევდნენ შეუბრალებელნი, წინათ აძლევდნენ ნისიად, მაგრამ ახლა აღარ ენდობიან. ხედავენ, რომ დაგროვილ ვალსაც ვერ იხდის. ერთერთ რომელიმე ამხანაგს მაინც დაეპატიჟა, არა, აღარავინ ეპატიჟებოდა, ყველანი მასავით უსაქმოდ დაიარებოდნენ. ყველას ჯიბეში თაგვები დათარეშობდნენ. იმ ოხერ სახლშიც აღარ დარჩენოდა ძვირფასი რამ ნივთი — ვერცხლის კოვზი, ოქროს ბეჭედი, საყურე ან ნოხი, რომ ცოლის შალულად წამოეღო, დაეგირავებინა. ან გაეყიდა. სახლი გამოცარიელებული იყო, ცოლი და ბავშვები ტიტველ-შიშველნი დაუდიოდნენ, თვითონ კი დარდსა და ბოლმას აევსო. დღეს მიკიტანმა, რომელთანაც ზაფხულის თითქმის მთელი ნაშრომი დატოვა, დინჯად გადაუშალა დავთარი და უთხრა:

— აი, ოსტატო დავით, ერთი თუმანი და ხუთი შაური ვალი გაქვს. მოიტანე, ჩამაბარე, ძმაო, და შემდეგ დაჯექი, რამდენიც გსურდეს სვი და ჭამე, შაქრად შეგერგოს.

მან ყურადღებაც არ მიაქცია დავითის ხვეწნა-მუდარას, მოკვდა, გაკერპდა, გაქვავდა და ერთი ჭიქა არაყიც არ მიაწოდა, რომ გაშოფიტული ხახა დაესველებინა.

ახლა მთლად იმედდაკარგული ბრუნდებოდა შინ, სასოწარკვეთილი, გაბოროტებული ყველაზე და ყველაფერზე. როდესაც ფიქრობდა ხვალაც, ზეგაც და, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს ისევ ასეთი მარცხიანი დღე უნდა განეცადა, როგორც დღეს, გონება ეკარგებოდა. წარამარა იჩხრეკდა ახალუხის ჯიბეებს, ისინჯავდა, ამოწმებდა იმ იმედით. იქნებ ჯიბის კუნჭულში ერთი ორშაურიანი ან სამშაურიანი მაინც ეპოვა, მაგრამ დაგლეჯილ ჯიბეებში თითები მხოლოდ თმისმაგვარ შეკორძებულ ჭუჭყს პოულობდნენ. ქართან ბრძოლით ვიწრო და მრუდე ქუჩას მიადგა, რომლის გაყოლებით აქეთ-იქიდან ერთმანეთს მიყუდებოდნენ პატარ-პატარა სახლები, თითქოს იმის შიშით, არ წავიქცეთო. სახლები საცოდავად გამოიყურებოდნენ თავის მიღრეცილ-მოღრეცილი ფანჯრებით, დამპალი კარებით... დავითი შეჩერდა ერთ-ერთი კარის წინ, რომლის ჭუჭრუტანებიდან სინათლე გამოსჭვიოდა. იმის ნაცვლად, რომ ხელით დაეკაკუნებინა, კარებს ფეხით მაგარი წიხლი ჰკრა. კარებმა ჭრიალი დაიწყო, ცოტაც და, დაინგრეოდა კიდეც. მაგრამ არ გაიღო, შიგნიდან ჩარაზული იყო. ამ შემთხვევამ უფრო გააცოფა იგი და წიხლი პირველზე უფრო მძლავრად სდრუზა.

— ჩაძაღლდით, დაიხოცეხით! — დაიღრიალა, თან ლანძღვა-გინება დააყოლა.

შიგნიდან კარის საკეტის ჩხარუნი მოისმა. ფეხიშიშველმა დაგლეჯილ ტანსაცმლიანმა, თმებაბურძგნულმა პატარა გოგონამ კარი გააღო, სიცივეზე შეაკანკალა, ერთ მხარეს გადადგა და მამას გზა დაუთმო.

დავითი შევიდა, სისხლიანი თვალები მიმოავლო მშიერ გოგონას, საცოდავად რომ შეჰყურებდა მამის ცარიელ ხელებს და, იმ დროს, როდესაც კარებს რაზავდა, ერთი მძიმე მუშტის დარტყმა იგრძნო კეფაში. ხმა არ ამოუღია, იმავე ადგილას გაჩერდა, ხელები თავზე დაილაგა და ქათამივით იქვე ჩაიკეცა. მამის მეორე დარტყმას მოელოდა და ამიტომ შინშილისაგან დასუსტებული, ღონემიხდილი ჩონჩხად ქცეული ხელებით იფარავდა თავს, მაგრამ მამა მხოლოდ ერთი დარტყმით დაკმაყოფილდა და იმწამსვე ცოლს მიუბრუნდა, რომელიც ტახტზე მოკეცილი რაღაცას კერავდა ლამპის შუქზე.

— ჰა, მოკვდით და ჩაძაღლდით! კარები კინაღამ დავამტვრიე, გახა ვერ გაიგეთ? აი დაგაყრუათ ღმერთმა. ისე მაგრად ჩაგირაზავთ, თითქოს ყაჩაღებისა გეშინოდეთ. ძალიან გეშინიათ უცებ შინ არავინ შემოგიცვივდნენ და არ გაგძარცვონ. ოჰ, თქვენი გაჩენის დღე დაიქცეს, თქვენ ხომ ჩემთვის ცოლი და შვილი არა ხართ, ჭირი და ცეცხლი ხართ. ჯიბეში ბარაქა მას შემდეგ გამიწყდა, რაც ფეხი შემოდგი ჩემს სახლში.

დავითის წარმოთქმული ყოველი წინადადება ქუჩური ლანძღვა-გინებით შეზავებული იყო. ცოლმა კრინტი არ დასძრა, თავიც კი არ აიღო საკერავიდან. ქმრის ღრიალი, ცემა და ლანძღვა-გინება ჩვეულებრივი ამბავი იყო მისთვის. მთლად დაეკარგა თავისი მნიშვნელობა და ზეგავლენა. უკვე დიდი ხანი იყო, მაია აღარ პასუხობდა ქმარს. ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნდა, რომ პასუხის გაცემა სრულიად ზედმეტი იყო, უსარგებლო და ხშირად საშიშიც, რადგან სიტყვას სიტყვა მოსდევდა და დავითი ხშირად გადადიოდა მუშტებზე. ცოლის ერთადერთი პასუხი დუმილი და უყურადღებობა იყო. ძაღლს ეყეფნა, თუ დავითს ელაპარაკა, სულ ერთი იყო მისთვის. მოხდებოდა, რომ დავითი მთელი საათობით ყვიროდა, ღრიალებდა, უწმაწური სიტყვებით იგინებოდა, მაგრამ მაია თავჩაქინდრული, გაქვავებული, დადუმებული განაგრძობდა თავის საქმეს.

მძიმე იყო, ძალიან მძიმე საცოდაკი ქალის ხვედრი ღორთი ქმრის ხელში. იმ დღის შემდეგ, რაც ქმრის ოჯახში შედგა ფეხი, ერთი ნათელი დღე არ ახსოვს. ყოველთვის ცემა და ლანძღვა, ყოველთვის ლანძღვა და ცემა. ცემას და ლანძღვას კიდევ აიტანდა, შეურიგდებოდა ასეთ მოპყრობას, რომ ბავშვებზე მაინც ეზრუნა. ბავშვებიც უპატრონოდ იყვნენ მიტოვებულნი, რასაც შოულობდა, ღვინო-არაყში ფლანგავდა. მაშ რიღას მაქნისი იყო, უკეთესი არ იქნებოდა, ქმარი სულაც არ ჰყოლოდა! საწყალი ქალი, თვითონ გაუძღვებოდა თავის ოჯახს ისე, როგორც ქალს შეეფერებოდა.

„ღამღამობით მაინც არ დაველოდები მის მოსვლას შიშით, აგერ საცაა მოვა გალეშილი, ჩაძინებულ ბავშვებს გულებს დაუხეთქავს და მთელ უბანს შემოიკრებს თავზე“, — ფიქრობდა ქალი.

ოჯახს თვითონ მაია ინახავდა, ბავშვებს თავისი შრომით აცმევდა და კვებავდა. მაშ რაღად უნდა ქმარი, რა საჭიროა ოჯახისათვის?

მაია დღედაღამ მუშაობდა. კერავდა, თეთრეულს რეცხავდა, პურს

აცხობდა, ბაწარს გრეხდა, ძველ ტომრებს აკერებდა, ლეჩაქებს ბასმავდა, ნუშ-კაკალს და თხილს ამტვრევდა, — გაჭირვებას მისთვის ყველაფერი ესწავლებინა. უკვე შეჩვეოდა ყოველგვარ სამუშაოს და არც ერთ დღეს მარჯვენას არ ასვენებდა: შრომას, ნაკლულობას, ტანჯვა-ვაებას და ქმრის მიერ მიყენებულ ფიზიკურ და ზნეობრივ წამებას მთლად ჩამოეხმო, ჩონჩხად ექცია საცოდავი ქალი. მისი ცხოვრება პირუტყვის ცხოვრებას წააგავდა: არ იცოდა, რა დღე თენდებოდა, ან რა დღე ღამდებოდა. მხოლოდ ერთი რამ იცოდა კარგად — ბავშვები მშივრები არიან და საჭიროა შრომა, ბავშვები შიშველ-ტიტველნი არიან და საჭიროა მუშაობა. სახლის პატრონი ქირას ითხოვს, მაშასადამე, საჭიროა შრომა, შრომა, შრომა...

აგერ ახლაც, მიუხედავად იმისა, რომ შაბათი ღამეა — კვირაძალი, როდესაც ყოველი სამუშაო აღრე წყდება, ის მაინც განაგრძობს მუშაობას. ჰკერავდა მთელი დღე — დილა ადრიან დაწყებული. უნდოდა გაეთავებინა და პატრონისათვის ჩაებარებინა, რამდენიმე კაპიკი მიეღო, რომ ხვალ პური მაინც ეყიდა.

პატარა ბავშვი ბევრი ტირილისაგან დაღლილიყო და მისძინებოდა. უფროსი გოგონა კი ელოდებოდა, და, რას — თვითონაც არ იცოდა. მაიას თითები გაფიჩხებოდა, ნემსი ძლივს ეჭირა, წელში მოღუნული იჯდა, გამოფიტული.

დავითმა დიდხანს, ძალიან დიდხანს იყვირა, იღრიალა, იგინა, ილანძღა, მკვდარი და ცოცხალი არ შეარჩინა. შემდეგ ტახტზე წამოწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო და თვალი ჭერს გაუშტერა, რომელსაც წვიმისაგან ათასფერი დასდებოდა. პატარა გოგონა მამის შიშით კარებთან ჩაკუნტულიყო. იქედან მძლავრად მოჰქროდა ცივი ქარი. ბავშვი ფრთხილად წამოდგა, კატის ნაბიჯებით მივიდა, აფოფხდა ტახტზე და დედის გვერდით მოიკრუნჩხა. ტიტველი კანჭები ჩითის კაბის მოკლე კალთებით დაეფარა, მალე თვალის ქუთუთოები დაუმძიმდა და იქვე ჩასთვლიმა.

დედამ კბილებით დაწყვიტა საკერავი ძაფი და ამ დროს თვალი მოჰკრა ჩაძინებულ გოგონას, საბრალო თავს აკანტურებდა.

— გოგო, გეძინება? წადი დაიძინე!

გოგონამ გაახილა ამღვრეული თვალები, ერთ წამს გაბრუებულმა შეხედა დედას, მერე თავის ფხანა დაიწყო და ჩუმად ამოილუღლუღა.

— მშია.

— მეც მშია, — გამოეხმაურა ტახტის ბოლოში მწოლიარე პატარა ბავშვი, რომელსაც ღრიალზე გამოღვიძებოდა და აქამდე ჩუმად იყურებოდა საბნის ქვეშიდან, პატარა თვალებით შესცქეროდა ლამპის სინათლეს.

— ხვალ, ხვალ, შვილებო, გენაცვალოთ დედა.

მაგრამ პატარამ და მისგან გულგამაგრებულმა დიდმა გოგონამ უფრო ხმამაღლა დაიწყეს სლუკუნი.

— გაჩუმდით, ძაღლის ლეკვებო, თორემ, თუ წამოვდექი, — უცბად წამოიყვირა დავითმა, სწრაფად გადაბრუნდა მეორე გვერდზე და მუშტი ღონივრად დაარტყა ტახტს.

პატარა წამსვე გაჩუმდა და საბანი თავზე წაიხურა, გოგონამაც უმალ ხმა ჩაიწყვიტა და მუხლებზე დაჩოქილი ლოგინთან მიფოფხდა, დაწოლის წინ სხეული მოიფხანა, შემდეგ საბნის ერთი წვერი ასწია, ლოგინში ჩაწვა, თავი მიადო ძმის თავს და სულ მალე ჩაეძინა.

გარეთ ქარი დასივსივებდა, ჩამოირბენდა ბუხრის მილიდან ოთახში. კარებს და ფანჯარას არახუნებდა. ოთახში კი ისმოდა ბავშვების სუნთქვა და ზოგჯერ დავითის ხვრინვა. მაია თავჩაქინდრული გახაგრძობდა საკერავს. კერავდა და კერავდა, თეთრი ნაჭერი მის თვალებში ხან წითლად მოჩანდა, ხან ყვითელ ზოლებად.

დავითი ტახტზე იწვა, მაგრამ ვერ ისვენებდა, თითქოს ციებ-ცხელება შეჰყროდა, ისე ბორგავდა. მაგარი სასმელის წყურვილი უფრო და უფრო ემატებოდა. ფიქრობდა, ამ ღამეს ვერ გავათენებო. ან მოვკვდები, ან გავგიჟდებიო. მთელი დღის განმავლობაში თავს შეუძლოდ გრძნობდა. თავი ლოდივით დამძიმებოდა, თვალებიდან წყალი ჩამოსდიოდა. ხელები უკანკალებდა, მუხლებში რაღაც ღიტინს გრძნობდა, მუცელში კი თითქოს ფუტკრები უბზუოდნენ. არაფერი ეჭამა, მაგრამ მაინც შიმშილს არა გრძნობდა, ჭამაზე არც ფიქრობდა, მხოლოდ იცოდა და გრძნობდა, რომ რამდენიმე ჭიქა არაყი საკმარისი იყო ყველა ამ სნეულებათაგან სწრაფად განკურნისათვის.

— ოჰ, მე თქვენი... — ერთი მძიმე მუშტი კიდევ დაარტყა ტახტს და გაურკვეველი მისამართით შეიგინა. წამოჯდა, ფეხები ტახტზე ჩამოკიდა, მოიკრუნჩხა, თავი ხელებში მოიბღუჯა და მუხლებამდე ჩაჰკიდა. ძილი მაინც მოსვლოდა, იქნებ დავიწყებოდა ყველაფერი. ეს აუტანელი წყურვილი, მაგარი სასმელის წყურვილი ისე არ სტანჯავდა, როგორც მასზე ფიქრი, სხვადასხვა წარმტაც სურათებად რომ ეჩვენებოდა.

ფეხზე წამოდგა, ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო, ფიქრობდა, რა საშუალება გამოენახა ასეთი საშინელი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად.

ოთახში სიარულის დროს, როგორც კი კუთხეს მიუახლოვდებოდა, თვალს მოჰკრავდა წყლის დოქს. ჯერ ყურადღებას არ აქცევდა, შემდეგ კი გაჩერდა მის წინ და კარგა ხანს ვერ დასძლია ერთგვარი სიძულვილი, როგორც ლოთს, სძულდა წყალი. მაგარი სასმელის წყურვილი კი სულს უხუთავდა, ნერწყვი უშრებოდა პირში, ხახა გამოფიტეოდა, ყელი რითიმე უნდა დაესველებინა. და დავითი ნელნელა დაიღუნა კიდეც დოქისაკენ. მაგრამ ამ დროს ერთმა უცნაურმა ფიქრმა გაუელვა თავში, რამაც დაღვრემილი პირისახე გაუბრწყინა. სწრაფად მიუახლოვდა კედელში ჩატანებულ კარადას, გამოაღო კარი და იქიდან არყის ცარიელი ბოთლი გამოიღო. დოქიდან ერთი ჭიქა წყალი ჩაასხა ბოთლში, დაუწყო გამორეცხვა. კარგახანს რეცხავდა ბოთლის კედლებს, შემდეგ ტუჩებზე მიიყუდა და დალია. თვალები დაეხუჭა, ტუჩები მაგრად მოეჭირა ბოთლის პირისათვის და ისე სვამდა ნარეცხს. ამ დროს მის სახეს ისეთი საზარელი გამომეტყველება მიეღო, თითქოს სასაქმებელ ზეთს ღებულობსო. ცოლმა პირველად წამოსწია თავი, ქოქოლა მიაყარა და საქმე განაგრძო.

დავითმა თვალი შეასწრო ცოლის საქციელს, მოესმა, თითქოს რაღაც წაიბურტყუნა კიდეც დავითის მისამართით.

— ჰა, რასა ბურტყუნებ? — მიუბრუნდა ცოლს. ბოთლი ტუჩებიდან მოიშორა, გაშტერებული თვალებით დიდხანს უმზერდა. შემდეგ კი მიმართა: — რა იყო, ჯანი ხომ არ გექავება? თუ გექავება, მოდი და დაგფხან.

ცოლმა ხმა, კრინტი არ დასძრა.

დავითმა ბოთლი თავის ალაგას დადო. კარადის კარი მხიარულად დახურა და ტახტზე წამოწვა. წყალს თუმცა ცოტა არყის გემო მისცემოდა, მაგრამ, რასაკვირველია, ის არ იყო, რომელსაც დალევდა თუ არა, მაშინვე ცხვირიდან ბოლს გამოადენდა ხოლმე, თვალებიდან ცრემლებს გადმოაცვენინებდა, ბალზამივით დაუვლიდა ადამიანს მთელ ძარღვებში. ამ ფიქრს უფრო გაეტაცებინა დავითი. მას სურდა, ცოლს ხმა ამოეღო, ეთქვა რამ, რომ წამსვე წამომხტარიყო და ერთი მაგრად ეცემა, გულის მთელი გესლი და ბოღმა მასზე გადაენთხია. მაგრამ თევზივით გაჩუმებული მაია თავის საქმეს განაგრძობდა.

კარები გარედან დააკაკუნეს. დავითმა თავი წამოყო, კარებისაკენ გაიხედა და ისევ ტახტზე გაიშხლართა. ეგ უსათუოდ აკოფა იქნება, მათი პირმშო შვიდი-რვა წლის ბავშვი, რომელიც ახლა ბრუნდებოდა დუქნიდან სახლში, მეოთხე თვე სრულდებოდა, ერთ მექვაბესთან ჰყავდათ შეგირდად მიბარებული. ერთი წელი უფასოდ უნდა ემსახურა, ვიდრე ხელობას შეისწავლიდა.

რაკი კარი მაშინვე არ გაუღეს, რახუნი კიდევ განმეორდა. დავითი წამოხტა, ტახტზე ჩამოჯდა და ყვირილით მიმართა ცოლს:

— დაყრუვდი, არ გესმის განა, ესეც მე ხომ არა ვარ. აეთრიე, გაუღე კარი, აი გახმი მაგ ლამპასავით, ერთი ვინმემ ჰკითხოს, რა სარგებლობა მაქვს მაგ ოხერ-ტიალ კერვისაგან. ნავთსაც გათენებამდე ხომ ტყუილ-უბრალოდ წვავ.

მაიამ საკერავი ერთ მხარეზე გადადო, წელში ძლივს გასწორდა, ჩამოვიდა ტახტიდან და კარი გააღო.

შემოვიდა აკოფა. დაგლეჯილი ტანისამოსი ეცვა, ტიტველა ხელ-ფეხი მოუჩანდა, გამურული პირისახე. სიცივისაგან მთელი სხეულით ძაგძაგებდა, კბილზე კბილს აცემინებდა, გამურულ პირსახეზე ‘ხოლოდ თვალები უბრწყინავდა ბავშვური უსაზღვრო აღტაცებით.

— დედილოჯან, — შემოსვლისთანავე შესძახა მან. — დღეს ერთი მოვიდა და ქვაბები იყიდა ჩემგან, მერე სახლამდე წავუღე და ერთი აბაზიანი მაჩუქა, აი!

დავითი ფულის ხსენებაზე ჩიტივით წამოხტა და ერთი ნახტომით კარებთან გაჩნდა.

— აბა, აბა...

და დამშეული მგელივით შეეცადა ფულის წართმევას.

დედა შვილისა და მამის შუა ჩადგა.

— არ მისცე, არ მისცე, აკოფჯან, პური არა გვაქვს. პურს ვიყიდით.

სიტყვა არ დაემთავრებინა ცოლს, რომ დავითმა ორივე ხელი ჩაავლო გაძვალტყავებულ მხრებში და ისეთი სიმძლავრით გადაისროლა უკან, რომ მაია უგონოდ გაიშხლართა მიწაზე.

— მომეცი! — დაიღრიალა და ისე მაგრად მოუჭირა ბავშვის ‘უკს ხელი, რომ ბავშვმა ტკივილისაგან შეჰკივლა და ფული სწრაფად გაუშვა ხელიდან. დავითმა ფული უცებ აიტაცა და სულელივით გარეთ გავარდა...

როდესაც მაია გონს მოვიდა და თვალები გაახილა, მოეჩვენა, თით-

ქოს სიზმარში იყო. აკოფა კედელს მიჰკვროდა და გულამოსკვნილი ქვითინებდა. ცივი ქარი საშინლად უბერავდა ღიად დატოვებულ კარებიდან ლამპას, ლამის ჩაქრობას ემუქრებოდა. მაია დიდი ტანჯვით იქვე წამოჯდა და ორივე ხელი კისერზე მოისვა. თვალები დახუჭა, ბწარე ტკივილებისაგან მძიმედ და ღრმად ამოიხვნეშა.

— კარი დახურე აკოფჯან, დახურე, ცივა. — ძლივს წამოილუღლუღა მან.

1889

ჰოპოპ!

მთელ უბანში და მაზრაში „ჰოპოპის“ ზედმეტი სახელით ცნობილ, ლოთობისაგან სახეწამოსიებულ — ჩაწითლებულ, ასე ორმოციოდე წლის იარაღის ოსტატს ასატურს, რომელსაც ახალუხი ეცვა და ტყავის ქამარი ერტყა, საქათმესავით პატარა დუქანი დაეკეტა და საღამო ჟამს შინ ბრუნდებოდა. ცალ ხელში ნახევართუნგიანი ხელადა ეჭირა, წლების მანძილზე წითელი ღვინისაგან ზედაპირგაშავებული, მეორეში — წითელი ხელსახოცი, რომელშიაც ცოტა „დოში“ (თევზი), მცირეოდენი მწვანილი, ერთი კონა წითელი ბოლოკი და ორი თეთრი „შოთი“ (გრძელი ქართული პური) ჰქონდა გამოკრული. პურებს ხელსახოციდან ყურებივით გამოეშვირათ ბოლოები.

მზე ახალი ჩასული იყო, ზაფხულის აუტანელ სიცხეს ცოტა ძალა დაეკარგა, მაგრამ ჰაერში ჯერ კიდევ იდგა მზისაგან გახურებული მტვრის ბუღი. მთელი დღის შრომისაგან მოქანცული უბნის ქალები გუნდ-გუნდად ისხდნენ თავიანთ ეზო-ყურესთან, შიშველი ფეხები გამოეშვირათ, თავშლის ბოლოები ნახევრად გადაღეღილ გულ-მკერდზე ჩამოეშვათ და ჭორაობით იქცევდნენ თავს. უქუდო და ფეხშიშველი, ჭუჭყიანი, ერთმანეთში ბუზების გუნდასავით არეული გოგო-ბიჭები ჟივილ-ხივილით დარბოდნენ ქუჩებში და არემარეს აყრუებდნენ.

— ჰოპოპ! — უეცრად წამოიძახა ერთმა მათგანმა.

ჰოპოპმა ამ წამოძახილს ყურადღებაც კი არ მიაქცია, ეტყობა, იმდენად ჩვეულებრივი ამბავი იყო მისთვის, და გულგრილად განაგრძო თავისი გზა. ქუდის ქვეშიდან ოფლი წურწურით სდიოდა და ყურებს უკან გახურებულ მხრებზე ეწვეთებოდა.

— ჰოპოპ!... — დაიძახა მეორემ, მესამემ, მეოთხემ... და ბოლოს ეს

ცალკეული წამოძახილები ერთ ისეთ ყიჟინად გადაიქცა, რომ ყველაზე მოდუნებულ ნერვებსაც კი ააფორიაქებდა.

ჰოპოპმა ვეღარ მოითმინა, უწმაწურად ლანძღავდა ადევნებული ბავშვების გუნდს, მაგრამ გზა მაინც უკან მოუხედავად განაგრძო.

ბავშვებიც, ეტყობა, ამას ელოდნენ, ჭყივილს უმატეს, ერთი აურზაური ატეხეს, ზოგმა ქვებიც დაუშინა.

მაგრამ ჰოპოპი მშვიდად მიდიოდა, თავის დაცვაზე არც ფიქრობდა, თუმცა კარგად ხედავდა როგორი ზუზუნით ჩაუქროლებდნენ ხოლმე ქვები ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ, ხან თავზე და მიწაზე დაცემისას მტვერს აყენებდნენ. ის კვლავ ილანძღებოდა და ისე განაგრძობდა გზას. ალბათ ასეც მივიდოდა სახლამდე, რომ ერთი ქვა ფეხში არ მოხვედროდა. ეტყობა ფეხი მწარედ ეტკინა, რადგან უეცრად გაჩერდა, თვალისდახამხამებაში ღვინის ხელადა და ხელსახოცში გამოკრული სურსათი მიწაზე დადო, ერთ მოზრდილ ქვას დაავლო ხელი, ჩასისხლიანებული თვალები გააელვა და მოემზადა, რომ ბავშვებისათვის ესროლა, მაგრამ მათ ერთი კი დასჭყივლეს, პირი იბრუნეს და მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში გაიფანტნენ.

— აი მე თქვენი.... — და უწმაწური ლანძღვა-გინება მიაყოლა. — ერთი გაჩერებულიყავით, გიჩვენებდით სეირს! ქვებით გინდათ ჩხუბი?.. მაშ ვიჩხუბოთ, სადღა გარბიხართ, მე თქვენი... (ისევ ლანძღვა) ფუი! კაცს ქუჩაში ვეღარ გაუვლია! ვაჰ, სოფლის ძაღლებივით არ დამესიენ. კაცო, ერთი ეს მითხარით რამე დამიშავებია? დამანებეთ თავი რაღა, მივიდე შინ და დავეგდო, მე თქვენი.... — და კვლავ შეუკურთხა.

ასატურმა ქვა დააგდო, საჩვენებელი თითით ჩამოიწმინდა ოფლიანი შუბლი, ხელი ჩაიქნია, დაიხარა, ნატკენ ფეხს დაუწყო სრესა, თან ილანძღებოდა.

— ჰა. უსტა ასატურ, ეგრე რამ გაგაცეცხლა, — გვერდით ჩავლისას შეეკითხა ერთი ნაცნობი.

ჰოპოპმა გადახედა, ხელადა და შეკრულა აიღო და ბუზღუნით განაგრძო გზა.

— ვაჰ, ასეთი რამე გაგონილა? ერთხელ არხეინად ვერ ჩავიარე, ჩომ ეს ძაღლის ლეკვები უკან არ ამედევნონ! ჰოპოპ და ჰოპოპ... (ისევ შეუკურთხა ბავშვებს). — ჰოპოპი რა თქვენი ტოლია!

— რას იზამ, ბავშვებია, უსტა ასატურ, ყურს ნუ უგდებ, — მიუგო მის წინ მიმავალმა ნაცნობმა.

— კაცო, მერედა, ყურს ვინ ეგდებს, მე მაგათი... (ისევ შეკურთხება). დამინახავენ თუ არა, სოფლის ძაღლებივით გამომეკიდებიან ხოლმე, ქვებსაც მესვრიან, ქვებსაც...

მაგრამ ნაცნობი ყურს აღარ უგდებდა, სხვა ქუჩისაკენ წავიდა.

ჰოპოპი ერთხანს კიდევ აგინებდა ბავშვებს, მერე მანაც თავის ქუჩისკენ გაუხვია. კარებთან ჩამომსხდარ ქალებს რომ ჩაუარა, ერთმა ახალგაზრდა ქალმა მიადევნა:

— ჰოპოპ!

და მაშინვე კისკისით სახე გვერდით მჯდარი ამხანაგის მხარს უკან ჩამალა. ამაზე სხვა დედაკაცებმაც გადაიხარხარეს, გარდა ერთი დედაბერისა, რომელმაც გაკიცხა დამძახებელი.

ჰოპოპს, მართალია, უკან არ მოუხედია, მაგრამ ჩავლისას ერთი ისე გემრიელად შეუკურთხა ქალს, რომ დედაბერმა ნიშნის მოგებით უთხრა:

— ჰა, ეგ გინდოდა?

დანარჩენმა ქალებმა კი სირცხვილისაგან პირები მოკუმეს, ერთმანეთს მუჯლუგუნებს ჰკრავდნენ და ძლივს იკავებდნენ სიცილს.

ამის შემდეგ ჰოპოპი იმ ქალის მისამართით კიდევ ილანძღებოდა, თან შინისაკენ მიაბიჯებდა.

* * *

მთელ უბანს ასატურისთვის ჰოპოპი შეერქმია ხალხური თქმულების საფუძველზე — „ოფოფი თვითონ ყარდა და ეგონა ბუდე ყარსო". მართლაც ასატური ძალზე მყრალი კაცი იყო, ახირებული მოჩხუბარი. თუმცა ამაში ნაწილობრივ თვითონ თანაუბნელებს მიუ ძღოდათ ბრალი, მოსვენებას არ აძლევდნენ, ჰოპოპის გაბრაზებით ერთობოდნენ. მაშინაც კი არ ასვენებდნენ, როცა შინ იყო, მაგიდას უჯდა, დოქი გვერდით ედგა და ჩახლეჩილი ხმით თურქულ ბაიათს მღეროდა — უბნის ქალები, რომელთაც სიამოვნებდათ მისი უწმინდური ლანძღვა-გინება, ვინმე ცუღლუტ ბავშვს შეაგულიანებდნენ, ჰოპოპის გასაბრაზებლად გაგზავნიდნენ. ბავშვიც წამსვე გარბოდა. თავს ფრთხილად შეჰყოფდა კარებში, შესძახებდა „ჰოპოპ!" და კურდღელივით გახტებოდა. სწორედ ეს

ერთადერთი სიტყვა ჰოპოპს ქეიფის მადას უკარგავდა, იგი მაშინვე შესწყვეტდა სიმღერას, გარეთ გამოვარდებოდა და ისეთ ორომტრიალს ასტეხდა, რომ მთელი უბანი მყის იქ გაჩნდებოდა.

ჰოპოპი ვერავის ეგუებოდა, ბაზარში თუ უბანში მეზობელი არ იყო დარჩენილი, რომ არ წაჩხუბებოდა და იმ მეზობელს ერთი შაგრად არ გაელახა. ცოლთან ხომ გაუთავებელი ომი ჰქონდა. ის ცოლს სცემდა, ცოლი მას. იქამდე ჩხუბობდნენ, სანამ მეზობლები არ გააშველებდნენ, ანდა ვიდრე ორივეს ძალ-ღონე არ გამოეცლებოდა. პოლიციის გარდა არავისი არ ეშინოდა, ისიც იმიტომ, რომ არა ერთხელ ჩაესვათ ვირთხებით სავსე სარდაფში და რამდენჯერმე თვითონ ბოქაულს ცხვირ-პირიდან სისხლი ედინა.

მართალია, ჰოპოპი ლოთი იყო, მაგრამ მხოლოდ ღვინოს სვამდა, ისიც წითელ ღვინოს. არაყი არ უყვარდა და თუ დალევდა, სახეზე ისეთი გამომეტყველება ემჩნეოდა, თითქოს აგერ-აგერ გული უნდა აერიოსო. საქმელებსაც არჩევდა. წვნიანი კერძი არ უყვარდა, სამარხვო საქმელები, განსაკუთრებით ლობიო, მთელი არსებით სძულდა, მისი ყოველდღიური საკვები მსუქანი დოში, ხიზილალა, მწვადი, ქორფა მწვანილი, წითელი ბოლოკი და თეთრი პური იყო. ხოლო შედარებით ასეთი ძვირი საქმელების საყიდელი ფული მუდამ ჰქონდა, ვინაიდან თავისი საქმის კარგი მცოდნე იყო და იმდენად დაოსტატებული, რომ გროშებად ღირებული დაჟანგებული ხმალი, ხანჯალი, ან თოფი, შეეძლო ძველთაძველ ნივთად მიეყიდა ვინმე ევროპელი ტურისტისათვის და კარგა ხელი მოეთბო.

ღვინის ხელადა ხელში რომ ეჭირა, უკვე თხუთმეტ წელზე ეტია ხმარობდა. დილდილაობით ცარიელს გაიყოლებდა დუქანში, საღამოს კი სავსე მოჰქონდა. ისე უყვარდა, რომ შაბათ საღამოს, გამოსცლიდა თუ არა, ზედ სანთელს აანთებდა და იტყოდა: „ამაშია ბარაქა! რაც ამ ხელადიდან ღვინოსა ვსვამ, საქმეც კარგად მიმდისო“. ერთხელ მის ექვსი წლის უფროს ბიჭს ფეხი მოუხვდა ხელადაზე. ხელადა გაგორდა, ცოტა გაწყდა, კინაღამ ტახტიდან გადმოვარდა და გატყდა. ჰოპოპი ეცა ბიჭს და ისე უმოწყალოდ დაუწყო ცემა, ცოლს რომ არ გამოეგლიჯა, ხელში შემოაკვდებოდა. კიდევ კარგი, ხელადა უკვე ცარიელი იყო, თორემ ცემა-ტყეპა არც ცოლს ასცდებოდა.

• • •

ჰოპოპი რომ შინ მოვიდა, ცოლი იქ არ იყო. გარეთ კედელთან მისი შვილი ნაფოტებისაგან სახლს აშენებდა. მოკლე, ჭუჭყიანი პერანგის ვეტი არაფერი ეცვა.

— სად არის დედაშენი? — ჰკითხა მამამ.

ბიჭი წამოდგა, თვალები მიაპყრო ხელსახოცს, მამას რომ ხელში ეჭირა და მიუგო:

— ბაგრატაანთა გადავიდა.

ჰოპოპმა თვალები დააკვესა.

— კიდევ?.. ოჰ, მე იმისი... — შეუკურთხა, სწრაფად შინ შევიდა ხელადა და შეკრულა ტახტზე დადო და ისევ შვილს მიუბრუნდა. — წადი, ამ წუთას დაუძახე. აბა, გასწი.

ბიჭი, რომელიც მამას ოთახში შეჰყოლოდა და თვალს არ აშორებდა ხელსახოცს, უცებ შემობრუნდა და გარეთ გავარდა.

— ბაგრატაანთა გადავიდა!... კარგი, ძალიან კარგი, — ხმამაღლა ელაპარაკებოდა თავის თავს ჰოპოპი. — აი, მოხვალ და მე შენ გიჩვენებ... ბაგრატაანთა გადასვლა როგორ უნდა... ჰეი გიდი! მაშ ასატური ნომკვდარა რაღა! ცოცხალი აღარ არის, მიწაზე არ დაიარება, რომ მის ცოლს სხვები ეკურკურებიან!.. ჰოპოპად რომ ვიქეცით განა ნამუსიც დაკარგეთ?.. მაშ საფლავში არ უნდა დაიმარხოს ეს ქუდი?..

და თავიდან ქუდი მოიშვლიპა, რაც ძალა შესწევდა, მიწაზე დაანარცხა. მერე ლანძღვა-გინება დაუწყო ცოლს, თან ქამარი შეიხსნა, გაიხადა ახალუხი, ფეხსაცმელი, აყროლებული წინდები, შარვალი, შემდეგ ზღურბლზე გაჩერდა და მოკლე პერანგის კალთების ქნევით იმშრალებდა ოფლში გაწურულ სახესა და მუცელს.

მოუთმენლად ელოდა ცოლის დაბრუნებას, მაგრამ რაკი ქალი ჯერ არ ჩანდა, გაცეცხლებულ გულზე ხელადას მიაკითხა, მოიყუდა და ხარბად დალია ღვინო. წყურვილი რომ მოიკლა, ხელადა ადგილზე დადგა, მერე ხელსახოცის გაუხსნელად ერთ-ერთ შოთს ბოლო წაუტეხა, პირში იტაცა და ღეჭვა დაუწყო.

დედის დასაძახებლად გაგზავნილი ბავშვი ტყვიასავით შევარდა შინ.

— ახლავე მოვდივარო, — თქვა ბიჭმა და ამჯერად მამას პირში მიაჩერდა.

— ჰმ, — პურის ღეჭვით ჩაიბურტყუნა ჰოპოპმა და ხელი ისევ ხელადისკენ წაიღო.

ასე და ამრიგად, როცა ხელადა რამდენჯერმე მოიყუდა და ისევ ტახტზე დადგა, ზღურბლზე გამოჩნდა ცოლი, ლამაზი ჩასხმული დედაკაცი; ძველი ჩუსტები ეცვა, ხელში ძუძუმწოვარა ბავშვი ეჭირა.

— აჰა, მეც მოველ, რა გნებავს? — გაბედულად მიმართა ღრმა რწმენით, რომ ერთ-ერთი ყოველდღიური სცენა გამეორდებოდა.

— რა გნებავს? — თქვა ჰოპოპმა, რომელსაც ხელადა ეს-ეს არის ისევ მოეყუდებინა. ხელადა ტახტზე დადგა, პერანგის სახელოთი ტუჩები მოიწმინდა, მიუახლოვდა ცოლს, ხელი ჩაავლო, ოთახში შეათრია, ჩუქარით გამოეჭიმა და უთხრა: — სად იყავი?

— ბაგრატაანთა. — ისევ ისე გაბედულად მიუგო ცოლმა.

— რას აკეთებდი იქ?

— რა უნდა გამეკეთებინა? სარეცხი ჰქონიათ. დამიძახეს, რომ ხვალ გავურეცხო.

— სარეცხი?! სარეცხი?! ოხ მე შენი... (შეუკურთხა)... რაო, განა მშიერ-ტიტველი ხარ, უპატრონო ოხერი, რომ სხვებს სარეცხს ურეცხავ, ჰა? მაშ მე ცოცხალი აღარ ვყოფილვარ, რაღა, ძაღლებსა და მგლებს შეუჭამივარ!.. ვაჰ, გაგონილა ჩემი ცოლი სხვისი მოსარეცხე იყოს? განა ბაგრატა ვისი ძაღლია, რომ ჩემმა ცოლმა სარეცხი გაურეცხოს? იმისთანებს ასს ვიყიდი და გავყიდი, ჩემმა ცოლმა კი სარეცხი უნდა გაურეცხოს?.. რა ბედენაა თუ ქუდზე კაკარდა აქვს, მე იმის... (ლანძღავს ბაგრატას). ჰეი, დედაკაცო, რა სარეცხი, რას მიედმოედები, ვის ატყუებ? აზირ ისა თქვა... ჯერ აქეთ მოდი, აქეთ... — ჰოპოპმა უფრო ღრმად შეითრია ცოლი ოთახში, ხმას დაუწია, კისერი წაიგრძელა და კბილებში გამოსცრა. — აზირ ისა თქვა, სამამაძაღლოდ ვიყავი წასულიო? ჰა, ტყუილია!.. კიდევ იტყვი, ტყუილიაო?..

ცოლმა ხელი გაინთავისუფლა, ქოქოლა მიაყარა.

— აი დაგმარხე შე გიჟო-სულელო! — ზიზღით შესძახა და გარეთ გასასვლელად მოემზადა.

მაგრამ ქმარმა ხელი ჩაავლო მხარში და ადგილიდან დაძვრის ნება არ მისცა.

— გაჩერდი! — დაიყვირა. — სად მიდიხარ, რად მიდიხარ? გგონია ხელიდან წამიხვალ? მე თუ გიჟი ვარ, ეხლა გაჩვენებ. სანამ სულს არ ამოგხდი, არ მოგეშვები. მაშ მე მკვდარი ვყოფილვარ, რაღა, რომ შენ იმ ძაღლ-მამაძაღლთან საროსკიპოდ დადიხარ? მკვდარი! მკვდარი!.. მკვდარი?..

და ყოველ ამ სიტყვის თქმაზე ცოლს მუშტებს ურტყამდა სადაც მოხვდებოდა... დედაკაცს ერთი ხელი ჩვილი ბავშვისათვის შეეშოეხვია, თავი დაეღუნა, რომ სახეში არ მოხვედროდა მუშტები და მეორე ხელით ცდილობდა ქმრის შეკავებას, მაგრამ ამის გამო ჰოპოპი უფრო ცოფდებოდა და უფრო თავგამეტებით ურტყამდა მუშტებს.

— ჰეი, გიჟ-ჰოპოპო, რა გინდა ჩემგან! — შესძახა ატირებულმა ქალმა.

ძუძუს ბავშვი წიოდა, ხოლო მეორე შვილი განზე გამდგარიყო და გულგრილად უყურებდა ამ ჩვეულებრივ სურათს.

— ეხლა ჯოხითაც უნდა გცემო! — თქვა ჰოპოპმა, სული მოითქვა და ჯოხის საძებნელად ოთახში გიჟივით დაიწყო ბორიალი. ჯოხი ვერ იპოვნა, მაგრამ თავის ფეხსაცმელებს შეასწრო თვალი, დაიხარა, აიტაცა ერთი მათგანი, რომელსაც ქუსლზე თავმოგრეხილი ლურსმნებით სქელი ნალი ჰქონდა დარტყმული.

ამასობაში ცოლმა ჩვილი ბავშვი ტახტზე დასვა, ხელი წამოავლო ღვინიან ხელადას და წელში გაიმართა.

— აბა დამარტყი, აბა გაბედე. ამ ხელადას თავზე დაგამტვრევ! — თამამად შესძახა ცოლმა მუქარით.

— ოჰ, მე შენი!.. — დაიღრიალა ჰოპოპმა. ფეხსაცმელი დააგდო და ცოლისაკენ გაიწია ხელადის წასართმევად.

მაგრამ ცოლმა ახლოს არ მიუშვა. ჩუსტები გაიძრო და ხელადიანად გარეთ გავარდა.

მეუღლე უკან მიჰყვა.

ქუჩაში, სადაც უბნის ქალებსა და ბავშვებს უკვე ჩვეულებრივ მოეყარათ თავი სეირის საყურებლად, ცოლი და ქმარი გარბოდნენ — წინ ცოლი ხელადით ხელში, უკან — ქმარი, თავღია, ფეხშიშველი, საცვლების ამარა.

ქუჩაში ენით გამოუთქმელი ჟრიამული იდგა. ქალები კისკისებდნენ, ბავშვები წვრილი ხმით „ჰოპოპს“ გაჰკიოდნენ, თან უსტვენდნენ, ხოლო უბნის საწვრილმანო დუქნის წინ მდგარი მოზრდილი ბიჭები სიცილ-ხარხარით ღრიალებდნენ: „დაეწიე, ჰოპოპ, აბა, ჰე დაეწიე!..“

ამ საშინელ ღრიანცელში მისდევდა ჰოპოპი ცოლს, მოკლე პერანგის კალთებს მიაფრიალებდა, თვალს არ აშორებდა ხელადას, რომელშიაც ჭყაპა-ჭყუპი გაუდიოდა ღვინოს და ნელ-ნელა იღვრებოდა.

რაც უფრო გარბოდნენ, მით უფრო მცირდებოდა მანძილი ცოლ-

ქმარს შორის, რადგან ხელადა ქალს ხელს უშლიდა სირბილში. ბოლოს რამდენიმე ნაბიჯიღა დარჩა, და ქმარი უკვე დაეწეოდა ცოლს, მაგრამ უეცრად ქალმა, გაუჩერებლად, ხელი მაღლა ასწია და ხელადა გამეტებით მიწაზე დაახეთქა. ხელადა გატყდა, ღვინო ვარდისფრად გაიშალა. ხელადის სქელი ძირი თიხის ჯამივით ეგდო მიწაზე, ხოლო თხელი კედლების სველი ნატეხები აქეთ-იქით გაფანტულიყო. წითელმა ღვინომ შედედებული სისხლივით შეღება ნიადაგი და იმწუთშივე მზისგან გახურებულმა მიწამ შეიწოვა.

ჰოპოპი აცახცახდა და უცებ შედგა. ისე მოეჩვენა, თითქოს თვითონ ის დაანარცხეს მიწაზე. თვალთ დაუბნელდა. აღარ იცოდა, რას სჩადიოდა, ერთ დიდ ქვას დასტაცა ხელი და სიბრაზით გაოგნებულმა გაქცეულ ქალს ესროლა.

ქვამ გაიქროლა და პირდაპირ წელში მოხვდა ცოლს. ღედაკაცმა მწარედ შეჰკივლა, რამდენიმე ნაბიჯი ინერციით გაირბინა და მიწაზე გაიშხლართა.

ახორხორებული ქუჩა უცბად დადუმდა და გაქვავდა.

1890

რა მოხდა შემდეგ, როცა საშაქრეს ორი ნატეხი შაქარი დააკლდა

დიდ, უკაცრიელ ეზოს მიყრუებულ კუთხეში მეფორნე იაგორას ერთი ფართოოთახიანი ძველი სახლი ედგა ეზოში გამავალი კარით. სახლს გვერდზე ფიცრული სამზარეულო ეკრა, სამზარეულოს კი ყავრით დახურული სადგომი, სადაც ღამღამობით თავისი ფორანის ვეებერთელა ბაჯბაჯა ცხენს აბამდა. სადგომს ქუჩიდან ფიცრული ღობე ჰყოფდა. ღობესთან თვეების მანძილზე დაგროვილი ცხენის ჩონჩორიკის ზვინი იდგა. ეზოს დანარჩენ ნაწილში კი ისეთი სისუფთავე იყო, ბზის ნასახსაც ვერ იპოვიდით. ეზოს მომვლელი-დამსუფთავებელი იაგორას მეუღლე ანანი გახლდათ. გათენდებოდა თუ არა, მაშინვე ცხენის ჩონჩორიკს გამოგვიდა, მერე კი მთელ ეზოს საგულდაგულოდ დაასუფთავებდა ხოლმე.

გასაოცარი სისუფთავე სუფევდა აგრეთვე შიგნით ოთახში. დაბალ ტახტზე დაფენილი ძველი, გაცვეთილი, ალაგ-ალაგ ძაფებაძენძილი ფარდაგი მუდამ გაწმენდილი იყო. ბევრი მორწყვისაგან გამაგრებული მიწური იატაკი ისე სუფთად გამოიყურებოდა, როგორც იტყვიან, ერბო დაგექცია, მარცვალ-მარცვალ აკრეფავდი. ტახტის, ორი პატარა ფანჯრის, წალოსა და თაროს თეთრი მიტკლის ფარდებსა და ოთხი ძველებური სკამის თეთრ შალითებს თოვლივით ქათქათი გაჰქონდათ. დიასახლისი სისუფთავის ისეთი მოყვარული იყო, რომ კედლის ძირას მიმდგარი წითელი ხელადაც კი, რომლის ქვეშ მუდამ სისველე იდგა, ყოველი პირის დაბანის შემდეგ გულმოდგინედ და უსაშველოდ ირეცხებოდა. ბუზის ჭაჭანებას ვერა ნახავდით ამ ოთახში, აქ მუდამ სარდაფისებური სიგრილე იგრძნობოდა. მხოლოდ ზოგჯერ რაიმე ჭიას თუ

ჰოჰკრავდით თვალს, რომელიც საიდანღაც გამოძვრებოდა, სინათლის შუქზე სწრაფად გაიქცეოდა და ტახტის ქვეშ შეძვრებოდა, ანდა ხაშის ჭიას, რომელიც ჭერიდან ძირს დაეტყეპებოდა თეთრ ძუცელგადმობრუნებული და კარგა ხანს ფეხებს ახანხალებდა, ვიდრე როგორმე გადმობრუნდებოდა, მერე კი ნელა, თითქოს ჩაფიქრდაო, თავის გზას გაუდგებოდა საითაც მოეპრიანებოდა.

ზაფხულის ცხელი საღამო იდგა. ჰაერი სულ არ მოძრაობდა. წარმოიდგინეთ, ფანჯრებზე ჩამოფარებული ფარდებიც კი ოდნავ არ ირხეოდნენ. ანანი იატაკზე გაფენილ ჩვარზე იჯდა და ბავშვს იყვანდა აკვნიდან. ახალგაზრდა ქალი იყო, დაახლოებით ოცი წლისა. ჩითის ძველი კაბა ეცვა, თავზე სუფთა თეთრი თავშალი ეხვია. ისე იყო გამხდარი, რომ თხელ კაბაში აშკარად მოუჩანდა ბეჭის ძვლები, ხოლო მუცლის ადგილას ტაშტისნაირი ორმო ეტყობოდა. უცნაური, შემზარავი გამომეტყველება ჰქონდა მის წითლად და ლურჯად აფორეჯებულ წამოსიებულ სახეს, მეტადრე გაქვავებულ, გადმოკარკლულ თვალებს, რომლებიც ძალზე სულელურ მზერით დღენიადაგ თითქოს კითხულობდნენ „რატომ? რატომ?..“ მაგრამ პასუხს არსაიდან იღებდნენ.

აკვნიდან ამოყვანილი ბავშვი მდუმარედ კალთაში ჩაისვა და ჩაცმა დაუწყო. ბავშვი მოღიმარე თვალებით უმზერდა დედის გაქვავებულ სახეს და ტიტინით, თითქოს ალერსსა და მოფერებას ემუდარებოდა. მაგრამ დედა ისე იყო გარინდებული, იფიქრებდით ალერსი და მოფერება მის გულს არ სჩვევიაო. ხოლო როცა ბავშვმა ფაფუკი მახვილფრჩხილებიანი ხელი ცხვირზე მოუთათუნა, დედას სახეზე ღიმილის მსგავსი რაღაც დაეტყო, ჯერ ხელზე აკოცა ბავშვს, თავის ნელი მოძრაობით მოიშორა ჩვილის ხელი, შემდეგ დაიხარა და მხურვალედ, გრძნობიერად დაეკონა მსუქან ლოყაზე. მაგრამ სახეზე გაქვავებული გამომეტყველება და თვალებში ჩამდგარი შიში მაინც არ მოშორებია.

ოთახში შემოვიდა შუახნის დედაკაცი, შავი ტანისამოსი ეცვა, წითელი, გაოფლილი სახე ჰქონდა, ხელში შავი შალი ეჭირა. მთელ უბანში და იმისი იქითაც გიჟ-ჰორომსიმად იცნობდნენ. ტყუილად როდი ეძახდნენ ამ სახელს. ერთი ნახევრად შერეკილი ვინმე იყო, მეტისმეტად ანჩხლი და მოჩხუბარი, დღე ისე არ გაივლიდა, ვისმეს არ წაჰკიდებოდა, სულ ერთია, ვინც უნდა ყოფილიყო — ახლობელი, მეზობელი თუ უც-

ნობი. წელიწადი თორმეტი თვე სულ წყევლა-კრულვა ამოსდიოდა პირიდან. როცა იწყევლებოდა, ნამდვილი პოეტი გეგონებოდათ. ისეთ მაგარ, გრძელ-გრძელ, თანაც ქალისათვის შეუფერებელ უწმაწურ სიტყვებს თხზავდა, რომ არავის არსად არ გაეგონა. მთელ უბანს ეშინოდა იმისი წყევლა-კრულვისა. პოლიციელიც კი, როცა ზოგჯერ მეზობლები გიჟ-ჰორომსიმაზე საჩივლელად მოდიოდნენ, ხელს ჩაიქნევდა და გაშორდებოდა იქაურობას.

უბანში იყვნენ სხვა სახელგანთქმული ახტაჯინა ქალებიც, მაგრამ გიჟ-ჰორომსიმასთან რას მოვიდოდნენ! თავისი გაკრეფილი, გალესილი ენით, წყევლა-კრულვით, ლანძღვა-გინებითა და თუ გინდა ფიზიკური ძალით რასაც ბევრჯერ მიმართავდა ხოლმე სიტყვიერი კინკლაობის შემდეგ. იმასთან სად მოვიდოდნენ!..

გამხდარი, მეტისმეტად მარდი და ტანდაბალი გიჟ-ჰორომსიმა ნამდვილი აბურბურებული ცეცხლი იყო. პატარა, მოელვარე, მოუსვენრად მოძრავ თვალებს ისე ნერვიულად აცეცებდა აქეთ-იქით ჩიტის თავივით, თითქოს ჩხუბის მიზეზს ეძებსო. შერკინებას ჯერ ხანგრძლივი წყევლა-კრულვით იწყებდა, დინჯად ამათრახებდა მოწინააღმდეგეს, მერე უცბად გახურდებოდა, ბოლოს კი კატასავით ეცემოდა, თუ მოახერხებდა თმაში სწვდებოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიქნევ-გამოიქნევდა. მაგრამ თუ თმებამდე არ მიუწვდებოდა ხელი, მაშინვე ჩქმეტას და სხეულის გვემას დაუწყებდა გრძელი, გამხდარი თითების ბასრი ფრჩხილებით. ამ ფრჩხილების ნაკვალევი — ჩასისხლიანებული, დასიებული, გალურჯებული იარები აჩნდა სხეულზე მოწინააღმდეგეს.

გიჟი-ჰორომსიმა ანანის დედამთილი იყო.

* * *

— აი. მიწაში ჩაგდე, მაგ მიწაში, ზედ რომ გაშეშებულხარ, — წაიბურტყუნა შესვლისთანავე და წვრილი ბოროტი თვალები გადაუბრიალა რძალს.

ანანი იმდენად იყო შეჩვეული ამნაირ უმიზეზო წყევლა-კრულვას, რომ არც კი გაუხედია დედამთილისკენ და ბავშვის ჩაცმა განაგრძო.

გიჟ-ჰორომსიმამ შალი ტახტზე მიაგდო. სწორედ იმ დროს ძახვილი თვალი ფანჯრებზე ჩამოფარებულ ფარდებს შეავლო.

— ქალო, მაგ დასაბრმავებელი თვალებით ვერა ხედავ, რომ აზე

ეკვე ჩავიდა? — უთხრა მან. -- აი, შენისთანა რძალი ნურც ჰყოლია ოჯახში, გახმი, მაგ მიწაზე დაგაკარი, როგორც ზიხარ, აჰა...

ასე წყევლა-კრულვით გიე-ჰორომსიმა ტახტზე ავიდა, ფანჯრების ფარდები ღია დარაბებზე გადაკიდა, და ჩამოსვლა დააპირა, მაგრამ რაღაც მოაგონდა, სწრაფად გაჩნდა თაროსთან, ფარდა გასწია და დაიწყო თუნუქის სინზე, ჩაის ჭურჭლის გვერდით, საშაქრეში შაქრის ნატეხების სათითაოდ თვლა. დილას, საღამოდან წასვლისას, საშაქრეში ზუსტად ათი ნატეხი გადაეთვალა, მაგრამ. ეხლა ნახა, ორი ნატეხი აკლდა. და ტახტიდან ჩიტივით ისკუპა ძირს.

— აი, ესეც შენ... აი! აი! აი!..:

ამ სიტყვებზე ჯერ თავში მაგრად ჩასცხო რძალს, მერე ძალზე განრისხებული და კბილებდაკრეჭილი მივარდა და ფრჩხილებით დაუწყო ჩქმეტა, სახეს უკაწრავდა, ფერდებში უღმერთოდ სცემდა, სადაც ხელს წაავლებდა, კანს უგრეხდა.

— ვაიმე... — ტკივილისაგან კვნესოდა ანანი, გულზე მიიკრა ბავშვი და ზედ გადაეფარა.

— უჩემოდ ჩაისაც მიირთმევ, არა?.. ესეც შენ... ათი ნატეხიდან რვაღა დაგიტოვებია, რვა ნატეხად იქეცი, აჰა... აი, ესეც შენ, აი, აი... ძალიან იაფად ვყიდულობთ, არა, ასე უბრალოდ რომ აოხრებ? აი მეხი კი დაგაყარე მაგ დასაბრმავებელ თვალებზე... აი, ასე გინდა, ასე, ასე... შე ღორმუცელა შენა... — და ბასრ ფრჩხილებს დანასავით უყრიდა რძალს გამხდარ სხეულში.

— ვაი, ვაი... — კვნესით მოთქვამდა საცოდავი ანანი, ტკივილისაგან იკლაკნებოდა, თან უნებლიეთ სულ უფრო იხუტებდა ბავშვს და მთელი სხეულით ჰფარავდა, რომ ბავშვს არ მოხვედროდა ავი დედამთილის ხელი.

გიე-ჰორომსიმა კი უფრო და უფრო ცოფდებოდა... ბრაზდებოდა, ფრჩხილებით გულის ჯავრს ვერ იქარვებდა... განსაკუთრებით აცოფებდა ანანის დუმილი. ეგონა რძალი ტკივილს არა გრძნობსო. იგი ნასიამოვნები დარჩებოდა და გულიც მოულბებოდა, რძალს ყვირილი რომ დაეწყო, აქვითინებულს შველა ეთხოვა. ამიტომ განრისხებული დედამთილი სხეულის ისეთ ადგილებზე ჩქმეტდა, რომ ქალი იძულებული გამხდარიყო ხმამაღლა ეყვირა. მაგრამ არა, ანანი თითქოს დამუნჯებულიყო, თავჩაქინდრული იჯდა და ისე ნელა ოხრავდა, რომ გიე-ჰორომსიმას ყურამდეც არ აღწევდა, ცალკე მისი განრისხებული ხვნეშაბუტბუტისა და ცალკე ბავშვის ტირილის გამო.

გიჟ-ჰორომსიმა ღარწმუნდა, ცემა-ტყეპით და ჩქმეტით რძალს ვერ ვერეოდა, ცოფიანივით მივარდა, თავშალი წააძრო, ორი ხელით დაეტაცა ნაწნავში და მძლავრად მოქაჩა.

აა... აა... აა... — გაბმული ხმით დაიწყო კივილი ანანიმ, საშინელი ტკივილისაგან თვალთ დაუბნელდა, გულაღმა დაეცა, დასუსტებული ხელებიდან ბავშვი იატაკზე დაუვარდა. ბავშვმა უფრო უმატა ტირილს.

რძლის გაბმულმა კივილმა ბოლოს და ბოლოს ცოტათი გული გაუკრილა გიჟ-ჰორომსიმას, ნაწნავს ხელი გაუშვა და ბავშვი აიყვანა, თან წყევლა-კრულვას განაგრძობდა. მოქანცული ჩამოჯდა ტახტზე და ბავშვის რწევა დაიწყო, რომ გაეჩუმებინა. წვრილი ბოროტი თვალები კვლავ უელავდა გიჟური მრისხანებით, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა ვიწრო შუბლზე, დიდხანს ნარბენი კაცივით ქოშინებდა.

ანანი კი თვალდახუჭული ეგდო იატაკზე და ხმამაღლა ფშლუკუნებდა.

* * *

ზაფხულის გრძელი, ცხელი დღე ახალშეღამებული იყო. მოხუცი ჰელნარი და მისი ორი პატარა შვილიშვილი — ბიჭი და გოგო — ფეხმოკეცილები ისხდნენ ტახტზე და არ ვიცით, სადილს შეექცეოდნენ თუ ვახშამს, რადგან თვითონაც არაფერი გაეგებოდათ როდის სადილობდნენ და როდის ვახშმობდნენ. ლურჯ სუფრაზე ციმციმი გაჰქონდა პატარა ლამპას, რომელიც გაუწმენდავი შუშიდან ბუნდოვან შუქს ჰფენდა დაღლილ-ტანჯულ, გაოფლიანებულ სახეებს. მათი ერთადერთი საკვები გახლდათ ფურნის შავი პური და ნახევრად მოუსვლელი საზამთრო. ვერ გამოიცნობდით, საზამთრო თეთრი იყო თუ ყვითელი. ლამპის შუქზე აუარებელი წვრილი ქინქლა ირეოდა შუშის ირგვლივ. ქინქლები ცხელ შუშას ეხლებოდნენ და ძირს ცვიოდნენ, ზოგნი კი საზამთროს სველ ქერქებს ეწებებოდნენ.

მოხუცი ჰელნარი გამხდარი, ოთხად მოკუნტული დედაბერი იყო, სახე უამრავი ნაოჭებით ჰქონდა დაფარული. სიღარიბეს და ბედის უკეთურობას წელში მოეღუნა და წარუშლელი დაღი დაეჩნია იმის სახესა და სევდიანი თვალებისათვის. შვილიშვილები—და-ძმა ობლები იყვნენ და ბებერი დიდედას მზრუნველობით იზრდებოდნენ. ეს ორი

ობოლი ამხნევებდა, ენერგიას მატებდა, შრომისა და სიცოცხლის ხალისს აძლევდა ჰელნარს, მაგრამ დედაბერი მაინც გულნაკლულად გრძნობდა თავს; ერთი დიდი სევდა აწვა გულზე. ამის მიზეზი ამ ორი ობოლის უფროსი დის — ანანის მდგომარეობა იყო, რომელიც საშინლად იტანჯებოდა თავისი ნახევრად გიჟი დედამთილის და ამაზე არა ნაკლები მხეცი მეუღლის ხელში.

დედაბერი პურისმცხობელი და მოსარეცხე იყო. ბევრი რეცხვისაგან და თონეში პურის ცხობისაგან ხელები და სახე დახეთქილი ჰქონდა, გაყვითლებული, პერგამენტივით გახდომოდა. სარეცხის დროს პატარა ობლები დიდედას ეხმარებოდნენ, ერთს შეშა და ნაფოტი მიჰქონდა, მეორეს ქვაბი ან გობი, თვითონ დიდედა კი მხარზე მძიმე ბოხჩამოკიდებული მიჰყვებოდა და ასე მიდიოდნენ მდინარისაკენ. შემდეგ, როცა მოხუცი დიდედა თაკარა მზეში ჩაცუცქული სარეცხს ჰყლეტდა, ბავშვები გახვრეტილი ტოლჩით ქვაბიდან ცხელ წყალს უსხამდნენ სარეცხზე, ხან ქვაბში ცივ წყალს უმატებდნენ. როცა საქმეს მოითავებდნენ, გოგონა კაბის კალთებს აიწევდა, ბიჭი — შარვლის ტოტებს, შედიოდნენ ანკარა მდინარეში და სიპ ქვებსა და ღორღს გორაკებად დგამდნენ.

ამ საღამოსაც, მთელი დღე თაკარა მზის ქვეშ მდინარის პირას ყოფნის შემდეგ, სარეცხი, ქვაბი, თაბახი პატრონს ჩაებარეს თუ არა, ის იყო შინ დაბრუნდნენ, და დაღლილ-დაქანცულნი საჩქაროდ პურის ჭამას შეუდგნენ, რომ მალე დაეძინათ და ხვალ დილაადრიანად ისევ საქმეშაოდ წასულიყვნენ.

— ნანი, საზამთრო რომ შეჭამო, კურკები მე მომეცი, — უთხრა ერთ-ერთმა შვილიშვილმა, რომელსაც თავის წინ კურკები დაეგროვებინა.

— არა, ნანიჯან, მე მომე, — ჩაერია მეორე, იმასაც თავის წინ შეეგროვებინა კურკები.

— აბა, წინ დაიხედე, რამდენი გაქვს? — ამბობდა პირველი.

— შენ უფრო მეტი არა გაქვს? — შენიშნა მეორემ.

— არა, ბევრი, ბევრი, ოცი ცალი იყოს.

— ოციც არის და ასიც.

— როგორ არა! ასი შენი იქნება...

— კარგით, გეყოფათ, თავი მტკივა, — გაუჯავრდა დიდედა ჩვეუ-

ლი გულკეთილობით. — ნეტავი რა ნახეთ მაგ კურკებში, რომ ლამის ერთმანეთი დახოცოთ. აჰა, ნახევარი შენ, ნახევარი იმას.

* * *

ის იყო დედაბერი კურკების გაყოფას ამთავრებდა, რომ უეცრად ბავშვით ხელში სასოწარკვეთილი ანანი შემოვარდა აჩქარებული ნაბიჯით.

— ნანი, ჩემ ცოდვაში რად ჩადექი, ამ ჯოჯოხეთში რად ჩამაგდე? — შესძახა აქვითინებულმა ანანიმ და ბავშვი ტახტზე მიაგდო. — ქვა და რკინა ხომ არა ვარ, გავუძლო? ღმერთს ადამიანად გავუჩენივარ თუ ძაღლად?!.

ანანი ტახტზე ჩამოჯდა, გულზე მოწოლილი ბოღმა ვეღარ შეიკავა, ხელები სახეზე მიიფარა და საშინელი ქვითინი წასკდა.

ნანის შვილიშვილებიც დაავიწყდა, კურკებიც, ყველაფერი. პირველად, ანანი ასე უჩვეულო დროს რომ ესტუმრა, მოხუცებულ ჰელნარს ძალიან შეეშინდა, მაგრამ როცა ანანის სიტყვებიდან საქმის ვითარება გაიგო, გაირინდა, დუმდა სევდით გათანგული.

— რაო, რა გიყო, გოგო? — შეეკითხა ბოლოს.

— არ იცი, რასაც მიზამდა? — ქვითინით გამოეპასუხა ანანი. — სპეულზე ადგილი აღარ დამრჩა, რომ არ დაესისხლიანებინა, თავზე თმა არ შემარჩინა, ლამის ტვინი გამილაყდეს ამდენი ცემისაგან... კარგი და, როდემდე?.. ერთი სულიღა მიდგა, ბარემ ესეც ამომხადოს, რომ მოვრჩე და მოვისვენო... თორემ აბა რას ჰგავს ჩემი მდგომარეობა, როგორ გავუძლო...

— აი, შავბნელად დაღამებულიყო ის დღე, ნეტავი სულ არ გამთენებოდა, მე რომ შენ მაგ ოხრად დასარჩენ ოჯახში ჩაგაგდე, — მწარედ ამოიოხრა ჰელნარმა. — ვინც შენი მიზეზი გახდა, ცეცხლი და ღველფი ჩაუვარდა ჯანში, როგორც მე ჩამივარდა. იმ გულმკვდარს რა უნდა შენგან, ასე უმოწყალოდ რომ გიჭამს ხორცს, აი ძაღლმა და მგელმა შეუჭამოს იმას ხორციც და ჯანიც.

— ის უნდა, — ქვითინით მიუგო ანანიმ და თავშლის წვერით მოიწმინდა თვალები. — ის უნდა, რომ ნუ სჭამ, ნუ სვამ, ნუ იცვამ, ნუ ცვითავო. თითქოს ჩემთვის მანანა იყრებოდეს ზეციდან.

— დღესაც გადაირია?

— გადაირია და მერე როგორ!.. დილაადრიან წამოდგა, მიცვალე-

ბულის დამარხვაზე წავიდა. რაკი თვითონ ჩაის არ დალევდა, სამოვრის დადგმა არც მე დამანება... იაგორაც, ინათებს თუ არა, ფორანს შეაბამს ხოლმე და უჩაიოდ მიდის სამუშაოდ. მე ჯანი გამვარდეს, უჩაიოდაც გავძლებ, ეს ბავშვი შემეცოდა, მშიერი იყო, ტიროდა... უკმელობისაგან ძუძუ გამიშრა, ის კი მკერდიდან არ მშორდებოდა. ბეზობლისგან ქეთლით წყალი მოვიტანე, ორი ნატეხი შაქარი ჩავაგდე. პური ჩავუყარე, ვაკამე, ძლივს გაჩუმდა. მთელი დღე დაკარგული იყო. საღამოა ქელეხგამომტყვრალი, მთვრალ-გახეთქილი დაბრუნდა. ბოსტლისთანავე ჯერ წყეველა-კრულვით ამიკლო, მერე თაროს მივარდა. ხახა, საშაქრეში ორი ნატეხი შაქარი აკლდა — ხომ იცი, შაქარიც და ყველაფერი დათვლილი აქვს — როგორ გაბედეო, დაიყვირა, უჩემოდ რა ნება გქონდა, ორ ნატეხ შაქარს რომ ხარჯავდიო, მერე ცოფიანი ძაღლივით მომვარდა და მთელ სხეულზე საღი ადგილები არ დამიტოვა — მცემა და მცემა, თმა დამაგლიჯა, ჩქმეტით დამალურჯა. შეგებრალები, მთელი ტანი ისე მაქვს, თითქოს გახურებული შამფურებით დაუდაღიათ...

ანანის ყელში მოაწვა ბოღმა, მაგრამ მოითმინა, თავი შეიკავა.

— ამიერიდან რომ მომკლა კიდეც ნანი, იქ წამსვლელი არა ვარ, — ცახცახით, მაგრამ მტკიცედ დაუმატა. — მტკვარში გადავვარდები, თავს ჩამოვიხრჩობ, სულს ეშმაკის კერძად გავიხდი, იქ კი არ წავალ. კმარა, სული ყელში ამომივიდა... ჩემი სიჯელე შავბნელად აქციეს. ერთი კარგი დღე არ მინახავს. მთელი სამი წელია მაწამებენ, ცალკე თვითონ, ცალკე შვილი. იმ სულძაღლმა დედამთილმა ხომ მცემა და ხორცები დამაგლიჯა, შვილიც მთვრალი გახეთქილი მოვიდა, და რაც დედამთილმა დამაკლო, იმან შემისრულა. რადა, რისთვის რა დამიშავებია? უენო პირუტყვივით ჩემთვის ვგდივარ, მაძლევენ — ვჭამ, არ მაძლევენ — ხმას არ ვიღებ. დილიდან საღამომდე სული ყელში მებჯინება, მტკვრიდან წყლის ზიდვით, ცხენის ჩონჩორიკის გატანით, ეზოს დაგვით, პირუტყეს არ ექნება იმდენი ტანჯვა-წამება, რაც მე მაქვს, ნუთუ ძაღლად აღარ ვღირვარ? ამ ბავშვისთვის ირევიან, ისე უყვართ, ამისთვის მაინც შემიბრალონ? აჰ, ღმერთო ჩემო, — შეჰღაღადა უფალს ანანიმ და ცრემლმორეული თვალები ჭერს მიაშტერა, — რა იქნება, სული ამომართვა, რომ გავთავისუფლდე!..

ხმა ერთიანად აუკანკალდა და უეცრად ჩაუწყდა, თავი ჩაჰკიდა გამხდარ, ფიცარივით სწორ მკერდზე და კვლავ ისე შემაძრწუნებლად აქვითინდა, რომ გაძვალტყავებული სხეული აუცახცახდა.

პატარა და-ძმა სერიოზულად, ბავშვური ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდნენ მას, შვილი კი ჩოჩვით მისულიყო სუფრასთან, საზამთროს ქერქი აეღო და პაწაწინა კბილებით ხრავდა. დედაბერი ჰელნარი ისევ ისე იჯდა გაქვავებული, ვერ გადაეწყვიტა რა გზას დასდგომოდა, როგორ ენუგეშებინა ავი დედამთილის და ხეპრე მეუღლის ხელში დატანჯული შვილიშვილი. მოძალებული სევდით და სიბრალულისაგან თავს აკანტურებდა, კეთილი თვალები ცრემლებით ევსებოდა.

— გოგო, ეგრე რომ ლაპარაკობ, მთელ ჯანში ცეცხლი მეკიდება, — დაუძინა მან ტირილით. — ამბობ, აღარ წავალო? მერე მაგითი იმ გიჟებს გადაურჩები?

— უფრო კარგი, თუ არ გადავურჩები, — ქვითინით უპასუხა ანანიმ. — ამაზე მეტს რაღას მიზამენ? მომკლავენ! დაე მომკლან. შოვისვენებ მაინც. ამდენ ცემას ვეღარ ავიტან. ღამეები ისე გადის, ტკივილებისაგან ძილი არ მეკარება, — დაუმატა და ცრემლები ღაპა-ღუპით წასკდა.

მოხუცებულმა ჰელნარმა მეტი ვეღარ აიტანა. თავის კანტური შეწყვიტა, ჩამქრალი თვალები უეცრად წამოენთო, სასოწარკვეთილებისაგან და სიბრაზისაგან მთელი სხეულით აცახცახდა.

— კარგი, დარჩი. ნუღარ წახვალ, ნუღარ წახვალ იმ თოკით დასაბმელ გიჟებთან, — შესძახა მან. — მე იმათ ქალი იმისთვის კი არ მივეცი, რომ მოახლედ გაიხადონ, თან ფეხქვეშ ამოიდონ და ცემით სული ამოხადონ. სანთელივით დაადნეს, მოსპეს, აი ეგრე დადნეს იმათი ჯანი, უპატრონო ნუ ეგონებათ, ჯერ არ მოვმკვდარვარ. დარჩი, აღარ წახვიდე. ერთ ლუკმა პურს შენთვისაც ვიშოვი, რომ...

სიტყვა არ დაემთავრებინა დედაბერს, რომ ოთახში გიჟი კამეჩივით შემოიჭრა ერთი ბრგე კაცი, ისეთი უზარმაზარი, რომ შემოსვლისთანავე თითქოს პატარა ოთახი გაივსო. იგი მეფორნე იაგორა იყო, ანანის მეუღლე, ფორანივით უხეში და გაუჩორკნავი, თავისი ცხენივით ტლანქი და კუნთმაგარი. თავზე ქუდი არ ეხურა. მზით გარუჯული სახე ისეთი ბანჯგვლიანი ჰქონდა, რომ წვერ-ულვაში აღარ ემჩნეოდა. გულგადაღეღილი იყო, ლურჯი ახალუხი ეცვა, იმფერივე განიერი შარვალი, ტოტები რომ ამოგეშალათ უქუსლო წაღებიდან, გეგონებოდათ

ქალის კაბა აცვიაო. ხშირ წარბებქვეშ სიბრაზისაგან აღლვარებული დიდრონი თვალები მოუჩანდა, გრძელი ცხვირის ნესტოები დაღლილი ცხენის ნესტოებივით გაებერა და ქშინავდა.

ცოლმა რომ დაინახა, მაშინვე ტირილი შეწყვიტა, წამოხტა, კედელთან მივიდა და მკვდარივით ფერწასული ზედ აეკრა.

— ეჰ, შენი... — საზარლად დაიღრიალა, უწმაწურად შეუკურთხა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ანანისკენ.

ჰელნარი წამოხტა, უნდოდა გზა გადაეღობა, მაგრამ იაგორამ ხელი ოდნავ გაიქნია, ტახტზე დაანარცხა დედაბერი და თავისი უზარმაზარი ტანით წინ აეტუზა შიშისაგან მოცახცახე ცოლს.

— ვუი, არ დამარტყა იაგორჯან... შენი სულის ჭირიმე, არ დამარტყა, მთელი ჯანი მტკივა, — შეეევედრა ანანი, რომელსაც კისერი წაეგრძელებინა და ორივე ხელი მაგრა მოეხვია გამხდარ ძხრებზე.

— არ დაგარტყა! არ დაგარტყა! — დასჭექა იაგორამ და გამძვინვარებული თვალები შეანათა ანანის. — მაშ რა ვქნა? თვალები დაგიკოცნო, რომ ის ბებერი დაძინებული გაუშვი, გამოიპარე, სახლი უპატრონოდ მიატოვე? მაშ გამოიქეცი, ჰა? ჯანდაბამდის გზა გქონია, თუ გამოიქეცი, შე უსირცხვილო შენა, ძალიანაც არ ვიდარდებ, მაგრამ ეს ბავშვი რად წამოგიყვანია, ჰა? გინდა ახლავე კისერი მოგიგრიხო, ფეხქვეშ გაგიგდო და ჭიასავით გაგსრისო, ჰა? რაო, არ მიცნობ? — უჰ, შენი... — უზარმაზარი მუშტი, რკინისაგან ჩამოსხმულს რომ უგავდა, მძიმედ, დინჯად გააქან-გამოაქანა ჰორიზონტალურად და ცოლს გვერდში ჩასცხო.

ანანის ხმის ამოღებაც არ დასცალდა, მხოლოდ პირი გააღო — მოკუმა, უცნაურად ჩაისუნთქა ჰაერის ნაკადი, როგორც წყლიდან ამოღებულმა თევზმა იცის ხოლმე, წატორტმანდა და ჩვარივით დაეცა მიწაზე.

— ოჰ, შე გულმკვდარო, ეგ რა ჩაიდინე, — შეჰკივლა ჰელნარმა და საშველად მიირბინა.

იაგორამ გაბანჯგული წარბებიდან ერთი გადახედა მის ფეხებთან გაშხლართულ ცოლის დაჭყეტილ თვალებს, მერე კიდევ შეუკურთხა, მიუახლოვდა ბავშვს, რომელიც ამ დროს საზამთროს ქერქს ღრღნიდა, აიყვანა და აუჩქარებელი ნაბიჯით გარეთ გავიდა.

დედაბერი დაემხო ანანის უსულო გვამზე და შიშისაგან გაქვავდა.

ანანი მიწაზე ეგდო უცნაურად ამოწეული ხვანჩით, ბინდგადაკრუ-

ლი გაჭყეტილი თვალები ჭერისათვის მიეშტერებინა, ღია პირიდან სისხლი გადმოსდიოდა და სუნთქვა გაქვავებოდა.

ცოლის მოკვლისათვის მსჯავრდადებულმა მეფორნე იაგორამ წინასწარი გამოძიების დროს დაკითხვაზე თქვა:

— ერთხელ შემოვკარი მუშტი, სხვა ხომ არაფერი დამიშავებია!

1890

შავი ფულების სარგებელი

ახლად შეღამებული იყო, როდესაც დედაბერი მარანა დასაძინებლად მოემზადა, თუმცა კარგად იცოდა, შუალამემდე ლოგინში უნდა ებორგა რწყილებისა, ანდა უძილობის გამო. ჯერ კიდევ სინათლეზე ლოგინი გაშალა. მუდამ ასე იქცეოდა, რომ ღამის სიბნელეში თავი არ შეეწუხებინა, რაღგან ნავთი არ ჰქონდა ლამპის ასანთებად.

ვიდრე დაწვებოდა, ოთახის კუთხეში მივიდა, ხელები მოუფათურა და დარწმუნდა, ქათმები თავიანთ ადგილას იყვნენ ქანდარაზე ჩამომსხდარნი, თუმცა კი იცოდა, დღისით მეზობლის ქათმებთან ერთად მთელი უბანი აკლებული ჰქონდათ და საღამოს ჩვეულებრივ ქანდარაზე ჩამოსხდებოდნენ. ლოგინში დამშვიდებით მაინც ვერ ჩაწვებოდა თუ ჯერ ქათმებს არ შეამოწმებდა, რადგან მისი ცხოვრების ერთადერთი წყარო და იმედი ეს ორი ქათამი იყო. თვალის ჩინივით უვლიდა და შვილივით უყვარდა ისინი. ქათმები კვერცხს სდებდნენ, მარანას კვერცხები უბნის მეწვრილმანესთან მიჰქონდა და პურზე ან საკენკზე სცვლიდა. ამრიგად, ქათმები თავიანთ თავსაც ინახავდნენ და ბებერ მარანასაც.

ახლა მოხუცის ხელის შეხებაზე შეინძრნენ და აქოთქოთდნენ. შემდეგ დედაბერმა შეასრულა თავისი ჩვეულებრივი ლოცვა, გადაიწერა პირჯვარი, სამჯერ დაიჩოქა ქოხის ოღრო-ჩოღრო იატაკზე, ცხვირშიბრალაცის დუდუნით ტანთ გაიხადა და ლოგინში ჩაწვა. ლოგინის ნესტმა ერუანტელივით დაუარა გამოფიტულ სხეულს; მოიკრუნჩხა, საბანი გადაიხურა თავზე. სევდიანმა ფიქრებმა მოიცვეს იგი.

მარტოდმარტო ცხოვრობდა დედაბერი ამ ნახევრადდანგრეულ ქოხში, რომელიც ქმრისგან დატოვებულ ერთადერთ სიმდიდრეს წარმოადგენდა. დიდი ხანია, ქმარი მოუკვდა, ერთი ლოთბაზარა ხარაზი

იყო, ძალიან ცოტა კარგი დღე უნახავს მის ხელში, მაგრამ მაინც დიდ-ხანს გლოვობდა. მართალია, შვილი ჰყავდა, მაგრამ ისიც უვარგისი გამოდგა. ქურდი და ჯიბგირი, მთელი დღეობით და კვირაობით შინ ფეხს არ შემოადგამდა, დედას არ პატრონობდა. ერთი სიტყვით, დედის ყოფნა-არყოფნა სულერთი იყო მისთვის.

შვილის უვარგისობას მოეწამლა ბებერ მარანას ისედაც უბედური სიცოცხლე. ბევრჯერ უცდია, თვალზე ცრემლმორეულს, დაერიგებინა არტემა, რომ ცუდი გზიდან აეცდინა, საბოლოოდ ერთ საქმეს მოეკიდე, ცოლი შეირთე და ოჯახი შექმენიო. მაგალითისათვის მეზობელ ოსანას თაბახით მოვაჭრე ცაკანას მოუყვანდა. ხომ ხედავ, რა წესიერი ოჯახი შექმნაო. მაგრამ ხმის ამოღებისთანავე არტემა ისე დაუყვირებდა და გადმოკარკლავდა მსხვილ თვალებს, რომ საცოდავ ბებერს ენა მუცელში ჩაუვარდებოდა.

„ოჰ, შვილო, შვილო... — ამოიკვნესა მარანამ და მეორე გვერდზე გადაბრუნდა. — ეს ქათმებიც რომ არ მყავდეს, ნეტავი რა უნდა მექნა?“..

დღეგამოშვებით, ან ორ დღეში ერთხელ წაიღებდა კვერცხებს და უბნის მეწვრილმანეს მიაშურებდა, სხვადასხვა წვრილმანთან და ხილთან ერთად პურსაც რომ ჰყიდდა.

— ბაღდოჯან, ორი კვერცხის პური მომეცი. — ეტყოდა ხვეწნით.

მეწვრილმანე კვერცხებს, თითო-თითოდ, გულდასმით გასინჯავდა, ყურთანაც მიიტანდა.

— ეს ერთი ლაყეა, დედი, — ეტყოდა ხუმრობით.

— არა, ბაღდოჯან, დღეს დადეს: განა მე ლაყე კვერცხი მექნება?

— დედიჯან, რას იზამ, შენ ქათმებს უცბად საკვერცხე რომ გაუხმეთ? — ვანაგრძობდა ხუმრობას მეწვრილმანე, თანაც ერთ გირვანქა პურს უწონიდა.

— არა, ბაღდოჯან, ღმერთმა ნუ ჰქნას. მერე ჩემი შემნახავი ვინ იქნება?

— შენი ბიჭი?

— აი პირი გაუშავდეს ჩემს ბიჭსა, თვალით ვხედავ, რომ...

რაკაკვირველია, მთელი წელიწადი ორი ქათმის დადებული კვერცხით ცხოვრება არ შეიძლებოდა, მაგრამ მოხუცს სული მაინც შერჩენოდა.—იყვნენ კეთილი ადამიანები, რონელნიც ხანდახან თავიანთ ცხელი კერძიდან მასაც წილს არგუნებდნენ, ან სხვაფრივ ეხმარებოდ-

ნენ. თვითონაც, რაც ძალ-ღონე ჰქონდა, თავს არ იზოგავდა, ვის მატყლს ურთავდა, ვის დილიდან საღამომდე ემსახურებოდა, ბენახშირეს დუქანში დახეულ ტომრებს უკერებდა.

ერთი ქათამი შეტოკდა ადგილზე და ძილმორეულმა რაღაც ყრუდ ჩაიკაკანა.

— ჯან ჯან, შენ გენაცვალე, — წამოთქვა ბებერმა მარანამ და დაამთქნარა.

* * *

შუაღამე კარგა გადაცილებული იყო.

დიდი წვალების შემდეგ მარანას ახლად ჩასძინებოდა, უცებ რაღაც ხმაურმა გამოაღვიძა. შეშინებულმა თავი წამოყო და სიბნელეში გაიხედა.

კარებს არახუნებდნენ, როგორც ეტყობოდა, ხელითაც და ფეხითაც, ისე მაგრად ურტყამდნენ, რომ კარებიანა ირყეოდა მთელი ქოხი.

— ვინ არის? — წამოიძახა გულგახეთქილმა ბებერმა.

— აი ზაჰრუმალა და შავი ჭირი, გააღე რაღა, — მოისმა ვაჟკაცის შემზარავი ხმა და კარებზე ფეხის მაგარი დარტყმით ქოხი ხელახლა შეინძრა.

— არტემ... აი, შენ რა გითხრა, აჰა, გული არ გაბიზეთქე! — გაეხმაურა ბებერი, ლოგინიდან წამოდგა და სიბნელეში ფარფატით მივიდა კარებთან. ძლივს იპოვა რაზა, კარი გამოაღო.

გაზაფხულის მოწმენდილი ღამე იყო. კარებთან ერთი ბრგე ახალგაზრდა იდგა ქუდით ხელში.

— ამდენი ვარახუნე, რა არის, არ გესმის, განა? — დაუღრიალა მან დედას.

— ძილში ვიყავი, არტემაჯან, — საცოდავად უპასუხა დედამ.

— აი ისე დაიძინე, რომ ველარ გაიღვიძო, — შეუტია არტემამ და ფართო ნაბიჯებით შინ შემოვიდა. — სინათლე აანთე, — უბრძანა მან.

— ნავთი არა გაქვს, არტემჯან.

— მაშ სიბნელეში ხარ?

— აბა რა ექნა?

— გიჟია ეს ოხერი, მერე ორი გროშის ნავთი რა არის, რომ არ ყიდულობ?

— ორი გროშის მომცემიც შენა ხარ, არ მაძლევ და რით ვიყიდო? — მიახალა ცოტა აღელვებულმა ბებერმა.

— რაო, ქათმები დაგეხოცნენ? კვერცხს აღარ გიდებენ?

ბებერი უცებ აენთო.

— ამოდენა ვაჟკაცი მთასავით მედგე და ქათმებს შევყურებდე? — უპასუხა განრისხებულმა, — დედა ვარ შენი, ძალ-ღონე მიხდილი, წელიწადი გადის, ზედ არ მიყურებ და, დიდი გულით ისევ შენა ხარ? გრცხვენოდეს მაინც. ქათმები ლუკმა პურს მაჭმევენ, შენ რას მმატებ, რომ ხოცავ კიდეც.

— აბა, ბევრს ნუ ბუზღუნებ, თორემ ჰა, — დაემუქრა არტემა და დედას მიუახლოვდა.

შვილი დედაზე თითქმის ორჯერ მაღალი იყო.

დედამ სიბნელეში ორი მოელვარე უშველებელი თვალი და ჰაერში გაქვავებული მუშტი შეამჩნია, ამავე დროს ცხვირში ღვინის ძძიმე სუნი ეცა.

— მაშ, რა ვქნა არტემჯან, — თქვა მან ისევ საცოდავი კილოთი, — გული მეტკინა. რომ...

— ხმა ჩაიკმინდე! — ისევ შეღრიალა არტემამ. — ძიდი, ლოგინი გამიშალე.

ბებერი ხმაამოუღებლივ გაეშურა მისი ბრძანების შესასრულებლად. სიბნელეში ფარფატითა და კვნესით ძლივს გაუშალა არტემას ლოგინი.

არტემამ უცებ გაიხადა, ჩაწვა მაშინვე და ხვრინვა ამოუშვა.

— ეჰ, მეც უნდა ვთქვა შვილი მყავს და ქვეყანაზე ვცხოვრობმეთქი. ვაი ჩემი გაჩენის დღეს, ვაი! — მწარედ ამოიოხრა მარანამ და ისევ ლოგინში ჩაწვა.

გათენება შორს არ იყო. პატარა ფანჯრების ბნელ მინებში სინათლემ შემოიხედა, ქოხი თანდათან განათდა.

ქათმები შეფაცრთხალდნენ ქანდარაზე, წამოდგნენ, დაიბერტყეს ფრთები, ნისკარტით დაიწყეს ფრთებისა და მკერდის წიწკნა, შემდეგ კისრები წაიგრძელეს, დაბლა დაიხედეს, ირგვლივ მიმოიხედეს, წითელი ბიბილოების თამაშით უცებ დიდი ქოთქოთით ჩამოხტნენ ქანდარიდან და ჩამოცვენილი ბუმბული ჰაერში გაფანტეს.

დედაბერს გათენებისას ისევ ჩასძინებოდა. უცებ თვალები გაახილა, კვნესით წამოდგა და ტანთ ჩაიცვა.

ქათმები მიუახლოვდნენ, უფრო ხმამაღლა დაიწყეს კაკანი.

— ახლავე, ახლავე დაგიყრით საკენკს, — წაიღუღუნა დედაბერმა,

თან უნდოდა საკენკის პარკთან მისულიყო, რომ ამ დროს თავისდაუნებურად უცებ გადახედა მძინარე შვილს; მას საბანი გადახდოდა, ბანჯგვლიანი გულ-მკერდი მოუჩანდა. დედა ფრთხილად მიუახლოვდა, საბანი გადაახურა.

მიუხედავად ქათმების კრიახისა, არტემას მაინც ღრმად ეძინა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ფრთოსნებს უკვე აკენკილი ჰქონდათ საკენკი და წყალიც დაელიათ. ახლა უკვე გარეთ გასვლას ლაშობდნენ. ბებერმა თითო-თითოდ დაიჭირა, აიყვანა, კვერცხი გაუსინჯა. შემდეგ კარი გაუღო და გარეთ გაუშვა.

* * *

საღილობის დრო იყო, არტემამ რომ გაიღვიძა. ლოგინში დაიწყო ზმორება, ხელის თითებს აუტეხა ტკაცუნი, შემდეგ ფეხები ჩაშოჰკიდა ტახტზე და ზანტად შეუღგა ჩაცმას, თან ამთქნარებდა.

— ჩაი არა გვაქვს? — შეეკითხა დედას, რომელიც კარებთან იჯდა და რაღაცას აკერებდა.

— როგორ არა, — დასცინა დედაბერმა, — სამოვარი დუღს და ქაფქაფებს. ჩაი და შაქარი რომ გამოგზავნე, აგერ თაროზე ლპება.

არტემამ ჩაიცინა.

— მაშ თუ აგრეა, დედი, აი მივდივარ ერთი გირვანქა ჩაი ვიყიდო, ერთი თავი შაქარი და თუ ნახშირი არა გვაქვს, ერთი ზურგიც ნახშირი.

— მასხარად ასაგდები თავი ზედ გაბია, — უპასუხა დედაბერშა, — ამ დილით მარქანაანთ დამიძახეს, მოდი, ერთი ჭიქა ჩაი ჩვენთან დალიეო. რომ არა გრცხვენია, აბა რა ვქნა!

არტემამ შუბლი შეიკრა, ფეხზე წამოდგა, ჯერ ერთი ფეხი შედო ტახტზე, მერე მეორე და შნოიანად ჩაიკეცა მაღალყელიანი ჩუსტები. შემდეგ ხელში აიღო ხელადა, ფეხები განზე გასწია, პირი იქვე იატაკზე დაიბანა, ხელსახოცით შეიწმინდა, ჯიბიდან ერთი კბილებჩამტვრეული სავარცხელი ამოიღო, დაივარცხნა თმები, განსაკუთრებული სიფაქიზით მოიმრგვალა შუბლზე დატოვებული გრძელი ქოჩორი, აიღო ქუდი, ხელზე დაბერტყა, მრუდედ დაიდო კეფაზე და კარებისაკენ გაემართა. კარებთან უცებ შეჩერდა, დახედა დედის მხრებს; მოხუცი საკერებელს დასცქერიდა. შვილს ხელახლად მოუნდა გახუმრება.

— კარგი, დედი, ჩაი ხომ არ დამალევინე, — უთხრა მან.

— წადი ტრაქტირში და ჩაისაც დალევ, არაყსაც, — საკერებლიდან თავაუღებლივ უპასუხა დედაბერმა.

— ვაი, დედიჯან, დედი, ეშმაკმა წაგიღოს, დედი, — წამოიძახა არტემამ სიცილით, ფართო ნაბიჯით გადაბიჯა და გარეთ გავიდა, — რა ცხვირ-პირი ჩამოგტირის? — უთხრა უცებ და დედის წინ შეჩერდა, — გინდა, ლოთიანად, ფული გაჩუქო?

— ფული თუ გაქვს, წადი და არღნით იქეიფე, მე რად მომცემ! — წაიდუდუნა ბებერმა და თავი არ მოაშორა საკერებელს.

— ჰეი დედი, გული როგორ გაგტეხია. აი თუ არ მოგცემ! — არტემამ ხელი შავი სატინის ახალუხის ჯიბეში ჩაიყო და ფულების ჩხარუნი დაიწყო ბებრის საღერღელის ასაშლელად — ჰა, მოგცე?

ფულების ჩხარუნმა მართლაც იმოქმედა დედაბერზე. საკერებელი ერთ მხარეს გადადო და ხელები მოწიწებით გაუშვირა შვილს.

— მომეცი, მომეცი, არტემჯან, შენ გენაცვალოს დედა.

არტემამ ჯიბიდან ერთი მუჭა თეთრი და შავი ფულები ამოიღო და, ახლა უკვე მუჭში დაუწყო ჩხარუნი.

— მაშ ამბობ, მოგცე, რაღა!

დედაბერმა ცოტა წამოიწია ადგილიდან, ხელები ისევ შვილისკენ ჰქონდა გაწვდილი.

— არტემჯან, შენს მზეს შემოევლოს დედაშენი, ისე იგულისხმე, ვითომ საყდრის წინ ერთი მათხოვარი ვყოფილვარ.

— კარგი, რომ მოგცე, მერე რას იზამ?

დედაბერი სწრაფად წამოდგა ფეხზე.

— აი, რას ვიზამ, არტემჯან, ჯერ ცოტა მატყლს ვიყიდი და წინდებს მოვქსოვ შენთვისაც და ჩემთვისაც; საპონს ვიყიდი, დავრეცხავ შენსა და ჩემს საცვლებს. ნავთს ვიყიდი, ღამე რომ მოხვიდე, ლამპა აგინთო. ჩაისა და შაქარს ვიყიდი, ცოტასაც ნახშირს, დილით რომ ადგე, ჩაი დაგალევინო ხოლმე, კიდევ...

— ვაჰ, ვეღარ მორჩი, — წამოიძახა არტემამ.

— ეჰ, როგორ მოვრჩე, არტემჯან, ცოტა რამ გვაკლია განა? — თქვა დედაბერმა, — მართლა, ქათმების საკენკი არ მითქვამს, დამავიწყდა, ყველი, რამდენი ხანია, გულით მინდა ყველი.

— ყველი არა, კატლეტი და ბიფშტექსი არ გინდა? — მიუგო არტემამ უკვე სერიოზულად. — შე ოხერტიალო, რა გგონია, ფულებს ვჭრი, აბა, კალთა გაშალე და რასაც მოგცემ, ხმა არ ამოიღო, თორემ...

დედაბერი ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა შვილს და კალთა გაუშალა. თვალებით კი მოუთმენლად შეჰყურებდა ხელებში.

არტემამ გაშალა მუჭა, თითო-თითოდ გადაარჩია თეთრი ფულები და ჯიბეში ჩაიყარა, დარჩენილი შავი ფულები კი დედას კალთაში ჩაუყარა.

— აი, აღარა თქვა ცუდი შვილი მყავსო.

— არა, არა, კარგი ხარ. კარგი, არტემჯან. აი იცოცხლე და იხარე, არტემჯან.

დედაბერი ხელახლა ჩამოჯდა კარებთან, კალთა გაშალა და ფულების თვლა დაიწყო. სიხარულისაგან ხელები უკანკალებდა.

არტემა თვითონაც ვახარებული იყო დედის სიხარულით. ჩაიკუნტა დედის წინ და მომღიმარი სახით შეხედა.

— ხომ მოგეცი, ჰა? — ჰკითხა.

— მომეცი, მაშ მომეცი, არტემჯან, გაიხარე ისე, როგორც მე გამახარე.

არტემას გაეცინა, მსუბუქად ჩამოჰკრა დედას მუხლებზე ხელი, წამოხტა ადგილიდან და ფართო და დინჯი ნაბიჯით გაშორდა.

* * *

დაახლოებით ორმა კვირამ განვლო.

დედაბერი მარანა ისევ ძველებურად ცხოვრობდა. არტემას ნაჩუქარი ფულები თუმცა დიდი ეკონომიით დახარჯა, მაგრამ მაინც დიდ ხანს არ ეყო. უკვირდა, რომ იმ ფულებმა არავითარი ცვლილება არ მოახდინეს მის ცხოვრებაში. მისთვის ერთადერთი საგრძნობი სარგებელი ის იყო, რომ ამ ხნის განმავლობაში ათი-თხუთმეტი ცალი კვერცხი გადაერჩინა კრუხის დასასმელად.

ერთ დღეს არტემა ისევ მივიდა ჩვეულებისამებრ, როცა სახლი მოაგონდებოდა შუაღამისას მოვიდოდა, ხშირად გათენებისასაც მოსულა. მაგრამ დღეს ისე ადრე ესტუმრა, რომ დედაბერი მარანა ჯერ დაწოლილიც არ იყო. ამ ამბავმა ძალიან გააკვირვა მოხუცი.

— არტემჯან, ავად ხომ არა ხარ? — ჰკითხა შეფიქრიანებულმა.

არტემამ პასუხი არ გასცა.

მარანამ სცადა კარგად დაჰკვირვებოდა შვილის სახეს ნახევრად ჩაბნელებულ ქოხის სინათლეზე, მაგრამ ვერაფერი დაინახა ბნელი სილუეტის მეტი; სწრაფად აანთო ლამპა, შემდეგ შვილს მიუახლოვდა.

არტემა პირაღმა დაწოლილიყო ტახტზე და ხელები თავქვეშ დაეწყო.

მოხუცი ჩააშტერდა მის სახეს და შეეშინდა, შვილს სახე სასტიკად მოღუშული ჰქონდა, თვალები უბრწყინავდა. ეტყობოდა ძალიან ცუდ ხასიათზე იყო.

— არტემჯან! — ჩაიჩურჩულა დედამ.

— ჰა? — უცბად დაიღმუვლა თავისი მძლავრი ხმით და თვალები გადაუტრიალა დედას.

— რატომ ხარ ასე? — შიშით ჰკითხა მოხუცმა.

— ნუ ამალაპარაკებ, თორემ ამ გაბოღმებულ გულზე ერთ ისეთ წიხლს ამოგიჭერ, ადგილზევე სული განუტევო, — უპასუხა არტემამ დინჯად, მაგრამ შიშის მომგვრელი ტონით და ფეხიც კი მოიმარჯვა.

დედა მოიკრუნჩხა და ხმაამოღებლად გაშორდა.

ჩამოვარდა ხანგრძლივი სიჩუმე.

ლამპის სინათლესა და ხმაურზე ქანდარაზე ჩამომსხდარ ქათმებს გაღვიძებოდათ და უჩვეულო სინათლით დაინტერესებულნი აქეთ-იქით აცეცებდნენ მრგვალ თვალებს.

ტახტის კუთხეში მოკრუნჩხულიყო დედაბერი. ფიქრობდა, რა დაემართა არტემას. გაიხსენა წარსულიდან ერთი შემთხვევა, როდესაც შვილი ასეთ ხასიათზე დაბრუნდა შინ. მაშინ მიზეზი არ დაუმალა და უთხრა, ყომარის თამაშის დროს ბევრი ფული წავაგეო. ალბათ ახლაც ისეთივე რამ მოუხდა, იფიქრა ბებერმა და მოინდომა ენუგეშებინა შვილი.

— არტემჯან, ნავთი შენი ნაჩუქარი ფულით ვიყიდე, — უთხრა მან, როცა შეამჩნია, რომ შვილი ღრმა ფიქრებით გართული თვალებგაშტერებული შეჰყურებდა ლამპას.

არტემამ ხმა არ გასცა.

— რამდენი ხანია, ვიყიდე, მაგრამ ვინახავდი, რომ შენი მოსვლის დროს ამენთო, — დაუმატა დედაბერმა.

არტემა ისევ დუმდა.

— ცოტაოდენი ჩაი და შაქარიც ვიყიდე, დილაზე ჩაის დაგალევინებ, — ხელახლა ალაპარაკდა მოხუცი.

არტემა გაუნძრევლად იწვა ერთდაიმავე მდგომარეობაში. თითქოს არ უსმენდა დედას.

დედას გულზე მოხვდა, ეწყინა, რომ შვილი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა მის ლაპარაკს.

— თუ გეძინება, მითხარი, ლოგინს გაგიშლი, — უთხრა ნაწყენი ტონით დიდი ხნის დუმილის შემდეგ.

არტემამ პასუხი არ გასცა, მუთაქა თავქვეშ მოიმარჯვა, მკლავით სახე დაიფარა და რამდენიმე წუთის შემდეგ მისი ხვრინვა გაისმა.

მარანამ ძველი, ჭუჭყიანი მითელი სიფრთხილით გადაახურა, რომ არ გაეღვიძებინა. ლამპა ჩააქრო, შეასრულა ჩვეულებრივი ლოცვა და ლოგინში ჩაწვა.

„ეგ არის, უეჭველად ეგ არის, ფული წააგო", — დაასკვნა ღრმად დადარდიანებულმა დედამ. მას კი იმის იმედი ჰქონდა, დილით შვილი წინანდელივით ფულს მაჩუქებსო.

ახლად რიჟრაჟდებოდა, პატარა ფანჯრების ბნელი მინები ის-ის იყო თანდათან ნათდებოდა, რომ ქათმების უჩვეულო კაკანმა ეცემ გამოაღვიძა დედაბერი. მან თავი სწრაფად წამოყო და ქანდარისკენ მიიხედა. იქ, სიბნელეში, მისმა ნამძინარევმა თვალებმა ძლივს შეამჩნიეს ადამიანის შავი სილუეტი.

— ვინა ხარ? — დაუყვირა ძალზე შეშინებულმა მოხუცმა და მექანიკურად ლოგინში წამოჯდა.

ადამიანის აჩრდილი კარებისაკენ გაემართა. გაისმა რაზის ჩხარუნი. კარი გაიღო. აჩრდილი ერთ წამს გამოჩნდა განთიადის მკრთალ სინათლეზე და სწრაფად გაქრა, კარები ღია დარჩა. გარედან მოისმა ქათმების კაკანი და უცებ ყველაფერი მიჩუმდა.

დედაბერს სიზმარი ეგონა, წამოხტა, მივარდა და აკანკალებული ხელები ტახტს მოუფათურა არტემას ლოგინს. ლოგინი ცარიელი იყო. გიჟივით გაექანა ქანდარისაკენ, ქანდარაც ცარიელი დაუხვდა.

— აი, გული არ მოგიკვდეს, არტემ, ეს რა ჰქენი? — შეჰყვირა დედაბერმა, სწრაფად გადაიცვა კაბა და გარეთ გამოვარდა.

სუნთქვაჩქარებული, ქოშინით გარბოდა დაცარიელებულ გრძელ ქუჩაში, თან წამდაუწუმ ქვებზე ედებოდა ფეხები. ვეღარც კი გრძნობდა, როგორ სჩხვლეტდნენ გამხდარ და გაძვალტყავებულ შიშველ ფეხებს დალესილი ქვის ნატეხები. შემდეგ სუნთქვა ვეღარ მოიბრუნა, შეჩერდა, იქვე შუა ქუჩაში ჩამოჯდა, მუხლებზე ხელები დაიშინა და უცრემლოდ ქვითინი დაიწყო.

არტემა გამქრალიყო.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნარ-დოსი (წინასიტყვაობა არჩილ დავითიანისა) 5
ჭეშმარიტი მეგობარი (თარგმანი ივანე დავითიანისა) 17
ნუნე (თარგმანი ივანე დავითიანისა) . 46
ანა საროიანი (თარგმანი არჩილ დავითიანისა) 92
მოკლული მტრედი (თარგმანი ლია მიქაძისა) 144
მე და ის (თარგმანი არჩილ დავითიანისა) . 252
ახალი ქათამი (თარგმანი არჩილ დავითიანისა) . 266
ერთ-ერთი სევდიანი დღე (თარგმანი არჩილ დავითიანისა) 275
უკვალოდ დაკარგული (თარგმანი არჩილ დავითიანისა) 289
უკანასკნელი მოჰიკანები (თარგმანი არჩილ დავითიანისა) 303
ჩვენი უბანი
როგორ განკურნეს (თარგმანი ივანე დავითიანისა) . 320
საქულა სალოცავად წავიდა (თარგმანი არტემ დავითიანისა) 340
სულზე მიასწრო (თარგმანი არტემ დავითიანისა) 357
ჰოპოპ! (თარგმანი ივანე დავითიანისა) 366
რა მოხდა შემდეგ, როცა საშაქრეს ორი ნატეხი შაქარი დააკლდა (თარგმანი ივანე დავითიანისა) 374
შავი ფულების სარგებელი (თარგმანი არტემ დავითიანისა) 385

რედაქტორი ელ. გოგოლაშვილი
მხატვარი ი. მკედლიშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. ქუთათელაძე
ტექრედაქტორი ვ. ჰიკინაია
კორექტორები: ც. უნდელაშვილი,
ლ. არჩვაძე

გადაეცა წარმოებას 15/II-66 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/III-67 წ.
ქაღალდის ზომა 60 × 84 1/16. ნაბეჭდი
თაბახი 24,75+1 ჩაკერა. სააღრ-საგამომც. თაბახი 20,2.
ტირაჟი 5000 შეკვ. № 373.

ფასი 78 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის, 5.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., 5.
Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.